



მარიო
პიუზო

სიცილიელი



მარიო პიუზო

სიცილიელი

ინგლისურიდან თარგმნა
თამარ კოტრიკაძემ

წიგნის ელექტრონული ვერსია
მოამზადა: აკაკი ციციშვილმა

www.PDF.ChiaturaINFO.GE

წიგნი „სიცილიელ როზინ ჰუდზე“

როდესაც სამი წლის წინ მარიო პიუზოს „ნათლიამ“ იმდენი მკითხველის ხმა მოაგროვა, რომ „50 წიგნის“ პროექტით მისი დაბეჭდვა გადაწყდა, სულაც არ მესიამოვნა — რა დასამალია და, მე არ მიმიცია ხმა და, მგონი, 50 კი არა, „150 წიგნის პროექტი“ რომ ყოფილიყო, არც მაშინ დაუასახელებდი ჩემს რჩეულთა შორის; მაშინ წიგნის გამოცემამდე „კვირის პალიტრაში“ საპრეზენტაციო წერილები იბეჭდებოდა ხოლმე და, როდესაც მისი დაწერა მივიღე სარუდაქციო დაჯალბად, ძალიან ვეცადე, რომ ჩემი კოლეგისტვის გადამებარებინა ეს საქმე, ტყუილიც ვთქვი, წაკითხული არ მაქვს-მეთქი, მაგრამ არაფერი გამომივიდა.

არადა, წაკითხული მქონდა, თანაც, 90-იანი წლების დასაწყისში, — მაშინ, როდესაც ჩვენში არც საავტორო უფლებები არსებობდა, არც ნორმალური მთარგმნელი და არც სტამბა (ყოველ შემთხვევაში, ასეთი წიგნებისთვის) — ქუჩაში ვიყიდე „ქსეროქსზე“ გადაღებული ფურცლებისგან აკინძული, აშკარად რუსულიდან თარგმნილი (თუმცა, არც მთარგმნელის ვინაობა იყო მითითებული და არც ის, თუ რომელი ენიდან იყო თარგმნილი) და, მთლად უარესი — სათაურად „ნათლიას“ მაგოვრად „ნათლიმამა“ ეწერა, მაშინდელ არალეგალურ ვიდეოსალონებში გავრცელებული სათაური.

ბევრი რომ არ გაუგარძელო, მაშინ მხოლოდ იმიტომ წავიკითხე ბოლომდე, რომ „მაგნე ჩვევა“ მაქვს, — როგორც უნდა აღმოჩნდეს, კითხვის შუა გზაზე მიტოვება არ მიყვარს.

რა თქმა უნდა, სულაც არ ვიწონებ იმით თავს, რომ ჩემი, როგორც „მაღალი დონის“ მკითხველის, გემოვნება არ დააკმაყოფილა-მეთქი. უბრალოდ, ან მართლაც საშინელი თარგმანის ბრალი იყო, ან კიდევ იმისი, რომ მინდოდა, ჩემთვის ერთ-ერთი ფავორიტი ფილმის ლიტერატურული პირველწყარო, უკეთესი ყოფილიყო.

იმ წერილის დაწერამდე კი, იმდენი წლის შემდეგ, ხელმეორედ გადავიკითხე, გადავიკითხე კი არა, მაინც მთლიანად წაკითხვა გამოვიდა, რადგან ათასჯერ ნანახ-გაგონილმა სიუჟეტმა მაინც ისე ჩამითრია, რომ, როგორც ჩვენ, მკითხველები, ვიტყვით ხოლმე, „გემრიელად ჩაუჯექი“.

ჰოდა, გულწრფელად უნდა გითხრათ: ცხადია, ფრენსის ფორდ კოპოლას ფილმი ჩემთვის ისევ იმ იშვიათ კინონაწარმოებად რჩება, რომელიც ლიტერატურულ პირველწყაროს ჯობს, მაგრამ ეს მხოლოდ თავად ამ ფილმის გენიალურობის „ბრალია“, ხოლო მარიო პიუზოს რომანი კი „გაგიკვირდებათ“ და, მართლაც კარგი წიგნი „აღმოჩნდა“!

„ნათლია“ არის იმ ტიპის წიგნების ქრესტომათიული მაგალითი, რომლებსაც ბესტსელერს უწოდებენ ხოლმე, მაგრამ არავითარ შემთხვევაში ე. წ. „ფალფ ფიქშენს“, ანუ „მაკულატურას“ — ერთი წაკითხვის შემდეგ ყოველდღიურ გაზეთებთან ერთად ურნაში მოსასროლ წიგნს. და ეს დაადასტურა კიდევ მისმა გაყიდვებმა მაშინ — 1969-დან 1972 წლამდე, ანუ იმ პერიოდში, სანამ კოპოლას ფილმი გამოვიდოდა და რომანი მხოლოდ „საკუთარი ძალით ქაჩავდა“.

სხვათა შორის, თვით ავტორი „ემმაკობდა“ იმ წლებში, — ყველა ინტერვიუში აცხადებდა, „ნათლიის“ გარდა, კიდევ ორი რომანი მაქვს დაწერილი და ოროვე ჯობს ამას, მიკვირს, რომ ისინი არ არის ასეთი პოპულარულიო. მაგრამ ყველაზე კარგი „ბარომეტრი“ ხომ მკითხველია, მკითხველის „მიტყუება“ კი ვერაფრით შეძლო იმ ორ რომანთან.

ისე კი, მართლაც, საოცარია: ორი ადრეული რომანი — „წყევდიადის არენა“ (1955 წ.) და „ბედნიერი პილიგრიმი“ (1965 წ.) იმისთვის დაწერა პიუზომ, რომ მწერლობაში ფეხი მოეკიდებინა, მაგრამ მკითხველმა გულგრილად მიიღო, თუმცის აქტუალურობის მიუხედავად (პირველი რომანი ოკუპირებულ გერმანიაში ამერიკელი ჯარისკაცისა და გერმანელი გოგონას სიყვარულს აღწერს, მეორე — იტალიელი ემიგრანტების პრობლემებს ამერიკაში). „ნათლიის“ დაწერის მიზეზი და მიზანი კი მხოლოდ ვალები და მათი გასტუმრება იყო.

„45 წლის ვიყავი, 20 ათასი დოლარი ვალი მქონდა ნათესავების, ბუკმეკერების, ბანკების. ლენი ბრიუსმა შემომთავაზა მაფიაზე რომანის დაწერა“, — ჰყვებოდა პიუზო. ნაცნობი მწერალი ესტუმრა თურმე და შეკვეთილი რომანის — „ბედნიერი პილიგრიმის“ ხელნაწერი გაატანა. ერთ კვირაში აღფრთოვანებულ კოლეგას უთქვამს, შენ დიდი მწერალი ხარო! შესაძლოა, ეს ამბავიც მისი არაპოპულარული რომანის დასარეკლამებლად გამოგონილი, ზემოთ ნახსენები ისტორიის ნაწილიცაა, მაგრამ დანარჩენი სიმართლე უნდა იყოს: მეგობრის ქებით აღფრთოვანებულ პიუზოს ის რესტორანში დაუპატიჟია, „ნათლიისთვის“ გაკეთებული წინასწარი ჩანაწერები და მაფიოზების შესახებ გაგონილი რამდენიმე ამბავი მოუყოლია და, როგორც თვითონ ამბობს, შოკში ჩაუგდია.

იმ მეგობარმა მწერალმა მეორე დღესვე შეახვედრა თავის გამომცემელს, რომელმაც აჯანსად 5.000 დოლარი მისცა, მაგრამ რომანის დასრულებას მაინც სამი წელი მოანდომა. ხან ევროპაში წავიდა ცოლ-შვილთან ერთად, ხან ლას-ვეგასის კაზინოებს ესტუმრა (5.000 „დიდი ფული“ იყო მაშინ). როდესაც ფული შემოეღია და გამომცემლობაში ასაღები 1.200 დოლარი „გაახსენდა“, მაშინდა მიუჯდა საწერ მაგიდას.

მაგრამ რის 1.200 დოლარი, როდესაც დასრულებული რომანი წაიკითხეს, თავისმა აგენტმა გამომცემლობის წინადადება შეატყობინა: გამომცემის ექსკლუზიურ უფლებაში 410 ათას დოლარს(!) იხდიდნენ!

ასე მოვიდა პოპულარობა. მართალია, იმ ფულიდან ნახევარი აგენტმა წაიღო, 10% — თავის ძმას მისცა შეთანხმებისამებრ (ის მთელი მისი „უსაქმურობის“ პერიოდში „ასპონსორებდა“ პიუზოს ოჯახს), ხოლო დანარჩენი ვალებში წავიდა და უფულოდ დარჩენილმა ეკრანიზაციის უფლებაც მხოლოდ 10 ათას დოლარად გაყიდა, მაგრამ ის უკვე არა მხოლოდ მწერალი, არამედ კინო-შედევრ „ნათლიის“ სცენარის ავტორიც იყო და, მოგვიანებით, როდესაც კოპოლამ „უკანასკნელი დონის“ სცენარი მისგან 2.1 მილიონ დოლარად იყიდა, აღარავის გაჰკვირვებია.

რაც შეეხება „სიცილიელს“: ეს რომანი შარშან რუსულ თარგმანში წავიკითხე — ანოტაციამ „მომატყუა“, რომელშიც ქწერა, — „ნათლიის“ გაგრძე-

ლებათ. ისეთი შთაბეჭდილება დამრჩა, რომ ამ სიტყვების ავტორს წიგნი წაკითხული არ ჰქონდა. „ნათლიასთან“ საერთო მხოლოდ მაიკლ კორლეონეა, თანაც არა მისი ცხოვრების „გაგრძელება“, არამედ „ნათლიის“ სიუჟეტის ის პერიოდი, როდესაც მაიკლი სიცილიაზე ემალება ვენდეტას. რაც მთავარია, კორლეონე აქ მხოლოდ რამდენიმე ფურცელზე „მოქმედებს“ (თუ შეიძლება, ამას მოქმედება ეწოდოს, რადგან, ძირითადად, ძინავს) და მისი მისია რომანის მთავარი გმირის ამერიკაში გაპარებაა.

მთავარი გმირი კი ნამდვილი სიცილიელი რობინ ჰუდი, ან არსენა ოძელაშვილია — სალვატორე ჯულიანო, ისტორიული პიროვნება. დაჩაგრულ სიცილიელთა გვერდით დგომა და ღირსების კოდექსის დაცვა მკითხველის უდავო სიმპატიას იწვევს. სხვათა შორის, სალვატორე (ტორი) ჯულიანოს ამბავი არსენა ოძელაშვილისას კიდევ ერთი რამით ჰგავს: მისი სიკვდილის რამდენიმე ვერსია არსებობს, ხოლო ხალხში კი კარგა ხანს რჩებოდა რწმენა, რომ გადარჩა და მაინც გააღწია ამერიკაში (არსენაზეც ხომ ამბობდნენ, ოსმალეთში გაასწრო დვენასო).

ისიც უნდა ითქვას, რომ, ჩვენი დღევანდელი პრობლემებიდან გამომდინარე, ქართველ მკითხველს, შესაძლოა, არ ესიამოვნოს, რომ ჯულიანო და მისი მომხრეები პირწავარდნილი სეპარატისტები არიან — ისინი სიცილიის იტალიისაგან გამოსაყოფად და, მეტიც, ამერიკის შტატად ქცევისთვის იბრძოდნენ.

ჯულიანო ძალიან პოპულარული გახადეს ჟურნალისტებმა და არა მხოლოდ სიცილიაში — ამერიკული გაზეთებისა თუ ჟურნალების პირველ გვერდებს ხშირად ამშვენებდა მისი ფოტო. „ამშვენებდა“ მხოლოდ „სიტყვის მასალად“ არ მითქვამს, გარეგნული მონაცემებიც ხელს უწყობდა, რომ „სახალხო გმირი“ ყოფილიყო. შემთხვევითი არ არის, რომ, როდესაც წიგნის გამოსვლიდან სამ წელიწადში პოლიუდში მაიკლ ჩიმინომ („ირმებზე მონადირის“ ავტორმა) ფილმი გადაიღო, მთავარი როლი მსოფლიო კინოს ერთ-ერთმა სექს-სიმბოლომ, ქრისტოფერ ლამბერტმა ითამაშა.

მაინც, რა იყო პიუზოს წიგნების წარმატების საიდუმლო? ის, რომ პიუზო კარგი მთხრობელია? ასეთი ბევრია; ის, რომ თემას ახლოს იცნობდა და მის რომანებში ცხოვრებისეული სიმართლეა? არც ეს არის მართალი — თვითონ აღიარა მოგვიანებით, ცოცხალი განგსტერი არც მინახავსო (საოცარია, მაგრამ დონ კორლეონეს პროტოტიპადაც საკუთარი დედა ჰყავდა წარმოდგენილი — ქალი, რომელიც მანჰეტენის „ჯოჯოხეთის სამზარეულოდ“ სახელდებულ უბანში ყველანაირად ცდილობდა, რომ ოჯახი დაეცვა შიმშილისა თუ სხვა გაჭირვებისაგან).

ღიას, უცნაურია... წავიკითხოთ „სიცილიელი“, იქნებ, ჩვენ გავცეთ პასუხი ამ კითხვას.

ზვიად გურული

წიგნი I

მაიკლ კორლეონე

1950

თავი 1

მაიკლ კორლეონე პალერმოს პორტის გრძელ ფიცრულ მისადგომზე იდგა და ამერიკისკენ მიმავალ ოკეანის დიდ ლაინერს გაჰყურებდა. თვითონაც ამ გემით აპირებდა გამგზავრებას, მაგრამ ბოლო წუთებში მამისაგან ახალი მითითებები მიიღო.

ხელი დაუქნია პატარა სათევზაო ნავში მსხდომ ადამიანებს, პორტში რომ მოიყვანეს, ხოლო მანამდე კი რამდენიმე წლის განმავლობაში პატრონობდნენ. ნავი ლაინერის თეთრ კილვატერს გამბედავად მიჰყვებოდა დედის კვალზე მოცურავე ერთი ციდა იხვის ჭუჭყულივით. ნავიდანაც ხელი დაუქნიეს. მაიკლი ამ ადამიანებს აღარასოდეს შეხვდებოდა.

პორტში კეპიანი და ჯვალოსტანისამოსიანი მტკვირთაუები ირუოდნენ, სხვა გემებს ცლიდნენ და გრძელ მისადგომზე ჩამწკრივებულ სატვირთო მანქანებზე აწყობდნენ. დაბალი, ძარღვმაგარი კაცები იყვნენ, არაბებს უფრო ჰგავდნენ, ვიდრე იტალიელებს, ქუდები სახეზე ჰქონდათ ჩამოფხატული. სწორედ მათ შორის უნდა ყოფილიყო მაიკლის ახალი დაცვა, რომელიც შეუმჩნევლად გაჰყვებოდა უკან და ყოველგვარ ხიფათს აარიდებდა, ვიდრე იგი დონ კროჩე მალოს შეხვდებოდა — „მეგობართა მეგობრების“ Capo di Capi-ს, როგორც სიცილიაზე ამბობდნენ ხოლმე. გაზეთებიც და მთელი გარე სამყაროც მათ წრეს მაფიას უწოდებდნენ, მაგრამ არც ერთ რიგით

სიცილიელს არასოდეს დასცდენია სიტყვა „მაფია“, არც დონ კროჩეს მოიხსენიებდა ვინმე Capo di Capi¹-დ, მას მხოლოდ და მხოლოდ „კეთილ სულს“ უწოდებდნენ.

სიცილიაზე დევნილობის ორი წლის განმავლობაში მაიკლს ბევრი რამ სმენია დონ კროჩეს შესახებ, ზოგი რამ — ისეთი დაუჯერებელი, რომ ამგვარი კაცის არსებობაში ეჭვიც კი შეეპარა. მაგრამ მამისაგან უზუსტესი ინსტრუქცია მიიღო: ნაბრძანები ჰქონდა, დღესვე სადილად სწვეოდა დონ კროჩეს. იმის შესახებ უნდა მოეთათბირებინათ, საერთო ძალებით როგორ გაეპარებინათ სიცილიიდან ქვეყნის უდიდესი ბანდიტი, სალვატორე ჯულიანო. მაიკლ კორლეონეს ჯულიანოს გარეშე სიცილიის დატოვება ეკრძალებოდა.

პირსის ბოლოს, ორმოცდაათიოდე იარდის მოშორებით, ვიწრო შესახვევში ვეება შავი მანქანა ეყენა. მის წინ სამი მამაკაცი იდგა — მუქ მართკუთხედებად წამოჭიმულიყვნენ განათებული ქუჩის ფონზე, მზიდან ჩამოშვებულ ოქროს კედელს რომ წააგავდა. მაიკლი მათი მიმართულებით გაემართა. წუთით შეყოვნდა, სიგარეტს მოუკიდა და ქალაქს გადახედა.

პალერმო ჩამქრალი ვულკანის კრატერისაგან წარმოქმნილ ტაფობში გაწოლილიყო, სამი მხრიდან გარს მთები ადგა, მეოთხე მხარეს კი ხმელთაშუა ზღვის თვალისმომჭრელ სილურჯეში გადადიოდა. ქალაქი სიცილიის მარადიული მზის ოქროს სხივებში ბრდღვრიალებდა. მიწა სინათლის წითელი ვენებით იყო დასერილი, თითქოს, მზეს ზედაპირზე გამოეტანა სიცილიის ნიადაგში საუკუნეთა მანძილზე ჩაღვრილი სისხლი. ოქროსფერ სხივებში ბანაობდნენ ბერძნული ტაძრის თეთრი სვეტები, ობობასებრი მინარეთები, ესპანური ტაძრების დახუნძლული ფასადები. შორეული ფერდობიდან პირქუშად იცქირებოდა ნორმანთა ძველი ციხესიმაგრე — იმ უღმობელ მეომართა დანატოვარი, ქრისტეს დაბადებამდე დიდი ხნით ადრე სიცილიაზე რომ ბატონობდნენ. მის გალავანს მიღმა აღმართულ კონუსურ მთებს მომგუდავ ალყაში მოემწყვდიათ ქალივით განაზებული ქალაქი, თითქოს, ყელზე მარყუჟი წაუჭირეს და დახრჩობას უპირებენო. მალლა კი, ლაჟვარდოვან ცაში, უთვალავი ქორის ციციქნა წითელი ფიგურა დანაჯარდობდა.

¹ (იტალ.) „უფროსთა უფროსი“, ასე უწოდებენ მაფიის თავკაცს.

მაიკლი იმ სამ კაცს მიუახლოვდა, პირსის ბოლოს რომ ელოდებოდნენ. შავი მართკუთხედებიდან თანდათან სახეები და სხეულის ნაწილები გამოიკვეთა. ყოველ ნაბიჯზე სულ უფრო მკაფიოდ ხედავდა. ისინიც თანდათან განზე გადგნენ, რომ მისალმებოდა და გარს შემოხვეოდნენ.

სამივე კაცმა იცოდა მაიკლის ამბავი. იცოდნენ, იმ დიდი დონ კორლეონეს, ნათლიის, უმცროსი ვაჟი რომ იყო, ვისი ძალაუფლებაც ამერიკიდან სიცილიაზეც კი ვრცელდებოდა. იცოდნენ, რომ, როდესაც მაიკლი კორლეონეს იმპერიის მტერს უსწორდებოდა, ქალაქ ნიუ-იორკის მაღალჩინოსანი პოლიციელი შემოაკვდა; რომ მას მერე აქ, სიცილიაზე, იმალებოდა; ხოლო, როცა ეს საქმე, როგორც იქნა, „მოგვარდა“, კორლეონეს ოჯახის გვირგვინოსანი მემკვიდრის ადგილის დასამკვიდრებლად შინ ბრუნდებოდა. სამივე მაიკლის სწრაფ, მსუბუქ მოძრაობებს აკვირდებოდა, მის გაფაციცებულ სიმშვიდეს და სახეზე იმ კაცის გამომეტყველებას, ვინც ტანჯვას და ხიფათს შეეჩვია. მაიკლ კორლეონე უდავოდ მოწიწებას იმსახურებდა.

პირსიდან გადმოსულ მაიკლს პირველად ფართხუნა ანაფორაში გამოწყობილი სასულიერო პირი მიესალმა, თავზე დამურას ფრთების მსგავსი გაქონილი ქუდით. მსუქანი სახის ქვეშ მღვდლის თეთრ საყელოზე სიცილიის ჟღალი მტვერი ეყარა.

ეს მამა ბენჯამინო მალე, დიდი დონ კროჩეს ძმა, იყო. თავი მუდამ მდაბლად და თვინიერად ეჭირა, თუმცა თავისი სახელოვანი ნათესავის ერთგული იყო და სულაც არ უფრთხოდა იმას, რომ სატანა გულში ჰყავდა ჩაკრული. ბოროტი ენები იმასაც კი ჩურჩულებდნენ, რომ მას აღსარებაზე მოსმენილი საიდუმლოებები დონ კროჩესთან მიჰქონდა.

მამა ბენჯამინომ მაიკლს ნერვიულად გაუღიმა და ხელი ჩამოართვა. მაიკლის გულკეთილი ცალყბა ღიმილი რომ დაინახა, გულზე მოეშვა. სახელგანთქმული მკვლელის ვაჟისაგან სხვაგვარ შეხვედრას მოელოდა.

მეორე კაცი ნაკლებად გულითადი, თუმცა საკმაოდ თავაზიანი იყო. სიცილიის უსაფრთხოების პოლიციის უფროსი, ინსპექტორი ფედერიკო ველარდი სამიდან ერთადერთი გახლდათ, ვინც მაიკლს გაბადრული არ დახვედრია. სახელმწიფო სამსახურში მყოფი ადა-

მიანისათვის მეტისმეტად ნატიფად ჩაცმულ ამ ტანხმელ კაცს ცისფერი თვალების გამჭოლ მზერაში დამპყრობ ნორმანთა ძველი მტრობა უკრთოდა. ინსპექტორი ველარდი არ იზიარებდა სიმპათიას იმ ამერიკელისადმი, რომელმაც მაღალჩინოსანი პოლიციელი სიცოცხლეს გამოასალმა. ვაითუ, სიცილიაშიც იგივე ოინი მოაწყოს? ველარდის ხელის ჩამორთმევა ხმლის პირის შეხებას უფრო ჰგავდა.

მესამე დამხვედრი სხვებთან შედარებით უფრო მაღალი და ჩასკვნილი იყო. მან მაიკლის ხელი ჯერ ორივე ხელისგულს შორის მოიქცია, შემდეგ მეგობრულად ჩაიკრა გულში.

— ძმარ მაიკლ, — უთხრა მან, — კუთილი იყოს შენი ჩამობრძანება პალერმოში, — შემდეგ უკან დაიხია და მაიკლს ალერსიანი, თუმცა დაღლილი მზერა შეაუღო, — მე სტეფან ანდოლინი ვარ, მამაშენი და მე ერთად გავიზარდეთ კორლეონეში. პატარა რომ იყავი, ამერიკაში გნახე. გახსოვარ?

მაიკლს ის მართლაც ახსოვდა, რადგან სტეფან ანდოლინი სიცილიელისათვის დიდ იშვიათობას წარმოადგენდა — წითური თმა ჰქონდა. ეს მისთვის ნამდვილი ჯვარი გახლდათ, რადგანაც სიცილიელებს სწამთ, რომ იუდა ისკარიოტელი წითური იყო. სტეფანს სახეც დაუვიწყარი ჰქონდა: ვეებერთულა უსწორმასწორო პირი, უმი ხორცივით წითელი სქელი ტუჩები, აჯაგრული ნესტოები, ღრმად ჩასმული თვალები. როცა იღიმოდა, მისი სახის შემხედვარეს გაგაჟრჟოლებდათ.

მაიკლს მღვდლის იქ ყოფნა არ გაჰკვირვებია, ინსპექტორმა კი საგონებელში ჩააგდო. ანდოლინიმ საკუთარ თავზე ნათესაური პასუხისმგებლობა აიღო და მაიკლს ინსპექტორის მოვალეობა განუმარტა. მაიკლმა დუნედ გაიკვირვა. რას აკეთებდა აქ ეს კაცი? ველარდი სალვატორე ჯულიანოს ერთ-ერთი ყველაზე უღმობელი მღვდარი იყო. აშკარად ეცა თვალში ისიც, რომ ინსპექტორსა და სტეფან ანდოლინის ერთურთი სძულდათ. ერთმანეთს ისე ხაზგასმული თავაზიანობით ეპყრობოდნენ, გვეგონებოდათ, დუელისათვის ემზადებიანო.

მძლოლმა მანქანის კარი გაუღო. მამა ბენჯამინომ და სტეფან ანდოლინიმ მაიკლი უკანა საუარძელში ჩასვეს. მამა ბენჯამინომ ქრისტიანული თვინიერებით შესთავაზა ფანჯარასთან დაჯდომა,

აქაოდა, პალერმოს სილამაზე უნდა ნახოთო, თვითონ კი შუაში ჩაჯდა. ანდოლინიმ მეორე ფანჯარასთან დაიკაფა ადგილი. ინსპექტორს უკვე მოესწრო მძლოლის გვერდით ჩაჯდომა. მაიკლმა შენიშნა, რომ ინსპექტორს კარის სახელურზე ხელი ისე ედო, რომ საჭიროების შემთხვევაში სწრაფად გაეღო. იქვე გაუელვა გონებაში აზრმა: მამა ბენჯამინომ იმიტომ ხომ არ აირჩია შუა ადგილი, რომ სროლის შემთხვევაში ნაკლებად დაშავებულიყო?

მანქანა შავი ურჩხულივით ნელა მისრიალებდა პალერმოს ქუჩებში. ქუჩის გასწვრივ მაკრიტანული სტილის კოხტა სახლები, ბერძნული მასიურსვეტებიანი შენობები და ესპანური ტაძრები ჩამწკრივებულიყო. ღია ცისფერ, თეთრ ან ყვითელ სახლებს ყვავილებით გაწყობილი აივნები ამშვენებდა, გამვლელთა თავზე კიდევ ერთ ქუჩას რომ ქმნიდა. ქალაქი, მართლაც, მშვენიერი შესახედი იქნებოდა, რომ არა ყოველ კუთხეში მდგარი იარაღმომარჯვებული კარაბინერები, ქუჩას ფხიზლად რომ დარაჯობდნენ. აივნებიც პოლიციელებით იყო სავსე.

მათი მანქანის გვერდით სხვა ტრანსპორტი ჯუჯებს წააგავდა, განსაკუთრებით — გლეხების ჯორებშებმული ოთხთვალები, რომლებსაც სოფლიდან ახალმოკრეფილი ხილ-ბოსტნეული მოჰქონდა. ეს ოთხთვალებიც მთლიანად, ბორბლებიან-ხელნიანად, ხასხასა ფერებით იყო მოხატული — ბევრი მათგანის ფერდებზე სიცილიური ფოლკლორის ძველისძველი გმირების, კარლოს დიდისა და როლანის, უკვდავსაყოფად რომანტიკული სცენები, გვირგვინოსანი მეფეები და აბჯარასხმული რაინდები გამოესახათ. თუმცა, ზოგიერთ ოთხთვალაზე ხავერდის შარვალსა და უმკლავებო თეთრ პერანგში გამოწყობილი, ქამარში დამბაჩაგაყრილი კოხტა ჭაბუკის გამოსახულების ქვეშ მაიკლმა დანის წვერით ამოკაწრული წარწერა შენიშნა, რომლის დასასრულს წითელი ასომთავრული ასოებით „ჯულიანო“ ეწერა.

სიცილიაზე მალვის პერიოდში მაიკლს სალვატორე ჯულიანოს შესახებ უამრავი რამ სმენოდა. მისი სახელი გამუდმებით ფიგურირებდა გაზეთებში. ადამიანებიც სულ მასზე ლაპარაკობდნენ, მაიკლს საცოლვე აპოლონია გამოუტყდა, ყოველ დამით ჯულიანოს კეთილდღეობისათვის ვლოცულობო. ასე იქცეოდა ყველა სიცილიელი ბავშვი და ახალგაზრდა. ჯულიანო უბრალო ხალხის შვი-

ლი იყო, მათი ძმა და, ამაყდროულად, მათი იდეალიც. ჯერ სრულებით ახალგაზრდა იყო, ოც წელს გადაცილებული, მაგრამ უკვე დაემკვიდრებინა გმირი მებრძოლის სახელი, რადგან მასზე დაგეშილ კარაბინერთა რაზმებს უშიშრად უმკლავდებოდა. ლამაზი იყო და, თანაც, გულუხვი — ძარცვით მოპოვებული სიმდიდრის დიდ ნაწილს გაჭირვებულებს ურიგებდა. არც სათნოება აკლდა: მისი ბანდიტები ქალებსა და მღვდლებს არასოდეს შეურაცხყოფდნენ. ვიდრე ჯაშუშს ან მოღალატეს დასჯიდა, მუდამ აცლიდა ხოლმე ლოცვას, რათა განწმენდილი სულით წარმდგარიყო იმქვეყნიური ხელისუფლების წინაშე. ყოველივე ეს მაიკლმა საგანგებო ინსტრუქციების გარეშეც იცოდა.

მთავარი ქუჩიდან რომ გადაუხვიეს, მაიკლს შავწარწერიანი დიდი პლაკატი ეცა თვალში. ზედა სტრიქონში „ჯულიანოს“ ამოკითხვა მოასწრო. მამა ბენჯამინომ ფანჯარაში გაიხედა და შენიშნა:

— ეს ჯულიანოს ერთ-ერთი პროკლამაციაა. მიუხედავად ყველაფრისა, ის ღამდამობით მაინც აკონტროლებს პალერმოს.

— რა წერია? — იკითხა მაიკლმა.

— ჯულიანო ნებას რთავს პალერმოს მოსახლეობას, ძველებურად ისარგებლოს ტრამვაით, — უპასუხა მამა ბენჯამინომ.

— ნებას რთავს? — გაელიმა მაიკლს, — ბანდიტი?

მანქანის მეორე მხარეს მჯდომმა სტეფან ანდოლინიმ გადაიხარხარა:

— კარაბინერები ტრამვაით მგზავრობენ, ჯულიანო კი მათ აფეთქებს. ამიტომაც გააფრთხილა ქალაქელები, ტრამვაიში არ ჩამსხდარიყვნენ. ახლა კი დაჰპირდა, რომ ტრამვაის აღარ ესროდა.

— რისთვის დასჭირდა ჯულიანოს პოლიციელებით საუსე ტრამვაების დაცხრილვა? — ცივად იკითხა მაიკლმა.

ინსპექტორი ველარდი მაიკლს მიუბრუნდა და ცისფერი თვალები შეანათა:

— რომის ხელისუფლება იმდენად სულელი აღმოჩნდა, რომ ჯულიანოს მშობლები დაუპატიმრა ცნობილ კრიმინალთან, მათ საკუთარ ვაჟთან ურთიერთობის გამო. რესპუბლიკაში ფაშისტური კანონები ჯერაც არ გაუქმებულა.

მამა ბენჯამინომ მშვიდი ღირსებით წარმოთქვა:

— ჩემმა ძმამ, დონ კროჩემ, მათ გათავისუფლებაზე იზრუნა. ვერ

წარმოიდგენთ, რომში მიღებული გადაწყვეტილებები როგორ აბრა-
ზებს.

დმერთო, ეს რა მესმის! — გაიფიქრა მაიკლმა. დონ კროჩე რომს
უბრაზდება? მაინც რას წარმოადგენს დონ კროჩე, გარდა იმისა,
რომ მაფიის ერთ-ერთი ბობოლაა?

მანქანა მთელ კვარტალზე გაჭიმული ვარდისფერი შენობის
წინ გაჩერდა. მის თითოეულ კუთხეს ცისფერი კოშკურა ამკობ-
და. შესასვლელის თავზე მწვანედ დაზოლილ ფართო ფანჩატურს
დიდი ასოებით ეწერა: „სასტუმრო უმბერტო“. კარს აქეთ-იქიდან
ოქროსფერლილებიან კოსტიუმებში გამოწყობილი კარისკაცები
დარაჯობდნენ. მაგრამ ამ ბრწყინვალეობამ მაიკლი ვერ დააბრმავა.

მან სასტუმროს წინ გაწოლილ ქუჩას გაწაფული თვალი შეაულო.
სულ ცოტა, ათი დაცვის მუშაკი მაინც შენიშნა: ზოგი წყვილ-წყვი-
ლად დასეირნობდა, ზოგიც მოაჯირს დაყრდნობოდა. ეს ადამიანები
სულაც არ ცდილობდნენ თავიანთი მოვალეობის შენიღბვას. შეხსნილ
ქურთუკებქვეშ ყველას იარაღი მოუჩანდა. ორი მათგანი მაიკლს მან-
ქანიდან გადმოსვლისას წინ აეფარა, წამით გზა გადაუღობა და გულ-
დასმით შეათვალიერა, თითქოს, სამარეს უზომავენო. ინსპექტორ ვე-
ლარდისა და დანარჩენებისათვის დაცვას ყურადღება არ მიუქცევია.

სასტუმროში რომ შევიდნენ, კარისკაცებმა მათ ზურგს უკან
კარი ჩაკეტეს. ჰოლში კიდევ ოთხი გუშაგი დახვდათ, რომლებიც
გრძელ დერეფანში შეუძღვნენ. ამ კაცებს თავი ისე ამაყად ეჭირათ,
იმპერატორის სასახლის მსახურები გეგონებოდათ.

დერეფანი ორმაგი მასიური მუხის კარით მთავრდებოდა. მაღალ,
ტახტისებრ სავარძელში მჯდომი კაცი ფეხზე წამოდგა და კარი
ბრინჯაოს გასაღებით გახსნა. სტუმრებს თავს რომ უკრავდა, მამა
ბენჯამინოს იდუმალი ღიმილით გაუღიმა.

კარს მიღმა ოთახების დიდებული ანფილადა იშლებოდა. ფრან-
გულ ფანჯრებში ლიმონის ხეებით დაბურული, მოვლილი ბაღი
მოჩანდა. ლუქსის შესასვლელშივე კიდევ ორი ადამიანი დახვდათ.
მაიკლმა გაიკვირვა, დონ კროჩეს ასეთი დაცვა რაში სჭირდებაო:
ის ხომ ჯულიანოს მეგობარი იყო, რომში იუსტიციის მინისტრსაც
ახლოს იცნობდა და, ამდენად, არც იმ კარაბინერების ეშინოდა, პა-
ლერმო რომ გაეხსოთ. მაშ, რას ან, უფრო სწორად, ვის უფროთხოდა
დიდი დონი? ვინ იყვნენ მისი მტრები?

ნომერში იტალიისათვის საკმაოდ უჩვეულო ავეჯი იდგა — გიგანტური საუარძლები, მომცრო ხომალდის მსგავსი ტახტები და მასიური მარმარილოს მაგიდები მუზეუმიდან მოპარულს ჰგავდა. როგორც იქვე გაირკვა, ეს ყველაფერი სწორედაც შეეფერებოდა მასპინძელს, რომელიც ბალიდან სტუმრების დასახვედრად შემოვიდა.

მან მაიკლ კორლეონეს გულში ჩასაკრავად მკლავები გაუშალა. როცა ფეხზე იდგა, დონ კროჩე სიგანეში თითქმის იმხელა იყო, რაც სიმაღლეში. შეჭალარაფებული, ხვეული და უხვი თმა გულდაგულ ჰქონდა დაფარცხნილი და ლომის ფაფარივით ადგა თავზე. ხვლიკის მუქი თვალები ქიშმიშის მარცვლებს მიუგავდა, ხოლო ყვრიძალები — წითელი ხისგან გამოკვეთილი გეგონებოდათ. ტურები ნატოფი ჰქონდა, ზედა ტურის თხელი უღვაში მიუყვებოდა. ამ სახეს სქელი და, მართლაც, მეფური ცხვირი აგვირგვინებდა.

თუმცა მეფური მხოლოდ თავი ჰქონდა, ტანი კი — გლეხის. უკიდვანო ფერდებზე ცუდად მორგებული შარვალი განიერ თეთრ აჭიმებს ეჭირა. ახლად გაქათქათებული, თუმცა გასაუთოებელი განიერი პერანგი ეცვა. არც ჰალსტუხი ეკეთა, არც ქურთუკი ეცვა და მარმარილოს იატაკზე შიშველი ტერფებით დააბიჯებდა.

იმ კაცს სულაც არ ჰგავდა, ვისაც პალერმოს ყველა კომერციულ წამოწყებაში ერია ხელი, და ისიც ძნელი დასაჯერებელი იყო, რომ მისი წყალობით ათასიოდე ადამიანი გამოესალმა სიცოცხლეს. არადა, ეს კაცი დასავლეთ სიცილიას რომის ხელისუფლებაზე ბევრად უფრო მძლავრად მართავდა. თანაც, სიცილიის ყველა მემამულეზე, ბარონსა და ჰერცოგზე უფრო მდიდარი იყო.

მასპინძელმა მაიკლი წამიერად, მსუბუქად ჩაიკრა გულში და წარმოთქვა:

— მამაშენს ბიჭობაში ვიცნობდი. მოხარული ვარ, რომ ასეთი შესანიშნავი ვაჟი ჰყოლია.

შემდეგ ჰკითხა, თუ როგორ იმგზავრა და ამწუთას რას ისურვებდა. მაიკლმა ღიმილით უპასუხა, ერთ ნამცეც პურსა და ერთ ყლუპ ღვინოზე უარს არ ვიტყვოდიო. მაშინ დონ კროჩე სტუმარს ბაღში გაუძღვა, რადგან, ყველა სიცილიელის მსგავსად, ისიც, როცა კი შეეძლო, მუდამ ღია ცის ქვეშ სადილობდა.

ღიმილის ხის ძირში სუფრა იყო გაშლილი. მაიკლს თვალი

მოსჭრა გაპრიალელებმა მინამ და ტილოს სიქათქათემ. მსახურებმა ბამბუკის სავარძლები გამოუწიეს. სამოც წელს გადაცილებულმა დონ კროჩემ თავისი ასაკისათვის მოულოდნელად მსუბუქი შესტეებით მიუთითა ახალმოსულებს, ვინ სად დამჯდარიყო. მაიკლი მარჯვენა მხრიდან მოისვა გვერდით, ანაფორიანი ძმა კი — მარცხნიდან. ინსპექტორი ველარდი და სტეფან ანდოლინი მოპირდაპირე მხარეს დასვა და ორივეს ცივი მზერა შეაფლო.

სიცილიელები კარგი მჭამელები არიან, თუკი საჭმელი მოეძევათ, და ერთადერთი ხუმრობა, რის უფლებასაც ხალხი დონ კროჩესთან დაკავშირებით ბედავდა, სწორედ საჭმელს ეხებოდა: ამბობდნენ, დონ კროჩეს კარგი სადილი მტრის მოკვლასაც კი ურჩევნიაო. ახლა ის მტკნარი სახით იჯდა სუფრასთან და დანაჩანგლით ხელში ელოდა, მსახურები კერძებს როდის გამოიტანდნენ. მაიკლმა ბაღს გადახედა. გარს ქვის მაღალი გალავანი ერტყა, სხვადასხვა მხარეს ათიოდე გუშაგი გაფანტულიყო, ისინიც თავთავიანთ პატარა მაგიდებს უსხდნენ, თითო მაგიდასთან — ორ-ორი კაცი, დონ კროჩესა და მისი სტუმრებისაგან საპატიო დისტანციაზე. ბაღს ლიმონისა და ზეთისხილის სურნელი ავსებდა.

დონ კროჩე თვითონ ემსახურებოდა მაიკლს — თუფშზე შემწვარი ქათმის ხორცი და კარტოფილი გადმოუღო; თვალყურს ადევნებდა, რომ სტუმარს თუფშზე სპაგეტი და გახეხილი ყველი არ მოჰკლებოდა და ჭიქას დროდადრო დაბინდული თეთრი ღვინით უვსებდა. ყოველივე ამას ისეთი გულწრფელი გზნებით აკეთებდა, რომ ცხადი იყო, რა დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა ახალშეძენილი მეგობრის მადასა და სასმლისადმი დამოკიდებულებას. მაიკლი მართლაც მშიერი იყო, გამთენიის შემდეგ არაფერი ეჭამა და დონიც ძლივს ასწრებდა მისი თუფშის შევსებას, თან სხვა სტუმრების თუფშებსაც ფხიზლად აკვირდებოდა და, როცა საჭიროდ მიიჩნევდა, მსახურებს ანიშნებდა, მათთვის კერძი შეეთავაზებინათ, ანდა ღვინო დაესხათ.

როგორც იქნა, სადილს მორჩნენ. დონი ესპრესოს წრუპავდა. ჩანდა, რომ საქმეზე გადასვლის დროც დამდგარიყო.

— მაშ, ჩვენს მეგობარ ჯულიანოს ხელს შეუწყობთ, ამერიკაში გაქცევა რომ შეძლოს, — მიმართა მან მაიკლს.

— სწორედ ეს მაქვს ნაბრძანები, — მიუგო მაიკლმა, — ჯულიანო ყოველგვარი დაბრკოლების გარეშე უნდა ჩავიდეს ამერიკაში.

დონ კროჩემ თავი დაუქნია. ჭარხლისფერ ხორციან სახეზე კეთილი ღიმილი დასთამაშებდა. მაღალი მთრთოლავი ტენორით საუბრობდა, მის სახესა და აგებულებას სრულებით რომ არ შეეფერებოდა:

— მე და მამათქვენი ყველაფრის შესახებ მოვრიგდით, სალვატორე ჯულიანო მე უნდა გადმომეცა თქვენთვის. მაგრამ ცხოვრებაში უხარვეზოდ არაფერი ხდება, მუდამ გამოჩნდება რაღაც მოულოდნელი. ჩემი მოვალეობის შესრულება შეუძლებელი გახდა, — დონმა მაიკლს ხელის აწევით ანიშნა, სიტყვას ნუ შემაწყვეტინებო, — ჩემ გამო არა. მე არ შევცვლილვარ. მაგრამ ჯულიანო აღარავის ენდობა. აღარც მე მენდობა, თუმცა წლების განმავლობაში, ლამის იმ დღიდან, რაც ბანდიტი გახდა, პარტნიორები ვიყავით და მუდამ ზურგს ვუმაგრებდი. სწორედ ჩემი დამსახურებაა, დღეს რომ სიცილიის უდიდეს ადამიანად თვლიან, არადა, ჯერ ოცდაშვიდი წლის ღლაპია. მაგრამ ეს დრო წარსულს ჩაჰბარდა. ხუთი ათასი იტალიელი ჯარისკაცი და საველე პოლიცია მთების ყოველ გოჯს ჩხრეკს. და, მიუხედავად ამისა, უარზეა და არ მეკარება.

— თუკი ასეა, ვერაფრით დავეხმარები, — თქვა მაიკლმა, — ნაბრძანები მაქვს, შვიდ დღეში დავბრუნდე ამერიკაში.

ამას რომ ამბობდა, გაიფიქრა, ნეტავ მამა ჯულიანოს გაქცევას ასეთ დიდ მნიშვნელობას რატომ ანიჭებსო. ამდენი წლის ხეტიალის შემდეგ მაიკლს ერთი სული ჰქონდა, შინ როდის დაბრუნდებოდა. მამის ჯანმრთელობა აღელვებდა. როდესაც მაიკლი ამერიკას ტოვებდა, მამა სახიფათო ჭრილობით იწვა საავადმყოფოში. მისი გაქცევის შემდეგ მოკლეს უფროსი ძმა სანი. კორლეონეს ოჯახი „ნიუ-იორკის ხუთ ოჯახს“ უსასტიკესად ებრძოდა. ეს სისასტიკე ამერიკიდან სიცილიასაც გადასწვდა და მაიკლის ახალგაზრდა საცოლუ იმსხვერპლა. მართალია, ხნიერმა დონმა მაცნეების პირით შეატყობინა, რომ ჭრილობები მოუშუშდა, „ხუთ ოჯახთანაც“ ზავი დადო და მაიკლის დაბრუნებისათვის ყველაფერი მოამზადა, მაგრამ მაიკლმა იცოდა, მამა მის დაბრუნებას იმიტომ ელოდა, რომ სურდა, თავის მარჯვენა ხელად გაეხადა. იცოდა, რომ მისი ჩამოსვლა ყველას ააფორიაქებდა: მის დას, კონის, მის ძმას, ფრედის, მის ნაშვილებ ძმას, ტომ ჰაგენსა და, რაღა თქმა უნდა, საბრალო დედას, რომელიც, ალბათ, ჯერაც გლოვობდა სანის და-

ლუპვას. მაიკლმა გაკვრით გაიფიქრა, ნეტავ, ორწლიანი არყოფნის შემდეგ ქეის თუ ვეხსომებიო. მაგრამ მთავარი ახლა ეს იყო: მამამ მისი დაბრუნების ვადა რატომ გადადო? ამის მიზეზი შეიძლებოდა მხოლოდ ჯულიანოსთან დაკავშირებული უმნიშვნელოვანესი გარემოებები ყოფილიყო.

უეცრად ინსპექტორ ველარდის ცივი დაჟინებული მზერა იგრძნო. თხელ კეთილშობილ სახეზე ისეთი აღშფოთება გამოესახა, თითქოს მაიკლმა ლაჩრობა გამოამჟღავნა.

— მოთმინება იქონიე, — განაგრძო დონ კროჩემ, — ჩვენი მეგობარი ანდოლინი ჯერ კიდევ ახერხებს ჩემსა და ჯულიანოს ოჯახს შორის მოლაპარაკებების წარმოებას. ყველა ერთად უსათუოდ ვიპოვით გამოსავალს. აქედან რომ გაემგზავრებით, მონტელეპრეში ჯულიანოს დედ-მამას ინახულებ, ეს ტრაპანისკენ გზადაა, — წამით დადუმდა და ისე გაიღიმა, რომ ღიმილმა მისი ყვრიძალების მასა ვერ გააპო, — შენი გეგმების შესახებ ყველაფერი შემატყობინეს, — ეს განსაკუთრებული დატვირთვით წარმოთქვა, მაგრამ მაიკლმა გაიფიქრა, შეუძლებელია, ჩემი ყველა გეგმა იცოდესო. ნათლია არასოდეს არავის უამბობდა მთელ სიმართლეს.

დონ კროჩემ რბილად განაგრძო:

— ყველანი, ვისაც ჯულიანო გვიყვარს, ერთმანეთს ორ რამეში ვეთანხმებით — სიცილიაში აღარ დაედგომება და ერთადერთი გამოსავალი მისი ამერიკაში ემიგრაციაა. ინსპექტორი ველარდიც თანახმაა.

— ეს სიცილიისთვისაც კი მეტისმეტია, — ღიმილით წარმოთქვა მაიკლმა, — ინსპექტორი ხომ უსაფრთხოების პოლიციის ხელმძღვანელია და ფიცი აქვს დადებული, რომ ჯულიანოს დააკავებს.

დონ კროჩემ მოკლე მექანიკური სიცილი ამოუშვა.

— სიცილიას ვინ გაუგებს? არადა, ეს მარტივია. რომს ურჩევნია, ჯულიანო ამერიკაში იყოს და თავი ბედნიერად იგრძნოს, ვიდრე სიცილიის სასამართლოს წინაშე მთავრობას ბრალდებები წაუყენოს. ყველაფერი პოლიტიკას უკავშირდება.

მაიკლი გაოგნდა. აუხსნელმა მღელვარებამ აიტანა. ეს თავდაპირველ გეგმებს სცილდებოდა.

— მაინც რატომ უნდა იყოს ინსპექტორი დაინტერესებული ჯულიანოს გაქცევით? მისი მოკვლა უფრო ნაღდი იქნებოდა.

— სწორედ ასე მოვიქცეოდი, — დაუფარავი ზიზღით მიუგო ველარდიმ, — მაგრამ დონ კროჩეს ის შვილივით უყვარს.

სტეფან ანდოლინიმ ინსპექტორს სიძულვილით შეხედა. მამა ბენჯამინომ ჭიქა მოიყუდა და თვალები დახარა. დონ კროჩემ კი ინსპექტორს მკაცრად მიმართა:

— აქ ყველანი მეგობრები ვართ და მაიკლს სრული სიმართლე უნდა ვუამბოთ. ჯულიანოს ერთი კოზირი აქვს ხელთ: დღიურს აწარმოებს, რომელსაც თავის „ანდერძს“ უწოდებს. მასში აგროვებს იმის საბუთებს, რომ მისი ბანდიტიზმის წლებში რომის ხელისუფლება მას საკუთარი პოლიტიკური ინტერესების გამო ეხმარებოდა. თუ ეს საბუთები გამოქვეყნდა, ქრისტიან-დემოკრატი მთავრობა დაემხობა და იტალიას სოციალისტები და კომუნისტები დაეპატრონებიან. ინსპექტორი ველარდი მეთანხმება, რომ ყველა ღონე უნდა ვიხმაროთ, რათა ეს თავიდან ავიცილოთ. ამიტომაც თანახმაა, ჯულიანო გაიქცეს და „ანდერძიც“ თან გაიყოლოს, ცხადია, იმ პირობით, რომ მას არ გაასაჯაროებს.

— თქვენ თუ გინახავთ ეს „ანდერძი“? — იკითხა მაიკლმა. ნეტავ, ამის შესახებ მამამ თუ იცისო, იფიქრა. შვილთან მსგავსი დოკუმენტი არასოდეს უხსენებია.

— ჩემთვის მისი შინაარსია ცნობილი, — უპასუხა დონ კროჩემ. ინსპექტორმა მწარედ თქვა:

— ჩემი ნება რომ იყოს, ჯულიანოს მოკლავდი და დოკუმენტს არაფრად ჩავაგდებდი.

სტეფან ანდოლინიმ ინსპექტორს ისეთი გამანადგურებელი მზერა ესროლა, რომ მაიკლმა პირველად გაიფიქრა, ეს კაცი თვით დონ კროჩეზე უფრო საშიშიც კი იქნებაო. ანდოლინიმ გამოსცრა:

— ჯულიანო არასოდეს დაგნებდებათ და არც თქვენ ვარგისხართ საიმისოდ, რომ მისნაირ კაცს სამარე გაუთხაროთ. ჯობია, საკუთარ თავს მიხედოთ.

დონ კროჩემ ნელა ასწია ხელი და სუფრასთან დუმილი ჩამოვარდა. სხვებისთვის ყურადღება არ მიუქცევია, ისე მიმართა მაიკლს:

— შესაძლოა, მამაშენისათვის მიცემული პირობა ვერ შევასრულო და ჯულიანოსთან ვერ დაგაკავშირო. ჩემთვის უცნობია, რის გამო ჩაება დონ კორლეონე ამ საქმეში, მაგრამ, გარწმუნებ, საამისო მიზეზი ექნება და ეს მიზეზი, უსათუოდ, კეთილი და საფუძვლიანია.

მაგრამ, აბა, მე რა შემიძლია? დღესვე ესტუმრე ჯულიანოს მშობლებს, დაარწმუნე, რომ მათი ვაჟი უნდა მენდოს მე და ამ ღირსეულ ადამიანებს. სხვათა შორის, ისიც შეახსენე, რომ ციხიდან გამოსვლას მე უნდა მიმადლოდნენ, — დონი წუთით დუმდა, — ამის შემდეგ, იქნებ, მათი შვილის გადარჩენაც შეეძლოთ.

გაქცევისა და მალვის წლებმა მაიკლს საფრთხის ცხოველური ინსტინქტი გამოუშვა. ინსპექტორი ველარდი თავიდანვე არ მოეწონა, სტეფან ანდოლინი აშინებდა, მამა ბენჯამინოს შემხედვარეს ტანში ჟრუანტელი უვლიდა, მაგრამ განგაშის ყველაზე ხმამაღალ სიგნალს მის ტვინს დონ კროჩე უგზავნიდა.

სუფრასთან მსხდომი მამაკაცები, როცა დონ კროჩეს მიმართავდნენ, ხმას დაუწევდნენ — თვით ღვიძლი ძმაც, მამა ბენჯამინოც კი! მისი პასუხის მოლოდინში თავს მოწიწებით ხრიდნენ და საჭმლის ღეჭვასაც კი წყვეტდნენ. მსახურები გარს ისე უვლიდნენ, როგორც პლანეტები მზეს, დაცვა კი უხმოდ მიმოდოდა ბაღში და გაფაციცებით ელოდა მის ნიშანს, ნებისმიერი იქ მყოფი წამში ნაფლეთებად რომ ექცია. მაიკლმა ფრთხილად წარმოთქვა:

— დონ კროჩე, აქ თქვენი სურვილის შესასრულებლად მოვედი.

კმაყოფილმა დონმა ლომის თავი დაუქნია, ნატიფი ხელები მუცელზე შემოიწყო და თავისი ძლიერი ტენორი ააჟღერა:

— ერთმანეთთან სრულიად გულწრფელნი უნდა ვიყოთ. მითხარი, როგორ გეგმავ ჯულიანოს გაპარებას? ისე მესაუბრე, როგორც შვილი მამას.

მაიკლმა ინსპექტორს სწრაფი მზერა ესროლა. სიცილიის უსაფრთხოების პოლიციის ხელმძღვანელის თანდასწრებით გულწრფელად ვერასოდეს ისაუბრებდა. დონ კროჩე წამში მიუხვდა.

— ინსპექტორი ველარდი ჩემს რჩევებს ბოლომდე მიჰყვება. შეგიძლია, მას ისევე ენდო, როგორც მე მენდობი.

მაიკლმა ღვინის ჭიქა ტუჩებთან მიიტანა. ჭიქის ზემოდან ხედავდა, გუშაგები თეატრის მაყურებლებივით როგორ ადევნებდნენ თვალყურს მათს საუბარს. ინსპექტორ ველარდის ცივი ღიმილიც შენიშნა: პოლიციელს დონის ამგვარი დიპლომატიური გამონათქვამიც კი ეხამუშა, რადგან ამით ცალსახად გულისხმობდა, რომ თვითონაც და მთელი მისი სამსახურიც დონს ემორჩილებოდა. სტეფან ანდოლინის მკვლელის სახეზე პირქუში გამომეტყველე-

ბა ეწერა. მამა ბენჯამინო თავდახრილი იჯდა და მაიკლს თვალს არიდებდა. მაიკლმა თუთრი ღვინით სავსე ჭიქა დაცალა. მსახური იმწამსვე მიუახლოვდა და ჭიქა შეუვსო. ბალი ერთბაშად მუქართა და საფრთხით დაიმუხტა.

გუმანით გრძნობდა, რომ დონ კროჩეს ნათქვამი სიმართლე ვერ იქნებოდა. რომელიმე ამ მაგიდასთან მსხდომი რატომ უნდა ენდოს სიცილიის პოლიციის უფროსს? განა თვით ჯულიანო ენდობოდა? სიცილიის მიწა ღალატით იყო გაჟღენთილი, მაიკლმა ეს საკუთარ ბედზე იწვინა; დაღუპული ცოლი მოაგონდა. მაშ, დონ კროჩე ასე გულუბრყვილოდ რატომ იქცეოდა? ან ეს ამდენი დაცვა რად სჭირდებოდა? დონ კროჩე მაფიის თავკაცი იყო. რომთან უძლიერესი კავშირები ჰქონდა და, ფაქტობრივად, სიცილიაზე ხელისუფლების არაოფიციალური წარმომადგენლის როლს ასრულებდა. მაშ, რის შიში შეიძლებოდა ჰქონოდა დონ კროჩეს? მხოლოდ ჯულიანოსი.

დონი დაჟინებით უმზერდა და პასუხს ელოდა. მაიკლი გულწრფელი კილოს შენარჩუნებას შეეცადა.

— ჩემი გეგმა მარტივია — სალვატორე ჯულიანოს ტრაპანიში დაველოდები. თქვენმა ხალხმა იქ უნდა გადმომაბაროს. სწრაფი გემით აფრიკაში გავემგზავრებით. ცხადია, აუცილებელ საბუთებს გაგვიშვადებენ. აფრიკიდან ამერიკაში გადაფრინდებით, სადაც, წინასწარი შეთანხმებით, ფორმალობების გარეშე მიგვიღებენ. იმედი მაქვს, ყველაფერი სწორედ ისე მარტივად ჩაივლის, როგორც მპირდებიან, — მაიკლი წამით დადუმდა, — თუკი თქვენ სხვა გზას არ შემომთავაზებთ.

დონმა ამოიოხრა და ღვინო მოსვა. შემდეგ მაიკლს მიაპყრო მზერა და ნელა და მგზნებარედ ალაპარაკდა:

— სიცილია ტრაგიკული მხარეა. აქ ვერავის ენდობი. არანაირი წესრიგი არ არსებობს. ყველაფერს ძალადობა და ღალატი წყვეტს. ეჭვი შეგატყვე, ჩემო ახალგაზრდა მეგობარო, და მინდა გითხრა, რომ მართალი ხარ. ჯულიანოც ეჭვობს. ერთი რამ უნდა გითხრა: ჩემი მფარველობის გარეშე ტორი ჯულიანო დღემდე ცოცხალი ვერ იქნებოდა. მე და ის შეწყობილად ვმუშაობდით. ახლა კი მტრად დამიგულა. ვერ აგიწერ, ამის გამო გული როგორ მტკივა. ჩემი ოცნებაა, ჯულიანო ოდესმე თავის ოჯახს დაუბრუნდეს და კვლავ სი-

ცილიის გმირად აღიარონ. ის ჭეშმარიტი ქრისტიანი და უშიშარი კაცია. გული კი ისეთი კეთილი აქვს, რომ უკლებლივ ყოველი სიცილიელის სიყვარული დაიმსახურა, — დონ კროჩე შეჩერდა და ჭიქა გამოცალა, — მაგრამ ვითარება მის წინააღმდეგ შეტრიალდა. ახლა ის მარტოა მთაში და ერთ მუჭა ხალხთან ერთად უწევს იტალიის ეროვნული ჯარის ნაწილებთან გამკლავება. ყოველ ნაბიჯზე დალატს აწყდება. ამიტომაც აღარაუვის ენდობა, საკუთარ თავსაც კი. დონმა მაიკლს წუთით გამყინავი შხერა მიაპყრო.

— მინდა სრულიად გულახდილი ვიყო, — თქვა შემდეგ, — ჯულიანო ასე ძალიან რომ არ მიყვარდეს, მშვიდად გირჩევდი, თუმცა მოვალე სულაც არ ვარ, ეს გირჩიო: გეტყოდი, ჯულიანოს თავი დაანებე და ამერიკაში დაბრუნდი-მეთქი. ჩვენ იმ ტრაგედიის ფინალს ვუახლოვდებით, რომელთანაც შენ საერთო არაფერი გაქვს, — დონი წამით დადუმდა და კვლავ ამოიოხრა, — მაგრამ, რაღა თქმა უნდა, რაკი ერთადერთ იმედად შენ გვეგულები, იძულებული ვარ, გთხოვო: დარჩი და დაგვეხმარე. მე ყოველმხრივ შეგიწყობ ხელს. ჯულიანოს არასოდეს მივატოვებ, — დონ კროჩემ ჭიქა ასწია, — ღმერთმა ათასი წელიწადი აცოცხლოს.

ეს სადღეგრძელო ყველამ შესვა, მაიკლი კი დაფიქრდა. მაინც რას სთხოვდა დონი: დარჩენას თუ ჯულიანოს მიტოვებას? სტეფან ანდოლინი ალაპარაკდა:

— როგორც გახსოვთ, ჯულიანოს მშობლებს დაუპირდით, რომ მაიკლი მათ მონტელეპრეში ინახულებდა.

— ნებისმიერ შემთხვევაში, — რბილად თქვა დონმა, — მისი მშობლები უნდა ვანუგეშოთ.

მამა ბენჯამინომ წარმოთქვა ხაზგასმით თავმდაბალი კილოთი, რომლის მიღმაც დაჟინებული ინტერესი იგრძნობოდა:

— იქნებ მათ იცოდნენ რაიმე „ანდერძის“ შესახებ.

დონ კროჩემ ამოიოხრა:

— ჰო, ჯულიანოს „ანდერძი“. მისი წყალობით იმედოვნებს, თავი გადაირჩინოს ან ცოტა ხნით მაინც გაიხანგრძლივოს სიცოცხლე, — მერე უშუალოდ მაიკლს მიმართა: — დაიმახსოვრეთ, რომს ეშინია ამ „ანდერძის“, მე კი არ მეშინია. მის მშობლებს ასე გადაეცით: ქალღმერთს ნაწერს ისტორიის შეცვლა შეუძლია, ცხოვრებისა კი — არა. ცხოვრება სულ სხვა ისტორიაა.

პალერმოდან მონტელეპრომდე მანქანით სულ რაღაც ერთი საათის საგალი აღმოჩნდა. მაგრამ ამ ერთ საათში მაიკლმა და ანდოლინიმ ქალაქის ცივილიზაციიდან სიცილიის პრიმიტიულ სოფლურ ცხოვრებაში ამოყვეს თავი. სტეფან ანდოლინი ციციქნა „ფიატის“ საჭესთან იჯდა. ნაშუადღევის მზეზე გლუვად გაპარსული ჟღალწერტილებიანი ყვრიმალეები ულაპლაპებდა. მანქანას ძალზე ნელა და ფრთხილად ატარებდა, როგორც იმ ადამიანებს სჩვევიათ, ტარება გვიან ასაკში რომ ისწავლეს. „ფიატი“ გაჭირვებით, ქოშინით მიბობლაჟდა მთიანი გზის დაუსრულებელ აღმართზე.

მგზავრები ეროვნული პოლიციის ხუთ საპატრულო პუნქტთან გააჩერეს, თითოეულზე დაჯავშნულ მანქანაში მჯდომი, სულ ცოტა, თორმეტი ავტომატიანი პოლიციელი მაინც დახვდათ. ანდოლინის საბუთების წყალობით ყველგან დაუბრკოლებლად ატარებდნენ.

მაიკლს ის აკვირვებდა, დიდებულ პალერმოსთან ასე ახლოს ასეთი პირველყოფილი, უბრალო სოფლები რომ იყო განლაგებული. გზის პირას დამრეც ფერდობზე აცაბაცად მიფენილი ქვის სახლები მოჩანდა. გლეხებს ფერდობები ვიწრო ტერასებად ექციათ, რომლებზეც გულდაგულ მოვლილი მცენარეები ბიბინებდა. ბორცვის თავებს ეშვებოვით აგვირგვინებდა ხავსსა და ბამბუკის ბუჩქებში სანახევროდ ჩაფლული თეთრი ლოდები, შორიდან ძველისძველ ჩაქცეულ სამარეებს რომ მიაგავდა.

გზის პირას შიგადაშიგ სალოცავები ხვდებოდათ: კლიტედადებული ხის ჯიხურები, რომლებშიც ღვთისმშობლის ანდა რომელიმე წმინდანის ქანდაკება იდგა. ერთ-ერთი ასეთი ქანდაკების წინ მაიკლმა მუხლმოყრილი ქალი შენიშნა, ღვინის ბოთლმოყუდებული მისი ქმარი კი იქვე, მომცრო ოთხთვალაში იჯდა, რომელშიც ვირი იყო შებმული. ვირს თავი ჩაექინდრა და ტანჯული თვალებით იმზირებოდა.

სტეფან ანდოლინი მაიკლისკენ გადაიხარა და მხარზე ხელი მოუსვა:

— გულს მიხარებს შენი ნახვა, ძმაო. იცოდი, ჯულიანოების ოჯახი რომ გვენათესავება?

მაიკლს ეჭვი არ შეჰპარვია, რომ ეს მტკნარი სიცრუე იყო; ჟღალთმიანი მეღაც ძალზე საეჭვოდ იღიმოდა.

— არა, — უპასუხა, — მხოლოდ ის ვიცოდი, რომ მისი მშობლები ამერიკაში მამაჩემთან მუშაობდნენ.

— ისევე, როგორც მე, — გამოეხმაურა ანდოლინი, — ლონგ აილენდზე მამაშენს სახლის აშენებაში ვეხმარებოდით. უფროსი ჯულიანო შესანიშნავი მშენებელი იყო და, თუმცა მამაშენმა ზეთისხილის ბიზნესი შესთავაზა, მაინც თავისი ხელობის ერთგული დარჩა. თვრამეტი წელიწადი ზანგოვით შრომობდა და ურიასავით ზოგავდა ფულს. ამის მერე სიცილიაზე დაბრუნდა და ინგლისელოვით დაიწყო ცხოვრება. მაგრამ ომმა და მუსოლინიმ ლირა გააუფასურეს და ახლა მცირე ნაკვეთისა და სახლის გარდა აღარაფერი აბადია. იმ დღეს წყევლის, როცა ამერიკა დატოვა. მშობლები თავიანთ ბიჭუნას უფლისწულად ზრდიდნენ, ის კი ავაზაკი გახდა.

„ფიატმა“ მტვრის ღრუბელი დააყენა. გზისპირა ბამბუკის დაბურული ბუჩქები იდუმლად და შემზარავად გამოიყურებოდა: მათი ტოტები ცაში აშვერილ ხელებს ჰგავდა. ხეობებში ზეთისხილის ბაღები და ვენახები მოჩანდა. მოულოდნელად ანდოლინიმ თქვა:

— ტორი ჯულიანო ამერიკაში ჩაისახა, — მაიკლის გაოგნებული მზერა რომ შენიშნა, გაიმეორა, — ჰო, ამერიკაში ჩაისახა, მაგრამ სიცილიაზე დაიბადა. ერთი-ორი თვეც რომ მოეთმინათ, ტორი ახლა ამერიკის მოქალაქე იქნებოდა, — წუთით დადუმდა და განაგრძო: — ტორი გამუდმებით ამაზე ლაპარაკობს. როგორ ფიქრობ, შეძლებ მის გაპარებას?

— არ ვიცი, — უპასუხა მაიკლმა, — ინსპექტორსა და დონ კროჩესთან ერთად სადილობის შემდეგ, მართალი გითხრა, აღარაფერი მესმის. უნდათ კი სინამდვილეში ჩემი დახმარება? მამამ შემომითვალა, რომ დახმარებას დონ კროჩე მთხოვს, ინსპექტორი კი არ უხსენებია.

ანდოლინიმ შეთხელებული თმა უკან გადაიწია. გაუცნობიერებლად მიაჭირა ფეხი გაზის პედალს და „ფიატი“ გაორმაგებული სიჩქარით გაქანდა გზაზე.

— ჯულიანო და დონ კროჩე ახლა მტრები არიან, — თქვა შემდეგ, — მაგრამ ჩვენ ყველაფერი მის გარეშე დაუგეგმეთ. ტორისა და მის მშობლებს შენი იმედი აქვთ. მათ იციან, რომ მამაშენს მეგობრისათვის არასოდეს უღალატია.

— შენ თვითონ ვიღას მხარეზე ხარ? — ჰკითხა მაიკლმა.

ანდოლინიმ ოხვრა ამოუშვა.

— მე ჯულიანოს მხარეზე ვიბრძვი. უკანასკნელი ხუთი წლის განმავლობაში თანამებრძოლები ვიყავით, მანამდე კი სიკვდილისაგან გადამარჩინა. მაგრამ, რაკილა სიცილიაზე ვცხოვრობ, დონ კროჩეს ღიად ვერ დაუპირისპირდები. ამიტომაც მათ შორის დანის პირზე დაუდივარ, მაგრამ ჯულიანოს არასოდეს გაეცემ.

მაიკლმა გაიფიქრა: ეს კაცი რა ჯანდაბას ლაპარაკობსო. ნუთუ ერთი ადამიანისაგან მაინც ვერ ეღირსებოდა ცალსახა პასუხს? არა, იმიტომ, რომ ეს სიცილიაა — უთხრა მან საკუთარ თავს. სიცილიელებს სიმართლე აშინებთ. ტირანები და ინკვიზიტორები საუკუნეების განმავლობაში ამ სიმართლეს წამებით სძალავდნენ. საადმსარებლო ჯიხურში ჩასათრებული მღვდელი უმკაცრესად ითხოვდა მათგან სიმართლეს და საუკუნო წარწყმედით ემუქრებოდა. მაგრამ სიმართლე ძალაუფლების წყაროსა და სხვათა მართვის საშუალებას წარმოადგენდა და უსასყიდლოდ არავის სურდა მისი გაცემა.

მაიკლი მიხვდა, რომ დამოუკიდებლად მოუწევდა გამოსავლის ძიება. ხომ არ მიეტოვებინა სულაც ეს საქმე და სასწრაფოდ შინ გამგზავრებულიყო. გრძნობდა, სახიფათო ზონაში რომ შეაბიჯა: ჯულიანოსა და დონ კროჩეს შორის ვენდეტა გაჩაღებულიყო, ხოლო სიცილიური ვენდეტას შუაგულში მოყოლა უეჭველ დაღუპვას ნიშნავდა, რადგან სიცილიელისათვის შურისძიება ერთადერთი სამართალია და მისი აღსრულებისას ის დაუნდობელია. ამ კათოლიკურ კუნძულზე, სადაც ყოველ სახლში ნახავდით თვალცრემლიანი იესოს ქანდაკებას, ქრისტიანული გულმოწყალება სამარცხვინო ლაჩრობად ითვლებოდა.

— ჯულიანო და დონ კროჩე ერთმანეთს რატომ გადაემტერნენ?
— იკითხა მაიკლმა.

— პორტელა დელა ჯინესტრას ტრაგედიის გამო, — უპასუხა ანდოლინიმ, — ეს ორი წლის წინ მოხდა და მას შემდეგ ყველაფერი სამუდამოდ შეიცვალა. ჯულიანო მომხდარში დონ კროჩეს ადანაშაულებს.

უეცრად მანქანა თითქმის ვერტიკალურ დაღმართზე დაეშვა: გზა ფერდობიდან ხეობაში ჩადიოდა. ნორმანთა ციხესიმაგრის ნან-

გრეგებს ჩაუარეს, ცხრა საუკუნის წინათ მიდამოს შიშის ზარს რომ სცემდა, ახლა კი ხვლიკებისა და თითო-ოროლა გზააბნეული თხის თავშესაფრად იყო ქცეული. დაბლობში მაიკლმა მონტელეპრე დაინახა.

ქალაქი ციცაბო მთებს შორის ჭაში ჩაკიდებული სათლივით ჩამალულიყო. აბსოლუტურად სწორი წრიული ფორმა ჰქონდა, ამ მრგვალ ზღვარს ერთი სახლიც კი არ სცილდებოდა. ჩამავალ მზეს მათი კედლები მეწამული ცეცხლით შეეღება. „ფიატი“ ქვემოთ ჩამავალ, მიხვეულ-მოხვეულ ვიწრო გზას მიჰყვებოდა. ანდოლინიმ კარაბინერთა საგუშაგო პოსტთან დაამუხრუჭა. წესრიგის ერთ-ერთმა დამცველმა ხელკეტის აქნევით ანიშნა, მანქანიდან გადმოსულიყვნენ.

მაიკლი უყურებდა, როგორ უჩვენებდა ანდოლინი პოლიციელს თავის საბუთებს. თვალი მოჰკრა საგანგებო წითელჩარჩოიან პასპორტს, რომელიც, როგორც იცოდა, მხოლოდ რომში, იუსტიციის სამინისტროს მიერ გაიცემოდა. ზუსტად ასეთი ჰქონდა თვითონაც და, მითითების თანახმად, მხოლოდ უკიდურეს შემთხვევაში უნდა გამოეყენებინა. ანდოლინის საიდანღა ჰქონდა ასეთი საბუთი?

კვლავ მანქანაში ჩასხდნენ და მონტელეპრეს ვიწრო შუკებს გაუყვნენ, რომლებშიც ორი მანქანა ერთმანეთს გვერდს ვერ აუქცევდა. ყველა სახლს ფერად-ფერადი ფასადი და კოხტა აივანი ამშვენებდა. უმრავლესობა ცისფრად იყო შეღებილი, ზოგიერთი — თეთრად ან ვარდისფრად. იშვიათად ყვითელიც ერია. დღის ამ დროს ქალები შინ იყვნენ და ქმრებს სადილს უმზადებდნენ. მაგრამ ქუჩებში არც ბავშვები ჩანდნენ. მათ ნაცვლად ყოველ კუნჭულს კარაბინერები დარაჯობდნენ. მონტელეპრე ოკუპირებულ ქალაქს ჰგავდა. მხოლოდ ორიოდ მოხუცი გადმომდგარიყო აივნებზე და გაქვავებული სახით იცქირებოდა. მანქანა მიჯრით მდგარი სახლების წინ გაჩერდა. მათგან ერთ-ერთი ხასხასა ცისფრად იყო შეღებილი და ჭიშკრის გისოსში „ჯ“ ასო ჰქონდა ჩაყოლებული. ჭიშკარი სამოციოდე წლის ტანდაბალმა ძარღვიანმა კაცმა გაუღო, რომელსაც მუქი ზოლიანი ამერიკული კოსტიუმი და თეთრი პერანგი ეცვა და შავი ჰალსტუხი ეკეთა. ეს ჯულიანოს მამა იყო. მან ანდოლინი ნაჩქარევად, მაგრამ თბილად ჩაიკრა გულში, მაიკლს კი, თითქმის, მადლიერებით მოუსვა მხარზე ხელი და ორივე სახლში შეიპატიჟა.

ჯულიანოს მამას იმ ადამიანის გამომეტყველება ჰქონდა, ვინც მძიმედ ავადმყოფი ახლობლის გარდაცვალებას წუთი წუთზე ელის. ეტყობოდა, დიდ ძალისხმევად უჯდებოდა გრძნობების მოთოკვა, დროდადრო უნებლიეთ ისვამდა სახეზე ხელს, თითქოს, ამით ნაკეთების წესრიგში მოყვანა სურდა. მტკიცე და დინჯი მიხრამოხრა ჰქონდა, მაგრამ სულ ოდნავ ბარბაცებდა.

დიდ სასტუმრო ოთახში შეაბიჯეს, ამ პატარა სიცილიური ქალაქისთვის გადამეტებული ფუფუნებით რომ იყო მოწყობილი. შესვლისთანავე თვალში გეცემოდათ ვეება ოვალურ ჩარჩოში ჩასმული ფოტოსურათი, მეტისმეტი გადიდებისაგან იმდენად გაბუნდოვანებული, რომ ზედ ვერაფერს გაარჩევდით. მაიკლი იმწამსვე მიხვდა, რომ ეს სალვატორე ჯულიანო უნდა ყოფილიყო. სურათის ქვეშ, პატარა შავ მრგვალ მაგიდაზე, საეკლესიო სანთელი ენთო. მეორე მაგიდაზე უფრო მკაფიო სურათი იდო: მამა, დედა და ვაჟი წითელი ფარდის ფონზე იყვნენ გადაღებულნი. ვაჟს მესაკუთრის ჟესტით შემოეჩვია დედისათვის ხელი. სალვატორე ჯულიანო გამჭოლი, გამომწვევი მზერით უყურებდა ობიექტოს. არაჩვეულებრივად ლამაზი სახე ჰქონდა, ბერძნულ ქანდაკებას ჰგავდა, ოდნავ მასიური, თითქოს, მარმარილოსაგან გამოკვეთილი ნაკეთებით, სავსე, ვნებიანი ტუჩებითა და ერთურთისაგან შორიშორს ჩასმული, შესივებულქუთუთობიანი ოვალური თვალებით. ეს თავდაჯერებული, გაბედული, მიზანდასახული კაცის სახე იყო. მაგრამ მაიკლისთვის სრულიად მოულოდნელი აღმოჩნდა ამ სახის სანდომიანი და კეთილი გამომეტყველება.

კუთხეებში მიდგომულ მაგიდებზე მისი სხვა სურათებიც მოჩანდა, სადაც ის თავისი დებისა და მათი ქმრების გვერდით იდგა, მაგრამ ესენი ჩრდილში იყო მოქცეული.

ჯულიანოს მამამ სტუმრები საშზარეულოში შეიყვანა. ქურასთან მოფუსფუსე მისი ცოლი მიუბრუნდა და მიესალმა. მარია ლომბარდო ჯულიანო იმაზე ბევრად უფროსად გამოიყურებოდა, ვიდრე მეზობელ ოთახში გაკრულ ფოტოზე აღებეჭდათ — ვერც კი იტყოდით, იგივე ქალიაო. დაქანცულ, დაღარულ სახეზე თავაზიანი ღიმილი მკვდარ ნიღაბს მიუგავდა. გრძელი, ხშირი თმა ეყარა მხრებზე, მაგრამ შიგ სქელი ჭაღარა კულულები ერია. თვალები კი ყველაზე სულისშემძვრელი ჰქონდა: ნახშირივით გუგები უსაზღ-

ვროდ გაჭფართოებოდა იმ სამყაროსადმი სიძულვილით, მასსა და მის ვაჟს განადგურებას რომ უპირებდა.

არც ქმრისთვის, არც სტეფან ანდოლინისთვის ყურადღება არ მიუქცევია, პირდაპირ მაიკლს მიმართა.

— ჩემი ვაჟის დასახმარებლად მოხვედით თუ არა?

ამ უკმეზობამ ორივე მამაკაცი გააოცა, მაიკლმა კი ქალს სერიოზულად შეხედა და თანაგრძნობით გაუღიმა:

— დიახ, მე თქვენ მხარეზე ვარ.

ქალი ერთბაშად მოწყდა და ხელები სახეზე აიფარა, თითქოს, დარტყმას უფრთხისო. ანდოლინიმ მანუგეშებელი კილოთი უთხრა:

— მამა ბენჯამინოს წამოსვლა უნდოდა, მაგრამ ვუთხარი, რომ თქვენ ამის წინააღმდეგი ხართ.

მარია ლომბარდომ თავი ასწია და მაიკლმა გაიკვირვა, სახეზე რა მკაფიოდ აღბეჭდვოდა ყოველი განცდა. მისი სიტყვების ბრაზს, სიძულვილს, შიშსა და მწარე ქილიკს ზუსტად ემთხვეოდა ის დამცინავი და ბოროტი ღიმილი, რომლის შეკავებასაც ქალი ამაოდ ცდილობდა.

— ოჰ, მამა ბენჯამინოს უეჭველად კეთილი გული აქვს, — გამოსცრა მან, — და ამ თავისი სიკეთით შავი ჭიროვით ეღება ქვეყანას. ერთბაშად მთელი სოფლის ამოწყვეტა ძალუძს! აგავას ფოთოლივითაა: სულ ოდნავ რომ შეეხო, სისხლისაგან დაიცლები. თავისი ძრეველის საიდუმლოებებს თავის ძმას გადასცემს: მობარებული სულებით ეშმაკთან ვაჭრობს.

ჯულიანოს მამამ შეგონების კილოთი მიმართა ცოლს, ისე, თითქოს შეშლილს ამშვიდებსო:

— დონ კროჩე ჩვენი მეგობრია. მან პატიმრობიდან გვიხსნა.

ქალი აფეთქდა:

— ოჰ, დონ კროჩე, „კეთილი სული“! მუდამ ისეთი მოწყალე და შემწყნარებელი! მაგრამ იცოდეთ, დონ კროჩე ნამდვილი ასპიტია. მტერს უმიზნებს და გვერდით მდგომ მეგობარს ახვედრებს ტყვიას. ჩემს ვაჟთან ერთად აპირებდა სიცილიის მართვას და რა გამოვიდა? ტორი მარტოდმარტო მთებში იმალება, „კეთილი სული“ კი ლაღად დასეირნობს პალერმოში თავის ბოზებთან ერთად. საკმარისია, დონ კროჩემ დაუსტვინოს და რომი ტერფებს ულოკავს. არადა, ჩვენს ტორიზე ბევრად მეტი დანაშაული აქვს ჩადენილი. ეს კაცი ბო-

როტების განსახიერებაა, ჩვენი შვილი კი უდანაშაულოა. ოჰ, მეც რომ თქვენსავით კაცი ვიყო, დონ კროჩეს მოკლავდი. სამუდამო განსასვენებელს ვარგუნებდი ამ „კეთილ სულს“, — ქალმა ზიზლით აიქნია ხელი, — მამაკაცებს არაფერი გაგეგებათ.

ჯულიანოს მამას მოუთმენლობა დაეტყო.

— როგორც ვიცი, ჩვენი სტუმარი რამდენიმე საათში გზას უნდა გაუდგეს და, ვიდრე ვისაუბრებდეთ, უნდა გაუშვასპინძლდეთ.

ჯულიანოს დედას ერთბაშად შეეცვალა სახე და მზრუნველი კილოთი ალაპარაკდა:

— საბრალო, ჩვენი გულისთვის მთელი დღე იმგზავრეთ, მანამდე კი დონ კროჩეს სიცრუის მოსმენამ მოგიწიათ. საით მიემგზავრებით?

— დილით ტრაპანიში უნდა ვიყო, — უპასუხა მაიკლმა, — თქვენს ვაჟს მამაჩემის მეგობრებთან დაველოდები.

უეცრად ოთახში დუმილი ჩამოწვა. მაიკლმა იგრძნო, რომ ამ ადამიანებმა მთელი მისი ამბავი იცოდნენ და მის სახეზე იმ ტკივილსაც ხედავდნენ, რომელსაც, ბოლო ორი წელიწადია, თან დაატარებდა. ჯულიანოს დედა მაიკლთან მივიდა და გულში ჩაიკრა.

— ღვინოს დაგისხამთ. შემდეგ ქალაქში გაისეირნეთ. ერთ საათში სადილიც მზად იქნება. მანამდე ტორის მეგობრებიც შემოგვესწრებიან და საქმეზე ვისაუბრებთ.

ანდოლინი და ჯულიანოს მამა მაიკლს აქეთ-იქიდან ამოუდგნენ და მონტელეპრეს ვიწრო ქვაფენილ ქუჩებს გაუყვნენ, მზის ჩასვლის შემდეგ შავად რომ ლაპლაპებდა. შეღამების მოლურჯო ბინდში პოლიციელთა ფიგურების გარდა არავინ შეუნიშნავთ. გზაჯვარედინებზე მთავარი ქუჩიდან შავი გველებოვით მიიკლაკნებოდა ვიწრო შუკები. გვეგონებოდათ, ქალაქი ამოწყდაო.

— წინათ აქ სიცოცხლე ჩქეფდა, — ამბობდა ჯულიანოს მამა, — ყველა სიცილიური ქალაქოვით, ესეც გაჭირვებულთა ქალაქი იყო, მაგრამ — ცოცხალი! ახლა კი, ჩემს ვაჟთან ურთიერთობის გამო, შვიდასზე მეტი მოქალაქეა დაპატიმრებული. მათი უმრავლესობა უდანაშაულოა, მაგრამ მთავრობა მათ სხვების დასაშინებლად აპატიმრებს და გარეთ დარჩენილებს ჩემი ტორის შესახებ ცნობების მიწოდებას აიძულებს. ქალაქში ორი ათასზე მეტი პოლიციელია და, ღმერთმა უწყის, რამდენი ათასია ტორის საძებნელად მთებში

წასული. ხალხს ეზოებში ვეღარ უსადილია, ბავშვები ქუჩაში აღარ თამაშობენ. პოლიციელები ისეთი მშიშრები არიან, კურდღელმა რომ გზაზე გადაურბინოთ, მაშინვე თოფს ისვრიან. დაბნელების შემდეგ კომენდანტის საათია დაწესებული და, თუკი მეზობელთან გადასული ქალი ქუჩაში დააკავეს, ყველანაირ შეურაცხყოფას აკადრებენ. მამაკაცები კი პალერმოს ციხეში მიჰყავთ საწამებლად, — უფროსმა ჯულიანომ ამოიოხრა, — მსგავსი რამ ამერიკაში წარმოუდგენელია. იმ დღეს ვწყევლი, როცა იქიდან წამოვედი.

სტეფან ანდოლინი შეჩერდა და სიგარას მოუკიდა. დანარჩენები დაელოდნენ. ანდოლინიმ კვამლი ამოუშვა და ღიმილით თქვა:

— ჯობს, სიმართლე ვაღიაროთ: ყველა სიცილიელს მშობლიური სოფლის სიმყრალე პარიზის საუკეთესო სუნამოს ურჩევნია. რას ვაკეთებ აქ? მეც შემეძლო, სხვებოვით ბრაზილიაში გავქცეულიყავი. სიცილიელებს გვიყვარს სამშობლო, მაგრამ, ვაი, რომ სიცილიას არ ვუყვარვართ!

ჯულიანოს მამამ მხრები აიჩეჩა.

— სიბრიყვე ჩავიდინე, აქ რომ დავბრუნდი. სულ ორიოდე თვე რომ მომეცადა, ჩემი ტორი კანონით ამერიკელი იქნებოდა. თუმცა, მან იქაური ჰაერი დედის საშოშივე შეისისხლხორცა, — კაცმა სინანულით გააქნია თავი, — რატომაა, რომ ჩემს შვილს მუდამ აღელვებდა სხვისი სატკივარი, იმათიც კი, ვინც სისხლით არ ენათესავება? მუდამ დიდი იდეალებით ცხოვრობდა, მუდამ სამართლიანობაზე ლაპარაკობდა. ნამდვილი სიცილიელი კი მხოლოდ პურზე ლაპარაკობს.

მთავარ ქუჩას რომ მიუყვებოდნენ, მაიკლმა შენიშნა, რომ ქალაქი საფრიდან თავდასხმისა და პარტიზანული ბრძოლისათვის საგანგებოდ დაეგეგმარებინათ. ქუჩები ისე ვიწრო იყო, ერთ მანქანაზე მეტი ვერ გაივლიდა, ზოგან კი მხოლოდ მცირე ოთხთვალა, ანდა ვირი თუ გაეტეოდა, რაც დღემდე სიცილიელთა ძირითად სატვირთო ტრანსპორტს წარმოადგენდა. რამდენიმე კაცი იოლად შეძლებდა ნებისმიერი თავდამსხმელის მოგერიებას, მერე კი მთებში გაქცევას, რადგან რძისფერი კლდეები ქალაქს სულ ახლოს შემოსდგომოდა.

ცენტრალურ მოედანს მიადგნენ. ანდოლინიმ პატარა ეკლესიაზე მიუთითა და თქვა:

— ტორი ამ ეკლესიაში იმალებოდა, როცა ეროვნული პოლიცია პირველად შეეცადა მის დაკავებას. მას მერე ლანდოვით უჩინარი გახდა, — სამივემ ისეთი დაჟინებული მზერა მიაპყრო ეკლესიის კარს, თითქოს, საცაა, ზღურბლზე სალვატორე ჯულიანო გამოეცხადებათო.

მზე საბოლოოდ ჩაიმალა მთებს მიღმა და კომენდანტის საათის დაწყებამდე შინ დაბრუნდნენ. იქ მათ ორი უცხო კაცი ელოდათ, თუმცა ისინი მხოლოდ მაიკლისთვის იყვნენ უცხონი: ჯულიანოს მამას გადაეხვივნენ, სტეფან ანდოლინის კი ხელი ჩამოართვეს.

ერთი მაღალი, მეტისმეტად ფერმკრთალი ახალგაზრდა იყო, გზნებით ანთებული შავი თვალებით. კოხტად მოვლილი ულვაში და თითქმის ქალურად ნატიფი მიხრა-მოხრა ჰქონდა, თუმცა სხვა მხრივ ქალური არაფერი ეცხო. პირიქით, ჯიქურ და გამომწვევად იცქირებოდა.

მაიკლი გაოცდა, როცა იგი გასპარე პიშოტად გააცნეს. პიშოტა ტორი ჯულიანოს მარჯვენა ხელი, ბიძაშვილი და უახლოესი მეგობარი იყო. ის მეორე პიროვნება გახლდათ სიცილიაზე ჯულიანოს შემდეგ, რომელზეც საყოველთაო ძებნა გამოაცხადეს. მისი დაკავებისთვის ჯილდოდ ხუთი მილიონი ლირა დააწესეს. იმ ლეგენდის მიხედვით, რაც მაიკლს სმენია, გასპარე პიშოტა ბევრად უფრო შემზარავ კაცად წარმოედგინა. არადა, მის წინ ციებიანოვით დაწვებ-შეწითლებული, ავადმყოფურად გამხდარი ახალგაზრდა იდგა. თანაც, აქ — მონტელეპრეში, ორი ათასი პოლიციელის გარემოცვაში.

მეორე სტუმარიც საკვირველი გახლდათ, თუმცა სულ სხვა მიზეზით. მის დანახვაზე მაიკლი შეკრთა. იმდენად ტანდაბალი კაცი იყო, რომ ჯუჯა გეგონებოდათ, მაგრამ თავი ისეთი ღირსებით ეჭირა, მაიკლი მიხვდა, თავისი შემფოთებით ამ კაცს უკიდურესად შეურაცხყოფდა. საუცხოოდ შეკერილი რუხი ზოლიანი კოსტიუმი ეცვა, კრემისფერ პერანგზე ძვირფასი, ვერცხლისფრად მოლივლივ ფართო ჰალსტუხი ეკეთა. თმა ხშირი და, თითქმის, მთლად გაჭადარავებული ჰქონდა; ორმოცდაათ წელზე მეტის არ იქნებოდა. ძალზე დაბალი ადამიანისათვის მეტად ელეგანტურად გამოიყურებოდა. ლამაზნაკეთებიან სახეზე დიდსულოვანი, ოდნავ მტკივნეული ღიმილი დასთამაშებდა.

მაიკლის შეშფოთება შენიშნა და ოდნავი ირონიით მიესალმა. მასპინძელმა ის პროფესორ ჰექტორ ადონისად წარმოადგინა.

ამასობაში მარია ლომბარდო ჯულიანოს სამზარეულოში სუფრა გაეშალა. აივანზე გამაჟალ დიდ ფანჯარაში წითლად დაზოლილი ცა და მთებიდან ჩამოწოლილი ღამის ბინდი მოჩანდა. მაიკლი აუჩქარებლად შექცეოდა: იცოდა, ყველა მას აკვირდებოდა. საკვები უბრალო იყო, მაგრამ გემრიელი: სპაგეტი რვაფეხას მელნისფერ სოუსში და კურდღლის ცხარე ჩაშუშული. ბოლოს გასპარე პიშოტა სიცილიური დიალექტით ალაპარაკდა:

— მაშ, თქვენ ხართ იმ ვიტო კორლეონეს ვაჟი, რომელიც, როგორც ამბობენ, ჩვენს დონ კროჩეზე უფრო ძლიერიც კია? და ჩვენს ტორის სწორედ თქვენ უნდა უშველოთ?

მის ხმაში ცოვი, დამცინავი და გამომწვევი ბგერები ჟღერდა, აქაოდა, აბა, გაბედე და განაწყენდიო. ისე ილიმოდა, თითქოს, სურდა იმ ანგარებას ჩასწვდომოდა, რასაც მაიკლი სიკეთის მიღმა მალავდა. თუმცა მაიკლის შეურაცხყოფა არ სურდა: მისი ამბავი იცოდა და თვითონაც მასავით მკვლელი იყო.

— მამაჩემის მითითებებს ვასრულებ, — უპასუხა მაიკლმა, — ჯულიანოს ტრაპანიში უნდა დაველოდო. შემდეგ ერთად გავემგზავრებით ამერიკაში.

— გარანტიას გვაძლევთ, რომ ტორი თქვენთან ერთად უსაფრთხოდ იქნება? — უფრო სერიოზული კილოთი ჰკითხა პიშოტამ, — შეძლებთ რომისგან მის დაცვას?

მაიკლმა იგრძნო, რომ ჯულიანოს დედა გაფაციცებულ, დაძაბულ მზერას არ აცილებდა.

— იმდენად, რამდენადაც ადამიანს ძალუძს ბედისწერის გარანტირება. დიახ, წარმატებაში ეჭვი არ მეპარება, — შეამჩნია, რომ დედას დაძაბულობა მოეხსნა, მაგრამ პიშოტამ მკაცრად მოუჭრა:

— მე კი მეპარება. დღეს დონ კროჩეს ენდეთ და გაქცევის თქვენული გეგმა გააცანით.

— რატომაც არა? — გაცხარდა მაიკლი. კი მაგრამ, პიშოტამ ასე მალე საიდან შეიტყო მისი და დონ კროჩეს საუბრის შინაარსი? — მამაჩემმა დამიბარა, რომ ჯულიანოს ჩემთან შეხვედრის ორგანიზება სწორედ დონ კროჩემ უნდა მოაწყოს. ასეა თუ ისე, მე მას ჩემი გეგმის მხოლოდ ნაწილი გავანდე.

— დანარჩენი რაღას გულისხმობს? — იკითხა პიშოტამ და მაიკლს გაუბედაობა რომ შეატყო, დაუმატა, — თქვით ყველაფერი. თუ აღარც ამ ოთახში მყოფთა ნდობა შეიძლება, მაშინ ტორის აღარაფერი ეშველება.

პატარა კაცმა, ჰექტორ ადონისმა, პირველად ამოიღო ხმა. არაჩვეულებრივად შთამბეჭდავი, სულში ჩამწვდომი ხმა ჰქონდა, ეტყობოდა, დაბადებით ორატორი რომ იყო და მსმენელს ნებისმიერ რამეში დაარწმუნებდა.

— ძვირფასო მაიკლ, თქვენ უნდა შეიგნოთ, რომ დონ კროჩე ტორი ჯულიანოს მტერია. მამათქვენს მოძველებული ინფორმაცია აქვს. აშკარაა, რომ სიფრთხილის განსაკუთრებული ზომების გარეშე ტორისთან ვერ შეგახვედრებთ, — სიცილიურ დიალექტზე კი არა, დახვეწილ რომაულ იტალიურზე მეტყველებდა.

— დონ კორლეონე დამპირდა, რომ ჩემს ვაჟს უშველიდა, მე მას ვენდობი, — ჩაერთო ჯულიანოს მამა, — ამაში ორი აზრი არ არსებობს.

— დაჟინებით გთხოვთ, თქვენი გეგმა მთლიანად გაგვაცნოთ, — განაგრძო ჰექტორ ადონისმა.

— შემიძლია იგივე გითხრათ, რაც დონ კროჩეს ვუთხარი, — უპასუხა მაიკლმა, — ჩემი სხვა გეგმები რატომ უნდა გაუახმაურო? რომ შეგეკითხოთ, ტორი ჯულიანო ამჟამად სად იმალება, ხომ არც თქვენ მიპასუხებთ?

პიშოტას სახეზე მაიკლმა კმაყოფილი ღიმილი შენიშნა, ეტყობოდა, ეს პასუხი მოეწონა. მაგრამ ჰექტორ ადონისმა უპასუხა:

— ეს ერთი და იგივე არ არის. თქვენ არაფერს გარგებთ იმის ცოდნა, თუ სად იმყოფება ტორი. ჩვენ კი უნდა ვიცოდეთ, რას აპირებთ, რათა თქვენთვის დახმარების გაწევა შევძლოთ.

— თქვენ შესახებ არაფერი ვიცი, — მშვიდად მიუგო მაიკლმა.

ჰექტორ ადონისის სანდომიანი სახე ფართო ღიმილმა გააცისკროვნა. ტანმორჩილი კაცი ფეხზე წამოდგა და მაიკლს თავი დაუკრა.

— მომიტყვეთ, — გულწრფელი კილოთი წარმოთქვა მან, — ტორის სკოლის მასწავლებელი ვიყავი. მისმა მშობლებმა პატრუნი დამედეს და ტორი მომანათვლინეს. ამჟამად პალერმოს უნივერსიტეტ-

ში ლიტერატურისა და ისტორიის პროფესორი ვარ. აქ მყოფთაგან თითოეულს შეუძლია ჩემთვის საუკეთესო რეკომენდაციის გაწევა, მუდამ ჯულიანოს ბანდის წვერი ვიყავი და ახლაც ვარ.

— მეც ამ ბანდის წვერი ვარ და, თანაც, შენი ბიძაშვილი. ჩემი სახელი იცი, მაგრამ, გარდა ამისა, „ფრა დიაბოლოსაც“ მეძახიან, — მშვიდად განაცხადა სტეფან ანდოლინიმ.

ესეც ერთ-ერთი ლეგენდარული სახელი გახლდათ, რომელიც მაიკლს სიცილიაზე არაერთხელ სმენია. აი, თურმე, მკვლელის სახე რატომ აქვსო, — გაიფიქრა. ამ ადამიანსაც ეძებდნენ და მისი დაკავებისათვის დიდი თანხა იყო დაწესებული. არადა, სულ რამდენიმე საათის წინ ინსპექტორ ველარდისთან ერთად იჯდა სადილად.

ყველანი მის სიტყვას ელოდნენ. მაიკლი სულაც არ აპირებდა მათთვის თავისი საბოლოო გეგმების გაცნობას, მაგრამ რაღაცის თქმა მაინც მოუწევდა. ჯულიანოს დედა გაფაციცებით უყურებდა. მაიკლმა უშუალოდ მას მიმართა.

— ყველაფერი მარტოადაა. უპირველეს ყოვლისა, უნდა გაგაფრთხილოთ, რომ შეიდ დღეზე მეტს ვერ მოვიცდი. ძალზე დიდი ხანია, რაც შინიდან წამოვედი და მამაჩემს თავის საქმეებში ჩემი დახმარება ესაჭიროება. უნდა გამიგოთ, რომ ოჯახთან შეხვედრა მეჩქარება. მაგრამ თქვენი ვაჟისათვის დახმარების გაწევა სწორედ მამაჩემის სურვილია. უკანასკნელი ინსტრუქცია, რაც კურიერმა მომიტანა, ასეთი იყო: ვეწვიო დონ კროჩეს და შემდეგ ტრაპანიში გავემგზავრო. იქაური დონის ვილაზე გაჰჩერდები, იქ ამერიკიდან ჩამოსული ხალხი დამხვდება, ვისაც სავსებით ვენდობი — კვალიფიციური ადამიანები არიან. მაიკლი წამით დადუმდა. სიცილიაზე სიტყვას „კვალიფიციური“ საგანგებო დატვირთვა ენიჭებოდა: ის მათვის გამოწვრთნილ მკვლელებს გულისხმობდა. შემდეგ განაგრძო: როგორც კი ტორი ჩემთან მოხვდება, მას აღარაფერი ემუქრება. ვილა ნამდვილი ციხესიმაგრეა. ორიოდ საათის შემდეგ აფრიკაში მიმავალი სწრაფი გემის ბორტზე ვიქნებით. იქ სპეციალური თვითმფრინავი დაგველოდება და დაუყოვნებლივ გადაგვაფრენს ამერიკაში, სადაც ტორი მამაჩემის მფარველობის ქვეშ მოექცევა და აღარასოდეს გექნებათ მისი დარდი.

ჰექტორ აღონისმა ჰკითხა:

— როდის იქნებით მზად ტორი ჯულიანოს მისაღებად?

— ტრაპანიში ხვალ ადრე დილით ჩავალ, — უპასუხა მაიკლმა,
— ამის შემდეგ ოცდაოთხი საათი მადროვით.

ჯულიანოს დედას ცრემლები წასკდა.

— ჩემი საბრალო ტორი აღარავის ენდობა. არც ტრაპანიში წავა.

— მაშინ მე მას ვერაფერს ვუშველი, — ცივად მოუჭრა მაიკლმა.
ჯულიანოს დედა სასოწარკვეთილებისაგან მოიკრუნჩხა. მოუ-
ლოდნელად მის სანუგეშებლად პიშოტა წამოდგა, აკოცა და გულ-
ში ჩაიკრა.

— მარია ლომბარდო, ნუ წუხხართ. ტორი ჯერ კიდევ ისმენს
ჩემს რჩევას. ვეტყვი, რომ ამ ამერიკელს ყველანი ვენდობით, ასე
არ არის? — დანარჩენებს გადახედა, ყველამ თავი დაუკრა, — მე
თვითონ მივიყვან ტორის ტრაპანიში.

ყველა კმაყოფილი ჩანდა. მაიკლი მიხვდა, რომ ეს ადამიანები
მის გულწრფელობაში სწორედ მისმა ცივმა პასუხმა დაარწმუნა.
ყველანი სიცილიელები იყვნენ და მეტისმეტი გულითადობა და
დიდსულოვნება ეჭვს აღუძრავდათ. მაიკლი კი მათმა სიფრთხილემ
გააღიზიანა და არც ის მოსწონდა, რომ ბევრი რამ მამამისის გეგ-
მებს არ შეესაბამებოდა. დონ კროჩე მტერი გამოდგა, ჯულიანოს,
შეიძლება, მასთან მისვლა დაეგვიანა, ანდა საერთოდ არ მისული-
ყო. ბოლოს და ბოლოს, ვინ იყო მისთვის ტორი ჯულიანო? აქედან
გამომდინარე, იმანაც დააფიქრა, თუ ვინ იყო ჯულიანო მამამისი-
სათვის.

მცირე სასტუმრო ოთახში შეიპატიჟეს, სადაც დიასახლისი ყა-
ვითა და ანისულის ლიქიორით გაუმასპინძლდა, თან მოუბოდიშა,
ტკბილეული არ გვაქვსო. მაიკლს ლიქიორი შესთავაზეს, უთხრეს,
ტრაპანიმდე ღამით მგზავრობისას გაგათბობსო. ჰექტორ აღონის-
მა ელეგანტური პიჯაკის ჯიბიდან ოქროს პორტსიგარი ამოიღო
და მამაკაცებს სათითაოდ გაუწოდა, ნატიფად მოხაზულ ბაგეებს
შორის თვითონაც გაიჩარა სიგარეტი, საზურგეს მიეყრდნო და ყუ-
რადლება იმდენად მოადუნა, რომ ვერ შენიშნა, ფეხებით იატაკს
რომ აღარ სწვდებოდა. წუთით ბაწარზე ჩამოკიდებულ მარიონეტს
დაემსგავსა.

მარია ლომბარდომ სტუმარს კედელზე ჩამოკიდებულ დიდ პორ-
ტრეტზე მიანიშნა.

— ხომ ლამაზია? ხასიათიც ასეთივე სათნო და თბილი აქვს. ბანდიტი რომ გახდა, ამით გული მომიკლა. გახსოვთ ის საშინელი დღე, სენიორ ადონის? და მთელი ის ტყუილები, რასაც პორტელა დელა ჯინესტრაზე ჰყვებიან! ჩემი შვილი ასეთ რამეს არასოდეს ჩაიდენდა.

მამაკაცები დაბნეულები ჩანდნენ. მაიკლმა ამ დღეს უკვე მეორედ გაიკვირვა, ნეტავ, ასეთი რა მოხდა პორტელა დელა ჯინესტრაშიო, მაგრამ არაფერი უკითხავს.

— ტორის როდესაც ვასწავლიდი, — თქვა ადონისმა, — კლასში საუკეთესო მოწაფე იყო. კარლოს დიდისა და როლანის შესახებ ლეგენდები სულ ზეპირად იცოდა, ახლა კი თვითონაც ლეგენდად იქცა. მეც მომიკვდა გული, როდესაც ბანდიტობა დაიწყო.

— დიდად გაუძარტლებს, თუკი ცოცხალი გადარჩება, — მწარედ გამოსცრა ჯულიანოს დედამ. — ნეტავ, რაზე ვფიქრობდით, ჩვენი ვაჟი აქ რომ მოვავლინეთ ქვეყანას? გვსურდა, ჭეშმარიტი სიცილიელი ყოფილიყო... — ქალმა მწარედ, შეშლილივით გადაიხარხარა, — არის კიდევ. ყოველ წუთს სიცოცხლეს რისკავს და მისი თავი ათასობით ღირადაა შეფასებული, — შეყოვნდა და მერე სასოწარკვეთილი სიმტკიცით წარმოსთქვა: — ჩემი შვილი წმინდანია.

მაიკლმა პიშოტას ღიმილი შენიშნა. ასეთი ღიმილით ისმენენ ხოლმე მშობლების გადამეტებული სიყვარულით გამსჭვალულ საუბარს, როცა საკუთარ შვილებს აქებენ. სტეფან ანდოლინიმ ცბიერად გაიღიმა, პიშოტამ კი მზრუნველი, მაგრამ ცოვი კილოთი წარმოთქვა:

— ჩემო ძვირფასო მარია ლომბარდო, თქვენს შვილს ასე უმწეოდ ნუ გამოიყვანთ. მან თავის მტრებს ბევრად მეტი დააკლო, ვიდრე თვითონ დააკლდა. მათ ჯერაც ეშინიათ ჯულიანოსი.

ჯულიანოს დედა ოდნავ დამშვიდდა.

— ვიცი, რომ არაერთხელ ჩაუდენია მკვლელობა, მაგრამ უსამართლოდ არასოდეს მოქცეულა. ვისაც კლავდა, მუდამ აძლევდა სულის განწმენდისა და უკანასკნელი ლოცვის საშუალებას, — უეცრად ქალმა მაიკლს ხელი ჩასჭიდა და სამზარეულოში, იქიდან კი აოჯანზე გაიყვანა, — სინამდვილეში ამათგან ჩემს შვილს არც ერთი არ იცნობს, — უთხრა მან მაიკლს, — არ იციან, რა კეთილი და სათნოა. შესაძლოა, მამაკაცებთან სხვანაირად მოქცევა

უწევს, მაგრამ ჩემთან მუდამ წრფელია. ყოველთვის მიჯერებდა, არასოდეს უკადრებია უხეში სიტყვა. როდესაც ბანდიტი გახდა, პირველ დღეებში მთებიდან სულ აქეთ იცქირებოდა, თუმცა ვერაფერს ხედავდა. მეც სულ მთებს ავყურებდი, თუმცა ვერც მე ვხედავდი ჩემს შვილს. მაგრამ ერთურთის სიახლოვესა და სიყვარულს ვგრძნობდით. დღესაც ვგრძნობ მის სიახლოვეს. რომ წარმოვიდგენ, მთაში ნადიროვით მარტოდმარტო როგორ იმალება და ათასობით ჯარისკაცი მოსაკლავად როგორ დასდევს, ლამისაა, გული გამისკდეს! თქვენ, შესაძლოა, ერთადერთი იყოთ, ვისაც მისი გადარჩენა ძალუძს. დამპირდით, რომ დაელოდებით, — ორივე ხელი მაიკლის ხელებს მაგრად ჩასჭიდა და ღაწვებზე ცრემლები გადმოუგორდა.

მაიკლმა აივნოდან გადახედა წყვილიადში ჩაფლულ, მთებით გარშემორტყმულ ქალაქს, სადაც მხოლოდ მთავარი მოედანი გაენათებინათ. ცა ვარსკვლავებით იყო დასურეტილი. აივნის ქვეშ იარაღის ჟღარუნითა და ტლანქი შეძახილებით ჩაიარა პატრულმა. გეგონებოდათ, ქალაქი ლანდებითაა სავსეო. ლიმონის სურნელით გაჟღენთილი ზაფხულის ღამის ნიავი, თითქოს, ჩრდილთა ჩურჩულით სუნთქავდა, ურიცხვი მწერის ბზუილი და პატრულის საუბარიც იდუმლად ჟღერდა.

— იმდენ ხანს დავიცდი, რამდენსაც შეეძლებ, — რბილად უთხრა მაიკლმა, — მაგრამ შინ მამაჩემს ვჭირდები. როგორმე დაარწმუნეთ თქვენი ვაჟი, რომ შემომიერთდეს.

ქალმა სტუმარს თავი დაუქნია და კვლავ სხვებთან შეიყვანა. პიშოტა ოთახში ბოლთას სცემდა. აღელვებული ჩანდა.

— გადავწყვიტეთ, გათენებამდე ყველანი აქ დავრჩეთ, ვიდრე კომენდანტის საათი დამთავრდება, — თქვა მან, — ქუჩებში მეტისმეტად ბევრი თოფიანი ჯარისკაცია, შეიძლება, უბედურება დატრიალდეს. წინააღმდეგი ხომ არ იქნებით? — მიმართა მან მაიკლს.

— არა, — უპასუხა მაიკლმა, — თუკი მასპინძლებს დიდად არ შევაწუხებთ.

ეს შენიშვნა უყურადღებოდ დარჩა. ოჯახს არაერთხელ მოუწია ღამის თეთრად გათენება, როდესაც ტორი ჯულიანო მშობლების სანახავად ქალაქში საიდუმლოდ იპარებოდა. გარდა ამისა, ბევრ დეტალთან დაკავშირებით უნდა მოელაპარაკათ. წინ გრძელი ღამე იყო და სავარძლებში მომყუდროვდნენ. ჰექტორ ადონისმა ჰალს-

ტუხი და პიჯაკი შეიხსნა, თუმცა ამით ელეგანტურობა არ დაუკარგავს. დედამ ყავა მოადუღა.

მაიკლმა სთხოვა, რაც შეიძლება მეტი მოეყოლათ ტორი ჯულიანოს შესახებ. გრძნობდა, რომ ვითარებას სწორად უნდა ჩასწვდომოდა. მშობლებმა კვლავაც დაარწმუნეს იმაში, რომ ტორი მუდამ შესანიშნავი შვილი იყო. სტეფან ანდოლინიმ უამბო, როგორ იხსნა ტორიმ ის სიკვდილისაგან. პიშოტამ რამდენიმე სახალისო შემთხვევა გაიხსენა, როცა ტორიმ იუმორის გრძნობა, სიმამაცე და მოწყალება გამოიჩინა. თუმცა მოღალატეებსა და მოსისხლე მტრებს სასტიკად უსწორდებოდა, მათი ღირსება არასოდეს შეუღალახავს და არც უწყალებია. მერე კი პორტელა დელა ჯინესტრაში მომხდარი ტრაგედიის შესახებაც მოჰყვა.

— იმ დღეს გულამოსკვნით ტიროდა, — შენიშნა პიშოტამ, — თავისი ბანდის ყველა წევრის წინაშე ქვითინებდა.

— შეუძლებელია მას ჯინესტრაში ის ადამიანები დაეხოცა, — თქვა მარია ლომბარდომ.

— ეს ყველამ ვიცით, — დაამშვიდა ჰექტორ ადონისმა და მაიკლს მიუბრუნდა, — წიგნები უყვარდა. მეგონა, მისგან პოეტი ან მეცნიერი გამოვიდოდა. ფიცხი იყო, მაგრამ სასტიკი არასოდეს ყოფილა. მართალი რისხვა სჩვეოდა. უსამართლობას ვერ ეგუებოდა. სძულდა პოლიციელები, რადგან ღარიბებს ჩაგრაუდნენ, მდიდრებს კი თავს უხრიდნენ. პატარაობაშიც კი კარგავდა მოთმინებას, როცა ხედავდა, რომ გლეხს მის მიერ მოყვანილ ხორბალს, დაწურულ ღვინოსა და დაზრდილ ღორებს ართმევდნენ. და მაინც, რბილი და თვინიერი ბიჭი იყო.

— ახლა ისეთი რბილი აღარ არის, — ჩაიცინა პიშოტამ, — შენ კი, ჰექტორ, გეყო ჩია მასწავლებლის როლის თამაში. ცხენის უნაგირზე სიმაღლითა და ძალით არც ერთ ჩვენგანს არ ჩამოუვარდები.

— ასპანუ, — დაუბღვირა ადონისმა, — ახლა შენი ხუმრობების დრო არ არის.

პიშოტამ გაცხარებით შეჰყვირა:

— ჯუჯა კაცო, გგონია, ოდესმე შემაშინებ?

მაიკლმა თავისთვის შენიშნა, რომ პიშოტას მეტსახელად ასპანუს ეძახდნენ და რომ ამ ორ ადამიანს ერთმანეთი გულზე არ ეხატებოდა. პიშოტა წამდაუწუმ ადონისის სიდაბლეს ახსენებდა,

ის კი, თავის მხრივ, მუდამ მკაცრად ელაპარაკებოდა. კაცმა რომ თქვას, ყველა იქ მყოფს შორის უნდობლობისა და ანტიპათიის ატმოსფერო სუფევდა. სტეფან ანდოლინისა და დანარჩენებს შორის დისტანცია იგრძნობოდა, ჯულიანოს დედა ბოლომდე არავის ენდობოდა. მიუხედავად ამისა, იმ ღამით მაიკლისთვის ცხადი გახდა, რომ ყველას სათითაოდ გულწრფელად უყვარდათ ტორი.

მაიკლმა ფრთხილად დასვა შეკითხვა:

— ამბობენ, ტორი ჯულიანოს „ანდერძი“ დაუწერია. სად არის ის ახლა?

კარგა ხნით დუმილი ჩამოწვა, ყველანი დაჟინებით უმზერდნენ. ერთბაშად იგრძნო, რომ მათი უნდობლობა მასზეც გადმოვიდა. როგორც იქნა, ჰექტორ ადონისი ალაპარაკდა:

— „ანდერძის“ წერა ჩემი რჩევით დაიწყო. მეც ვეხმარებოდი. ყოველი გვერდი ტორის მიერაა ხელმოწერილი. იქ ყველაფერია მოთხრობილი: რომის მთავრობასთან დონ კროჩეს საიდუმლო შეთანხმებაც და პორტელა დელა ჯინესტრას ტრაგედიაც. ეს ყველაფერი თუ გახმაურდა, ხელისუფლება უეჭველად უნდა დაემხოს. ეს ჯულიანოს უკანასკნელი კოზირია, რომელიც უკიდურესი შემთხვევისათვის აქვს შემონახული.

— თუკი ასეა, იმედი მაქვს, რომ მას საიმედო ადგილას ინახავთ, — გამოეხმაურა მაიკლი.

— დიახ, დონ კროჩე დიდად ესწრაფვის ამ დოკუმენტის ხელში ჩაგდებას, — შენიშნა პიშოტამ.

— როცა ამის დრო დადგება, ამ დოკუმენტს გადმოგცემთ, — თქვა ჯულიანოს დედამ, — იქნებ მოახერხოთ და ამერიკაში გოგონას გააყოლოთ.

— რომელ გოგონას? — გაოცდა მაიკლი. ყველამ თვალი აარიდა, თითქოს, თავი უხერხულად იგრძნესო. კარგად იცოდნენ, რომ ეს მაიკლისთვის არასასიამოვნო სიურპრიზი იქნებოდა და მისი რეაქცია აშინებდათ.

— ჩემი შვილის საცოლეს, — უპასუხა ჯულიანოს დედამ, — ის ფეხმძიმედაა, — მერე დანარჩენებს მიუბრუნდა, — რა ქნას, ხომ ვერ გაუჩინარდება? თანახმაა თუ არა, გოგო თან წაიყვანოს? ჯობს, ახლავე გაგვცეს პასუხი, — ქალი ცდილობდა, თავშეკავებულად ესაუბრა, მაგრამ მაიკლი მიხვდა, რომ მისი პასუხი ძალზე აღელვებ-

და, — ის ტრაპანიში შემოგიერთდებათ. ტორის სურს, რომ მასზე ადრე ამერიკაში მისი საცოლე გაამგზავროთ. ტორი მხოლოდ მას შემდეგ შემოგიერთდებათ, როცა გოგონა აცნობებს, რომ უსაფრთხოდაა.

— ამასთან დაკავშირებით ინსტრუქციები არ მიმიღია, — ფრთხილად უპასუხა მაიკლმა, — ტრაპანიში ჩემიანებს დროზე უნდა შევუთანხმდე. როგორც ვიცი, თქვენი ვაჟის შემდეგ თქვენი მეუღლე და თქვენ ასევე აპირებთ ამერიკაში გამგზავრებას. განა არ შეიძლება გოგონაც თქვენთან ერთად წამოვიდეს?

— გოგონა თქვენი გამოცდა იქნება, — მკვახედ მოუჭრა პიშოტამ, — ის ჯულიანოს კოდურ სიტყვას დაუბარებს, რათა ამცნოს, რომ თქვენ არა მარტო პატიოსანი კაცი ხართ, არამედ გონიერიც. ტორი მხოლოდ ამ შემთხვევაში დაიჯერებს, რომ სიცილიიდან მის წაყვანას შეძლებთ.

ჯულიანოს მამამ ბრაზმორეული ხმით უთხრა:

— ასპანუ, უკვე გითხარით შენც და ჩემს შვილსაც: დონ კორლეონემ სიტყვა მოგვცა, რომ დაგვეხმარება.

— ტორიმ ასეთი განკარგულება გასცა, — მშვიდი დაჟინებით უპასუხა პიშოტამ.

მაიკლმა უსწრაფესად აამუშავა გონება. ბოლოს განაცხადა:

— მგონი, ეს ჭკვიანურია. ასე გასაქცევი გზის შემოწმებას შევძლებთ, ვნახავთ, რამდენად საიმედოა, — ამავე გზით ჯულიანოს გაპარებას სულაც არ აპირებდა. ქალს მიუბრუნდა, — შემიძლია გოგონასთან ერთად თქვენ და თქვენი მეუღლეც გაგამგზავროთ, — ორივეს გადახედა და პასუხს დაელოდა, მაგრამ ცოლ-ქმარმა თავები გააქნია.

— ვიდრე ჩვენი ვაჟი აქაა, სიცილიიდან ფეხს არ მოვიცვლით, — თქვა ჯულიანოს დედამ. მამამ ხელები გულზე დაიკრიფა და ცოლს თანხმობის ნიშნად თავი დაუქნია. მაიკლი მიხვდა, რაზე ფიქრობდნენ. თუკი ტორი ჯულიანო სიცილიაზე დაიღუპებოდა, მშობლებს ამერიკაში აღარაფერი ესაქმებოდათ. დარჩენა სურდათ, რათა შვილი დაეტირათ, მისი გვამი გაეპატიოსნებინათ და მისი სამარე ყვავილებით მოერთოთ. ტრაგედიის ფინალი მათ ეკუთვნოდათ. გოგონა კი თავისუფალი იყო: მას სისხლით ნათესაობა კი არა, მხოლოდ და მხოლოდ სიყვარული აკავებდა.

იმ ღამით მარია ლომბარდო ჯულიანომ მაიკლს ალბომი უჩვენა, რომელშიც თავისი შვილის შესახებ საგაზეთო განცხადებები და წერილები შეეგროვებინა, ასევე, პლაკატები, რომის მთავრობის მიერ ჯულიანოს დაკავებაზე დაწესებული ჯილდოს შესახებ რომ იუწყებოდა. უჩვენა ამერიკულ ჟურნალ „ლაიფში“ 1948 წელს გამოქვეყნებული დასურათებული ისტორია, რომელიც ჯულიანოს თანამედროვეობის უდიდეს ბანდიტად, იტალიელ რობინ ჰუდად, მდიდართა რისხვად და ღარიბთა მეოხად წარმოაჩენდა. იქვე დაბეჭდილი იყო ერთ-ერთი იმ გახმაურებულ წერილთაგანი, ჯულიანომ პრესას რომ გაუგზავნა.

მასში ეწერა: „ხუთი წელია, სიცილიის თავისუფლებისათვის ვიბრძვი. რასაც მდიდრებს ვართმევ, გაჭირვებულებს ვუნაწილებ. ჰკითხეთ სიცილიელებს, დაე, მათ გითხრან, ვინ ვარ — ბანდიტი თუ თავისუფლებისათვის მებრძოლი. თუკი ისინი გამამტყუნებენ, თვითონვე ჩავბარდები მართლმსაჯულებას. ვიდრე გამამართლებენ, ომს არ შევწყვეტ“.

ეს გაქცეული ბანდიტის სიტყვებს არ ჰგავსო, — გაიფიქრა მაიკლმა, როცა მარია ლომბარდომ სიამაყით გაცისკროვნებული თვალები შეანათა. ერთბაშად ამ ქალთან უცნაური ახლობლობა შეიგრძნო: ის ძალზე ჰგავდა თავის დედას. სახე წარსულის დარდმა დაუღარა, თვალები კი სიყვარულითა და შეუპოვრობით ჰქონდა ანთებული.

ბოლოს და ბოლოს, გათენდა. მაიკლი წამოდგა და ყველას დაემშვიდობა. გაოცდა, როცა ჯულიანოს დედა ალერსიანად გადაეხვია.

— ჩემს ვაჟს მაგონებთ, — უთხრა ქალმა, — მე თქვენ გენდობით, — ბუხრის თავიდან ღვთისმშობლის ხის ქანდაკება ჩამოიღო. ის შავად იყო შეღებილი და სახის ნაკეთებიც ნეგროიდული ჰქონდა. — ეს საჩუქრად მიიღეთ. ამაზე ძვირფასი არაფერი გამაჩნია, — მაიკლმა უარის თქმა სცადა, მაგრამ ქალმა დააძალა.

— ასეთი ქანდაკება სიცილიაზე სულ რამდენიმეა დარჩენილი, — აუხსნა ჰექტორ ადონისმა, — საოცარია, მაგრამ აფრიკა ძალზე ახლოსაა ჩვენგან.

— მის გარეგნობას მნიშვნელობა არ აქვს, — თქვა ჯულიანოს დედამ, — მთავარია, რომ შეგიძლიათ მას ლოცვით მიმართოთ.

— ჰო, ყოველ შემთხვევაში, ლოცვით არაფერი დაშავდება, — ოდნავ დამცინავად წარმოთქვა პიშოტამ.

მაიკლი უყურებდა, როგორ ემშვიდობებოდა პიშოტა ჯულიანოს დედას. შენიშნა, რომ ამ ორს ერთმანეთი გულწრფელად უყვარდა. პიშოტამ ქალს ორივე ლოყაზე აკოცა და ნუგეშის ნიშნად ზურგზე ხელი მოუსვა. ქალმა წამით მხარზე დაადო თავი და ტირილით უთხრა:

— ასპანუ, ასპანუ, საკუთარი შვილივით მიყვარხარ. ტორის სიკვდილს ნუ დაუშვებ!

პიშოტას სიმკაცრე ერთბაშად გაუქრა, სახეც და ტანიც რაღაც-ნაირად მოუღბა.

— აი, ნახვთ, ყველანი ამერიკაში იცხოვრებთ ღრმა მოხუცებულობამდე, — უთხრა ქალს. მერე მაიკლს მიუბრუნდა, — ტორის ერთ კვირაში მოგიყვანთ.

სწრაფად და უხმოდ გავიდა სახლიდან. მასაც წითელჩარჩოიანი პასპორტი ჰქონდა და სულ მალე ისევ მთებში გაუჩინარდებოდა. ჰექტორ ადონისი ჯულიანოებთან დარჩა, თუმცა ქალაქში საკუთარი სახლიც ჰქონდა.

მაიკლი და სტეფან ანდოლინი „ფიატში“ ჩასხდნენ და მთავარი მოედანი გადაკვეთეს. კასტელვეტრანოსკენ მიმავალ გზაზე გავიდნენ, რომელიც ზღვისპირა ქალაქ ტრაპანიში მიიყვანდა. ანდოლინის ნელი და ფრთხილი ტემპისა და ურიცხვი საპატრულო პოსტის გამო ტრაპანიში მხოლოდ შუადღეს ჩააღწიეს.

წიგნი II

ტორი ჯულიანო

1943

თავი 2

1943 წლის სექტემბერში ჰექტორ ადონისს პალერმოს უნივერსიტეტში ისტორიისა და ლიტერატურის პროფესორის წოდება ეკავა. დაბალი ტანის გამო კოლეგები იმაზე ნაკლები პატივისცემით ეპყრობოდნენ, ვიდრე მისი ნიჭი იმსახურებდა. თუმცა ეს სიცილიური კულტურის განუყოფელი ნაწილი გახლდათ: ფიზიკურ ნაკლოვანებებს აქ მუდამ ტლანქი და დამამცირებელი მეტსახელებით აჯილდოებდნენ. ერთადერთი პიროვნება, ვინც ადონისის ნამდვილი ფასი იცოდა, უნივერსიტეტის რექტორი გახლდათ.

იმ წელს ჰექტორ ადონისის ცხოვრება უნდა შეცვლილიყო — სამხრეთ იტალიაში ომი უკვე დასრულებულად ითვლებოდა. ამერიკის ჯარმა სიცილია აიღო და კონტინენტზე გადავიდა. ფაშიზმი დამარცხდა, იტალია აღზვეებას ზეიმობდა; თოთხმეტი საუკუნის განმავლობაში პირველად მოხდა ისე, რომ კუნძულ სიცილიას ნამდვილი ბატონი აღარ ჰყავდა. მაგრამ ჰექტორ ადონისი კარგად იცნობდა ისტორიის ირონიას და მომავლისაგან დიდს არაფერს მოელოდა. მაფია უკვე ეპატრონებოდა სიცილიას. მისი ძალაუფლება სიმსივნესავით უსწრაფესად ედებოდა ქვეყანას და ნებისმიერ ოფიციალურ ხელისუფლებაზე უფრო დამღუპველად მოქმედებდა. თავისი კაბინეტის ფანჯრიდან ის უნივერსიტეტის შენობასა და ეზოს გაჰყურებდა.

სასწავლებელს საერთო საცხოვრებელი არ გააჩნდა, რადგან აქაური სასწავლო პროცესი ინგლისსა და ამერიკაში მიღებული საგან განსხვავდებოდა. სტუდენტების უმრავლესობა შინ, დაუსწრე-

ბლად მეცადინეობდა და დროდადრო იღებდა პროფესორებისაგან კონსულტაციებს. ლექციების გაცდენისათვის არაფერს ისჯებოდა, მთავარი გამოცდების ჩაბარება იყო. ამგვარი სისტემა ჰექტორ ადონისს შეურაცხყოფელ უგუნურებად მიაჩნდა, რადგან, მისი აზრით, სიცილიელებს სხვა ქვეყნის სტუდენტებზე უფრო მკაცრი დისციპლინაც კი ესაჭიროებოდათ.

ტაძრის სამრეკლოს მსგავსი კოშკურიდან ხედავდა, სხვადასხვა პროვინციიდან ჩამოსული მაფიის მეთაურები როგორ აკითხავდნენ უნივერსიტეტის პროფესორებს. ფაშისტური მმართველობის პერიოდში მაფიოზები მეტ სიფრთხილესა და თავმდაბლობას იჩენდნენ, ახლა კი, ამერიკის მიერ აღდგენილი დემოკრატიის პირობებში, წვიმიან დღეს მიწიდან ამომძვრალი ჭიაყელებით ამოეყოთ თავები დღის სინათლეზე. უწინდელი თავმდაბლობისა უკვე აღარაფერი ეტყობოდათ.

მაფიის უფროსობა, საზეიმოდ გამოწყობილი „მეგობართა მეგობრები“, სიცილიის მრავალრიცხოვანი სოფლის კლანების თავკაცები მდიდარ მემამულეთა ან მეგობრის შვილებისათვის პროტექციის გასაწევად მოდიოდნენ: ეს, როგორც წესი, ის სტუდენტები გახლდნენ, ვინც ძლიერი მფარველობის გარეშე დიპლომს ვერასოდეს ეღირსებოდნენ. დიპლომს კი განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭებოდა. აბა, სხვაგვარად როგორ უნდა მოეცილებინა ოჯახს თავიდან ვაჟი, რომელსაც არც ინტელექტი გააჩნდა, არც ნიჭი, არც ამბიციაც? მშობლებს მთელი ცხოვრების განმავლობაში მოუწევდათ მისი რჩენა. ხოლო უნივერსიტეტის მიერ გაცემული პერგამენტის ფურცლის, ანუ დიპლომის წყალობით ეს უსაქმურები მასწავლებლებად, ექიმებად, პარლამენტის წევრებად, უკიდურეს შემთხვევაში, დაბალი რანგის სახელწიფო მოხელეებად გახდომას შეძლებდნენ.

ამის შემხედვარე ჰექტორ ადონისი მხრებს იჩეჩდა და ისტორიაში პოულობდა ნუგეშს. მისი სათაყვანებელი ბრიტანელებიც ჯარის მთავარსარდლობას ასეთსავე მდიდართა შვილებს ანდობდნენ, ვისთვისაც მამები ყიდულობდნენ სამხედრო ჩინებსა და გემის კაპიტნის წოდებებს. მიუხედავად ამისა, იმპერია მაინც ყვაოდა. მართალია, ამ მხედართმთავრებს თავიანთი უმეცრების გამო ჯარისკაცები ისეთ სასაკლაოებზე მიჰყავდათ, რომლის თავიდან არიდებაც შესაძლებე-

ლი იყო, მაგრამ, უნდა ითქვას, რომ ისინიც თავიანთ ჯარისკაცებთან ერთად იხოცებოდნენ, რადგან სიმამაცე სისხლში ჰქონდათ. თავიანთი სიკვდილით ისინი სახელმწიფოს არაკომპეტენტური და უპასუხისმგებლო მოხელეებისაგან ათავისუფლებდნენ. იტალიელებს ბრიტანელთა კეთილშობილება და ცოვი გათვლა აკლდათ. მათ ყველაზე მეტად თავიანთი შვილები უყვარდათ. ცდილობდნენ, ისინი ყოველგვარი განსაცდელისაგან დაეცვათ, სახელმწიფო კი არ ადარდებდათ.

თავისი ფანჯრიდან აღონისი ერთდროულად მაფიის სამ შეფს ხედავდა, ეზოში მსხვერპლის მომლოდინე მხეცებივით რომ დაძრწოდნენ. მათ კეპიანი ქუდები და ტყავის მაღალყელიანი ფეხსაცმელები ეცვათ, მკლავებზე მძიმე ხავერდის ქურთუკები გადაეკიდათ, რადგან ჯერ კიდევ საკმაოდ თბილოდა. პროფესორებისათვის ძღვნად ხილით სავსე კალათები და ბამბუკშემოწნული ბოთლებით შინაური ღვინო მოეტანათ. პედაგოგთა უმრავლესობას სიცვიელები შეადგენდნენ. მათ კი შესანიშნავად ესმოდათ, რომ ძღვენზე უარის თქმა შეურაცხყოფად ჩაეთვლებოდათ.

ერთ-ერთ ბოსს, სწორედ ახლა რომ ადიოდა შენობის კიბეზე, ისეთი ხაზგასმულად ხალხური სამოსი ეცვა, რომ თავისუფლად შეეძლო ოპერის სცენაზე „სოფლის ღირსებაში“¹ მიეღო მონაწილეობა. ჰექტორ აღონისი დამცინავი ღიმილით მოემზადა ჩვეული კომედიის გასათამაშებლად.

იცოდა, ეს კაცი ვინც იყო. ბუჩილა ერქვა, მონტელეპრესთან ახლოს პატარა ქალაქ პარტინიკოში ფერმასა და ცხვრის ფარას ფლობდა. ბუჩილამ აღონისს ხელი ჩამოართვა და მძიმე კალათა გაუწოდა.

— იმდენი ხილი ცვივა ძირს და გვიფუჭდება, ვიფიქრე, ცოტაოდენს პროფესორს წავუღებ-მეთქი, — უთხრა ბუჩილამ. დაბალი, ჯმუხი კაცი იყო, გამუდმებული მუშაობისაგან ჯირკვივით გამაგრებული. აღონისმა იცოდა, ეს ადამიანი კარგი რეპუტაციით რომ სარგებლობდა. ადვილად შეეძლო თავისი ძალაუფლებით სიმდიდრე მოეხვეჭა, მაგრამ ძველი ყაიდის მაფიოზებს მიეკუთვნებოდა, სიმდიდრეზე მაღლა პატიოსან სახელს რომ აყენებდნენ.

¹ იტალიელი კომპოზიტორის, პიეტრო მასკანის (1863-1945) ოპერა.

ადონისმა სტუმარს ღიმილით გამოართვა ძღვენი. რომელ სიცილიელ გლეხს რჩებოდა ძირს ჩამოსაცვინი და გასაფუჭებელი მოსავალი? ზეთისხილის თითოეულ მარცვალს ასობით ბაჭში კალიებივით ესეოდა!

ბუჩილამ ოხვრა ამოუშვა. პროფესორს გულითადად უღიმოდა, მაგრამ ადონისს მშვენიერად მოეხსენებოდა, რომ ეს ღიმილი წამის მეთასხედში შეიძლებოდა რისხვად ქცეულიყო. პასუხად თვითონაც თბილად გაუღიმა. ბუჩილამ უთხრა:

— მაინც რა არის ცხოვრება! ფერმაზე უამრავი საქმე მქონდა, მაგრამ მეგობარმა მცირე დახმარების გაწევა მთხოვა და უარი ვერ ვუთხარი. აბა, როგორ მეთქვა: მამაჩემი მამამისს იცნობდა, პაპაჩემი — პაპამისს. ხასიათი მაქვს ასეთი და იქნებ მთელი ჩემი უბედურების თავიდათავი სწორედ ის იყოს, რომ მეგობარს უარს ვერ ვეუბნები. ბოლოს და ბოლოს, ყველანი ქრისტიანები არ ვართ?

ადონისმა რბილად მიუგო:

— ეს სიცილიელები ხომ არ ვიცვლებით. დიდსულოვნება გეჩვენია. რომიდან ჩამოსული ჩრდილოელები კი ამით სარგებლობენ.

ბუჩილა დაჟინებით დააკვირდა პროფესორს. მასთან სირთულეები არ უნდა შეჰქმნოდა. ხომ უთხრა ვიღაცამ, ეს პროფესორი „მეგობრების“ რიცხვს ეკუთვნისო? ყოველ შემთხვევაში, შიში არ ეტყობოდა. იქნებ სულაც „მეგობართა მეგობარიც“ იყო? მაგრამ მაშინ ეს უნდა სცოდნოდა. თუმცა „მეგობართა“ წრეში განსხვავებული დონეები არსებობდა. ყოველ შემთხვევაში, მის წინაშე ის ადამიანი იყო, ვისაც კარგად ესმოდა, რა გარემოში ცხოვრობდა.

— თქვენთან ერთი სათხოვარი მაქვს, — განაგრძო ბუჩილამ, — როგორც სიცილიელს სიცილიელთან. ჩემი მეზობლის ვაჟმა წლევიანდელი გამოცდები ვერ ჩააბარა. როგორც მითხრეს, თქვენ ჩაჭერით. მეზობელმა ეს რომ მითხრა, შევიცხადე: როგორ? სენიორ ადონისს ამქვეყნად ყველაზე გულკეთილ ადამიანად ვიცნობ. მას რომ მთელი ფაქტები სცოდნოდა, ასეთ რამეს არასოდეს ჩაიდენდა-მეთქი. ჰოდა, ტირილით მემუდარნენ, თქვენთვის ყველაფერი დაწვრილებით მომეყოლა. უმორჩილესი თხოვნით მოვედი, ბიჭს დამაკმაყოფილებელი ნიშნები დაუწეროთ, რათა მუშაობა და ლუკმაპურის შოვნა შეძლოს.

მისმა უზადოდ თავაზიანმა კილომ ჰექტორ ადონისი ვერ მოა-

ტყუა. ისევ და ისევ ბრიტანელების მაგალითზე იცოდა — შეიძლება, ისე ნატიფად მოგაყენონ შეურაცხყოფა, მხოლოდ რამდენიმე დღის შემდეგ მიხვდე, რომ მიწასთან გაგასწორეს. ინგლისელებისაგან განსხვავებით, უარის შემთხვევაში სენიორ ბუჩილა სიტყვას არ დასჯერდებოდა და ბნელი ღამით ტყვიასაც დაგახლიდა. ჰექტორ აღონისმა თავაზიანად გაუსინჯა გემო კალათაში ჩაწყობილ ზეთისხილსა და კენკრას.

— საიმისოდ ნუ გავწირავთ ახალგაზრდას, რომ ამ სასტიკ სამყაროში შიმშილით ამოხდეს სული, — თქვა ბოლოს, — რა გვარია?

როცა ბუჩილამ სტუდენტის გვარი უთხრა, აღონისმა მაგიდის უჯრიდან საქალაქადე ამოიღო და მოჩვენებითი დაკვირვებით გადაფურცლა. თუმცა, რა თქმა უნდა, მშვენივრად იცნობდა ჩაჭრილ სტუდენტს და ისიც იცოდა, მისი გვარი სად მოექებნა. ერთი ბრიყვი, გაუზრდელი და ვიგინდარა ახალგაზრდა გახლდათ. მას უფრო ეთქმოდა პირუტყვი, ვიდრე ბუჩილას ფერმის ცხვარს. უსაქმური, ქალების მუსუსი, ყოყონა, უწიგნური, რომელიც „ილიადას“ ვერგასგან¹ ვერ განასხვავებდა... მიუხედავად ამ ყველაფრისა, ჰექტორმა სტუმარს ტკბილად გაუღიმა და ყალბი გაოცებით წარმოთქვა:

— ოჰ, თურმე ერთ-ერთ საგანში სულ მცირე პრობლემა ჰქონია, მაგრამ ეს ადვილად მოგვარდება. უთხარით, მოვიდეს, აქვე მოვაშადებ და განმეორებით გამოცდას დავუნიშნავ. დარწმუნებული ვარ, ამჯერად წარმატებით ჩააბარებს.

ერთმანეთს ხელი ჩამოართვეს და სტუმარი გავიდა. რაღა მიჭირს, ახალი მეგობარი შევიძინეო, გაიფიქრა აღონისმა. ნეტავ რაში გამოიყენებს ამდენი უქნარა უნივერსიტეტის დიპლომს? 1943 წლის იტალიაში ამ თავიანთი დიპლომებით მხოლოდ უკანალს თუ გამოიწმენდენ და ყოვლად უღიმღამო არსებობის ჭაობში ჩაიძირებიან.

ტელეფონის ზარმა ფიქრებს მოსწყვიტა და სხვაგვარად გააღიზიანა. მოკლე ზარს პაუზა მოჰყვა, რის შემდეგაც კიდევ სამი მოკლე ზარი გაისმა, რაც იმას ნიშნავდა, რომ ტელეფონისტი ქალი ვილაცას ეჭორავებოდა და საკუთარი ლაპარაკის შუალედში დააჭირა

¹ ჯოვანი ვერგა, იტალიელი მწერალი (1840-1922).

თითი გადამრთველ ღილაკს. ამის გამო აღშფოთებულმა ადონისმა მოსალოდნელზე უფრო უხეშად ჩაჰყვირა ყურმილში: „Pronto!“

მისდა საუბედუროდ, სატელეფონო ხაზის მეორე ბოლოზე უნივერსიტეტის რექტორი იყო. თუმცა სხვა დროს პროფესიონალური თავაზიანობის მოყვარულს, ამჯერად ადონისის უხეშობისათვის არ ეცალა. აღელვებისა და შიშისაგან ხმა უთრთოდა, სიტყვებს ლამის ქვითინით ამოთქვავდა.

— ძვირფასო პროფესორო ადონის, თუ არ შეწუხდებით, იქნებ ჩემთან კაბინეტში მობრძანდეთ? უნივერსიტეტს სერიოზული პრობლემა შეექმნა, რომლის გადაჭრაც თქვენ გარდა არავის შეუძლია. ეს უაღრესად მნიშვნელოვანია. მერწმუნეთ, ძვირფასო პროფესორო, ვალში არ დაგრჩებით.

ადონისი ყველაზე მეტად ამ მუდარის კილომ შეაშფოთა. ნეტავ რას ელოდება მისგან ეს იდიოტი? ხომ არ ჰგონია, პალერმოს ტაძრის ქიმიდან გადახტება? საამისოდ თვითონ უფრო გამოდგება: სულ ცოტა ექვსი ფუტის სიმაღლის მაინც იქნება. ჰოდა, საიდანაც უნდა, იქიდან გადახტეს და ნუ მოეწლის თავისი დაქვემდებარებული პირისაგან, რომელსაც, ყველაფერთან ერთად, მთელ სიცილიაზე უმოკლესი ფეხები აქვს, მის მაგიერ გაისარჯოს. ეს რომ წარმოიდგინა, გუნება გამოუკეთდა და რექტორს რბილად შეეხმინა:

— იქნებ მიმახვედროთ, რა ხდება და გზად ვეცდები, გამოსავალი გამოვნახო.

— დიდმა დონ კროჩემ პატივი დაგვდო და გვესტუმრა, — ხმას დაუწია რექტორმა, — მისი დისშვილი სამედიცინო განყოფილებაზე სწავლობს და დონი გეთხოვს, კურსი ღირსეულად დაუასრულებინოთ. არადა, სამედიცინო კოლეჯის პროფესორი ახალგაზრდის გარიცხვას ითხოვს.

— ვინაა ეგ ბრიყვი? — იკითხა ჰექტორ ადონისმა.
— ახალგაზრდა დოქტორ ნატორე, — გაისმა პასუხად, — ფაკულტეტის ღირსეული წევრია, უბრალოდ, საზოგადოებრივ ურთიერთობებს ჯერჯერობით ალლო ვერ აუღო.

— ხუთ წუთში თქვენს კაბინეტში ვიქნები, — უთხრა ადონისმა. მთავარი შენობისაკენ ეზოს ბილიკზე რომ მიიჩქაროდა, ადონისი გამალებით ფიქრობდა, რა ელონა. რექტორი სირთულეს არ შექმნიდა: ასეთ შემთხვევებში ის მუდამ ითვალისწინებდა ადონი-

სის რჩევას. მთავარ სირთულეს დოქტორი ნატორე წარმოადგენდა. ადონისი მას კარგად იცნობდა. ამ ბრწყინვალე მედიკოსის სიკვდილი უდავოდ დიდი დანაკარგი იქნებოდა სიცილიისთვის, მისი სამსახურიდან დათხოვნა კი უნივერსიტეტს დააზარალებდა. და, რაც ყველაზე უფრო საწყენი გახლდათ, ეს კაცი უდრეკი პრინციპებითა და ჭეშმარიტი პატიოსნებით გამოირჩეოდა. მაგრამ დიდი დონ კროჩეს სახელი მასაც კი უნდა ჰქონოდა გაგონილი და მაგ გენიალურ ტვინში ერთი მისხალი საღი აზრი მაინც უნდა შერჩენოდა! ნამდვილად კიდევ რაღაცაში უნდა იყოს საქმე.

მთავარი კორპუსის წინ გრძელი შავი მანქანა იდგა, მის წინ საქმიან კოსტიუმებში გამოწყობილი ორი ყმაწვილი აყუდებულყო. ჩანს, დონ კროჩემ აკადემიურ გარემოს პატივი სცა და პირადი დაცვა გარეთ დატოვა. ადონისმა შენიშნა, მისი სიდაბლის, უნაკლო ჩაცმულობისა და ილღიაში ამოჩრილი პორტფელის დანახვაზე დაცვის წევრებს სახეებზე ჯერ გაოცება, შემდეგ კი ხალისი რომ აღებეჭდათ. გულისგამყინავი მზერა ესროლა, რითაც ორივენი კიდევ უფრო დააბნია. ალბათ, იმაზე იჭყლუტდნენ ტვინს, ასეთი ტანდაბალი კაცი როგორ შეიძლება „მეგობართა მეგობარი“ იყოსო.

რექტორის კაბინეტი ბიბლიოთეკას უფრო ჰგავდა, ვიდრე საქმიან ოთახს: კარგი მეცნიერი იყო, ადმინისტრატორად კი მაინცდამაინც არ ვარგოდა. კედლები მთლიანად წიგნებით გახლდათ დაფარული, ავეჯი მასიური იყო, თუმცა მყუდრო და მოსახერხებელი. დონ კროჩე ვეებერთელა სავარძელში იჯდა და ესპრესოს წრუპავდა. რექტორ ადონისმა გაიფიქრა, ამ კაცის სახე „ილიადაში“ აღწერილ გემის ცხვირს ჰგავს, ბრძოლებში დაჩეხილსა და მძვინვარე ზღვებში დაღარულს. დონმა არ შეიმჩნია, ადონისს რომ იცნობდა და პროფესორიც ისე გაეცნო, თითქოს ერთმანეთს მანამდე არ შეხვედროდნენ. ცხადია, რექტორმა მშვენივრად იცოდა, რომ ეს მხოლოდ ფარსი იყო, ახალგაზრდა დოქტორი ნატორე კი მოტყუვდა.

რექტორი უნივერსიტეტში ყველაზე მაღალი კაცი გახლდათ, რექტორ ადონისი კი — ყველაზე დაბალი. თავაზიანობის გამო რექტორი იმწამსვე სავარძელში ჩაჯდა და მხოლოდ ამის შემდეგ დაიწყო ლაპარაკი.

— მცირე გაუგებრობა გვაქვს, — წამოიწყო მან, რის პასუხადაც დოქტორმა ნატორემ აღშფოთებით ჩაიფრუტუნა, დონ კროჩემ

კი თანხმობის ნიშნად თავი დახარა. რექტორმა განაგრძო, — დონ კროჩეს დისშვილი ექიმობაზე ოცნებობს. დოქტორი ნატორე კი ამტკიცებს, რომ ახალგაზრდამ საკმარისი ქულები ვერ დააგროვა. ნამდვილი ტრაგედიაა. დონ კროჩე თავად მობრძანდა და თავისი დისშვილის პრობლემაზე გვესაუბრა. რადგანაც დონ კროჩემ ჩვენი უნივერსიტეტისათვის ასე ბევრი გააკეთა, ვიფიქრე, იქნებ ამ საქმეს რაიმე ეშველოს-მეთქი.

დონ კროჩემ სარკაზმის გარეშე, ძალზე გულითადად წარმოთქვა:

— მე თვითონ გაუნათლებელი ვარ, თუმცა ჩემზე ვერავინ იტყვის, ბიზნესში წარმატებას ვერ მიაღწიაო, — ცხადია, გაიფიქრა პექტორ აღონისმა, ვისაც მინისტრების მოსყიდვა, მკვლევობების შეკვეთა, მაღაზია-ფაბრიკების მეპატრონეების დატერორება შეუძლია, იმას წერა-კითხვის ცოდნა არაფერში სჭირდება. დონ კროჩემ განაგრძო: — ჩემს გზას გამოცდილებით მივაკვლიე. რატომ არ შეუძლია ჩემს დისშვილს იმავეს გაკეთება? ჩემი საბრალო და დარდს გადაჰყვება, თუკი მის ვაჟს საბუთებში სიტყვა „დოქტორი“ არ ეწერება. ჩემი და ჭეშმარიტი მორწმუნეა და სულ იმაზე ოცნებობს, მსოფლიოს რამით დაეხმაროს.

დოქტორმა ნატორემ ალაღმართალი ადამიანისათვის დამახასიათებელი სიმტკიცით წარმოთქვა:

— ჩემს პოზიციას არ შეეცვლი.

დონ კროჩემ ამოიოხრა და რბილი შეპარვით ჩაეკითხა:

— ასეთი რა უნდა დააშავოს ჩემმა დისშვილმა? მე მას სახელმწიფო სამსახურში, სამხედრო ჰოსპიტალში ან მოხუცებულთა თავშესაფარში მოუაწყობ სამუშაოდ. ბებრებს ხელს ჩასჭიდებს, მათ გასაჭირს თანაგრძნობით დაუგდება ყურს. ისეთი გულკეთილია, ყველას მოხიბლავს. მხოლოდ თქვენს ქალაქებში ორიოდე წვრილმანის შეცვლას გთხოვს, მეტს ხომ არაფერს? — დონ კროჩემ ზიზღით გადახედა წიგნების თაროებით გავსებულ კედლებს.

აღონისი დონის თვინიერმა კილომ შეაშფოთა: ასეთი კაცისაგან ეს მუქარას უდრიდა. ისიც გაიფიქრა, რომ დონ კროჩე ასეთი პოზიციით არაფერს კარგავდა: როგორც კი ღვიძლი ოდნავ შეაწუხებდა, მაშინვე შვეიცარიის რომელიმე კლინიკაში გადააფრენდნენ. აღონისმა იცოდა, რომ პრობლემა თვითონ უნდა გადაეჭრა.

— ჩემო კარგო დოქტორო ნატორე, — წამოიწყო მან, — დარწ-

მუნებელი ვარ, რომ გამოსავალი მოიძებნება. ცოტაოდენს ინდოი-
დუალურად წავამეცადინებთ, შემდეგ კი საქველმოქმედო საავადმ-
ყოფოში დაუნისნავთ პრაქტიკას...

დოქტორი ნატორე პალერმოში დაიბადა, მაგრამ სიცილიელს
სულაც არ ჰგავდა. პატიოსანი და გამბედავი იყო და გაბრაზებას
არ მალავდა: არც ერთი სიცილიელი ამ საშიშ ვითარებაში ასე არ
მოიქცეოდა. ეს უსათუოდ ძველი დროის რომელიმე ნორმანისაგან
მიღებული უჯიშო გენების ბრალი იქნებოდა.

— თქვენ არაფერი გესმით, პროფესორო ადონის, ამ ბრიყვს
დაუჩემებია, ქირურგობა მინდაო.

ღმერთო დიდებულო, ყოვლადწმინდა ღვთისმშობელო, — გაიფი-
ქრა ადონისმა — საშველი არ არის!

დოქტორმა ნატორემ იმით ისარგებლა, რომ მის კოლეგას სახე
გაეყინა და ხმა ჩაუვარდა, და განაგრძო:

— თქვენს დისშვილს ანატომიისა არაფერი გაეგება. გვამი ისე
გაკვეთა, გეგონებათ, ცხვარიო. შეცადინეობებს გამუდმებით აც-
დენს, გამოცდებისათვის არ ეშხადება, საოპერაციოში ისე შემო-
დის, თითქოს საცეკვაო კლუბში მოვიდაო. ვაღიარებ, ძალიან სიმ-
პათიური ახალგაზრდაა, ბუზს არ ააფრენს, მაგრამ ჩვენ ხომ, ბო-
ლოს და ბოლოს, იმ კაცის ბედს ვწყვეტთ, რომელსაც ადრე თუ
გვიან ადამიანის სხეულის სკალპელით გაკვეთა მოუწევს.

ადონისმა ზუსტად იცოდა, რას ფიქრობდა ამ დროს დონ კროჩე-
ვის რაში ადარდებდა ის, რამდენად ცუდი ქირურგი გამოვიდოდა
ამ ბიჭისაგან? უნივერსიტეტს თუ ვერ დაამთავრებდა, ეს ოჯახური
პრესტიჟის შელახვას უდრიდა. რაგინდ უვარგისი ქირურგი გამო-
სულიყო, იმაზე მეტ ადამიანს ხომ მაინც ვერ დახოცავდა, რამდენიც
ბიძამისს დაუხოცავს. არც ის გამოჰპარვია, რომ დოქტორმა ნა-
ტორემ უყურადღებოდ დატოვა დონ კროჩეს დათმობა: კი ბატონო,
ქირურგი ნუ იქნება, ოღონდაც სამედიცინო დიპლომი ჰქონდესო.

ასე რომ, დრო იყო, ჰექტორ ადონისს ემოქმედა.

— დიდად პატივცემულო დონ კროჩე, — წამოიწყო მან, — დარწ-
მუნებელი ვარ, დოქტორ ნატორეს დათანხმებას შევძლებთ. მაგრამ
საიდან დაებადა თქვენს დისშვილს ეს რომანტიკული იდეა, გინდა
თუ არა, ქირურგი უნდა გავხდეთ? თქვენ ამბობთ, გულკეთილიაო,

ყველა ქირურგი კი ბუნებით სადისტია. დაფიქრდით, სიცილიაზე საკუთარი ნებით ვინ დაწვება დანის ქვეშ? — წუთით დადუმდა და შემდეგ განაგრძო, — თანაც, ჩვენ რომ ქირურგის დიპლომი მოვცეთ, რომში მოუწევს პრაქტიკის გავლა, რომაელები კი ყველანაირად შეეცდებიან სიცილიელის დაჩაგვრას. ამით თქვენს დისშვილს ცუდ სამსახურს გაუწევთ. მე კი კომპრომისს გთავაზობთ.

დოქტორმა ნატორემ ჩაიბურტყუნა, კომპრომისი დაუშვებელიაო. დონ კროჩეს ხვლიკისებრ თვალებში პირველად გაიელვა უკეთურმა ნაპერწკალმა. დოქტორი ნატორე დადუმდა, ჰექტორ ადონისმა კი სასწრაფოდ განაგრძო:

— თქვენი დისშვილი მკურნალი ექიმის დიპლომს მიიღებს და არა ქირურგისას. ვთქვათ ასე: გულჩვილობის გამო ის ადამიანის გაჭრას ვერ შეძლებს.

დონ კროჩემ მკლაუები გაშალა და ტუჩები ცომა ღიმილმა მოურკალა.

— ქედს ვიხრი თქვენი ლოგიკისა და საღი აზრის წინაშე, — უთხრა მან ადონისს, — ასე იყოს: ჩემი დისშვილი ქირურგი კი არა, უბრალო ექიმი იქნება და ჩემს დას ამით დაკმაყოფილება მოუწევს, — რაკი თავისას მიაღწია, ყველას სასწრაფოდ გამოემშვიდობა. ამაზე მეტის იმედი არც ჰქონია. რექტორმა მანქანამდე ჩააცვილა. მაგრამ ოთახში მყოფებმა შენიშნეს, როგორი ძხერა ესროლა დონ კროჩემ წასვლისას დოქტორ ნატორეს. წამით ისეთი დაჟინებით ჩააკვირდა, თითქოს სამუდამოდ სურდა იმ კაცის სახის დამახსოვრება, ვინც მის ნებას წინ აღუდგა.

კაბინეტიდან გასვლის შემდეგ ჰექტორ ადონისი დოქტორ ნატორეს მიუბრუნდა და უთხრა:

— ძვირფასო კოლეგავ, გიჯობთ უნივერსიტეტიდან წახვიდეთ და პედაგოგიური საქმიანობა რომში განაგრძოთ.

— ხომ არ შეიშალეთ? — გაცხარდა ნატორე.

— მერწმუნეთ, თქვენზე მეტად არ შევშლილვარ, — მიუგო ადონისმა, — დაჟინებით გთხოვთ, ამ საღამოს ჩემთან ერთად ისადილოთ და ვეცდები აგიხსნათ, თუ რატომ არ ჰგავს ჩვენი მშობლიური სიცილია ედემის ბაღს.

— კი მაგრამ, აქაურობა რატომ უნდა დავტოვო? — არ ცხრებოდა ნატორე.

— იმიტომ, რომ დონ კროჩე მალღოს უარი უთხარით. ამიერიდან სიცილია თქვენ ორს ველარ დაგიტევთ.

— ხომ მაინც გაიტანა თავისი! — სასოწარკვეთილმა შესძახა ნატორემ, — მისი დისშვილი ექიმი გახდება. რექტორმა და თქვენ ხომ დაუთმეთ.

— ჰო, მაგრამ თქვენ არ დაგიტმიათ, — მიუგო ჰექტორ ადონისმა, — ჩვენ მას საკუთარი და თქვენი სიცოცხლის გადასარჩენად დავუთმეთ. მაგრამ თქვენ ამიერიდან მაინც შავ სიაში ხართ შეტანილი.

იმ საღამოს ჰექტორ ადონისმა პალერმოს ერთ-ერთ საუკეთესო რესტორანში გაუწია მასპინძლობა ექვს პროფესორს, მათ შორის, დოქტორ ნატორესაც. თითოეულ ამ პროფესორს იმ დღეს „პატოცემული კაცი“ ეწვია და თითოეული მათგანი დათანხმდა ჩამორჩენილი სტუდენტისათვის ქულების წამატებას. დოქტორმა ნატორემ მათი ნაამბობი აღშფოთებით მოისმინა და ბოლოს შესძახა:

— კი, მაგრამ სამედიცინო სასწავლებელში ამგვარი რამ დაუშვებელია! ჩვენ ხომ ექიმებს ვზრდით! — რის შემდეგაც დანარჩენმა სტუმრებმა მოთმინება დაკარგეს. ფილოსოფიის პროფესორმა ჰკითხა, რატომ არის მედიცინა კაცობრიობისათვის უფრო მნიშვნელოვანი, ვიდრე აზროვნების პროცესები და უკვდავი სულის სისპეტაკეო. სადილის დასასრულს დოქტორი ნატორე დათანხმდა უნივერსიტეტის დატოვებასა და ბრაზილიაში გამგზავრებაზე, სადაც, როგორც დაარწმუნეს, კარგი ქირურგი ნაღვლის ბუშტის ოპერაციებით გამდიდრდებოდა.

იმ ღამით ჰექტორ ადონისმა ვალმოხდილი კაცის ძილით დაიძინა. მაგრამ მეორე დღით მონტელეპრედან დაურეკეს: მის ნათლულ ტორი ჯულიანოს, ვის განათლებაზეც თავად იზრუნა და ვის სათნოებასაც მუდამ აფასებდა, პოლიციელი მოუკლავს.

თავი 3

მონტელეპრე კამარატას მთიან ხეობასა და სიღარიბეში ღრმად ჩაფლული შვიდიათასკაციანი ქალაქი იყო.

იმ დღეს, 1943 წლის 2 სექტემბერს, ქალაქელები დღესასწაულისათვის ემზადებოდნენ, რომელიც მომდევნო დღეს უნდა დაწყებულიყო და, ჩვეულებისამებრ, სამ დღეს გასტანდა.

„ფესტად“ წოდებული ამგვარი დღესასწაული პატარა ქალაქების ცხოვრებაში უდიდეს მოვლენას წარმოადგენს: აღდგომაზე, შობაზე, ახალ წელზე, ომის დასრულების წლისთავსა თუ ეროვნული გმირის დაბადების დღეზე უფრო მნიშვნელოვანს. „ფესტა“ ქალაქის მფარველი წმინდანის მოხსენიების დღე გახლავთ. ეს ერთადერთი ძირძველი ტრადიცია იყო, რისი გაუქმებაც მუსოლინის ფაშისტურმა მთავრობამაც კი ვერ გაბედა.

ამ ყოველწლიური „ქალაქობების“ ორგანიზება ყველაზე პატრიცეპულ ქალაქელთაგან დაკომპლექტებულ „დიდ სამეულს“ ევალებოდა. ამ სამი პირის მივლენილი შერიფები კარდაკარ დადიოდნენ და ყოველი ოჯახისაგან ისეთ შეწირულობას აგროვებდნენ, რისი საშუალებაც ჰქონდათ. გარდა ამისა, შერიფები ქუჩაშიც იგზავნებოდნენ შეწირულობის ასაკრეფად.

დიადი დღის მოახლოებასთან ერთად სამეული მთელი წლის განმავლობაში დაგროვილი ფონდის ხარჯვას იწყებდა: ქირაობდა და მუსიკალურ ორკესტრსა და გამრთობ ჯამბაზს; სამი საზეიმო დღის განმავლობაში გასამართი დოლისათვის უხვ ფულად პრემიებს აწესებდა; ქირაობდა დეკორატორებსაც, რომლებიც ისეთნაირად რთავდნენ ეკლესიასა და ქუჩებს, რომ უღიმღამო ქალაქი შუა საუკუნეების ციხესიმაგრეს დამსგავსებოდა. იგეგმებოდა თოჯინების თეატრის წარმოდგენებიც; მეღუქნეები ქუჩებში საკვების დახლებსა და ჯიხურებს დგამდნენ.

მონტელეპრეს მცხოვრებლები „ფესტას“ თავიანთი გასათხოვარი ქალიშვილების საჩვენებლად იყენებდნენ; წინდაწინ იკერებოდა ახალი სამოსი, იგეგმებოდა, ვინ გაჰყვებოდა გოგონას დღესასწაულზე. ქალაქგარეთ პალერმოდან ჩამოსული მეძავეების დასი შლიდა ვეება კარავს, რომლის თეთრად, წითლად და მწვანედ დაზოლილ ქსოვილს მათი პროფესიული ლიცენზიები და სამედიცინო ცნობები ამშვენებდა. სახელგანთქმულ წმინდა მამას, რომელსაც წლების წინათ სტიგმები გამოაჩნდა, საგანგებოდ იწვევდნენ საქადაგოდ. დაბოლოს, მესამე დღეს ქალაქის ქუჩებში საზეიმოდ გამოაბრძანებდნენ წმინდანის ქანდაკებას, რომელსაც ყველა მცხოვრები მიჰყვებოდა თავიანთი პირუტყვის — ჯორების, ვირების, ცხენებისა და ღორების თანხლებით. ქანდაკებას ყვავილები, ფერად-ფერადი

ტკბილეული, მონეტები და ბამბუკშემოწნული დიდი ღვინის ბოთლები ამკობდა.

ეს სამი დღე მათი ცხოვრების მწვერვალი გახლდათ. მერე რა, რომ წლის დანარჩენ დროს შიმშილისაგან ლამის სული ამოხდომოდათ და, სადაც წმინდანს გამოაბრძანებდნენ, იმავე მოედანზე შემამულეს დღეში ას ლირად სთავაზობდნენ საკუთარ ოფლსა და ჯაფას.

ზეიმის პირველ დღეს ტორი ჯულიანოს დაევალა გახსნის ცერემონიაში მიელო მონაწილეობა, რომელსაც, სხვათა შორის, ქალაქის სასწაულებრივი ჯორის საჯიშე ვირთან შეჯვარების რიტუალიც შეადგენდა. ზოგადად, მდედრი ჯორის დაორსულება ძალზე იშვიათია, ულაყისა და დედალი ვირის ეს ნაშიერი უნაყოფო ცხოველად ითვლება. მაგრამ მონტელეპრეში ჰყავდათ ასეთი საოცარი დედალი ჯორი, რომელსაც ორი წლის წინათ ჩოჩორი ეყოლა, და მისი პატრონი დათანხმდა, მომდევნო დღესასწაულზე თავისი ჯორი შესაჯვარებლად გამოეყვანა და, თუკი სასწაული მოხდებოდა, მისი ნაყოფიც ქალაქის მფარველი წმინდანისათვის შეეწირა. ამაში ერთგვარი დაცინვაც იგულისხმებოდა.

თუმცა რიტუალური შეჯვარება მხოლოდ დაცინვას როდი შეიცავდა. სიცილიელი გლეხი თავის პირუტყვს შვილივით თავს ევლებდა. მისი ჯორი და ვირი მასავით მშრომელი და პირქუში არსებები არიან, მასავით დილიდან საღამომდე თავდაუზოგავად შეუძლიათ შრომა, განსხვავებით უფრო ფაქიზი ცხენისაგან, რომელსაც მოფრთხილება სჭირდება. ფეხებიც უფრო მაგარი აქვთ და ჯიშთან, ნატიფ ბედაურზე უკეთ შეუძლიათ მთის ბილიკებზე გავლა. გლეხს თავის ვირსა და ჯორთან კიდევ ისიც აერთიანებს, რომ სამივე ისეთ საკვებს სჯერდება, ყველა დანარჩენ ადამიანსა და ცხოველს რომ კლავს. ყველაზე მეტად კი ის აერთიანებთ, რომ სამივე მოწიწებით მოპყრობას ითხოვს, წინააღმდეგ შემთხვევაში, ჯიუტდება და ერთობ ავ ზნეს ამჟღავნებს.

კათოლიკური საეკლესიო დღესასწაულები უძველესი წარმართული რიტუალებიდან იშვა, რითაც ღვთაებას სასწაულს შესთხოვდნენ. 1943 წლის სექტემბრის იმ საბედისწერო დღეს მონტელეპრეში ისეთი სასწაული მოხდა, არცთუ დიდი ხნის შემდეგ მისი შვიდი ათასივე მცხოვრების ბედი რომ შეცვალა.

ოცი წლის ტორი ჯულიანო ყველაზე ვაჟკაც, პატიოსან, ღონიერ ახალგაზრდად ითვლებოდა, ვისაც ყველანი პატივს სცემდნენ. ეს იმას ნიშნავდა, რომ სხვებს პატიოსნად ეპყრობოდა და არც საკუთარ შეურაცხყოფას შეარჩენდა ვინმეს.

სულ ცოტა ხნის წინ თავი იმით ისახელა, რომ მოსავლის აღებისას უარი უთხრა მეძამულის მოურავს შეურაცხმყოფელად უბადრუკი გასამრჯელოს ფასად მინდორში მუშაობაზე. საჯაროდ გამოვიდა და სხვა გლეხებსაც მოუწოდა, სამუშაოდ არ წასულიყვნენ, — დაე, მოსავალი მინდორში დამპალიყო. მეძამულის დავალებით ის პოლიციამ დააკავა. დანარჩენი გლეხები სამუშაოს დაუბრუნდნენ. ჯულიანოს არც გლეხებისათვის და არც პოლიციელებისათვის გამოუმჟღავნებია თავისი ბრაზი. არც მაშინ უყრია ვინმეზე ჯავრი, როცა ჰექტორ აღონისის შუამდგომლობით გაათავისუფლეს. მისთვის ისიც კმაროდა, რომ საკუთარი პრინციპები დაიცვა.

სხვა დროს, როცა ასპანუ პიშოტა ერთ ახალგაზრდას დანებით წაეჩხუბა, სრულიად უიარაღო ჯულიანო შუაში ჩაუდგა და კეთილი შეგონებით გააშველა.

საოცარი ის გახლდათ, რომ ნებისმიერ სხვა პიროვნებას იმავე ქმედებებს კაცთმოყვარეობას ამოფარებულ სილაჩრედ ჩაუთვლიდნენ, მაგრამ ჯულიანოს რაღაც ისეთი ახასიათებდა, ამგვარ განწყობას რომ გამორიცხავდა.

სექტემბრის იმ მეორე დღეს სალვატორე ჯულიანო, რომელსაც ნაცნობ-მეგობრები ტორის ეძახდნენ, გამალებით ფიქრობდა იმაზე, რამაც მის ვაჟკაცობას გამანადგურებელი დარტყმა მიაყენა.

არადა, ეს სულ უმნიშვნელო რამ იყო. მონტელეპრეში არც კინოთეატრი არსებობდა, არც კლუბი, მხოლოდ — მომცრო კაფე ბილიარდის მაგიდით. წინა საღამოს ჯულიანო, მისი დეიდაშვილი გასპარე „ასპანუ“ პიშოტა და კიდევ რამდენიმე ახალგაზრდა ბილიარდს თამაშობდნენ. უფროსი თაობის ქალაქელი მამაკაცები ღვინოს სვამდნენ და თან მათ თამაშს ადევნებდნენ თვალს. ერთ-ერთი მათგანი, გვიდო კინტანა, ოდნავ შეზარხოშებული გახლდათ. ამ კაცს ყველანი პატივს სცემდნენ, რადგან მუსოლინის დროს დაპატიმრებული იყო, როგორც მაფიასთან თანამშრომლობაში ეჭვიმითანილი. კუნძულზე ამერიკული ხელისუფლების დამკვიდრების შემდეგ

ის გაათავისუფლეს, ფაშიზმის მსხვერპლად შერაცხეს და, როგორც ამბობდნენ, მონტელეპრეს მერად არჩეასაც კი უპირებდნენ.

ყველა სიცილიელის მსგავსად, ტორი ჯულიანოც კარგად იცნობდა მათვის სასწაულებრივ ყოვლისშემძლეობას. თავისუფლების ამ ორიოდე თვის მანძილზე ის დემოკრატიის ნოყიერ ნიადაგზე გაღვივდა და მთელ ქვეყანას მოედო. ქალაქში უკვე ისმოდა მითქმამოთქმა იმის თაობაზე, რომ მაღაზიის მეპატრონეები მავან „პატივცემულ პირებს“ „მფარველობის“ საფასურს უხდიდნენ. ცხადია, ტორის მრავალი ამბავიც სმენია იმ გლეხების მკვლელობაზე, ვინც ძლევამოსილი მემამულეებისაგან გასამრჯელოს აღებას შეეცადა. მუსოლინის მოსვლამდე მათიას მძლავრად მოემწყვდია კუნძული თავის კლანჭებში, მაგრამ ფაშისტების ბელადმა ყველას კისერი მოუგრიხა, ისევე, როგორც მომაკვდინებელი გველგესლა კბენს თავისზე უფრო სუსტ რეპტილიებს. ამგვარად, ტორი ჯულიანო შესანიშნავად ხვდებოდა იმას, რომ მომავალი კიდევ უფრო დიდ საფრთხეს უშზადებდა სიცილიელებს.

კინტანამ ჯულიანოსა და მის მეგობრებს ოდნავ ზიზღნარევი მზერა შეაჯლო: შესაძლოა, მათმა ხალისიანმა გუნება-განწყობამ გააღიზიანა. თვითონ სერიოზული კაცი იყო და ახლადა შედიოდა თავისი ცხოვრების გადამწყვეტ ფაზაში: მუსოლინის მიერ უკაცრიელ კუნძულზე გადასახლების შემდეგ, ის-ის იყო, მშობლიურ ქალაქს დაბრუნებოდა. მომდევნო თვეების განმავლობაში თანამოქალაქეთა პატივისცემის მოპოვებას აპირებდა.

ან, შესაძლოა, ჯულიანოს სილამაზემ გააღიზიანა: გვიდო კინტანა უაღრესად შეუხედავი კაცი გახლდათ. იმდენად სახის რომელიმე ნაკვეთით კი არ იყო შემზარავი, არამედ იმის გამო, რომ გამუდმებით ცდილობდა, გარშემომყოფნი მრისხანე გამომეტყველებით დაეფრთხო. ან, იქნებ, ეს ბოროტმოქმედის ინსტინქტური სიძულვილი გახლდათ მის მიმართ, ვინც გმირად იყო დაბადებული?

ასე თუ ისე, უეცრად წამოდგა და ბილიარდის მაგიდის მეორე ბოლოსკენ რომ გაიარა, ჯულიანოს მტკივნეულად ჰკრა იდაყვი. ტორიმ უფროსი ადამიანისადმი მოწიწება გამოამჟღავნა და გულწრფელი თავაზიანობით მოუბოდიშა. გვიდო კინტანამ ახალგაზრდა აათვალიერ-ჩაათვალიერა და აგდებით ჰკითხა:

— შინ რატომ არ ხარ, რად არ გძინავს, ხვალ დროულად რომ

შეძლო ლუკმაპურის საშოვნელად გასვლა? ჩემი მეგობრები უკვე ერთი საათია, ბილიარდის გათავისუფლებას ელოდებიან, — მერე ხელი გამოიწვდინა, ტორის კია გამოართვა და გესლიანი ღიმილით ცხვირწინ აუქნია, აქაოდა, დროზე აქედან დაიკარგეო.

ამ სცენას ყველა შესცქეროდა. შეურაცხყოფა მთლად მომაკვდინებელი არ ყოფილა. უფრო ახალგაზრდა კაცს მისთვის ამაზე მძიმე შეურაცხყოფა რომ მიეყენებინა, მაშინ ჯულიანოს თავისი ღირსების აღსადგენად ჩხუბი მოუწევდა. ასპანუ მუდამ თან დაატარებდა ჯიბის დანას და ახლაც ისეთნაირად დადგა, რომ კინტანას მეგობრები მოეგერიებინა, თუკი ისინიც შეტევაზე გადმოვიდოდნენ. პიშოტა ასაკოვან ხალხს პატივს არ სცემდა და თავისი მეგობრისგანაც იმავეს მოელოდა.

მაგრამ იმწუთას ჯულიანომ აუხსნელი უხერხულობა იგრძნო. ეს კაცი გამომწვევად უძწერდა და, ჩანდა, შელაპარაკების ნებისმიერი შედეგისათვის იყო მზად. მის ზურგს უკან მისიანები, ასევე, ასაკოვანი ხალხი, ისე იღიმოდნენ, თითქოს არც მათ ეეჭვებოდათ კამათის ჩხუბით დასრულება. ერთ-ერთი სანადიროდ იყო აღჭურვილი და თოფიც თან ჰქონდა. ჯულიანო უიარალო იყო და წამით ყოვლად სამარცხვინო შიშმა შეიპყრო. ის როდი აშინებდა, რომ დანას დაარტყამდნენ ან თოფს ესროდნენ, ანდა ის, რომ მოწინააღმდეგე მასზე ძლიერი აღმოჩნდებოდა. იმან შეაშინა, რომ ცხადად დაინახა: ეს კაცები ვითარებას განგებ ძაბავდნენ, იცოდნენ, რასაც სჩადიოდნენ, თვითონ კი არ იცოდა. შეეძლოთ, შინისაკენ მიმავალი, მონტელეპრეს ბნელ ქუჩებში თოფით ჩაეცხრილათ. პარტიზანის თანდაყოლილმა ალლომ უბიძგა, უკან დაეხია.

ტორი ჯულიანომ მეგობარს სახელოზე მოქაჩა და კაფედან გარეთ გაიყვანა. პიშოტა უყოყმანოდ გაჰყვა. მართალია, ტორის ასე იოლად უკან დახევამ გააკვირვა, მაგრამ მის ვაჟკაცობაში არ დაეჭვებულა. იცოდა, გულკეთილი რომ იყო და იფიქრა, წვრილმანის გამო არ სურს, სხვას რაიმე დაუშავოსო. მთავარ ქუჩას თავიანთი სახლებისაკენ რომ გაუყვნენ, დარბაზიდან ბილიარდის ბურთების ხმა გაიგონეს.

იმ ღამით ტორი ჯულიანომ ვერ მოისვენა. ნუთუ, მართლაც შეუშინდა ამ კაცის მრისხანე მზერასა და ზორობა ტანს? გოგონასავით აკანკალდა? იქნებ, ახლა ყველანი დასცინოდნენ? ნეტავ, რა

იფიქრა მისმა უახლოესმა მეგობარმა და ნათესაუმ? ვაითუ, ლაჩრად თვლის და ფიქრობს, ტორი ჯულიანო, მონტელეპრეს ახალგაზრდების წინამძღოლი, ყველაზე უშიშარი და ღონიერი, ნამდვილ მამაკაცთან პირველსავე შეტაკებისას შეშინდაო? მეორე მხრივ, დარწმუნებული იყო, რომ ბილიარდის თამაშისა და თავისზე უფროსი კაცის უხეშობის გამო ნამდვილად არ ღირდა მოსისხლე მტრობის გაღვივება. იცოდა, რომ ამჯერად საქმე ისე იოლად ვერ დასრულდებოდა, როგორც თანატოლებს შორის ჩხუბის შემთხვევაში. საკუთარი შიშის მიზეზსაც ჩასწვდა: კინტანა და მისი ამფსონები „მეგობართა მეგობრებს“ ემხრობოდნენ.

დილით ჯულიანო უძილო და უგუნებო წამოდგა საწოლიდან, რაც ახალგაზრდა მამაკაცებში განსაკუთრებით საშიშ მდგომარეობას წარმოადგენს. საკუთარი თავი სასაცილოდ და უბადრუკად მიაჩნდა. ყველა ახალგაზრდის მსგავსად, მასაც გმირობა სურდა. იტალიის რომელიმე სხვა რეგიონში რომ ეცხოვრა, უკვე დიდი ხნის წინ ჩაეწერებოდა ჯარში, მაგრამ ჭეშმარიტ სიცილიელს ეს არ ეკადრებოდა, ამიტომ მისმა ნათლიამ, ჰექტორ ადონისმა, იმაზე იზრუნა, რომ ჯულიანო სამხედრო ვალდებულების მოსახდელად არ გაეწვიათ. იტალია ადმინისტრაციულად კი განაგებდა სიცილიას, მაგრამ, მიუხედავად ამისა, სიცილიელებს არასოდეს მიაჩნდათ თავი იტალიელებად. თანაც, სიმართლე თუ გინდათ, არც იტალიელ მთავრობას ეხატებოდა გულზე სიცილიელი ახალწვეულნი, განსაკუთრებით ომის უკანასკნელ წელიწადს: სიცილიელებს მეტისმეტად ბევრი ნათესავი ჰყავთ ამერიკაში, გარდა ამისა, უკლებლივ ყველანი ბუნებით კრიმინალები და დეზერტირები არიან, ახალ საომარ ტექნიკას ძნელად ითვისებენ და თავის გარშემო ყველგან პრობლემებს ქმნიან.

ქუჩაში გასულმა ტორიმ თანდათან იგრძნო, რომ მშვენიერი ამინდის წყალობით გუნება გამოუკეთდა. მზე კაშკაშებდა, ლიმონისა და ზეთისხილის ხეები საამო სურნელს აფრქვევდა. ბიჭს გულით უყვარდა თავისი ქალაქი, მისი დაკლაკნილი ქუჩაბანდები, ქვის სახლები, უხვი სიცილიური ყვავილებით შემკული აივნები. უყვარდა ქალაქის ბოლომდე გადაჭიმული წითელი კრამიტის სახურავები, რომლებსაც მზის შუქი თხევად ოქროსავით ეღვრებოდა.

საზეიმო დეკორაციები — მაღაზიებისა და საცხოვრებელი სახლების ფასადებზე ჩამოკიდებული მუყაოს წმინდანები და ქალღმრთის ყვავილები — სიცილიური ქალაქის ჩვეულ სილატაკს ფარავდა. კლდეებს შორის მორცხვად მიმალულ, თუმცა ზღვის დონიდან ამაყ სიმაღლეზე მდგარ მის მოკაზმულ სამ-ოთხოთახიან სახლებში, ადამიანებთან ერთად, როგორც წესი, პირუტყვიც ბინადრობდა. სახლების უმრავლესობას სანიტარული წერტილები არ გააჩნდა და ყვავილების სურნელი და მთის ნიაჟიც კი ვერ ახშობდა მზის მცხუნვარებასთან ერთად მომძლავრებულ სიმყრალეს.

კარგ ამინდში ხალხი ღია ცის ქვეშ ცხოვრობდა. ქალები ტერასებზე ხის სავარძლებში ისხდნენ და სადილს აშხადებდნენ, სუფრასაც იქვე, ეზოში, შლიდნენ. პატარები ქუჩებში ქათმებს, ინდაურებსა და თხებს დასდევდნენ; უფრო მოზრდილები კალათებს წნავდნენ. მთავარი ქუჩის ბოლოს, მოედნამდე არმისული, ბერძნების მიერ ორი ათასი წლის წინათ ამოკვეთილი დემონისსახიანი შადრევანი იდგა, რომლის ეშვებიანი ქვის ხახიდან წყაროს წყალი ჩქეფდა. ქალაქის გარს შემოჯარულ ფერდობებზე ტერასებად იზრდებოდა ხეხილის ბაღები. დაბლა, ხეობაში მოჩანდა მეზობელი ქალაქები — პარტინიკო და კასტელამარე. ქალაქი კორლეონე ჰორიზონტს მიღმა ავბედითად ჩასაფრებულიყო.

მთავარი ქუჩის შორეულ ბოლოში, სადაც კასტელამარეს ველისაკენ მიმავალი შარაგზა იწყებოდა, ჯულიანომ ასპანუ პიშოტა დალანდა, რომელიც მომცრო ტანის ვირს მიერეკებოდა. წამით შეწუხდა, ნეტავ, გუშინდელი დამცირების შემდეგ მეგობარი როგორ მომეპყრობაო. ასპანუ თავისი ბასრი ენით იყო ცნობილი. რაიმე იქედნურს ხომ არ იტყოდა? ჯულიანო კვლავ უღონო ბრაზმა შეიპყრო და საკუთარ თავს უთხრა, მომავალში ასეთ შეცდომას აღარ დაუშვებო. სულერთია, რა გარემოებებში შედგებოდა მომდევნო შეტაკება, ის ყველას დაუმტკიცებდა, რომ ლაჩარი არ იყო. თუმცა გულის სიღრმეში ცხადად ხედავდა მთელ ვითარებას: კინტანას ზურგს უმაგრებდნენ „მეგობართა მეგობრები“, ერთ-ერთი სანადირო თოფითაც იყო შეიარაღებული. მათი არ ეშინოდა, მაგრამ მათგან დამარცხებას კი უფრთხოდა, რადგან იცოდა: ისინი მას ძალით კი არა, სისასტიკით აჯობებდნენ.

ასპანუ პიშოტამ ჩვეული მკვახე ღიმილი შეაგება და უთხრა:

— ტორი, ეს ვირი ჩვენი დახმარების გარეშე ვერაფერს გახდება. წამოდი.

ტორიმ არაფერი უპასუხა. დიდი შვება იგრძნო იმის გამო, რომ მეგობარს წინა საღამოს ამბავი არ უხსენებია. მუდამ აოცებდა ის, რომ სხვებისადმი ასე დაუნდობელი ასპანუ მის მიმართ მუდამ მხოლოდ მოწიწებასა და სიმპათიას ამჟღავნებდა. ორივე მოედნისკენ გაემართა, ვირი ფეხდაფეხ მისდევდათ. ქუჩებში ბავშვები ლიფსიტებივით დაქროდნენ. უკვე იცოდნენ, რისთვის და სად მიჰყავდათ ვირი და აღელვებით უვლიდნენ წრეებს. მათთვის ეს ზაფხულის მოსაწყენი დღის გამახალისებელი სანახაობა იქნებოდა.

მოედნის შუაგულში მთის ლოდებისაგან ნაგები ოთხი ფუტი სიმაღლის არცთუ ძალიან ფართო კვარცხლბეკი იდგა. ტორი ჯულიანომ და ასპანუ პიშოტამ ვირი ამ შემადლებაზე აიყვანეს და თოკით რკინის მოკლე ბოძზე მიაბეს. ვირი ქვებზე ჩამოჯდა. თვლებისა და დრუნჩის თავზე თეთრი ლაქა სასაცილო იერს აძლევდა. ბავშვებმა კვარცხლბეკს ჟრიაშულით შემოაველეს წრე, ერთ-ერთმა ბიჭმა იოხუნჯა, აბა, რომელი ხართ ვირიო, და ყველამ გულიანად გადაიხარხარა.

ტორი ჯულიანოს აზრადაც არ მოსდიოდა, რომ მისთვის დღეიდან უცნობი სოფლელი ბიჭის ცხოვრება დამთავრებულიყო. უცნაური კმაყოფილებით გადახედა ამ სურათს: მისთვის ყოველივე ნაცნობი და მშობლიური იყო. ასე ეგონა, გარე სამყარო მას ვერაფერს დააკლებდა. წინა ღამის დამცირების კვალიც კი გამქრალიყო. ამ პირქუშ თეთრ კლდეებს ისევე კარგად იცნობდა, როგორც ბავშვი თავის სათამაშოებს. იცოდა, ამ კლდეებზე ქვის ფილები ბალახით რომ იზრდებოდა, მათ მღვიმეებში კი მთელი ჯარი დაიძალეებოდა. აქ ტორი თითოეულ სახლსა და ფერმას იცნობდა, ნორმანთა და მაურთა მიერ დატოვებულ თითოეულ ციხე-კოშკსა და ბერძნული ტაძრების უმშვენიერეს ნანგრევებს.

მოედანზე მეორე მხრიდან გლახმა ყველასათვის ცნობილი სასწაულებრივი ჯორი გამოიყვანა. სწორედ ამ კაცმა დაიქირავა ორი ახალგზარდა ამ დღით. გვარად პაპერა იყო და მონტელეპრეში ყველანი იმის გამო სცემდნენ პატივს, რომ მეზობელთან ვენდეტას აწარმოებდა და გამარჯვებული გამოვიდა. თავდაპირველად ზეთისხილის ბაღის გამო მოსვლიათ უთანხმოება, მათი მტრობა ათ

წელიწადს გაგრძელებულა, რაც ხანგრძლივობით მუსოლინის მიერ წარმოებულ ომებს აღემატებოდა. შემდეგ, მას მერე, რაც გაერთიანებულმა ჯარმა სიცილია გაათავისუფლა და დემოკრატიული ხელისუფლება დაამყარა, მეზობელი თითქმის ორად გახლეჩილი იპოვეს: ვილაცას ჩაუცხრილავს ლუპარათი — ეს გადაჭრილი თოფი ამგვარი შემთხვევებისთვის ზედგამოჭრილი იყო. მკვლელობაში, უპირველეს ყოვლისა, პაპერას დასდეს ბრალი, მაგრამ მან სიფრთხილე გამოიჩინა, პოლიციელებს წაეჩხუბა და მკვლელობის დამე ბელამპოს საპყრობილის საკანში გაატარა. ქალაქელები ჩურჩულით ლაპარაკობდნენ, ეს მათვის დაბრუნების პირველი მერცხალია, რაკი გვიდო კინტანასთან დანათესავებულმა პაპერამ მტრის მოსაცილებლად „მეგობართა მეგობრები“ დაიხმარაო.

როცა პაპერამ ჯორი კვარცხლბეკთან მიიყვანა, ბავშვები ისე მჭიდროდ შემოეხვივნენ, რომ იძულებული შეიქნა, მათთვის სიცილით ქოქოლა დაეყარა და მათრახის აქნევით გაეფანტა. თუმცა სერიოზულად არ უპირებდა მათრახის დარტყმას, ამიტომაც არავინ დაშავებულა.

იენოსა თუ არა დედალი ჯორი, ვირმა თოკი მოქაჩა და გათავისუფლებას შეეცადა, ტორიმ და ასპანუმ ის ბავშვების შედახილების თანხლებით ფეხზე წამოაყენეს. პაპერამ კი ამასობაში ჯორი უკანა ფეხებით კვარცხლბეკისკენ შეაბრუნა.

ამ დროისათვის დალაქი ფრისელაც გამოვიდა თავისი დუქნიდან სეირის სანახავად. მას კუდში მოსდევდა აჭარხლებული პოლიციის მარშალი, გლუვ სახეზე თვითკმაყოფილი იერით რომ ისვამდა ხელისგულს: ის ერთადერთი მამაკაცი იყო მონტელეპრეში, ვინც ყოველდღიურად იპარსავდა პირს. ჯულიანოს კვარცხლბეკიდანაც კი მოსდიოდა იმ ოდეკოლონის მძაფრი სუნი, რომელიც მას ფრისელამ აპკურა.

მარშალმა როკოფინომ მოედანზე შეკრებილთ პროფესიული მზერა შეაგლო. როგორც ეროვნული პოლიციის ადგილობრივი განყოფილების უფროსსა და თორმეტი კაცისოდენა ძალ-ღონის პატრონს, მას ქალაქში წესრიგზე პასუხისმგებლობა ეკისრებოდა. დღესასწაული მუდამ დაძაბული დრო იყო და მას უკვე ჩამოყვალბებინა პატრულის ოთხკაციანი რაზმი მოედნის გასაკონტროლებლად, მაგრამ, ჯერჯერობით, რაზმის არც ერთი წევრი არსად

ჩანდა. ფხიზლად გადახედა სასწაულებრივი ჯორის პატრონსაც: მარშალს ეჭვი არ ეპარებოდა იმაში, რომ პაპერამ თავისი მეზობლის მკვლელობა მაფიას შეუკვეთა. ეს ველური სიცილიელები თავისუფლების დაბრუნების შანსს არ კარგავენ, არადა, მუსოლინი სანატრული გაუხდებათო, — ფიქრობდა იგი — მაფიასთან შედარებით დიქტატორი წმინდა ფრანჩესკო ასიზელად მოეჩვენებათ!

დალაქი ფრისელა მონტელეპრეს მასხარა გახლდათ. ვინც კი უძუშევრად რჩებოდა, მის დუქანს მიაშურებდა ხოლმე მისი ხუმრობებისა და ჭორების მოსასმენად. ის იმ დალაქების რიცხვს ეკუთვნოდა, საკუთარ თავს კლიენტებზე უკეთ რომ ემსახურებიან: უღვაში მუდამ მოვლილი ჰქონდა, თმა გულდაგულ გადაგლესილი, მაგრამ სახით მაინც კლოუნს წააგავდა. ვეება ცხვირი ჰქონდა, ეზოს ჭიშკარივით ფართოდ დაღებული პირი და სრულიად უნიკაპო ქვედა ყბა. მოედანზე გამოსვლისთანავე დაიყვირა:

— ტორი, ეგ პირუტყვი დუქანში შემომიყვანე და ყველაზე სურნელოვანი ნელსაცხებლებით დაუხელ. შენს ვირს ეგონება, პერცოგინიას ვყვარობო!

ტორიმ ხმა არ გასცა. პატარაობაში ფრისელამ ისე ცუდად შეჭრა თმა, რომ დედას მისი ვარცხნილობის შესწორება მოუწია. მაგრამ მამამისი მაინც დადიოდა ფრისელასთან ქალაქის ამბების მოსასმენად და ამერიკაში ნანახის საამბობად, რასაც ქალაქელები პირდაღებულნი ისმენდნენ. ტორის დალაქი გულზე არ ეხატებოდა, რადგან ფაშისტებსაც თანაუგრძნობდა და „მეგობართა მეგობრადაც“ იყო ცნობილი.

მარშალმა სიგარეტს მოუკიდა და მთავარ ქუჩას გაუყვა ისე, რომ ჯულიანოსთვის ყურადღებაც არ მიუქცევია, არადა, სულ რაღაც ორიოდე კვირის შემდეგ ეს საქციელი სანანებლად გაუხდა.

ვირი კვარცხლბეკიდან ჩამოხტომას ლამობდა. ჯულიანომ თოკი ისეთნაირად მოუშვა, ასპანუს ვირი იმ ნაპირთან რომ მიეყვანა, რომლის ქვეშაც ჯორი იდგა. მდედრის უკანალი კვარცხლბეკის კიდზე ოდნავ უფრო მაღლა აღმოჩნდა. ჯულიანომ კიდევ ცოტათი მოუშვა თოკი. მდედრმა ხმამაღლა ამოიხვნეშა და უკანალი ზევით წამოსწია, ვირმა კი წინა ფეხები ზურგზე შემოახვია, ზედ შეახტა და სასაცილო თეთრლაქიან დრუნჩზე ნეტარი გამომეტყველებით თითქმის ჰაერში ჩამოეკიდა. პაპერა და პიშოტა სიცილით იგუ-

დებოდნენ, როცა ჯულიანომ გაჭირვებით მოქაჩა თოკს და ვირი ისევ რკინის საბმელთან დააბრუნა. ბავშვებმა გახარებული ყიჟინა დასცეს.

— რა იქნებოდა, ჩვენც ვირებოვით გვეცხოვრა! — სიცილით შენიშნა პაპერამ.

— სენიორ პაპერა, — მიმართა მას პიშოტამ, — თუკი მართლაც გსურთ, ზურგზე ბამბუკსა და ზეთისხილით სავსე გოდრებს აგვიდებთ, გაგშოლტავთ და ყოველდღიურად მთის ბილიკებით გატარებთ: ვირის ცხოვრებაც სწორედ ეს არის.

ფერმერმა გამჭოლი მზერა ესროლა. ამ ხუმრობაში შეფარული საყვედური ამოიკითხა იმის გამო, რომ გაწეული სამსახურისათვის საკმარისი არ გადაუხადა. კაცმა რომ თქვას, პიშოტა არასოდეს მოსწონდა და ეს სამუშაო მხოლოდ ჯულიანოს დააუგლა. ჯულიანო ხომ მთელ ქალაქს უყვარდა. პიშოტა კი ენას კბილს არასოდეს აჭერდა, თანაც შრომაში ზანტი და ზარმაცი იყო, იმდენად, რომ სუსტი ფილტვებიც კი არ ამართლებდა. მით უმეტეს, რომ სიგარეტის მოწევაში, პალერმოელ მსუბუქი ყოფაქცევის ქალებთან არშიყსა და ბატონივით ჩაცმაში ეს სულაც არ უშლიდა ხელს. ეგ ფრანგული თხელი ულვაშიც ბევრს აღიზიანებდა. ჭლექსაც მოუკლავს და ეშმაკსაც წაუღიას, — გაიფიქრა პაპერამ. მან ახალგაზრდებს დაპირებისამებრ ორასი ლირა მისცა, ჯულიანომ თავაზიანად გადაუხადა მადლობა, რის შემდეგაც პირუტყვი თავ-თავიანთ გზაზე წაიყვანეს. ვირს ძირითადი და ბევრად უფრო უსიამო სამუშაო ჯერ კიდევ წინ ჰქონდა.

ჯულიანოს დედას ორივე ბიჭისათვის საუზმე გაემზადებინა. ქალიშვილები, მარიანინა და ჯუზეპინა — დედას საღამოსათვის სპაგეტის მზადებაში ეხმარებოდნენ: ხის კვადრატულ ტაბლაზე კვერცხისა და ფქვილისაგან მკვრივი ცომი მოზილეს. შემდეგ ცომის გროვა აკურთხეს: მასზე დანით ჯვარი ამოკაწრეს, რის შემდეგაც გოგონებმა ცომის თხლად დაჭრილ ზოლებში ბალახის ღერით ნასვრეტები გააკეთეს. ოთახი ზეთისხილითა და ყურძნით სავსე ვეებერთელა ლანგრებით იყო მორთული.

ტორის მამა მინდორში მუშაობდა; ამჯერად — მხოლოდ შუადღემდე, რათა სადილის შემდეგ დღესასწაულს დასწრებოდა. მეორე დღისათვის მარიანინას ნიშნობა დაეგემათ და ჯულიანოს ოჯახში საგანგებო წვეულება იმართებოდა.

მარია ლომბარდო ჯულიანოს თავისი ვაჟი ტორი მუდამ გამორჩეულად უყვარდა. დები ბიჭს ხშირად უამბობდნენ, დედა მას ჩვილობაში ყოველდღიურად როგორ აბანავებდა. ღუმელზე შემოდგმულ პატარა აბაზანაში წყალს საგულდაგულოდ ათბობდა, მის სითბოს იდაყვით ამოწმებდა და პალერმოდან საგანგებოდ ჩამოტანილ საპონს იღებდა. გოგონები თავიდან ეჭვიანობდნენ, მერე და მერე კი გაცხებით უძწერდნენ, რა სინაზითა და ალერსით ბანდა დედა ციციქნა შიშველ ბიჭუნას. პატარა არასოდეს ტიროდა, მუდამ გულიანად კისკისებდა, როდესაც დედა სათუთად ეხებოდა და აცხადებდა, ჩემი შვილი ულამაზესიაო. ოჯახში ყველაზე უმცროსი იყო, მაგრამ სხვებზე ჯანიანი გაიზარდა. თავისიანებისაგან მკვეთრად გამოირჩეოდა: წიგნებს კითხულობდა, პოლიტიკაზე ლაპარაკობდა და, ცხადია, მის ფიზიკურ სილამაზესა და ახოვნებას იმას მიაწერდნენ, რომ მუცლადყოფნის პერიოდი ამერიკაში გაატარა. უანგარო და თბილი ხასიათის გამო ოჯახის წევრებს ტორი ძალზე უყვარდათ.

იმ დილით ქალები აღელვებით ადევნებდნენ თვალს იმას, როგორ შეექცეოდა ტორი პურს, თხის ყველსა და ზეთისხილს და ზედ ვარდკაჭაჭას ყავას აყოლებდა. საუზმის შემდეგ მას და ასპანუს ვირი შორეულ გზაზე, კორლეონეში, უნდა გაერეკათ, უკან წამოსვლისას კი კონტრაბანდული წესით ყველის დიდი თავი, ღორი და ძეხვი წამოედოთ. ბიჭს დედის ხათრით დღესასწაულის ერთი დღე უნდა დაეკარგა, რათა დის ნიშნობას უხვად და ღირსეულად ჩაევილო. ოჯახი შავ ბაზარზე ნაღდ ფულად აპირებდა პროდუქტის ნაწილის გაყიდვას.

სამი ქალი ამ ორ ახალგაზრდას სიყვარულით შესცქეროდა. ბიჭები პატარაობიდანვე ძმებოვით იზრდებოდნენ, თუმცა ხასიათი სრულიად განსხვავებული ჰქონდათ: შავტუხა ასპანუ პიშოტა მუდამ აჯადოებდა ქალებს კინომსახიობის წვრილი ულვაშით, გამჭოლი შავი თვალებითა და პატარა თავზე ყორნის ფრთასავით შავი თმით. და მაინც, მის შთამბეჭდავ გარეგნობას ტორის მშვიდი ძველბერძნული სილამაზე ჩრდილავდა: აღნაგობის გახლდათ იმ ბერძნული ქანდაკებებით, მთელ სიცილიაზე რომ იყო მიმოფანტული. ფერები რბილი ჰქონდა: წაბლისფერი თმა და ხორბლისფერი კანი. ჩვეულებრივ მშვიდი და დინჯი, უეცრად თავბრუდამხვევი სისწრა-

ფით სწყდებოდა ადგილს. ყველაზე გასაოცარი კი მისი თვალები იყო: დაბინდული თაფლისფერი, თითქოს, ჩვეულებრივი, მაგრამ, როგორც კი მზერას მოგაპყრობდათ, დიდრონი ქუთუთოები მის სახეს ძველი თეატრის ნიღბის დრამატულობას ანიჭებდა.

პიშოტა მარია ლომბარდოს საუბრით ართობდა, ტორი კი თავის ოთახში ავიდა, მოგზაურობისათვის რომ გამზადებულიყო. პირველ ყოვლისა, იქ დამალულ თოფს დასწვდა. წინა ღამის დამცირება მოაგონდა და გადაწყვიტა, დღევანდელ გზას შეიარაღებული გასდგომოდა. სროლა კარგად ეხერხებოდა, რადგან მამას არაერთხელ წაუყვანია სანადიროდ.

დედა მარტო ელოდა სამზარეულოში გამოსამშვიდობებლად. როცა გადაეხვია, წელზე პისტოლეტი მოუსინჯა.

— ტორი, ფრთხილად იყავი, — უთხრა შვილს, — პოლიციელებს ნუ წაეჩხუბები. თუ გაგაჩერეს, რაც თან გექნება, ყველაფერი მიეცი.

— პროდუქტს გავატან, — უპასუხა ტორიმ, — მაგრამ თავს არ ვაცემინებ და არც ციხეში გავყვები.

დედას შვილის გულისნადები კარგად ესმოდა: თვითონაც ხომ ამაყი სიცილიელი იყო და შვილის შეუპოვრობაც ეამაყებოდა. მრავალი წლის წინათ საკუთარი სიამაყის გამო დაარწმუნა ქმარი, სილატაკეს არ შეპუებოდა და ამერიკაში ახალი ცხოვრება დაეწყო. მაშინ მეოცნებე იყო, სწამდა სამართლიანობისა და ამქვეყნად ღირსეული ადგილის დამკვიდრება სურდა. როცა ფული დააგროვეს, ისევ იმ სიამაყემ გადააწყვეტინა, სიცილიაზე დაბრუნებულიყო და აქ დედოფალივით ეცხოვრა. მაგრამ ყველაფერი მტვრად იქცა: ომის წლებში ღირა გაუფასურდა და ოჯახი ძველებურად გადატაკდა. ახლა საკუთარ ბედს აღარ უჩიოდა, მთელ იმედებს შვილებზე ამყარებდა. უხაროდა, ტორის ხასიათშიც თავის ძველ შეუპოვრობას როცა ამჩნევდა, მაგრამ შიშით იმის გაფიქრებაც კი ზარავდა, როგორ უნდა დაპირისპირებოდა მისი ვაჟი სიცილიის უღმობელ სინამდვილეს.

თვალი გააყოლა მთავარი ქუჩის ქვაფენილზე ასპანუს შესახვედრად მიმავალ ტორის. ვეება კატასავით ნება-ნება მიაბიჯებდა, წელში გამართული, მძლავრი გულმკერდი ლაღად მიჰქონდა; მის გვერდით ასპანუ ლერწმისაგან შეკრულ საფრთხობელას წააგავდა.

სამაგიეროდ, ასპანუს ის გაქნილი სიეშმაკე და გამჭრიახობა ჰქონდა, რაც ტორის აკლდა. ასპანუ მის შვილს ამ ქვეყნის ვერაგი ფათურაკებისაგან დაიცავდა. თანაც ქალს ასპანუს ზეთისხილისფერი კანი და ნაკეთობის სინატიფე ხიბლავდა, თუმცა საკუთარი შვილი მაინც უფრო ლამაზად მიაჩნდა.

დაინახა, როგორ აუყვანენ მთავარ ქუჩას და კასტელამარუს ველისკენ გასწიეს. მისი ვაჟი, ტორი ჯულიანო, და მისი დისწული, გასპარე პიშოტა — ორი სრულიად ახალგაზრდა მამაკაცი, ორივეს ის-ის იყო, ოცი წელი შეუსრულდა, იერთო კი უფრო ნორჩებს ჰგავდნენ. ქალს ორივე უყვარდა და ორივეს გამო წუხდა.

როგორც იქნა, ორი კაცი თავიანთ ვირთან ერთად გორაკს მოეფარა, ქალი კი გზას თვალს არ აცილებდა. ცოტა ხნის შემდეგ კვლავ გამოჩნდნენ, უკვე შორს, აღმართზე. მარია ლომბარდო ჯულიანო ისე გაფაციცებით გასცქეროდა მგზავრებს, თითქოს უკანასკნელად ხედავდა. ბოლოს ისინი მთებზე აფარებულ ნისლში გაეხვივნენ და გაუჩინარდნენ. იმ დღიდან მათი ლეგენდა დაიწყო.

თავი 4

1943 წლის ზაფხულში სიცილიაზე თავის რჩენის ერთადერთ საშუალებას შავ ბაზარზე ვაჭრობა წარმოადგენდა. ომის შემდგომ საკვები კვლავაც შეზღუდულად გაიცემოდა, გლეხებს სახელმწიფო პუნქტებში თითქმის მუქთად ვალებოდათ პროდუქტის ჩაბარება. სახელმწიფოს კი ეს პროდუქტი მოსახლეობისათვის იათად უნდა მიეყიდა. ამგვარად სასიცოცხლო მინიმუმი ყველას ერგებოდა. სინამდვილეში გლეხები, რაც კი შეეძლოთ, ყველაფერს მაღავდნენ, რადგან სახელმწიფო ბაზებს დონ კროჩე მალო აკონტროლებდა და იქ ჩაბარებულ პროდუქტს შავ ბაზარზე ასაღებდა. ამგვარად, ხალხს საკუთარი ჭირნახულის მამასისხლად ყიდვა უწევდა და თავის რჩენის ერთადერთ გზად კანონის დარღვევა ესახებოდა, ხოლო თუ ვინმეს კონტრაბანდაზე წაასწრებდნენ, ციხე არ ასცდებოდა. მაშ, რა აზრი ჰქონდა რომში დემოკრატიული მთავრობის დამკვიდრებას? ვისაც შიმშილით სული არ ამოხდებოდა, შეეძლო, არჩევნებში მონაწილეობის უფლებით ესარგებლა.

ტორი ჯულიანო და ასპანუ პიშოტა სუფთა სინდისით აპირებდ-

ნენ კანონის დარღვევას. პიშოტას შავ ბაზართან ჰქონდა ურთიერთობები და ეს საქმეც მისი მოწყობილი იყო. ფერმერს შეუთანხმდა, რომ ტორისთან ერთად ყველის დიდ თავს მონტელეპრეს შავი ბაზრის თავკაცს მიუტანდნენ, გასამრჯელოდ კი შებოლილი ლორის რამდენიმე ნაჭერსა და ერთ კალათა სოსისს მიიღებდნენ, ტორის დის ნიშნობის სუფრას რომ დაამშვენებდა. ამგვარად, ორ კანონს არღვევდნენ: შავ ბაზარზე ვაჭრობისა და იტალიის ერთი პროვინციიდან მეორეში პროდუქტის არალეგალურად გადატანის აკრძალვას. სამართალდამცავები შავ ბაზარზე ვაჭრობას დიდად ვერ აფერხებდნენ. წესით, მთელი სიცილია ციხეში უნდა დაემწყვდიათ. აი, კონტრაბანდა კი სულ სხვა იყო. კარაბინერები სოფლის შარაგზებს ამოწმებდნენ, საიდუმლო პოსტებს აწყობდნენ, ინფორმატორებს გასამრჯელოს სთავაზობდნენ. ცხადია, დონ კროჩე მალოს ქარაუზებს წინ ვერ აღუდგებოდნენ: მის ხელთ ამერიკული სამხედრო ტრანსპორტი და სამხედრო დოკუმენტები იყო. მცირე ფერმერებსა და მშვიერ გლეხებს კი იოლად ერეოდნენ.

ფერმას ოთხ საათში მიაღწიეს. ბიჭებმა თეთრი ყველის ვეება თავი და დანარჩენი პროდუქტი ვირს აჰკიდეს. ზემოდან თივა მიაფარეს, ვითომდა ქალაქში პირუტყვის სარჩო უნდა ჩაეტანათ. ბავშვებოვით ლაღები და უდარდელეები იყვნენ, გეგონებოდათ, მშობლებს თავიანთ ბავშვურ საგანძურს უმაღავენო, ამასთან, მთის საიდუმლო ბილიკები იცოდნენ და ამიტომაც არაფერი ანალვლებდათ.

შინისაკენ გრძელ გზას რომ გაუდგნენ, ჯულიანომ პიშოტა წინ გაუშვა, კარაბინერების მოახლოების შემთხვევაში ნიშნის მისაცემად. ხიფათს როგორც კი შენიშნა, დაუსტკვენდა. ვირს დინჯად და თვინიერად მიჰქონდა ტვირთი: თავისი გასამრჯელო მანამდე უკვე მიეღო. კარგა ხანს ნელა მიუყვებოდნენ დაღმართს, გზაზე არავინ შეხვედრიათ. უეცრად ჯულიანომ თავის უკან, სამი მილის მანძილზე, ექვსი ჯორისა და ერთი ცხენოსნისაგან შემდგარი ქარაუზი დაინახა. თუკი ეს ბილიკი სხვებისთვისაც იყო ცნობილი, მაშინ შესაძლებელია, მის შესახებ პოლიციასაც გაეგო. ყოველი შემთხვევისათვის მან პიშოტა უფრო შორს გაგზავნა გზის დასაზვერად.

ერთი საათის შემდეგ ქვაზე მჯდომ ასპანუს წამოეწია. ის სიგარეტს ეწეოდა, ხველებისაგან იგუდებოდა და ძალზე ფერმკრთალი ჩანდა. წესით, არ უნდა მოეწია. ტორი გვერდით ჩამოუჯდა. ბავშვო-

ბიდანვე ყველაზე მეტად ის აახლოებდათ, რომ არასოდეს უცდიათ ერთიმეორისათვის საკუთარი აზრის თავზე მოხვევა. ამიტომაც ტორის არაფერი უთქვამს. როგორც იქნა, ასპანუმ სიგარუტი ჩააქრო და გაშავებული ნამწვი ჯიბეში ჩაიდო. ამის შემდეგ კვლავ გაუდგნენ გზას: ჯულიანოს ვირი მოჰყავდა, ასპანუ კი უკან მისდევდა.

ბილიკი შარაგზის გასწვრივ იკლაკნებოდა და გზისპირა სოფლებს გვერდს უქცევდა, თუმცა მგზავრებს აქა-იქ ხვდებოდათ ძველი ბერძნების მიერ გათხრილი წყაროები, რომლის წყალიც ნახევრად დამსხვრეული ქანდაკების პირიდან იღვრებოდა, ანდა ნორმანთა ციხე, ოცი საუკუნის წინათ დამპყრობლებს გზას რომ უღობავდა. ტორი, ჩვეულებისამებრ, სიცილიის წარსულსა და მომავალზე ჩაფიქრდა. გაახსენდა, ნათლია ჰექტორ ადონისი დღესასწაულის შემდეგ ჩამოსვლასა და პალერმოს უნივერსიტეტში ჩასარიცხად საჭირო საბუთების მოძალებაში დახმარებას რომ დაჰპირდა. ნათლიაზე ფიქრი მუდამ სევდას ჰგვრიდა; ადონისი არასოდეს ჩამოდიოდა დღესასწაულებზე; არ სურდა, ნასვამ გლეხებს სიმაღლის გამო მასხრად აეგდოთ; ბავშვებსაც შეეძლოთ შეურაცხყოფა მიეყენებინათ, რადგან ზოგიერთი მასზე მაღალი იყო. ტორის მუდამ აფიქრებდა ის, რატომ არგუნა ღმერთმა ამ კაცს ჩია ტანი, სამაგიეროდ, თავში აუარება ცოდნა ჩაუდო. ტორის ადონისი მსოფლიოში უჭკვიანეს კაცად მიაჩნდა და ძლიერ უყვარდა იმ სიკეთის გამო, რასაც მისა და მისი მშობლებისადმი იჩენდა.

ბიჭი ახლა მამაზე ფიქრობდა, ოჯახის ერთ ციდა ნაკვეთზე მძიმე შრომა რომ უწევდა, და დებზე, რომლებსაც წესიერი ტანისამოსი არასოდეს ღირსებიათ. კიდევ კარგი, მარიანინა იმდენად ლამაზი იყო, რომ გაჭირვებისა და ქვეყანაში მძიმე ვითარების მიუხედავად, მაინც იშოვა საქმრო. ყველაზე მეტად კი დედის, მარია ლომბარდოს, გამო დარდობდა. პატარაობაშიც კი გრძნობდა, რომ დედა თავის ბედს მძიმედ განიცდიდა, ამერიკის ფუფუნების შემდეგ სიცილიაზე გაჭირვებულ ცხოვრებას ძნელად იტანდა. ზოგჯერ, როცა მამა ვაჟს იქაურ ზღაპრულ ფუფუნებაზე მოუთხრობდა, დედას ცრემლები წასკდებოდა ხოლმე.

მაგრამ ტორი დარწმუნებული იყო, რომ თავისი ოჯახის ბედს შეცვლიდა: თავდაუზოგავად იმუშავებდა, ბევრს ისწავლიდა და ნათლიასავით დიდი კაცი დადგებოდა.

ამ დროს მომცრო ჭაღას მიაღგნენ, რომლის მსგავსიც სიცი-
ლიაზე ცოტადა დარჩენილიყო. აქ ხეებზე უფრო ხშირად თეთრ კლ-
დეებსა და მარმარილოს კარიერებს ნახავდით. მის იქით, ფერდობ-
ზე, მონტელეპრესკენ ჩამავალი გზა იწყებოდა და ფრთხილად უნდა
ყოფილიყვნენ, პატრულს თვალში რომ არ მოხვედროდნენ. თუმცა
მანამდეც მართებდათ სიფრთხილე, რადგან „კუატრო მოლინეს“,
ანუ ოთხ გზაჯვარედინს უახლოვდებოდნენ. ჯულიანომ ვირს საბე-
ლზე მოქაჩა და ასპანუს ანიშნა, გაჩერებულიყო. ერთხანს უძრავად
იდგნენ და აყურადებდნენ. არაფერი გაუგიათ, ჰაერში მოზუზუნე
ურიცხვი მწერის ხმა შორიდან მოსულ ხერხის ხმას ჰგავდა. მშვი-
დობით გადალახეს გზაჯვარედინები და ერთ მომცრო ტყეში შეაბი-
ჯეს. ტორი ჯულიანო ისევ ჩაფიქრდა.

ისე უეცრად მიაღგნენ ღიობს, გეგონებოდათ, ხეები ვილაცამ
გვერდზე გასწი-გამოსწიაო. ახლა წვრილი კენჭებითა და თხელი
ბალახით დაფარულ გზას მიუყვებოდნენ. გვიანი ნაშუადღევის მზე
კლდეებს შორის ძლივს მოჩანდა. ამ ღიობის შემდეგ ბილიკი სპი-
რალისებრ ჩავიდოდა მონტელეპრესკენ. უეცრად ჯულიანო ფიქრე-
ბიდან გამოერკვა. ასანთის გაკვესებასავით უეცარმა შუქმა მოსჭრა
თვალი. ვირი შეაჩერა და ასპანუსაც მისცა ნიშანი.

ოცდაათი იარღის მოშორებით ბუჩქნარიდან უცხო კაცები გა-
მოვიდნენ. სამნი იყვნენ და ჯულიანომ მათი პოლიციის შავი ქუდე-
ბი და თეთრლამპასებიანი შავი ფორმები დაინახა. ყოვლად უაზრო
მომგუდავი განცდა მოეძალა, სირცხვილისა და მარცხის განცდა.
იარაღმომარჯვებული პოლიციელები უახლოვდებოდნენ. ორნი მთ-
ლად ახალგაზრდები ჩანდნენ, ქუდეები სასაცილოდ ჰქონდათ უკან
აპრეხილი. ავტომატის ლულებს გამარჯვებული იერით უშვერდნენ
ტორისა და ასპანუს.

შუაში მდგომი კარაბინერი უფრო ხნიერი იყო და შაშხანა ეკავა.
ნაყვავილარ სახეზე საბრძოლო იარაბიც ემჩნეოდა. ქუდი ლამის
თვალეებზე ჩამოეფხატა. სახელოზე სერჟანტის წოდების აღმნიშ-
ვნელი ზოლები ჰქონდა. ჯულიანოს მიერ დანახული სინათლე თო-
ფის ლულიდან ასხლეტილი ძზის სხივი ყოფილა. კაცი მრისხანედ
იკრიჭებოდა და ლულას ჯულიანოს პირდაპირ მკერდში უმიზნებ-
და. მისმა გამომეტყველებამ ტორის სასოწარკვეთილება ბრაზით
შეცვალა.

სერჟანტი მიუახლოვდა და ორი თანაშემწეც ფეხდაფეხ მიჰყვა. ახალგაზრდა ავტომატიანი პოლიციელები იმდენად საშიშნი არ იყვნენ: დაკავებულთ დიდ ყურადღებას არ აქცევდნენ, უფრო ვირს უყურებდნენ. ერთ-ერთმა ტვირთს თთვის საფარი ახადა და, ხარბი სიხარულისაგან ხმამაღლა რომ დაუსტვინა, იარაღი დაუდევრად გადაიგდო მხარზე ვერ შენიშნა, რომ პიშოტამ თანდათან მისკენ წაიწია. სერჟანტმა კი ეს მაშინვე შეამჩნია და დაიღრიალა:

— შენ, უღვაშიანო! გაეცალე! — ასპანუც იძულებული გახდა, ტორისკენ მიწეულიყო.

სერჟანტი კიდევ უფრო მიუახლოვდა. ჯულიანო მას თვალს არ აცილებდა. ნაყვავილარ სახეზე დაღლა ემჩნეოდა, თუმცა თვალები მრისხანედ უელავდა. ბოლოს შენიშნა:

— მაშ, ასე, ახალგაზრდებო, ყველის ბარაქიანი თავი გქონიათ. ჩვენ ის ძალიან გამოგვადგება ყაზარმაში, სპაგეტისთან შესატანებლად. მხოლოდ ის ფერმერი დაგვისახელეთ, ვისგანაც ყველი წამოიღეთ და ვირიანად შინ გაგიშვებთ.

ბიჭებმა არ უპასუხეს. სერჟანტი პასუხს ელოდა. ბიჭები ღუმდნენ.

ბოლოს ჯულიანომ წარმოსთქვა:

— ათას ლირას გთავაზობთ საჩუქრად, თუ გაგვიშვებთ.

— ლირებით შეგიძლია უკანალი გამოიწმინდო, — უპასუხა სერჟანტმა, — ახლა კი საბუთები მიჩვენეთ. თუ წესრიგში არ აღმოჩნდა, იმითაც უკანალებს გამოგაწმენდინებთ.

ამ ტლანქმა სიტყვებმა და უღმობელმა შავ-თეთრმა უნიფორმებმა ჯულიანოს მკერდში ცივი რისხვა აანთო. იმ წუთშივე გონებაში გაუელვა: არასოდეს მისცემდა ამ კაცებს უფლებას, რომ დაეპატიმრებინათ, ანდა მისი ოჯახის საკუთრება მიეთვისებინათ.

ტორი ჯულიანომ პირადობის დამადასტურებელი საბუთი ამოიღო და სერჟანტისკენ წამოვიდა. იმედი ჰქონდა, მისკენ დამიზნებულ ნასროლს აიცდენდა, რადგან გამოცდილებით იცოდა, რომ ფიზიკური რეაქცია უფრო ხშირად სხვებზე სწრაფი ჰქონდა. ახლაც აპირებდა, ბედი ეცადა. მაგრამ ლულა მკერდში მიეჭინა.

— საბუთი ძირს დააგდე, — გამოსცრა სერჟანტმა და ჯულიანო დაემორჩილა.

პიშოტა ჯულიანოსგან ხუთი ნაბიჯით მარცხნივ იდგა, იცოდა,

ჯულიანო რასაც აპირებდა, ისიც იცოდა, უბეში იარაღი რომ ედო და პოლიციელის ყურადღების გაფანტვას შეეცადა — ვითომდა, დამცირებულად დახარა თავი, მთელი ტანით წინ წაიწია და ხელით ქამარში ჩამალული დანა მოისინჯა.

— სერჟანტო, თუ ფერმერის სახელს გეტყვით, ჩვენი საბუთები რაღად გინდათ? სიტყვა სიტყვაა, — პიშოტა წამით დადუმდა და დამცინავად წარმოთქვა: — ჩვენ ვიცით, რომ კარაბინერი პირობას არასოდეს ტეხს, — სიტყვა „კარაბინერი“ სიძულვილით ამოანთხია.

სერჟანტი პიშოტას ორიოდ ნაბიჯით მიუახლოვდა და ღიმილით დაუმიზნა თოფი.

— შენ კი, კოპწიაჟ, იქნებ შენი ვიროვით არც შენ გაგაჩნია საბუთი? მაგ ვირს ხომ უღვაშიც შენზე უფრო ლამაზი აქვს.

ახალგაზრდა პოლიციელებს გაეცინათ. პიშოტამ თვალები დააბრიალა და სერჟანტისკენ წამოიწია.

— არა, არც საბუთები მაქვს და არც ფერმერს ვიცნობთ. ეს საჭმელები გზაზე ვიპოვეთ.

ამ განცხადების აშკარა სიბრიყვე მის მიზანს სრულებით ამართლებდა. პიშოტას ხომ მხოლოდ ის უნდოდა, სერჟანტი დანის დარტყმის სიახლოვეზე მისულიყო, მაგრამ მან, პირიქით, უკან დაიხია და თქვა:

— ციხეში მაგ სიცილიურ ამპარტავნობას დაგავიწყებენ. აბა, ორივენი ძირს დაწექით!

ჯულიანომ კარგად იცოდა, რომ პოლიციელები პატიმრებს შოლტითა და ხელკეტებით ასწავლიდნენ ჭკუას. იცნობდა რამდენიმეს, ვინც ბელამპოს ციხეში უცემიათ. შინ გადამტვრეული მუხლებით, დასივებული თავებითა და შინაგანი ორგანოების ისეთი მძიმე ტრავმებით დაბრუნდნენ, რომ სიცოცხლის ბოლომდე აღარ შეეძლოთ მუშაობა. არავის მისცემდა უფლებას, მასაც ასევე მოპყრობოდა. ცალ მუხლზე დადგა, ვითომდა, ძირს დაწოლას აპირებდა, ცალი ხელით მიწას შეეხო, მეორე ქამარზე დაიდო პერანგსქვემოდან იარაღის ამოსაძრობად. გზა მოახლოებულ ბინდში იძირებოდა, მზე, თითქმის, მთლიანად მიმალულიყო მთებს მიღმა. დაინახა, რომ პიშოტა ამაყად იდგა და ბრძანების დამორჩილებას არ აპირებდა. ყველის ერთი თავისთვის ხომ არ მოკლავენ. პიშო-

ტამ შენიშნა, ახალგაზრდა პოლიციელებს ხელში თოფები როგორ აუკანკალდათ.

ამასობაში ზურგს უკნიდან ჩლიქების ხმა და ჯორების ყროყინი მოესმათ: უკან მიმავალი ქარავანი წამოეწიათ. მისი თანმხლები მხედარი ზორბა და მძლავრი ჩანდა, ტყავის ქურთუკი ეცვა და ხელში „ლუპარა“ ეკავა. ყოჩაღად ჩამოქვეითდა, ჯიბიდან ქალაღდის ლირების დასტა ამოაფრიალა და შაშხანიანს გაუწოდა, თან ჩაიცინა:

— ვხედავ, დღეს ორი ციციქნა სარდინი დაგიჭერია, — აშკარა იყო, რომ ერთმანეთს იცნობდნენ. სერჟანტმა მთელი ამ ხნის განმავლობაში პირველად მოადუნა ყურადღება და ფული გამოართვა. ერთმანეთს უღიმოდნენ. დაპატიმრებულები, თითქოს, ყველას მიავიწყდა.

ტორი ჯულიანომ ნელა წაიწია უახლოესი პოლიციელისკენ, პიშოტა კი ბურქნარისკენ იწეკდა. ეს არავის შეუნიშნავს. ჯულიანომ პოლიციელი ხელის კვრით წააქცია და პიშოტას დაუძახა, გაიქეციო. პიშოტა ბამბუკის ბურქნარისკენ გაიქცა, ჯულიანო კი — ხეებისკენ. მეორე პოლიციელი იმდენად დაიბნა, რომ გაქცეულებისათვის დამიზნება არც კი უცდია. ჯულიანოს უცნაური აღტკინება მოეძალა. დაბურული ხის ტოტებში საიმედო სამალავში ახტა და უბიდან პისტოლეტი ამოიღო.

მაგრამ არ შემცდარა, როცა გაიფიქრა, შაშხანიანი სხვებზე უფრო საშიშიაო. მან ფული ძირს დააგდო, გულცივად დაუმიზნა და შეუცდომლად გაისროლა. ჯულიანო ჩიტოვით ჩამოვარდა ძირს.

სროლის გაგონებისთანავე ტორიმ მძაფრი ტკივილი იგრძნო, თითქოს, მძიმე კეტი ჩაარტყესო. ძირს რომ ჩამოემხო, მაშინვე წამოხტომა სცადა, მაგრამ ამაოდ. ფეხები დაუბუჟდა, პისტოლეტი ხელიდან არ გაუშვია, ისე მიტრიალდა სერჟანტისკენ და დაინახა, გამარჯვებულის იერით შაშხანა ჰაერში როგორ აიქნია. იმავე წამს იგრძნო, შარვალი თბილი, წებოვანი სისხლით რომ გაეჟღინთა.

იმ ერთი წამის განმავლობაში, ვიდრე ჩახმახს გამოჰკრაავდა, მხოლოდ გაოცება იგრძნო — გაოცება იმის გამო, რომ ყველის გულისთვის ესროლეს. ისეთი მცირედი დანაშაულის გამო დაუქციეს ოჯახი, რასაც ყოველი მეორე სჩადიოდა. დედა სიცოცხლის ბოლომდე იგლოვებდა. თვითონ არავისთვის არაფერი დაუშავებია, ახლა კი სისხლის გუბეში იწვა.

ჩახმახს გამოჰკრა და დაინახა, შაშხანა ძირს როგორ დაფარდა, სერჟანტის შავ-თეთრი ქუდი ჰაერში როგორ აიტყორცნა, როცა თავში სასიკვდილო ჭრილობის მიღებისთანავე მისი სხეული უხერხულად დაიკრუნჩხა და ძირს დაემხო. თითქმის შეუძლებელი იყო ამ მანძილიდან პისტოლეტით გარტყმა, მაგრამ ჯულიანომ ლამის იგრძნო, მისი ხელი ტყვიას როგორ გაჰყვა და სერჟანტს შიგ თვალში გაუყარა.

მაშინვე ავტომატი აკაკანდა, მაგრამ მისი ჯერი კლდეებს მოხვდა და ტორის უვნებელ თაღად გადაეწლო თავზე. მერე კი ყველაფერი ჩაჩუმდა, მწერებმაც კი შეწყვიტეს ზუზუნნი.

ტორი ბუჩქნარში გადაგორდა. მტრის სისხლიან ნიღბად ქცეული სახის დანახვამ გულში სიმხნვეე ჩაუსახა. მაშ, უძლური არ ვყოფილვარო, გაიფიქრა. კვლავ სცადა წამოდგომა და ამჯერად ფეხები დაიმორჩილა. გაიქცა, მაგრამ, მისდა გასაოცრად, მხოლოდ ერთი ფეხის გადადგმას ახერხებდა, მეორეს ძირს მოათრევდა. საზარდულთან სითბოსა და სისველეს გრძნობდა, შარვალი ფეხებზე ეწებებოდა, თვალწინ ბინდი ედგა. როდესაც უეცრად მზით განათებულ ადგილზე გავიდა, შეშინდა, ისევ იმ სახიფათო მდებარეობაზე ხომ არ მოხვდებოდა, ჩრდილისკენ შეტრიალდა, სხეული ველარ შეიმაგრა და საოცრად ნელა დაიწყო ვარდნა: მიწაზე კი არა, რაღაც მოშავო-მოწითალო მორევი ვარდებოდა და მიხვდა, რომ ვარდნა უსასრულოდ გაგრძელდებოდა.

გზაჯვარედინზე ახალგაზრდა პოლიციელმა ჩახმახს თითი აუშვა და ავტომატიც დადუმდა. კონტრაბანდისტმა მიწიდან ქალაქის ფულები აკრიფა და მეორე პოლიციელს გაუწოდა. იმან ლულა მკერდში მიაბჯინა და უთხრა;

— დაპატიმრებული ხარ!

კონტრაბანდისტი არ დაბნეულა:

— ახლა ამ თანხას ორად გაიყოფთ. თქვენთვის უკეთესი იქნება, თუ გამიშვებთ.

ახალგაზრდებმა თავიანთ სერჟანტს დახედეს. მკვდარი რომ იყო, ამაზე ორი აზრი არ არსებობდა. ტყვია თვალში მოხვდა, ჭრილობიდან ყვითელი სითხე გადმოსდიოდა, რომელსაც უკვე მოსდგომოდა გეკონი და თხელი, ორკაპა ენით ლოკავდა.

— ბუჩქებში მოუძებნი, იმ ბიჭის გვამს აქ მოუათრევ და ორივეს გმირებად შეგრააცხავენ, ოღონდ გამიშვით, — არწმუნებდა კონტრაბანდისტი.

მეორე პოლიციელმა ტორის მიერ ძირს დაგდებული საბუთი აიღო, გაშალა და ამოიკითხა:

— სალვატორე ჯულიანო, ქალაქი მონტელეპრე.

— მისი მოძებნა საჭირო აღარაა, — გადაწყვიტა მისმა კოლეგამ, — ჯობს, უფროსობას შევატყობინოთ — ეს უფრო მნიშვნელოვანია.

— ლაჩრებო! — გამოსცრა კონტრაბანდისტმა. ლუპარას დასწვდა, მაგრამ ორივე პოლიციელმა სიძულვილით შეხედა. შეურაცხყოფა არ აპატიეს: სერჟანტის გვამი თავის ცხენზე გადააკიდებინეს და პოლიციის განყოფილებამდე მიტანა უბრძანეს. მანამდე იარაღი ჩამოართვეს. კონტრაბანდისტმა შეატყო, გამოუცდელეები რომ იყვნენ და მთელი გზა იმას შიშობდა, ვაითუ აღელვების გამო თოფი გაუვარდეთ და შემოაკვდეთ. სხვა მხრივ დიდად არ ლელავდა, რადგან მონტელეპრეში კარგად იცნობდა მარშალ როკოფინოს. მანამდეც არაერთხელ შეთანხმებულან და ამჯერადაც უთუოდ მორიგდებოდნენ.

პიშოტა აღარც ერთს არ გახსენებია. არადა, ის იქვე, ბალახში იწვა, დანა ხელში ეკავა და მათი ყოველი სიტყვა ესმოდა. ელოდა, ტორის როდის გამოეკიდებოდნენ, მაშინ გადაწყვეტილი ჰქონდა, ერთ-ერთს თავს დასხმოდა, ყელი გამოეჭრა და თოფი წაერთმია. თანდაყოლილი მრისხანება სიკვდილის შიშს სრულებით უბათილებდა და, როდესაც კონტრაბანდისტმა პოლიციელებს ტორის გვამის მოტანა შესთავაზა, პიშოტამ ამ კაცის სახე სამუდამოდ ამოიტვიფრა მესხიერებაში. თითქმის გული დასწვდა, როცა იქაურობას გაშორდნენ და მარტო დატოვეს. მისი ვირი ჯორების ქარავანს რომ აადევნეს, გულში მწარე ჩხვლეტა იგრძნო.

მაგრამ იცოდა, ტორი მძიმედ იქნებოდა დაჭრილი და, პირველ რიგში, ახლა მას სჭირდებოდა შველა. მდელის გარს შემოურბინა და ხეებს შორის დაუწყო მგობარს ძებნა. რომ ვერსად იპოვა, იმ ბილიკს გაუყვა, რომლითაც ფერმიდან მოდიოდნენ.

კვლავაც ვერანაირ კვალს ვერ მიაგნო, ვიდრე დიდ ლოდზე არ აბობლდა — ლოდის ქვეშ, ქვის მომცრო ღრმულში, ჩამუქებული სისხლის გუბე დაინახა, რომლის იქითაც სისხლიანი კვალი

მიიკლავებოდა. ამ კვალს გაჰყვა და ბილიკის გარდიგარდმო ტორის სხეულს გადააწყდა, კვლავაც ხელში ჩაბლუჯული პისტოლეტით.

მასთან ჩაიმუხლა, პისტოლეტი ხელიდან გამოართვა და ქამარში ჩაიღო. ამ დროს ტორიმ თვალები გაახილა. სიძულვილით საუსე შხერით ასპანუს ზურგს უკან ვილაცას დაეძებდა. ასპანუ სიხარულისგან ლამის ატირდა, ტორის წამოყენებას შეეცადა, მაგრამ ძალა არ ეყო.

— ტორი, ეცადე, ფეხზე წამოდგე, დაგეხმარები, — უთხრა პიშოტამ. ჯულიანომ ხელისგულები მიწას მიაბჯინა და ტანი ჰაერში ასწია. პიშოტამ წელზე მოაჟლო ხელი და თბილი სისველე იგრძნო. პერანგი შეუხსნა და შეძრწუნებულმა ფერდში დიდი ჭრილობა დაინახა. ტორი ხეს მიაყუდა, პერანგი გაიძრო, ჭრილობაზე შემოახვია და სახელოები, რაც კი შეძლო, მაგრად განასკვა, სისხლი რომ შეეჩერებინა. ცალი მკლავი მეგობარს წელზე შემოხვია, მეორე ხელით ჯულიანოს მარჯვენა მკლავი კისერზე შემოიხვია და ასე, ფრთხილი და არეული ნაბიჯით ჩაუყვინნ დაღმართს.

ტორი ჯულიანო ვერ დაესწრო წმინდა როზალიას დღეობას, რომელსაც, როგორც ქალაქელები იმედოვნებდნენ, მონტელეპრესთვის იღბალი უნდა მოეტანა.

გამოტოვა სროლაში შეჯიბრება, რომელშიც უსათუოდ გამარჯვებული გამოვიდოდა. გამოტოვა დოლიც, რომლის დროსაც მოჯირითეები თავიანთ მეტოქეებს თავში მათრახსა და კეტს ურტყამენ. გამოტოვა ვარსკვლავებიან ცაში მეწამული, ყვითელი და მწვანე რაკეტების ფოიერვერკი.

არ გაუსინჯავს ზღაპრული ფერად-ფერადი ნუშის ტკბილეული, რომელსაც სტაფილოს, ბამბუკის ღეროს თუ წითელი პომიდვრის ფორმებს აძლევდნენ და რომლის სიტკბოსაც მთელი სხეულით იგრძნობდით; ან კიდევ შაქარმოყრილი რაინდები და ლეგენდარული გმირები — როლანი, ოლივერი თუ კარლოს დიდი, რომელთა ციციქნა ხმლები ლალისფერ მურაბაში იყო ამოვლებული; ხილის ზურმუხტისფერი კანფეტების ასხმები, რომლებსაც ბავშვები ღამით ბალიშზე იდებდნენ და ძილის წინ მათ ტკბილ სურნელს იყნოსავდნენ. შინ მისი დის ნიშნობამაც მის გარეშე ჩაიარა.

სასწაულებრივი ჯორის ვირთან შეჯვარებამ ამჯერად უშედეგოდ

ჩაიარა, ჯორი უნაყოფო დარჩა. ქალაქელებს იმედი გაუცრუვდათ; მხოლოდ ორიოდე წლის შემდეგ შეიტყვეს, რომ იმ დღის სასწაული სწორედ ის ახალგაზრდა კაცი იყო, რომელმაც ვირი მოედანზე მიიყვანა.

თავი 5

ფრანცისკანელთა მონასტრის აბატი სალამოს შემოვლას შეუდგა, იმის შესამოწმებლად, ზარმაცმა და უქნარა ბერებმა შრომით თუ დაიმსახურეს იმ დღის სარჩო. შეამოწმა წმინდა რელიკვიების სახელოსნო და საცხობი, სადაც ახლომდებარე ქალაქებში დასარიგებლად თეთრი, ფუმფულა პურები ცხვებოდა. ესტუმრა ბაღსაც და ბამბუკის გოდრებით შეგროვებული ზეთისხილის ნაყოფები, პომიდვრები და ყურძნის მტევნები გულდაგულ გადასინჯა, დაჭყლეტილი ხომ არ არისო. ბერებს გულიანად უმუშაუიათ, ოღონდაც ეს იყო: სიხალისე აკლდათ. თუმცა ღვთისმსახურებას ხალისი სულაც არ სჭირდებოდა. აბატმა უბის ჯიბიდან გრძელი სიგარა ამოიღო და ვახშმის წინ მონასტრის მიდამოებში სასეირნოდ გაემართა.

სწორედ მაშინ შენიშნა ასპანუ პიშოტა, რომელსაც ტორი ჯულიანო მონასტრის ჭიშკართან მიეთრია. ჭიშკრის მცველმა გზა გადაუღობა, მაგრამ პიშოტამ ტონზურიან¹ თავზე პისტოლეტის ლულა მიაბჯინა და ისიც უკანასკნელი ლოცვის სათქმელად მუხლებზე დაეცა. პიშოტამ ჯულიანოს დასისხლიანებული და, თითქმის, უსიცოცხლო სხეული აბატის ფეხებთან დაასვენა.

აბატი მაღალი და ტანხმელი კაცი იყო, მაიმუნის დრუნჩივით პაჭუა ცხვირი, ამობურცული ყვრიმალეები და შავი წერტილებივით თვალები ჰქონდა. სამოცდაათს მიტანებულს, გონება ჯერაც ისევე კარგად უჭრიდა, როგორც მუსოლინის მთავრობაში მოსვლამდე, როცა მაფიის დაულებით გამოსასყიდის მოთხოვნის შემცველ სიტყვაკაზმულ წერილებს წერდა.

მიუხედავად იმისა, რომ დღეს გლქებმაც და სამართალდამცავებმაც იცოდნენ, რომ მისი მონასტერი შავი ბაზრის ვაჭრებისა და კონტრაბანდისტების თავშესაფარი იყო, მის უკანონო საქმიანობას მაინც არა-

¹ თავის შუაგულში მცირე ზომის მრგვლად ამოკრუჭილი თმა, რასაც ერთ დროს კათოლიკე სასულიერო პირები ამქვეყნიურ ღირებულებათაგან განდგომის ნიშნად ატარებდნენ.

ვინ უშლიდა ხელს. ამის მიზეზი მისი წმინდა წოდებისადმი მოწინებაც გახლდათ და, ალბათ, ის მოსაზრებაც, რომ აბატი მრევლის სულებზე ზრუნვისათვის მატერიალურ ანაზღაურებას იმსახურებდა.

ამგვარად, აბატ მანფრედის დიდად არ გაჰკვირვებია წმინდა ფრანცისკოს საუანეში სისხლში ამოსვრილი ორი ნაძირალას შემოჭრა. პიშოტას კარგად იცნობდა: რამდენჯერმე დაიხმარა კონტრაბანდის გადმოტანაში. ორივეს მსგავსი გაქნილი სიემმაკუ ახასიათებდა, რომლის ერთიმეორეში აღმოჩენამ ორივე სასიამოვნოდ გააკვირვა: ერთი ამას ხნიერი სასულიერი პირისაგან არ მოელოდა, მეორე — გამოუცდელი ყმაწვილისაგან.

აბატმა ჭიშკრის მცველი დააშოშმინა, მერე პიშოტას მიუბრუნდა: — რაო, ასპანუ, ამჯერად რა შარში გაეხვიე? — პიშოტა ჯულიანოს ჭრილობისათვის პერანგის მჭიდროდ შემოხვევას ცდილობდა. აბატმა გაიკვირვა, სახეზე წუხილი რომ შეამჩნია: არ ეგონა, ამ ბიჭს ალალე გრძნობები თუ გააჩნდა.

ჭრილობის დანახვაზე პიშოტამ კიდევ ერთხელ გაიფიქრა, რომ ტორი უსათუოდ მოკვდებოდა, და შეძრწუნდა, როგორ უნდა ემცნო ეს ამბავი მისი მშობლებისათვის. მარია ლომბარდოს გულს ვერ მოუკლავდა. მაგრამ მანამდე უფრო მნიშვნელოვანი საქმე ჰქონდა: აბატი იმაში უნდა დაერწმუნებინა, რომ ჯულიანოსთვის მონასტერში მიეცა თავშესაფარი.

აბატს თვალი გაუსწორა. პირდაპირი მუქარის გამომჟღავნება არ სურდა, მაგრამ მაინც მიანიშნა, თუ არ დამეხმარები, მოსისხლე მტერს შეიძენო.

— ეს ჩემი დეიდაშვილი და უახლოესი მეგობარი, სალვატორე ჯულიანოა, — უთხრა პიშოტამ, — როგორც ხედავთ, დაჭრილია და სულ მალე ეროვნული პოლიცია მთაში ძებნას დაგვიწყებს. მასაც და მეც. ჩვენი ერთადერთი იმედი თქვენ ხართ. გთხოვთ, დაგვმალეთ და ექიმს გამოუძახეთ. ეს გაგვიკეთეთ და სამუდამოდ თქვენი ერთგული ვიქნები, — სიტყვა „ერთგულზე“ განსაკუთრებული დატვირთვა გააკეთა.

აბატმა მის მინიშნებებს გაუგო. არაფერი გამოჰპარვია. ახალგაზრდა ჯულიანოს სახელიც გაუგია: მონტელეპრეში გამორჩეული მსროლელი და მონადირე იყო, თავის ასაკზე ბევრად უფრო მარჯვე და ღონიერი. „მეგობართა მეგობრებსაც“ კი უკვე დაედგათ მასზე

თვალი, როგორც პოტენციურ ახალწვეულზე. თვით დონ კროჩემ მოიხსენია მონასტერში სტუმრობისას და დასძინა, ურიგო არ იქნება, ეს ყმაწვილი რომ დავიხმაროთო.

თუმცა ჯულიანოს უსულო სხეულის დანახვაზე გაიფიქრა, თავშესაფარზე მეტად საფლაუი სჭირდება, ექიმის ნაცვლად კი — მღვდელიო. ამიტომაც პიშოტას თხოვნის შესრულებას მინიმალურ რისკს უკავშირებდა: გვამის შეკვდლება სიცილიაზეც კი არ ითვლებოდა დანაშაულად. მაგრამ არ სურდა, ახალგაზრდა მიმხვდარიყო, რომ მისთვის გაღებული წყალობა, თითქმის არაფერი ღირდა, ამიტომაც ჩაეკითხა:

— რატომ გეძებენ?

პიშოტა შეყოვნდა. აბატს პოლიციელის მკვლევლობის შესახებ რომ გაეგო, აღარ შეიკვდლებდა. მეორე მხრივ, მღევრებს მოუშზადებელი რომ დახვედროდა, შეიძლება, მოულოდნელობისაგან ორივე ძებნილი გაეცა. ამიტომ ვითარება უნდა სცოდნოდა. პიშოტამ სასწრაფოდ ამცნო სიმართლე.

აბატი ჯოჯოხეთისათვის განწირული სულის გამო სიბრაღულით განიმსჭვალა და უგონო ჯულიანოს ჩააკვირდა. წელზე შემოხვეულ პერანგში სისხლი ატანდა და ძირს იღვრებოდა. იქნებ, საბრალო ჭაბუკი სწორედ ამ საუბრისას მომკვდარიყო და ამით მთელი პრობლემაც გადაიჭრებოდა.

აბატი, უპირველეს ყოვლისა, ქრისტიანი გახლდათ, მაგრამ დღესდღეობით მოწყალებას პრაქტიკული და მატერიალური მხარეების მოგვარება უსწრებს წინ. თუკი დაჭრილს შეიკვდლებდა და ის მალევე სულს განუტევებდა, ამით აბატი მხოლოდ მოიგებდა: სამართალდამცავეებს გვამის აღმოჩენა გაახარებდათ, ოჯახი კი სამუდამოდ აბატის მადლიერი დარჩებოდა. თუ ჯულიანო გადარჩებოდა, ასმაგად მადლიერი დარჩებოდა. ნამდვილად ღირს, მოვალედ ისეთი კაცი გყავდეს, სასიკვდილოდ დაჭრილს კიდევ რომ შესწვეს ძალა, პისტოლეტით პოლიციელს თავში ესროლოს და სიცოცხლეს გამოასალმოს.

ცხადია, შეეძლო, ორივენი ეროვნული პოლიციისათვის გადაეცა და მაშინ მათი საქმე წასული იქნებოდა, მაგრამ თვითონ ამით რა ხეირს ნახაუდა? სახელმწიფო იმაზე მეტ სიკეთეს ვერ გაუკეთებდა, რასაც ისედაც იღებდა. ოფიციალურ სფეროში უკვე ჰყავდა

მფარველები, აი, საწინააღმდეგო ბანაკში კი არ აწყენდა ზურგის გამაგრება. ახალგაზრდების გაცემით მხოლოდ გლეხების სიძულვილს დაიმსახურებდა, ორ ოჯახს კი სასიკვდილოდ გადაიმტერებდა. აბატს საკმაო ჭკუა ჰქონდა საიმისოდ, რომ სცოდნოდა: მღვდლის კაბა ვენდეტასგან ვერ იხსნიდა, თანაც, პიშოტასაც საკმაოდ კარგად იცნობდა: ამ ახალგაზრდის ბოლო უდავოდ ჯოჯოხეთი იყო, მაგრამ მანამდე ის შორს წავიდოდა. არა, სიცილიელი გლეხის სიძულვილი ხელწამოსაკრავი რამ ნამდვილად არ გახლდათ. სიცილიელები ჭეშმარიტი ქრისტიანები არიან და ღვთისმშობლის ქანდაკებას არასოდეს წაბილწავენ, მაგრამ სიხარულით ჩააძაღლებენ იმ მღვდელს, ვინც ომერტას, ანუ ღუმილის ფიცს დაარღვევს. ამ ქვეყანაში, სადაც ყოველ ნაბიჯზე შეხვედებოდით ქრისტეს ქანდაკებას, მეორე ყვრიმალის დასარტყმელად მიშვერა ჩვეულებად არ ჰქონდათ, მიტევება კი ლაჩრობას უდრიდა. სიცილიელი გლეხი მოწყალებას არ სცნობდა.

ერთ რამეში დარწმუნებული იყო: პიშოტა არასოდეს უღალატებდა. ერთ-ერთი კონტრაბანდული საქმის დროს აბატმა ის პოლიციელებს დააჭერინა და დააკითხვინა. ჩლუნგი კარაბინერებისაგან განსხვავებით, გამოძიებას პალერმოს უშიშროების განყოფილების მუშაკი აწარმოებდა, მაგრამ პიშოტასთან ვერც ალერსმა გაჭრა და ვერც მუქარამ. მას ღუმილი არ დაურღვევია. გამოძიებელმა ის გაათავისუფლა და აბატი დაარწმუნა, ეს ბიჭი უფრო სერიოზული საქმისთვისაც გამოდგებაო. მას შემდეგ აბატმა ასპანუ პიშოტას თავის გულში საგანგებო ადგილი მიუჩინა და მისი სულის გადასარჩენადაც ლოცულობდა.

აბატმა ორი თითი პირში ჩაიდო და დაუსტვინა. მაშინვე მოირბინეს ბერებმა. აბატმა უბრძანა, ჯულიანო მონასტრის შორეულ ფლიგელში, მის საკუთარ ბინასთან ახლოს წაეყვანათ, სადაც ის ომის წლებში იტალიის ჯარიდან გამოქცეულ მდიდარი ფერმერების შვილებს მალავდა. ერთი ბერი ხუთი მილის მანძილზე მდებარე ქალაქიდან, სან ჯუზეპე იატოდან, ექიმის მოსაყვანად გაგზავნა.

საწოლის კიდეზე ჩამომჯდარ პიშოტას მეგობრის ხელი ეჭირა. ტორის ჭრილობიდან სისხლი აღარ სდიოდა, თვალებიც გახელილი ჰქონდა, მაგრამ, თითქოს, ბინდი გადაჰკვროდა. პიშოტა ლამის ტიროდა და ხმის ამოღებას ვერ ბედავდა. დაჭრილს შუბლი-

დან ხშირ-ხშირად სწმენდდა ოფელს, რომელსაც სახეზე მოლურჯო ფერი დაჰკრაუდა.

ექიმი ერთი საათის წინ მოსულიყო და, რადგან გზად კარაბინერები შეხვდნენ, მთის ბილიკებს რომ ჩხრეკდნენ, თავის მეგობარ აბატთან დაჭრილის დანახვა არ გაჰკვირვებია. თვითონ არც პოლიცია ანადვლებდა, არც კანონი. აბატი მისი თანამოძმე სიცილიელი იყო და მისი დახმარება სჭირდებოდა. თანაც, ის ექიმს ყოველ კვირადღეს კალათით კვერცხს უგზავნიდა, საშობაოდ — ერთ კასრ ღვინოს, სააღდგომოდ კი — ბატკანს.

ექიმმა ჯულიანო გასინჯა და ჭრილობა გაუსუფთავა. ტყვია მუცელში მოხვდა და, შესაძლოა, სასიცოცხლო მნიშვნელობის რომელიმე ორგანოც დააზიანა, ღვიძლს ხომ უეჭველად შეეხო. ახალგაზრდამ ბევრი სისხლი დაკარგა, მთელ სხეულზე მოცისფრო სიმკრთალე დაჰკრაუდა. ტუჩების გარშემო სითუთრე სიკვდილის უტყუარი და კარგად ნაცნობი ნიშანი იყო.

— რაც შემეძლო, ყველაფერი გააკეთე! — ამოიოხრა ექიმმა, — სისხლდენა შეჩერებულია, მაგრამ მან უკვე სისხლის მესამედი დაკარგა, ეს კი, როგორც წესი, დამღუპველია. სითბოში ამყოფეთ, ცოტ-ცოტა რძე ასვით და, ყოველი შემთხვევისათვის, ცოტაოდენ მორფსაც დაგიტოვებთ, — მან სინანულით შეაულო თვალი ჯულიანოს ღონიერ სხეულს.

— მის დედ-მამას რა გადაუცე? — ჩურჩულით ჰკითხა პიშოტამ, — რაიმე იმედი თუ არსებობს?

— რაც გენებოთ, ის გადაეცით, — კვლავ ამოიოხრა ექიმმა, — ჯანიანი ბიჭი ჩანს და, შესაძლოა, რამდენიმე დღე იცოცხლოს, მაგრამ იმედი ამ შემთხვევაში სიბრიყვეს უდრის, — პიშოტას სახეზე სასოწარკვეთილება ამოიკითხა, აბატისაზე კი, მალული შვება. და ირონიულად დასძინა, — ცხადია, ამ წმინდა საუანეში სავსებით შესაძლებელია, სასწაული მოხდეს.

აბატი და ექიმი გავიდნენ. პიშოტა დაიხარა, მეგობარს შუბლიდან ოფლი მოწმინდა და გაოგნებით შენიშნა ჯულიანოს თვალეზში დამცინავი ნაპერწკლები. მის მუქთაფლისფერ თვალებს ვერცხლისფერი არშია დაჰყვებოდა. პიშოტა უფრო დაბლა დაიხარა. ჯულიანომ ჩურჩულით, დიდი გაჭირვებით ამოთქვა:

— დედაჩემს უთხარი, რომ შინ დავბრუნდები.

მერე კი ისეთი რამ გააკეთა, რაც პიშოტას სიცოცხლის ბოლომდე არ დაავიწყდებოდა: მეგობარს ხელი თმაში ჩააუვლო, თავი ძირს დაახრეწინა, — შეუძლებელი იყო, მომაკვდავს მაჯაში ასეთი ძალა შერჩენოდა! — და უთხრა: „დამემორჩილე!“

ჯულიანოს მშობლებმა ჰექტორ ადონისს დაურეკეს და ის მეორე დილითვე ჩავიდა მონტელეპრეში. მშობლიურ ქალაქსა და თავის იქაურ სახლს იშვიათად სტუმრობდა. განსაკუთრებით დღესასწაულებს ერიდებოდა. მორთულ-მოკაზმული ქუჩების დანახვა მუდამ თრგუნავდა, მათი სიჭრელე გაჭირვების შესანიღბავად გამოგონილ რაღაც ბოროტ ოინს მოაგონებდა. თანაც, დღესასწაულებზე მუდამ შეურაცხყოფას აყენებდნენ: ნასვამი კაცები მასხრად იგდებდნენ, ქალები კი დაუძალავი სიბრაღულით უღიმოდნენ.

ცოდნა-განათლებაც ვერაფერს შველოდა. მაგალითად, აქაურები დიდად ამაყობდნენ იმით, რომ თითოეული ოჯახი სახლს იმ ფერად ღებავდა, რაც მის წინაპრებს ოდითგანვე დაეწესებინათ, ის კი არავინ იცოდა, რომ სახლის შეფერილობა ოჯახის წარმომავლობისა და ისტორიის შესახებ მრავალ რამეს ცხადყოფდა. საუკუნეების წინ ნორმანები სახლებს მუდამ თეთრად ღებავდნენ, ბერძნები — ცისფერად, არაბები კი წითლისა და ვარდისფრის სხვადასხვა ვარიანტს იყენებდნენ. ებრაელები ყვითელს ანიჭებდნენ უპირატესობას. დღეს კი ყველას თავი იტალიელად და სიცილიელად მიაჩნდა. ათასი წლის მანძილზე მრავალი მოდემის სისხლი ისე შეერია ერთიმეორეს, რომ კაცს გარუგნობით წარმომავლობას ვეღარ შეატყობდით. თანაც, დღეს ყვითელი სახლის მცხოვრებს რომ უთხრა, შენი წინაპრები ებრაელები იყვნენო, შეიძლება, მუცელში დანა გაგიყაროს.

ასპანუ პიშოტა თეთრ სახლში ცხოვრობდა, თუმცა იერით არაბს უფრო წააგავდა. ჯულიანოს ოჯახის სახლი ცისფერი იყო და ტორის, მართლაც, ბერძნული ნაკვთები ჰქონდა, თუმცა აღნაგობით ზორბა ნორმანებს უფრო მოგაგონებდათ. როგორც ჩანს, სისხლის ეს მრავალფეროვნება რაღაც საშიშ და წმინდა სიცილიურ ნარეუვად დაღვინდა და სწორედ ამიტომ იჩქარა ჰექტორ ადონისმა მონტელეპრეში ჩასვლა.

მთავარი ქუჩის ყოველ კუთხეზე კარაბინერთა რაზმი იდგა. ფესტას მეორე დღე იყო, მაგრამ ქალაქის ეს ნაწილი უჩვეულოდ დუმ-

და და არც ბავშვები თამაშობდნენ ქუჩაში. აღონისმა მანქანა ჯულიანოს სახლთან, ტროტუარზე, დააყენა. კარაბინერები ეჭვით შეაცქერდნენ, ხოლო, მანქანიდან რომ გადმოვიდა, მისი სიდაბლით გახალისებულებმა, ღიმილით გააყოლეს თვალი.

კარი პიშოტამ გაუღო. ჯულიანოს მშობლები სტუმარს საშხარეულოში ელოდებოდნენ, მაგიდაზე საუზმე — ცივი სოსისი, პური და ყავა — გაწყოთ. მარია ლომბარდო მშვიდად იყო: ერთგულმა ასპანუმ დააიძედა, შენი შვილი მორჩებაო. უფრო აღშფოთებული ჩანდა, ვიდრე შეწუხებული. მის მეუღლესაც სახეზე დარდის ნაცვლად უფრო სიამაყე ემჩნეოდა: მისმა ვაჟმა ვაჟკაცობა გამოავლინა; თვითონ ცოცხალი დარჩა, მისი მტერი კი მკვდარი იყო.

პიშოტას ხელმეორედ მოუწია იმავე ამბის მოყოლა. ამჯერად უფრო მანუგეშებელი იუმორით საუბრობდა. ჯულიანოს ჭრილობა დაახასიათა, როგორც არცთუ ისე მძიმე, და თითქმის არ უხსენებია საკუთარი გმირობა, როცა დაჭრილი მეგობარი მონასტრამდე მიიყვანა. ჰექტორ აღონისი თვითონ მიხვდა, რომ დაჭრილის სამი მილის მანძილზე მთიან გზაზე გადაყვანა პიშოტასნაირი აგებულების კაცი სთვის უმძიმესი უნდა ყოფილიყო. ისიც შენიშნა, რომ მთხრობელმა ჯულიანოს ჭრილობის ამბავი მეტისმეტად მიაფუჩეჩა და სერიოზული შიშიც გაუჩნდა.

— როგორ გაიგეს კარაბინერებმა, რომ ტორი ამ ქალაქში ცხოვრობს? — იკითხა მან. პიშოტამ აუხსნა, რომ პოლიციელებს ხელთ ტორის საბუთი დარჩათ.

— რად არ დაუთმო ყველი? ჩხუბი რად წამოიწყო? — მოთქვამდა ტორის დედა. ქმარმა შეაჩერა:

— შენი აზრით, როგორ უნდა მოქცეულიყო? საცოდავი ფერმერი გაეცა? ამით ხომ მთელ ოჯახს სამუდამოდ შეგვარცხვენდა!

აღონისი ამ საუბარმა უცნაურად გააოცა: იცოდა, მარია ლომბარდო თავის ქმარზე ბევრად უფრო გაბედული და მებრძოლი რომ იყო, მაგრამ ახლა, თითქოს, როლები გაეცვალათ: დედა სინანულს ამჟღავნებდა, მამა კი — საბრძოლო შემართებას. არც ასპანუსგან მოელოდა ასეთ ვაჟკაცობასა და გამძლეობას, როგორც მეგობრის გადარჩენისას გამოავლინა, და ახლა წარბშეუხრულად ეუბნებოდა მშობლებს, რომ მათი შვილის ჭრილობა საფრთხეს არ წარმოადგენდა.

— პირადობის დამადასტურებელი საბუთი რომ არ დაეტოვებინა, ყველაფერი კარგად იქნებოდა, — თქვა ჯულიანოს მამამ, — ჩვენი ახლობლები დაიფიცებდნენ, რომ გუშინ ტორი სხვებთან ერთად ქუჩაში იყო.

— მაინც დააპატიმრებდნენ, — ატირდა დედა, — ახლა მთაში მოუწევს თავის შეფარება.

— როგორ დავრწმუნდეთ იმაში, რომ აბატი მას პოლიციას არ გადასცემს? — იკითხა ადონისმა.

— ვერ გაბედავს, — მრისხანედ გამოსცრა პიშოტამ, — მშვენივრად იცის, რომ თავისივე ანაფორით მიჯანყდეს.

ადონისი პიშოტას დაჟინებით დააკვირდა. მთლად ახალგაზრდა ჭაბუკს უცნაური სიშლევით ეტყობოდა. ადონისმა გაიფიქრა, ახალგაზრდის თავმოყვარეობის შელახვას ძალზე საშიში შედეგი მოსდევსო. პოლიციას კი ეს არ ესმის: შეიძლება, თავმოყვარეობა შეულახო შუახნის ადამიანს და ის ამას მშვიდად მიიღებს, რადგან ცხოვრებისაგან დარტყმებსა და შეურაცხყოფას მიჩვეულია. მაგრამ ახალგაზრდისათვის ეს სიკვდილ-სიცოცხლის საქმეა.

ოჯახი იმედით შეჰყურებდა ჰექტორ ადონისს, რომელიც ტორის უკვე არაერთხელ დახმარებია. ჰექტორმა თქვა:

— თუკი პოლიცია ტორის ადგილსამყოფელს შეიტყობს, აბატს არჩევანი აღარ ექნება. არც თვითონაა ეჭვგარეშე. საუკეთესო გამოსავლად მიმაჩნია, თქვენი ნებართვით, ჩემს მეგობარ დონ კროჩე მალღოს ვთხოვო აბატთან დაკავშირება.

ყველას გაუკვირდა ის, რომ ადონისი დიდ დონს იცნობდა, მხოლოდ პიშოტამ ჩაიღიმა მცოდნე კაცის იერით. ადონისი მიუბრუნდა და მკაცრად უთხრა:

— შენ თვითონ რაღას აკეთებ აქ? პოლიციას შენი გარეგნობის აღწერილობა აქვს, ამოგიცნობენ და დაგაკავენ.

პიშოტამ აგდებით უპასუხა:

— იმ ორმა პოლიციელმა შიშისაგან ლამის ჩაისვარა. მე კი არა, საკუთარ დედას ვერ ამოიცნობენ. თანაც, ათზე მეტი მოწმე დამიდასტურებს, რომ გუშინ მონტელეპრეში ვიყავი.

ჰექტორ ადონისმა პროფესორისათვის შესაფერისი ავტორიტეტული კილოთი მიმართა ცოლ-ქმარს:

— თქვენი შვილის მონახულებას ნუ ეცდებით და უახლოეს მეგობრებსაც არ გაანდოთ მისი ადგილსამყოფელი. პოლიციას ყველგან ჰყავს ინფორმატორები და ჯაშუშები. ასპანუ ტორის ღამით მონახულებს. როგორც კი გადაადგილებას შეძლებს, იმაზე ვიზრუნებ, რომ სხვა ქალაქში მშვიდად იცხოვროს, ვიდრე აქ ვნებები არ ჩაცხრება. გარკვეული თანხის დახმარებით უნდა შევძლოთ ტორის შინ დაბრუნება. ნუ იღარდებ, მარია, შენს ჯანმრთელობას გაუფრთხილდი. შენ კი, ასპანუ, საქმის კურსში მამყოფე.

ცოლ-ქმარს სათითაოდ გადაეხვია. სტუმარი რომ გავიდა, მარია ლომბარდო უფრო მწარედ ატირდა.

ადონისს ბევრი საქმე ჰქონდა, უმნიშვნელოვანესი კი ეს იყო: დონ კროჩესთვის უნდა ეთხოვა, იმაზე ეზრუნა, რომ ტორის თავშესაფარში საფრთხე არ დამუქრებოდა. მადლობა ღმერთს, რომის მთავრობას პოლიციელის მკვლელობასთან დაკავშირებული ინფორმაციისათვის ჯილდო არ დაუწესებია. წინააღმდეგ შემთხვევაში, აბატი მას თავის რომელიმე წმინდა რელიკვიასაუთ გაყიდდა.

ტორი ჯულიანო საწოლში უძრავად იწვა. ექიმის განაჩენი მოისმინა, მაგრამ არ სჯეროდა, რომ კვდებოდა. ეჩვენებოდა, თითქოს, მისი ტანი ჰაერში ეკიდა. აღარც ტკივილს გრძნობდა, აღარც შიშს. მტკიცედ ირწმუნა, რომ არასოდეს მოკვდებოდა. არ იცოდა, რომ ბევრი სისხლის დაკარგვის შედეგად ადამიანს ეიფორია ეუფლება.

მომდევნო დღეებში ბერები უვლიდნენ და რძით კვებავდნენ. საღამოობით კი აბატი ექიმთან ერთად მოდიოდა მის სანახავად. ღამ-ღამობით პიშოტა ეჯდა სასთუმალთან და წყვდიადის მძიმე, შემზარავ საათებს უმსუბუქებდა. ორი კვირის თავზე ექიმმა განაცხადა, სასწაული მოხდაო.

ტორი ჯულიანომ საკუთარ სხეულს ნებისყოფის ძალით უბრძანა ჭრილობის მოშუშება, ახალი სისხლის გამომუშავება, ფოლადისპირიანი ტყვიით დაფლეთილი ორგანოების გამოთლება. სისხლის დაკარგვით გამოწვეული ეიფორიის ზმანებებში კი თავის მომავალ დიდებას ხედავდა. არნახული თავისუფლება იგრძნო. იცოდა, ამიერიდან საკუთარ ქმედებებზე არავის წინაშე აღარ აგებდა პასუხს. ვეღარც საზოგადოება შეაკავებდა, ვეღარც კანონი, ვეღარც კანონზე უფრო ძლიერი ოჯახური ტრადიციები. სასიკვდილო ჭრილობა ნებისმიერი დანაშაულისაგან ათავისუფლებდა.

და ყოველივე ეს — ბრიყვი კარაბინერის მიერ ყველის გამო ნასროლმა ტყვიამ მოახდინა!

გამოჯანსაღების რამდენიმე კვირის განმავლობაში გამუდმებით თვალწინ ედგა წარსულის სურათები: როგორ იდგნენ ის და მისი თანამოქალაქეები მოედანზე და დამცირებული იერით ელოდნენ გაბელოტის, მსხვილი მემამულის მოურავს, რომელიც მათ ყოვლად მათხოვრული გასამრჯელოს ფასად მინდორში სამუშაოდ ქირაობდა და, რაკი ძალაუფლება მთლიანად მის ხელთ იყო, დამცინავად უცხადებდა, თუ ხელს არ გაძლევს, შინ წადი და შიმშილით მოკვდიო; რა უთანასწოროდ ანაწილებდა მოსაჯულს მოძალადე კანონი და რა ცინიზმით სჯიდა ღატაკებს, მდიდრებს კი ხელს არ აკარებდა.

ტორიმ დაიფიცა, თუ გადარჩებოდა, მისი ხელით სამართალი გაიმარჯვებდა. აღარასოდეს დანებდებოდა ბედს, სულიერადაც და ფიზიკურადაც აისხამდა იარაღს. აღარასოდეს იდგებოდა სამყაროს პირისპირ ისე უღონოდ, როგორც გვიღო კინტანას ან იმ პოლიციელის წინაშე იდგა, რომელმაც საბედისწერო ტყვია ესროლა. გუშინდელი ახალგაზრდა ტორი ჯულიანო მართლაც მოკვდა: მისი ადგილი სრულიად სხვა ადამიანმა დაიკავა.

ერთი თვე რომ მიიწურა, ექიმმა ურჩია, კიდევ რამდენიმე კვირით დარჩენილიყო ადგილზე, ოღონდ ზომიერად ემოძრავა. ტორიმ ბერის სამოსი ითხოვა და მონასტრის მიწებზე სეირნობა დაიწყო. აბატი მისდამი სიმპათიით განიმსჭვალა და ხშირად თან დაჰყვებოდა. მის სიმპათიას, სხვათა შორის, ჰექტორ ადონისის მიერ გამოგზავნილმა თანხამ და დონ კროჩეს სიტყვებმაც შეუწყო ხელი, ეს ახალგაზრდა ჩემი განსაკუთრებული მფარველობის ქვეშ იმყოფებაო.

ჯულიანო გაოცებით აკვირდებოდა ბერების ცხოვრებას. რეგიონში, სადაც მიწაზე მომუშავე გლეხებიც კი შიმშილით იხოცებოდნენ, ბერების საძმო ჭეშმარიტად მეფურ ფუფუნებაში ცხოვრობდა. მონასტერი, მართლაც, უმდიდრეს მამულს წარმოადგენდა.

მის საკუთრებაში შედიოდა ლიმონის ბაღი, სახარებისდროინდელი ზეთისხილის ხეებით დაბურული ნაკვეთი, ბამბუკის პლანტაცია და საყასბო, რომელსაც ყოველდღიურად ეგზავნებოდა რამდენიმე დასაკლავი ცხვარი და გოჭი. ქათმები და ინდაურები გუნდ-გუნდად დაბორილადნენ მონასტრის ტერიტორიაზე. ბერები ყოველდღიუ-

რად სპაგეტისთან ერთად სადილად ხორცსაც შეექცეოდნენ და თავიანთ დაწურულ ღვინოსაც სვამდნენ. თავიანთ პროდუქციას შავ ბაზარზე თამბაქოზე ცვლიდნენ და გამუდმებით ეწეოდნენ.

თუმცა ვირებივით მუშაობდნენ კიდეც. მთელი დღის განმავლობაში მუხლებამდე კალთბაკეცილი კაბებით შრომობდნენ და ოფლი ღვარად სდიოდათ. გადაპარსულ თავებზე მზისაგან დასაცავად ამერიკული სამხედრო ქუდები ეხურათ, რომელიც აბატმა რომელიღაც სამხედრო ბანაკს ერთ კასრ ღვინოში გადაუცვალა. ეს ქუდები სხვადასხვანაირ ყაიდაზე ეხურათ: ზოგს ფარფლები განგსტერებივით დაბლა ჩამოეწია, სხვებს აეკეცათ და ამ ნაკეცებში სიგარეტი ედოთ. აბატს ეს ქუდები ჭირივით შეჯავრდა და მინდორში მუშაობის გარდა სხვა ყველა შემთხვევაში მათი ტარება აკრძალა.

ჯულიანო ოთხი კვირით ბერი გახდა. აბატი გაოცებით ადევნებდა თვალს ახალგაზრდას: ის ბერებთან ერთად თავდაუზოგავად შრომობდა მინდორში და ზეთისხილით სავსე მძიმე გოდრების ზიდვაშიც ეხმარებოდა. როგორც კი ძალ-ღონე დაუბრუნდა, ჯულიანო სიხარულით ეძგერა სამუშაოს, სიამოვნებდა თავისი ძალის გამომჟღავნება. მძიმე გოდრების აწვევისას მუხლები ერთხელაც არ აჰკანკალებია. აბატმა განუცხადა, შენით ვამაყობ და, რამდენ ხანსაც გსურს, იმდენ ხანს დარჩი, რადგან ბერის თანდაყოლილ თვისებებს გატყობო.

ამ ოთხი კვირის განმავლობაში ტორი ბედნიერი იყო: ზომ სასწაულებრივად აღდგა მკვდრეთით, თვალწინ კი საოცნებო ზმანებები და თავისი მომაკვალე გმირობები ედგა. მოხუცი აბატიც მოსწონდა, რადგან მისდამი სრული ნდობით განიმსჭვალა და მონასტრის ყველა საიდუმლო გაანდო. თავმოძვრებზე შეატყობინა, რომ მონასტრის მთელი პროდუქცია უშუალოდ შავ ბაზარზე იყიდებოდა, სახელმწიფო საწყობებამდე კი არ აღწევდა. გამონაკლისს ღვინო წარმოადგენდა, რომელსაც ბერები თვითონ სვამდნენ. ღამობით სავანეში ლოთობა და ბანქოს თამაშიც იმართებოდა და არცთუ იშვიათად ქალებიც შემოჰყავდათ, მაგრამ ამ ყველაფერზე აბატი თვალს ხუჭავდა.

— რთულ დროებაში ვცხოვრობთ, — აუხსნა ჯულიანოს, — დაპირებული ცის სასუფეველი მეტისმეტად შორსაა. გაიხარონ, ღმერთი მიუტყვებთ.

ერთ წვიმიან დღეს აბატმა ტორის შენობის შორეული ფრთა და-
ათვალიერებინა, სადაც რელიკვიათა სახელოსნო იყო მოწყობილი.
აქ ხნიერი დიდოსტატი ბერები მუშაობდნენ, თუმცა ეს ხელობაც,
სხვათა მსგავსად, ომის შემდგომ კრიზისს განიცდიდა.

— ომამდე საქმე ძალზე კარგად მიგვდიოდა, — ამოიოხრა აბატ-
მა, — ნახე, რა უძვირფასესი სიწმინდეები გვაქვს: აი, იმ თევზის
ფხა, რომლითაც იესომ ხუთი ათასი კაცი დააპურა. აი, მოსეს კვერ-
თხი, რომლითაც ის ებრაელებს აღთქმული მიწისაკენ მიუძღოდა,
— აბატი შეჩერდა და ჯულიანოს გაოცებულ სახეს კმაყოფილებით
გადახედა. შემდეგ კმაყოფილება ბოლმით შეეცვალა, ზიზღით ჰკრა
ფეხი ნაფოტების გროვას, — ეს ოდესღაც ყველაზე კარგად გვეყიდე-
ბოდა: მაცხოვრის ჯვრის ნატეხები. ამ სკოვრში კი მსოფლიოს ყვე-
ლა წმინდანის ნაწილები ინახება. სიცილიაში ნებისმიერ ოჯახში
აქვთ რომელიმე წმინდანის სხეულის ნაწილი. საგანგებო საწყობში
ვინახავთ წმინდა ანდრიას ცამეტ მკლავს, იოანე ნათლისმცემლის
სამ თავსა და ჟანა დ'არკის შვიდ აბჯარს. ზამთრობით ჩვენი ბერები
შორეულ რეგიონებში მოგზაურობენ ამ სიწმინდეების გასაყიდად.

ტორი ახლა უკვე იცინოდა და აბატიც ღიმილით უცქერდა ჭა-
ბუკს. მაგრამ ჯულიანო იმაზე ფიქრობდა, თუ რატომაა, ლატაკს
ყველა რომ ატყუებს, ისიც კი, ვინც, თითქოსდა, ხსნის გზის საჩვე-
ნებლადაა მოწოდებული. ეს მნიშვნელოვანი აღმოჩენა გონებაში
ღრმად ჩაიბეჭდა.

აბატმა უჩვენა პალერმოს კარდინალის მიერ ნაკურთხი მე-
დალიონებით სავსე ზარდახშა, იესოს ოცდაათი სუდარა და შავი
ღვთისმშობლის ორი ქანდაკება. ჯულიანომ სიცილი შეწყვიტა და
უამბო, რომ დედამისი ბავშვობიდან სათუთად ინახავდა ღვთისმშო-
ბლის ამგვარ შავ ფიგურას. ნუთუ ისიც ყალბი იყო? აბატმა მხარზე
ხელი მოუსვა და დაამშვიდა, მონასტერი უკვე ას წელიწადზე მე-
ტია, რაც ზეთისხილის ხისაგან ამოკვეთილ ასეთ ფიგურებს ყიდის,
თუმცა მათაც აქვთ გარკვეული ფასი, რადგან შეზღუდული რაოდე-
ნობით მზადდებო.

აბატი ცუდს ვერაფერს ხედავდა იმაში, რომ მკვლელისთვის
წმინდა მამების ცოდვები გაენდო, მაგრამ ჯულიანოს საყვედურით
სავსე მზერამ მაინც დააფიქრა.

— გაიხსენე, რომ ბერები კი ვართ, მაგრამ მაინც ამქვეყნად

გვიწევს ცხოვრება იმ ხალხში, ვისაც არ სწამს, რომ ზეცაში დამსახურებულ ჯილდოს მიიღებს, — თავი იმართლა აბატმა, — ჩვენც გვყავს ოჯახები და, შეძლებისდაგვარად, ვცდილობთ, დახმარება გავუწიოთ. ბერების უმრავლესობა ღატაკი ოჯახებიდანაა, ხოლო ღატაკნი, როგორც ვიცით, მიწის მარილს შეადგენენ. ამ მძიმე დროში ჩვენს და-ძმებსა და ნათესაებს საშიშშილოდ ვერ გავიმეტებთ. გარდა ამისა, წმინდა ეკლესიასაც სჭირდება მტრებისაგან დაცვა, გზააბნეულ ლიბერალებთან, კომუნისტებსა და სოციალისტებთან საბრძოლველად ფულია საჭირო. რაოდენ დიდ ნუგემს სცემენ დედა ეკლესიას მისი ერთგული შვილები! რელიკვიებით შეგროვილი ფული ურწმუნოთა შემუსვრას ხმარდება, თანაც, ამ ბრძოლამ, შეიძლება, რომელიმე მათგანს გულში სინანული და რწმენა ჩაუნერგოს. რელიკვიების ნაცვლად ხალხი ღვინოს, აზარტულ თამაშებსა და უწესო ქალებს მიახარჯავს ფულს. განა ეს უკეთესი იქნება?

ჯულიანომ თავი დაუკრა, მაგრამ ბაგეზე დამცინავი ღიმილი დასთამაშებდა. ახალგაზრდა კაცისათვის ასეთ თვალთმაქცობასთან შეხვედრა თავბრუდამხვევია. აბატი მისმა ღიმილმა გააღიზიანა: უფრო მეტ მადლიერებას მოელოდა მკვლელისაგან, რომელსაც ხელი დააფარა და სიკვდილისაგან იხსნა. მადლიერება კი ამ შემთხვევაში საპასუხო თვალთმაქცობას ნიშნავდა. ამ მკვლელს, კონტრაბანდისტს, გლახუჭას, ვილაც ტორი ჯულიანოს, მეტი ქრისტიანული თვინიერება მართებდა. აბატმა მკვახედ შეაგონა:

— გახსოვდეს, ჩვენი რწმენის უმტკიცესი საყრდენი სასწაულებია.

— ვიცი, — მიუგო ტორიმ, — და ისიც ვიცი, რომ თქვენი მოვალეობა ჩვენთვის ამ სასწაულების ჩვენებაა, — ეს იქედნობის გარეშე, ალალღი ღიმილით წარმოსთქვა, თავისი კეთილისმყოფლის წყენინება არ სურდა, მაგრამ ამაზე მეტი ვერაფერი შეძლო.

აბატი ამით დაკმაყოფილდა და გუნება კვლავ გამოუკეთდა. ბიჭი გულით მოსწონდა, მასთან საუბარს შეეჩვია და, თანაც, სიამოვნებდა, მისი მოვალე რომ იყო. უკვე გამოავლინა კეთილშობილება, ამიტომაც, აშკარა იყო, რომ ვალში არ დარჩებოდა. ყოველდღიურად სიტყვითაც და საქმითაც გამოუთქვამდა აბატს პატივისცემასა და მადლიერებას. ბოროტმოქმედის უგულობა სრულებით არ ახასიათებდა. აბატი იმას ჩაუფიქრდა, თუ რა ბედი ეწევა ამ ალალ ახალგაზრდას დღევანდელ სიცილიაზე დამსმენთა, კრიმინალთა, ღატაკთა

და გაქნილ ცოდვილთა შორის. თუმცა თავი იმით დაიმშვიდა, რომ მკვლევლობის ერთხელ ჩამდენს არც მეორედ გაუჭირდება იმავეს გაკეთება. აბატმა გადაწყვიტა, რომ დროა, დონ კროჩემ ჯულიანო სწორ გზაზე დააყენოს.

ერთ დღეს ტორი საწოლზე მიწოლილიყო დასასვენებლად, როცა უცნაური სტუმარი ეწვია. აბატმა ის თავის გულითად მეგობრად, მამა ბენჯამინო მალოდ წარუდგინა, შემდეგ კი ერთმანეთის პირის-პირ დატოვა.

მამა ბენჯამინომ თანაგრძნობით წარმოთქვა:

— შვილო ჩემო, იმედი მაქვს, ჭრილობა სრულად მოგიშუშდათ. წმინდა მამამ მითხრა, რომ ეს სასწაულებრივი გადარჩენა იყო.

— დიახ, ღვთის წყალობით, — თავაზიანად უპასუხა ჯულიანომ. მამა ჯულიანომ ისე ღვთისმოსავად დახარა თავი, თითქოს ეს წყალობა უშუალოდ მასზე გადმოვიდა.

ჯულიანომ სტუმარი შეათვალიერა. ამ სასულიერო პირს ნამდვილად არასოდეს უმუშავია მინდორში: სამოსი მეტისმეტად კოპწია ჰქონდა, სახე, თეთრი, ხელები კი — ნაზი. თუმცა, გამომეტყველება სწორედ ისეთი თავმდაბლური და ლბილი ჰქონდა, ნამდვილ ქრისტიანს რომ შეეფერება.

ხმაც ლბილი და სასიამოვნო ჰქონდა, როდესაც ტორის მიმართა:

— შვილო, შენს აღსარებას მოვისმენ და გაზიარებ, რათა ცოდვებისაგან განწმენდილი კვლავ დაუბრუნდე ამ ცხოვრებას.

ტორიმ მზერით აზომ-დაზომა მღვდელი, რომელიც ასეთ უსაზღვრო შესაძლებლობებზე დებდა თავს.

— მომიტკვეთ, მამაო, მაგრამ სინანულს ჯერ არ განვიცდი და აღსარება თვალთმაქცური გამომივა. თუმცა, მაინც გმადლობთ ამ წყალობისათვის.

— მართალია, — დაეთანხმა მღვდელი, — ეს მხოლოდ დაგიმძიმებთ ცოდვებს. მაგრამ კიდევ ერთი, უფრო პრაქტიკული რამ უნდა შემოგთავაზოთ, რაც ჩვენს სამყაროში უფრო მეტად გამოგადგებათ. ჩემმა ძმამ, დონ კროჩემ, საგანგებოდ გამომგზავნა, რათა მისი დანაბარები გადმოგცეთ: ის თავის ვილაზე, ვილაბაში გთავაზობთ თავშესაფარს. კარგ გასამრჯელოსაც მიიღებთ და, ცხადია, ვიდრე მისი მფარველობის ქვეშ იქნებით, სამართალდამცავები ხელის ხლებას ვერ გაგიბედავენ.

ჯულიანო დიდად გააკვირვა იმან, რომ მისი ამბავი თვით დონ კროჩემაც შეიტყო. იცოდა, რომ ფრთხილად უნდა ყოფილიყო. მაფია სძულდა და არ სურდა, მის ქსელში გახლართულიყო.

— ეს ჩემთვის დიდი პატივია, — უპასუხა მან, — დიდი მადლობა თქვენც და თქვენს ძმასაც. მაგრამ, ვიდრე გადაწყვეტილებას მივიღებ, ჩემს ოჯახს უნდა დავეკითხო და მშობლების ნებას ანგარიში გავუწიო. ამიტომ, ჯერჯერობით, ნება მომეცით, თქვენს შეთავაზებას უარით ვუპასუხო.

მღვდელს სახეზე გაოცება აღებეჭდა. რომელი სიცილიელი იტყოდა უარს დიდი დონის მფარველობაზე? ამიტომაც ბიჭმა დაუმატა:

— შესაძლოა, ერთ-ორ კვირაში აზრი შევიცვალო და ვილაბაში გესტუმროთ.

მამა ბენჯამინო შვებით წამოდგა და ჯულიანოს დასალოცად ხელები გაიწვდინა.

— ღმერთი გფარავდეს, შვილო. ჩემი ძმის სახლში მუდამ სიხარულით მიგიღებენ, — შემდეგ ჯვარი გადასახა და ოთახიდან გავიდა.

ტორი ჯულიანომ იცოდა, რომ მისი აქედან წასვლის დრო დადგა, როცა იმ ღამით პიშოტა მოვიდა, დააუალა, ყველაფერი მოემზადებინა, რაც მისთვის მონასტრის დასატოვებლად იყო საჭირო. ხედავდა, რომ მხოლოდ თვითონ კი არა, მისი მეგობარიც შეიცვალა. პიშოტამ უსიტყვოდ მიიღო მისგან ყველა ბრძანება და ყველაფერში დაეთანხმა. ბოლოს ჯულიანომ უთხრა:

— ასპანუ, შეგიძლია, თან წამომყვე, შეგიძლია, შენს ოჯახს დაუბრუნდე. ისე მოიქეცი, როგორც გული გკარნახობს.

— გგონია, მთელ თავგადასავალსა და დიდებას შენ დაგიტომობ? — გაუღიმა პიშოტამ, — მთაში გასართობად გაგიშვებ, თვითონ კი ვირების მწყემსად და ზეთისხილის მკრეფავად დაურჩები? თანაც, ჩვენ ხომ მეგობრები ვართ. ბავშვობიდან ერთად ვთამაშობდით, ერთად ვშრომობდით, ახლა კი მთაში მარტომ უნდა იცხოვრო? მონტელეპრეში მხოლოდ შენთან ერთად დავბრუნდები. გვეყო სულელური ლაპარაკი. ოთხ დღეში მოგაკითხავ. შენი დაუალებების შესრულებას მეტი დრო არ დასჭირდება.

ამ ოთხი დღის განმავლობაში პიშოტას ბევრი საქმე ჰქონდა. მანამდე უკვე დაადგა იმ კონტრაბანდისტის კვალს, პოლიციელებს დაჭრილი ჯულიანოს დაჭერა რომ შესთავაზა. მას მარკუზი ერქვა და დონ კროჩესა და გვიდო კინტანას მფარველობის ქვეშ კონტრაბანდის ფართო ქსელი ჰქონდა გაბმული. ჰყავდა ბიძა, რომელიც იმავე გვარს ატარებდა და მათვის დიდი ბოსი იყო.

პიშოტამ გამოარკვია, რომ მარკუზი რეგულარულად მიმოდინოდა მონტელეპრესა და კასტელამარეს შორის. ისიც იცოდა, თუ რომელ ფერმერთან ჰყავდა ჯორები და, როგორც კი ნახა, რომ ცხოველები მინდვრიდან ქალაქის ახლომდებარე სადგომში გადაიყვანეს, უკვე იცოდა, რომ მომდევნო დღეს მარკუზი კონტრაბანდის გადატანას აპირებდა. შუადღისას პიშოტა იმ გზაზე ჩასაფრდა, სადაც მარკუზის უნდა გაეგლო, და ლოდინი დაიწყო. თან ჰქონდა ლუპარა, რომლის ქონაც ბევრ აქაურ ოჯახში ჩვეულებრივ ამბად ითვლებოდა. ეს სიცილიური თოფი იმდენად ხშირად გამოიყენებოდა მკვლელობისათვის, რომ, როდესაც მუსოლინიმ მათვის განადგურება დააპირა, ბრძანება გასცა, ყველა ქვის გალაჟანი სამი ფუტის სიმაღლემდე დაედაბლებინათ, მსროლელებს საფრად რომ ვეღარ გამოეყენებინათ.

პიშოტამ მარკუზის მოკვლა მხოლოდ იმიტომ კი არ გადაწყვიტა, რომ მან პოლიციას ჯულიანოს მოკვლაში დახმარება შესთავაზა, არამედ იმიტომაც, რომ ეს მოგვიანებით თავის მეგობრებთანაც დაიტრაბახა. პიშოტას აზრით, მისი მოკვლა გაფრთხილება იქნებოდა ყველასთვის, ვინც ჯულიანოს ღალატს დააპირებდა. თანაც ის იარაღიც სჭირდებოდა, რომელიც, როგორც იცოდა, მარკუზის თან დაჰქონდა.

დიდხანს ლოდინი არ დასჭირდა. რაკი მარკუზის ჯერ მხოლოდ ცარიელი ჯორები მიჰყავდა კასტელამარეს შავი ბაზრისკენ, ამიტომაც გზას ლალად და დამშვიდებით მიუყვებოდა. თვითონ ერთ-ერთ ჯორზე ამხედრებული, დანარჩენებს წინ მიუძლოდა და შაშხანა მხარზე უდარდელად გადაეკიდა. როცა თავის წინ გზაზე გადამდგარი პიშოტა დაინახა, არც მაშინ დამფრთხალა. ერთი ტანდაბალი, გალეული ბიჭი დაინახა, კოპწია ულვაშითა და გამაღიზიანებელი ღიმილით. მხოლოდ მაშინ გამოფხიზლდა, როცა პიშოტამ ქურთუკის კალთიდან ლუპარა ამიღო და დაუმიზნა.

— უდროოდ დროს მაჩერებ, — გასძახა მკვახედ, — საქონელი

ჯერ არ წამომიღია. ამ ჯორებს კი „მეგობართა მეგობრები“ იცავენ. გიჯობს ჭკუა იხმარო და ვინმე სხვა გაძარცვო.

— მხოლოდ შენი სიცოცხლე მჭირდება, — რბილად უთხრა პიშოტამ და უღმობლად გაუღიმა, — გახსოვს, პოლიციელთა წინაშე გმირად რომ გინდოდა თავის მოჩვენება? ორიოდე თვის წინ.

მარკუზიმ გაიხსენა. ჯორი გვერდულად შეატრიალა, პიშოტას რომ არ დაენახა, ხელი ქამრისკენ როგორ ჩაიცურა და პისტოლეტს დასწვდა. ამავე დროს სროლისათვის მოსახერხებელი პოზიცია დაიკავა. უკანასკნელი, რაც დაინახა, პიშოტას ღიმილი იყო, როცა ლუპარას გასროლამ უნაგირიდან გადმოაგდო და მტვერში ჩაამხო.

პიშოტა გვამს პირქუში კმაყოფილებით მიუახლოვდა და კიდევ ერთხელ ესროლა თავში, მერე ხელიდან პისტოლეტი გამოაცალა და მიწიდან შაშხანაც აიღო. მკვდარს ჯიბიდან თოფის ტყვიები ამოაცალა და ჯიბეში ჩაიყარა. მერე ერთმანეთის მიყოლებით ოთხივე ჯორს სწრაფად ესროლა: ეს გაფრთხილება გახლდათ მათთვის, ვინც ჯულიანოს მტრებს თუნდაც რამეში დაეხმარებოდა. წუთით გზაზე შეყოვნდა: ხელში ლუპარა ეკავა, მოკლულის შაშხანა მხარზე ჰქონდა გადაკიდებული, პისტოლეტი ქამარში გაიყარა. სინანულს სრულებით არ გრძნობდა და საკუთარი სიმტკიცე კმაყოფილებას ანიჭებდა, რადგან, მიუხედავად გულწრფელი სიყვარულისა, მეგობარს მუდამ ყველაფერში ეჯიბრებოდა. და, თუმცა ტორის უფროსობას აღიარებდა, მაინც მუდამ ცდილობდა მისთვის მეგობრობა იმით დაემტკიცებინა, რომ მასავით ძლიერი და უშიშარი გამომდგარიყო. ახლა მანაც გადააბიჯა სიყმაწვილისა და საზოგადოების დაცულ წრეს და ტორის ამ ზღვარს მიღმა შეუერთდა. ამ მკვლელობით საკუთარი ბედი სამუდამოდ დაუკავშირა სალვატორე ჯულიანოს.

ორი დღის შემდეგ, ვახშმის წინ ჯულიანომ მონასტერი დატოვა. სატრაპეზოში შეკრებილ ყველა ბერს სათითაოდ გადაეხვია და სიკეთისა და მასპინძლობისათვის მადლობა გადაუხადა. ბერებს მისი წასვლა ენანებოდათ. მართალია, წირვას არასოდეს დასწრებია, არც აღსარება უთქვამს და არც მკვლელობა მოუნანიებია, მაგრამ ზოგიერთ მათგანსაც საერო ცხოვრებაში ჩაუდენია ამგვარი ცოდვა, ამიტომ ტორის არაფერს არაფერს საყვედურობდა.

აბატმა ჯულიანო მონასტრის ჭიშკრამდე მიაცილა, სადაც მას

პიშოტა ელოდა. გამოსათხოვარი საჩუქარი მიაართვა: შავი ღვთისმშობლის ზუსტად ისეთივე ფიგურა, როგორც შინ მის დედას ჰქონდა. პიშოტას ამერიკული მწვანე სპორტული ჩანთა ჰქონდა თან და ტორიმ ქანდაკება ამ ჩანთაში ჩადო.

პიშოტა დამცინაუად აღევნებდა თვალს აბატისა და ტორის გამოთხოვებას. იცოდა, რომ აბატი კონტრაბანდისტი და „მეგობართა მეგობარი“ იყო და ბერებს მონათმფლობელზე უფრო უღმობლად ამუშავებდა. ამიტომაც ახლა მისი სენტიმენტალობის არ სწამდა. თავში არ მოსდიოდა ის, რომ ტორი ჯულიანოს ხნიერი და გაქნილი კაცის გულშიც შეეძლო იმავე სიყვარულის გაღვივება, როგორსაც თვითონ განიცდიდა მისდამი.

აბატის სიყვარული სრულიად გულწრფელი გახლდათ, თუმცა მას კერძო ინტერესიც აძლიერებდა. იცოდა, ერთ მშვენიერ დღეს ეს ბიჭი ისეთ ძალად გადაიქცეოდა, რომელსაც მთელი იტალია გაუწევდა ანგარიშს. ეს ცოდნა ღვთის დაფარულ საქმეთა ამოცნობას ჰგავდა. რაც შეეხება ტორის, მისი მადლიერებაც სრულიად გულწრფელი გახლდათ. აბატმა ის არა მარტო სიკვდილისაგან იხსნა, არამედ ბევრი რამეც ასწავლა და სასიამოვნო თანამოსაუბრეც იყო. საკუთარი ბიბლიოთეკაც კი დაუთმო. საოცარია, მაგრამ ჯულიანოს აბატის ფუფუნებაც კი მოსწონდა. მიაჩნდა, რომ ცხოვრებაში სწორედ ასეთი ბალანსია მართებული: არაფერი მოიკლო, ოღონდაც ისე, რომ ამით სხვას დიდი ზიანი არ მიაყენო, ავ-კარგი ისე გააწონასწორო, რომ ცხოვრება ლაღად და უმტკივნეულოდ წარმართო.

ერთმანეთს რომ გადაეხვივნენ, ტორიმ უთხრა:

— თქვენი მოვალე ვარ. რა სახის დახმარებაც უნდა დაგჭირდეთ, მაშინვე გამიხსენეთ. თქვენთვის ყველაფერს გავაკეთებ.

— ქრისტიანულ სიკეთეს გასამრჯელო არ სჭირდება, — მხარზე ხელი მოუთათუნა აბატმა, — ღვთის გზებს დაუბრუნდი, შვილო ჩემო, და ვალი მას გადაუხადე, — თუმცა ამას თვალთმაქცურად ამბობდა. კარგად იცოდა, ამ ახალგაზრდას გულში რა ცეცხლი უღვიოდა: საჭიროებისამებრ, მისი აღიდან სატანა წამოყოფდა თავს და ყოველ სურვილს შეუსრულებდა. აბატი ჯულიანოს დაპირებას არასოდეს დაივიწყებდა.

პიშოტას წინააღმდეგობის მიუხედავად, ჯულიანომ სპორტული ჩანთა მხარზე გადაიკიდა და მასთან ერთად მონასტრის ჭიშკარში გავიდა. უკან არც ერთს აღარ მოუხედავს.

თავი 6

მონტედორას მწვერვალის ახლოს, ციცაბო კლდიდან, ჯულიანომ და პიშოტამ მონტელეპრეს გადახედეს. მათ ფეხქვეშ, სულ რამდენიმე მილის მოშორებით, ქალაქის შუქი წყვდიადს ერკინებოდა. ჯულიანოს ისიც კი მოეჩვენა, მოედნის რადიომიმღებიდან მუსიკის ჰანგები მესმისო, გვიან მოსეირნებს ვახშმის წინ სძენას რომ უტკბობდა.

მაგრამ მთის ჰაერი მატყუარა გახლდათ. ქალაქში ჩასვლას ორი საათი სჭირდებდა, იქიდან ამოსვლას კი — სულაც, ოთხი. ჯულიანო და პიშოტა ბავშვობაში სულ აქ თამაშობდნენ, ამ მთებში ყოველ ლოდს, ყოველ გამოქვაბულსა და დერეფანს კარგად იცნობდნენ. ამ კლდის თავზე იყო მათი უსაყვარლესი „გროტა ბიანკა“ — თეთრი მღვიმე, მონტელეპრეს ნებისმიერ სახლზე უფრო დიდი.

ტორი ჯულიანო კმაყოფილი დარჩა იმით, როგორ შეასრულა ასპანუმ მისი მითითებები. მღვიმეში დახვდათ საძილე ლეიბები, ტაფა-ქვაბები, საბრძოლო აღჭურვილობა და საკვებისა და პურის მარაგი. ერთ ხის კოლოფში ასანთი, ელექტრონათურები და დანები ელაგა. გარდა ამისა, მეგობარს ნავთის რამდენიმე კანისტრაც მოემარაგებინა. ტორის გაეცინა:

— ასპანუ, აქ შეგვიძლია სამუდამოდ დავრჩეთ!

— მხოლოდ რამდენიმე დღით, — შეუსწორა ასპანუმ, — კარაბინერებმა შენი ძებნა რომ დაიწყეს, პირველად სწორედ ამ ადგილს მოაკითხეს.

— ეს ლაჩრები მხოლოდ დღისით ეძებენ, — თქვა ტორიმ, — ღამით საფრთხე არ გვემუქრება.

წყვდიადმა მთებს თავისი უკიდევანო კალთა გადაათარა, მაგრამ ვარსკვლავები ისე კაშკაშებდა, რომ გარშემო ყველაფერს მკაფიოდ დაინახავდით. პიშოტა სპორტული ჩანთიდან იარაღისა და ტანსამოსის ამოლაგებას შეუდგა. ტორი ჯულიანო აუჩქარებლად და საზეიმოდ შეიარაღდა. ბერის სამოსი გაიხადა და თხუნელას ბეწვის შარვალი და ცხვრის ბეწვგამოკრული თბილი ქურთუკი ჩაიცვა. ორი რევილვერი ქამარში გაიყარა. ავტომატური პისტოლეტი ქურთუკის შიდა ჯიბეში ისე ჩაიდო, რომ საჭიროებისთანავე უცებ ამოეძრო. ვაზნების ასხმა წელზე შემოიხვია და ჯიბეებიც ტყვიებით გაივსო.

პიშოტამ დანა გაუწოდა, რომელიც ტორიმ სამხედრო ჩექმაში ჩაიდო. კიდევ ერთი მცირე ზომის პისტოლეტი ქურთუკის საყელოს სარჩულქვეშ დამალა. ყველაფერი საგულდაგულოდ შეამოწმა.

შაშხანა ქურთუკს ზემოთ, მხარზე გადაიკიდა. პიშოტას თვალი შეავლო და გაიღიმა: მეგობარი მხოლოდ ლუპართა და ზურგს უკან ტყავის ბუდეში ჩადებული დანით იყო შეიარაღებული.

— ასე მგონია, შენთან შედარებით შიშველი ვარ, — ჩაიცინა პიშოტამ, — მართლა შეძლებ მთელი ამ რკინის ტარებას? ძირს რომ დავარდე, ვერც კი წამოგაყენებ.

ჯულიანო კვლავ იღიმებოდა პატარა ბიჭის ღიმილით, აქაოდა, ცა ქუდად არ მიმაჩნია და დედამიწა ქალამნადო. იარაღის სიმძიმისაგან ნაჭრილობევი სტკიოდა, მაგრამ ამ ტკივილს ნეტარებით აგემოვნებდა: ეს შინაგანი სრულყოფილების განცდას ანიჭებდა.

— მზად ვარ ჩემიანების სანახავადაც და მტერთან შესახვედრადაც, — უთხრა პიშოტას. ორივენი გაუყვნენ მონტე ღორას მწვერვლიდან მონტელეპრეში ჩამავალ ბილიკს.

ვარსკვლავებით მოჭედილი თალის ქვეშ მიაბიჯებდნენ. კბილება-მდე შეიარაღებული ტორი შორეული ლიმონის ბაღებისა და მთის ყვავილების სურნელს ისრუტავდა და ჯერარგანცდილი სიმშვიდით ტკბებოდა. ამიერიდან აღარაფრის ეშინოდა. საკუთარი თავის ეჭვი და მუდმივი შიში ერთხელ და სამუდამოდ დაამარცხა. თუკი ერთხელ უბრძანა საკუთარ სხეულს სიკვდილის დამარცხება, სწამდა, რომ მუდამ ასე გაგრძელდებოდა. წუთითაც არ ეპარებოდა ეჭვი იმაში, რომ წინ დიდებული ცხოვრება ელოდა, და სწამდა, შუა საუკუნეების გმირთა მსგავსად, მანამ არ მოკვდებოდა, ვიდრე ყველა გმრობას არ აღასრულებდა.

არასოდეს მიატოვებდა სიცილიას, ამ მთებსა და ზეთისხილის ბაღებს. ბუნდლოვნად წარმოედგინა თავისი სამომავლო გმრობები, მაგრამ საკუთარ გმრობაში ეჭვი არ ეპარებოდა. აღარასოდეს გახდებოდა ისევ ის გლეხის ბიჭი, ყველასი რომ ეშინოდა: კარაბინერების, მოსამართლეებისა და გამანადგურებელი კორუფციის.

მთიდან ჩამოვიდნენ და მონტელეპრესკენ მიმავალ შარაგზას გაუყვნენ. გზის პირას ბოქლომდადებული სალოცავი შეხვდათ, რომელშიც ღვთისმშობლისა და ყრმის ქანდაკება იდგა და მთვარის შუქზე სამოსი ზღვისფერად უელავდა. ჯულიანოს თავბრუ დაახვია

ხეილის ბაღების სურნელმა. პიშოტა შეჩერდა და ღამის თბილი ჰაერისაგან დამტკბარი ოპუნცია მოწყვიტა. ჯულიანომ უმძაფრესად იგრძნო, რა ძლიერ უყვარს მეგობარი, რომელმაც სიკვდილისაგან გადაარჩინა, და ისიც იგრძნო, რომ ამ სიყვარულს ერთად გატარებული ბავშვობის წლები აასმაგებდა. სურდა, თავისი ლეგენდარული უკვდავება მეგობრისთვისაც ეწილადებინა. არც ერთს არ ეწერა უსახელო სიცილიელ გლეხად სიკვდილი. უკიდურესი აღელვების მდგომარეობაში ჯულიანომ შესძახა:

— ასპანუ, ასპანუ, მე მჯერა! — და ქალაქისკენ მიმავალ ბოლო დაღმართზე ჩაირბინა, ჩაუქროლა თეთრ კლდეებსა და გზის პირას კლიტეებით ჩარაზულ სიწმინდეებს. ასპანუც მის გვერდით მორბოდა სიცილით და ორივემ ქალაქის ბჭესავით მორკალულ მთვარის თაღქვეშ გაიარა.

სადაც კლდეები მთავრდებოდა, ასიარდიანი საძოვარი იწყებოდა, რომლის იქითაც მთავარი ქუჩის პირველი სახლები იდგა. თითოეული სახლის უკან პომიდვრის ბუჩქებით დაბურული ბოსტანი იყო გაშენებული და ეული ზეთისხილის ანდა ლიმონის ხეც იდგა. ბოსტნის ჭიშკარი ღია დახვდათ, უხმოდ შევიდნენ შიგნით. ბოსტანში ტორის დედა ელოდათ. ცრემლიანი სახით შვილისკენ გაექანა და გადაეხვია. გამალებით კოცნიდა და ჩურჩულებდა:

— შვილო, ჩემო საყვარელო შვილო!

ჯულიანო მთვარის შუქში იდგა და სიცოცხლეში პირველად გრძნობდა, რომ დედის სიყვარულს გულწრფელად ვერ პასუხობდა.

თითქმის შუალამე იყო, მთვარე ჯერ კიდევ კაშკაშებდა, ამიტომაც სასწრაფოდ მოეფარნენ თვალს და სახლში შევიდნენ. ფანჯრებზე დარაბები დაეკეტათ, ჯულიანოსა და პიშოტას ნათესავები ახლომანლო ქუჩებს დარაჯობდნენ, პატრულის ჩამოვლის შემთხვევაში ოჯახი რომ გაეფრთხილებინათ. სახლში ჯულიანოს ოჯახი და ახლო მეგობრები ტორის შესახვედრად შეკრებილიყვნენ. ისეთი სუფრა გაეშალათ, საადდგომოდაც რომ არ იშლება. ტორის მოსასიყვარულებლად ხომ მხოლოდ ეს ერთი ღამე ჰქონდათ, ვიდრე ის მთაში დასახლდებოდა.

მამა ვაჟს გადაეხვია და ზურგზე ხელის მორტყმით ანიშნა, ვა-

ჟაკობას გიქებო. დები და ჰექტორ ადონისიც იქ იყვნენ. ასევე მათთან იყო მეზობელი ქალი, სახელად ლა ვენერა, ოცდათხუთმეტოდე წლის ქვრივი, რომლის ქმარი კანდელერია, სახელგანთქმული ყაჩაღი, ერთი წლის წინათ პოლიციამ მოტყუებით დაიჭირა და მოკლა. ის ბოლო დროს ტორის დედას დაუმეგობრდა, მაგრამ ბიჭი მაინც გააკვირვა მისმა აქ დანახვამ — ნეტავ, დედამ რისთვის დაპატიჟაო, გაიფიქრა წამით.

ყველა სუფრას მიუჯდა. ისე იქცეოდნენ, თითქოს, ჯულიანო უცხოეთში გასართობი მოგზაურობიდან დაბრუნებულიყო. მაგრამ ცოტა ხნის შემდეგ მამამ სთხოვა, ჭრილობა ეჩვენებინა. ტორიმ პერანგი აიწია და ფერდზე შეშხარავი ღვინისფერი ნაიარევი გამოაჩინა, რომლის კიდები ჯერაც ჩაშაყებულ-ჩაღურჯებული ჰქონდა. დედა გოდებას მოჰყვა. ჯულიანომ ღიმილით უთხრა:

— გირჩევნია, ციხეში წამების კვალი მეძინეოდეს?

მიუხედავად იმისა, რომ ამ ღამით შინ ყველაფერი ისე იყო მოწყობილი, როგორც მის ბავშვობაში დღესასწაულებზე, ტორი ახლა აქაურობას თითქოს შორი მანძილიდან ხედავდა. სუფრაზე ყველა კერძი იდო, რაც კი მას უყვარდა: კალმარი, სპაგეტი ტომატის ცხარე სოუსში, შემწვარი ბატკანი, დიდი ჯამით ზეთისხილი, ახალ დაწურული ზეითუნის ზეთმოსხმული სალათა, სიცილიური ღვინო ბამბუკშემოწნულ ბოთლებში. ყველაფერი, რასაც სიცილიის უხვი მიწა იძლეოდა. დედ-მამა კვლავაც ამერიკის შესახებ ყვებოდა ზღაპრებს; ჰექტორ ადონისი კი იხსენებდა სიცილიის გმირული ისტორიის ამბებს: გარიბალდისა და მის წითელპერანგიანთა რაზმებს, „სიცილიური სერობის“ დღეს, როცა ხალხი ფრანგ დამპყრობლებს აუჯანყდა. მთელი ისტორიის მანძილზე სიცილია ჯერ რომის, მერე მაკრებისა და ნორმანების, შემდეგ კი ფრანგების, გერმანელებისა და ესპანელების უღელქვეშ იტანჯებოდა. საბრალო სიცილია! არასოდეს ყოფილა თავისუფალი, მის ხალხს მუდამ უჭირდა, ადამიანთა შრომას აქ ფასი არ ჰქონდა, მათი სისხლი კი მეტისმეტად ადვილად იღვრებოდა.

ამიტომაც, სიცილიელებს მთავრობის, კანონისა თუ საზოგადოებრივი წესრიგის აღარ სწამდათ, რადგან ყველა ამ ინსტანციის წარმომადგენლები მათი ვირული შრომის თავიანთ სასარგებლოდ გამოყენებას ცდილობდნენ. ჯულიანოს ამის შესახებ ბავშვობიდანვე

სმენია, მაგრამ ახლა მტკიცედ გადაწყვიტა, რომ უსამართლობას ბოლოს მოუღებდა.

ასპანუს დააკვირდა: ის ყავას სიგარეტს აყოლებდა და ამ სასიხარულო სუფრასთანაც კი ირონიულად იღიმებოდა. ჯულიანომ ზეპირად იცოდა ყველაფერი, რასაც მისი ძმობილი ამ წუთას ფიქრობდა და რასაც მოგვიანებით გამოთქვამდა კიდევ: თუ გინდა, რომ ახლობლებმა გადამეტებული სიყვარული გიჩვენონ და, როგორც წმინდანს, ისე მოგეპყრონ, საკმარისია, შენი სიბრიყვის გამო პოლიციელის ტყვიას ემსხვერპლო, შემდეგ მკვლელობა ჩაიდინო და კანონგარეშე გახდე. მიუხედავად ამისა, ტორი გრძნობდა, რომ ასპანუ ერთადერთი იყო, ვინც ბოლომდე უგებდა.

მზერა კვლავაც იმ ქალზე, ლა ვენერაზე შეაჩერა. რისთვის დაპატიჟეს და რატომ მოვიდა? ტორიმ შენიშნა, რომ ჯერ კიდევ ლამაზი იყო: შავი წარბები და მეწამული ტუჩები ოთახის მიმქრალ შუქზე განსაკუთრებით მკვეთრად მოუჩანდა. მის აღნაგობას ვერ გაარჩევდით, რადგან, სიცილიური წესისამებრ, ქვრივის განიერი, უფორმო კაბა ეცვა.

ტორი ჯულიანოს გზაჯვარედინზე შეტაკებისა და პოლიციელის მოკვლის ამბის თავიდან ბოლომდე მოყოლა მოუწია. მამამისს ოდნავ მოჰკიდებოდა ღვინო, ამიტომაც შვილის ნაამბობს სიხარულის შეძახილებით შეხვდა. დედა დუმდა. მერე მამა მოჰყვა, როგორ მივიდა მასთან ფერმერი და დაკარგული ვირი მოიკითხა. მამა ჯულიანომ ხაზგასმული სიამაყით გაუმეორა დამსწრეთ ფერმერისთვის ნათქვამი სიტყვები: „მადლობა თქვი, რომ მხოლოდ ვირი დაკარგე. მე შვილი დაკარგე“.

— ვირია და ვირის დაკარგვას ამიტომაც დარდობს, — დამცინავად შენიშნა ასპანუმ.

ყველას გაეცინა. მამამ თხრობა დაასრულა:

— ფერმერმა პოლიციელის მკვლელობის ამბავი რომ შეიტყო, ვირის დაკარგვის შესახებ აღარ განუცხადებია, შეეშინდა, მეც არ დამიჭირონო.

— ზარალს აუნაზღაურებ, — თქვა ტორიმ.

შემდეგ ჰექტორ აღონისმა ყველას ტორის გადარჩენის გეგმა გააცნო. დაღუპულის ოჯახისათვის კომპენსაციის გადახდაა აუცილებელი. ამისათვის ჯულიანოს მშობლებს თავიანთი მცირე

ნაკვეთის გაყიდვა მოუწევთ. აღონისი თვითონაც შეაწევს გარკვეულ თანხას. მაგრამ მანამდე დრო უნდა გაუიღეს, ვნებები უნდა ჩაცხრეს. დიდი დონ კროჩეც, თავის მხრივ, მოახდენს გავლენას ოფიციაოზზე და გარდაცვლილის ახლობლებზე. ბოლოს და ბოლოს, მკვლელობა არც ერთ მხარეს არ განუზრახავს, ეს მხოლოდ უბედური შემთხვევა იყო. ერთადერთ სირთულეს ტორის მიერ მკვლელობის აღგილას დატოვებული საბუთი ქმნიდა, მაგრამ ერთ წელიწადში დონ კროჩე პოლიციის არქივიდან მის გაქრობაზე იზრუნებს. ყველაზე მნიშვნელოვანი ახლა ისაა, რომ ტორი ერთი წლით მთაში უნდა გაუჩინარდეს და არანაირ შარში არ გაეხვიოს.

ტორი ჯულიანო ყველას ღიმილით უგდებდა ყურს, თავს უქნევდა და ცდილობდა, გაღიზიანება არ გამოემჟღავნებინა. ყველანი ისევ ისე ეპყრობოდნენ, თითქოს იგივე ბიჭი ყოფილიყო, ორი თვის წინათ ფესტაზე რომ წავიდა. არადა, როგორც კი შემოვიდა და ქურთუკი გაიხადა, იარაღები სკამის ქვეშ ძირს დააწყო. ვერც ამან და ვერც მისმა ნაიარევმა ვერ დაანახვა მის ახლობლებს, რომ იმ ტყვიამ მხოლოდ ხორცი კი არა, სულიც დაუფლითა, და მათ წინაშე ახლა სულ სხვა, მათთვის უცხო ადამიანი იჯდა.

ამ სახლში ის ახლა უსაფრთხოდ იყო: ახლობლები, სანდო ადამიანები ქუჩებს ზვერაუდნენ და კარაბინერთა გამოჩენისთანავე ნიშანს მისცემდნენ. თვით სახლიც საუკუნეების წინათ ნაგები სქელი კედლებითა და მძიმედარაბებიანი ფანჯრებით საიმედოდ იყო გამაგრებული. მკვროვი ხის კარები რკინით იყო აჭედელი, მაგრამ ტორი ჯულიანო მაინც საფრთხეში გრძნობდა თავს. საყვარელი ადამიანები ცდილობდნენ, ძველი, უკან მოტოვებული ცხოვრების ხაფანგში მოემწყვდიათ, კვლავაც უძწეო, დაუცველ გლეხად ექციათ და კანონის ანაბარა დაეტოვებინათ. ამ წუთებში გააცნობიერა, რომ უმოწყალოდ მოუწევდა ტკივილის მინიჭება მათთვის, ვინც ყველაზე მეტად უყვარდა. მანამდე მუდამ იმაზე ოცნებობდა, ადამიანების სიყვარული დაემსახურებინა, ძალაუფლებას კი არ ესწრაფოდა. ახლა კი მიხვდა, რომ ძალაუფლება სიყვარულზე მნიშვნელოვანი იყო.

მან რბილად მიმართა ჰექტორ აღონისს:

— ნათლიაჲ, ვიცი, რომ სიყვარული და მზრუნველობა გალაპარაკებთ. მაგრამ ჩემს მშობლებს ჩემი გულისათვის მიწას ვერ

დაუკარგვინებ. თქვენც ყველას გთხოვთ, ჩემ გამო ასე ძალიან არ იდარდოთ — ზრდასრული მამაკაცი ვარ და საკუთარ შეცდომებზე თვითონვე ვაგებ პასუხს. არაუითარ შემთხვევაში არ მსურს, ვინმემ ჩემი მოკლული კარაბინერის სისხლის ფასი გადაიხადოს. ნუ დაგავიწყდებათ, რომ ყველის თავის გულისათვის გამიმეტა. მე არაუითარ შემთხვევაში არ ვესროდი, მაგრამ იმ წუთს მეგონა ვკვდებოდი და ვალში დარჩენა არ მსურდა. თუმცა ეს წარსულის საქმეა. მეორედ ასე ადვილად ვერაზინ დამჭრის.

— თანაც, მთაში უფრო მეტი გასართობია, ვიდრე აქ, — ირონიული ღიმილით დაუმატა პიშოტამ.

ჯულიანოს დედა ამ სიტყვებმა ვერ დაამშვიდა, ყველა ხედავდა მის თვალებში აღბეჭდილ განგაშს. განწირულად შესძახა:

— შვილო, ბანდიტი ნუ გახდები, ნუ გაძარცვავ საბრალო ხალხს, ვისაც თავიანთი გასაჭირიც საკმაოდ აქვს. კანონგარეშე ცხოვრებას ნუ წამოიწყებ. ლა ვენერა გიამბობს, როგორი ცხოვრება ჰქონდა მის ქმარს.

ლა ვენერამ თავი წამოსწია და ტორის სახეში შეაცქერდა. ბიჭი მისმა დაჟინებულმა, თითქმის, ვნებიანმა გამომეტყველებამ გააოცა, გეგონებოდათ, მის მოხიბლვას ცდილობსო. თვალები უცნაური მოხმობით ანთებოდა. მანამდე ტორი მას თავისზე ბევრად უფროს ქალად აღიქვამდა, ახლა კი მისი ქალური ხიბლიც დაინახა.

ქალი მღელვარებისაგან ხრინწიანი ხმით ალაპარაკდა.

— ჩემი ქმარი ველური მხეცივით ცხოვრობდა სწორედ იქ, მთაში, სადაც შენ გაჭრას აპირებ. მუდამ შიშში იყო, მუდამ, ვერც საჭმელად იცლიდა, ვერც დასაძინებლად. როცა საწოლში ერთად ვიწექით, ნებისმიერ ჩქაშზე წამოხტებოდა და გარეთ გარბოდა. საწოლის ქვეშ თოფები გველაგა, მაგრამ არც ეს გვშველოდა. როცა ქალიშვილი აუად გაგვიხდა, ჩემი ქმარი მის მოსანახულებლად მოვიდა, მაგრამ ჩაუსაფრდნენ და დაიჭირეს. იცოდნენ, გულჩვილი რომ იყო. ქუჩაში ძალღოვით ჩაცხრილეს. რომ დავტყუროდი, თავზე მადგნენ და დამცინოდნენ.

ჯულიანომ პიშოტას ცალყბა ღიმილი შენიშნა. ცნობილი ყაჩაღი კანდელერია და გულჩვილობა? მან ხომ ექვსი კაცი უსასტიკესად მოკლა, რადგან მოეჩვენა, რომ უღალატეს; მდიდარ ფერმე-

რებს უსაფრდებოდა და ძარცვავდა, ღარიბ გლეხებსაც სძალავდა უკანასკნელ კაპიკს; მთელ მიდამოს აზანზარებდა. თუმცა თავისი ცოლისათვის, შესაძლოა, სულ სხვა ადამიანი იყო.

ლა ვენერამ პიშოტას ღიმილი ვერ შენიშნა და განაგრძო:

— ქმრის დაკრძალვიდან ზუსტად ერთი კვირის თავზე ქალიშვილიც დაკრძალე. მითხრეს, პნევმონიამ მოკლაო, მაგრამ ვიცი, მამის დარდს გადაჰყვა. ყველაზე ხშირად კი ის მახსენდება, მთაში მოსანახულებლად რომ ვაკითხავდი: მუდამ გაყინული და მშვიერ-მწყურვალი იყო, ხშირად აუდმოფობდა. ყველაფერს გასცემდა იმის სანაცვლოდ, რომ პატიოსანი გლეხის ცხოვრებას დაბრუნებოდა. მაგრამ ყველაზე უარესი ის იყო, რომ გული ქვასავით გაუმაგრდა. ღმერთი იყოს მისი სულის მფარველი, მაგრამ ის ადამიანი აღარ იყო. ტორი, ჩემო კარგო, გონს მოეგე და ასე ქედმაღალი ნუ იქნები. ყველანი დაგეხმარებით. ნუ გახდები ის, რადაც ჩემი ქმარი იქცა.

ყველა დუმდა. პიშოტა აღარ იღიმებოდა. ჯულიანოს მამამ ჩაიბურტყუნა, ნაკვეთს სიხარულით გაუყიდი, თანაც დილით ადრე ადგომა და სამუშაოდ წასვლა აღარ მომიწევსო. ჰექტორ აღონისი წარბშეკრული იჯდა და მაგიდის გადასაფარებელს აკვირდებოდა. სიჩუმეს არაფერ არღვევდა.

უეცრად ერთ-ერთმა გუშაგმა გარედან კარზე დააბრაზუნა. პიშოტა მასთან სალაპარაკოდ გავიდა. დაბრუნებისთანავე ჯულიანოს ანიშნა, შეიარაღებულიყო.

— კარაბინერთა ყაზარმები განათებულია, — განაცხადა მან, — მოედინიდან მთავარ ქუჩაზე გასასვლელი პოლიციის ავტობუსით გადაკეტეს, სახლის გაჩხრეკას აპირებენ, — წამით დადუმდა, — ერთმანეთს სწრაფად დაემშვიდობეთ.

ყველანი იმ სიმშვიდემ გააოცა, რითაც ჯულიანო გასაქცევად ემზადებოდა. დედა მისკენ გაექანა და გადაეხვია. ტორი მას გულში რომ იკრავდა, უკვე ქურთუკის ჩასაცმელად ემზადებოდა. ყველას დაემშვიდობა და ორიოდ წუთში იარაღი აისხა, ქურთუკი ჩაიცვა და მხარზე შაშხანაც გადაიკიდა. ეს ყველაფერი აუჩქარებლად და მშვიდად გააკეთა. წამით გაიღიმა და მერე პიშოტას უთხრა:

— თუ გინდა, დარჩი და მთაში მოგვიანებით შემომიერთდი. თუ გინდა, ახლავე წამოდი, — პასუხის ნაცვლად პიშოტამ სახლის უკანა კარი გააღო და გასასვლელად მოემზადა.

ჯულიანომ დედა უკანასკნელად გადაკოცნა. ქალმა აღელვებით დაარიგა:

— დაიძალე, ნაჩქარევს ნურაფერს მოიმოქმედებ. საშუალება მოგვეცი, დაგეხმაროთ, — მაგრამ შვილი უკვე დაუსხლტა მკლავებიდან.

პიშოტა ფერდობებისკენ მინდორ-მინდორ იჩქაროდა. ჯულიანომ სტვენით გააჩერა და წამოეწია. ერთგულმა ქალაქელებმა ამცნეს, მთებისკენ გზა თავისუფალიაო. კლდეებზე ოთხსაათიანი ცოცვის შემდეგ გროტა ბიანკას შეაფარებდნენ თავს. კარაბინერები სიბნელებში მათ დადევნებას თუ შეეცდებოდნენ, არნახულ სიბრიყვესა და გამბედაობას გამოიჩინდნენ, თუმცა მაინც არაფერი გამოუვიდოდათ.

ჯულიანომ იკითხა:

— ასპანუ, რამდენი კაცი ჰყავთ კარაბინერებს გარნიზონში?

— თორმეტი, — უპასუხა ასპანუმ, — მარშალს თუ არ ჩავთვლით.

— ცამეტი თარსი რიცხვია, — ჩაიცინა ჯულიანომ, — ამ ერთ მუჭა ხალხს რატომ გავურბივართ? — წამით გაჩერდა, მერე კი ასპანუს უთხრა, მომევიო, და შემოვლითი გზით ისევ ქალაქისაკენ გაბრუნდა. მთავარი ქუჩა გადაკვეთეს, ბნელ შესახვევში ჩასაფრდნენ და ჯულიანოს სახლს დაუწყეს თვალთვალი.

ხუთი წუთის შემდეგ მთავარ ქუჩაზე ჯიპის ძრავის ხმა გაისმა. მასში ექვსი კარაბინერი გაჭირვებით ჩაჭედდნენ, მათ შორის — თვით მარშალიც. ორი მათგანი მანქანიდან გადმოვიდა და მაშინვე სახლის უკანა კარის გადასაკეტად გაემართა. მარშალი სამი კაცის თანხლებით კართან მივიდა და დააბრახუნა. ამავე დროს, ჯიპის უკან პატარა ავტობუსი გაჩერდა, იქიდან კიდევ ორი შაშხანიანი კარაბინერი გადმოვიდა და ქუჩა გადაკეტა.

ტორი ჯულიანო მთელ ამ მზადებას ინტერესით უყურებდა. პოლიციის რეიდი იმ ვარაუდზე იყო აგებული, რომ ძებნილნი საპასუხო იერიშზე გადასვლას ვერ გაბედავდნენ და ერთადერთ გამოსავლად თავისზე უფრო ძლიერი მოწინააღმდეგისაგან გაქცევა რჩებოდათ. სწორედ ამ წუთებში ტორი ჯულიანომ ერთხელ და სამუდამოდ გადაწყვიტა, მუდამ მიეტანა საპასუხო იერიში მოწინააღმდეგეზე, მისი ძალისა და რისკის მიუხედავად, ან, უფრო სწორად: რაც უფრო დიდი იყო რისკი, მით უკეთესი.

ეს ტორის პირველი საბრძოლო ოპერაცია იყო და ყველაზე მეტად იმის გაფიქრებამ გააოცა, რა ადვილად შეძლებდა ვითარების გაკონტროლებას, სისხლის დაღვრა რომ ნდომოდა. მართალია, სახლის წინ მყოფ მარშალსა და მის სამ კაცს ვერ ესროდა, რადგან ტყვიას შეიძლებოდა შიგნით შეეღწია და მისიანებს მოხვედროდა, მაგრამ ქუჩაში მოდარაჯე ორ კაცსა და მანქანებში მსხდომ მძღოლებს სულ იოლად ჩაცხრილა. თუ მოისურვებდა, ამას იმწამსვე გააკეთებდა, როგორც კი მარშალი თავის ხალხთან ერთად სახლში შევიდოდა. სროლის შემთხვევაში პოლიციის უფროსი გარეთ გამოსვლას ვეღარ გაბედავდა, ტორი და პიშოტა კი მთებისკენ დაუბრკოლებლად გაიკვლევდნენ გზას. რაც შეეხებათ იმ პოლიციელებს, მოედანი რომ გადაკეტეს, ისინი მეტისმეტად შორს იყვნენ და ხელს ვერანაირად შეუშლიდნენ, რადგან უფროსის ბრძანების გარეშე ადგილიდან ვერ დაიძვრებოდნენ.

საქმე ის გახლდათ, რომ, ჯერჯერობით, სისხლის დაღვრას არ აპირებდა. ეს მისი მხრიდან მაინც დასაზვერი მანევრი იყო. სურდა, მარშლისთვის ოპერაციის ჩატარებისას ედევნებინა თვალი, რადგან ეს კაცი მისი მთავარი მოწინააღმდეგე უნდა ყოფილიყო უახლოეს მომავალში.

ჯულიანოს მამამ სახლის კარი გამოაღო. მარშალმა ხნიერ კაცს უხეშად ჩაავლო მკლავში ხელი და უბრძანა, გარეთ დარჩენილიყო.

კარაბინერთა მარშალი პროვინციულ ქალაქში ადგილობრივი საპოლიციო რაზმის მეთაურია და, ქალაქის მერთან ერთად, უმაღლეს ადმინისტრაციულ ძალას წარმოადგენს. მას ყველა განსაკუთრებული მოწინებით ეპყრობა, ამიტომაც ისეთ დახვედრას არ მოელოდა, როგორც ჯულიანოს დედამ მოუწყო: წინ გადაუდგა და მის ფეხებთან ძირს დააფურთხა, რათა თავისი ზიზღი გამოეხატა.

მარშალმა სამ პოლიციელთან ერთად სახლი გაჩხრიკა, იქ მყოფები დასაკითხად გარეთ გამოიყვანა და ამ ყველაფერს მარია ლომბარდოს უწყვეტი წყველა-კრულვის თანხლებით აკეთებდა. ოჯახის ახლობლები და სახლებიდან გამოცვენილი მეზობლებიც ქოქოლას აყრიდნენ პოლიციელებს.

სახლის უშედგო ჩხრეკის შემდეგ მარშალი დაკითხვას შეუდგა. ჯულიანოს მამამ აღშფოთებით ესროლა:

— როგორ გგონიათ, საკუთარ შვილს გავცემ? — ქუჩიდან მის ამ

სიტყვებს ხმამაღალი ტაში შეაგებეს. მარშალმა ჯულიანოს ოჯახს შინ შესვლა უბრძანა.

შესახვევში ჩასაფრებულმა პიშოტამ ტორის ჩასჩურჩულა:

— კიდევ კარგი, დედაშენს იარაღი არ დაუტოვეთ, — მაგრამ ტორიმ არ უპასუხა. თავში სისხლი აუვარდა, დიდი ძალისხმევით ფასად შეძლო თავის შეკავება. მარშალი ახლა ქუჩაში შეკრებილთ დაერია და ხელკეტი დაარტყა ერთ-ერთ მეზობელს, რომელიც მას ჯულიანოს სახლში შეჭრის გამო ლანძღავდა. დანარჩენი პოლიციელები ქალაქელებს ავტობუსისკენ უხეშად მიათრევდნენ და, ყვირილისა და წინააღმდეგობის მიუხედავად, ყველას შიგნით ყრიდნენ.

ერთი კაცი კარაბინერების პირისპირ აღმოჩნდა და მარშლისკენ წაიწია. უეცრად გასროლა გაისმა და კაცი ქვაფენილზე დაეცა. მეზობელი სახლიდან კვილი გაისმა, მალე ქალი გამოვარდა და დაუარდნილ კაცს ზედ დაემხო. ტორიმ თავისი ოჯახის ძველი მეგობარი იცნო, სააღდგომოდ მუდამ გემრიელი ნამცხვარი რომ მოჰქონდა.

ტორი პიშოტას მხარზე შეეხო, წამომყვით, ჩასჩურჩულა და მიხვეულ-მოხვეული ქუჩებით მოედნისაკენ გაიქცა. პიშოტამ განწირულად დაუდრიალა, რას აკეთებო, მაგრამ უეცრად დადუმდა. ზუსტად მიხვდა იმას, თუ რას აპირებდა ტორი. დაპატიმრებულთა ავტობუსს მთავარ ქუჩაზე უნდა ჩამოეგლო, მერე კი ბელამპოს საპრობილისკენ გადაეხვია.

ბნელ შესახვევში რომ მივბოდა, ჯულიანო საკუთარ თავს უხილავ ფრთოსან ღვთაებად შეიგრძნობდა. იცოდა, მტერს არც კი დაესიზმრებოდა, რას აპირებდა ამ წამს, რადგან დარწმუნებული იყო, რომ ტორი ჯულიანო ახლა საკუთარი სიცოცხლის გადასარჩენად მთაში გარბოდა. უცნაური ზემთაგონება იგრძნო. ისეთ რამეს ჩაიდენდა, რომ სამუდამოდ გადააჩვევდა პოლიციელებს მისი მშობლების შეურაცხყოფასა და სახლის აწიოკებას. ვეღარც მისი მეზობლების დახოცვას გაბედავდნენ.

მოედნამდე მიივბინა და ერთადერთი ლამპიონის შუქში პოლიციის ფურგონი დაინახა, რომელსაც მთავარი ქუჩისაკენ გასასვლელი გადაეკეტა. მაინც როგორ ფიქრობდნენ: ამ ხაფანგით დაიჭერდნენ? ეს იყო პოლიციის ნაქები გამჭრიახობა? შესახვევში შევიდა და მოედნის ყველაზე მაღალ შენობას, ეკლესიას, უკნიდან

შემოუარა. პიშოტა ფეხდაფეხ მისდევდა. შიგნით შევიდნენ და აი-
ვნის კიბე აირბინეს. ორივენი შეჩერდნენ და გაიხსენეს, პატარაობა-
ში გუნდში როგორ გალობდნენ, ვიდრე მღვდელი საკვირაო წირვას
ასრულებდა. თოფებით ხელში უხერხულად გადაიწერეს პირჯვარი;
ეკლისგვირგვინიანი ქრისტეს, ლურჯკაბიანი ღვთისმშობლისა და
წმინდანების ქანდაკებების სიახლოვემ საბრძოლო ჟინი წამით ჩაუ-
ქრო. მაგრამ შემდეგ სამრეკლოს კოშკისაკენ გაეშურნენ და იარაღი
მოამზადეს.

ფურგონმა, რომელსაც ქუჩა გადაეკეტა, პატიმრებით სავსე მან-
ქანის გასატარებლად უკან დაიხია. როგორც კი მანქანა მოედანზე
შემოვიდა, ჯულიანომ პიშოტას დაუყვირა, ძრავას ესროლეო და
თვითონაც გახსნა ცეცხლი. მოედანი უეცრად განათდა, როდესაც
ფურგონის ძრავა ააღდა და იფეთქა. წინ მჯდომი კარაბინერები
თოჯინებით გადაცვივდნენ მანქანიდან, მოულოდნელობისაგან
თავის შემაგრებაც კი ვერ მოახერხეს. პიშოტა ამ დროს პატიმრე-
ბით სავსე სატვირთოს კაბინას ესროდა. ტორიმ დაინახა, მძლო-
ლი ძირს როგორ გადაგორდა და გაშეშდა. მეორე შეიარაღებული
კარაბინერიც მანქანიდან გადმოხტა, პიშოტამ კვლავ ისროლა და
ისიც გააგორა. ტორი მიუბრუნდა, მისი შეჩერება უნდოდა, მა-
გრამ იმავე წამს ავტომატის ჯერმა ეკლესიის ვიტრაჟი დაღწა
და ფერად-ფერადი ნამსხვრევები ძვირფასი თვლებით გაიფანტა
ქვის იატაკზე. მაშინ ტორი მიხვდა, რომ შეჩერება და სიბრალული
მათთვის აღარ არსებობდა: მტერს თუ დაინდობდნენ, დაიღუპებო-
დნენ.

ჯულიანომ პიშოტას სახელოზე მოქაჩა, მასთან ერთად ეკლე-
სიის უკანა კარიდან მონტელეპრეს მიხვეულ-მოხვეულ ქუჩებში
გავარდა. იცოდა, რომ ამჯერად პატიმრებს გაქცევაში ვეღარ დაეხ-
მარებოდა. ქალაქის გალაგანი გადალახეს, მინდვრები გაირბინეს
და მალე თუთრ კლდეებსაც მიაღვინენ. უკვე თენდებოდა, როდესაც
კამარატას მთების ერთ-ერთ მწვერვალს, მონტედორას, მიაღწიეს.

ათასზე მეტი წლის წინათ სპარტაკმა ამ მთებში გადამალა აჯან-
ყებულ მონათა ლაშქარი, ვიდრე რომის წინააღმდეგ საბრძოლვე-
ლად წაიყვანდა. ტორი მონტედორას მწვერვალიდან მზის ამოს-
ვლას გაჰყურებდა და გული სიხარულით უცემდა იმის გამო, რომ
მტრებს ცოცხალი დაუსხლტა. ამიერიდან ძეხორციელს არ დაე-

მორჩილებოდა. თვითონ გადაწყვეტდა, ვის უნდა ეცოცხლა და ვინ უნდა მომკვდარიყო. და წუთითაც კი არ ეპარებოდა ეჭვი იმაში, რომ ყველაფერი, რასაც მოიმოქმედებდა, სიცილიის დიდებასა და თავისუფლებას მოხმარებოდა, ყველაფერს მხოლოდ სასიკეთოდ გააკეთებდა და არა საზიანოდ: სამართლიანობას აღადგენდა და ღატაკებს დაეხმარებოდა. ყველა ბრძოლიდან გამარჯვებული გამოვიდოდა და ჩაგრულთა სიყვარულს მოიხვეჭდა.

ის მხოლოდ ოცი წლის იყო.

თავი 7

დონ კროჩე მალე სოფელ ვილაბაში, ერთ მიყრუებულ ბინძურ დასახლებაში დაიბადა, რომელიც მისი წყალობით აყვავდა და მთელ სიცილიაში ცნობილიც გახდა. სიცილიელებს სულაც არ აცინებდათ ის, რომ დონ კროჩე ღრმად რელიგიური ოჯახიდან იყო, რომელიც მას სასულიერო კარიერისათვის ამზადებდა, და რომ მისი სრული სახელი გახლდათ კროჩეფისო, რასაც მხოლოდ ძალზე ღვთისმოსავი მშობლები არქმევდნენ თავიანთ პირმშობებს. ჭაბუკობაში მეტად გამხდარი იყო და არაერთხელ მიუღია მონაწილეობა საეკლესიო დღესასწაულებზე გამართულ სასულიერო სპექტაკლებშიც, სადაც ქრისტეს როლს ასრულებდა და მნახველთ საღვთო გზნებით აკვირვებდა.

მაგრამ საუკუნეთა მიჯნაზე, როდესაც კროჩე მალე ზრდასრულ ასაკში შევიდა, ყველასათვის ცხადი გახდა, რომ ის საკუთარი ნების გარდა არავის დაემორჩილებოდა. კონტრაბანდასა და გამოძალველობას ეწეოდა, ქურდობდა, ყველაზე უარესი კი ის იყო, რომ თანასოფლელი გოგონა დააფეხმძიმა, რომელიც მასთან ერთად რელიგიურ სპექტაკლებში მაგდალინელის როლში გამოდიოდა. მის ცოლად მოყვანაზე უარი თქვა, განაცხადა, ორივე რელიგიური აღტაცებით ვიყავით შეპყრობილნი და ეს ცოდვა გვეპატიებაო.

გოგონას მშობლები ამ გამართლებას არ დასჯერდნენ და არჩევანის წინაშე დააყენეს: ქორწინება ან სიკვდილი. კროჩე მალე სიამაყე ნამუსახდილი ქალის ცოლად მოყვანას ვერ შეეგუებოდა. ის მთაში გაიქცა, ერთი წლის განმავლობაში ბანდიტობდა, შემდეგ კი მაფიას შეეკრა.

არაბულ ენაზე „მაფია“ წმინდა ადგილს ნიშნავს და ეს სიტყვა სიცილიაზე სარაცინთა ბატონობისას მეათე საუკუნეში დამკვიდრდა. მთელი ისტორიის მანძილზე სიცილიელ ხალხს უამრავი მტერი ჩაგრაჟდა: რომაელები, პაპის ხელისუფლება, ნორმანები, ფრანგები, გერმანელები და ესპანელები. მათი მთავრობები მონეზიით ამუშავებდნენ სიცილიელებს, მათ ქალებს აუპატიურებდნენ, მათ წინამძღოლებს ხოცავდნენ. უბედობა მდიდრებსაც არ ასცდა — ესპანური ინკვიზიცია და წმინდა კათოლიკური ეკლესია ერესის გულისათვის ქონებას ართმევდა და უმოწყალოდ სჯიდა. ამ ყოველივეს შედეგად ჩამოყალიბდა შურისმძიებელთა საიდუმლო საზოგადოება — „მაფია“. როდესაც სამეფო სასამართლო უარს ამბობდა ნორმანი დიდებულის გასამართლებაზე, რომელსაც ფერმერის ცოლის გაუპატიურებაში ედებოდა ბრალი, გლეხების ჯგუფი საიდუმლოდ ისხამდა იარაღს და კლავდა ნორმანს. როდესაც პოლიციის უფროსი უბადრუკ ქურდს ციხეში ტანჯვა-წამებით ხდიდა სულს, იგივე საიდუმლო დაჯგუფება პოლიციელსაც უსწორდებოდა. თანდათან ყველაზე ძლიერი ნებისყოფის მქონე გლეხებმა და ღარიბებმა ხალხის მხარდასაჭერად ორგანიზებული საზოგადოება შექმნეს, რომელიც, არსებითად, ოფიციალურ ხელისუფლებაზე უფრო ძლიერი გახდა. უსამართლობასთან საბრძოლველად ამერიდან ყველა პოლიციის ნაცვლად მაფიის ადგილობრივ თავკაცთან მიდიოდა და ისიც მუდამ აგვარებდა პრობლემას.

სიცილიელისათვის იმაზე უფრო დიდი დანაშაული არ არსებობდა, ვიდრე ოფიციალური ხელისუფლებისათვის მაფიაზე რაიმე ცნობის მიწოდება. ყველა დუმდა და ამ დუმილს შესაბამისი სახელწოდებაც დაერქვა — „ომერტა“. საუკუნეთა განმავლობაში ხალხის ცნობიერებაში დამკვიდრებული წესის თანახმად, დანაშაულის გაცხადება იმ შემთხვევაშიც კი არ შეიძლებოდა, თუკი ეს დანაშაული შენ წინააღმდეგ იყო ჩადენილი. ხალხსა და ხელისუფლების საკანონმდებლო ორგანოებს შორის ყოველგვარი კავშირი გაწყდა; პატარა ბავშვებსაც კი ისე წვრთნიდნენ, რომ უცხოეთის სრულიად უბრალო ცნობებიც კი არ მიეწოდებინათ: თუნდაც ამათუ იმ სოფლის ადგილმდებარეობის, ანდა ვინმეს საცხოვრებელი ადგილის შესახებ.

მაფია საუკუნეთა განმავლობაში განაგებდა სიცილიას, თანაც

ისე უხილავად, ისე მოუხელთებლად, რომ ხელისუფლებმა მისი არსისა და რაგვარობის შესახებაც კი არაფერი იცოდნენ. მეორე მსოფლიო ომამდე სიტყვა „მაფიაც“ კი არც ერთხელ ხმამაღლა არ წარმოთქმულა სიცილიის მიწაზე.

მთაში გაქცვიდან ხუთი წლის შემდეგ დონ კროჩე უკვე „ღირსეულ კაცად“ იყო ცნობილი. ეს იმას ნიშნავდა, რომ ვინმეს მოკვლის აუცილებლობის შემთხვევაში მისი ნდობა შეიძლებოდა: ის ამ საქმეს ისეთნაირად შეასრულებდა, რომ მინიმალური პრობლემები შექმნილიყო. მალევე „პატივცემული კაციც“ გახდა და, მას მერე, რაც აუცილებელი წინა პირობები შეასრულა, კვლავ დაბრუნდა პალერმოსგან ორმოცი მილით სამხრეთით მდებარე მშობლიურ სოფელში საცხოვრებლად. „აუცილებელ წინაპირობებში“ ის ფულადი კომპენსაცია იგულისხმება, რომელიც მან ნამუსახდელი გოგონას ოჯახს გადაუხადა. მოგვიანებით ეს დიდსულოვნების გამოვლინებად ჩაუთვალეს, თუმცა, სინამდვილეში, მის წინდახედულობაზე მეტყველებდა. გოგონა, რახანია, ამერიკაში გაეგზავნათ, სადაც ქვრივად გაასაღეს, მაგრამ მის ახლობლებს ჯერაც არაფერი დავიწყებიათ. სხვა თუ არაფერი, სიცილიელები იყვნენ. დონ კროჩე, გამოცდილი მკვლელი, უხეში გამომძაღველი და „მეგობართა მეგობარიც“ კი ვერ აიცდენდა შეურაცხყოფილი ოჯახის შურისძიებას. ეს ღირსების ამბავი იყო და კომპენსაციის გარეშე მას, მისი მიღწევების მიუხედავად, სიკვდილი არ ასცდებოდა.

სწორედ დიდსულოვნების სიფრთხილესთან შეთავსებით დაიმსახურა კროჩე მაღალ „დონის“ საპატიო წოდება. ორმოცი წლის რომ შესრულდა, უკვე მაფიის ერთ-ერთ უდიდეს თავკაცად ითვლებოდა და მას მოქიშპე კლანებს შორის ყველაზე მწვავე უთანხმოებებისა და ოჯახებს შორის ყველაზე სისხლიანი ვენდეტას მოგვარებას ანდობდნენ. ის ჭკვიანი იყო, წინდახედული, დიპლომატიური ნიჭიც ჰქონდა და, რაც მთავარია, სისხლის დანახვაზე გული არ მისდიოდა. „მშვიდობიანი დონის“ სახელი მოიხვეჭა, მასთან ურთიერთობის შემდეგ ყველა კმაყოფილი რჩებოდა, ჯიუტსა და უკმაყოფილოს კი დონის სამართლიანი რისხვა არ ასცდებოდა. დონ კროჩე შეძლებული კაცი გახლდათ. მისი ძმა, მამა ბენჯამინო, პალერმოს მთავარი ტაძრის წინამძღოლი გახდა, თუმცა სისხლი

ნაკურთხ წყალზე უფრო სქელია და მისი თანამდებობაც დიდწილად დონ კროჩეს დამსახურება გახლდათ.

დონმა იქორწინა და თავის პატარა ბიჭუნაზე მზე და მთვარე ამოსდიოდა. ვიდრე გამოცდილება და ჭირ-ვარამი სიფრთხილესა და თავმდაბლობას შეასწავლიდა, დონ კროჩემ ერთი ისეთი სვლა გააკეთა, რომელმაც მთელ სიცილიაზე გაუთქვა სახელი და რომის უმაღლესი საზოგადოებაც გააოცა. ამის მიზეზად ოჯახური უთანხმოება იქცა, რომლის მსგავსიც ისტორიის უდიდეს პიროვნებებსაც კი არ შემთხვევიათ.

მაფიაში მაღალი მდგომარეობის წყალობით დონ კროჩე ისეთ ოჯახს დაუნათესავდა, რომელიც თაობიდან თაობამდე კეთილშობილი წარმოშობის სულ უფრო ძვირად ღირებულ მოწმობებს ყიდულობდა, ვიდრე სისხლი მთლად არ გაუცისფრდა. ქორწილიდან რამდენიმე წლის შემდეგ დონმა შენიშნა, რომ ცოლი ჯეროვანი პატივისცემით არ ეპყრობოდა. ამის აღსაკვეთად რაღაც უნდა ელონა: ცხადია, სულ სხვაგვარი მანერით, ვიდრე ჩვეულებრივ აგვარებდა საქმეებს. მისი ცისფერსისხლიანი ცოლი მის მდაბიურ გლეხურ ქცევას ვერ ეგუებოდა: იმას, რომ, თუ არსებითად არაფერი ჰქონდა სათქმელი, შეეძლო, ხმა არც ამოელო; ანდა იმას, რომ ცხოვრების ყველა სფეროში ცალსახა და ტლანქი ბრძანებების გაცემას იყო მიჩვეული. ვერც ის დაევიწყებინა, რომ დონის გამორჩენისთანავე ყველა უწინდელი თავვანისმცემელი ერთბაშად სადღაც გაუჩინარდა.

რა თქმა უნდა, ქალი ქმრისადმი უპატივცემლობას აშკარად არ ამჟღავნებდა. ბოლოს და ბოლოს, ეს სიცილია იყო და არა ინგლისი ან ამერიკა. მაგრამ დონი ბუნებით უაღრესად მგრძნობიარე გახლდათ. მალე იგრძნო, რომ ცოლი მას თავდავიწყებით არ ეთავანებოდა, ხოლო ეს უკვე შეურაცხყოფას ნიშნავდა. დონმა გადაწყვიტა, ერთხელ და სამუდამოდ მოეხვეჭა ცოლის პატივისცემა ისე, რომ ეს სიცოცხლის ბოლომდე აღარ ჰქონოდა სადარდებელი და მშვიდად მიბრუნებოდა მნიშვნელოვან საქმეებს. პრობლემას კარგა ხანს უტრიალა და ბოლოს ისეთი გამოსავალი იპოვა, თვით მაკიაველისაც რომ შეშურდებოდა.

იტალიის მეფე სიცილიაზე ჩამობრძანებას აპირებდა თავისი ერთგული ქვეშევრდომების მოსანახულებლად, რომლებიც მართლაც მისი ერთგულნი იყვნენ. უკლებლივ ყველა სიცილიელს სძულ-

და რომაული ხელისუფლება და მათვის ეშინოდა, მაგრამ მონარქია ყველას უყვარდა, რადგან მისი ღვთაებრივი წარმომავლობის სწამდა, ეს რწმენა კი, თავის მხრივ, ყველა ადამიანის ღვთისმშობელსა და თვით უფალთან სისხლით ნათესაობას გულისხმობდა. მეფის ვიზიტთან დაკავშირებით დიდი დღესასწაულები იგეგმებოდა.

პირველივე კვირა დღეს მეფე პალერმოს საკათედრო ტაძარში წაბრძანდა წირვაზე დასასწრებად. აქვე უნდა გამართულიყო სიცილიის ერთ-ერთი უწარჩინებულესი გვარიშვილის, პრინც ოლორტოს, ვაჟის ნათლობის ცერემონია და ახალშობილი თვით მეფეს უნდა მოენათლა. ის უკვე ასზე მეტი ბავშვის ნათლია იყო: ყველანი ფელდმარშლების, ჰერცოგებისა და ფაშისტური მთავრობის მაღალჩინოსნების შვილები გახლდნენ. ეს ნათლობები პოლიტიკურ აქტებს წარმოადგენდა, გვირგვინოსანი ოჯახის ხელისუფლებასთან დანათესავებას რომ ისახავდა მიზნად. მეფის ნათლულებს ავტომატურად ენიჭებოდათ გვირგვინის კავალრის წოდება, რის დასტურადაც მათ საპატიო სიგელი და ქამარი გადაეცემოდათ. გარდა ამისა, საჩუქრად ვერცხლის პატარა ჭიქასაც იღებდნენ.

ღონ კროჩე საგანგებოდ მოემზადა. სადღესასწაულო მსვლელობაში სამასი თავისიანი ჰყავდა. მისი ძმა ბენჯამინო ერთ-ერთი იყო იმ სასულიერო პირთა შორის, ვისაც ცერემონია უნდა აღესრულებინა. პრინც ოლორტოს ბავშვი მონათლეს და ამაყმა მამამ თავზევით აწეული შვილი ტაძრიდან გარეთ გამოიყვანა. ხალხი აღტაცებული შეძახილებით შეეგება. პრინცი ოლორტო მთელი თავადაზნაურობიდან ყველაზე მეტი პატივისცემით სარგებლობდა, რადგან წარმოსადეგი კაცი იყო, გარეგნობას კი სიცილიაზე ყოველთვის დიდად აფასებდნენ.

სწორედ იმ წამს ღონ კროჩეს ერთგულთა ბრბო ტაძარში შეიჭრა და მეფეს გზა გადაუღობა. მეფე ტანდაბალი კაცი გახლდათ, ულვაში უფრო ხშირი ჰქონდა, ვიდრე თმა. კავალერისტის საზეიმო მუნდირში სათამაშო ჯარისკაცს ჰგავდა. თუმცა, საზეიმო იერის მიუხედავად, ძალზე გულკეთილი იყო. ამიტომაც, როდესაც მამა ბენჯამინომ ჩვრებში გახვეული კიდევ ერთი ბავშვი შეაჩეჩა ხელში, მართალია, დაიბნა, მაგრამ წინააღმდეგობა არ გაუწევია. მოგუგუნე ბრბომ მეფე ამაღლისა და კარდინალისაგან გათიშა, ამიტომ ისინი ხელს ვერ შეუშლიდნენ. მამა ბენჯამინომ სასწრაფოდ აპკურა

ჩვილს ნაკურთხი წყალი, შემდეგ მეფეს გამოართვა და დონ კროჩეს გადასცა. დონ კროჩეს ცოლი ბედნიერებისაგან ატირდა და მონარქის წინ ჩაიმუხლა. მისი ერთადერთი შვილი ახლა თვით მეფის ნათლული იყო. ამაზე მეტი რა უნდა მოეთხოვა ქმრისაგან?

დონ კროჩე გასუქდა და გამოკვეთილი ყვრიმალეები ხორციით შეეკვსო. ცხვირი მძლავრ ნისკარტს დაემსგავსა, რომელიც, თითქოს, ანტენასავით იზიდავდა ენერგიას. ხვეული თმა შეევერცხლა და მავთულხლართს დაემსგავსა. სხეული თანდათან ბუშტივით გაებერა. ქუთუთოები ხავსის მძიმე კუნწულებივით ჩამოეთარა თვალებზე. ყოველ მომატებულ ფუნტთან ერთად ძალაუფლებაც ემატებოდა, ვიდრე საბოლოოდ შეუვალ გოდოლს არ დაემსგავსა. გეგონებოდათ, სხვა ადამიანთა სისუსტეები არ გააჩნდა: არასოდეს ამჟღავნებდა ბრაზს ან სიხარბეს. ზოგადად ყველას კეთილგანწყობით ეპყრობოდა, მაგრამ სიყვარულს არავის მიმართ არ იჩენდა. სრულად აცნობიერებდა იმას, თუ რაოდენ დიდი პასუხისმგებლობა ეკისრა და არასოდეს მისცემდა თავს იმის უფლებას, ცოლის მკლავებში თავისი გრძნობები ან დარდი გამოეხატა. ის ხომ სიცილიის ჭეშმარიტი მეფე იყო. მაგრამ მის ვაჟსა და მემკვიდრეს რელიგიური რეფორმების უცნაური სენი შეეყარა და ბრაზილიაში გაემგზავრა, სადაც ამაზონიის ველურ ინდიელთა განათლებაზე ზრუნავდა. შეურაცხყოფილი დონი შვილის სახელსაც კი აღარ ახსენებდა.

დონ კროჩე ეჭვით ადევნებდა თვალს მუსოლინის მომძლავრებას. გულდაგულ აკვირდებოდა და იმ დასკვნამდე მივიდა, რომ ამ ადამიანს არც გონება უჭრიდა, არც გამბედაობა ჰქონდა. და, თუკი ასეთი კაცი იტალიას ჩაუდგებოდა სათავეში, დონ კროჩე რატომ არ უნდა ჩასდგომოდა სათავეში სიცილიას?

მერე კი დაიწყო, რაც დაიწყო: რამდენიმე წელიწადის შემდეგ მუსოლინიმ გამგმირავი ძხერა მიაპყრო სიცილიასა და მათიას. მალევე მიხვდა, რომ ეს კრიმინალთა უწესრიგო დაჯგუფება კი არა, კარგად ორგანიზებული შიდა ხელისუფლება იყო, მისი იმპერიის ნაწილს რომ განაგებდა. იმასაც მიხვდა, რომ მათია მთელი ისტორიის მანძილზე აწყობდა შეთქმულებებს რომში ნებისმიერი ხელისუფლების წინააღმდეგ. უკანასკნელი ათასი წლის განმავლობაში სიცილიის ყველა ხელისუფალი დაემხო. დიქტატორმა ერთხელ და

სამუდამოდ განიზრახა ამ ორგანიზაციის განადგურება. ფაშისტებს დემოკრატიის არ სწამდათ. რაც მათთვის იყო სასარგებლო, სახელმწიფოსთვისაც ის მიაჩნდათ საუკეთესოდ. მოკლედ რომ ვთქვათ, ისინიც დონ კროჩე მალღოს მეთოდებს იყენებდნენ.

მუსოლინიმ სიცილიაზე პრეფექტად თავისი ყველაზე სანდო მინისტრი, ჩეზარე მორი, დანიშნა და შეუზღუდავი უფლებამოსილება მიანიჭა. მორიმ იმით დაიწყო, რომ სიცილიის ყველა იურიდიული სტრუქტურა დაიქვემდებარა და მოსახლეობას ყოველგვარი სამართლებრივი დაცვა გაუუქმა. სიცილია სპეციალურად გაწვრთნილი რაზმებით ააუსო, რომლებიც ჯერ ისროდნენ, შეკითხვებს კი მხოლოდ შემდეგ სვამდნენ. მთელ სოფლებს აპატიმრებდნენ და ასახლებდნენ.

დიქტატურის დამკვიდრებამდე იტალიაში არ არსებობდა სიკვდილით დასჯა, რის გამოც მათვის პირისპირ ხელისუფლება უიარაღო იყო, რადგან მათია ძირითად იარაღად მკვლელობას იყენებდა. პრეფექტმა მორიმ ეს რადიკალურად შეცვალა. იმ მაფიოზებს, ვინც წამების შემდეგაც კი არ არღვევდა ომერტას, სიკვდილით სჯიდნენ; ამაყ სიცილიელებს ხვრეტდნენ; ეგრეთ წოდებულ კონსპირატორებს ხმელთაშუა ზღვის რომელიმე გარიყულ კუნძულზე ასახლებდნენ. სულ რაღაც ერთ წელიწადში სიცილია მუხლზე დააჩოქეს, მათია, როგორც მმართველი ძალა, გაანადგურეს. რომს სულაც არ ადარდებდა ის ამბავი, რომ დამნაშავეებთან ერთად ამ დამსჯელ ზომებს ათასობით უდანაშაულოც შეეწირა.

დონ კროჩეს დემოკრატიის სამართლიანი კანონები უყვარდა, ფაშისტების სისასტიკით კი აღშფოთებული იყო. მის მეგობრებსა და პარტნიორებს ყალბი ბრალდებებით აპატიმრებდნენ, რაკინამდვილ დანაშაულს ვერ უმტკიცებდნენ. ზოგიერთს ყურმოკრული ჭორის საფუძველზე იჭერდნენ, ანდა იმ დამსმენისაგან მოპოვებულ ინფორმაციას იყენებდნენ, ვისაც დონ კროჩეს ხელიც კი ვერ მისწვდებოდა, რადგან მათ სასამართლოში ღიად გამოსვლა არ უწევდათ. სად გაქრა სამართალი და პატიოსნება? ფაშისტები ინკვიზიციის ველურ მეთოდებს მიმართავდნენ და, შუა საუკუნეების მეფეთა მსგავსად, „ღვთაებრივ სამართალს“ აღასრულებდნენ. დონ კროჩეს მეფეების ღვთაებრივი სამართლის არ სწამდა და ამტ-

კიცებდა, რომ მას წინათაც მხოლოდ იმიტომ აღიარებდნენ, რომ აუღიარებლობის შემთხვევაში კაცს ოთხ ცხენს კუდზე აბამდნენ და ნაკუწებად ხლეჩდნენ.

ყველაზე შემზარავი ის იყო, რომ ფაშისტებმა კვლავ დააბრუნეს შუა საუკუნეების საწამებელი იარაღი Casseta — სამი ფუტის სიგრძისა და ორი ფუტი სიგანის კოლოფი, რომელიც ყველაზე ჯიუტ პატიმრებსაც კი სასწაულებრივად არჯულებდა. Casseta-ს წყალობით უმტკიცესი მაფიოზიც კი ამოიდგამდა ენას, და ინგლისელი ქალი — ზნეობას დათმობდა. ამის შემხედვარე დონ კროჩე აღშფოთებითა და ზიზღით ამბობდა, არასოდეს არაფერს მიწამებია, უბრალო მკვლელობა სრულიად საკმარისი იყო.

დონმა გოროზი ვეშაპვიით ჩაყვინთა სიცილიელი საზოგადოების მიწისქვეშეთში. აბატ მანფრედის მფარველობით ისარგებლა და ერთ-ერთ მონასტერში ვითომდა ფრანცისკანელი ბერის სტატუსით დასახლდა. აბატთან ხანგრძლივი და ნაყოფიერი თანამშრომლობა აკავშირებდა. დონი კიდევ ამაცობდა იმით, რომ წერა-კითხვა არ იცოდა, მაგრამ კარიერის ადრეულ პერიოდში, როდესაც ჯერ კიდევ მძევლების გატაცებას ეწეოდა, გამოსასყიდის მოთხოვნებს აბატს აწერიებდა ხოლმე. ერთმანეთს მუდამ ენდობოდნენ. მალევე აღმოაჩინეს, რომ მრავალი საერთო ინტერესი აკავშირებდათ: მსუბუქი ყოფაქცევის ქალები, კარგი ღვინო და კომპლექსური ქურდობა. დონს არაერთხელ წაუყვანია აბატი შვეიცარიის კურორტებზე სამკურნალოდ, სადაც ერთად აგემოვნებდნენ ამ ქვეყნის სიამეებს, იმაზე უფრო ნატიფსა და უსაფრთხოს, რასაც მშობლიური სიცილია სთავაზობდათ.

მეორე მსოფლიო ომის დაწყების შემდეგ მუსოლინი ისე მკაცრად ვედარ აკონტროლებდა სიცილიას. დონმა დაუყოვნებლივ ისარგებლა ამ ვითარებით და დარჩენილ „მეგობართა მეგობრებთან“ კავშირი აღადგინა. პანტელემარიასა და სტრომბოლის კუნძულებზე გადასახლებულ მაფიოზებსაც მანუგეშებელი წერილები დაუგზავნა. პრეფექტ მორის მიერ დაპატიმრებული მაფიოზების ოჯახებსაც დაუმეგობრდა.

დონ კროჩეს ერთადერთ იმედად მოკავშირეთა გამარჯვება ესახებოდა და თვითონაც მთელი ძალები ამ მიზნისაკენ მიმართა. საიდუმლო პარტიზანულ ჯგუფებს დაუკავშირდა და თავის ხელქვე-

თებს უბრძანა, მოკავშირეთა ძირს ჩამოგდებული პილოტებისათვის ყოველგვარი დახმარება გაეწიათ. ასე რომ, გადამწყვეტ წუთს დონ კროჩე შეშზადებული დაუხვდა.

როდესაც, 1943 წლის ივლისში, ამერიკის ჯარი სიცილიაში შემოვიდა, დონ კროჩემ მას დახმარების ხელი გაუწოდა. განა ამ ჯარში სიცილიელი ემიგრანტების შვილებიც არ მსახურობდნენ? ნუთუ სიცილიელი სიცილიელს უნდა შეებრძოლოს და ამით გერმანელებს გული გაუხაროს? დონ კროჩეს ხალხმა ათასობით იტალიელი სამხედრო დაარწმუნა, ჯარი დაეტოვებინათ და მათვის დახმარებით მიმალულიყვნენ. დონი პირადად დაუკავშირდა ამერიკული ჯარის საიდუმლო აგენტებს და თავდამსხმელები მთის ბილიკებით გაიყვანა გერმანელების მძიმე ტექნიკისათვის ალყის შემოსარტყმელად. ამგვარად, ვიდრე კუნძულის მოპირდაპირე ნაპირზე ინგლისის ჯარი გაჭირვებით მიიწვედა წინ, ამერიკელებმა თავიანთი მისია გამაოგნებელი სისწრაფითა და მინიმალური დანაკარგით შეასრულეს.

დონ კროჩე პირადად შეუძღვა პალერმოში მათეოზთა პარტიზანულ რაზმს, თუმცა ამ დროისათვის უკვე სამოცდახუთი წლის იყო, თანაც უზომოდ დამძიმებული. მან გერმანელი გენერალი დაატყვევა და მასთან ერთად ქალაქში იქამდე იმალებოდა, ვიდრე ამერიკის ჯარმა ფრონტი არ გაარღვია და ქალაქი არ აიღო. ამერიკული ჯარის მეთაური სამხრეთ იტალიიდან ვაშინგტონში გაგზავნილ შეტყობინებებში დონ კროჩეს „გენერალი მათეის“ სახელით მოიხსენიებდა და ამ სახელით იცნობდნენ მას ამერიკული შტაბის ოფიცრები მომდევნო თვეების განმავლობაში.

სიცილიის ამერიკული გარნიზონის სამხედრო მეთაურად პოლკოვნიკი ალფონსო ლა პონტო დაინიშნა. მანამდე ნიუ-ჯერსის შტატში მაღალ პოლიტიკურ თანამდებობაზე მსახურობდა და საამისოდ სპეციალური მომზადება გაიარა. მისი მთავარი უპირატესობა დიპლომატიური ალღო და პოლიტიკური შეთანხმებების უნარი გახლდათ. მისი შტაბის ოფიცრებიც ამავე თვისებებით იყვნენ შერჩეულნი. ოკუპირებულ ტერიტორიებზე მოკავშირეთა სამხედრო ხელისუფლების მთავარი შტაბი ოცი ოფიცრისა და ორმოცდაათი რიგითისაგან შედგებოდა. ბევრი მათგანი წარმოშობით იტალიელი იყო. დონ კროჩემ ყოველი მათგანი გულში ჩაიკრა და ყველასად-

მი ძმური სიყვარული და თანადგომა გამოხატა, მიუხედავად იმისა, რომ ახლო მეგობართა წრეში მათ „ქრისტეს კრავებს“ უწოდებდა. ამერიკელები დონ კროჩეს მხარდაჭერით დიდად კმაყოფილნი იყვნენ. პოლკოვნიკმა ლა პონტომ ის თავის მთავარ მრჩეველად დანიშნა და გამარჯვების დიდება მასთან გაიყო. ხშირად სადილობდა დონის სახლში და, ნაცნობ ადგილობრივ კერძებს რომ აგემოვნებდა, სიამოვნებისაგან კვნესოდა.

უპირველეს პრობლემას სიცილიის ყოველ მცირე ქალაქში მერის დანიშვნა წარმოადგენდა. ყოფილი მერები, ცხადია, ფაშისტები იყვნენ და ამჟამად ამერიკის ციხეებში ისხდნენ.

დონ კროჩემ ამ თანამდებობებზე მანამდე პატიმრობაში მყოფ მაფიის ხელმძღვანელებს გაუწია რეკომენდაცია. რაკი დოკუმენტაციაში დაფიქსირებული იყო, რომ ციხეში მათ იმის გამო აწამებდნენ, რომ ფაშისტურ სახელმწიფოსთან თანამშრომლობა არ სურდათ, ეს თავისთავად კმაროდა იმის დასტურად, რომ ის ბრალდებები, რის საფუძველზეც ციხეში აღმოჩნდნენ, ყალბი იყო. დონი სტუმრებს ცოლის მიერ უგემრიელესად მომზადებული თევზითა და სპაგეტით უმასპინძლებოდა და თან უამბობდა, როგორ არ დათმეს მისმა მეგობრებმა — ქურდებმა და ბანდიტებმა — დემოკრატიისა და თავისუფლების პრინციპები. პოლკოვნიკმა გაიხარა, ასე სწრაფად რომ შეძლო ადმინისტრაციული წესრიგის დასამყარებლად საჭირო ადამიანების მონახვა. ერთი თვეც არ გასულა და სიცილიის უმეტეს ქალაქებში ყველაზე პირწავარდნილი მაფიოზები დაინიშნენ მერებად.

მათ შესანიშნავი სამსახური გაუწიეს ამერიკის ჯარს. დაპყრობილი ქვეყნის გასაკონტროლებლად მხოლოდ მცირე სამხედრო ძალების დატოვება გახდა საჭირო. ვიდრე კონტინენტზე ომი გრძელდებოდა, სიცილიაზე თითქმის არ ყოფილა საბოტაჟისა თუ ჯაშუშობის შემთხვევები. უბრალო ხალხის მიერ შავ ბაზარზე ვაჭრობა მინიმუმამდე დაიყვანეს. პოლკოვნიკმა საგანგებო მედალი და დაწინაურება დაიმსახურა: მას ბრიგადის გენერლის წოდება მიანიჭეს.

დონ კროჩეს მაფიოზებმა კონტრაბანდის წესები უკიდურესად გაამკაცრეს და კარაბინერები მხოლოდ ზერულედდა ადევნებდნენ თვალყურს მთის გზა-ბილიკებს. ძველი დრო მობრუნდა. დონ კროჩე ორივე ინსტანციას აკონტროლებდა. სამთავრობო ინსპექტორები

იმაზე ზრუნავდნენ, რომ ჯიუტ გლეხებს ზეთისხილისა და ყურძნის მოსავალი ოფიციალურ საწყობებში ჩაებარებინათ, რათა ის მოსახლეობაში თანაბრად განაწილებულიყო. ამ მიზნით დონ კროჩეს ამერიკული სამხედრო სატვირთო ტრანსპორტი გამოუყვეს, რათა პროდუქტი პალერმოში, მონრეალში, ტრაპანში, სირაკუზსა და კატანიაში, თვით კონტინენტზეც, ნეაპოლში მოშიმშილე მოსახლეობისათვის მიეწოდებინა. ამერიკელებს დონ კროჩეს სიმარჯვე აოცებდათ და აშშ-ს სამხედრო ძალებისათვის გაწეული დახმარებისთვის სამადლობელ სიგელებს უგზავნიდნენ.

მაგრამ დონ კროჩეს ეს სიგელები ვერ გააძღვებდა, უბრალო სიხარულსაც კი არ მიანიჭებდა, რადგან კითხვა არ იცოდა. ვერც პოლკოვნიკ ლა პონტოს შექება ამოუვსებდა უძირო ფაშვს. ამერიკელების მადლიერების არ სწამდა და გადაწყვიტა, კაცობრიობის წინაშე ღვაწლისათვის კუთვნილი ჯილდო თვითონვე აეღო. ამიტომაც ამერიკელი მძღოლების მიერ მართულ სატვირთოებს საბუთებში განსაზღვრული დანიშნულებისაგან სრულებით განსხვავებულ მხარეს უშვებდა — მათ მონტელეპრეს, ვილაბასა და პარტინიკოს მსგავს პატარა ქალაქებში განთავსებულ დონის პირად საწყობებში ცლიდნენ. მერე კი ოფიციალურზე ორმოცდაათჯერ აღმატებულ ფასად ყიდდნენ. ამგვარად დონმა სამუდამოდ შეადუღაბა მკვდრეთით აღმდგარი მაფიის უძლიერეს ლიდერებთან თავისი კავშირი, რადგანაც სიხარბეს ადამიანის უდიდეს ცოდვად თვლიდა და თავის მოგებას სხვებსაც დიდსულოვნად უზიარებდა.

დონი, მართლაც, გულუხვი გახლდათ. პოლკოვნიკ ლა პონტოს უძვირფასეს საჩუქრებს უგზავნიდა ანტიკური ქანდაკებების, სამკაულისა და ფერწერული ტილოების სახით. ეს თვითონაც გულს უხარებდა. ამერიკის სამხედრო ხელისუფლების თანამშრომლები შვილებივით გულში ჩაიკრა და, მოსიყვარულე მამის მსგავსად, აავსო საჩუქრებით. ისინიც, რაკი დიდწილად სიცილიური წარმოშობისანი იყვნენ და სწორედ ადგილობრივი ჩვეულებებისა და ხასიათის ცოდნის გამო იქნენ შერჩეულნი, დონს საპასუხო სიყვარულს არ აკლებდნენ — სამგზავრო საბუთებზე ხელს მუდამ უწერდნენ და მის მიერ გამოგზავნილ ტვირთს განსაკუთრებული სიფრთხილით აცილებდნენ დანიშნულების ადგილამდე. დონის მიერ გამართულ

წვეულებებზე სიცილიელ გოგონებს ხვდებოდნენ და აქაურებისათვის დამახასიათებელი სიტბოთი და მზრუნველობით ტკბებოდნენ. სიცილიურ ოჯახებში ისეთ კერძებს მიირთმევდნენ, რომლებიც თავიანთ ბავშვობასა და ემიგრანტ დედებს აგონებდათ და ბევრმა მათგანმა მათფიოზების ქალიშვილებს ცოლობა სთხოვა.

დონ კროჩე მალომ ყველაფერი გააკეთა თავისი უწინდელი ძალაუფლების აღსადგენად. მათვის თაოსნები მოიმაღლიერა. მის ხელთ იყო არტეზიული ჭები, რომლებიდანაც ის წყალს მოსახლეობაზე ყიდდა; საკვები პროდუქტების მონოპოლიაც შემოიღო და თითოეულ ყასაბს, ხილით მოვაჭრეს, კაფესა თუ ბარის მეპატრონესა და მოხეტიალე მუსიკოსებსაც კი გადასახადი დააკისრა. რაკი ბენზინის ერთადერთ წყაროს ამერიკის ჯარი წარმოადგენდა, ისიც თავისი გავლენის ქვეშ მოაქცია. მემამულეების მიწებს ზედამხედველები მიუჩინა და ახლო მომავალში ამ მიწების იაფად შესყიდვას იმედოვნებდა. სულ მალე ისეთ ძალას მოიპოვებდა, რაც მუსოლინის ხელისუფლებაში მოსვლამდე ჰქონდა. ძველ სიმდიდრესაც დაიბრუნებდა და, ხალხური ანდაზისა არ იყოს, მთელ სიცილიას ზეთისხილით თავის საწნახელში დაწურავდა.

დონს ახლა ერთადერთი რამ აწუხებდა — მისი ვაჟი ქველმოქმედებით ჟინს შეეპყრო. მის ძმას, ბენჯამინოს, ოჯახის ყოლა არ შეეძლო. დონს არავინ ჰყავდა, ვისთვისაც თავისი იმპერიის გადაცემას შეეძლებდა. არც ძლიერი და ახალგაზრდა მხედართმთავარი ჰყავდა, მკვრივ მუშტად რომ შეიკვრებოდა იქ, სადაც თვით დონის ხავერდის ხელთათმანი ვერას გახდებოდა.

დონის ხალხს, რახანია, უკვე შეენიშნა სალვატორე ჯულიანო და აბატმა მანფრედიმაც საუკეთესო რეკომენდაცია გაუწია. შემდეგ კი მთელ სიცილიას ამ ბიჭის შესახებ ახალ-ახალი ლეგენდები მოედო. დონმა იყნოსა, რომ ეს მისი ერთადერთი პრობლემის გასაღები უნდა ყოფილიყო.

თავი 8

მონტელეპრედან გაქცევის მომდევნო დილით ტორი ჯულიანომ და ასპანუ პიშოტამ მონტედორას გამოქვაბულის უკან კლდიდან ჩამომდინარე ნაკადში იბანავეს. თოფები კლდის პირას დატოვეს,

ძირს ქვეშაგები დაიფინეს და ალიონის შევარდისფრებული ცის ცქერით ტკბებოდნენ.

გროტა ბიანკა გრძელი მღვიმე იყო, სიღრმეში თითქმის ბოლომდე ლოდებით ამოვსებული. ბავშვობაში ტორი და ასპანუ ამ ლოდების თავზე ვიწრო ნაპრალში გაძვრნენ და მთის მეორე მხარეს გამაჟალ დერეფანში აღმოჩნდნენ. ის ქრისტეს დაბადებამდე სპარტაკის მებრძოლებმა გათხარეს, როცა რომაელ ლეგიონერებს ემალებოდნენ.

დაბლა, ძალიან შორს, სათამაშო სოფელივით მოჩანდა მონტელეპრუ. მისკენ მთის ფერდობებიდან ცარცისფერ გველებად ბილიკები მიიკლაკნებოდა. შხემ ერთიმეორის მიყოლებით ოქროსფრად შეღება რუხი ქვის სახლები. ეკლიანი მსხლის ძირს ჩამოცვენილი ნაყოფები გრილი და ტკბილი იყო. ტორიმ ერთი ცალი აიღო და ნეტარებით ჩაასო კბილები მის წვნიან ხორცს. ერთ-ორ საათში შუადღის მწველ შხეზე მისგან ჩირილა დარჩებოდა. ტორის გეკონები, ხვლიკის ნაირსახეობა, აცოცდებოდნენ. ეს მწეროვით წვრილფეხება და დიდთავა არსებები შემზარავი შესახედავნი იყვნენ, თუმცა სრულიად უვნებელნი. ტორი მათ ხელის მტევნით ხვეტდა.

ვიდრე ასპანუ თოფებს წმენდდა, ტორი ქალაქს დაჰყურებდა. შეუიარაღებელი თვალთ ადამიანებს ციცქნა მუქ წერტილებად ხედავდა, სახლებიდან მინდორში სამუშაოდ რომ მიემართებოდნენ. თავისი სახლის მოძებნას შეეცადა. დიდი ხნის წინათ ის და ასპანუ ამ სახურავიდან სიცილიისა და ამერიკის დროშებს აფრიალებდნენ. სახურავზე დროშების დამაგრების გამო ბიჭებს ყველამ პატრიოტობა შეუქო, არადა, ნამდვილი მიზეზი ის გახლდათ, რომ მთებში ძრომიალისას სურდათ, ტორის სახლი მუდამ მეთვალყურეობის ქვეშ ჰქონოდათ.

უეცრად ათი წლის წინანდელი ამბავი მოაგონდა. ფაშისტების ადგილობრივმა ხელისუფლებამ ჯულიანოს სახურავიდან ამერიკის დროშის მოხსნა მოითხოვა. ბიჭები ისე აღშფოთდნენ, რომ ორივე დროშა ჩამოხსნეს — ამერიკისა და სიცილიისა. შემდეგ თავიანთ საიდუმლო სამალავში, გროტა ბიანკაში აიტანეს და ლოდების გროვის ქვეშ ჩაფლეს.

ჯულიანო უეცრად წამოხტა, ასპანუს უთხრა, ბილიკებზე თვალი გეჭიროსო, და გამოქვაბულში შევიდა. ათი წლის შემდეგაც კი

უშეცდომოდ იპოვა მარჯვენა კუთხეში ლოდების კედლის ქვეშ ის ადგილი, სადაც დროშები ჩამარხეს, მერე კი მიწა დატკეპნეს.

ახლა ეს ადგილი მწვანე ხავსის სქელ ფენას დაეფარა. ჯულიანომ ხავსი ფეხსაცმლის წვერით გათხარა, მერე მოგრძო ქვაც მოიშველია. სულ რამდენიმე წუთში დროშები მიწიდან ამოაძვრინა. ამერიკის დროშისაგან ტალახიანი ნაფლეთებიდა შერჩენილიყო, სიცილიის დროშა კი მასში გაეხვიათ, ამიტომაც უვნებელი დარჩა. ჯულიანომ დროშა გაშალა: მეწამული და ოქროსფერი ფერები მისი ბავშვობის შემდეგ სრულებით არ გახუნებულა. ქსოვილს ერთი ნახვრეტიც კი არ ჰქონდა. გამოქვაბულიდან დღის სინათლეზე გამოაფრიალა და შესძახა:

— ასპანუ, გახსოვს?

პიშოტა დროშას დააშტერდა, მერე ხმამაღლა გადაიხარხარა, ოღონდ ტორიზე მეტად აღტკინებული ჩანდა.

— ბედისწერაა! — შეჰყვირა, ჰაერში შეხტა, ტორის დროშა გამოსტაცა. კლდის პირთან მივიდა და ქალაქის თავზე ააფრიალა. შემდეგ ჯულიანომ გამოქვაბულის შესასვლელთან ნორჩი ხე მოტეხა, მისგან დროშას ტარი გაუკეთეს და კლდის პირას ჩაასვეს. სიცილიის დროშა ახლა მთელი მიდამოს თავზე ფრიალებდა. ამის შემდეგ ჩამოსხდნენ და ლოდინი დაიწყეს.

მხოლოდ შუადღისას დაინახეს მოძრაობა, ისიც ერთადერთი კაცი იყო, მთის ბილიკს ვირით რომ მიუყვებოდა.

ერთ საათს ადევნეს თვალი და, როდესაც მოახლოვდა, ასპანუმ შეჰყვირა:

— რა ჯანდაბაა! ვირი მხედარზე მაღალია! შენი ნათლია აღონისი იქნება.

ჯულიანომ მეგობრის ხმაში ზიზღი ამოიკითხა. კოხტა აგებულების, კოპწიაობას შეჩვეულ პიშოტას ფიზიკური ნაკლოვანებების მიმართ თანდაყოლილი ძრწოლა ჰქონდა. საკუთარი ჭლექიანი ფილტვებიც ზიზღს ჰგვრიდა და, ზოგჯერ ტუჩები სისხლით რომ ესვრებოდა, სიკვდილის შიში კი არ აწუხებდა, არამედ ის, რომ, მისი აზრით, ამგვარი სენი მთელ მის ფიზიკურ სილამაზეს აუფასურებდა. სიცილიელებს რაიმე ფიზიკური ნაკლისა თუ უცნაურობის

შესაბამისი მეტსახელების შერქმევა სჩვევიათ და, როცა ერთმა მეგობარმა პიშოტას „ქაღალდის ფილტვი“ უწოდა, მან შეურაცხმყოფელს ჯიბის დანა დაარტყა. მხოლოდ ჯულიანოს წყალობით არ მოხდა მკვლელობა.

ჯულიანომ ბილიკზე რამდენიმე მილი ჩაირბინა და გზისპირა ლოდს ამოეფარა. ეს ასპანუსთან ერთად მისი ერთ-ერთი ბავშვობისდროინდელი თამაში იყო. დაელოდა, აღონისი როდის ჩაუვლიდა, უეცრად ლუპარა დაუმიზნა და გასძახა, არ გაინძრეო.

ესეც ბავშვური თამაში იყო. აღონისი ნელა მიუბრუნდა, იარაღის ამოღება რომ მოესწრო, მაგრამ ჯულიანო სიცილით ჩაიკუზა სამალავში, მხოლოდ თოფის ლულა ულაპლაპებდა მზეზე.

— ნათლიავ, ტორი ვარ! — დაუძახა და მოიცადა, ვიდრე აღონისი პისტოლეტს ქამარში შეინახავდა, მერე თვითონაც დაუშვა თოფი და სამალავიდან გამოვიდა. იცოდა, აღონისს მოკლე ფეხების გამო ჩამოქვეითება რომ უჭირდა და იფიქრა, დაეხმარებო. მაგრამ როცა ტორი ბილიკზე გამოჩნდა, მისი ნათლია სწრაფად ჩამოხტა ვირიდან და გადაეხვია. ჯულიანომ ვირი წამოიყვანა და ბილიკს კლდისკენ აუყენენ.

— ახალგაზრდავ, უკან დასაბრუნებელი ხიდები გადაგიწვავს, — პედაგოგის ჩვეული კილოთი მიმართა აღონისმა ნათლულს, — კიდევ ორი პოლიციელია მკვდარი, ეს უკვე ხუმრობა არ არის.

კლდის თავზე რომ ავიდნენ, აღონისი პიშოტას მიესალმა, შემდეგ კი თქვა:

— როგორც კი მთაზე სიცილიის დროშა დაულანდე, მაშინვე მივხვდი, რომ აქ იქნებოდით.

პიშოტამ ღიმილით უპასუხა:

— ტორი, მე და ეს მთა იტალიას გამოუყავით.

ჰექტორ აღონისმა მკაცრი მზერა ესროლა. მაინც რა ქარაფშუტა და თავდაჯერებულია ახალგაზრდობა.

— თქვენი დროშა მთელმა ქალაქმა დაინახა, მარშლისა და კარაბინერების ჩათვლით, — განაგრძო აღონისმა, — სულ მალე მის ჩამოსახსნელად ამოვლენ.

— მასწავლებელი კვლავ ჭკუას გვასწავლის, — გაღიზიანებით ჩაილაპარაკა პიშოტამ, — ეს დროშა მათთვის გვიჩუქნია, მაგრამ მის გარდა აქ სხვა არაფერი დახვდებათ. ამაღამ აქ უსაფრთხოდ

ვიქნებით. კარაბინერებს შებინდების შემდეგ აქ მხოლოდ სასწაული თუ ამოიყვანს.

ადონისმა პასუხის ღირსად არ ჩათვალა, ვირზე აკიდებული ჩანთის დაცლას შეუდგა. გადმოაღა და ჯულიანოს გაუწოდა საველე ბინოკლი, პირველი სამედიცინო დახმარების კომპლექტი, სუფთა პერანგი, საცვლები, ნაქსოვი სვიტერი და საპარსი საშუალებები, მათ შორის, მამამისის გლუვპირიანი საპარსი და, გარდა ამისა, საპნის ექვსი ნაჭერი.

— აქ ეს ყველაფერი გამოგადგება.

ჯულიანო ყველაზე მეტად ბინოკლმა გაახარა. პირველ რიგში სწორედ მის შოვნას აპირებდა. ისიც იცოდა, რომ დედამისმა საპნის მთელი მარაგი გაუგზავნა.

ცალკე შეკვრაში პილპილმოყრილი ყველის დიდი ნაჭერი, პური და ორი დიდი მრგვალი ნამცხვარი იდო: ისიც პურის ცომისგან იყო გამომცხვარი, ფარშისა და ყველის გულით, ზემოდან კვერცხვადასხმული.

— ნამცხვარი ლა ვენერამ გამოგიგზავნა, — უთხრა ადონისმა, — ასე თქვა, ქმარი მთაში როცა ცხოვრობდა, ყოველთვის ვუცხობდიო. ერთი ცალი ერთ კვირას გაგაძლებინებს.

— ეტყობა, რაც უფრო ძველდება, გემოც უკეთესი აქვს, — დამცინაუად ჩაურთო პიშოტამ.

ახალგაზრდები ბალახზე დასხდნენ და პური გატეხეს. ტორიმ ჯიბის დანა ამოიღო ყველის ჩამოსაჭრელად. მათ გარშემო ბალახი მწერებით იყო სავსე, ამიტომაც საჭმლის ტომარა გრანიტის დიდ ლოდზე შემოდეს. წყურვილის მოსაკლავად ასი ფუტით ქვემოთ სუფთა წყლის წყაროსთან ჩავიდნენ. შემდეგ კლდის პირას წამოწვნენ და თან ბილიკებს თვალს არ აცილებდნენ.

— ორივე მეტისმეტად კმაყოფილი ხართ საკუთარი თავით, მაგრამ ეს უკვე ხუმრობა არ არის, — ამოიოხრა ადონისმა, — თუ მიგიმწყვდიეს, დაგხოცავენ.

ჯულიანომ მშვიდად უპასუხა:

— თუ მოგიმწყვდიე, მეც დაგხოცავ.

— ნუ ჩქარობ, — შეძრწუნდა ჰექტორ ადონისი, — ჯერ სულ პატარა ბიჭი ხარ!

ჯულიანომ დაჟინებული ძხერით უპასუხა, ბოლოს კი წარმოთქვა:

— ყველის გულისთვის სასიკვდილოდ რომ გამიმეტეს, მაშინ ხომ საკმაოდ დიდი ვიყავი? რას ელოდები ჩემგან? გავიქცე? ჩემი ოჯახი შიმშილით ამოვხოცო? შენ კი საკვებით მომამარაგებ, ვიდრე მთებში ვიქნები ლაშქრობაზე? ისინი მოსაკლავად დამდევენ, ჰოდა, არც მე დავინდობ. შენ კი, ძვირფასო ნათლიავ, პატარაობაში განა არ მიაგებდი სიცილიელი გლეხობის ჭირ-ვარაშზე? თუ როგორ ჩაგრავენ მას რომიდან ჩამოსული გადასახადების ამკრეფები, დიდგვაროვნები, მდიდარი მემამულეები, მონური შრომის სანაცვლოდ მხოლოდ იმდენს რომ გვიხდიან, სული რომ არ ამოგვხდეს. მონტელეპრეს მამაკაცებთან ერთად მეც ვმდგარვარ ბაზრის მოედანზე და ყველას პირუტყვის ფასად გვეიდულობდნენ. ასე გვეუბნებოდნენ, შუადღემდე მუშაობისთვის ას ღირას გადაგიხდით, გინდათ — დათანხმდით, გინდათ — არაო. უმრავლესობას სხვა გზა არ ჰქონდა და თანხმდებოდა. მაშ, ვინ გადაარჩენს სიცილიას, თუ არა სალვატორე ჯულიანო?

ჰექტორ აღონისი თავზარდაცემული უსმენდა. ხომ ძალზე ცუდია დამნაშავედ ყოფნა, მაგრამ რევოლუციონერობა კიდევ უარესი იყო.

— ეს ყველაფერი კარგია ლიტერატურაში, — კვლავ შეეცადა ტორის შეგონებას, — მაგრამ ცხოვრებაში მომაკვდინებელია, — აღონისი წუთით შეჩერდა, — ან წინა ღამის საქციელით რას მიაღწიე? პატიმრები ხომ ახლაც ციხეში სხედან.

— ყველას გაუათავისუფლებ, — მშვიდად განაცხადა ჯულიანომ. ნათლიას სახეზე ცხადად ხედავდა შიშსა და შეძრწუნებას, არადა როგორ სჭირდებოდა მისი შექება, წაქეზება, მხარდაჭერა! გრძნობდა, აღონისი დღემდე ისე უყურებდა, როგორც გულუბრყვილო სოფლის ბიჭს, — უნდა გამიგო: ახლა სულ სხვა ვარ, — შეეყოვნდა: ყველაფერი გამოთქვას? ნათლიას განდიდების მანიით შეპყრობილი არ ეგონოს. მაინც განაგრძო, — იცი, სიკვდილის არ მეშინია, — ეს რომ თქვა, აღონისს ის ბავშვური ღიმილი შეანათა, რომელსაც ნათლია ასე კარგად იცნობდა და უყვარდა, — ეს მე თვითონაც კი მაკვირვებს, მაგრამ არ მჯერა, რომ შეიძლება მომკლან. ეს უბრალოდ ვერ მოხდება, — ტორიმ ხმამაღლა გაიციხა, — მათი პოლიცია, ჯავშნიანი მანქანები, ავტომატები, მთელი ეს რომაული

აღჭურვილობა არ მაშინებს. მე მათ დავამარცხებ. სიცილიის მთები ბანდიტებითაა საუსე. პასატემპო და მისი ბანდა. ტერანოვა. ისინი რომს არაფრად აგდებენ. რაც მათ შეუძლიათ, იმას მეც შევძლებ.

ჰექტორ ადონისმა ერთდროულად სიხარულიც განიცადა და წუხილიც. იქნებ ჭრილობამ ტორის გონებაც დაუზიანა? თუ რასაც ახლა ხედავდა, სწორედ გმირული ისტორიის დასაწყისი იყო? ალექსანდრეთა, კეისართა თუ როლანთა მსგავსი ისტორიისა. ან კი რით იწყება ხოლმე ამგვარი ისტორიები, თუ არა უკაცრიელ ხევში მეგობრებთან ერთად ჯდომითა და საუბრით? მაინც გაკვრით შენიშნა:

— ტერანოვასა და პასატემპოს ნულარ ახსენებ. ორივე დაჭერილია და ბელამპოს ციხეში იმყოფება. სულ მალე პალერმოში გადაიყვანენ.

— მე მათ დავიხსნი, სანაცვლოდ კი მათს მადლიერებას გამოვიყენებ, — მიუგო ჯულიანომ. მისმა სერიოზულობამ ადონისს თავზარი დასცა, პიშოტას კი ასიამოვნა. ჯულიანოს ასეთი მკვეთრი ცვლილება ორივეს აოცებდა. მანამდეც უყვარდათ და პატივს სცემდნენ. ახალგაზრდობის მიუხედავად, მუდამ საოცარი ღირსებითა და თავმოყვარეობით გამოირჩეოდა. მაგრამ ახლა ორივემ პირველად იგრძნო ამ ბიჭში აუხსნელი ძალა.

— მადლიერებო? — შეეკამათა ჰექტორ ადონისი, — პასატემპომ თავისი ბიძა მოკლა, რომელმაც ოდესღაც ცხოვრებაში პირველი ვირი აჩუქა.

— თუ ასეა, მე განვუმარტავ მადლიერების მნიშვნელობას, — მტკიცედ თქვა ჯულიანომ და წამით დადუმდა, — ახლა კი შენთან ერთი თხოვნა მაქვს. კარგად დაფიქრდი და იცოდე, თუკი უარს მეტყვი, მაინც სამუდამოდ შენს ერთგულ ნათლულად დაურჩები. დაივიწყე, რომ ჩემი მშობლების მეგობარი ხარ და მეც გულით გიყვარვარ. ამ სიკეთეს ჩემთვის კი არა, სიცილიისთვის გთხოვ. იყავი ჩემი თვალები და ყურები პალერმოში.

— პალერმოს უნივერსიტეტის პროფესორისათვის შენი თხოვნის შესრულება შენი ბანდის წევრად გახდომას ნიშნავს, — უპასუხა ადონისმა.

— სიცილიისათვის ეს დიდი ვერაფერი უცნაურობაა, — გაღიზიანდა პიშოტა, — აქ ხომ ყოველი მეორე „მეგობართა მეგობრებს“

ჰყავს გამოჭერილი. ან სიცილიის გარდა სხვაგან სად ატარებს ისტორიისა და ლიტერატურის პროფესორი ჯიბით იარაღს?

ჰექტორ ადონისი დაფიქრდა, თან ორივე ახალგაზრდას თვალს არ აშორებდა. იოლად შეეძლო, თანხმობა მიეცა და ეს მაშინვე დაევიწყებინა. შეეძლო, უარი ეთქვა და მხოლოდ დროდადრო გაეწია მეგობრული დახმარება, როგორც დღეს გაუწია. კაცმა რომ თქვას, ეს სპექტაკლი, შეიძლებოდა, სულ მალე დასრულებულიყო; ჯულიანო, შეიძლება, ვინმეს გაეცა, ანდა ბრძოლაში მოეკლათ. შეიძლება, ამერიკაშიც გაქცეულიყო და ამით პრობლემა გადაიჭრებოდა. ამაზე ფიქრი ადონისს სევდას ჰგვრიდა.

ზაფხულის ერთი შორეული დღე მოაგონდა, როცა ასპანუ და ტორი, სულ რაღაც, რვა წლისანი იქნებოდნენ. ჯულიანოს სახლსა და კლდეებს შორის საძოვარ მდებარე გაწოლილიყვნენ და ვახშამს ელოდნენ. ადონისს ტორისთვის დიდი ჩანთით წიგნები ჩამოეტანა, მათ შორის იყო „სიმღერა როლანზე“¹ და სწორედ მას უკითხავდა ახლა.

ადონისმა ეს პოემა თითქმის ზეპირად იცოდა. ის ყოველ განათლებულ სიცილიელს ეძვირფასებოდა, მისი შინაარსი კი გაუნათლებლებმაც კარგად იცოდნენ, რადგან სწორედ ის წარმოადგენდა ბაზრობებზე გამართული თოჯინების თეატრის მთავარ სიუჟეტს, მისი გმირები კი სიცილიის მთებში მოსიარულე ყოველ ოთხთვალაზე იყვნენ გამოსახულნი. იმპერატორ კარლოსის ორი გულადი რაინდი, როლანი და ოლივერი, სარაცინებს ერკინებოდა, რათა თავიანთი ხელმწიფისთვის საფრანგეთისაკენ გზა გაეხსნათ. ადონისმა ბიჭებს უამბო, როგორ დაეცნენ ორივენი რონსევალის ბრძოლაში: ოლივერი სამჯერ შეეხვეწა როლანს, საყვირს ჩაჰბერე და კარლოსის ლაშქარს საშველად მოუხმეო, მაგრამ ამაყი როლანი უარით პასუხობდა. როცა სარაცინებმა ალყა შემოარტყეს, როლანმა მაშინდა ჩაჰბერა საყვირს, მაგრამ უკვე გვიანი იყო. როცა კარლოსი რაინდების საშველად მოვიდა, მხოლოდ მათი გვაძები ნახა სარაცინთა ურიცხვ გვამს შორის. ამ დროს ტორის თვალეში ცრემლებს ხედავ-

¹ ერთ-ერთი ყველაზე ძველი საგმირო სიმღერა, რომელმაც ჩვენამდე ოქსფორდში შემონახული ხელნაწერის სახით მოაღწია, არის სიმღერა როლანზე. ხელნაწერი მე-12 საუკუნით თარიღდება, თუმცა ზუსტი თარიღის დადგენა ძნელია. ასევე უცნობია ავტორი.

და, ასპანუს კი სახეზე უცნაური ბრაზი და ზიზღი ეწერა. ერთისთვის ეს კაცის ცხოვრებაში უღიადეს წუთს ნიშნავდა, მეორისთვის კი — მგობრის ღალატის გამო სამარცხვინო სიკვდილს.

ბიჭები ბალახიდან წამოდგნენ და შინ საუახშოდ გაიქცნენ. ტორიმ ასპანუს მხარზე ხელი გადახვია და ბიჭის ამ ჟესტმა ადონისს ღიმილი მოჰგვარა. ამწამს როლანი დაინახა, დაჭრილ ოლივერს მხარს რომ უმაგრებდა, რათა ფეხზე მდგომნი შერკინებოდნენ სარაცინ მტარვალებს. პოემისა და ლეგენდის მიხედვით, სიკვდილის წინ როლანმა რკინისხელთათმანიანი ხელი ზეცისკენ აღაპყრო და ხელთათმანი ანგელოზმა ჩამოართვა.

ეს ათასი წლის წინათ მოხდა, მაგრამ სიცილია დღესაც იტანჯებოდა იმავე პირქუშ კლდეებსა და ზეთისხილის ხეოვნებში. მზით გადამწვარი გზების პირას დღესაც იდგა ურიცხვი ჯვარცმა, ისევე, როგორც რომის იმპერიის დროს, როცა სპარტაკის მეამბოხე თანამებრძოლები გზისპირა ჯვრებზე გააკრეს. მისი ნათლულიც კიდევ ერთი იქნებოდა ამ ჯვარცმულთაგან. მას არ ესმოდა, რომ სიცილიის შეცვლა ვულკანის ამოფრქვევაზე უფრო შეუძლებელი იყო.

ამ წუთებში, როცა პიშოტა ბალახში გულადმა გაწოლილიყო, ჯულიანოს კი ნათლიისთვის თაფლისფერი თვალების მოღიმარი მზერა მიეპყრო, ადონისის თვალწინ ეს სურათი სასწაულებრივად შეიცვალა. მან ორივენი მარმარილოს ქანდაკებებად დაინახა, ყოველდღიური ცხოვრებისაგან განუზომლად განშორებულ არსებებად. მზის შუქ-ჩრდილებით გამოკვეთილ პიშოტას ლარნაკზე გამოსახულ ფიგურად ხედავდა, რომელსაც ხელში თოფის ნაცვლად გველი ეჭირა და მისი არსება ერთთავად საფრთხესა და გესლს ასახიერებდა.

მისი ნათლული სალვატორე ჯულიანო ლარნაკის მეორე მხარეს გამოსახული ფიგურა იყო: ბერძენი აპოლონი, მშვენიერი, ნატიფად ნაძერწი ნაკვთებით. თვალის კაკლების სითეთრე იმდენად მკვეთრად უელავდა, გვეონებოდათ, ბრმაა და ვერაფერს ხედავსო. სახე ნათელი, უმანკო და წრფელი ჰქონდა, როგორიც მხოლოდ ლეგენდარულ გმირებს აქვთ. ან, იქნებ, ბიჭის შემართება ანიჭებდა ამ გმირულ იერს? ადონისი სენტიმენტალური ფიქრებიდან გამორკვევას შეეცადა. მძლავრი, დაკუნთული სხეულით ტორი ხმელთაშუა

ზღვისპირეთის ძველ ქანდაკებებს ჰგავდა: მძიმე თუძოები და ფართო ზურგი ჰქონდა. ტანით ნამდვილი ამერიკელიაო, გაიფიქრა. სიცილიელი იშვიათად თუა ასე მაღალი და მძლავრი.

პიშოტა პატარაობიდანვე ამჟღავნებდა პრაქტიკულ სიცბიერეს, ჯულიანოს კი გულუბრყვილოდ სწამდა სიკეთისა და საკუთარი გულწრფელობით ამაყობდა. იმ წლებში აღონისი დარწმუნებული იყო, რომ პიშოტა იქნებოდა მეთაური, ჯულიანო კი მისი მიმდევარი, მაგრამ შეცდა — საკუთარი უცოდველობის რწმენა ცბიერებაზე ბევრად საშიში რამაა.

ეს ფიქრები პიშოტას დამცინაჟმა ხმამ გაფანტა.

— გთხოვთ, დათანხმდით, ბატონო პროფესორო. ტორის ბანდაში მეორე კაცი ვარ, ხელქვეითი კი ჯერ არ მყავს. არავინაა, ვისაც განკარგულებებს მივცემდი, — პიშოტამ თეთრი კბილები გამოაჩინა, — თანახმა ვარ, სულ მცირეთი დავიწყო.

ამ უკანასკნელ სიტყვებზე ჯულიანომ თვალები ბრაზით ააბრიალა, თუმცა აღონისმა არაფერი შეიმჩნია. ტორი მას მიუბრუნდა:

— რას იტყვი?

— თანახმა ვარ, — უპასუხა აღონისმა. აბა, ნათლიას სხვა რა პასუხი უნდა გაეცა?

მაშინ ჯულიანომ დაარიგა, მონტელეპრეში დაბრუნების შემდეგ რა უნდა ექნა, და მომდევნო დღის გეგმები დასახა. აღონისი კვლავაც გააოცა ახალგაზრდის თავხედურმა და სასტიკმა ჩანაფიქრმა, მაგრამ როცა ჯულიანომ ვირზე შესვა და დაემშვიდობა, მაინც დაიხარა და ნათლულს აკოცა.

ორივე ახალგაზრდამ თვალი გააყოლა მონტელეპრესკენ მიმავალ აღონისს.

— ასეთი პატარა კაცი პატარაობაში უფრო მოგვიხდებოდა, როცა ყაჩაღებს ვთამაშობდით, — შენიშნა პიშოტამ.

— შენი ოხუნჯობებიც მაშინ უფრო გამართლებული იქნებოდა, — რბილად უთხრა ჯულიანომ, — სერიოზულ საქმეზე როცა ვლაპარაკობთ, შენც სერიოზული იყავი.

იმ ღამით ძილის წინ ერთმანეთს გადაეხვივნენ.

— ჩემი ძმა ხარ, — უთხრა ჯულიანომ, — ეს მუდამ გახსოვდეს, — მერე საბნებში გაეხვივნენ და დაიძინეს.

ტორი ჯულიანო და ასპანუ პიშოტა რიჟრაჟის პირველ გამონათებადღე უკვე ფეხზე იყვნენ, თუმცა საეჭვო იყო, რომ კარაბინერებს სიბნელეში დაეწყოთ მათი ძებნა და შხის ამოსვლამდე თავს დასდგომოდნენ. წინა სადამოს დაინახეს, ბელამპოს ციხესთან როგორ გაჩერდა ჯავშნოსანი მანქანა, რომელსაც ორი ჯიპით დაცვა მოჰყვა. ღამით ჯულიანო რამდენჯერმე ადგა, ახლომახლო ფერდობებს ჩამოუარა და მიაყურადა. პიშოტა მისმა სიფრთხილემ გააცინა.

— ბავშვობაში ამაზე უფრო გაბედულნი ვიყავით. როგორ გგონია, ეს ზარმაცი კარაბინერები ღამით სიცოცხლეს საფრთხეში ჩაიგდებენ? ეგ კი არა, არც რბილ საწოლში გამოძინებას დათმობენ.

— სიფრთხილის ჩვევა უნდა გამოვიმუშაოთ, — უპასუხა ტორიმ. იცოდა, ადრე თუ გვიან უფრო ძლიერი მტრები გაუჩნდებოდათ.

ტორიმ და ასპანუმ იარაღი გაშლილ ქვეშაგებზე დააწყვეს, დაშალეს და გულდაგულ შეამოწმეს. მერე ლა ვენერას ნამცხვარი მიირთვეს და აღონისის მორთმეული ღვინო დააყოლეს. ცხარედ შეკმაზულმა მსუყე ნამცხვარმა ორივეს გულ-მუცელი გაუთბო და მოაღონიერა. კლდის პირას ხის ზღუდე შეკრეს, რომლის მიღმა დამალვა და ბინოკლით ქალაქის თვალიერება შეეძლოთ. ჯულიანომ თოფები დატენა და ტყვიები ქურთუკის ჯიბეებში ჩაილაგა. ვიდრე პიშოტა დარაჯობდა, ჯულიანო თავის საქმეს აუჩქარებლად აკეთებდა. აღჭურვილობის მარაგი თავისი ხელით ჩაფლა მიწაში და ქვებიც დააფარა. შემდგომშიც არაფის ანდობდა ამ საქმეს. პიშოტამ ამასობაში დაინახა, როგორ დატოვა ჯავშნოსანმა მანქანამ ბელამპოს ციხე.

— მართალი აღმოჩნდი, — უთხრა პიშოტამ, — მანქანა ჩვენგან საპირისპირო მიმართულებით, კასტელამარუს ველისკენ მიდის.

ერთმანეთს გაუღიმეს. ჯულიანომ ჩუმი აღტკინება იგრძნო. პოლიციასთან ბრძოლა რთული სულაც არ ჩანდა. ბავშვის თამაშს ჰგავდა. მანქანა მოსახვევში გაუჩინარდებოდა და მთას უკანა მხრიდან შემოუვლიდა. პოლიციამ უთუოდ იცოდა კლდეში გათხრილი დერეფნის შესახებ და ფიქრობდა, ტორი მას გასაქცევად გამოიყენებს და პირდაპირ ჯავშნოსან მანქანაში მსხდომ ავტომატიანთა პირისპირ აღმოჩნდებაო.

ერთ საათში კარაბინერთა განაყოფი მონტედორაზე პირდაპირ იერიშს მიიტანდა. კარგია, პოლიციელებს თავზე ხელაღებულ ბრიყვ ახალგაზრდებად რომ მიაჩნდათ. კლდიდან აფრიალებული სიცილიის დროშაც მათ დაუფიქრებლობაზე მეტყველებდა, ყოველ შემთხვევაში, პოლიციელებს ასე უნდა ეფიქრათ.

ერთი საათის შემდეგ ბელამპოდან მართლაც გამოვიდა პოლიციელებით სავსე სატვირთო და ჯიპი, რომელშიც მარშალი როკოფინო იჯდა. ორივე მანქანამ ნელა აიარა აღმართი და მონტედორას მიადგა. თორმეტი კარაბინერი ვიწრო ბილიკებზე გაიფანტა და აღმართზე ასვლა დაიწყო. მარშალმა ქუდი მოიხადა და ქუდიანი ხელი კლდის თავზე წითულ-ყვითელი დროშისაკენ აიშვირა.

ტორი ჯულიანო ამ ყველაფერს საფრიდან ბინოკლით უყურებდა. წუთით შეშფოთდა, მთის მეორე მხარეს მისული მანქანიდანაც ხომ არ ამოუშვებდნენ პოლიციელებს კლდეზე. თუმცა იქიდან ამოსვლას რამდენიმე საათს მოუნდებოდნენ, ასე რომ, ჯერ კიდევ შორს იქნებოდნენ. ამიტომ მათზე ფიქრი ჯერჯერობით შეწყვიტა და ასპანუს მიუბრუნდა.

— ასპანუ, თუ იმაზე სულელები აღმოჩნდით, ვიდრე გვეგონია, ამაღამ დედაჩვენებთან სპაგეტის საჭმელად ვეღარ დავბრუნდებით ისე, როგორც ბავშვობაში ვბრუნდებოდით.

— გახსოვს, შინ დაბრუნება როგორ გეძულდა? — გაეცინა პიშოტას, — ახლა უფრო მაგარი გართობა გველის. მოკლათ რამდენიმე?

— არა, — უთხრა ჯულიანომ, — თავზევით ესროლე, — გაიხსენა, პიშოტამ მის დაუკითხავად როგორ ისროლა ორი დღის წინ, — ასპანუ, მე უნდა დამიჯერო. ახლა მათი დახოცვა არაფერში გვჭირდება.

ერთ საათს მოთმინებით იცდიდნენ. მერე ჯულიანომ თოფის ლულა ტოტებს შორის გამოყო და ორჯერ გაისროლა. საოცარი სანახაუი იყო, პოლიციელების დინჯად მომავალი მწყობრი უეცრად ჭიანჭველებით როგორ დაფეთდა და აირ-დაირია. პიშოტამ შაშხანით ოთხჯერ გაისროლა. კლდის სხვადასხვა ნაწილში კვამლი გამოჩნდა, როცა კარაბინერებმა საპასუხო სროლა ატეხეს.

ჯულიანომ თოფი გადადო და ბინოკლი მოიმარჯვა. დაინახა,

მარშალი თავის სერჟანტთან ერთად რაციას როგორ ამონტაჟებდა. მთის უკან ჩასაფრებულ მანქანასთან აპირებდა დაკავშირებას. კიდევ ორჯერ გაისროლა, შემდეგ პიშოტას უთხრა:

– წასვლის დროა.

კლდის შორეულ მხარეს გაცოცდნენ, აღმართში მოძაგალ კარაბინერთა თვალს მოეფარნენ და ხუთი იარდის მანძილზე კლდიდან ჩაგორდნენ. კვლავ ფეხზე რომ წამოდგნენ, იარაღი სასროლად ჰქონდათ გამზადებული. ძირს დახრილები სწრაფად ჩაუყვნენ ფერდობს, მხოლოდ დროდადრო ჩერდებოდნენ, ჯულიანოს მიდამო ბინოკლით რომ დაეზვერა.

კარაბინერები ისევ კლდის თავს ესროდნენ და აზრადაც არ მოსდიოდათ, რომ ბანდიტები იქ აღარ იყვნენ. ჯულიანო ვეება ლოდებს შორის დაკლაკნილ ბილიკს გაუდგა და პატარა ტყეს მოეფარა. ორიოდე წუთით შეისვენეს და მერე სწრაფად და უხმოდ ჩაუყვნენ ბილიკს. ერთი საათიც არ გასულა, იმ ველზე რომ აღმოჩნდნენ, რომელიც მთებსა და მონტელეპრეს შორის გაჭიმულიყო, მაგრამ ახლა წრე შემოუარეს და ქალაქის იქითა ბოლოს მიადგნენ; პოლიციელების სატვირთო მანქანა ველის მეორე ბოლოში იდგა. თოფები ქურთუკებქვეშ დამალეს და ველზე ისე მიაბიჯებდნენ, თითქოს, სამუშაოდ მიძაგალი გლეხები იყვნენ. მონტელეპრეში მთავარი ქუჩიდან შევიდნენ, ბელამპოს ბარაკები აქედან მხოლოდ ას იარდში იყო განლაგებული.

სწორედ იმ დროს მარშალმა როკოფინომ თავის ხალხს უბრძანა, დროშით დამშვენებული კლდის თავზე აცოცებულებიყვნენ. უკვე ერთი საათის განმავლობაში არ გაუგია საპასუხო ცეცხლი და მართლა დარწმუნდა, რომ ბანდიტები დერეფანში გაძვრნენ და მთის უკან მოდარაჯე ჯავშნოსანთან აღმოჩნდნენ. ხაფანგის გადაკეტვა ეჩქარებოდა. მის ხალხს კიდევ ერთი საათი დასჭირდა, ვიდრე კლდეზე ავიდნენ და დროშა ჩამოგლიჯეს. მარშალი მღვიმეში შევიდა, პოლიციელებს ლოდები გადმოაყრევინა და დერეფნისკენ გასასვლელი გააფართოებინა. მერე რამდენიმე კაცი დერეფანში გაუშვა მეორე ბოლოს მდგარ ჯავშნოსანთან შესახვედრად. როცა გაიგო, ნადირი გამექცაო, გაოცდა. პოლიციელები მცირე ჯგუფებად დაჰყო და ფერდობების გაჩხრეკა უბრძანა. დარწმუნებული იყო, ბოროტმოქმედები სადღაც იქვე იმალებოდნენ.

ჰექტორ აღონისმა ჯულიანოს მითითებები ზუსტად შეასრულა. მთავარი ქუჩის დასაწყისში ლეგენდარული პერსონაჟებით მოხატული დახურული ურემი იდგა. ბორბლებზეც კი მეომართა ციციქნა ფიგურები ეხატა და, როცა ურემი მოგორავდა, მეომრები, თითქოსდა, მოძრაობდნენ და ერთმანეთს ებრძოდნენ. ბორბლის ღერძებიც წითელი იყო, ვერცხლისფერი წინწკლებით მოჩითული.

ურემი თხემით ტერფამდე სვირინგებით დაფარულ კაცს მოგაგონებდათ. მასში თავჩაქინდრული თეთრი ჯორი იყო შებმული. ჯულიანო მეურმის სავარძელზე შეხტა და შიგნით შეიხედა. ურემი დიდი შემოწნული ღვინის ბოცებით იყო დატვირთული. ოცი ცალი მაინც იქნებოდა. ჯულიანომ თოფი ერთ-ერთი ბოცის უკან შეაცურა. სწრაფად აიხედა მთებისკენ, მაგრამ ვერაფერი დაინახა, მხოლოდ ის, რომ დროშა ჯერ კიდევ ფრიალებდა. პიშოტას გაუცინა:

— ყველაფერი რიგზეა, წადი და შენი ცეკვა შეასრულე.

პიშოტამ სამხედრო სალაში მისცა, ხუმრობით და თან სერიოზულად, მერე თოფი ქურთუკის ქვეშ ჩაიდო და ღილები შეიკრა. ბელამპოს საპყრობილისკენ დაიძრა და თან კასტელამარეს მიმართულებით გაჰყურებდა გზას, თუმცა მთიდან დაბრუნებული ჯავშნოსანი მანქანა ჯერ არ ჩანდა.

ტორი ჯულიანო ურემის მაღალი სავარძლიდან გაჰყურებდა ბარაკის ჭიშკრისკენ მიმავალ პიშოტას. მერე მთავარი ქუჩისაკენ მიიხედა. აქედან თავის სახლს ხედავდა, მაგრამ მის წინ არავინ იდგა. გულში ფიქრობდა, იქნებ, დედაჩემს მოვკრა თვალიო. ერთ-ერთი სახლის წინ, აივნის ჩრდილში მდგარ მაგიდას რამდენიმე კაცი უსხდა, ღვინოს სვამდნენ. უეცრად მოაგონდა, რომ ბინოკლი კვლავაც კისერზე ეკიდა, მოიხსნა და ღვინის ბოცებს შორის დამალა.

საპყრობილის ჭიშკარს სრულიად ახალგაზრდა კარაბინერი იცავდა, თვრამეტზე მეტის არ იქნებოდა. უწვერო, ვარდისფერი ლოყები ჩრდილოურ წარმოშობაზე მიუთითებდა. თეთრლამპასიან შავ უნიფორმაში და პოლიციელის ქუდით მსახიობს ან მასხარას უფრო წააგავდა. ამურის მშვილდით მორკალულ ბაგეებს შორის სიგარეტი ჰქონდა გაჩრილი, რაც წესდებით ეკრძალებოდა. ახლოდან რომ შეათვალიერა, პიშოტამ ხალისით შენიშნა, რომ, ბოლო დღეების მოვლენების მიუხედავად, ამ ყვეფის შაშხანა უდარდელად

ჰქონდა მხარზე გადაკიდებული. მისდამი ზიზღი და სიბრაღულიც კი იგრძნო.

გუშაგმა მხოლოდ ვინმე ბინძური გლეხი დაინახა, რომელსაც ულვაში იმაზე უფრო კოხტად ჰქონდა აპრეხილი, ვიდრე მის სოციალურ დონეს შეეფერებოდა. შაშხანა არც კი მოუსინჯავს, მხოლოდ უხეშად გასძახა:

— შე ბრიყვო, სად მიეთრევი?

პიშოტამ იფიქრა, რომ მოვინდომო, ბატკანივით გამოვჭრი ყელსო, გარეგნულად კი თვინიერი იერი მიიღო და მიმართა:

— მარშლის ნახვა მინდა. მისთვის მნიშვნელოვანი ინფორმაცია მაქვს.

— მე მითხარი, — უპასუხა გუშაგმა.

— ანაზღაურებასაც შენ გადამიხდი? — თავი ველარ შეიკავა პიშოტამ და ხმაში გაღიზიანება შეერია.

გლეხის ამგვარმა თავხედობამ პოლიციელი გააოგნა. მან ზიზღით, თუმცა დუნედ უპასუხა:

— მე ერთ ღირასაც არ გადაგიხდი, თუნდაც მითხრა, იესო ქრისტე დაბრუნდაო.

— უკეთესს გეტყვი, — ჩაიცინა პიშოტამ, — ტორი ჯულიანო დაბრუნდა და ვიცი, ახლა სადაცაა. ეს ის კაცია, ცხვირ-პირი რომ დაგინაყათ.

— როდის აქეთაა, ამ წყეულ ქვეყანაში სიცილიელი კანონს ეხმარება? — დაეჭვდა გუშაგი.

— მე ჩემი ინტერესები მაქვს, — ახლოს მიიწია პიშოტა, — განცხადება მაქვს შეტანილი პოლიციაში მისაღებად. ერთ თვეში პალერმოში მივდივარ გამოცდების ჩასაბარებლად. შეიძლება, სულ მალე ორივეს ერთნაირი ფორმა გვეცვას.

გუშაგმა მეტი სიმპათიით შეხედა პიშოტას. სიცილიელები მართლაც ხშირად მიდიოდნენ პოლიციაში სამუშაოდ. ეს მათ სილატაკისგან ათავისუფლებდა და მცირედ ძალაუფლებასაც ანიჭებდათ. აქ ასეთი ხუმრობაც კი იყო გავრცელებული: სიცილიელები ან ბანდიტები ხდებიან, ან პოლიციელები და ორივე შემთხვევაში ერთნაირი ზიანი მოაქვთო. პიშოტა კი გულში იცინოდა, პოლიციელობა რომ დაიბრალა. კოპწია ჩაცმულობას დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა; პალერმოში ნაყიდი აბრეშუმის პერანგიც კი ჰქონდა.

პოლიციელის შავ-თეთრი ფორმა და ბრიყვული ქუდი კი ქვეყნად უდიდეს მახინჯობად მიაჩნდა.

— გიჯობს, კარგად დაფიქრდე, — ურჩია პოლიციელმა, თავის-თვის კი იფიქრა, ყველას როგორ მოუნდა თბილი ადგილიო, — ხელფასი ძალზე მცირეა. კონტრაბანდისტებისგან ქრთამს რომ არ ვიღებდეთ, შიმშილით სული ამოგვხდებოდა. ამ ერთი კვირის განმავლობაში კი ჩემი ორი მეგობარი ამ წყეულმა ჯულიანომ დახოცა. თანაც, ეს თავხედი გლეხები დალაქის ადგილსამყოფელსაც კი არ მიგასწავლიან.

— ეგ არაფერია, ცხვირ-პირს დაუუნაყავთ და ზრდილობას ვასწავლით, — მხიარულად ანუგეშა პიშოტამ, მერე კი ისე ახლობლურად მიმართა, თითქოს უკვე კოლეგები ყოფილიყვნენ, — სიგარუტი ხომ არ გაქვს?

ესიამოვნა კიდევც, როცა გუშაგი გამოფხიზლდა და ძველებური სიმკაცრით უთხრა:

— რაო? შე ტალახის გუნდავ, შენთვის რატომ უნდა მქონდეს სიგარუტი? — და, როგორც იქნა, შაშხანა მოიმარჯვა.

პიშოტამ წუთით დაუოკებელი სურვილი იგრძნო, ამ ლაწირაკს ყელში სწვდომოდა და დანით დაესერა.

— იმიტომ, რომ ვიცი, ჯულიანო სადაც არის. შენი კარაბინერები მთაში სულ ტყუილად დაეძებენ: იმდენად ლენჩები არიან, რომ ხვლიკსაც კი ვერ იპოვიან.

ასეთმა უტიფრობამ გუშაგი ბოლომდე დააბნია. შემოთავაზებული ინფორმაციაც იმდენად მნიშვნელოვანი იყო, რომ ჯობდა, ზემდგომთან მოეთათბირა. ეს ადამიანი გაქნილი ჩანდა და იფიქრა, რამე შარში არ გამხვიოსო. ჭიშკარი გააღო და პიშოტას თოფით ანიშნა, შემოდით. თვითონაც უკან მიჰყვა, თანაც ისე, რომ ქუჩას შეაქცია ზურგი. ამ დროს ჯულიანომ ჯორი შეაღვიძა და ურემი საპყრობილის ჭიშკრისაკენ დაძრა.

ბელამპოს ბარაკების ტერიტორია ოთხ აკრს შეადგენდა. დიდი საადმინისტრაციო შენობის გვერდითა ფრთაში პატიმართა საკნები იყო განთავსებული. ამ დიდი შენობის უკან პოლიციელთა საცხოვრებელი ბარაკები მოჩანდა, რომლებიც ას კაცს დაიტევდა, გარდა ამისა, ცალკე განყოფილებაში მარშალი ბინადრობდა. მარჯვნივ გარაჟი იდგა, თავდაპირველად ბოსელი რომ იყო და ნაწილობრივ დღემდე

ასრულებდა მის ფუნქციას, რაკი მთის ბილიკებზე სასიარულოდ პოლიციას გარკვეული რაოდენობის ვირები და ჯორებიც ჰყავდა.

უკან, გოფირებული ფოლადის ფანჩატურის ქვეშ, სურსათის საწყობი იყო მოწყობილი. მთელ ტერიტორიას ეკლიანი გისოსის შვიდფუტიანი ღობე ერტყა გარს. ასევე, მოჩანდა ორი საგუშაგო კოშკურით, რომლებიც უკვე რამდენიმე თვე იყო, არ გამოუყენებიათ. ბარაკები მუსოლინის რეჟიმის დროს აშენდა და მათიასთან ომის პერიოდში გაფართოვდა.

ჭიშკარში შესვლისთანავე პიშოტამ იქაურობა შეათვალიერა: საფრთხე არსაიდან იყო მოსალოდნელი, კოშკურები ცარიელი იყო, ეზოში შეიარაღებული პოლიციელები არ ჩანდნენ, იქაურობა მიტოვებულ ფერმას უფრო ჰგავდა, ვიდრე ციხეს. გარაჟში მანქანები არ იდგა. პიშოტამ ვერც სხვაგან დალანდა მანქანა, რამაც გააკვირვა და შეაშფოთა კიდევ, რადგან შეიძლებოდა, რომელიმე მათგანი წუთი-წუთზე დაბრუნებულიყო. მარშალი მთლად ისეთი სულელი არ ეგონა, გარნიზონი უმანქანოდ რომ დაეტოვებინა. იფიქრა, ტორი მოსალოდნელი სტუმრობის შესახებ უნდა გაფართხილო.

ახალგაზრდა გუშაგმა პიშოტა საადმინისტრაციო შენობაში შეიყვანა. დიდ ოთახში ჭერზე ჰაერის გამაგრილებლები ტრიალებდა, თუმცა ისინი სიცხეს თითქმის ვერ ანელებდა. ოთახის ცენტრში შემადლებულზე საწერი მაგიდა იდგა, მის აქეთ-იქით მოაჯირებს უკან კი — უფრო დაბალი მაგიდები. კედლების გასწვრივ კი — ხის მერხები. შემადლებულის გარდა ყველა მაგიდა ცარიელი იყო, იმ ერთადერთ მაგიდასთან კი კაპრალი იჯდა, გუშაგის სრულიად საპირისპირო ტიპი. მაგიდაზე პატარა მოჩუქურთმებული დაფა იდგა, რომელზეც ოქროსფერი ასოებით ეწერა: „კაპრალი კანიო სილვესტრო.“ წელზემთ ძალზე მასიური იყო: განიერ მხრებსა და მძლავრ კისერზე დიდი ლოდით თავი ება. ყურიდან მძლავრ ქვედაყბამდე ვარდისფერი ამობურცული ნაიარევი მიუყვებოდა. გრძელი ულვაში ფორმით ველოსიპედის საჭეს წააგავდა.

კაპრალის სამხრეულები ეკეთა, ქამარზე კი — პისტოლეტი, ყველაზე უარესი კი ის იყო, რომ, ვიდრე გუშაგი პიშოტას ამბავს უყვებოდა, კაპრალი „გლეს“ დაუფარავი ზიზღითა და ეჭვით უყურებდა. მერე სიცილიური კილოთი მიმართა:

— ნეხვის გროვა ხარ, თანაც მატყუარა.

ვიდრე კიდევ რაიმეს იტყოდა, ეზოში ჯულიანოს ხმა გაისმა.

— ჰეი, კარაბინერებო, ვინ ხართ ადგილზე? ღვინო გინდათ თუ არ გინდათ?

პიშოტამ აღფრთოვანებით შენიშნა ჯულიანოს ხმაში გამბედაობა და ისეთი თავისებური კილო, მხოლოდ ადგილობრივებს რომ ესმით. სიტყვებიც სწორედ ისეთი იყო, მდიდარ გლეხს რომ შეეფერება.

გალიზიანებულმა კაპრალმა ხმამაღლა დაიღრინა:

— რაო? რას ღრიალებს? — და გარეთ გავიდა, პიშოტა და გუშაგი კი უკან მიჰყვნენ.

ჯორშებმული ფერადი ურემი პოლიციის ჭიშკართან იდგა. ტორი ჯულიანო წელამდე შიშველი იყო, ტანზე ოფლი ღვარად ჩამოსდიოდა და მხარზე ღვინის ბოცა ჰქონდა გადებული. ყოვლად იდიოტურად იკრიჭებოდა, მთელი იერიითა და მიხრა-მოხრით გაუთლელ სიბრიყვეს გამოხატავდა და ყოველგვარ ეჭვს უკუაგდებდა: იარაღი ტანზე ვერსად ექნებოდა და, თანაც, აშკარად მთვრალი ჩანდა. კაპრალმა პისტოლეტისკენ წაღებული ხელი კვლავ დაუშვა, გუშაგმაც ჩამოუშვა თოფი. პიშოტამ უკან დაიხია და ქურთუკიდან თოფის ამოსაღებად მოეშზადა.

— მთელი ურემი საუსე მაქვს ღვინით, — კიდევ ერთხელ დაიღრიალა ჯულიანომ. მერე ცხვირი ხელით მოიხოცა და ცინგლები ხელიდან ძირს ჩამოიბერტყა.

— ეგ ღვინო ვინ შეუკვეთა? — იკითხა კაპრალმა, თუმცა ამ დროს უკვე ჭიშკრისკენ მიემართებოდა და, პიშოტამ იცოდა, რომ მის გაღებასა და ურემის შემოყვანას აპირებდა.

— მამაჩემმა მითხრა, მარშალს მიუტანეო, — უპასუხა ჯულიანომ და თვალი ჩაუკრა.

კაპრალი ჯულიანოს შეაშტერდა. ღვინო უეჭველად ქრთამი იქნებოდა რომელიმე ფერმერისაგან კონტრაბანდის გაშვების სანაცვლოდ. წამით გაუჩნდა ეჭვი, რადგან ნამდვილი სიცილიელი ძღვენს შვილს კი არ გამოატანდა, თვითონ მიიტანდა, რათა უკეთ დაემახსოვრათ, მაგრამ მერე მხრები აიჩეჩა და უბრძანა:

— ჩამოტვირთე და ბარაკში შეიტანე.

— ყველაფერს მე თვითონ არ ჩამოტვირთავ, — უპასუხა ჯულიანომ.

კაპრალმა კვლავ ბუნდოვანი ეჭვის ჩხვლეტა იგრძნო. ამას ჯულიანოც მიხვდა, ამიტომ ურმიდან ჩამოხტა და ისე დადგა, რომ ადვილად ამოეძრო თოფი სამალაუიდან. მაგრამ მანამდე ერთი ბოცა მალლა ასწია და თქვა:

— ოცი ასეთი ლამაზმანი მოგიყვანეთ.

კაპრალი ბარაკებისკენ მიტრიალდა და ბრძანება დაიღრიალა. მაშინვე ორი ახალგაზრდა პოლიციელი გამოფარდა, ქუდები არ ეხურათ, ქურთუკები კი შეხსნილი ჰქონდათ. არც იარაღი ეკავათ. ჯულიანომ ურმიდან ღვინის ბოცები ჩამოაწოდა. შაშხანიან გუშაგსაც გაუწოდა, თუმცა იმან უარის თქმა სცადა. ჯულიანომ ტლანქი კეთილგანწყობით უთხრა:

— ვიცი, დალგვაში სხვებს დაეხმარები, ამიტომ შენც იშრომე.

სამი პოლიციელი გაუვნებლებული იყო: ხელები ბოცებით ჰქონდათ დაკავებული. ჯულიანომ ვითარება შეათვალიერა. ყველაფერი სწორედ ისე მოხდა, როგორც მას სჭირდებოდა. პიშოტა ზუსტად კაპრალის ზურგს უკან იდგა, ის კი ერთადერთი იყო პოლიციელებს შორის, ვისაც იარაღი ჰქონდა. ჯულიანომ მთის ფერდობებსაც გადახედა, მაგრამ პოლიციის მანქანები არსად ჩანდა. არც კასტელამარეს მხრიდან მოდიოდა ვინმე. მთავარი ქუჩის ბოლოში კვლავაც ბავშვები თამაშობდნენ. ბოცებს შორის ხელი შეაძვრინა და სახტად დარჩენილ კაპრალს დაუმიზნა. ამავე წამს პიშოტამაც ამოიღო იარაღი ქურთუკს ქვემოდან და კაპრალს ზურგში მიაბჯინა.

— არ გაინძრე, — უთხრა პიშოტამ, — თორემ მაგ უღვაშს ტყვიით შეგისწორებ.

ჯულიანომ სამ შეშინებულ პოლიციელს დაუმიზნა.

— ეგ ბოცები ხელში გეკავოთ და შენობაში შედით.

გუშაგმა თავისი შაშხანა ძირს დააგდო. ჯულიანომ ის აიღო და ყველანი შიგნით შევიდნენ. დარბაზში ჯულიანომ ოქროსწარწერიანი ფირფიტა ხელში აიღო და მისი სილამაზე შეაფასა, სახელიც ხმამაღლა ამოიკითხა:

— კაპრალო კანიო სილვესტრო, ყველა გასაღები ჩამაბარეთ.

კაპრალმა ხელი პისტოლეტის ბუდეზე დაიდო. პიშოტამ ხელში ლულის წვერი ჰკრა და პისტოლეტი ამოაცალა. კაპრალმა სიძულვილით საგსე გამყინავი მზერა ესროლა. პიშოტამ გაუღიმა და მოუბოდიშა.

კაპრალი ჯულიანოს მიუბრუნდა:

— ჭაბუკო, სადმე შორს გაიქეცი და მსახიობობა სცადე. დიდ წარმატებას მიაღწევ. ამ საქმეს კი მოეშვი, თორემ დაგლუპავს. მარშალი თავის ხალხთან ერთად დაღამებამდე დაბრუნდება და, სადაც უნდა წახვიდე, ყველგან მოგწვდება. დაფიქრდი, როგორია კანონგარეშე ცხოვრება, როცა შენს სიცოცხლეზე ჯილდოა დაწესებული. მე თვითონ მანამ მოგძებნი, ვიდრე არ დაგიჭერ, მე კი ერთხელ ნანახი სახე არასოდეს მაგიწყდება. შენს სახელსაც გავიგებ და ჯოჯოხეთშიც კი გიპოვი.

ჯულიანომ გაუღიმა. ეს კაცი რატომღაც მოეწონა. უთხრა:

— კი მაგრამ, ჩემი სახელი თუ გაინტერესებს, რად არ მკითხავ?

— ისეთი სულელი ხარ, რომ შენს სახელს გამიმხელ? — ეჭვით შეაშტერდა კაპრალი.

— ტყუილს არასოდეს ვამბობ. ჯულიანო მქვია.

კაპრალმა ინსტინქტურად წაიღო ხელი იარაღისკენ, თუმცა იცოდა, რომ პიშოტამ ამოაცალა. რეაქციის სისწრაფის გამო ჯულიანოს ეს კაცი კიდევ უფრო მეტად მოეწონა. ის გამბედავი იყო და მოვალეობის გრძნობა ჰქონდა, დანარჩენები კი დამფრთხალნი და დაბნეულნი შესცქეროდნენ იმ სალვატორე ჯულიანოს, რომელმაც მათი ორი ამხანაგი სიცოცხლეს გამოასალმა. რა გარანტია ჰქონდათ, რომ მათაც ზედ არ მიაყოლებდა?

კაპრალი წუთით ჯულიანოს სახეს ჩააკვირდა, შემდეგ ძალიან ნელი მოძრაობით გამოსწია საწერი მაგიდის უჯრა და გასაღებების დიდი ასხმა გამოიღო. ჯულიანომ ასხმა გამოართვა და პიშოტას გადაუგდო.

— პატიმრები გაათავისუფლე! — უთხრა მეგობარს.

საადმინისტრაციო შენობის საპატიმროში გისოსით გადაკეტილ სივრცეში მონტელეპრეს ათი მოქალაქე ისხდა, რომლებიც ჯულიანოს გაქცევის ღამეს დააკავეს. ცალკე საკანში მოეთავსებინათ ორი ცნობილი ადგილობრივი ბანდიტი, პასატემპო და ტერანოვა. ჯულიანომ საკნის კარი გახსნა და გახარებული პატიმრები გარეთ გამოცვოვდნენ.

ჯულიანოს მეზობლებმა ოფისის ოთახში მოიყარეს თავი და ჯულიანოს შემოეხვივნენ, მადლიერების გამოსათქმელად ყველას

მისი გულში ჩაკვრა სურდა. ჯულიანო ამას არ უშლიდა, მაგრამ ფხიზლად ეჭირა თვალი დატყვევებულ პოლიციელებზე. მოქალაქეები ჯულიანოს გმირობით აღტაცებულნი იყვნენ: მან ხომ ყველასათვის საძულველი პოლიცია დაამცირა! უამბეს, რომ მარშალმა მათი წამებით დაკითხვა დააპირა, მაგრამ კაპრალმა ხასიათის სიმტკიცითა და გონივრული არგუმენტებით იმაში დაარწმუნა, რომ ამას შეიძლება ხალხის გაღიზიანება და ამბოხიც კი გამოეწვია. ნაცვლად ამისა, მეორე დღეს პალერმოში უპირებდნენ გადაყვანას, სადაც მაგისტრატს სათითაოდ უნდა დაეკითხა.

ჯულიანომ ლუპარა დაბლა დაუშვა, შემთხვევით ხალხში რომ არ გაესროლა. ეს სულ უფროსი თაობის ადამიანები იყვნენ, რომლებსაც ბავშვობიდან იცნობდა, და ახლაც ისევე თავაზიანად მიმართა, როგორც მუდამ სჩვეოდა:

— თუ სურვილი გაქვთ, შეგიძლიათ, მთაში შემომიერთდეთ. თუ არა და, იქნებ, ცოტაოდენი ხნით სადმე სიცილიის სხვა რეგიონში, ნათესაებს ესტუმროთ, ვიდრე ხელისუფლების წარმომადგენლები გონს არ მოვლენ.

პასუხის ნაცვლად დუმილი ჩამოწვა. ორი ბანდიტი სხვებისაგან განცალკევებით იდგა. ისე დაძაბულნი ჩანდნენ, თითქოს, ყოველ წამს ნახტომისათვის ეშხადებოდნენ. პასატემპო დაბალი, ჯმუხი კაცი იყო, უშნო, ნაყვავილარი, გაუპარსავი სახითა და სქელი ტუჩებით. სოფლელები მეტსახელად მუტრუკს ეძახდნენ. ტერანოვა კვერნასავით თხელი და მოქნილი აგებულების გახლდათ. წვრილი, თუმცა სასიამოვნო ნაკვთები ჰქონდა, ბუნებრივად ილიმებოდა. პასატემპო ხარბი ბანდიტების იმ ტიპს ეკუთვნოდა, მხოლოდ ფულისთვის რომ ძარცვავდა და ხოცავდა ხალხს. ტერანოვა ოდესღაც მშრომელი ფერმერი იყო, ბანდიტობა კი მას მერე დაიწყო, რაც გადასახადების ორმა ამკრეფმა საჯიშე ღორის წართმევა დაუპირა. ორივე მოკლა, ღორი თავის ოჯახსა და ნათესაებს დაუკლა, თვითონ კი მთაში გადაიხვეწა. ბანდიტებმა ძალები შეაკავშირეს, მაგრამ, როცა კორლეონეს ველზე მიტოვებულ ბელელში იმალებოდნენ, ვიღაცამ გასცა და ორივე დააპატიმრეს.

— თქვენ ორს არჩევანი არ გაქვთ, — მიუბრუნდა მათ ჯულიანო, — მთაში ერთად ავიდეთ, იქ კი, თუ გსურთ, მე დამემორჩილეთ, თუ

არა და, თქვენს გზაზე იართ. მაგრამ დღეს თქვენი დახმარება დამჭირდება და თქვენც გმართებთ, მცირე სამსახური გამიწიოთ, — ეს ღიმილით უთხრა, რათა მიმხვდარიყვნენ, რომ მთლად ბრძანებით კი არა, უფრო თხოვნით მიმართავდა.

ვიდრე ბანდიტები პასუხის გაცემას მოასწრებდნენ, კაპრალმა თავზე ხელაღებული რამ ჩაიდინა: იქნებ, სიცილიელის შელახულმა თავმოყვარეობამ იმძლავრა, იქნებ, უბრალო ცხოველურმა წინააღმდეგობამ, ან, იქნებ, მოვალეობის გრძნობამ, რაკი ხედავდა, რომ მის განკარგულებაში მყოფი პატიმრები გაქცევას აპირებდნენ. ჯულიანოსთან ძალზე ახლოს იდგა და უცბად წინ დიდი ნაბიჯი გადადგა.

იმავე წამს პერანგის ქვემოდან პატარა პისტოლეტი ამოაძრო. ჯულიანომ ლუპარადან სროლა დაუპირა, მაგრამ კაპრალმა დაასწრო. ტყვია ჯულიანოს თავს ორი ფუტით ასცდა. რომ მოხვედროდა, შუბლს გაუხვრეტდა.

ყველას თავზარი დაეცა. პისტოლეტის ლულა კვლავაც ჯულიანოსკენ იყო დამიზნებული, მის უკან კაპრალის ბრაზისაგან აჭარხლული სახე მოჩანდა. მაგრამ ყველაფერი საოცრად ნელა, თითქოს, სიზმარში ხდებოდა. ჯულიანომ შიშის ნაცვლად უცნაური სიმშვიდე იგრძნო და იმავე წამს, როცა კაპრალმა ჩახმახს მეორედ ჩამოჰკრა, ტორის თვალიც არ დაუხამხამებია, ისე გადადგა წინ ნაბიჯი. გაისმა ფოლადის ტკაცანი: პისტოლეტმა უხარისხო ტყვია არ გაისროლა. მეორე წამს პიშოტა, პასატემპო და ტერანოვა კაპრალს ეცნენ და წააქციეს. ტერანოვამ ხელიდან პისტოლეტი გამოსტაცა, პასატემპო თმაში სწვდა, პიშოტამ კი ყელზე დანისპირი მიაბჯინა. ჯულიანომ დროულად შეაჩერა:

— არ მოკლა.

მრისხანე თავდამსხმელები კაპრალის უღონო სხეულს მოშორდნენ, მაგრამ ამ ერთ წამში მისთვის დიდი ზიანის მიყენება მოასწრეს: ცალი ყური თითქმის მთლიანად მოგლეჯილი ჰქონდა და სისხლი ღვარად სდიოდა. მარჯვენა მკლავი უხერხულად ჰქონდა ამოტრიალებული, ცალი თვალი კი — ჩასისხლიანებული.

დამარცხებულს არც ახლა ეტყობოდა შიში. იწვა და სიკვდილს ელოდა. ჯულიანომ მის მიმართ წარმოუდგენელი სითბო და სინაზე იგრძნო. ამ კაცმა, ეს წუთია, მის უკვდავებას გამოცდა ჩაუტარა

და დაამტკიცა, რომ ჯულიანოს მოკვლა შეუძლებელია. ჯულიანომ კაპრალი ფეხზე წამოაყენა და, ყველასთვის გასაოცრად, წამით გადაეხვია. მაშინვე სხვებს თავი ისე მოაჩვენა, თითქოს მხარს უმაგრებდა, რომ არ წაქცეულიყო.

ტერანოვამ პისტოლეტი შეამოწმა და ჯულიანოს უთხრა:

— ძალზე იღბლიანი ყოფილხარ. მხოლოდ ერთი ტყვიანა უვარჯისი. ჯულიანომ ხელი გაიწვდინა. ტერანოვა წამით შეყოვნდა, მერე კი გაუწოდა პისტოლეტი. ჯულიანომ რბილად უთხრა კაპრალს:

— ჭკვიანად თუ იქნები, არც შენ, არც შენს ხელქვეითებს არაფერს დაგიშავებთ. ამის გარანტიას გაძლევ.

კაპრალი ტკივილისაგან ჯერაც შოკში იყო და ვერც კი მიხვდა, რას ეუბნებოდნენ. პასატემპომ პიშოტას ჩასჩურჩულა:

— დანა მომეცი და წაშში გავათავებ.

— აქ ბრძანებებს ჯულიანო გასცემს, — მიუგო პიშოტამ, — და ყველა მას უნდა დაემორჩილოს!

მოქალაქეებმა იქაურობა საჩქაროდ დატოვეს. არ უნდოდათ, პოლიციელის მკვლელობის მოწმენი გამხდარიყვნენ. ჯულიანომ ოთხივე პოლიციელი საერთო საკანში შეიყვანა და გისოსის მიღმა ჩაკეტა. მერე პიშოტასთან, ტერანოვასა და პასატემპოსთან ერთად ტერიტორია გაჩხრიკა. ფანჩატურის ქვეშ შაშხანები, ავტომატები და კოლოფებით ტყვიები აღმოაჩინეს. თოფები ზედ გადაიკიდეს, კოლოფები კი ურემში ჩატვირთეს. საცხოვრებელი განყოფილებიდან ქვეშაგები და საბნები წამოიღეს, პიშოტამ კი, ყოველი შემთხვევისთვის, პოლიციელის ორი ფორმაც გააყოლა ხელს. მერე ჯულიანომ დატვირთული ურემი წამოიყვანა, დანარჩენები კი ფეხით გაჰყვნენ, სამივეს იარაღი მოემარჯვებინა. სწრაფად მივიდნენ კასტელამარემდე. ერთი საათი დასჭირდათ იმ ფერმერის კარ-მიდამომდე მისაღწევად, ვინც ჰექტორ აღონისს ურემი ათხოვა. იარაღის მარაგი მის საღორეში ჩაფლეს. მერე ფერმერს ურემის გადაღებაში მიეხმარნენ: საამისოდ ამერიკული სამხედრო საწყობიდან მოპარული ხაკისფერი საღებავი ჰქონდათ მომარაგებული.

მარშალი როკოფინო თავის საძიებო რაზმთან ერთად სადილის დროისათვის დაბრუნდა. ბრაზისაგან ლამის გაიგუდა, როცა თავისი მეგობრები გისოსებს მიღმა დამწყვდეულები ნახა.

ჯავშნოსანმა მანქანამ სირენის ყურისწამლები კვილით შემოუქროლა შარაგზებს, მაგრამ ბანდიტები არსად ჩანდნენ. ამ დროისათვის ჯულიანო უკვე მთების გულში საიმედოდ დამალულიყო.

გაზეთებმა მთელ იტალიაში ფართოდ გააშუქეს ეს ამბავი. თავფურცლები სამი დღის წინაც აეჭრებოდნენ ორი პოლიციელის მკვლელობის ცნობას, მაგრამ მაშინ ჯულიანო ჯერ კიდევ ერთერთი სიცილიელი თავზე ხელაღებული ბოროტმოქმედი იყო. ახლა კი ეროვნული პოლიცია გონივრულად და ტაქტიკურად დაამარცხა. უსამართლოდ დაპატიმრებული ახლობლები გაათავისუფლა. ჟურნალისტები პალერმოდან, ნეაპოლიდან, რომიდან და მილანიდან მოაწყდნენ მონტელეპრეს და ჯულიანოს ოჯახსა და მეგობრებს გაუთავებელ შეკითხვებს აყრიდნენ. პრესაში დაიბეჭდა სურათი, რომელზეც მარია ლომბარდოს ხელში ტორის გიტარა ეკავა, რომელზეც, მისი შვილი, მისი თქმით, ანგელოზივით უკრავდა (რაც მართალი არ ყოფილა: ის-ის იყო, აკორდების აღება ესწავლა). მისი ყოფილი კლასელები აცხადებდნენ, ტორი ისე ბეჯითად კითხულობდა წიგნებს, სკოლაში პროფესორა შეარქვესო. გაზეთებმა ეს ინფორმაცია სიხარულით აიტაცეს: ბანდიტი, რომელმაც წერა-კითხვა იცოდა! მისი, დეიდაშვილი ასპანუ პიშოტაც, მოიხსენიეს, რომელმაც ტორის კანონგარეშე ცხოვრება მისდამი სიყვარულის გამო გაიზიარა. მისმა თავგანწირვამ ყველა გააოცა.

გამოქვეყნდა ტორის ძველი სურათიც, რომელიც მას ხმელთაშუაზღვისპირული სილამაზის კლასიკურ ნიმუშად წარმოაჩენდა. ამან სულმთლად გადარია იტალიელები. თუმცა, შესაძლოა, მათზე უდიდესი შთაბეჭდილება ტორის გულმოწყალებამ მოახდინა: მან ხომ პოლიციის კაპრალი დაინდო, მის მოკვლას რომ შეეცადა. ეს ოპერასაც ჯობდა და თოჯინების თეატრსაც, სადაც ხის ფიგურებს არც სისხლი სდიოდათ და არც ტყვია ხვდებოდათ.

გაზეთებმა მხოლოდ იმის გამო გამოთქვეს სინანული, რომ ჯულიანომ ორი ბოროტმოქმედი, ტერანოვა და პასატემპო, გაათავისუფლა. ჟურნალისტები შიშობდნენ, ვაითუ, ასეთი მეგობრების სიახლოვემ ამ გულადი რაინდის სახეს ჩრდილი მიაყენოსო.

მხოლოდ მილანის გაზეთმა აღნიშნა, რომ სალვატორე ტორი

ჯულიანომ უკვე სამი პოლიციელი დახოცა და რომ მკვლელი უნდა დაკავებულ იქნას და სათანადოდ დაისაჯოს იმის მიუხედავად, რომ ლამაზია, ნაკითხი და გიტარაზეც უკრავს.

თავი 10

დონ კროჩემ ტორი ჯულიანოს შესაძლებლობები სრულად იხილა და აღფრთოვანებით აღივსო. ფიქრობდა, ნამდვილი მაფიოზი ახალგაზრდააო. ცხადია, სიტყვა „მაფიოზის“ ძირძველ მნიშვნელობას გულისხმობდა: მაფიოზი სახე, მაფიოზი ხე, მაფიოზი ქალი — წინათ ეს გამორჩეულ სილამაზესა და სრულყოფილებას ნიშნავდა.

რა რჩეულ რაინდად ესახებოდა ტორი, ჭეშმარიტ მთავარსარდალად! გაფუჭებული საქმეც კი აპატია: ის ორი ბანდიტი, შემზარავი პასატემპო და გამჭრიახი ტერანოვა სწორედ დონ კროჩეს მითითებითა და მხარდაჭერით დაეპატიმრებინათ. მაგრამ დონი მომავალი გამორჩენის ხათრით წარსულის შეცდომებს ადვილად პატიობდა. ახლა გულდაგულ ეცდებოდა, ტორის კვალში ჩასდგომოდა.

მთაში გადახვეწილ ჯულიანოს თავისი სახელის გავარდნის შესახებ ჯერ არაფერი სმენოდა. ძალაუფლების მოსაპოვებლად გემების დაწყობით იყო დაკავებული. ყველაზე მეტად ის ორი ყაჩაღი ადარდებდა. მათი დაკავების ამბავი რომ გამოიკითხა, დარწმუნდა, რომ ისინი მოტყუებით მოიხელთეს. იფიქრა და იმ დასკვნამდე მივიდა, რომ ამ ღალატის ჩამდენი მაფია უნდა ყოფილიყო, ბანდიტებს, ვითომდა, მხარდაჭერასა და შუამდგომლობას რომ უწევდა. როცა ეს ტერანოვასა და პასატემპოს უთხრა, არც ერთმა არ ისურვა ამის დაჯერება. „მეგობართა მეგობრები“ საკუთარი სიცოცხლის გადასარჩენადაც კი არასოდეს დაარღვედნენ ომერტას წმინდა წესს. ჯულიანო აღარ შეჰკამათებია. ნაცვლად ამისა, სერიოზულად შესთავაზა გაერთიანება.

აუხსნა, რომ, გადარჩენის გარდა, მიზნად დაისახა, პოლიტიკური ძალა გამხდარიყო. განსაკუთრებულად გაუსვა ხაზი იმას, რომ ღარიბებს არასოდეს გაძარცვავდა. მეტიც: ნადავლის ნახევარს მონტელეპრესა და სხვა ქალაქების შემოგარენში მცხოვრებ გაჭირვებულებს დაურიგებდა. თუ ტერანოვა და პასატემპო შეუერთდებოდნენ, მათ

თავიანთი ხელქვეითები ეყოლებოდნენ, მაგრამ ყველანი ჯულიანოს დაექვემდებარებოდნენ. მათი ქვედანაყოფები ჯულიანოს ნებართვის გარეშე არაფერს მოიმოქმედებდნენ. ერთად სრულად გააკონტროლებდნენ პალერმოს, მონრეალის და უფრო მომცრო ქალაქების — მონტელეპრეს, პრიტინიკოსა და კორლეონეს — პროვინციებს. ისიც უთხრა, რომ კარაბინერებთან თავდამსხმელ პოლიტიკას ირჩევდა: დაე, პოლიციას ეშინოდეს ბანდიტების და არა პირიქით. ასეთმა გამბედაობამ გამოცდილი ყაჩაღებიც კი გააოგნა.

ძველი ყაიდის ბანდიტ პასატემპოს გამომძალველობა, გაუპატურება და მკვლევლობა უყვარდა. ახლაც იმაზე ფიქრს მოჰყვა, ამ ალიანსიდან რაც შეიძლება მეტი სარგებელი მიეღო, ბოლოს კი ჯულიანო მოეკლა და მისი წილიც მიეთვისებინა. ტერანოვას ჯულიანო მოეწონა, თანაც გათავისუფლებისათვის ემადლიერებოდა. ამიტომ გადაწყვიტა, ტაქტიკადაც დაერწმუნებინა ჯულიანო იმაში, რომ უფრო გონივრულ გზას დასდგომოდა. ჯულიანო ორივეს ისეთი ღიმილით აკვირდებოდა, რომ აშკარა იყო: მათ აზრებს გადაშლილი წიგნით კითხულობდა და გულში ეცინებოდა. პიშოტას ბავშვობის მეგობრის დიდებული იდეები არ აკვირვებდა, უბრალოდ სწამდა: ტორი ჯულიანო რასაც იტყოდა, იმას შეასრულებდა კიდევ. ახლა მდუმარედ უგდებდა ყურს.

დილის მზის ოქროსფერ სხივებში სამივე მონუსხული უსმენდა ჯულიანოს გეგმებს: ის სიცილიის გათავისუფლებაზე, ღარიბთა ფეხზე წამოყენებაზე, მაფიის, არისტოკრატიისა და რომის ძალაუფლების დამხობაზე ლაპარაკობდა. ნებისმიერ სხვას ამგვარი სიტყვებისთვის მასხრად აიგდებდნენ, მაგრამ სამივემ ნახა სასწაული: ნახა ჯულიანოსათვის სახეში დამიზნებული იარაღი და ჯულიანოს მშვიდი მზერა, მისი სრული რწმენა იმისა, რომ მისი მოკვლა შეუძლებელია. მერე კი ის გულმოწყალება, რაც კაპრალის მიმართ გამოიჩინა. ახლა სამივე ამ მოხდენილ ახალგაზრდას უმზერდა, მისი სილამაზით, ვაჟკაცობითა და სიწრფელით გაოცებული.

მეორე დღით ჯულიანომ თავისი სამი ამხანაგი მთებიდან იმ ბილიკით ჩაიყვანა, ქალაქ კასტელვეტრანოს მიდამოებისკენ რომ მიდიოდა. ყველას მუშების ტანისამოსი ეცვა.

ჯულიანომ იცოდა, რომ პალერმოს ბაზრისკენ მიმავალი სურსათით სავსე სატვირთოების კოლონა ამ გზაზე ჩამოიფლიდა. მთავარ სირთულეს მათი შეჩერება წარმოადგენდა. მძარცველებისაგან თავის დასაცავად ისინი დიდი სიჩქარით მიდიოდნენ. გარდა ამისა, შესაძლოა, მძლოლები შეიარაღებულნი ყოფილიყვნენ.

ჯულიანომ ამხანაგებს ქალაქის შესასვლელთან ბუჩქებში დამალვა უბრძანა, თვითონ კი დიდ თეთრ ლოდზე ისე შემოჯდა, რომ შორიდან გამოჩენილიყო. მინდორში მიმავალი გლეხები ქვის სახეებით უყურებდნენ, მისი ლუპარას დანახვაზე კი ნაბიჯს უჩქარებდნენ. ჯულიანომ იფიქრა, ნეტავ, რომელიმემ თუ მიცნო. უეცრად მოხატული ოთხთვალა დაინახა, რომელშიც ერთადერთი ჯორი იყო შებმული. მასში მოხუცი კაცი იჯდა, რომელსაც ჯულიანო სახით იცნობდა. მეფორნეთა ოჯახიდან იყო, ეს ხელობა სიცილიის პროვინციაში დიდად არის გავრცელებული. თავის ოთხთვალას სოფლებიდან ქალაქის ქარხანაში ბამბუკის გადასატანად აქირავებდა. დიდი ხნის წინათ ჯულიანოს მამასაც ეხმარებოდა ჭირნახულის გადატანაში. ჯულიანო შუა გზაზე გადაუდგა. ლუპარა დაბლა დაშვებულ მარჯვენაში ეკაფა. მეფორნემ იცნო, თუმცა არაფერი შეიმჩნია, მხოლოდ თვალებში წამით ნაპერწკლებმა გაუელვა.

ჯულიანო გულითადად მიესალმა. ბავშვობიდან როგორც იყო შეჩვეული, ახლაც „ძიათი“ მიმართა:

— ზუ პეპინო, დღეს ორივეს ბედნიერი დღე გაგვითენდა. მე აქ იმისთვის მოვედი, რომ გაგამდიდრო, შენ კი განგებამ აქ იმისთვის მოგიყვანა, რომ გაჭირვებულთა ზვედრის შემსუბუქებაში დამეხმარო, — მოხუცის ნახვა გულით გაუხარდა და სიტყვებს ზედ ხალისიანი სიცილი დააყოლა.

მოხუცს ხმა არ ამოუღია, გაშტერებული უყურებდა ჯულიანოს და ელოდა, კიდევ რას იტყოდა. ჯულიანო მის გვერდით შემოჯდა და თოფი ოთხთვალაში დამალა. ისევ იცინოდა, რადგან დარწმუნებული იყო: რაკი ზუ პეპინოს გადაეყარა, ეს დღე ნამდვილად იღბლიანი გამოდგებოდა.

ჯულიანომ ნეტარებით შეისუნთქა შემოდგომის გრილი ჰაერი, ჰორიზონტზე ულამაზეს მთებს გახედა. თავს ლალად გრძნობდა, რადგან იცოდა: მისი სამი შეიარაღებული ამხანაგი გზას თვალს

არ აშორებდა. ზუ პეპინოს თავისი გეგმა გააცნო. ბერიკაცი კვლავაც უხმოდ და წარბშეუხრულად უგდებდა ყურს. მხოლოდ მაშინ შეინძრა, როცა ჯულიანომ უთხრა, გასამრჯელოდ ოთხთვალას სატვირთოებიდან ჩამოცლილი პროდუქტით აგივსებო. ამის გაგონებაზე ზუ პეპინომ ჩაიციხა და თქვა:

— ტორი ჯულიანო, მუდამ ყოჩაღი და გაბედული ბიჭი იყავი. გულიანი, დიდსულოვანი და მგრძნობიარე. ახლა კაცი ხარ, მაგრამ სხვა მხრივ სულ არ შეცვლილხარ, — ტორის მოაგონდა, რომ ზუ პეპინო ძველებური ყაიდის იმ სიცილიელებს ეკუთვნოდა, ვისაც სიტყვაკაზმული ლაპარაკი უყვარდა, — ჩემი იმედი გქონდეს, ამ საქმეშიც და სხვა დროსაც. მამაშენს შენნაირი შვილი უნდა ეამაყებოდეს.

შუადღისას გზაზე პროდუქტით დატვირთული სამი სატვირთო გამოჩნდა. პარტინიკოს ველზე რომ გავიდნენ, გაჩერდნენ, რადგან მთელი გზა ურმებსა და ჯორებს გადაეკეტათ. ამაზე ზუ პეპინოს ეზრუნა, ვის განკარგულებასაც იმ მიდამოებში მცხოვრები ყველა მეფორნე ასრულებდა.

წინ მიმავალი მანქანის მძღოლმა სიგნალი მისცა და ერთ-ერთ ურემს მსუბუქად გაჰკრა. ურეში მჯდომი გლეხი მიუბრუნდა და ისეთი სიძულვილით ახედა, რომ მძღოლმა მაშინვე დაამუხრუჭა და ლოდინისთვის მოემზადა, რადგან იცოდა: ეს უბრალო ხალხი თავიანთი ღირსების შებღალვას არავის აპატიებდა, სავსებით შეიძლებოდა, დანით დაეჭრათ და თავიანთ გზაზე არხეინად წასულიყვნენ.

უკანა ორი მანქანაც გაჩერდა. მძღოლები გადმოვიდნენ. ერთი აღმოსავლეთ სიცილიიდან იყო, მეორე — უცხოელი, უფრო ზუსტად, რომაელი. რომაელმა ქურთუკი შეიხსნა და გლეხებისკენ გაემართა, თან უყვიროდა, ეგ ჯორები და აყროლებული ურმები გზიდან გასწიეთო. ამას რომ ყვიროდა, ხელი ქურთუკის ქვეშ ედო.

ჯულიანო ურმიდან ძირს ჩამოხტა. ლუპარას აღება არც უფიქრია, თავისიანებს ნიშანი მისცა და ისინიც იარაღმომარჯვებულები გამოცვიოდნენ ბუჩქებიდან. ტერანოვა უკანა მანქანას მიადგა, უკანსვლით რომ არ დაძრულიყო. პიშოტა მრისხანე რომაელ მძღოლს მიეჭრა.

ამასობაში პასატემპო, სხვებზე უფრო ხარბი და მოუთმენელი, პირველ მანქანასთან მივიდა, მძღოლი გადმოათრია და ჯულიანოს ფეხებთან დააგდო. ჯულიანომ ხელი გაუწოდა და წამოაყენა. პიშოტამ უკანა მანქანის მძღოლიც დანარჩენ ორთან მიიყვანა. რომაელმა ქურთუკს ქვემოდან ცარიელი ხელი ამოაძვრინა და სახიდან მრისხანე გამოძეტყველება მოიშორა. ჯულიანომ მძღოლებს ალალი ღიმილით მიმართა:

— დღეს სამივეს იღბლიანი დღე გაგიტენდათ. პალერმოში ჩასვლა აღარ მოგიწევთ. ჩემი მეფორნეები პროდუქტს ჩამოცლიან და გაჭირვებულებს დაურიგებენ, ცხადია, ჩემი მეთვალყურეობის ქვეშ. ნება მიბოძეთ, გაგეცნოთ. ჯულიანო ვარ.

მძღოლებს იმწამსვე თავაზიანობა დაეტყვოთ, დაარწმუნეს, არსადაც არ გვეჩქარება და სინამდვილეში ჩვენი სადილის დროაო. სატვირთოების კაბინებში სიმყუდროვეა, გარეთ კი არცთუ ისე თბილა, მართლაც გაგვიმართლა, რომ შეგხვდითო.

— არ იდარდოთ, — უთხრა ჯულიანომ, რაკილა შიში შეატყო, — მშრომელ ხალხს არ ვხოცავ. ვიდრე ჩემი ხალხი საქმეს გააკეთებს, ჩემთან ერთად ისადილებთ, მერე კი შინ, თქვენს ცოლშვილთან წახვალთ და ყველაფერს უამბობთ. როცა პოლიცია დაგკითხავთ, ეცადეთ, რაც შეიძლება ნაკლებად დაეხმაროთ. ამისთვის ვალში არ დაგრჩებით.

ჯულიანო დადუმდა და მათს სახეებს დააკვირდა. ამ ადამიანებს არც შიში, არც დამცირება არ უნდა განეცადათ, პირიქით, სხვებისათვის უნდა ეამბნათ, ჯულიანო კარგად მოგვექცაო, რადგან მათ შემდეგ სხვებიც იქნებოდნენ.

მორჩილად გაჰყვნენ ჯულიანოს გზის პირას ერთი ვეება ლოდის ჩრდილში. ჯულიანოს ისინი არ გაუჩხრეკია, საკუთარი ნებით გაუწოდეს თავიანთი პისტოლეტები. ვიდრე მეფორნეები მანქანებს ცლიდნენ, მძღოლები ბატკნებივით მორჩილად ისხდნენ. ბოლოს ერთი სატვირთო მაინც დარჩა სავსე, მისი შიგთავსი ურმებში არ ჩაეტია. ჯულიანომ პიშოტა და პასატემპო ერთ-ერთ მძღოლთან ერთად ამ სატვირთოში ჩასვა და პიშოტას დააჯალა, პროდუქტები მონტელეპრეს ფერმებში მომუშავე გლეხებისათვის დაერიგებინათ. თვითონ ტერანოვასთან ერთად კასტელფეტრანოსა და პარტინიკოში საკვე-

ბის განაწილებას გაუწევდა მეთვალყურეობას. მოგვიანებით ერთმანეთს მონტედორას წვერში გამოქვაბულთან უნდა შეხვედროდნენ.

ამ ერთი დღის ნამოქმედართ ჯულიანომ მთელი ქვეყნის მხარდაჭერა მოიპოვა. აბა, სხვა რომელ ბანდიტს დაურიგებია ნადავლი ხალხისთვის? მეორე დღეს გაზეთები ახალი რობინ ჰუდის შესახებ წერილებმა ააჭრულა. მხოლოდ პასატემპომ ჩაიბუზღუნა, ეს დღე სულ ტყუილად დაგვარგეთო. პიშოტასა და ტერანოვას კი ესმოდათ, რომ დღეს მათმა ბანდამ რომის წინააღმდეგ ათასობით მოკავშირე შეიძინა.

ის კი არ იცოდნენ, რომ ეს სურსათი დონ კროჩესთვის იყო განკუთვნილი.

სულ რაღაც ერთ თვეში ჯულიანოს ყველგან ჰყავდა ინფორმატორები, რომლებიც ატყობინებდნენ, თუ რომელი ვაჭარი მგზავრობდა შავ ბაზარზე გამორჩენილი ფულით, რომელ დიდგვაროვანს რა ჩვეულებები ჰქონდა და რა საიდუმლოებებს ინახავდნენ პოლიციის მაღალჩინოსნებთან შეკრული ვიგინდარები. სწორედ ასე შეიტყო ჰერცოგინია ალკამოს ბრილიანტების შესახებ. როგორც თავად ქალბატონი ამბობდა, მათ თითქმის მთელი წლის განმავლობაში პალერმოს ბანკის სეიფში ინახავდა და დროდადრო წვეულებებზე აშხურობდა. ამ ძვირფასი სამკაულის შესახებ უფრო მეტის გამოსარკვევად ჯულიანომ ასპანუ ჰერცოგინიას მამულში მიაგვლინა.

ჰერცოგ ალკამოს მამული მონტელეპრესგან ათი მილის მოშორებით მდებარეობდა და ჭიშკართან შეიარაღებული დაცვა ჰყავდა მიჩენილი. თუმცა ჰერცოგი ამას არ სჯერდებოდა და „მეგობართა მეგობრებსაც“ უხდიდა, რათა მისი მამული არავის გაეძარცვა და არც მისი ოჯახის წევრი მოეტაცებინათ გამოსასყიდის მოთხოვნით. ჩვეულებრივ დროს რიგით კრიმინალებთან ეს სრულიად საკმარისი იქნებოდა.

ნოემბრის დასაწყისში მემამულეები რთველისთვის ახლომახლო სოფლებიდან მუშებს ქირაობენ. პიშოტა ქალაქის მოედანზე დადგა და ჰერცოგ ალკამოს მოურავს ყურძნის მკრეფავად მუშაობაზე მოურიგდა. პირველი დღე ჭაპანწყვეტაში გაატარა: შეუჩერებლად ავსებდა ვეება გოდრებს მუქი მქწამული მტევნებით. ვენახში ასზე

მეტი კაცი, ქალი და ბავშვი ირჯებოდა. შუადღისას ღია ცის ქვეშ ყველას სადილი გაუშალეს.

პიშოტა განმარტოებით იჯდა და სხვებს აკვირდებოდა. ერთი ახალგაზრდა ქალი შენიშნა, სასახლიდან სინით პური რომ მოიტანა. ლამაზი იყო, მაგრამ ფერმკრთალი; ეტყობოდა, რომ შზეზე იშვიათად უწევდა მუშაობა. თანაც დანარჩენ ქალებზე უკეთ ეცვა. განსაკუთრებით კი პიშოტას მის სახეზე აღბეჭდილი მედიდური გამომეტყველება ეცა თვალში: სხვებს ხმას არ სცემდა და ზიზღით უცქერდა. მერე შეიტყო, რომ ეს ქალი ჰერცოგინიას პირისფარეში იყო.

პიშოტამ იმწამსვე იაზრა, რომ ეს გოგო თავის საქმეში ყველაზე მეტად გამოადგებოდა. მართალია, ტორიმ, რაკი მის ხასიათს იცნობდა, საგანგებოდ გააფრთხილა, ჩვენი მიზნების გამო ადგილობრივი ქალების შეცდენა არც იფიქროს, მაგრამ პიშოტას ტორი უცოდველ რომანტიკოსად მიაჩნდა. ჯილდო მართლაც რომ მეფური გახლდათ, გოგო კი — ძალზე ლამაზი.

როცა კიდევ ერთი დიდი ლანგრით გამოიტანა პური, პიშოტამ ლანგარი ხელიდან გამოართვა და წამოიღო. ქალი დაფრთხა და, როცა კაცმა სახელი ჰკითხა, არ უპასუხა.

პიშოტამ ლანგარი ტაბლაზე დადო და გოგოს ხელი ჩასჭიდა.

— როცა გეკითხები, მიპასუხე, — მრისხანე ღიმილით უთხრა ახალგაზრდამ, — თორემ ამ ყურძნის გროვაში ჩაგმარხავ, — მერე სიცილით ანიშნა, ვხუმრობო და ალერსიანად წარმოთქვა, — მთელ სიცილიაზე ულამაზესი გოგო ხარ. არ შემეძლო, არ გამოგლაპარაკებოდი.

მოსამსახურე თან შეშინდა, თან მოიხიბლა. პიშოტას ქამარზე შემზარავი დანაც შენიშნა და ისიც, რომ კაცს თავი ისე ეჭირა, თითქოს, თვითონაც ჰერცოგი ყოფილიყო. ქალი დაინტერესდა და უთხრა, გრაციელა მქვიაო.

სამუშაო დღე რომ დასრულდა, პიშოტამ მოურიდებლად დააბრაზუნა სასახლის უკანა კარზე და გრაციელა იკითხა. კარი დედაბერმა გაუღო და უკმეხად უთხრა, მსახურებს სტუმრების მიღება ეკრძალებათო. მერე კარი ცხვირწინ მოუჯახუნა.

მეორე დღეს პიშოტა ისევ მიეხმარა ქალს ლანგრის ზიდვაში და თან ჩასჩურჩულა, სამუშაოს მერე შენი ნახვა მინდაო. მკლავ-

ზე ხელი გადაუსვა და შეუმჩნეველად ოქროს თხელი სამაჯური ჩამოაცვა. ქალი დაჰპირდა, შებინდებისას გარეთ გამოვიპარები და ვენახში დაგელოდებიო.

იმ ღამით ასპანუ პიშოტას პალერმოში ნაყიდი აბრეშუმის პერანგი ეცვა. ქალს დაკრუფილი ყურძნის ორ ვეება მთას შუა ელოდებოდა. როცა გრაციელა მიუახლოვდა, მაშინვე მოეხვია, ხოლო როცა ქალმა საკოცნელად ასწია თავი, პიშოტა ბაგეზე შეეხო და, ამაუდროულად, ფეხებს შორის შეუცურა ხელი. ქალმა გაბრძოლება სცადა, მაგრამ კაცს მძლავრად მოექცია მკლავებში. ერთმანეთს უფრო ვნებიანად აკოცეს, პიშოტამ შალის ქვედაბოლო აუწია და გაიკვირვა, მის ქვეშ აბრეშუმის საცვალი რომ დახვდა. იფიქრა, ჰერცოგინიასგან ითხოვაო. თამამი გოგო ჩანდა და, ეტყობოდა, არც ქურდობას ითაკილებდა.

ქალი ძირს გაშლილ ქვეშაგებზე დააწვინა და თვითონაც მიუწვა. გრაციელა თავდავიწყებით კოცნიდა და პიშოტამ იგრძნო, ქალი აბრეშუმის საცვლით როგორ ეხახუნებოდა. თხელი ქსოვილი ჩამოაშორა და ხელში თბილი და ნოტიო ხორცი შერჩა. ქალმა ქამარი შეუხსნა, თან შეუჩერებლად კოცნიდა. ასპანუმ შარვალი კოჭებამდე ჩაიძრო და ქალს ეძგერა. ქალი მის ქვეშ ვნებიანად როკავდა და ასპანუს ზვეით-ქვევით არწევდა. მერე უცებ შეჰკივლა და გაყურდა. დასწყევლოს ეშმაკმა, რა სწრაფიაო, გაიფიქრა ასპანუმ, მაგრამ თავი იმით ინუგეშა, რომ სიამოვნება მოიცდიდა, მთავარი ახლა ინფორმაციის მოპოვება იყო.

საბანში გაეხვივნენ და ჩახუტებულები იწვნენ. ასპანუმ ქალს უამბო, ფულს ვაგროვებ პალერმოს უნივერსიტეტში ჩასაბარებლად: ჩემს მშობლებს სურთ, იურისტი გამოვიდეო. უნდოდა ქალი იმაში დაერწმუნებინა, რომ კარგი საქმრო გამოიჭირა. მერე გამოჰკითხა, მუშაობა როგორ მოგწონსო, დანარჩენ მსახურებზე და, ბოლოს, თვით ჰერცოგინიაზეც გადაიტანა საუბარი.

გრაციელამ ასპანუს ხელი ისევ ფეხებს შორის ჩაიკურა და უამბო, თუ რა ღამაზად იცვამდა ჰერცოგინია და როგორ უხდებოდა ძვირფასი სამკაული. ისიც უთხრა, მე განსაკუთრებულად ვუყვარვარ და თავის ძველ კაბებსაც მაცმევს ხოლმეო.

— მინდა შენი ქალბატონის სამკაულით გნახო. თავის ბრილიანტებსაც გათხოვებს ხოლმე?

— საშობაო ზეიმზე მუდამ მაძლევს უფლებას, მისი ყელსაბამი გავიკეთო.

ასპანუ მიხვდა, რომ სადღესასწაულოდ სამკაულები შინ მოჰქონდათ ხოლმე. კიდევ ერთი რამ აინტერესებდა, მაგრამ ქალი უეცრად ზემოდან შეაჯდა, თან საბანი მხრებზე მოიფარა. ერთმანეთს ისე ძლიერად ეხლებოდნენ, რომ ყურძნის გროვაში გადაეშვნენ და, როდესაც გაყუჩდნენ, ტანისამოსი მთლიანად ყურძნის წვენითა და მათივე სხეულის წვენით ჰქონდათ მოთხვრილი.

— სუფთა ჰაერზე ყოფნას რა ჯობს, — თქვა ასპანუმ, — მაგრამ შინ როდის შემომიშვებ? როდის მექნება საშუალება, წესიერად მოგეალერსო?

— ვიდრე ჰერცოგი აქ არის, შეუძლებელია. როცა პალერმოში მიემგზავრება, მსახურებსაც მეტი თავისუფლება გვეძლევს ხოლმე. შემდეგ თვეს, შობის წინ, რამდენიმე კვირით გაემგზავრება.

ასპანუს გაეღიმა. ახლა რაც სურდა, ყველაფერი შეიტყო და შეეძლო მთელი ყურადღება უშუალოდ იმ წუთის საქმისთვის მიეპყრო. ქალს ისევ ეძგერა და საბანზე მიაღურსმა. მრისხანე ვნებით დაქანცა და ცოტათი დააფრთხო კიდევ. მხოლოდ იმდენად, რომ მომდევნო ერთი თვის განმავლობაში ქალს კიდევ მოსწყურებოდა მასთან ყოფნა.

შობამდე ხუთი დღით ადრე ჯულიანო, პიშოტა, პასატემპო და ტერანოვა ჯორებშებმული ოთხთვალით ალკამოს მამულის ჭიშკარს მიადგნენ. ყველანი სანადიროდ იყვნენ აღჭურვილნი და მდიდარი გლეხების სამოსი ეცვათ: პალერმოში შეძენილი ველვეტის შარვლები, შალის წითელი პერანგები, პატრონებით დახუნძლული მონადირის მძიმე ქურთუკები. ჭიშკართან მდგომმა ორმა გუშაგმა გზა გადაუღობათ. რაკი დღე იყო, მაინცდამაინც ფხიზლად არ იყვნენ და არც იარაღი ჩამოუღიათ მხრებიდან.

ჯულიანო ხალისიანი იერით წამოვიდა მათკენ. უიარაღო იყო, მხოლოდ ქურთუკის ქვეშ ეღო პისტოლეტი. გულიანად გაუღიმა და უთხრა:

— ბატონებო, ჯულიანო მქვია და აქ იმისთვის მოვედი, რომ თქვენს მშვენიერ ჰერცოგინიას შობა მოვულოცო და გაჭირვებულ-თათვის ცოტაოდენი შესაწირი ვთხოვო.

გუშაგები მისი სახელის გაგონებაზე ჯერ ადგილებს შეეყინნენ, მერე თოფებს დასწვდნენ. მაგრამ პასატემპომ და ტერანოვამ და-ასწრეს და პისტოლეტის ლულები მიუშვირეს. პიშოტამ განაიარა-და და მათი თოფები ოთხთვალაში შეყარა. გუშაგებთან პასატემპო და ტერანოვა დატოვეს.

სასახლის გარშემო უზარმაზარი ქვაფენილი ეზო დახვდათ. ერთ კუთხეში მოხუცი ქალი ფრინველს საკენკს უყრიდა. სახლთან ბაღ-ში ჰერცოგის შვილები შავ კაბებში გამოწყობილი გუვერნანტების მეთვალყურეობის ქვეშ თამაშობდნენ. ჯულიანო ქვიშამოყრილ გზას სახლისკენ გაუყვა, პიშოტა გვერდიდან არ სცილდებოდა. არ შემც-დარა, იმ ორი კაცის გარდა დაცვა არსად ჩანდა. ბაღს იქით უფრო დიდი მინდორი მოჩანდა, სადაც ბოსტანი და ზეთისხილის ბაღი იყო გაშენებული. მინდორში ექვსი გლეხი ფუსფუსებდა. ჯულია-ნომ ზარი დარეკა და იმწამსვე მოახლემ გააღო კარი. გრაციელა გაშრა, პიშოტა მთავარ შესასვლელთან რომ დაინახა, და მაშინვე განზე გადაგა.

— ნუ გეშინია, — რბილად უთხრა ჯულიანომ, — შენს ქალ-ბატონს გადაეცი, რომ ჰერცოგმა საჩქარო საქმეზე გამოგვეგზავნა. მასთან სალაპარაკო მაქვს.

შეშფოთებულმა გრაციელამ ორივე სასტუმრო ოთახში შეიყვა-ნა, სადაც ჰერცოგინია წიგნს კითხულობდა. ქალბატონმა მოახლე ხელის აქნევით დაითხოვა და, მოულოდნელი სტუმრობით უკმაყო-ფილომ, მკაცრად წარმოთქვა:

— ჩემი მეუღლე შინ არ არის, რით დაგეხმაროთ?

ჯულიანოს ხმა ჩაუვარდა. ოთახის სილამაზემ თავგზა აუბნია. ასეთი დიდი დარბაზი არასოდეს უნახავს, მაგრამ უფრო იმან გააო-ცა, რომ მრგვალი იყო. მაღალ ფრანგულ ფანჯრებზე ოქროსფერი ფარდები ეკიდა და ჭერი ქერუბიმებით იყო მოხატული. ყველგან წიგნები ელაგა: ტახტზე, ყავის მაგიდებსა და საგანგებო თაროებ-ზე. კედლებზე დიდი ფერწერული ტილოები ეკიდა, ყველგან ყვავი-ლები იდგა ლანგრებით. მასიური ტახტებისა და სავარძლების წინ

დაბალ მაგიდებზე ოქრო-ვერცხლის ზარდახშები ელაგა. ეს ოთახი ას ადამიანსაც თავისუფლად დაიტევდა, მასში კი აბრეშუმის თურკაბიანი ერთადერთი ქალი იჯდა. ფანჯრებიდან მზის სინათლე და ბავშვების ჟრიაბული შემოდინოდა. ჯულიანომ პირველად შეიგრძნო სიმდიდრის მაცდური ძალა და მიხვდა, რომ ამ სილამაზეს ტლანქად ვერ შემუსრავდა. თავის საქმეს ისე აღასრულებდა, რომ აქ არაფერს დააზიანებდა.

ჰერცოგინია მოთმინებით ელოდა პასუხს, თან ახალგაზრდის მოხდენილად ვაჟკაცურ სახესა და ტანს ათვალთვლიდა. შენიშნა, რომ ოთახის სილამაზემ მოხიბლა და ოდნავ იწყინა, რომ თვით მისთვის ყურადღება არ მიუქცევია. სინანულით იფიქრა, რა ცუდია, გლეხი რომაა და კეთილშობილურ წრეებში არ ტრიალებს, სადაც მცირე ფლირტი უწყესობად არ ითვლებაო. ამ ყოველივემ ჩვეულებრივზე უფრო ტკბილი კილოთი ათქმევინა:

— ახალგაზრდავ, ვწუხვარ, მაგრამ, თურაიმე სამეურნეო საქმე გაქვთ, სხვა დროს მოგიწევთ მოსვლა. ჩემი მეუღლე შინ არ არის.

ჯულიანომ ახლა ქალს შეხედა. ოდნავი გაღიზიანება იგრძნო, რითაც მდაბიო მამაკაცები ჩვეულებრივ უცქერენ კეთილშობილ ქალებს, მაგრამ თავი მდაბლად დაუკრა, თან ქალის თითზე უძვირფასესი ბეჭდებიც შენიშნა, და დამცინავი თვინიერებით მიუგო:

— არა, თქვენთან მაქვს საქმე. ჯულიანო მქვია.

ჰერცოგინიამ მისი ირონია ვერ შენიშნა, რადგან მდაბიოთა თვინიერებას შეჩვეული იყო. წიგნებითა და მუსიკით გართულს, ადგილობრივი გაზეთები ბარბაროსობად მიაჩნდა და არ კითხულობდა. ამიტომაც ესლა თქვა:

— სასიამოვნოა თქვენი გაცნობა. ერთმანეთს პალერმოში ხომ არ შევხვედრივართ? იქნებ ოპერაში?

ასპანუ პიშოტამ ამის გაგონებაზე ხმამაღლა გადაიხარხარა და ეზოს დასაზვერად ფანჯარასთან მივიდა.

მისმა სიცილმა ჯულიანო, ცოტა არ იყოს, გააბრაზა, ჰერცოგინიას გულუბრყვილობამ კი მოხიბლა, თუმცა ქალს მტკიცედ უთხრა:

— ძვირფასო ჰერცოგინია, ჩვენ ერთმანეთს არ შევხვედრივართ. მე ბანდიტი ვარ. ჩემი სრული სახელია სალვატორე ჯულიანო და

თავი სიცილიის მხსნელად გამოჴაცხადე. დღესაც იმიტომ გესტუმრეთ, გთხოვოთ, ღარიბებს თქვენი ძვირფასეულობა უწყალობოთ, რათა ქრისტეშობის დღესასწაული იზეიმონ.

ჰერცოგინიამ არ დაიჯერა. შეუძლებელი იყო, ამ ბიჭს, ვისმა სილამაზემაც ქალში უცხო ლტოლვა აღძრა, რაიმე დანაშაული ჰქონოდა ჩაფიქრებული. ღიმილით უცქერდა და დაინტრიგებული ჩანდა. ამ ამბავს აუცილებლად უამბობდა ნაცნობებს პალერმოს სალონებში. გულუბრყვილოდ უპასუხა:

— ჩემი სამკაული პალერმოს ბანკის სეიფში ინახება, შინ კი, რაც ფული მაქვს, სიხარულით გაგატანთ, — სიცოცხლეში პირველად დასჭირდა ტყუილის თქმა.

ჯულიანომ ქალის ყელზე ძვირფას ბრილიანტებს შეავლო თვალი. იცოდა, რომ ტყუოდა, მაგრამ, რაც ჩაიფიქრა, იმის გაკეთება უძნელდებოდა. პიშოტას ნიშანი მისცა, იმან დაუსტვინა და ფანჯარასთან მაშინვე პასატემპო გამოჩნდა. მისი უშნო, ფართო, უშუბლო სახე თოჯინების თეატრის პერსონაჟს წააგავდა. გორილასავით სქელი წარბები ჰქონდა. ჰერცოგინიას გაუღიმა და დიდი ჩაშაყებული კბილები გამოაჩინა.

მესამე ყაჩაღის გამოჩენამ ქალი, როგორც იქნა, დაარწმუნა. მან ყელსაბამი მოიხსნა და ჯულიანოს გაუწოდა:

— ეს საკმარისია?

— არა, ჩემო ჰერცოგინია, მე ღმობიერი კაცი ვარ, მაგრამ ჩემს ამხანაგებს სულ სხვა ხასიათი აქვთ. ჩემი ძმობილი ასპანუ თავისი უღვაშივით სასტიკია, უკვე არაერთი ლამაზმანის გული რომ იმსხვერპლა. ფანჯარასთან მდგომი კაცისა კი მე თვითონაც მეშინია, თუმცა ჩემი ხელქვეითია. გთხოვთ, ნუ განარისხებთ, თორემ ბაღში მოთამაშე თქვენს შვილებს ქორეზივით დააცხრებიან და მთაში წაიყვანენ. დანარჩენი ბრილიანტები მომიტანეთ.

ჰერცოგინია სასწრაფოდ გავიდა საძინებელში და სამკაულის კოლოფი გამოიტანა. საიმისოდ ეყო გამჭრიახობა, ერთი-ორი ყველაზე ძვირფასი ნივთი გადაენახა. კოლოფი რომ გაუწოდა, ჯულიანომ თავაზიანად გადაუხადა მადლობა, მერე კი პიშოტას მიუბრუნდა:

— ასპანუ, ჰერცოგინიას, შესაძლოა, ზოგიერთი ნივთის მოტანა გადაავიწყდა, წადი და შეამოწმე, კიდევ რაიმე ხომ არ დარჩა.

პიშოტა საძინებელში წავიდა და მაშინვე გადანახული სამკაუ-
ლიც მოიტანა.

ამასობაში ჯულიანომ კოლოფი გახსნა და, ძვირფასეულობა რომ
იხილა, გული აუფანცქალდა. რაც ამ ყუთში იყო, მთელ მონტელე-
პრეს რამდენიმე თვე ეყოფოდა გამოსაკვებად. სიხარულს ისიც უას-
მაგებდა, რომ ეს სამკაული ჰერცოგს გლეხებისათვის წართმეული
ფულით ჰქონდა ნაყიდი. ჰერცოგინიამ სასოწარკვეთილებით მოი-
ფშვნიტა ხელები და ჯულიანოს მაშინდა მოაგონდა დიდი ბეჭედი.

— ჩემო ჰერცოგინია, ასეთი სისულელე როგორ მოგვიდათ,
რატომ დამიძალეთ სამკაულის ნაწილი? მის შესაძენად მონასავით
რომ გეშრომათ, კიდევ გასაგებია, მაგრამ თქვენი და თქვენი შვილე-
ბის სიცოცხლე საფრთხეში როგორ ჩაიგდეთ სამკაულისთვის, რო-
მელიც ისევე იოლად გერგოთ, როგორც თქვენს მეუღლეს — ახალი
ქუდი. ახლა კი ულაპარაკოდ მოიხსენით თითიდან ეგ ბეჭედი.

ჰერცოგინიას ცრემლები წასკდა.

— გემუდარებით, ახალგაზრდავ, ბეჭედი დამიტოვეთ და მის
საფასურს ფულით გამოგიგზავნით. ჩემმა მეუღლემ ის ნიშნობაზე
მაჩუქა და მის გარეშე ვერ გავძლებ.

პიშოტამ კვლავ, ამჯერად განგებ გადაიხარხარა, შეშინდა, ვაი-
თუ, ჯულიანომ სენტიმენტალობის გამო დაუთმოსო. მაგრამ ჯუ-
ლიანო სულაც არ იყო ასე სენტიმენტალური. პიშოტას სამუდა-
მოდ დაამახსოვრდა მისი თვალები, როცა ჰერცოგინიას მაჯაზე
ხელი სტაცა და ბეჭედი თითიდან ჩამოაძრო. მაშინვე გაუშვა ხელი
და ბეჭედი ნეკა თითზე გაიკეთა.

ქალი შეძრწუნდა, თვალებში ცრემლები ედგა. ჯულიანომ კვლავ
თავაზიანად მიმართა:

— თქვენი მოგონებების საპატოცემულოდ ამ ბეჭედს არ გავყი-
დი: მე თვითონ ვატარებ.

ქალი დააკვირდა, მაგრამ ბიჭის სახეზე ირონიის ნასახიც კი ვერ
შენიშნა. ტორი ჯულიანოსთვის კი ეს ჯადოსნური წუთი გახლდათ:
როცა თითზე ბეჭედი ჩამოიცვა, იგრძნო, თითქოს არნახული ძალ-
მოსილებით შეიმოსა. ამ ბეჭდით თავის ბედისწერაზე დაინიშნა და
ის ძალა იგრძნო, რომლითაც მდიდრებს შეემუსრაჲდა. ოქროში ჩას-
მულ ამ დიდრონ ზურმუხტში, ჯერაც მშვენიერი ქალის სუნამოს

სურნელი რომ ასდიოდა, იმ ცხოვრების ნაწილი იყო ჩაქსოვილი, რომელსაც ჯულიანო ვერასოდეს ეღიროსებოდა.

დონ კროჩე მდუმარედ უსმენდა ჰერცოგ ალკამოს ჩივილს. განა ჰერცოგი პატიოსნად არ უხდიდა „ქირას“ „მეგობართა მეგობრებს“? განა მათ ყოველგვარი ძარცვისაგან გარანტია არ აღუთქვამს? ახლა როგორღა აპირებდა დონ კროჩე სამკაულის დაბრუნებას? ჰერცოგმა ძარცვის შესახებ პოლიციას შეატყობინა, თუმცა იცოდა, რომ ეს ბევრს არაფერს შეცვლიდა და, შესაძლოა, დონ კროჩეც განაწყენებულიყო, მაგრამ, იქნებ რომში, ბოლოს და ბოლოს, სერიოზულად მოეკიდათ ხელი ამ ჯულიანოსთვის?

დონ კროჩე დაეთანხმა, ჯულიანოს მართლაც სერიოზულად უნდა მიეხედოთ, და ჰერცოგს ჰკითხა:

— თუ სამკაულს დაგიბრუნებთ, მისი საფასურის მეოთხედს თუ გადამიხდით?

ჰერცოგი გაცხარდა.

— ჯერ ჩემი ქონების დასაცავად გიხდით, რასაც თქვენ ვერ უზრუნველყოფთ და ახლა გამოსასყიდსაც ითხოვთ? სხვა საქმეებსაც ასე თუ წარმართავთ, როგორ მოელთ კლიენტებისაგან პატივისცემას?

— უნდა ვაღიარო, რომ მართალს ბრძანებთ, — თავი დაუკრა დონმა, — მაგრამ, მოდით, ჯულიანოს ისე შევხედოთ, როგორც სტიქიურ უბედურებას, ღვთის რისხვას. „მეგობართა მეგობრებისაგან“ იმას ხომ ვერ მოითხოვთ, რომ მიწისძვრისაგან, ვულკანის ამოფრქვევის ან წარღვნისაგან დაგიცვან? მაგრამ დრო მომეცით და ჯულიანოს გააკონტროლებ. თუკი ახლა იმ გამოსასყიდს გადაიხდით, რასაც მე დაუწესებ, მომდევნო ხუთი წლის განმავლობაში „ქირისაგან“ გაგათავისუფლებთ. ჯულიანოსაც შევუთანხმდები და თავს აღარ დაგესხმებათ. ეცოდინება, რომ ძვირფასეულობა პალერმოს ბანკში საიმედოდ გექნებათ შენახული. თანაც, თუ მომავალი ხუთი წლის „ქირას“ დაიანგარიშებთ, დაინახავთ, რომ ახლა გამოსასყიდის გადახდა ბევრად უფრო გაძლევთ ხელს. წინ მძიმე წლები გველის.

ჰერცოგი დაფიქრდა. დონი მართალს ამბობდა: მძიმე წლები იყო მოსალოდნელი და ხუთი წლის „ქირის“ გადახდას ერჩივნა, ახლა გადაეხადა ბევრად უფრო მცირე თანხა. მართალია, კაცმა არ იცო-

და, დონ კროჩე კიდევ ხუთ წელს თუ იცოცხლებდა, ან ჯულიანოს-
თან შეთანხმებას თუ შეძლებდა, მაგრამ ამით ჰერცოგინიას მაინც
დააშოშმინებდა. წინაღმდეგ შემთხვევაში, მეუღლე ახალ-ახალი სა-
მკაულისათვის მოსთხოვდა ფულს.

დონ კროჩემ ჰექტორ ადონისი დაიბარა. მეორე დღეს ადონისი
ნათლულთან შესახვედრად გაემგზავრა. თავისი მისვლის მიზეზი
იმწამსვე გულახდილად აუხსნა.

— დაფიქრდი, ბრილიანტებს უკეთეს ფასად მაშინაც კი ვერ გა-
ყიდი, თუ პალერმოს ქურდებს შეუთანხმდები თანაც, შობამდე ამას
ვერ მოასწრებ, მე კი ვიცი, რომ ფული საშობაოდ გჭირდება. გარდა
ამისა, თუ დათანხმდები, დონ კროჩეს გულს მოიგებ, ეს კი მომავალ-
შიც გამოგადგება. ბოლოს და ბოლოს, შენ გამო პატივმოყვარეობა
შეებღალა, მაგრამ, თუ დათანხმდები, ამას ადვილად გაპატიებს.

ჯულიანომ ნათლიას გაუღიმა. დონ კროჩეს გულის მოგებაზე
სულაც არ ფიქრობდა. განა ყველაზე მეტად იმას არ ნატრობდა,
მაფიის ურჩხული შეემუსრა და სიცილია გაეთავისუფლებინა? მა-
გრამ პალერმოში უკვე გაეგზავნა თავისი ხალხი იქაურ ვაჭრებთან
მოსარიგებლად და მიხვდა, რომ ეს ხანგრძლივი და მტანჯველი
პროცესი იქნებოდა. ამიტომ დონ კროჩეს შეთავაზებაზე დათანხმდა,
ოღონდ ზურმუხტის ბეჭდის დაბრუნებაზე უარი თქვა.

ამჯერად ადონისმა რომანტიკული ისტორიის მასწავლებლის
როლი გვერდზე გადადო და ნათლულს პირველად დაელაპარაკა
სიცილიის რეალურ ცხოვრებაზე.

— ჩემო ბიჭო, ხომ იცი, შენს ნიჭსა და სათნოებას ჩემზე მეტად
არაუინ აფასებს. იმედი მაქვს, შენი კეთილგონიერება ნაწილობრივ
ჩემი დამსახურებაცაა. მაგრამ ახლა საქმე შენს გადარჩენას ეხება.
„მეგობართა მეგობრებს“ ვერ დაამარცხებ. უკვე ათასი წელიწადია,
რაც ვეება ობობებოვით გახლართეს სიცილია თავიანთ ქსელში.
დღეს ამ ქსელის ცენტრში დონ კროჩეა. ის შენით აღფრთოვანე-
ბულია, შენთან მეგობრობა და შენი გამდიდრება სურს. ოღონდ
დროდადრო მოგიწევს, მის ნებას დაემორჩილო. შენი სამეფო მისი
ქსელის ფარგლებში უნდა მოექცეს. რაც უნდა მოიმოქმედო, აშ-
კარად ნუ შეეწინააღმდეგები, თორემ თვით ისტორია მის მხარეზე
აღმოჩნდება, შენ კი დამარცხდები.

ამგვარად, ძვირფასეულობა ჰერცოგს დაუბრუნდა. აღებული ფულის ნახევარი ჯულიანომ პიშოტას, პასატემპოსა და ტერანოვას გაუნაწილა. მათ ეჭვით შეავლეს თვალი ჯულიანოს ნეკზე მოკამკამე ზურმუხტს, მაგრამ არაფერი უთქვამთ, რაკილა ჯულიანოს თავისთვის ფულის წილი არ მოუთხოვია.

მეორე ნახევარი ჯულიანოს მწყემსებისთვის, წვრილშვილიანი ქვრივებისა და სხვა გაჭირვებულთათვის უნდა დაერიგებინა.

ფულის დიდი ნაწილი შუამავლების ხელით დაარიგა, მაგრამ ერთ დღეს ქურთუკის ჯიბეები ფულის შეკვრებით გაივსო, მხარზეც ფულით სავსე ტოპრაკი გადაიკიდა და ტერანოვასთან ერთად მონტელეპრესა და პიანი დეი გრეჩის შორის მდებარე სოფლებს ჩამოუარა.

ერთ სოფელში სამი დედაბერი ცხოვრობდა, შიმშილით ლამის სული ამოხდომოდათ. ჯულიანომ თითოეულს ღირების შეკვრა აჩუქა. ქალებმა ხელები დაუკოცნეს. სხვაგან ერთი გლეხი ფერმასა და ნაკვეთს უნდა შელევოდა, რადგან ყადაღას ვეღარ იხდიდა. ჯულიანომ მთელი თანხა დაუტოვა, რაც ფერმის შესანარჩუნებლად სჭირდებოდა.

კიდევ ერთ სოფელში სურსათის მაღაზიაში მთელი საქონელი შეისყიდა და საკვები გლეხებს დაურიგა.

ერთ ქალაქში ავადმყოფი ბავშვის მშობლებს პალერმოში მკურნალობისათვის საჭირო თანხა აჩუქა, სხვაგან ახალგაზრდა წყვილის ქორწილს დაესწრო და უხვად დაასაჩუქრა.

ყველაზე მეტად კი მაინც ის უხაროდა, როცა ქუჩაში ჩამოკონკილ ბავშვებს გადაეყრებოდა. ბევრი მათგანი ჯულიანოს იცნობდა. პატარები გარს ეხვეოდნენ და ჯულიანოც ფულის დასტებს ურიგებდა, თან ეუბნებოდა, მშობლებს მიუტანეთო. გახარებული ბავშვები მაშინვე თავ-თავიანთი სახლებისაკენ გარბოდნენ.

როცა შეღამებამდე დედის მონახულება გადაწყვიტა, ფულის სულ ორიოდ შეკვრადა ჰქონდა დარჩენილი. თავის სახლს უკანა მხრიდან რომ უახლოვდებოდა, მინდორში მტირალი გოგო და ბიჭი ნახა. მშობლების მიერ მიბარებული ფული დაეკარგათ, უთხრეს, კარაბინერებმა წაგვართვესო. ჯულიანოს ბავშვების გასაჭირმა დიმილი მოჰგვარა, ამოიღო ორიდან ერთი შეკვრა, რაც კიდევ რჩებოდა, და ბავშვებს გაუწოდა. რაკი გოგონა ძალზე საყვარელი იყო და

ჯულიანოს არ სურდა, მშობლებს ის დაესაჯათ, გოგოს მშობლებთან ბარათი გაატანა.

მხოლოდ ამ ბავშვების მშობლები კი არა, მთელი მიდამოს მცხოვრებლები ახლა ჯულიანოს ემადლიერებოდნენ, მონტელეპრეს მეფეს უწოდებდნენ და თაყვანს სცემდნენ.

დონ კროჩე ჯულიანოსთან მორიგებით კმაყოფილი დარჩა: აღონისს უთხრა, რომ ჰერცოგი ბრილიანტების საფასურის მხოლოდ ოც პროცენტს გადაიხდიდა, სინამდვილეში კი ოცდახუთი პროცენტი გამოართვა და ხუთი პროცენტი ჯიბეში ჩაიღო.

მაგრამ კიდევ უფრო მეტად ის ახარებდა, რომ ჯულიანო ადრევე შენიშნა და სწორადაც შეათასა. მართლაც, რა ნიჭიერი ახალგაზრდაა! ვინ დაიჯერებდა, ასეთი ნორჩი ყმაწვილი ასე საღად, წინდახედულად და გამბედავად თუ იმოქმედებდა, ასე ბეჯითად თუ შეისმენდა უფროსთა რჩევებს? ამასთან, არც საკუთარი ინტერესები ავიწყდებოდა, რაც დონს არანაკლებ ახარებდა, რადგან სულელთან, აბა, ვინ დაიჭერს საქმეს? დიახ, დონს სწამდა, რომ ტორი ჯულიანო მისი მძლავრი მარჯვენა ხელი, მოგვიანებით კი შვილობილი და მემკვიდრეც გახდებოდა.

ტორი ჯულიანო თავის გარშემო მიმდინარე მაქინაციებს ცხადად ხედავდა. იცოდა, რომ ნათლია გულწრფელად ფიქრობდა მის კეთილდღეობაზე. მაგრამ ეს იმას როდი ნიშნავდა, რომ აღონისს ყველაფერში ეთანხმებოდა. ესმოდა, რომ „მეგობართა მეგობრებს“ ჯერჯერობით ვერ მოერეოდა. მათი დახმარებაც სჭირდებოდა. თუმცა არც მომაგალთან დაკავშირებით ჰქონდა ილუზიები. მშვენივრად იცოდა, თუ ძველებურად ნათლიის რჩევებს შეისმენდა, ბოლოს და ბოლოს, დონ კროჩეს ვასალი უნდა გამხდარიყო. ეს კი არ სურდა. გადაწყვიტა, ეს არასოდეს დაეშვა. ერთი გზა ჰქონდა: დრო უნდა გაქწელა.

თავი 11

ჯულიანოს ბანდაში ახლა უკვე ოცდაათი კაცი იყო გაერთიანებული. ზოგი ყოფილი გლეხი იყო — პასატემპოსა და ტერანოვას ამხანაგი, ზოგიც — ჯულიანოს მიერ ციხიდან გათავისუფლებუ-

ლი ქალაქელი. დარწმუნდნენ, რომ, უდანაშაულობის მიუხედავად, სამართლდამცავები მაინც განაგრძობდნენ მათ დევნას, ამიტომაც, მართოდ წანწალს ჯულიანოსთან შეკავშირება ამჯობინეს.

აპრილის ერთ დილას ჯულიანოს ჯაშუშებმა ამბავი მოიტანეს, ვინმე საეჭვო კაცს, შესაძლოა, პოლიციის ჯაშუშს, ბანდის წევრობა სურს და ქალაქის მოედანზე იცდისო. ჯულიანომ ტერანოვა და ბანდის ოთხი წევრი მონტელეპრეში გაგზავნა ამ ამბის გასარკვევად. თუ ჯაშუში გამოდგებოდა, მოკლავდნენ თუ ნახავდნენ, რომ საჭირო კაცია, თან წამოიყვანდნენ.

ნაშუადღევს ტერანოვა დაბრუნდა და ჯულიანოს მოახსენა:

— ის კაცი წამოიყვანეთ და, ვიდრე მოკლავდეთ, გვინდა, შენ თვითონ გაიცნო.

სიცილიელი გლეხისტანსაცმლიანი აწოწილი ფიგურის დანახვისთანავე ჯულიანომ ხმამაღლა გადაიხარხარა.

— რაო, ძველო მეგობარო? ნუთუ გეგონა, შენს სახეს ოდესმე დავიწყებდი? ამჯერად უკეთესი ტყვიებით მოხვედი?

პოლიციის კაპრალი კანო სილვესტრო იყო, ციხეზე გახმაურებული თავდასხმისას ჯულიანოს თავში რომ ესროლა.

კაცს ნაიარევ სახეზე ძარღვიც კი არ შესტოკებია. ეს სახე ჯულიანოს რატომღაც კვლავაც ესიმპათიურა. გულით შეუყვარდა ის, ვინც თავისი უკვდავების დამტკიცებაში დაეხმარა.

— ბანდაში მიმიღე. უდიდეს სამსახურს გაგიწევ, — ამაყად უთხრა სილვესტრომ და ჯულიანოს ეს ღირსეული ნათქვამიც მოეწონა. დასვა და თავისი ამბავი მოაყოლა.

ბარაკზე თავდასხმის შემდეგ სილვესტრო პალერმოში გაგზავნეს, სადაც მოვალეობის უგულებელყოფის გამო სამხედრო ტრიბუნალის წინაშე წარსდგა. მარშალი განრისხებული იყო და მის დასჯას მოითხოვდა, მანამდე კი გულდაგულ დაჰკითხა და, რაოდენ გასაკვირიც უნდა იყოს, სწორედ იმის საფუძველზე დააბრალა კაპრალს ჯულიანოს თანამზრახველობა, რომ თავში ესროლა და ვერ მოკლა. მარშლის აზრით, სილვესტრომ განგებ დატენა პისტოლეთი უხარისხო ტყვიით, მთელი თავდასხმა გათამაშებული სპექტაკლი იყო და სინამდვილეში კაპრალმა ჯულიანოსთან ერთად წინასწარ დაგეგმა პატიმართა გათავისუფლება.

— მაინც საიდან უნდა გცოდნოდა, რომ ტყვია უვარგისია? — იკითხა ჯულიანომ.

— წესით ეს უნდა მცოდნოდა, — დაბნეული სახით უპასუხა სილვესტრომ, — ჯარში მესაჭურველედ ვმსახურობდი. მაგრამ მერე, პოლიციაში, კაბინეტის კაცად მაქციეს და ჩემი პროფესია გადამაფიწყდა. მაგრამ შენ გამოგადგები: იარაღით მომარაგებას ჩემ თავზე ავიღებ, იმაზე ვაგებ პასუხს, რომ შენს ხალხს თოფი და საჭურველი მუდამ წესრიგში ჰქონდეს. იარაღის გადაკეთებაც შემიძლია, მთაში სახმარად უფრო მოსახერხებელი რომ გახდეს.

— შენი ამბავი ბოლომდე მიაგებ, — უთხრა ჯულიანომ, თან სახეზე ყურადღებით დააკვირდა. საუსებით შესაძლებელი იყო, მოგზავნილი ჯაშუში ყოფილიყო. ტერანოვა, პასატემპო და პიშოტა სიბუღვილისა და უნდობლობის დამალვას არც კი ცდილობდნენ.

— ყველანი სულელები და დედაკაცებით ლაჩრები არიან, — განაგრძო სილვესტრომ, — მარშალი მშვენივრად მიხვდა, რა სიბრიყვეც იყო ხალხის უმრავლესობის მთაში გაგზავნა, როცა ციხე პატიმრებით გვქონდა საუსე. კარაბინერები სიცილიას უცხო დაპყრობილ ქვეყნად აღიქვამენ. ამის გამო ხშირად შეგკამათებოვარ და მათაც თავიანთ შავ სიაში ჩამწერეს. პალერმოელ უფროსობასაც აძლევდა ხელს თავიანთი მარშლის გამართლება: ბოლოს და ბოლოს, მის სიბრიყვეზე თვითონაც აგებდნენ პასუხს. ერჩივნათ, ბელამპოს ციხეზე თავდასხმა ჩემი ღალატით აეხსნათ, ვიდრე ელიარუბინათ, რომ ეს მათზე უფრო მარჯვე და გონიერმა ადამიანებმა მოახერხეს. ტრიბუნალი აღარ დაუსრულებიათ, მიბრძანეს, სამსახური ჩემი ნებით დამეტოვებინა. დამპირდნენ, რომ ცუდ რეკომენდაციას არ მომცემდნენ, მაგრამ არც ერთ სახელმწიფო სამსახურში აღარ მიმიღებენ. აღარსად გამოვდგები. სიცილიის პატრიოტი ვარ და ამიტომაც ვიფიქრე, რომ შენ იქით გზა აღარ მაქვს.

ჯულიანომ საჭმელი და დასალევი მოატანინა და თავის ამხანაგებს მოეთათბირა.

პასატემპო უღმობელი და შეუვალი ჩანდა:

— იდიოტები ხომ არ ვგონივართ? მოუკლათ და კლდიდან გადავადლოთ. ბანდაში კარაბინერები არ გვჭირდება.

პიშოტა ხედავდა, რომ მისი მეგობარი კვლავ კაპრალისადმი

სიმპათიით განიმსჭვალა. მის იმპულსურ ხასიათს რომ იცნობდა, ამიტომაც შეპარვით უთხრა:

— თითქმის დანამდვილებით ტყუილია. მაგრამ, ასეც რომ არ იყოს, რად გვინდა რისკი? გამუდმებით ეჭვებში ყოფნა მოგვიწევს. არ ჯობს, უბრალოდ, უკან გაუაბრუნოთ?

— ჩვენი ბანაკის ადგილსამყოფელი იცის, — ჩაერია ტერანოვა, — ჩვენი ხალხის რაოდენობაც იცის. ეს მნიშვნელოვანი ინფორმაციაა.

— ნამდვილი სიცილიელია. ღირსეულად იქცევა, — შეეკამათა ჯულიანო, — არ მჯერა, რომ ჯაშუშია, — მისმა გულუბრყვილობამ ყველანი გააცინა.

— გაიხსენე, რომ შენს მოკვლას შეეცადა, — უთხრა პიშოტამ. სწორედ ამითაა ეს ადამიანი ჩემთვის მნიშვნელოვანი, — გაიფიქრა ჯულიანომ, ხმამაღლა კი თქვა:

— განა ეს მის ღირსებასა და სიმამაცეზე არ მიუთითებს? დამარცხებული იყო და მაინც არ დაუყრია ფარ-ხმალი. ისეთი რა უნდა დაგვიშავოს? რიგით წევრად მივიღოთ, გეგმებს ნუ გავანდობთ და ფხიზლად ვადევნოთ თვალი. მე თვითონ მეყოლება ყურადღების ქვეშ. შესაფერის მომენტში ისეთ გამოცდას ჩავუტარებ, რომელიც, თუ მართლაც ჯაშუშია, სააშკარაოზე გამოიყვანს. ეს მე მომანდეთ.

როცა იმავე საღამოს სილვესტროს უთხრა, ბანდაში მიგიღეთო, ყოფილმა პოლიციელმა უბრალოდ თქვა:

— ჩემი იმედი გქონდეს ყველა საქმეში! — მიხვდა, რომ ჯულიანომ მეორედ იხსნა სიკვდილისაგან.

სააღდგომოდ ჯულიანო თავის ოჯახს ეწვია. პიშოტა ამის წინააღმდეგი იყო, აფრთხილებდა, პოლიცია მახეს დაგიგებსო. აღდგომა მართლაც ბანდიტების დაღუპვის ტრადიციული დრო გახლდათ სიცილიაზე, რადგან პოლიცია ოჯახური კავშირების სიმტკიცით სარგებლობდა, იცოდა, რომ ამ დროს ყაჩაღები მთებიდან თავიანთ ახლობლებთან მიიპარებოდნენ. მაგრამ ჯულიანოს ჯაშუშებმა მოიტანეს ამბავი, მარშალი თვითონაც ოჯახის სანახავად კონტინენტზე მიემგზავრება და ნახევარი გარნიზონიც სააღდგომოდ დაითხოვესო. ჯულიანომ გადაწყვიტა, თან იმდენი ამხანაგი წამოეყვანა, საიმედოდ რომ ყოფილიყო. აღდგომის წინა შაბათს მონტელეპრეში შეიპარა.

დედა რამდენიმე დღით ადრე გააფრთხილა თავისი ვიზიტის შესახებ და მანაც დიდი სუფრა გაშალა. იმ ღამით თავისი ბავშვობის საწოლში ეძინა, დილით კი დედას სააღდგომო წირვაზე გაჰყვა. პირად დაცვად ექვსი ამხანაგი ახლდა თან: ისინიც თავ-თავიანთ ოჯახებს სტუმრობდნენ, მაგრამ ნაბრძანები ჰქონდათ, ჯულიანოს ყველგან გაჰყოლოდნენ.

როცა დედასთან ერთად ეკლესიიდან გამოვიდა, ექვსივე კაცი პიშოტასთან ერთად გარეთ დახვდა. ასპანუ ბრაზისაგან გაფითრებული იყო.

— ტორი, ვილაცამ გაგცა. მარშალი პალერმოდან დაბრუნდა და თან დამატებითი ოცი პოლიციელი ჩამოიყვანა შენს დასაკავებლად. ახლა შენი სახლი ალყაში მოაქციეს, ჰგონიათ, რომ იქ ხარ.

ჯულიანოს წამით საკუთარი დაუფიქრებლობოს გამო ბრაზი მოუვიდა და გადაწყვიტა, მომავალში მეტი სიფრთხილე გამოეჩინა. იმის არ ეშინოდა, რომ მარშალს ოც კაცთან ერთად დედამისის სახლში მისი შეპყრობა შეეძლო, მაგრამ მისი ამხანაგები წინააღმდეგობას გაუწევდნენ და იესო ქრისტეს აღდგომის ბრწყინვალე დღეს სისხლი დაიღვრებოდა.

დედას აკოცა, დაემშვიდობა და დაარიგა, შინ დაბრუნებულიყო და პოლიციისათვის არ დაემალა, რომ შვილს ეს-ესაა ეკლესიასთან დაშორდა. ამ შემთხვევაში კონსპირაციას ვერ დააბრალებდნენ. დაამშვიდა, კარგად ვართ შეიარაღებულები და აქაურობას თავს დავალწევთო. ბრძოლაც კი არ მოუწევდათ, რადგან კარაბინერები ვერ გაბედავდნენ მთაში მათ გამოდევნებას.

მართლაც, ჯულიანო და მისი ამხანაგები ქალაქიდან ისე წავიდნენ, რომ პოლიციას მათთვის თვალიც კი არ მოუკრაავს. საღამოს ბანაკში ჯულიანომ პიშოტას ყველაფერი გამოჰკითხა. როგორ გაიგებდა მარშალი მათი სტუმრობის შესახებ? ვინ იყო დამსმენი? ამის გამოსარკვევად ყველა ღონე უნდა ეხმარათ.

— ამას პირადად შენ გავალებ, ასპანუ. თუ ერთია ინფორმატორი, სხვებიც გამოჩნდებიან. დროსა და ხარჯებს მნიშვნელობა არ აქვს, ოღონდ ეს ამბავი გაარკვიე.

პიშოტას ბავშვობიდან სძულდა მონტელეპრელი ოხუნჯი დალაქი. ფრისელა თმას ისე სჭრიდა, როგორც მოეხასიათებოდა: ხან მოღურად, ხან უგემოვნოდ, ხანაც ფერმერების ძირძველი წესის მი-

ხედვით. თანაც ნამდვილი მსახიობი გახლდათ. მეტიმეტი სითამა-
მე სჩვეოდა: თავისზე ზემდგომს ფამილარულად ეპყრობოდა, თავის
ტოლსა და სწორს — მედიდური აგლებით. ბავშვებს ისე ბოროტად
ეოხუნჯებოდა, ზოგადად სიცილიელებისათვის რომაა დამახასია-
თებელი და მათს ერთ-ერთ ყველაზე ცუდ თვისებას წარმოადგენს.
ხშირად ყურებს მაკრატლით განგებ უსისხლიანებდა, ანდა თმას
ისე მოკლედ სჭრიდა, რომ თავები ბილიარდის ბურთებს მიუგავ-
დათ. ამიტომ პიშოტამ ბრაზთან ერთად სიამოვნებაც იგრძნო, როცა
შეიტყო, რომ ფრისელამ ომერტას წესი დაარღვია და ჯულიანო
გასცა. აშკარა იყო, რომ მარშალი იმ აღდგომა დღეს თავდასხ-
მას არ აპირებდა. ვიდაციისგან უნდა შეეშო, რომ ტორი ქალაქს
ესტუმრებოდა. ეს ამბავი კი თვით ტორიმ მხოლოდ თავის ოჯახს
შეატყობინა.

პიშოტამ თავისი ინფორმატორების მეშვეობით ოცდაოთხი სა-
ათის განმავლობაში მარშლის თითოეული ნაბიჯი აღადგინა და
ჯულიანოს დედ-მამაც გულდაგულ გამოჰკითხა იმის შესახებ, თუ
ვისთვის შეიძლებოდა ეს ამბავი უნებლიეთ მაინც გაემჟღავნებინათ.

მარია ლომბარდო იმწამსვე მიუხვდა და უთხრა:

— არავისთან მილაპარაკია, მეზობლებთანაც კი არა. მთელი
დღე შინ ვიყავი და ტორის სადღესასწაულო კერძებს ვუმზადებდი.

ტორის მამა კი იმ დილით დალაქთან იყო. ბერიკაცს ცოტაოდენი
ამპარტავნობა ახასიათებდა და სურდა, ტორის იშვიათი სტუმრო-
ბისას მოწესრიგებული დახვედროდა. ფრისელამ გაპარსა, თმაც
შეჭრა და არც თავისი ჩვეული ოხუნჯობები დააკლო:

— სენიორი პალერმოში ხომ არ მიბრძანდება იქაური ლამაზმა-
ნების სანახავად? ან რომიდან ხომ არ მოელის დიდებულ სტუმრებს?
ისე გაგალამაზებთ, მეფეც რომ გესტუმროთ, არ შერცხვებით.

ეს რომ გაიგონა, პიშოტამ მთელი სცენა თვალნათლივ წარმოიდ-
გინა. ჯულიანოს მამა უსათუოდ მრავალმნიშვნელოვნად გაიღიმებ-
და და იტყოდა, კაცი უმიზეზოდაც კი მუდამ მოწესრიგებული უნდა
იყოსო. მაგრამ კმაყოფილებას მაინც ვერ დამალავდა იმის გამო,
რომ მის ვაჟს „მონტელეპრუს მეფეს“ უწოდებდნენ. შესაძლოა,
მოხუცს წინათ წამოსცდენია, დღეს ჩემი ვაჟი უნდა გვესტუმროსო
და ფრისელას არც ახლა გაუჭირდებოდა სიმართლის გაგება.

მარშალი როკოფინო ყოველ დღით აკითხავდა დალაქს პირის გასაპარსად. იმ დღეს მათ, თითქოს, არანაირი საუბარი არ გაუბამთ, რომლის დროსაც ფრისელა ინფორმაციას გადასცემდა, მაგრამ პიშოტას მის დალაქში ეჭვი აღარ ეპარებოდა, ამიტომაც ჯაშუშები მიუგზავნა, დალაქის ხასიათი უკეთ რომ შეესწავლა. მისი მიგზავნილები მთელ დღეს ფრისელას დუქანში ისხდნენ და დალაქს ბანქოს ეთამაშებოდნენ, პოლიტიკაზე ბაასობდნენ და ღვინოს წრუპავდნენ.

რამდენიმე კვირაში ფრისელას ჩვეულებები ზეპირად ისწავლეს. მუშაობისას მუდამ რომელიმე საყვარელი ოპერის მელოდიას უსტვენდა. ხოლო როცა მარშალი ეჯდა, მაშინ რადიომიმღებით ახალ ამბებს უსმენდა. ერთხელ მაინც დაიხრებოდა და პოლიციის უფროსს რაღაცას ჩასჩურჩულებდა ხოლმე. გარეგნულად ისე ჩანდა, თითქოს დალაქი კლიენტთან ვარცხნილობის დეტალებს აზუსტებს. პიშოტას ხალხმა ისიც შენიშნა, რომ მარშალი ფრისელას მუდამ დაკეცილი კუპიურით უხდიდა, ის კი ამ ფულს საგანგებოდ ინახავდა გულის ჯიბეში. როცა აიძულეს, ფული გვიჩვენეო, ათი ათასი ღირა აღმოაჩნდა. დალაქმა დაიფიცა, ეს ბოლო რამდენიმე თვის გასამრჯელოაო და ჯაშუშებმაც თავი მოიკატუნეს, თითქოს ამ პასუხით დაკმაყოფილდნენ.

ეს ყველაფერი პიშოტამ ჯულიანოს მათს ბანაკში, პასატემპოსა და ტერანოვას თანდასწრებით ამცნო. ჯულიანო კლდის პირს მიადგა და ქალაქს გადახედა.

რაც თავი ახსოვდა, მასტერ ფრისელა მონტელეპრეს განუყოფელი ნაწილი გახლდათ. გაიხსენა, პატარაობაში პირველი ზიარებისათვის რომ ემზადებოდა, ფრისელამ თმა შეჭრა და საჩუქრად ვერცხლის პატარა მონეტა გაუწოდა. ჯულიანო ფრისელას ცოლშვილსაც იცნობდა. ქუჩაში რომ შეხვდებოდა, დალაქი შორიდანვე ეოხუნჯებოდა და მის დედ-მამას მუდამ მოიკითხავდა ხოლმე.

მაგრამ ფრისელამ დუმილის ფიცი დაარღვია და პოლიციას ინფორმაცია მიჰყიდა. ასეთ სიბრყვეზე როგორ წავიდა? რა უნდა მოემოქმედა ჯულიანოს? ერთი იყო პოლიციელების ცხარე ბრძოლაში დახოცვა, ხნიერი კაცის ცივად, გამიზნულად მოკვლა კი სულ სხვა. ტორი მხოლოდ ოცდაერთი წლის იყო და ცივსისხლიან მკვლელობაზე ფიქრი აქამდე არ დასჭირვებია. დანარჩენებს მიუბრუნდა.

— ფრისელა ბავშვობიდან მიცნობს. პატარები რომ ვიყავით, ჩემთვის ლიმონის ნაყინს ყიდულობდა, გახსოვს, ასპანუ? იქნებ მარშალს უბრალოდ ეჭორაუება, გამიზნულად კი არ აწვდის ინფორმაციას? დანამდვილებით ხომ არც იცოდა, ქალაქში მისვლას რომ ვაპირებდი. იქნებ მხოლოდ ვარაუდს გამოთქვამს ხოლმე, ფულს კი იმიტომ იღებს, რომ სთავაზობენ?! ფულზე ვინ იტყვის უარს?

პასატემპო დავიწროებული თვალებით უყურებდა ჯულიანოს. აფთარს ჰგავდა, ძირს გაწოლილ ლომს რომ აკვირდება და შესაფერის წუთს ელის, როცა ყელში სწვდება და ნაფლეთებად აქცევს. ტერანოვამ ისეთი ღიმილით გაიქნია თავი, თითქოს, ბავშვის სულელურ ლაპარაკს უსმენსო. მხოლოდ პიშოტამ გასცა პასუხი:

— ფრისელა ისევა დამნაშავე, როგორც საროსკიპოში შესული მღვდელი.

— შეგვიძლია გაფრთხილება მივცეთ ან სულაც დავარწმუნოთ, ჩვენს მხარეს გადმოვიდეს და პოლიციას ყალბი ინფორმაციით აუბნოს თავგზა, — ვიდრე ჯულიანო ამას ამბობდა, უკვე მიხვდა, რომ ასეთი დიდსულოვნების უფლებას საკუთარ თავს ვეღარ მისცემდა.

— ბარემ ძღვენი მიართვი: ტომრით ყურძენი ან მსუქანი დედალი! — გაცხარდა პიშოტა. — ტორი, ჩვენი და ჩვენი ამხანაგების სიცოცხლე შენს ვაჟკაცობაზე, სიმტკიცესა და ნებისყოფაზეა დამოკიდებული. როგორღა გენდოთ, თუკი ფრისელასნაირ გამყიდველებს დაინდობ? კაცმა ომერტა დაარღვია! „მეგობართა მეგობრები“ ბევრად უფრო მცირე მიზეზით აქამდე გულ-ღვიძლს ამოაცლიდნენ და დალაქის აბრაზე ჩამოჰკიდებდნენ. მას თუ არ დასჯი, სხვა გამცემებსაც ეცოდინებათ, რომ დაუსჯელად შეუძლიათ დაგვასმინონ და ერთხელაც ეს სიცოცხლის ფასად დაგვიჯდება.

— ფრისელა ჯამბაზია, ხარბი და ორგული კაცი, — გონივრულად ალაპარაკდა ტერანოვა, — სხვა დროს მხოლოდ ქალაქელი მეტიჩარა იქნებოდა და სხვა არაფერი, დღევანდელ ვითარებაში კი საშიშია. იმდენად ყვეყჩია, თუ დავინდობთ, დანაშაულს მაინც არ მოინანიებს, ჩვენზე კი იფიქრებს, არასერიოზული ხალხიაო. სხვებიც ასე იფიქრებენ. ტორი, შენ მონტელეპრეში „მეგობართა მეგობრების“ საქმიანობას აფერხებ. მათი წარმომადგენელი კინტანა ძალზე ფრთხილად იქცევა, მაგრამ უკვე არაერთხელ გაგვაფრთხილა შეპარვით. თუ ახლა სისუსტეს გამოიჩენ, შემოგიტყვენ. პოლი-

ციელებიც უფრო გათამამდებიან და მონტელეპრეს მცხოვრებლებიც დაკარგავენ შენდამი პატოვისცემას. ფრისელას ცოცხალს ვერ დაუტოვებთ, — ბოლო სიტყვები თითქმის სინანულით წარმოთქვა.

ჯულიანო ჩაფიქრებული უსმენდა. პასატემპოს მზერაც შენიშნა და ზრახვებსაც მიუხვდა. ფრისელას თუ ცოცხალს დატოვებდა, თვითონ პასატემპოს ვერ გადაურჩებოდა. ის დრო დასრულდა, როცა კარლოს დიდის რაინდობაზე ოცნებობდა: ტორისტვის პატიოსანი ბრძოლის საშუალება აღარ რჩებოდა. სხვათა დასაშინებლად ფრისელა უნდა მოეკლა.

უეცრად კაპრალი სილვესტრო მოაგონდა, მას მიუბრუნდა და ჰკითხა:

— რას იტყვი? მარშალი უსათუოდ დაგისახელებდა თავის ინფორმატორებს. დამნაშავეა თუ არა დალაქი?

სილვესტრო მოიქუფრა. ხმა არ ამოუღია და დანარჩენები მიხვდნენ, რომ დუმილი მისი ღირსების მაჩვენებელი იყო: არ სურდა თავისი უწინდელი მრწამსისათვის ელალატა. დუმილით უპასუხა, რომ დალაქს მართლაც ჰქონდა მარშალთან ურთიერთობა.

— ახლა დროა, შენი ერთგულება დაგვიმტკიცო, — მიმართა მას ჯულიანომ, — ქალაქში ყველანი ერთად წავალთ, შენ კი ფრისელა ჩვენ თვალწინ, მოედანზე უნდა მოკლა.

პიშოტა ჯულიანოს გამჭრიახობამ გააოგნა. გულუბრყვილობის მიუხედავად, ზოგჯერ იაგოსავით ცბიერი ხრიკებიც სჩვეოდა. ყოფილი კაპრალი ყველამ პატიოსან კაცად გაიცნო. ის არასოდეს ჩაიდენდა მკვლელობას, დალაქის დანაშაულში დარწმუნებული რომ არ ყოფილიყო. ჯულიანოს სახეზე ღიმილი დასთამაშებდა: თუ კაპრალი უარს იტყოდა, ესე იგი, ფრისელა მოღალატე არ იყო.

— ფრისელა ისეთი უნიჭო დალაქია, თუნდაც მხოლოდ ამისთვის იმსახურებს სიკვდილს. ხვალ დილით მზად ვიქნები, — წარბშეუხრელად უპასუხა სილვესტრომ.

გამთენიისას ჯულიანო, პიშოტა და ყოფილი კაპრალი გზას გაუდგნენ. ქალაქის ქუჩები კოხტად იყო მორეცხილი, მოედანზე ბავშვები თამაშობდნენ ქვის იმ კვარცხლბეკთან, სადაც ტორიმ დიდი ხნის წინ, ერთ საბედისწერო დღეს ვირი მიიყვანა. ჯულიანომ სილვესტროს უთხრა, ბავშვები მოედნიდან გაყარე, მკვლელობის მოწმენი რომ არ გახდნენო და მანაც ყველანი ქათმებივით დაიფრინა.

როცა თოფებმომარჯვებულნი დალაქის ჯიხურში შევიდნენ, ფრისელა ერთ მდიდარ მიწათმფლობელს ემსახურებოდა. ფრისელამ იფიქრა, რომ მისი კლიენტის მოსატაცებლად მოვიდნენ და პირსახოცი ისე მოხსნა, თითქოს ანიშნებდა, მოდით და წაიყვანეთო. მემამულე ომის წლებში იტალიის ჯარისათვის სურსათის მიწოდებით გამდიდრებულიყო და ახლა ამაყად წამოდგა საგარძლიდან, მაგრამ პიშოტამ ხელის აქნევით ანიშნა, გვერდზე გადექიო და უთხრა:

— შენ იმდენი ფული არ გაქვს, რამდენიც ახლა გვჭირდება და არც ჩვენი ზარალის ანაზღაურება შეგიძლია.

ჯულიანოს ფხიზლად ეჭირა თვალი ფრისელაზე. დალაქს მაკრატელი ჯერ კიდევ ხელში ეკავა.

— მაკრატელი დადე, — უთხრა მკაცრად, — სადაც მიდიხარ, იქ თმის შეჭრას აღარაუინ მოგთხოვს. ახლა კი გარეთ გადი.

ფრისელას ჯამბაზური სახე უბადრუკი ღიმილით დაემანჭა:

— ტორი, არაფერი გამაჩნია, ერთი ღატაკი კაცი ვარ. ეს წუთია გაუხსენი დუქანი!

ჯულიანომ ხშირ თმაში ჩაავლო ხელი და ქვაფენილზე გაათრია, სადაც სილვესტრო ელოდა. ფრისელა ძირს დაემხო და ყვირილი მორთო:

— ტორი, პატარაობიდან გჭრიდი თმას, დაგავიწყდა? ჩემი ცოლი შიმშილით მოკვდება, ჩემი ვაჟი ჭკუასუსტია და მუშაობას ვერ შეძლებს.

— ამაზე ადრე უნდა გეფიქრა, როცა პოლიციასთან გვასმენდი, — უთხრა პიშოტამ და ფეხი ჰკრა.

— ტორიზე არაფერი მითქვამს, — ატირდა ფრისელა, — მარშალს მხოლოდ ცხვრის ქურდები დაუუსახელე, ეს იყო და ეს. ცოლ-შვილს გეფიცებით!

ჯულიანომ ქვემოთ დამხობილ კაცს შეხედა და წამით იგრძნო, რომ ის, რის ჩადენასაც აპირებდა, სამუდამოდ დაამსხვრევდა შინაგანად. მაგრამ სიმხნევე მოიკრიბა და რბილად უთხრა:

— ერთ წუთს გაძლევ, რომ ილოცო.

ფრისელამ სათითაოდ შეხედა სამივე კაცს, თავს რომ დასდგომოდნენ, და შეწყალების იმედი რომ გადაეწურა, თავი დახარა და ჩურჩულით შეუდგა ლოცვას. მერე ჯულიანოს შევედრა:

— ცოლ-შვილს შიმშილით ნუ დამიხოცაუ!

— სიტყვას გაძღვე, საჭმელ-სასმელი არ მოაკლდებათ, — უპასუხა ჯულიანომ და სილვესტროს უბრძანა, — მოკალი.

კაპრალი მონუსხული დასცქეროდა ამ სცენას, მაგრამ ბრძანების გაგონებისთანავე გამოფხიზლდა და ჩახმახს გამოჰკრა. ტყვიებმა ფრისელას სხეული განგმირა. აქა-იქ ღრმულებში შემორჩენილი წყალი სისხლმა შეღება. სისხლის რუები მოკლულის სხეულიდან ყველა მიმართულებით გაცოცდა ხვლიკებივით. მოედანზე შემზარავი სიჩუმე ჩამოწვა. მერე პიშოტამ ჩაიმუხლა და მოკლულს მკერდზე თეთრი ბარათი მიამაგრა.

როცა მარშალმა მოაღწია, მოწმე ვერ ნახა, საბუთის ნაცვლად მხოლოდ ეს ბარათი შერჩა. ქალაქელებმა იუარეს: ზოგი საქმით ყოფილა გართული, ზოგიც განთიადის ღრუბლების სილამაზით ტკბებოდა. მკვლელები არაუის დაუნახავს. ფრისელას უკანასკნელმა კლიენტმა განაცხადა, სროლის ხმა რომ გავიგონე, პირსახოცით სახეს ვიმშრალებდი და არც მე დამინახავს რაიმეო. მიუხედავად ამისა, მკვლელების ვინაობა ცხადზე ცხადი იყო. ბარათში ეწერა: „ასე მოკვდება ჯულიანოს ყველა გამცემი“.

თავი 12

ომი დასრულდა, თუმცა ჯულიანოს პირადი ომი ის-ის იყო იწყებოდა. ორი წლის განმავლობაში სალვატორე ჯულიანო მთელ სიცილიაზე ყველაზე ცნობილ კაცად იქცა. კუნძულის ჩრდილოდასავლეთ ნაწილს მთლიანად აკონტროლებდა. მონტელეპრე მისი იმპერიის გულს შეადგენდა. ქალაქები: პიანი დეი გრეჩი, ბორგეტო და პარტინიკო მას ემორჩილებოდა; თვით მკვლელების ქალაქად ცნობილი კორლეონეც, რომლის მცხოვრებლები სიცილიელთა შორისაც კი გამოირჩეოდნენ სისასტიკით. მისი სამფლობელოს საზღვარი ტრაპანისთან მთავრდებოდა. დროდადრო თვით სიცილიის დედაქალაქ პალერმოსაც კი სტუმრობდა. როცა შეიტყო, რომის დემოკრატიულ მთავრობას მისი თავი ათ მილიონ ლირად შეუფასებია, გულიანად გაიცინა და კვლავაც დაუფარავად დადიოდა ქალაქებში. ზოგჯერ პალერმოს რესტორნებშიც კი სადილობდა. სა-

დილის შემდეგ თუფშის ქვეშ ბარათს ტოვებდა: „ტორი ჯულიანოს ყველგან შეუძლია მისვლა, სადაც კი მოესურვება“.

ჯულიანოს ურყევ ციხესიმაგრეს კამარატას მთები და მღვიმეები წარმოადგენდა. ყველა აქაურ გამოქვაბულსა და ბილიკს იცნობდა და აქ თავს შეუვალად გრძნობდა. უყვარდა მწვერვალიდან გადახედვა და მონტელეპრუსა და პარტინიკოს ველისთვის თვალის შევლება, ჰორიზონტზე ხმელთაშუა ზღვამდე რომ გადაჭიმულიყო. სალამოს ლურჯ ბინდში არჩევდა ზღვის პირას ძველბერძნულ ნაგებობათა გოროზ ნანგრევებს, ფორთოხლისა და ზეთისხილის ბაღებს, ველებზე გაშლილ ვენახებს. ბინოკლით გზის პირას წმინდანთა ქანდაკებებსაც კი არჩევდა.

მთებიდან თუთრი მტვრით დაფარულ შარაგზებზე ჩადიოდა, სახელმწიფო ტრანსპორტს ძარცვავდა, მატარებლებს აჩერებდა და მდიდარ ქალბატონებს სამკაულებისგან „ათავისუფლებდა“. შემხვედრი გლეხები და მეფორნეები თავიდან შიშით ესალმებოდნენ, შემდეგ კი — პატივისცემითა და აღფრთოვანებით. არ დარჩენილა არც ერთი გლეხი, ვისაც ერთხელ მაინც არ რგებია წილი მისი ნადავლიდან.

მთელი პროვინციის მცხოვრებნი ჯულიანოს მოკავშირეები და ჯაშუშები გახდნენ. ბავშვები ძილის წინ აუცილებლად მოიხსენიებდნენ ჯულიანოს თავიანთ ლოცვებში და ღვთისმშობელს სთხოვდნენ, ის „კარაბინერებისაგან დაეფარა“.

ჯულიანო და მისი ხალხი გლეხების ხარჯზე ცხოვრობდნენ. ყველაფერი მათი იყო: ზეთისხილის ბაღები და ვენახები, ცხვრის ფარებიც. დაქირავებული მწყემსები თვალს ხუჭავდნენ, როდესაც ჯულიანოს ხალხი ერთი-ორი ბატკნის წასაყვანად მოდიოდა. ჯულიანო სიცილიის მიდამოებში აჩრდილოვით უხილაჯად მიმოდიოდა.

ცივი და გრძელი ზამთრის თვეებში ჯულიანოს ბანდა, მოსალოდნელის საწინააღმდეგოდ, კიდევ უფრო გაიზარდა. ღამით კამარატას ფერდობებზე კოცონები და საგუშაგო ცეცხლები ენთო. ყაჩაღები ცეცხლის შუქზე წმენდნენ იარაღს, იკემსავდნენ ტანისამოსს, ირეცხავდნენ საცვლებს მთის ნაკადულში. ვახშმის მზადებისას ზოგჯერ კამათი მოსდიოდათ, რადგან ყოველ სოფელში ტომატის წვენს განსხვავებული საკაზმით ამზადებდნენ. ცივი იარაღის ოსტატებს, ვინც მკვლევლობა თავიანთ ხელობად აქცია, სარეცხის რე-

ცხვა ერჩივნათ, გამტაცებლებს უფრო საჭმლის კეთება ეხერხებოდათ, ხოლო ბანკებისა და მატარებლების მძარცველებს — იარაღის წმენდა.

ჯულიანო უკლებლივ ყველას ავალებდა სანგრების თხრასა და სამეთვალყურეო პოსტების მოწყობას, რათა სახელმწიფო ძალები მოულოდნელად არ დასხმოდა თავს. ერთხელ მიწაში ვეება ცხოველის ჩონჩხი იპოვეს, იმაზე ბევრად დიდი, რაც კი ოდესმე იმ მიდამოებში უნახავთ. იმავე დღეს ჯულიანოს ჰექტორ ადონისი ესტუმრა და წიგნები მოუტანა, რადგან ჯულიანო სულ უფრო მეტს მეცადინეობდა და ამქვეყნად ყველაფერი აინტერესებდა. გატაცებით კითხულობდა სამეცნიერო წიგნებს, სწავლობდა მედიცინას, პოლიტიკას, ფილოსოფიასა და საბრძოლო ტექნიკას. ყოველთვის ურად ადონისს ტომრებით მოჰქონდა მისთვის ახალ-ახალი საკითხავი. ჯულიანომ იმ ადგილას მიიყვანა, სადაც მისმა ხალხმა უცნაური ჩონჩხი ამოთხარა. ადონისს მათმა გაკვირვებამ ღიმილი მოჰგვარა. ჯულიანოს უთხრა:

— განა ცოტა წიგნი მოგიტანე ისტორიის შესახებ? კაცი, რომელმაც უკანასკნელი ორი ათასი წლის ისტორია არ იცის, ბრძა და ბნელში დაიარება, — ადონისი მასწავლებლის რბილი და დინჯი კილოთი ლაპარაკობდა, — ეს ჰანიბალ კართაგენელის საბრძოლო მანქანის ნაშთია: მან ორი ათასი წლის წინათ ეს მთები გამოიარა, რომის დასალაშქრად რომ მიემართებოდა. ეს მისი ერთ-ერთი საბრძოლოდ გაწვრთნილი სპილოს ჩონჩხია. ასეთი ცხოველი მანამდე ამ კონტინენტზე არ უნახავთ. წარმოგიდგენიათ, მის დანახვაზე რომაელი ჯარისკაცები როგორ შეშინდებოდნენ?! თუმცა, მაინც არ დაუთმეს ჰანიბალს და კართაგენიც მიწასთან გაასწორეს. ეს მთები წარსულის ურიცხვ ნაშთს ინახავს. თქვენ ერთ-ერთი მათგანი აღმოაჩინეთ. დაიმახსოვრე, ტორი, ერთ მშვენიერ დღეს შენც წარსულის ნაშთად იქცევი.

ჯულიანომაც დაიმახსოვრა და იმ ღამით თვალი არ მოუხუჭავს. სიამოვნებდა იმაზე ფიქრი, რომ ოდესმე ისიც ისტორიის დიდებულ აჩრდილად გადაიქცეოდა. ფიქრობდა, თუ მომკლავენ, სჯობს, მთაში მომკლანო; წარმოედგინა, სასიკვდილოდ დაჭრილი როგორ შეცოცდებოდა ურიცხვ მღვიმეთაგან რომელიმეში, სადაც ვერავინ

მიაგნებდა, ვიდრე, დიდი ხნის შემდეგ, ამ სპილოსავით შემთხვევით არ აღმოაჩენდნენ.

ზამთრის განმავლობაში ბევრჯერ გამოიცვალეს ბანაკის ადგილი. დროდადრო სიფხიზლეს აღუნებდნენ და ყველანი სოფლებში, ნათესაუების სახლებსა თუ მემამულეთა მიტოვებულ ბეღლებში ბინადრობდნენ. ჯულიანომ მთელი ზამთარი მეცადინეობასა და გვემების დაწყოებაში გაატარა. ხშირად და დიდხანს ესაუბრებოდა ჰექტორ ადონისს.

ადრე გაზაფხულზე ჯულიანო პიშოტასთან ერთად ტრაპანისკენ მიმავალ შარაგზას გაუყვა. გზად ოთხთვალა შეხვდათ, სრულიად ახალი ლეგენდარული სიუჟეტით მოხატული. მაშინ პირველად ნახეს თვით ჯულიანოს ლეგენდის ამსახველი ნახატები. გლეს ჭრელაჭრულა საღებავებით გამოესახა ჰერცოგინიას წინაშე თავდახრილი ჯულიანო, ქალს თითიდან ზურმუხტის ბეჭედს რომ აძრობდა. უკან პიშოტაც მოჩანდა, შეიარაღებული კაცების ჯგუფს შაშხანით რომ ემუქრებოდა.

ასევე ამ დღეს პირველად ეკეთათ სილვესტროს ნაჩუქარი ქამრის ბალთები: ოქროს კვადრატულ ფირფიტაზე ამოტვიფრული არწივი და ლომი. სილვესტრო ახლა მათი აღჭურვილობის მომმარაგებელი იყო და ასეთი ბალთები მხოლოდ ჯულიანოსა და პიშოტასთვის დაემზადებინა. ეს ბანდის მეთაურთა სიმბოლოები გახლდათ. ჯულიანოს ბალთა სულ ეკეთა, პიშოტას კი — მხოლოდ მასთან ერთად ყოფნისას, რადგან ის ხშირად გადაცმული დადიოდა პალერმოსა და სხვა ქალაქებში.

საღამოს მთაში ჯულიანომ ბალთა მოიხსნა და დააკვირდა. მარცხენა მხარეს არწივი იყო გამოსახული, რომელიც ბუმბულებით შემკულ კაცს უფრო ჰგავდა. მარჯვნივ მრისხანე ლომი იდგა. მისი ტორებიც და არწივის ფეხებიც ფილიგრანულ ბურთულაზე იდგა. საოცარი ის იყო, რომ ლომს კაცის სხეული ჰქონდა. ცის და მიწის ხელმწიფეები — გაიფიქრა ჯულიანომ. საკუთარ თავს არწივად ხედავდა, პიშოტას — ლომად, ბურთულას კი — სიცილიად.

საუკუნეთა განმავლობაში მძევლების გატაცება სიცილიის სავიზიტო ბარათად ქცეულიყო. ამ ხელობას, ძირითადად, ყველაზე უფრო ფრთხილი მაფიოზები ეწეოდნენ. წინასწარ თავაზიანი ფორ-

მით შეთხზულ წერილს გზავნიდნენ, სადაც მსხვერპლს უსიამოვნებების თავიდან ასაცილებლად გამოსასყიდის გადახდას სთხოვდნენ. საბითუმო ვაჭრობის არ იყოს, გატაცებაც შედარებით ნაკლებ მოგებას იძლეოდა, რადგან უფრო ხშირად მძევლის აყვანის სარისკო და უსიამოვნო აქტი არც ხორციელდებოდა. ზოგადად, ცნობილი პიროვნების გატაცება სულაც არ არის ისე იოლი, როგორც ზოგს წარმოუდგენია. ეს არც ხარბი ახალბედების საქმეა და არც ზარმაცი უქნარებისა და არც ისეთ სამარცხვინო და თაუზე ხელაღებულ ქმედებად მიიჩნეოდა, როგორც ამერიკაში. სიცილიელებისათვის გაუგებარიც კი იყო ამერიკული ტერმინი „კიდნეპინგი“, რაც ბავშვის მოტაცებას გულისხმობდა, რადგან აქ ბავშვებს მხოლოდ მშობლებთან ერთად თუ იტაცებდნენ. რაც უნდა გეთქვათ სიცილიელებზე, ბავშვებისადმი სისასტიკეს ვერ დააბრალებდით. პირიქით: ბუნებით კრიმინალები იყვნენ, მკვლელობა მათთვის ისეთივე იოლი გახლდათ, როგორც ქალისათვის — ველზე თაიგულის დაკრეფა; თურქებოვით ვერაგები და ცბიერებიც იყვნენ და სოციალური დონით სხვა ხალხებთან შედარებით სამასი წლით ჩამორჩენილებიც, მაგრამ ბავშვები უყვარდათ, მეტიც: აღმერთებდნენ. ამიტომაც სიცილიაზე „კიდნეპინგი“ არ არსებობდა. სიცილიელები მდიდარს „სტუმრად იწვევდნენ“ და, ვიდრე ქირისა და სუფრის საფასურს არ გადაიხდიდა, შინ არ უშვებდნენ, როგორც საუკეთესო სასტუმროებშია დაწესებული.

ამ ეროვნულ ბიზნესს საუკუნეთა განმავლობაში თავისი წეს-ჩვეულებები გამოუმუშავდა. ფასის დარეგულირება მუდამ შესაძლებელი იყო მათთვის შუამდგომლობით. „სტუმარს“ არაფერს უშავებდნენ, თუკი ის თანამშრომლობაზე თანხმდებოდა. მას მუდამ საკადრისი მოწიწებით ეპყრობოდნენ და წოდების შესაბამისად მიმართავდნენ: „ჰერცოგო“, „გრაფ“, „დონ“ თუ „არქიეპისკოპოსო“ — თუკი რომელიმე ბანდიტი სულის ცხონებას საფრთხეში ჩაიგდებდა და სამღვდელოების მძევლად აყვანას გაბედავდა. გამტაცებლები პარლამენტის წევრსაც კი „პატოვცემულოთი“ მიმართავდნენ, თუმცა მშვენივრად იცოდნენ, რომ ეს ვიგინდარები მთელ ქვეყანაში უდიდესი ქურდები იყვნენ.

ეს ტრადიცია სიფრთხილისა და წინდახედულობის გამო ჩამოყალიბდა. გამოცდილებამ აჩვენა, რომ გათავისუფლებული მძევალი

ასე უფრო იშვიათად ცდილობდა შურისძიებას. ერთი განმაურებული შემთხვევისას მძევლობიდან გათავისუფლებულმა ჰერცოგმა ყაჩაღებს კარზე კარაბინერთა რაზმი მიაყენა, შემდეგ კი სასამართლოში ადვოკატები უქირავა. მიუხედავად ამისა, მათ პატიმრობა მიესაჯათ, მაგრამ ჰერცოგმა პატიმრობის ვადის განახევრებაზე იზრუნა. ამის მიზეზი ის გახლდათ, რომ ყაჩაღები მძევალს ისეთი მოწიწებით ეპყრობოდნენ, რომ ჰერცოგმა განაცხადა, ასეთ ზრდილობას პალერმოს უმაღლეს საზოგადოებაშიც კი არ შევხვედროვარო..

შესაბამისად, ისინი, ვისაც გამტაცებლები ცუდად ეპყრობოდნენ, ყველა ღონეს ხმარობდნენ და ხშირად გამოსასყიდზე უფრო დიდ თანხას მათ დაჭერასა და დასჯას ახმარდნენ.

მაგრამ, ჩვეულებრივ, მხარეები ფასზე თანხმდებოდნენ და პატიმარი შინ მშვიდობით ბრუნდებოდა. შეძლებული სიცილიელები ამ მოვლენას ერთგვარ აუცილებელ გადასახადადაც კი აღიქვამდნენ, რაც მშობლიურ ქვეყანაში ცხოვრებისათვის დაეკისრათ და, რაკი ოფიციალური მთავრობისათვის თითქმის არაფრის გადახდა არ უწევდათ, ამ ჯვარს ჭეშმარიტი ქრისტიანული მორჩილებით ეზიდებოდნენ.

მძევლების მხრიდან სიჯიუტე ან გაჭიანურებული შეკამათება მსუბუქი ძალდატანებით ისჯებოდა. იშვიათად ყურს ან თითს აჭრიდნენ. როგორც წესი, ეს კმაროდა ყველას გონზე მოსაყვანად. მხოლოდ იშვიათ ტრაგიკულ შემთხვევებში ხდებოდა ისე, რომ ბანდიტები ოჯახს, ტრადიციულად, ტყვიებით დაცხრილულ და დასახიჩრებულ, წინათ კი — ჯვრის ფორმით დასერილ გვამს უგზავნიდნენ.

„სტუმრის“ შენახვა დიდად დამღლევი და საჩოთირო საქმე იყო. მსხვერპლზე რამდენიმე ხნით ადრე იწყებოდა თვალთვალი, მისი აყვანა მინიმალური მსხვერპლის ფასად რომ მოხერხებულიყო. მანამდე საკვების მარაგითა და დაცვით უზრუნველყოფილი ხუთი-ექვსი სამალავი ადგილი იყო მოსამზადებელი, რადგან ცხადზე ცხადი გახლდათ, რომ პოლიცია გატაცებულის ძებნას დაიწყებდა. ეს რთული საქმე პროფესიონალიზმს მოითხოვდა.

როცა ჯულიანომ გატაცების ბიზნესში შესვლა გადაწყვიტა, უკვე ზუსტად იცოდა, რომ არჩევანს მხოლოდ უმდიდრეს სიცილიელებზე შეაჩერებდა. პირველივე მსხვერპლად კუნძულის ყვე-

ლაზე მდიდარი და გავლენიანი არისტოკრატი პრინცი ოლორტო დაიგულა, რომელიც არა მხოლოდ სიცილიაზე ფლობდა ვრცელ მამულებს, არამედ ბრაზილიაში უხილავ იმპერიასაც განაგებდა. მონტელეპრეს მოქალაქეთა უმრავლესობას ფერმები და სახლები სწორედ მის მიწაზე ედგა. გარდა ამისა, პოლიტიკურ ძალაუფლება-საც ფლობდა, ცხადია, ფარულად. იტალიის იუსტიციის მინისტრი პრინცის ახლო მეგობარი იყო, ხოლო ყოფილი მეფე — მისი შვილის ნათლია. სიცილიაში მის მამულებს დონ კროჩე პატრონობდა. ზედმეტიც კია იმის თქმა, რომ დონის მიერ აღებული უხვზე უხვი გასამრჯელო პრინცის გამტაცებლებისა და მკვლელებისაგან დაცვასაც ითვალისწინებდა.

თავის სასახლეში დონ კროჩეს ხალხისა და თავისი გუშაგების მიერ საიმედოდ დაცული პრინცი ოლორტო მშვიდი და სასიამოვნო საღამოსთვის მოემზადა: ცაში ვარსკვლავებზე დაკვირვებას აპირებდა უზარმაზარი ტელესკოპით, რომელიც ამქვეყნად ყველაფერს ერჩივნა. უეცრად თავისი საობსერვატორიო კოშკის ხვეულ კიბეზე მძიმე ნაბიჯების ხმა გაიგონა, მერე კარი უხეში დარტყმით გაიღო და პატარა ოთახში ოთხი შეიარაღებული კაცი შემოვიდა. პრინცმა ტელესკოპს მკლავი მიაფარა, თითქოს, უმანკო ვარსკვლავების დაცვა სურდა ამ ტლანქი შემოტევისაგან. როცა ტერანოვას კვერნისებრ სახეს შეეფეთა, ღმერთს შველა შესთხოვა. მაგრამ ტერანოვამ თავაზიანად მიმართა:

— თქვენო ბრწყინვალეებავ, იმისთვის მომავლინეს, მთაში დასასვენებლად რომ წაგაბრძანოთ ტორი ჯულიანოსთან ერთად. ბინის ქირასა და საკვების ხარჯებს, ჩვენი წესის თანახმად, გადაგახდევინებთ. მაგრამ არ იდარდოთ, ისე მოგივლით, ახალშობილსაც რომ არ უვლიან.

პრინცმა შიში არ შეიმჩნია. შუბლი შეკრა და იკითხა:

— ჩემი წამლებისა და ტანისამოსის წამოღება თუ შემიძლია?

— ყველაფერს მოგვიანებით მოგართმევთ, — უპასუხა ტერანოვამ, — ახლა მთავარი სისწრაფეა. კარაბინერები მალე მოგვაკითხავენ, მათი თანხლება კი სულაც არ გვაწყობს. გთხოვთ, ჩემ წინ იაროთ და გაქცევა არც იფიქროთ. ჩვენი ხალხი ყველგანაა. ტყვიებისაგან პრინციც კი არ არის დაზღვეული.

გვერდით ჭიშკართან კედლის გაყოლებაზე „აღფა რომეო“ და ჯიპი იდგა. პრინცი ტერანოვასთან ერთად „აღფა რომეოში“ ჩასვეს, დანარჩენები ჯიპში ჩასხდნენ და ორივე მანქანა მთებისკენ დაიძრა. პალერმოდან ნახევარი საათის საუალზე, მონტელეპრეს მისადგომებთან გაჩერდნენ და ყველანი გადმოვიდნენ. გზის პირას ღვთისმშობლისქანდაკებიანი სალოცავი იდგა და ტერანოვამ მის წინ წუთით ჩაიშრია. პრინცი მორწმუნე კაცი იყო, მაგრამ თავი შეიკავა და მის მაგალითს არ მიჰყოლია: არ სურდა, ეს მისთვის სისუსტედ ან მლიქვნელობად ჩაეთვალოს. ხუთი ყაჩაღი გზაზე ვარსკვლავის ფორმით განაწილდა, პრინცი კი შუაში მოიქცეის. ფეხით აუყვანენ კამარატას მთებისკენ ამაჟალ გზას.

რამდენიმე საათი იარეს, პრინცი ხშირ-ხშირად სთხოვდა დასასვენებლად შეჩერებას და მეგზურებს არც ერთხელ არ უთქვამთ უარი. გრანიტის დიდი ლოდის ძირში წასახემსებლად ჩამოსხდნენ. პური, ყველის დიდი თავი და ბოთლით ღვინო ჰქონდათ თან. ტერანოვამ საკვები ყველას თანაბრად გაუნაწილა, მათ შორის, პრინცსაც, თან მოუბოდიშა:

— ვწუხვარ, ამაზე უკეთესს ვერაფერს გთავაზობთ. ჩვენს ბანაკში ჯულიანო ცხელ კერძს დაგახვედრებთ, იქნებ, კურდღლის ჩაქაფულითაც გაგიმასპინძლდეთ. ჩვენი მზარეული ადრე პალერმოს რესტორანში მსახურობდა.

პრინცმა გულითადი მადლობა გადაუხადა და მადიანად მიირთვა. სიმართლე თუ გინდათ, უფრო გემრიელად მიირთმევდა, ვიდრე დიდებულთა წვეულებებზე. ფეხით სიარულმა ისეთი მადა გაუხსნა, წლების მანძილზე რომ არ ჰქონია. მერე ჯიბიდან ინგლისური სიგარეტის კოლოფი ამოიღო და ბანდიტებს სათითაოდ შესთავაზა. თითოეულმა თავმდაბლად ამოიღო თითო ღერი, მადლობა უთხრა და გააბოლა. პრინცს კარგად ენიშნა ის ამბავი, რომ მისთვის კოლოფის წართმევა და მითვისება არც ერთს არ უფიქრია. ამან გააბედვინა:

— წამლები მჭირდება. დიაბეტით ვარ დაავადებული და ყოველდღიურად ვიღებ ინსულინს.

მისდა გასაოცრად, ტერანოვამ შესძახა:

— კი მაგრამ, თავიდანვე რად არ გვითხარით? ერთ წუთს დავიცდიდით. მაგრამ სადარდებელი მაინც არაფერი გაქვთ. ჯულია-

ნო ხვალ დილისთვის მოატანინებს თქვენთვის წამალს. სიტყვას გაძლევთ.

— გმადლობთ, — უპასუხა პრინცმა. ტერანოვას თხელი, მოქნილი ტანი გამუდმებით მლიქვნელურად იკლაკნებოდა, კვერნისებრ სახეზე თავაზიანი და გულითადი ღიმილი აღბეჭდოდა. სამართებელს ჰგავდა: სასარგებლო სამსახურს გაგიწევდათ და, საჭიროებისამებრ, სასიკვდილო იარაღადაც გადაიქცეოდა. წინ რომ მიიწვედნენ, ვარსკვლავის წვერში მოაბიჭებდა, თუმცა ხშირად ჩამორჩებოდა ორიოდ ნაბიჯით და პრინცს ესაუბრებოდა, არწმუნებდა, არაფერი დაგიშავდებათო.

ასვლა დაასრულეს და მთის წვერზე მოსწორებულ ადგილს მიადგნენ. იქ სამგან ერთო კოცონი და ბამბუკის მაგიდები და სკამები იდგა. ერთ-ერთ მაგიდასთან ჯულიანო წიგნს კითხულობდა ამერიკული სამხედრო ფანრის შუქზე. ფეხებთან წიგნებით სავსე ნაჭრის ჩანთა ედო. ჩანთაზე ხვლიკები დაძვრებოდნენ, ჰაერში კი მწერების უწყვეტი ზუზუნი იდგა, თუმცა ეს ჯულიანოს აშკარად არ უშლიდა ხელს.

მაგიდიდან წამოდგა და პრინცს მოწიწებით მიესალმა, არაფრით აგრძნობინა თავისი უპირატესობა, მხოლოდ უცნაურად იღიმებოდა. ფიქრობდა, რა შორს წავიდა ამ ორ წელიწადში: გაჭირვებული გლეხის ბიჭი იყო, ახლა კი მთელ სიცილიაზე უკეთილშობილესი და უმდიდრესი ადამიანი ჰყავდა ხელთ.

— გზად თუ წაიხემსეთ? — ჰკითხა მძევალს, — ბრძანეთ, რით შემიძლია თქვენი აქ ყოფნა უფრო მყუდრო და სასიამოვნო გავხადო? რამდენიმე ხანს ჩვენთან მოგიწევთ დარჩენა.

პრინცმა აღიარა, მომშვიდაო, და ისიც ახსენა, რომ სასწრაფოდ სჭირდება ინსულინი და სხვა წამლები. ჯულიანომ ბრძანება გასცა და მისმა ბანდის წევრმა სასწრაფოდ მოარბენინა ქვაბით ცხელი კერძი. შემდეგ პრინცს დაწვრილებით ჩამოაწერინა წამლების ნუსხა.

— მონრუალში მეგობარი აფთიაქარი გყავს და ჩვენთვის დღეღამის ნებისმიერ დროს გახსნის თავის აფთიაქს, — თქვა ჯულიანომ, — წამლები ხვალ შუადღისთვის გექნებათ.

როცა პრინცმა სადილი მიირთვა, ჯულიანომ ფერდობზე ჩაიყვანა და მომცრო გამოქვაბული აჩვენა, სადაც თივის საწოლი იყო გაშლი-

ლი, ზემოდან კი ლეიბი ეფინა. ორმა ბანდიტმა საბნები შეიტანა და, პრინციის გასაოცრად, თეთრი ზეწარი და დიდი ფუმფულა ბალიშიც კი აღმოაჩნდათ. მისი გაოცება რომ შენიშნა, ჯულიანომ გაიღიმა.

— პატოცემული სტუმარი ბრძანდებით და ყველაფერს გააკეთებ, ეს ხანმოკლე მოგზაურობა სასიამოვნოდ რომ დაგამახსოვრდეთ. ჩემმა რომელიმე ხელქვეითმა რაიმე შეურაცხყოფა თუ მოგაყენოთ, გთხოვთ, დაუყოვნებლივ მაცნობოთ. თუმცა ზუსტი განკარგულებები აქვთ მიღებული, რომ ისე მოგეპყრონ, როგორც თქვენს მაღალ წარმომავლობასა და სიცილიის პატრიოტის სახელს ეკადრება. ახლა კი კარგად დაისვენეთ, ძალები აღიდგინეთ, რადგან ხვალ შორი გზა გველის. თქვენს ოჯახს უკვე გადაუცით წერილი, ასე რომ, კარაბინერები სულ მალე დაგვიწყებენ ძებნას და აქამდეც მოადწევენ.

პრინცმა თავაზიანობისთვის მადლობა გადაუხადა, მერე კი ჰკითხა, გამოსასყიდად რა თანხას ითხოვდა.

ჯულიანომ გაიცინა და პრინცი მისი ალალი, ბიჭური სიცილით მოიხიბლა. თუმცა მისმა პასუხმა შეაძრწუნა.

— მთავრობამ ჩემი დაკავებისთვის ათმილიონიანი ჯილდო დააწესა. მაშ, თქვენი ბრწყინვალეების შეურაცხყოფა იქნება, ამ თანხაზე ათჯერ უფრო დიდი გამოსასყიდი რომ არ მოვითხოვო.

— იმედია, ჩემი ოჯახიც ისე ძვირად მათვასებს, როგორც თქვენ დამათვასეთ, — ირონიულად მიუგო პრინცმა.

— ამაზე სიამოვნებით მოვეთათბირებით და, დარწმუნებული ვარ, მოვრიგდებით კიდევ, — ამ სიტყვების შემდეგ ჯულიანო გავიდა. ორმა ბანდიტმა საწოლი გაშალა და გამოქვაბულის შესასვლელთან ძირს ჩამოჯდა. მწერების ზუზუნის მიუხედავად, პრინცს უკვე მრავალი წლის განმავლობაში ასე ტკბილად არ უძინია.

იმ ღამით ჯულიანოს ბევრი საქმე ჰქონდა; თავისი ხალხი მონტელეპრეში გაგზავნა წამლების მოსატანად; პრინცი განგებ მოატყუა, მონრეალში ვგზავნიო. შემდეგ ტერანოვა აბატ მანფრედისთან მონასტერში მიაფლინა; სურდა, მძევლის ოჯახთან მოლაპარაკება აბატს ეწარმოებინა. მართალია, იცოდა, რომ აბატი დონ კროჩესთან უშუალო კავშირში იყო, მაგრამ ამ საქმეში დიდად იყო გაწაფული; დონ კროჩეს კი თავისი წილი ერგებოდა.

მოლაპარაკება დიდხანს გაგრძელდებოდა და იმთავითვე ცხადი იყო, რომ ას მილიონ ლირას არაფინ გადაიხდიდა. პრინცი ოლორტო ძალზე მდიდარი იყო, მაგრამ, ტრადიციისამებრ გამტაცებელი პირველად, რეალურ ფასზე უფრო დიდ თანხას ასახელებდა.

ტყვეობის მეორე დღე პრინცი ოლორტოსთვის უაღრესად სასიამოვნო გამოდგა. დიდხანს იარეს ფეხით მთებში ჩაკარგულ მიტოვებულ ფერმამდე, მაგრამ გზა სულაც არ ყოფილა დამქანცველი. ჯულიანო შეძლებული ფერმეროვით იქცეოდა, რომელსაც მეფემ თავისი სტუმრობით დასდო პატივი. არ გამოჰპარვია, რომ პრინცი დიდად განიცდიდა ინგლისში შეკერილი თავისი სამოსის საუაღლო მდგომარეობას: ძვირფასი კოსტიუმი მთაში მოგზაურობისაგან ძლიერ შელახულიყო.

ჯულიანომ დაცინვის გარეშე, გულწრფელი ცნობისმოყვარეობით ჰკითხა:

— ნუთუ მართლა ასე გადარდებთ ის, ტანთ რა გაცვიათ?

პრინცს პედაგოგიური ნიჭი ჰქონდა, თანაც ამ ვითარებაში მას და ჯულიანოს დრო თავზე საყრელი ჰქონდათ. ამიტომაც ნატიფი ტანისამოსის შესახებ ლექცია წაუკითხა, აღუწერა ლონდონელი მკერავები, ისეთი ცხვირაბზეკილნი და მედიდურნი, რომ მათ გვერდით იტალიელი არისტოკრატები კომუნისტებს უფრო წააგავდნენ. ჩამოუთვალა განსხვავებული სახის ქსოვილები და უამბო, რა დიდი დრო სჭირდება სამოსისათვის შესაფერისი სტილისა და ქარგის შერჩევას.

— ჩემო ჯულიანო, საქმე ფულშიც კი არ არის, თუმცა, წმინდა როზალიას ვფიცავ, ამ კოსტიუმში რაც გადავიხადე, სიცლიელ ოჯახს ერთ წელიწადს გამოკვებავს და ქალიშვილის მზითვისთვისაც ეყოფა. მაგრამ ასეთი სამოსის შესაკერად ლონდონში უნდა გავემგზავრო, დიდხანს მქონდეს ურთიერთობა მკერავებთან, რომლებიც გაუთავებლად აქეთ-იქით მატრიალებენ. ეს მართლაც დამღლეელია. ამიტომაც ვდარდობ ამ კოსტიუმის გაფუჭებას. მას აღარაფერი ეშველება.

ჯულიანო სიმპათიით აკვირდებოდა პრინცის სახეს, მერე კი ჰკითხა:

— მაინც რატომ ანიჭებს თქვენი კლასი ასეთ დიდ მნიშვნელობას გადაპრანჭულად, მომიტყვეთ, უფრო სწორად კი, მოდურად

ჩაცმას? ახლაც კი არ იხსნით ჰალსტუხს, თუმცა მთაში ვართ. ხოლო ამ მიტოვებულ ფერმაში რომ შემოვედით, შევნიშნე, საკინძე ისე შეიკარით, თითქოს აქ ვინმე ჰერცოგინიასთან შეხვედრა მოგიწევდათ.

პრინცი ოლორტო პოლიტიკაში რეაქციულ მოსაზრებებს იზიარებდა და, სიცილიელ კეთილშობილთა უმრავლესობის მსგავსად, ეკონომიკაშიც უსამართლოდ მოქმედებდა, მაგრამ ერთი ღირსება კი ჰქონდა: დაბალი კლასის წარმომადგენლებს მუდამ ღირსეულად ეპყრობოდა, მათში თავისნაირ ადამიანებს ხედავდა და შეურაცხყოფას არასოდეს აყენებდა. ამიტომაც მუშები და ხელქვეითები პრინცს ლამის აღმერთებდნენ. სასახლეში მსახურებს ოჯახის წევრებად თვლიდა, დაბადების დღეებსა და დღესასწაულებზე აუცილებლად ასაჩუქრებდა. ოჯახური სადილებისას, როდესაც უცხო სტუმარი არ ესწრებოდათ, მსახურები კეთილშობილი ოჯახის საუბარში მონაწილეობდნენ და თავიანთ აზრსაც თავისუფლად გამოთქვამდნენ. სიცილიაზე ეს უჩვეულო სულაც არ იყო. დაბალი კლასის მიმართ აქ მხოლოდ მაშინ იჩენდნენ სისასტიკეს, როცა ისინი თავიანთი ეკონომიკური უფლებებისთვის იბრძოდნენ.

პრინცმა ახლა ჯულიანოს მიმართაც ისე დაიჭირა თავი, თითქოს გამტაცებელი მისი ერთ-ერთი მსახური ყოფილიყო, კეთილშობილთა ცხოვრებაში წუთით მაინც რომ სურს ჩახედვა. მიხვდა, რომ ტყვეობა თავის სასიკეთოდვე შეეძლო შემოებრუნებინა და აქ სასიამოვნოდ გატარებული დროის სანაცვლოდ გამოსასყიდიც კი ალალი იქნებოდა. ოღონდ იმასაც ხედავდა, რომ ტაქტი და სიფრთხილე უნდა გამოეჩინა: თავი რაც შეიძლება უშუალოდ, გულწრფელად და თავმდაბლად დაეჭირა, რადგან ჯულიანოს სიკეთე ყოველ წუთს შეიძლებოდა ძალადობად ქცეულიყო.

ამიტომ სავსებით სერიოზულად და გულახდილად ალაპარაკდა: — დაფიქრდი, შენ თვითონ რის გამო გიკეთია ეგ ზურმუხტის ბეჭედი და ოქროს ბალთა? — წამით პასუხს დაელოდა, მაგრამ ჯულიანო მხოლოდ იღიმებოდა, — ჩემი მეუღლე ჩემზე უფრო მდიდარიც კია. დიდი ძალაუფლებაც მაქვს და პოლიტიკური ვალდებულებებიც მაკისრია. სიცილიაზეც მაქვს მამულები და, მეუღლის წყალობით, ბრაზილიაში კიდევ უფრო ვრცელ მიწებს ვფლობ. სიცილიელები ხელებს მიკოცნიან და რომშიც კი ყველა დიდი

მოწიწებით მეპყრობა. რადგან რომს ფული განაგებს, სადაც მოვალ, ყველას თვალი ჩემზე აქვს მიპყრობილი. მეუხერხულეა კიდევ ის, რომ ამგვარი პატოვი არაფრით დამიმსახურებია. მაგრამ ეს დაბადებით მერგო და ღირსეულადაც უნდა ვატარო. საზოგადოებრივი პირი ვარ და ჩემი სტატუსის შერცხვენა არ მეკადრება. მაშინაც კი, როდესაც სანადიროდ მივემგზავრები და, თითქოსდა, ყოვლად უხეში სამოსი მაცვია, ჩემი როლიდან არ გამოვდოვარ: გლახებით კი არ უნდა გამოვიყურებოდე, არამედ სანადიროდ გამოსული მდიდარი და კეთილშობილი კაცით. ზოგჯერ მშურს კიდევ შენი და დონ კროჩეს მსგავსი ადამიანებისა, რომელთაც ძალაუფლება თავსა და გულში აქვთ. თქვენ ყოველივეს თქვენი გონებითა და გამბედაობით მიაღწიეთ. სასაცილოც კია, მაგრამ იმავეს მისაღწევად მე ლონდონელ მკერავთან მიწევს მისვლა.

სათქმელი ისე ენაკვიმატად და მოხდენილად თქვა, რომ ჯულიანოს გულიანად გაეცინა. პრინცთან ურთიერთობა დიდად ესიამოვნა: ერთად ისადილეს და შემდეგ კიდევ დიდხანს ისაუბრეს სიცილიის უბედობასა და რომის ვერაგობაზე.

პრინცმა იცოდა, დონ კროჩე ჯულიანოს თავისთან გადაბირებას რომ აპირებდა და ამის დაჩქარებას შეეცადა.

— როგორ მოხდა, რომ შენ და დონ კროჩემ აქამდე არ გააერთიანეთ ძალები და სიცილიას ერთად არ მართავეთ? მას წლების გამოცდილება აქვს, შენ კი — ახალგაზრდული შემართება. ეჭვი არ არის, რომ სიცილია ორივეს გიყვართ. ყველას მძიმე დრო მოგველის და ამ დროს გაერთიანება აუცილებელი. ომი დასრულდა და ყველაფერი შეიცვლება. კომუნისტები და სოციალისტები ეკლესიის ძალაუფლების დამხობას ცდილობენ და ნათესაურ კავშირებზეც კი ილაშქრებენ. იმის თქმასაც კი ბედავენ, პარტიისადმი ერთგულება დედაშვილურ თუ დაძმურ სიყვარულზე უფრო მეტიაო. რა გვეშველება, არჩევნებში რომ გაიმარჯვონ და თავიანთი პოლიტიკა გაატარონ?

— ვერასოდეს გაიმარჯვებენ, — გადაჭრით უთხრა ჯულიანომ, — სიცილიელები არასოდეს მისცემენ ხმას კომუნისტებს.

— თავს ნუ დაიმშვიდებ, — უპასუხა პრინცმა, — გახსოვს სილვიო ფერა, შენი თაობის ახალგაზრდა? მისნაირი წესიერი ყმაწვილები ომში წავიდნენ და შინ ახალი რადიკალური იდეებით დას-

ნეულებულნი დაბრუნდნენ. აგიტატორები ხალხს უფასო პურსა და მიწას ჰპირდებიან. გულუბრყვილო გლეხი კი იმ ვირს ჰგავს, ძაფზე ჩამოკიდებულ სტაფილოს რომ მიჰყვება. ასე რომ, სოციალისტებმა, სავსებით შესაძლებელია, საკმარისი ხმები დააგროვონ.

— არც ქრისტიან-დემოკრატები მეხატებიან გულზე, მაგრამ სოციალისტთა გამარჯვებას არ დაუშვებ, — თქვა ჯულიანომ.

— სიცილიის თავისუფლება მხოლოდ შენსა და დონ კროჩეს ხელთაა, — უთხრა პრინცმა, — თქვენ უნდა გაერთიანდეთ. დონი შენზე მუდამ ისე საუბრობს, როგორც საკუთარ ვაჟზე, ეტყობა, რომ გულით უყვარხარ. თანაც, მხოლოდ მას შეუძლია, ისე მოახერხოს, რომ შენსა და „მეგობართა მეგობრებს“ შორის დიდი ომი არ ატყდეს. მას ესმის, რომ შენ ისე იქცევი, როგორც გული გკარნახობს. ეს მეც მესმის. სამივემ ერთად უნდა ვიმოქმედოთ, თორემ საკუთარ თავსაც დავიღუპავთ და ქვეყანასაც.

ჯულიანო აღშფოთებას ვერ იკაუებდა. მაინც რა თავდაჯერება აქვთ ამ მდიდრებს! გამყინავად ცივი კილოთი გამოსცრა:

— ჯერ გამოსასყიდის შესახებ არ შევთანხმებულვართ და უკვე თანამშრომლობას მთავაზობთ? თქვენი სიცოცხლე ჯერ კიდევ საფრთხეშია.

იმ ღამით პრინცს ძილი დაუფრთხა. მაგრამ ჯულიანოს მეტად აღარ გამოუმჯღავნებია ბრაზი და მომდევნო ორი კვირა პრინციისთვის სასარგებლო და სასიამოვნო გამოდგა. სუფთა ჰაერმა და ფიზიკურმა ვარჯიშმა ჯანმრთელობა გამოუსწორა. მუდამ ტანხმელი იყო, მაგრამ ბოლო წლებში ფერდები შეეკსო, ახლა კი კვლავ შეიფერთხა. ფიზიკურად ამაზე უკეთ არასოდეს უგრძნია თავი.

შეიძლება ითქვას, სულიერადაც. ადგილის შეცვლისას, ჯულიანო ზოგჯერ თან არ ახლდა და გზად ყოვლად გაუთლელ ყაჩაღებთან ურთიერთობა უწყევდა. მაგრამ მათმა ხასიათმა პრინცი გააოცა. უმრავლესობას ბუნებრივი კულტურა, თანდაყოლილი ღირსება და ჭკუა ემჩნეოდა. მუდამ პატივისცემით ექცეოდნენ და ყოველ თხოვნას უსრულებდნენ. პრინცს არასოდეს ჰქონია თავის თანამემამულეებთან ასე ახლო ურთიერთობა. გოცებით იგრძნო თავისი ქვეყნისა და ხალხისადმი სრულიად ახალი სიყვარული. დონ კროჩესა და აბატ მანფრედის შუამდგომლობით მისმა ოჯახმა საბოლოოდ დადგენილი გამოსასყიდი — სამოცი მილიონი ლირა გადაიხადა.

გათავისუფლების წინა საღამოს ჯულიანომ პრინცს გამოსათხოვარი სუფრა გაუშალა, რომელსაც ბანდის წინამძღოლები და ოცი რჩეული წვერი ესწრებოდა. პალერმოდან საგანგებოდ მოეტანათ შამპანური და ყაჩაღებმა პრინცის სადღეგრძელო შესვეს, რადგან მისდამი სიმპათიით განიმსჭვალნენ. დასასრულს პრინციც სიტყვით გამოვიდა.

— სიცილიის საუკეთესო ოჯახებს ვწვევოვარ, მაგრამ არსად მინახავს ასეთი სტუმართმოყვარეობა, ასეთი თავაზიანი მანერები და ასეთი ღირსეული ხალხი, როგორც აქ, ამ მთებში ვნახე. ასე ტკბილად არასოდეს მიძინია და ასე გემრიელად სხვაგან არსად მიჭამია, — წუთით შეყოვნდა და ღიმილით დასძინა, — მართალია, ეს სიამოვნება, ცოტა არ იყოს, ძვირი დამიჯდა, მაგრამ კარგი მუდამ ძვირად ფასობს.

ყველამ ხმამაღლა გაიცინა, ყველაზე გულიანად კი ჯულიანო ხარხარებდა. ერთხელაც დალიეს პრინცის სადღეგრძელო. ეს საღამო მას სამუდამოდ დაამახსოვრდა.

მეორე დღით, კვირა დღეს, პრინცი პალერმოს საკათედრო ტაძრის წინ გაათავისუფლეს. ის ტაძარში დილის წირვას დაესწრო და ღმერთს მადლობა შესწირა. ზუსტად ისეთნაირად ეცვა, როგორც მისი გატაცების დღეს. ჯულიანომ პატოვისცემის ნიშნად სიურპრიზი მოუწყო და ლონდონში შეკერილი კოსტიუმი რომის საუკეთესო მკერავს შეაკეთებინა.

თავი 13

სიცილიური მაფიის ბოსებმა დონ კროჩესთან შეხვედრა მოითხოვეს. მიუხედავად იმისა, რომ დონ კროჩე უდიდეს ბოსად იყო გამოცხადებული, ის მათ ერთპიროვნულად არ მართავდა. მათ თავთავიანთი სამფლობელოები ჰქონდათ. მაფია შუა საუკუნეების სამეფოს ჰგავდა, სადაც ბარონები ომის საწარმოებლად მეფის გარშემო ერთიანდებოდნენ, მის ხელმწიფობას აღიარებდნენ, მაგრამ მისგან ჯეროვან პატოვისცემასაც ითხოვდნენ და ომით მიყენებული ზარალის ანაზღაურებასაც მისგან მოელოდნენ. დონ კროჩე მაფიის ბოსებს ძალით კი არა, ჭკუით, პიროვნული ხიბლითა და ხანგრძლივად მოპოვებული „ღირსებით“ იმორჩილებდა. მათი ცალკეული

ინტერესების ერთ საერთო ინტერესად გაერთიანებას ახერხებდა და ამით მართავდა.

დონ კროჩეს მათთან თავი ფრთხილად ეჭირა. ყველას თავ-თავიანთი პირადი ჯარი ჰყავდა, განსხვავებული სპეციალობის მკვლევლები: ზოგი შხამით კლაფდა, ზოგი — მოგუდვით, ზოგიც კეთილშობილ ლუპარას ანიჭებდა უპირატესობას. ამ სფეროში ისინი ძალაუფლებით დონს არ ჩამოუვარდებოდნენ; ამიტომაც სურდა დონს ტორი ჯულიანო თავის პირველ პირად მხედართმთავრად დაენიშნა. ამ ადამიანებს საიმისოდ ჰყოფნიდათ ჭკუა, რომ დონის ძალაუფლება არ შეესუსტებინათ, პირიქით, ენდობოდნენ და სწამდათ, რომ ყველაზე ჭკვიანი კაციც კი ზოგჯერ ცდება. ტორი ჯულიანო ერთადერთ პრობლემად მიაჩნდათ, რასაც დონის ფენომენალური გონება ვერ მოერია.

დონ კროჩემ მაფიის ექვს ბოსს პალერმოში სასტუმრო „უმბერტოს“ ბაღში დიდებული სუფრა გაუშალა. უსაფრთხოება და იდუმალება აქ უზრუნველყოფილი ჰქონდათ.

მაფიის თავკაცებიდან ყველაზე საშიში და თამამი იყო დონ სიანო, რომელიც ქალაქ ბიზაკვინოს განაგებდა. სწორედ მან აიღო თავის თავზე ყველას სახელით ლაპარაკი და ახლა პირქუში თავაზიანობით საუბრობდა, როგორც ეს მაფიის უმაღლეს წრეებში იყო მიღებული.

— ჩემო ძვირფასო დონ კროჩე, მოგეხსენებათ, რა დიდ პატივს გცემთ. ჩვენი ოჯახები თქვენ ააღორძინეთ. ყველანი თქვენი მოვალეები ვართ. ამიტომაც ამჟამად მხოლოდ თქვენთვის სამსახურის გასაწევად გესაუბრებით. ბანდიტი ტორი ჯულიანო მეტისმეტად მომძლავრდა. ჩვენ კი აქამდე ანგარიშს ვუწევდით, რადგან ჯერ მხოლოდ ჭაბუკია. მაგრამ ეს ჭაბუკი თქვენც და ჩვენც ავტორიტეტს გვილახავს. ჩვენს საუკეთესო კლიენტებს ძვირფასეულობას ართმევს, ჩვენს უმდიდრეს მემამულეებს კი — ზეთისხილს, ყურძენსა და ხორბალს. საბოლოოდ კი ისეთი შეურაცხყოფა მოგვაყენა, რაზეც თვალს ვეღარ დაუხუჭავთ: პრინცი ოლორტო გაიტაცა, თუმცა მშვენივრად მოეხსენება, რომ ჩვენი მფარველობის ქვეშ იმყოფება. მიუხედავად ამისა, თქვენ მაინც განაგრძობთ მასთან მოლაპარაკებებს და დახმარების ხელსაც უწვდით. გვესმის, რომ ის ძლიერია, მაგრამ განა ჩვენ მასზე ძლიერები არ ვართ? თუ თავის

ნებაზე მიუშვებთ, კიდევ უფრო მეტად არ გაძლიერდება? ყველას მიგვაჩნია, რომ დროა, ეს საკითხი გადაწყდეს. ყველა ღონე უნდა ვიხმაროთ მისი ძალის მოსადრეკად. თუკი პრინც ოლორტოს მოტაცებას უპასუხოდ დაუტოვებთ, მთელი სიცილიის სასაცილოდ გავიხდით თავს.

ღონ კროჩემ თავის დაკვრით მიანიშნა, ყველაფერში გეთანხმებიო, მაგრამ ხმას არ იღებდა. დამსწრეთა შორის უმდაბლესმა, გვიდო კვინტანამ, თითქმის მუდარით წამოიწყო:

— მონტელეპრეს მერი გახლავართ და, როგორც იცით, „მეგობართა“ რიგებს ვეკუთვნი. მაგრამ დღეს ჩემთან აღარაფერია მოდის, აღარაფერია მთხოვს რჩევას თუ სამართალს და აღარც ძღვენი მოაქვს. ქალაქს ჯულიანო განაგებს და მე მხოლოდ იმის გამო მიწევს ანგარიშს, რომ თქვენთან უთანხმოება არ სურს. მაგრამ მე აღარც შემოსავალი მაქვს, აღარც ავტორიტეტი, მხოლოდ ფიგურანტი ვარ. ვიდრე ჯულიანო ცოცხალია, „მეგობრებს“ მონტელეპრეში არ შეესვლებათ. ამ ბიჭის არ მეშინია. ერთხელ პირისპირ შევხვდი და დაფაფრებულ კიდევ, ვიდრე ბანდიტი გახდებოდა. არა მგონია, საშიში კაცი იყოს. თუკი თქვენი საბჭო გადაწყვეტს, მის განადგურებას საკუთარ თავზე ავიღებ. უკვე დასახული მაქვს გეგმა და მის განსახორციელებლად თქვენი თანხმობა მჭირდება.

კანტანისეტადან ჩამოსულმა ღონ პიდუმ და პიანი დეი გრეჩის ხელისუფალმა ღონ არზანამ თავები დაუკრეს.

— რა გვიშლის ხელს? — იკითხა ღონ პიდუმ, — ყველა საშუალება გვაქვს საიმისოდ, რომ მისი კუბო პალერმოს საკათედრო ტაძარში დავდგათ და ქორწილზე უფრო ხალისიანი დაკრძალვა მოვაწყოთ.

დანარჩენი ბოსები — ღონ მარკუზი ვილამურადან, ღონ ბუჩილა პარტინიკოდან და ღონ არზანა დაეთანხმდნენ. ყველანი ახლა ღონ კროჩეს სიტყვას ელოდნენ.

ღონმა დიდი თავი წამოსწია და როცა ალაპარაკდა, გეგონებოდათ, თავისი ნისკარტით ცხვირით თითოეული იქ მჯდომის განგმირვა სურდა.

— ძვირფასო მეგობრებო, თქვენს განცდებს მეც ვიზიარებ, მაგრამ, ჩემი აზრით, ამ ახალგაზრდას სათანადოდ ვერ აფასებთ. ის თავის ასაკთან შედარებით ძალზე გონიერია და, იქნებ, ყოველ ჩვენ-

განზე უფრო გამბედავიც კი იყოს. მისი მოკვლა იოლი სულაც არ იქნება. გარდა ამისა, ვფიქრობ, ის მომავალში მეც და თქვენც დიდად გამოგვადგება. კომუნისტი აგიტატორები ჩვენს ხალხს იმდენად უბინდავენ გონებას, რომ, მგონი, სიცლიელები მეორე გარდასახვის მოსვლას ელიან. იმაზე უნდა ვიზრუნოთ, რომ ჯულიანო არ გაკადნიერდეს და თავი ხალხის მხსნელად არ წარმოიდგინოს. ზედმეტიც კია იმაზე ლაპარაკი, რა დამღუპველი იქნებოდა ჩვენთვის ამ ბარბაროსთა გაბატონება. ჯულიანო უნდა დავითანხმოთ, ჩვენს მხარეს იბრძოლოს. იმდენად მყარ ნიადაგზე არ ვდგავართ, რომ მისი მოკვლით მისი ძალის გაცამტვერებაც მოვახერხოთ, — დონმა ამოიოხრა, ღვინის ჭიქა გამოცალა და ხელსახოცით პირი შეიმშრალა, — გთხოვთ, ეს პატოვი დამდოთ. საშუალება მომეცით, უკანასკნელად ვცადო მისი ჩვენს მხარეს გადმობირება. თუკი უარს მეტყვის, მაშინ შეგიძლიათ, რასაც აპირებთ, ის შეასრულოთ. პასუხს სამ დღეში გაგცემთ. უკანასკნელი შანსი მომეცით, ეს საქმე მშვიდობიანად მოვაგვარო.

თანხმობის ნიშნად პირველად დონ სიანომ დაუკრა თავი. რომელი გონიერი კაცი გამოიჩენს ისეთ სულსწრაფობას, რომ მკვლელობა სამი დღით არ გადადოს. მათთან დამშვიდობების შემდეგ დონ კროჩემ ჰექტორ ადონისი თავისთან ვილაბაში მიიწვია.

დონმა მკაცრად განუმარტა ადონისს:

— თქვენმა ნათლულმა მოთმინება დამაკარგვინა. დღეიდან სხვა გზა არ აქვს: ან ჩვენთან უნდა იყოს, ან ჩვენ წინააღმდეგ. პრინცი ოლორტოს გატაცება პირადად ჩემი შეურაცხყოფაა, მაგრამ მზად ვარ, ყველაფერი მიუუტევო და დავიფიცო. ბოლოს და ბოლოს, ახალგაზრდაა, მისი ასაკისა, მასავით შეუპოვარი ვიყავი და ამის გამო დიდად ვაფასებ. უბედნიერესი ადამიანი ვიქნები, თუკი დამთანხმდება და ჩემი მარჯვენა ხელი გახდება. ოლონდ იმ პირობით, თუ თავმდაბლად მოიქცევა. ჩემი კოლეგები ჩემსავით კეთილგანწყობილნი როდი არიან. ცოტაც და ვეღარ შევაკავებ. თქვენს ნათლულს ყველაფერი გადაეცით, რაც ახლა გითხარით და მისი პასუხი ხვალ მომიტანეთ. მეტს ვერ მოვიცდი.

ჰექტორ ადონისი ამ სიტყვებმა შეაშინა.

— დონ კროჩე, დიდად ვაფასებ თქვენს დიდსულოვნებას. მა-

გრამ ტორი, სამწუხაროდ, თავნებაა და, როგორც ახალგაზრდებს სჩვევიათ, საკუთარ ძალაში მეტი სმეტადაა დარწმუნებული. თანაც გარკვეული ძალა ხომ მაინც აქვს. თუ „მეგობრებს“ ბრძოლას გაუჩაღებს, ცხადია, ვერ გაიმარჯვებს, მაგრამ მსხვერპლი დიდი იქნება. თუ არის რაიმე, რის დაპირებაც შემიძლია?

— დაჰპირდით, რომ „მეგობრებს“ შორის დიდად წარჩინებული იქნება და პირადად ჩემს მფარველობასა და სიყვარულს დაიმსახურებს. ბოლოს და ბოლოს, სამუდამოდ მთებში ხომ არ დასახლდება. მოვა დრო, საზოგადოებაში დაბრუნებასა და ოჯახთან ერთად კანონის ფარგლებში ცხოვრებას რომ ინატრებს. ეს დღე რომ დადგება, მთელ სიცოცხლეზე ჩემ გარდა ვერავინ უზრუნველყოფს მის პატიებას და, მერწმუნეთ, ამას დიდი სიხარულით გაგაკეთებ, — როცა დონი ამ კილოთი ლაპარაკობდა, მისი სიტყვების დაუჯერებლობა და მასთან კამათი ყოვლად შეუძლებელი იყო.

ჰექტორ ადონისი ნათლულთან შესახვედრად მთაში რომ ადიოდა, ტორის ბედი დიდად აწუხებდა და აშფოთებდა. მასთან სრულიად ღიად აპირებდა ლაპარაკს. სურდა, ჯულიანოსთვის აეხსნა, რომ მისთვის მთავარი მათი ახლობლობა იყო, დონ კროჩესადმი მიცემულ დაპირებაზე უფრო მთავარი. როცა ყაჩაღთა ბანაკს მიადგა, კლდის პირას სკამები და გასაშლელი მაგიდები დახვდა. ტორი და ასპანუ მარტონი ისხდნენ.

— პირადად უნდა გესაუბრო, — უთხრა მან ტორის.

— პატარა კაცო, ტორის ჩემგან საიდუმლო არ აქვს, — შეუღრინა პიშოტამ.

ადონისს შეურაცხყოფისთვის ყურადღება არ მიუქცევია, მხოლოდ მშვიდად უპასუხა:

— ტორი მოგვიანებით გიამბობს იმას, რაც უნდა ვუთხრა, თუკი მოისურვებს. ეს მისი ნებაა. მაგრამ მე ვერ ავიღებ ჩემ თავზე ამ პასუხისმგებლობას.

ჯულიანომ პიშოტას მხარზე ხელი გადაუსვა.

— ასპანუ, დაგვტოვე. თუ შენთვის ამის ცოდნა შესაძლებელია, აუცილებლად გეტყვი.

პიშოტა უხალისოდ წამოდგა, ადონისს ცივი მზერა ესროლა და იქაურობას გაშორდა.

ჰექტორ ადონისი კარგა ხანს დუმდა, შემდეგ ალაპარაკდა:

— ტორი, შენ ჩემი ნათლული ხარ, პატარაობიდან მიყვარხარ. მუდამ გეხმარებოდი, გარიგებდი, წიგნებს გაძლევდი, მას მერეც კი, როცა ბანდიტი გახდი. შენ ერთ-ერთი ხარ თითოთ ჩამოსათვლელ იმ ადამიანთა შორის, ვინც ჩემი სიცოცხლის აზრს შეადგენს. და, ამის მიუხედავად, შენი დეიდაშვილი ასპანუ შურაცხყოფას მაყენებს, შენ კი ერთი სიტყვითაც კი არ საყვედურობ.

— შენ ამ ქვეყნად ყველაზე მეტად გენდობი, ჩემს მშობლებს თუ არ ჩავთვლით, — ჯავრიანად უთხრა ტორიმ.

— და ასპანუ? განა ის მეტისმეტად სასტიკი არ გახდა? განა მისი ნდობა შეიძლება?

ჯულიანომ თვალი გაუსწორა და ადონისი მისი სახის წრფელმა ღირსებამ და სილამაზემ განაცვიფრა.

— ვაღიარებ, ასპანუს შენზე მეტად ვენდობი, მაგრამ შენ ბავშვობიდან მიყვარხარ. შენი დამსახურებაა ის, რომ განათლებამ და სიბრძნემ გონება გამინათა. ვიცი, დედას და მამას ფულით ეხმარები და გაჭირვებაში მუდამ ჩემი ოჯახის ჭეშმარიტი მეგობარი იყავი. მაგრამ, მეორე მხრივ, „მეგობართა მეგობრებთან“ გაქვს საქმე და გუძანით ვხვდები, რომ დღესაც ამის გამო მოხვედი.

ადონისი კიდევ ერთხელ გააოცა ნათლულის ალლომ. მან ტორის ვითარება გააცნო.

— დონ კროჩე და შენ უნდა შეთანხმდეთ. დაიმახსოვრე, ვერც საფრანგეთის მეფემ, ვერც გარიბალდიმ, ვერც მუსოლინიმ საბოლოოდ ვერ დაამარცხა „მეგობართა მეგობრები“. მათთან ბრძოლაში გამარჯვებული ვერ გამოხვალ, ამის იმედი ნუ გექნება. გთხოვ, დონ კროჩეს დაუჩოქე და არაფერ იცის, მომავალში როგორ შეტრიალდება საქმე და სად აღმოჩნდება. დამიჯერე, დონ კროჩეს შვილივით უყვარხარ. დროთა განმავლობაში მისი მემკვიდრე გახდება, მისი საყვარელი შვილიც. ოღონდ ახლა მის ნებას დაემორჩილე.

ხედავდა, ტორი აღელვებული რომ იყო და გაფაციცებით უსმენდა.

— დედაშენზე იფიქრე. მთელ ცხოვრებას მთებში ვერ გაატარებ, დონ კროჩე კი შენთვის პატიების საბუთს იშოვის.

ახალგაზრდა დაფიქრდა, მერე კი სერიოზულად და აუჩქარებლად ალაპარაკდა.

— უპირველეს ყოვლისა, შენი გულწრფელობისთვის მადლობა მინდა გითხრა. შენი წინადადება ძალზე მიმზიდველია, მაგრამ მე სიცილიის ღარიბთა გასათავისუფლებად ვარ მოწოდებული და, არა მგონია, „მეგობრებსაც“ იგოვე მიზანი ჰქონდეთ. ისინი ჩემს მტრებს, რომაელ მდიდრებსა და დიდგვაროვნებს ემსახურებიან. მოვიცადოთ და ვნახოთ, რა მოხდება. ცხადია, პრინც ოლორტოს მოტაცებით მათ წინააღმდეგ წაუვდი, მაგრამ, მეორე მხრივ, დონ კროჩეს ხათრით ძველებურად ხელს არ ვკიდებ კვინტანას, მიუხედავად იმისა, რომ ეს კაცი მეზიზღება. გადაეცი ეს დონ კროჩეს და ისიც უთხარი, რომ იმ დღეს შევნატრი, როცა ჩვენი ინტერესები ერთიმეორეს დაემთხვევა და გაერთიანებული ძალებით მოქმედებას შევძლებთ. რაც შეეხება მაფიის დანარჩენ ბოსებს, რაც უნდათ, ის უქნიათ. მათი არ მეშინია.

გულდამძიმებულმა ადონისმა ეს პასუხი დონ კროჩეს მიუტანა, მან კი ლომის თავი ისე დახარა, თითქოს სხვა პასუხს არც ელოდა.

მომდევნო თვეებში მაფია სამჯერ ეცადა ჯულიანოს სიცოცხლის ხელყოფას. პირველი მცდელობა კვინტანას მიანდეს და მანაც ბორჯას¹ საკადრისი ვერაგობით დასახა გეგმა. მთებიდან ჩამოსვლისას ჯულიანო ძირითადად ერთსა და იმავე გზას იყენებდა. გზის გასწვრივ მინდორზე კვინტანამ ცხერის ფარა გაუშვა და მისი ზედამხედველობა სამ, თითქოსდა, უწყინარ მწყემსს დაავალა — სამივე მისი მეგობრები, კორლეონეს მცხოვრებლები იყვნენ.

ერთი კვირის განმავლობაში მწყემსები ყოველდღიურად ეგებებოდნენ გზაზე ჩამომავალ ჯულიანოს და ძველი ტრადიციისამებრ მისთვის ხელზე მთხვევის უფლებას სთხოვდნენ. ჯულიანო მათთან სასაუბროდ ჩერდებოდა; მწყემსები ხშირად უწევდნენ დახმარებას მის ბანდას და ის გამუდმებით ეძებდა ახალ თანამზრახველებს. ყოველთვის გულდამშვიდებული მოგზაურობდა, რადგან დაცვას გვერდიდან არ იშორებდა, ზოგჯერ კი პიშოტაც ახლდა თან, რომელიც ორ კაცს მაინც უდრიდა. მწყემსებს მსუბუქი ტანისამოსი ეცვათ, რომლის ქვეშაც შეუძლებელი იყო იარაღის დამალვა. მა-

¹ ბორჯა — ესპანური წარმოშობის იტალიური დიდგვაროვანი ოჯახის გვარი. მიჩნეულნი არიან, როგორც „ისტორიის პირველი კრიმინალური ოჯახი“ და იტალიური მაფიის წინამორბედნი.

გრამ ცხვრის მუცლებქვეშ ჩამოეკიდათ ლუპარები და იმ მომენტს ელოდნენ, როცა ჯულიანო მარტო, ანდა ნაკლებ ხალხთან ერთად ჩამოივლიდა. მაგრამ პიშოტას მწყემსების განსაკუთრებულმა გულითადობამ და ამ მიდამოებში ცხვრის ფარის უეცარმა მოსვლამ ეჭვები გაუჩინა. ინფორმაცია მოიძია და გაარკვია, რომ მწყემსები კვინტანას მოგზავნილი მკვლელები იყვნენ.

პიშოტას დრო აღარ დაუკარგავს, ბანდის წევრებთან ერთად მწყემსებს თავზე დაადგა, დაჰკითხა და მიხვდა, რომ ყოველი მათი სიტყვა ტყუილი იყო. დამალული იარაღიც უპოვა და მათი დასჯა მოითხოვა, მაგრამ ჯულიანომ ნება არ დართო: ვერაფრის ჩადენა ვერ მოასწრეს, ნამდვილი მტერი კი კვინტანა იყო.

მწყემსებს მონტელეპრეში დაევაღათ ცხვრის გარეკვა. იქ მთავარ მოედანზე დადგნენ და, როგორც დაუღლებული ჰქონდათ, გაიძახოდნენ:

— მოდით, მიიღეთ ძღვენი ტორი ჯულიანოსგან! ჯულიანო თითო ოჯახს თითო ბატკანს ჩუქნის! — ყველა მსურველს, ვინც კი მათთან მიდიოდა, ბატკანს უკლავდნენ, უტყავებდნენ და შინ ატანდნენ.

— გახსოვდეთ, — დაარიგა პიშოტამ, — ყველას ისე თავაზიანად უნდა მოექცეთ, როგორც პალერმოს მაღაზიებში მომუშავე ქალიშვილები ეპყრობიან კლიენტებს. და გვიდო კვინტანას ჩვენგან მოკითხვა გადაეცით.

დონ სიანომ სულ სხვა სტრატეგია აირჩია: თავისი ხალხი გაგზავნა პასატემპოსა და ტერანოვას მოსასყიდად, ჯულიანოს წინააღმდეგ რომ ემოქმედათ. მაგრამ ის არ გაუთვალისწინებია, რომ ჯულიანომ პასატემპოსნაირ ბოროტმოქმედსაც კი შეაყვარა თავი. ჯულიანომ კვლავაც არ ისურვა მკვლელების დასჯა, მაგრამ პასატემპომ თვითნებურად აწამა და უძძიმესი ჭრილობებით გაუშვა, წადით და დონ სიანოს დაენახვეთო.

მესამე მცდელობა კვლავაც კვინტანამ აიღო საკუთარ თავზე. სწორედ ამის შემდეგ დაკარგა ჯულიანომ მოთმინება.

მონტელეპრეში ახალი სასულიერო პირი დასახლებულიყო: ეს ის მოხეტიალე ბერი გახლდათ, რომელსაც სხეულზე სტიგმები გამოაჩნდა. ერთ კვირა დილით ადგილობრივ ეკლესიაში წირვა ჩაატარა და მრევლს თავისი წყლულები უჩვენა.

მამა დონატა ერქვა; მხარბეჭიანი, ზორბა კაცი იყო და ისე სწრა-

ფად დადიოდა, რომ კაბის კალთა ტყავის დაგლეჯილი ფეხსაცმელების თავზე უფრიალებდა. თმა მოთეთრო ქერა ჰქონდა, სახე — დაღარული და გაშავებული, თუმცა ჯერ ახალგაზრდა იყო. ერთ თვეში მთელი მონტელეპრე მასზე ლეგენდებს ჰყვებოდა, რადგან მძიმე შრომას არ უფრთხოდა, გლეხებს მინდორში ეხმარებოდა და მარტოხელა დედაბრებთან დადიოდა აღსარების მისაღებად. ამიტომაც, როცა ერთ კვირა დღეს წირვის შემდეგ ეკლესიის წინ მარია ლომბარდოს მიუახლოვდა და ჰკითხა, რა შემძლია თქვენი შვილისთვის გააკეთო, ქალს ეს სრულებით არ გაჰკვირვებია.

— ვიცი, მისი სულის მდგომარეობა გაწუხებთ. როცა შემდეგში გესტუმრებათ, დამიძახეთ და მის აღსარებას ჩავიბარებ.

მარია ლომბარდო მორწმუნე კი იყო, მაგრამ მღვდლები არ უყვარდა. თუმცა, ამ კაცმა მასზე შთაბეჭდილება მოახდინა. იცოდა, ტორი აღსარების თქმას არასოდეს მოინდომებდა, მაგრამ იფიქრა, შესაძლოა, რაიმეში გამოადგეს სასულიერო პირი, რომელიც მისდამი თანაგრძნობითაა განმსჭვალული. მან ბერს უპასუხა, შვილს თქვენი შემოთავაზების შესახებ ვაცნობებო.

— მის დასახმარებლად თანახმა ვარ, მთაშიც კი ავიდე, — განაგრძო მამა დონატამ, — ესეც გადაეცით. ჩემი ვალია, სულები წარწყმედისგან ვიხსნა, სხვა დანარჩენი არ მეხება.

ერთი კვირის შემდეგ ტორი ჯულიანო დედას ეწვია. მან სთხოვა, აღსარება ეთქვა მამა დონატასთვის. იქნებ, მღვდელს ეზიარებინა კიდევ და დედასაც გულზე მოეშვებოდა.

ჯულიანო შესამჩნევად დაინტერესდა. დედა ამან ძალზე გააკვირვა. ასპანუ პიშოტა ეკლესიაში გაგზავნეს მღვდლის მოსაყვანად. როგორც კი ჯულიანომ მამა დონატა დაინახა, მაშინვე გაუძარტლდა ეჭვები: ეს ადამიანი მეტისმეტად ქმედითი ჩანდა და ტორისადმი მეტისმეტად დიდ თანაგრძნობას გამოხატავდა.

— შვილო, ოთახში განუმარტოვდეთ და თქვენს აღსარებას ჩავიბარებ. შემდეგ აქვე გაზიარებთ, ყველაფერი თან მაქვს, — ილღიაში ამოდებული ხის კოლოფი უჩვენა, — თქვენი სული დედათქვენის სულივით განსპეტაკდება და, თუ რაიმე უბედურება შეგემთხვავთ, პირდაპირ ზეცაში მოხვდება.

— ყაუასა და ნამცხვრებს მოგიშვადებთ, — თქვა დედამ და სამზარეულოში გავიდა.

— აღსარებას აქ ჩაგაბარებთ, — უთხრა მღვდელს ჯულიანომ.

— თქვენმა მეგობარმა ოთახი უნდა დატოვოს, — მიუთითა მამა დონატამ ასპანუზე.

— ჩემი ცოდვები ყველასთვის ცნობილია, — გაელიმა ტორის, — ისინი ყველა გაზეთშია დაწერილი, სხვა მხრივ კი სული სუფთა მაქვს. მხოლოდ ერთი ტვირთი მაწევს: ბუნებით ეჭვიანი ვარ, ამიტომაც თქვენი ხის ყუთის შიგთაჟსი უნდა გვიჩვენოთ.

— ზიარების პურებია, გიჩვენებთ, — უპასუხა მამამ დონატამ, მაგრამ როცა ყუთის გახსნას შეუდგა, პიშოტამ ზურგზე პისტოლეტის ლულა მიაღო. ჯულიანომ მღვდელს ყუთი ხელიდან გამოართვა. იმწამს ერთმანეთს თვალებში შეხედეს. ყუთის ხაერდოვან სარჩულზე მუქლურჯი აუტომატური პისტოლეთი ბზინავდა.

პიშოტამ დაინახა, ტორი როგორ გაფითრდა და ტყვიისფერ თვალებში მრისხანება აენტო.

ჯულიანომ ყუთი დახურა და მღვდელს უთხრა:

— ეკლესიაში უნდა წავიდეთ და ერთად ვილოცოთ. თქვენთვისაც ვილოცოთ და კვინტანასთვისაც. უფალს შევთხოვოთ, კვინტანას სული ბოროტებისაგან განწმინდოს, თქვენი კი — სიხარბისაგან. რამდენს დაგპირდათ ჩემი მოკვლისთვის?

მამა დონატა არ შეშინებულა. მანამდე მოგზავნილი მკვლევლები იოლად გადარჩნენ. მხრები აიჩეჩა და ღიმილით უპასუხა:

— მთავრობის მიერ დაწესებული გადასახადი და დამატებით ხუთი მილიონი ლირა.

— კარგი ფასია, — თქვა ჯულიანომ, — გამდიდრება რომ გსურდათ, ამაში არ გადანაშაულებთ, მაგრამ დედაჩემის მოტყუებას არ გაპატიებთ. ნამდვილი მღვდელი ხართ?

— მე? არა, — უპასუხა დონატამ, — მაგრამ მეგონა, ეჭვს ვერავინ აიღებდა.

ქუჩაში ერთად გავიდნენ, ჯულიანოს ხის კოლოფი მოჰქონდა, პიშოტა უკან მიჰყვებოდათ. ეკლესიაში შევიდნენ. ჯულიანომ მამა დონატა საკურთხევლის წინ დააჩოქა და მისივე პისტოლეთი მიაღო კუფაზე.

— ერთ წუთს გაძლევთ ლოცვის სათქმელად.

მეორე დილით გვიდო კვინტანა კაფეში გაემართა ყავის დასალუ-
ვად. წამით გაოცდა, კარზე აფარებულმა ვეება ჩრდილმა დილის სი-
ნათლე რომ დაფარა. მეორე წამს ლამის ზედ დაეცა ფიცრებისაგან
შეკრული ჯვარი, რომელზეც მამა დონატას ტყვიებით დაცხრილუ-
ლი გვამი იყო გაკრული.

დონ კროჩე გამუდმებით ამ მარცხზე ფიქრობდა. კვინტანამ ჯუ-
ლიანოსგან გაფრთხილება მიიღო: მას დამორჩილებოდა, წინააღმ-
დეგ შემთხვევაში, მონტელეპრეს მერი აღარ დასჭირდებოდა. აშკარა
იყო, რომ ჯულიანომ მოთმინება დაკარგა და „მეგობრებს“ აშკა-
რა ომი გამოუცხადა. მის მოქმედებებში დონმა ნამდვილი ოსტა-
ტის ხელი ამოიციწო. ჯულიანოსთვის მხოლოდ ერთი, შეუცდომე-
ლი დარტყმის მიყენებალა შეიძლებოდა. დონმა იცოდა, რომ ახლა
მისი ჩარევის დრო დადგა. სურვილის საწინააღმდეგოდ გადაწყვიტა,
მაინც ემოქმედა. თავისი ყველაზე სანდო მკვლეელი, ვინმე სტეფან
ანდოლინი, დაიბარა, ვისაც „ფრა დიაბოლოს“ — ეშმაკის ძმას —
უწოდებდნენ.

თავი 14

მონტელეპრეს გარნიზონი ასზე მეტი კარაბინერით შეივსო. იმ
იშვიათ შემთხვევებში, როცა ჯულიანო ოჯახის მოსანახულებლად
ქალაქში იპარებოდა, ყოველ წამს მოელოდა კარაბინერთა თავდასხ-
მას.

ერთ ასეთ საღამოს, როცა მისი მშობლები ამერიკას იხსენებდ-
ნენ, ტორის ერთი აზრი გაუჩნდა. მამამისი, უფროსი სალვატორე,
ღვინოს სვამდა და ძველ მეგობრებს ებაასებოდა, მასთან ერთად
რომ გაემგზავრნენ ამერიკაში და შემდეგ მასთან ერთად დაბრუნდ-
ნენ. მას მერე ერთმანეთს მუდამ ხუმრობით საყვედურობდნენ,
ეს რა სისულელე ჩავიდინეთო. დურგალმა ალფიო დორიომ ჯუ-
ლიანოს მამას ის წლები მოაგონა, ვიდრე ორივე ნათლია დონ
კორლეონესთან დაიწყებდა მუშაობას. მდინარის ქვეშ გვირაბს
თხრიდნენ. ვერც ერთმა ვეღარ გაიხსენა, ნიუ-ჯერსიში მიდიოდა
ეს გვირაბი თუ ლონგ აილენდში. გაიხსენეს, რა სარისკო იყო
მდინარის ქვეშ მუშაობა: ყოველ წუთს შეიძლებოდა მიღები გამსკ-

დარიყო და ვირთხეობით დამხრჩვალყენენ წყალში. ჯულიანომ მაშინვე მოიფიქრა: ეს ორი გამოცდილი მთხრელი სანდო ხელქვეითებთან ერთად მთებიდან მის სახლამდე გვირაბს გათხრიდა. ამოსასვლელი მთებიდან სულ რაღაც ას იარღში, დიდ ლოდებს შორის იქნებოდა დამალული, სახლში კი რომელიმე კარადაში ან სამზარეულოს ქურის ქვეშ ამოიყვანდნენ ხერულს. თუ ეს მოხერხდებოდა, ჯულიანო თავისუფლად მიმოსვლას შეძლებდა. უფროსმა მამაკაცებმა უთხრეს, ეს შეუძლებელიაო, მაგრამ დედა აღფრთოვანდა, როგორც კი წარმოიდგინა, მისი ვაჟი ზამთრის ცივი დამებების თავის ლოგინში გატარებას შეძლებდა. ალფიო დორიომ განაცხადა, თხრა ღამლამობით მოგვიწვეს, ვერავინ რომ დაგვინახოს, ამიტომ ეს ძალზე დიდ დროს წაიღებსო. ან ამოთხრილი მიწა სად უნდა წაეღოთ ისე, რომ არავის არაფერი შეენიშნა? ნიადაგიც ქვიანი იყო: გრანიტის ქანი როგორ დაემსხვრიათ? მუშახელსაც ადვილად შეეძლო, გვირაბის საიდუმლო გაეთქვა. მთავარი არგუმენტი კი ის იყო, რომ სამუშაო ერთ წელიწადს მაინც გაგრძელდებოდა. ჯულიანო მიუხვდა, რომ გულის სიღრმეში ფიქრობდნენ, ის ამდენ ხანს ვერ იცოცხლებდა. დედამაც იგივე გაიფიქრა და მამაკაცებს მიმართა:

— ჩემი შვილი ისეთ რამეს გთხოვთ, რაც მისი სიცოცხლის შენარჩუნებას დაეხმარება. თქვენ თუ გეზარებათ, მე გავაკეთებ. ბოლოს და ბოლოს, ცდა ბედის მონახევრეა. რას ვკარგავთ ჩვენივე ოფლის გარდა? პოლიციამ გვირაბი რომც აღმოაჩინოს, რას დაგვაკლებს? ჩვენს მიწაზე სრული უფლება გვქვს, სადაც გვსურს, იქ ვთხაროთ. შეგვიძლია, ვთქვათ, რომ მარანს ვთხრით. დაფიქრდით იმაზე, რომ ამ გვირაბმა ერთ დღეს, შეიძლება, ტორი სიკვდილისაგან იხსნას. განა არ ღირს შრომად?

საუბარს ჰექტორ ადონისიც ესწრებოდა. დაჰპირდა, რომ მიწის სამუშაოების შესახებ წიგნებსა და საჭირო აღჭურვილობას იშოვიდა. გარდა ამისა, ისეთი რამ შესთავაზა, რასაც ყველანი დაეთანხმნენ: მთავარ ქუჩაზე განლაგებულ კიდევ ერთ სახლში გამოეყვანათ გვირაბის გვერდითი შტო, იმ შემთხვევისათვის, თუ გასასვლელთან საფრთხე აღმოჩნდებოდა, ან, თუ გვირაბის ამბავს ვინმე გაახმაურებდა. ამ გვერდით გასასვლელს სულ თავიდან გათხრიდნენ: მხოლოდ ორი მოხუცი და მარია ლომბარდო იმუშავებდნენ და მათ

გარდა მისი არსებობის შესახებ არავის ეცოდინებოდა. ეს სამუშაო დიდ დროს არ დაიკავებდა.

დიდხანს ითათბირეს, რომელი სახლი შეერჩიათ. ჯულიანოს მამამ ასპანუ პიშოტას მშობლების სახლი შესთავაზა, მაგრამ ტორიმ ეს აზრი მაშინვე უკუაგდო. ეს სახლი ყველაზე უფრო ფხიზელი მეთვალყურეობის ქვეშ იქნებოდა, თანაც იქ ძალზე ბევრი ნათესავი ცხოვრობდა. ვინმეს აუცილებლად წამოსცდებოდა. გარდა ამისა, ასპანუს ოჯახთან კარგი ურთიერთობა არ ჰქონდა: ღვიძლი მამა მოუკვდა, დედა მეორედ გათხოვდა და შეიღმა ეს ვერ აპატია.

ჰექტორ ადონისმა თავისი სახლი შესთავაზა, მაგრამ ის ძალზე შორს იყო და თან ჯულიანოს არ სურდა ნათლიის საფრთხეში ჩაგდება. თუ გვირახს აღმოაჩენდნენ, სახლის პატრონს დააპატიმრებდნენ. სხვა ნათესავებიც გადასინჯეს და შესაფერისი ვერავინ იპოვეს. ბოლოს ჯულიანოს დედამ თქვა:

— ერთადერთი გამოსავალი რჩება. მარტოხელა ქალია, აქედან სულ ოთხი სახლის მოშორებით ცხოვრობს, ქმარი კარაბინერებმა მოუკლეს და ამიტომაც ისინი სძულს. ჩემი უახლოესი მეგობარია და ტორიც შვილივით უყვარს. განა მთელი ზამთრის განმავლობაში არ უგზავნიდა საჭმელს? მე სრულებით ვენდობი, — წუთით დადუმდა და მერე დაასახელა: — ლა ვენერა.

საუბრისას ყველანი ელოდებოდნენ, ამ სახელს როდის იტყოდა. გონებაში ყველას ეს არჩევანი უტრიალებდა, მაგრამ სიცილიელი მამაკაცები ამგვარ შეთავაზებას თვითონ ვერ გააკეთებდნენ. ლა ვენერა ახალგაზრდა ქვრივი იყო და, თუ ეს ამბავი გახმაურდებოდა, სახელი გაუტყდებოდა, რადგან ყველა გაიგებდა, რომ თავის პირად საცხოვრებელს ახალგაზრდა მამაკაცს უთმობდა. ამგვარად შერცხვენილ ქალს არც ერთი სიცილიელი ცოლად აღარ მოიყვანდა. მართალია, ლა ვენერა ჯულიანოზე თხუთმეტი წლით უფროსი იყო, მაგრამ ჯერ ორმოცი არ შესრულებოდა, ლამაზი თუ არა, მიძინიღველი მაინც ეთქმოდა და თვალებში ცეცხლი ენთო. რაც უნდა ყოფილიყო, ქალი იყო, ტორი კი კაცი, და გვირახი მათ განმარტოებით ერთად ყოფნას უზრუნველყოფდა. არც ერთ სიცილიელს ეჭვი არ შეუპარებოდა იმაში, რომ ამის შედეგად ისინი საყვარლები გახდებოდნენ. ამგვარად, გვირახი, რომელიც, შესაძლოა, ოდესმე ტორის სიცოცხლეს იხსნიდა, ამ ქალს სამუდამოდ გაუტყებდა სახელს.

ამწამს ჯულიანოს გარდა ყველანი ერთსა და იმავეს ფიქრობდნენ: ტორი ჯულიანოს სქესობრივი უმწიკვლოება მის ახლობლებს დიდად ადარდებდათ, რადგან ეს სიცილიელი მამაკაცისათვის უჩვეულო რამ გახლდათ. ის, თითქოს, განგებ გაუბოდა ქალებთან ურთიერთობას. მისი ბანდის წევრები პალერმოში მეძავებს სტუმრობდნენ; ასპანუ პიშოტა საქვეყნოდ იყო ცნობილი თავისი სკანდალური სასიყვარულო ისტორიებით; ტერანოვა და პასატემპოც ღარიბ ქვრივებს ასაჩუქრებდნენ და მათთან ცხოვრობდნენ. პასატემპოს მოძალადის სახელიც კი ჰქონდა გავარდნილი, თუმცა, რაც ჯულიანოს შეუერთდა, უწინდელზე უფრო ფრთხილად იქცეოდა. ჯულიანო თავის ხელქვეითებს ქალის გაუპატიურებისათვის სასტიკი სასჯელით დაემუქრა.

ამის გამო ყველანი ჯულიანოს დედისაგან მოელოდნენ მეგობრის სახელის ხსენებას და, მიუხედავად ამისა, როცა მან ლა ვენერა დაასახელა, ოდნავ გაოცდნენ. მარია ლომბარდო ტრადიციების დამცველი მორწმუნე ქალი იყო და ქალაქელ ქალიშვილებს ქუჩაში მარტოდ გავლისთვისაც კი კიცხავდა. თუმცა მის გარდა არავინ იცოდა, რომ ლა ვენერა მშობიარობის შემდეგ არასწორი მკურნალობის გამო ვეღარ დაორსულდებოდა. არც ის იცოდნენ, რომ მარია ლომბარდოს სურდა, ლა ვენერას მისი ვაჟი ალერსითა და ქალური სითბოთი ენუგეშებინა. რადგან ბანდიტი იყო და მისი დაჭერისათვის ჯილდო იყო დაწესებული, ადვილად შეიძლებოდა, ქალის გამო დაღუპულიყო. ახალგაზრდა ვაჟკაცი ქალის გარეშე დიდხანს ვერ იცხოვრებდა და მისთვის ყველაზე უფრო შესაფერისი მასზე უფროსი ქალი იყო, რომელიც დაქორწინებას არ მოსთხოვდა და შვილებსაც ვერ გაუჩენდა. ეს ქალი არც გაჰყვებოდა ცოლად ბანდიტს: მისთვის ერთი უბედურებაც კმაროდა, ქმარი თვალწინ მოუკლეს. ყველაფერი საუკეთესოდ მოგვარდებოდა, თუმცა ამით ლა ვენერას სახელი გაუტყდებოდა, ამიტომაც თვითონ უნდა მიეღო გადაწყვეტილება.

რამდენიმე დღეში მარია ლომბარდომ ქალს უთხრა კიდევ გვირავის შესახებ. მისდა გასაოცრად, ლა ვენერამ ამაყად და სიზარულით მისცა თანხმობა. დედა მიხვდა, რომ ქალს ტორი ფარულად მოსწონდა. ასემც იყოსო, გაიფიქრა თვალეზაცრემლებულმა მარია ლომბარდომ, როდესაც ლა ვენერა გულში ჩაიკრა.

გვერდითი გვირაბი ოთხ თვეში მზად იყო, მთავარს კი, სულ ცოტა, ერთი წელიწადი მაინც დასჭირდებოდა. დროდადრო ჯულიანო ქალაქში იპარებოდა, დედის მომზადებულ ცხელ ვახშამს მადიანად შეექცეოდა და თავის საწოლში ატარებდა ღამეს. ასეთ დღეს ოჯახში მუდამ ზეიმობდნენ. მაგრამ გაზაფხულამდე გვერდითი გვირაბი ერთხელაც კი არ დასჭირვებია. ადრე გაზაფხულის ერთ დღეს, როცა ქალაქში იყო, კბილებამდე შეიარაღებული კარაბინერების რაზმმა მთავარ ქუჩაზე ჩაიარა. ახლომდებარე სახლებში დამალული ჯულიანოს დაცვა საბრძოლველად მზად იყო. ჯულიანო მშობლების საძინებელში გაჭრილი ხერულიდან გვირაბში მიიძალა.

მთავარი გვირაბისაგან ეს გასასვლელი ფიცრით იყო გადაღობილი და იმგვარად შენიღბული, რომ გვირაბის მთხრელებმა მისი არსებობის შესახებ არაფერი იცოდნენ. თხუთმეტი წუთი დასჭირდა მეორე სახლამდე მისაღწევად, სადაც ხერული სამზარეულოში ამოდიოდა, ზემოდან კი რკინის მძიმე ქურა ედგა. ჯულიანომ წინასწარ შეთანხმებული მანერით დააკაკუნა და დაელოდა. კვლავ დააკაკუნა. ტყვიების არ ეშინოდა, მაგრამ ამ სიბნელემ შეაშინა. ბოლოს და ბოლოს ზემოთ ფაჩუნი გაისმა, მერე კი ლუკი აიხადა, თუმცა ბოლომდე არა: ქურის სიმძიმემ ლუკი გაბზარა. ჯულიანო გაჭირვებით ამოძვრა და ლა ვენერას სამზარეულოს იატაკზე მუცლით გახოხდა. მიუხედავად იმისა, რომ ღამე იყო, ლა ვენერას კვლავაც თავისი უფორმო ძაძები ეცვა, მაგრამ ფეხშიშველი იყო. ვიდრე იატაკიდან ადგებოდა, ტორიმ მისი ფეხების განსაკუთრებული სითუთრე იგრძნო, ასე ძალიან რომ განსხვავდებოდა მისი გარუჯული სახის კანისა და მისი მძიმე ტალღოვანი თმის სიმუქისაგან. პირველად შენიშნა ისიც, რომ ქალს, ადგილობრივთა უმრავლესობისგან განსხვავებით, განიერი სახე კი არ ჰქონდა, არამედ სამკუთხედი, თვალები კი — მუქი თაფლისფერი, შავი წინწკლებით, რაც ასევე წინათ არ შეუმჩნევია. ხელში გავარვარებული მუგუზლებით საესე აქანდაზი ეჭირა, მზად იყო, საფრთხის შემთხვევაში ლუკის ქვეშ შეეყარა. ჯულიანოს თვალწინ მუგუზლები ღუმელში ჩაყარა და აქანდაზი კუთხეში მიაყუდა. ოდნავ შეშინებული ჩანდა.

— არაფერია, — დაამშვიდა ჯულიანომ, — უბრალოდ, ქუჩაში პატრული დადის. როგორც კი ბარაკებში დაბრუნდებიან, მეც წავალ. ჩემზე არ იდარდო, ქუჩაში მელოდებიან.

ერთხანს მოიცადეს. ლა ვენერამ ყავა მოუდულა, ისხდნენ და საუბრობდნენ. ქალმა შენიშნა, რომ ტორი, მისი ქმრის მსგავსად, შფოთიანი და დამფრთხალი სულაც არ ჩანდა. არც ფანჯრებიდან იჭყიტებოდა, არც კრთებოდა ქუჩაში ყოველ გაფაჩუნებაზე, სრულიად მოდუნებული იჯდა. ის კი არ იცოდა, რომ ტორიმ ნებისყოფის ძალით გამოიმუშავა ამგვარი ქცევა სწორედ მას შემდეგ, რაც მან თავისი ქმრის შესახებ უამბო: ოჯახის წევრების, პირველ რიგში, დედის შეშინება არ სურდა. ისეთი მშვიდი და თავდაჯერებული იყო, რომ ქალმაც მალე დაივიწყა საფრთხე, ისხდნენ და ქალაქის ჭორებს ჰყვებოდნენ.

ქალმა ჰკითხა, ის საკვები თუ მიიღო, რასაც დროდადრო უგზავნიდა. ტორიმ მადლობა მოახსენა და ისიც აღუწერა, თუ რა სიხარულით ხსნიდნენ ის და მისი ამხანაგები სათუთად გამზადებულ შეკვრებს, თითქოს, ეს მოგვთა უძვირფასესი ძღვენი ყოფილიყო, და ქება-დიდებას უძღვნიდნენ მის კერძებს. მათი ტლანქი ხუმრობები კი აღარ უხსენებია: არაერთხელ უთქვამთ, თუ ეს ქალი საწოლშიც ისეთივე კარგია, როგორც სამზარეულოში, მისნაირს მეორეს ვერსად იპოვიო. ტორი ქალს ახლა დაჟინებით აკვირდებოდა, მას კი სრულიად სხვაგვარად ეჭირა თავი. ხალხში მუდამ უყვავებდა და ეალერსებოდა, ახლა კი მკაცრი და უცინარი ჩანდა. ნეტავ, რამით ხომ არ ვაწყენინეო, იფიქრა ტორიმ. როცა საფრთხემ ჩაიარა და მისი წასვლის დრო დადგა, ერთმანეთს თავაზიანად და ცივად დაემშვიდობნენ.

ორი კვირის შემდეგ ტორი კვლავ ესტუმრა ქალს. ზამთარი იწურებოდა, მაგრამ მთაში სუსხიანი ქარი უბერავდა, გზისპირა სალოცავებზე კი წვიმის წვეთები ეკიდა. ჯულიანო გამოქვაბულში შეყუყულიყო და დედამისის სადილზე, ცხელ აბაზანასა და თავის ბავშვობის ოთახზე ოცნებობდა. ამ მონატრებასთან ერთად, თავისდა გასაოცრად, დროდადრო ლა ვენერას თეთრი ფეხები აგონდებოდა. ღამე რომ ჩამოწვა, სტვენით მოუხმო დაცვას და ქალაქისაკენ გაეშურა.

მისიანებმა დიდად გაიხარეს. დედა მისი საყვარელი კერძების მომზადებას შეუდგა და ცხელი აბაზანაც მოუმზადა. მამამ შვილს ჭიქით ანისეტი დაუდგა. უეცრად ჯაშუშმა შეატყობინა, რომ კა-

რაბინერთა რაზმი ქალაქს ალყას არტყამს და ბელამპოს ბარაკუბიდან თვით მარშლის მეთაურობით მოემართება რაზმი ჯულიანოს სახლის გასაჩხრეკად.

ჯულიანომ კარადა გამოაღო და ხვრელში შეძვრა. მიწა წვიმისაგან ატალახებულყო და გვირაბში გასვლა გაუჭირდა. როცა ლა ვენერას სამზარეულოში ამოძვრა, ტანისამოსი ტალახით ჰქონდა მოთხვრილი, სახე კი სულ გაშავებოდა.

მის დანახვაზე ლა ვენერას გაეცინა. ტორიმ პირველად ნახა მისი სიცილი.

— მაგრივით გაშავებულხარ!

ტორიმ წამით ბავშვური წყენა იგრძნო, იქნებ, იმიტომ, რომ სიცილიური თოჯინების თეატრის პერსონაჟი მაგრები მუდამ ბოროტები იყვნენ, მას კი გმირად ყოფნა უნდოდა. ან, იქნებ, იმიტომ, რომ ეს სიცილი ქალმა თითქოს მის ფარულ სურვილებს ზღუდედ ააფარა. ქალიც მიხვდა, რომ თავმოყვარეობა შეუღალა.

— გობს წყლით ავაკსებ და ჩამოიბანე, ტანისამოსსაც გაგისუფთავებ, მანამდე კი შეგიძლია ჩემი ქმრისაგან შემორჩენილი ნივთები ჩაიცვა.

ეგონა, ჯულიანო უარს იტყოდა საფრთხის მოლოდინში ტანთ გახდასა და დაბანაზე. მისი ქმარი მუდამ ისე ღელავდა, რომ მასთან მისული, არც ტანთ იხდიდა და არც იარაღს იხსნიდა. ჯულიანომ კი ღიმილით შეიხსნა ვაზნების ასხმა და ქურთუკიც გაიხადა. ყველაფერი ხის სკივრზე დადო, რომელშიც ლა ვენერას ბუხრის ასანთები ფიჩხი ეწყო.

ვიდრე გობის ასავსები წყალი ცხელდებოდა, ქალმა ყავა მოუმზადა და თვალი შეავლო. ანგელოზით ლამაზიაო, გაიფიქრა, მაგრამ თავს არ იტყუებდა: მისი ქმარიც ლამაზი იყო, მაგრამ ადამიანებს ბუზებოვით ხოცავდა. ბოლოს კი, ტყვიებით დაცხრილული, სულაც არ ყოფილა ლამაზიო, გაიფიქრა ქალმა გულისტკივილით. სიცილიაზე მამაკაცი სილამაზის გამო არ უნდა შეიყვარო. ქმარს როცა გლოვობდა, გულის სიღრმეში უცნაურ შვებასაც გრძნობდა. იმ დღიდან, როცა ბანდიტი გახდა, სასიკვდილოდ იყო განწირული და ქალი ყოველ წუთს ელოდა, მთებიდან თუ შორეული ქალაქიდან ქმრის სიკვდილის ამბავს რომ მოუტანდნენ. მაგრამ ის მის თვა-

ლწინ ჩაცხრილეს. მას მერე ქალს არ ტოვებდა სიკვდილის განცდა — არა იმიტომ, რომ ქმარი ყაჩაღი ჰყავდა, არამედ იმიტომ, რომ სამარცხვინოდ და ლაჩრულად მოკვდა. პოლიციელებს დანებდა და ემუდარებოდა, შემინწყალეთო, მაგრამ შეწყალებას ვერ ეღირსა. კიდევ კარგი, მათი ქალიშვილი მამის მკვლელობას ვერ შეესწრო. ღმერთმა ეს წყალობა მაინც გაიღო.

შენიშნა, რომ ტორი ჯულიანო ანთებული თვალებით უშხერდა. კარგად იცნობდა მამაკაცის მხერაში სურვილის ამ ცეცხლს. ქმრის ამხანაგები ხშირად უშხერდნენ ასე. მაგრამ ქალმა იცოდა, ტორი მასზე ძალას არ იხმარდა, რადგან დედის შეურაცხყოფას მოერიდებოდა და, თანაც, ლა ვენერას იმისათვის ემადლიერებოდა, რომ თავის სახლში გვირაბის გათხრის ნება დართო.

ქალი სამზარეულოდან სასტუმრო ოთახში გავიდა, ყმაწვილს მშვიდად რომ ებანავა. ჯულიანომ ტანთ გაიხადა და გობში ჩადგა. აღელვებდა იმის განცდა, რომ გვერდით ოთახში ქალი იყო, ის კი გაშიშვლებულიყო. გულდაგულ დაიბანა და დაღუპული ბანდიტის ტანისამოსი ჩაიცვა. შარვალი ოდნავ მოკლე ჰქონდა, პერანგი კი — ვიწრო. საკინძის ზედა ღილები გახსნილი დაიტოვა. ღუმელთან გასათბობად გადაფენილი პირსახოცი გაცვეთილ-დაკონკილი იყო და ძლივსდა ამშრალეებდა. ტორიმ მხოლოდ ახლა გაიაზრა, რომ ქალს ძალიან უჭირდა და გადაწყვიტა, დედამისის ხელით მისთვის ფული გადაეცა.

ლა ვენერას გასძახა, ჩაცმული ვარ და შემოდით. ქალმა თვალი შეაუღო და თქვა:

— თავი რომ არ დაგიბანია? თმა ჭუჭყით გაქვს სავსე! — ხმაში ალერსიანი ბგერები უკრთოდა, არ სურდა, ბიჭი განაწყენებულიყო. მზრუნველი დიდედას მსგავსად გადაუსვა ხელი ნოტიო თმაზე, მერე მკლაფზე წაეტანა და ონკანთან მიიყვანა.

ჯულიანოს ქალის მიკარებისთანავე ცხელმა ალმა დაუარა. საჩქაროდ შეუშვირა თავი წყლის ჭავლს. ქალმა თმა სამზარეულოს ყვითელი საპნით აუქაფა, რადგან სხვა არ გააჩნდა. ამ დროს ფერდებითა და ფეხებით ტორის ტანს ეხებოდა და ყმაწვილს ძლიერ მოუნდა, მის მკერდსა და რბილ მუცელს შეხებოდა.

საპონი რომ ჩამობანა, ქალმა ტორი სამზარეულოს სკამზე დასვა

და საგულდაგულოდ გაუმშრალა თმა, რომელიც იმდენად წამოზრდოდა, რომ პერანგის საყელოს უფარავდა.

— კინოფილმიდან გადმოსულ დარდიმანდ ინგლისელ ლორდს ჰგავხარ, — უთხრა ქალმა, — თმა უნდა შეგჭრა, მაგრამ სამზარეულოში არ მინდა: ყველაფერს მოედება და ქვაბებშიც ჩაცვივდება. მეორე ოთახში წამოდი.

ჯულიანოს მისი სიმკაცრე ახალისებდა: ქალი თითქოს განგებ თამაშობდა მკაცრი დედისა თუ მამიდის როლს, ნამდვილი გრძნობები რომ არ გამოემჟღავნებინა. ტორი ამ ნიღაბს ამოფარებულ ვნებას გრძნობდა, მაგრამ გამბედაობა აკლდა. ამ სფეროში გამოუცდელი იყო და შეცდომის დაშვების ეშინოდა. უცხო მიწაზე შეაბიჯა ფეხი, თუმცა უკანასკნელი წლის ყაჩაღურმა ცხოვრებამ დააფაჟკაცა და ყმაწვილური შიშიც დაავიწყა. მიუხედავად უმწიკვლოების შარავანდედისა, მეგობრებთან ერთად პალერმოელ მეძავებთან ყოფილა, თუმცა ეს მანამდე მოხდა, ვიდრე მთაში გაიჭრებოდა და სახალხო გმირის სახელს მოიხვეჭდა, ვისაც ამგვარი უზნეობა არ ეკადრებოდა.

ლა ვენერამ პატარა ოთახში შეიყვანა, სადაც ძველი, შელახული ავეჯი იდგა. დაბალ მაგიდებზე მისი გარდაცვლილი ქმარ-შვილის სურათები იდო. ზოგიერთ სურათზე თავისიანებთან ერთად ლა ვენერაც ჩანდა. სურათები შავ ოვალურ ჩარჩოებში იყო ჩასმული. ტორი გაოცდა, როცა სურათებზე ლამაზი, მოლიმარი ლა ვენერა იხილა, განსაკუთრებით ახალგაზრდული ჩაცმულობა უხდებოდა. ერთ-ერთ სურათზე, საგანგებოდ რომ უნდა ყოფილიყო გადაღებული, ქალი მარტო იყო გამოსახული ღვინისფერ კაბაში. ამ სურათმა ჯულიანო სულით ხორცამდე შეძრა. გონებაში გაუელვა, ალბათ, მის ქმარს ამ ძვირფასი კაბის მოსაპოვებლად რამდენი დანაშაულის ჩადენა დასჭირდებოდაო.

— ნუ შეხედავ ამ სურათებს, — უთხრა ლა ვენერამ ნალვლიანი ღიმილით, — ისინი მაშინაა გადაღებული, როცა ჯერ კიდევ მეგონა, განგება ბედნიერებას მარგუნებდა, — ტორიმ იფიქრა, იქნებ, ამ ოთახში სწორედ ამ სურათების სანახაოდ შემომიყვანაო.

ქალმა ოთახის კუთხიდან სამფეხა სკამი მოაჩოჩა და ჯულიანო ზედ დასვა. მოოქრული კოხტა ზარდახშიდან მაკრატელი, საპარსი და სავარცხელი ამოიღო — ეს ძვირფასი ძღვენი ბანდიტმა კანდელერიაშვილმა ცოლს ერთხელ საშობაოდ მიართვა. მერე საძინებელში გავი-

და, თეთრი ზეწარი მოიტანა და ჯულიანოს მხრებზე გადაათარა. ხის ჯამიც მოიტანა და მაგიდაზე დადგა. ფანჯრის წინ ჯიპმა გაიარა.

— სამზარეულოდან შენი იარაღი ხომ არ მოგიტანო? — ჰკითხა ქალმა, — ასე უფრო უსაფრთხოდ იგრძნობ თავს?

ჯულიანომ მშვიდად და სერიოზულად ახედა. ქალის შეშინება არ სურდა. ორივემ მშვენივრად იცოდა, რომ ჯიპი კარაბინერებით იყო სავსე და ჯულიანოს სახლის გასაჩხრეკად მიემართებოდა. მაგრამ ტორიმ ორი რამ იცოდა: ჯერ ერთი, თუ კარაბინერები აქ შემოსვლას შეეცდებოდნენ, პიშოტა და მისი ხალხი ყველას ამოხოცავდა; გარდა ამისა, ვიდრე სამზარეულოდან გავიდოდა, ქურა ისევ თავის ადგილას გასწია, ასე რომ, გვირაბიდან ვერავინ ამოვიდოდა.

ქალს ნაზად შეეხო მკლავზე.

— არა, ჩემი იარაღი არ მჭირდება, თუ, რა თქმა უნდა, მაგ სამართებლით ყელის გამოჭრას არ მიპირებ, — ორივეს გაეცინა.

მერე ქალმა ტორი ჯულიანოს თმის შეჭრა დაიწყო. თითოეულ დალალს ფრთხილად აქცევდა თითებს შორის, მოჭრილ ბოლოებს კი ხის ჯამში ყრიდა. ჯულიანო გაუნძრევლად იჯდა. მაკრატლის ჩუმი ჭრიალით მონუსხული ოთახის კედლებს აშტერდებოდა, რომლებზეც ცნობილი ყაჩაღის, კანდელერიას, გადიდებული პორტრეტები ეკიდა. თუმცა ის სიცილიის მხოლოდ ამ მცირე პროინციაში იყო ცნობილი, — ეს გაიფიქრა ჯულიანომ, რომლის ახალგაზრდული ჟინი უკვე ეჯიბრებოდა ქალის დალუპულ ქმარს.

რუტილიო კანდელერია წარმოსადგეი კაცი ყოფილა. მაღალი შუბლი და უხვი წაბლისფერი თმა ჰქონია. ჯულიანომ გაიფიქრა, ნეტავ, მასაც ეს ქალი თუ სჭრიდა თმასო. სახეს ხშირი სამხედრო უღვაში უმშვენებდა, რომლის წყალობითაც უფრო ხნიერი ჩანდა, თუმცა მხოლოდ ოცდათხუთმეტისა დაიღუპა. ოვალური პორტრეტიდან მშვიდი, თითქმის ნეტარი გამომეტყველებით იმზირებოდა და მხოლოდ თვალები და ბაგე ამხელდა მრისხანებას. ამჟღეროულად, მის სახეში რაღაც ისეთი იყო, რაც ბედისადმი სრულ მორჩილებას გამოხატავდა. მათ მსგავსად, ვინც სამყაროზე ხელი აღმართა და მისთვის რაიმეს წაგლეჯვა განიზრახა, ვინც საკუთარი კანონით ცხოვრობდა და შეეცადა, საზოგადოებისთვისაც მოეხვია თავზე ეს კანონი, ამ ადამიანის ხვედრიც უეცარი და სასტიკი სიკვდილი გახლდათ.

ხის ჯამი თანდათან ბზინვარე წაბლისფერი კულულებით იფარებოდა, ფრინველის ციციქნა ბუდეებს რომ მოგაგონებდათ. ჯულიანო გრძნობდა ზურგით ლა ვენერას მუხლების შეხებას. ქალის სხეულის სითბო ბამბის უხეშ ქსოვილშიც კი ატანდა. წინ, შუბლს ზევით რომ სჭრიდა თმას, ტორის მუხლებთან შეხებას ერიდებოდა, მაგრამ, როცა ქალი წინ იხრებოდა, მისი სახესე მკერდი თითქმის ეხებოდა ტორის სახეს და მისი კანის სურნელი ბუხრის ღია ცეცხლივით წვადა და კედლებზე ჩამოკიდებულ პორტრეტებს ცხელი ბინდით უფარავდა.

ქალი მოძრავალებული თეძოთი მიუბრუნდა და ხის ჯამში მორიგი კულული ჩააგდო. მუხლისთავით წამით ტორის მკლავს შეეხო და ბიჭმა კაბის ქვეშაც კი იგრძნო მისი კანის აბრეშუმისებრი სიგლუვე. ტანი ქვასავით გაიმაგრა. ქალი უფრო ძლიერად დაეყრდნო. ტორიმ ძლივს შეიკავა თავი იმისაგან, რომ კაბის კალთა აეწია და ეს თეძოები მკლავებში მოემწყვდია. ამის ნაცვლად იხუმრა:

— მე და შენ სამსონი და დალილა ვართ?

ქალმა ერთბაშად უკან დაიხია. ტორი გაოცდა, თვალზე ცრემლი რომ დაუნახა. ბევრი აღარ უფიქრია, მის სხეულს წაეტანა და თავისკენ მოიზიდა. ქალი მაგიდას მისწვდა და ვერცხლის მაკრატელი წაბლისფერი კულულებით სახესე ჯამზე დადო.

წამიც და ბიჭმა შავი კაბის ქვეშ შეუცურა ხელები და თბილ თეძოებზე მოაწყო. ქალი დაიხარა და ტუჩებით ისე მიეკრო პირზე, თითქოს გადაყლაპვას უპირებდა. წამიერი სინაზე ცხოველური ჟინის ნიაღვარმა წალეკა, ქვრივის სამწლიანმა უბიწოებამ რომ შობა და დაუხარჯავმა ვნებამ ჭაბუკისა, რომელსაც ქალის სიყვარული არასოდეს განუცდია და მხოლოდ მეძავთა ნაყიდ ხელობას იცნობდა.

ტორი ჯულიანოს ერთიანად დაავიწყდა საკუთარი თავიცა და მთელი სამყაროც. ლა ვენერას სხეული სახესე იყო და ტროპიკულ მზესავით მწველი. ბიჭი არ ელოდა, ქალს ასეთი სახესე მკერდი თუ ჰქონდა: შავი ძაძები საიმედოდ უმაღავდა ზორცის ამ მძიმე ოვლებს, რომლის დანახვაზე ტორის სისხლმა თავში აასხა. ძირს დაეცნენ, ერთმანეთს თან ეალერსებოდნენ და თან აშიშვლებდნენ. ქალი აღტკინებით ჩურჩულებდა: „ტორი, ტორი“, ბიჭი კი დუმდა, მისი სხეულის სურნელით, მხურვალებითა და სისავსით გზააბნეუ-

ლი. როდესაც დაამთავრეს, ქალმა ტორი საძინებელში შეიყვანა და კვლავ მიეცნენ ალერსს. ტორი ვერ იჯერებდა ქალის სხეულით მოგვრილ ნეტარებას, საკუთარი თავდავიწყება აშინებდა და ლამის ღირსების შელახვადაც კი მიაჩნდა, მაგრამ ის ამშვიდებდა, რომ ქალი მასზე მეტადაც კი აპყოლოდა ვნებას.

როცა ტორის ჩაეძინა, ქალი დიდხანს აკვირდებოდა სახეზე. მისი ნაკვთები გონებაში ჩაიბეჭდა, თითქოს ველარასოდეს ნახავდა. საკუთარ თავს ვერ პატიობდა იმას, რომ, ვიდრე ქმარს მოუკლავდნენ, სიყვარულის უკანასკნელ ღამეს კედლისკენ მიბრუნდა და ისე დაიძინა, რომ ქმრისთვის სახეში არ შეუხედავს და ის ნეტარება არ დაუნახავს, ალერსის შემდეგ ყოველი მამაკაცის სახეზე რომ აღიბეჭდება. ვერ იტანდა ქმრის შემფოთებასა და ხიფათის გაფაციცებულ მოლოდინს, მის შეკრთომას, როცა თვითონ სამზარეულოში გასასვლელად წამოდგებოდა. ამიტომაც შეაქცია ზურგი იმ ღამეს. ჯულიანოს სიმტკიცე და უდრტვინველობა აოცებდა და ამის გამო კიდევ უფრო უყვარდა. მისი ქმარივით საწოლთან არ დაუწყვია თოფები და ვნების წუთები არ შეუწყვეტია მისაყურადებლად, აქაოდა, თავს ხომ არ მესხმიანო. არ წუწუნებდა. მორიდებულად საუბრობდა, მაგრამ ალერსს ხარბად და თავდავიწყებით აგემოვნებდა. ქალი უხმოდ წამოდგა საწოლიდან, ბიჭი ძილში არ შემკრთალა. ლა ვენერა სამზარეულოში გავიდა თავისი საუკეთესო კერძის მოსამზადებლად. დილით ქალის სახლს რომ ტოვებდა, იარაღასხმული ჯულიანო მთავარი კარიდან გავიდა. ლა ვენერას სთხოვა, დედამისისათვის გადაეცა, რომ უსაფრთხოდაა და მისი დარდი ნუ ექნება, რადგან თვითონ ველარ ასწრებდა მასთან გამოთხოვებას. ქალი მისმა გამბედაობამ შეაშინა, რადგან არ იცოდა, რომ ტორის ქალაქში თავისი რაზმი ჰყავდა განლაგებული, და ვერც ის შენიშნა, რომ, ვიდრე გავიდოდა, კარი ორიოდ წამით შეაღო, რათა პიშოტას საჭიროებისამებრ სროლა აეტეხა, თუკი ახლომახლო პოლიციელები იქნებოდნენ.

ქალმა მორიდებით აკოცა, რამაც ტორის გული შეძრა, და ბოლოს ჰკითხა:

— როდის მოხვალ ჩემს სანახავად?

— როცა დედას მოვინახულებ, შენთანაც მოვალ, — უპასუხა ტორიმ, — მთაში ყოველ ღამით დამესიზმრები, — ამ სიტყვებმა

ქალს უდიდესი სიხარული მიანიჭა, რადგან იგრძნო, რომ მისმა სიყვარულმა ტორი გააბედნიერა.

ლა ვენერამ შუადღემდე მოიცადა და მერე ტორის დედას ესტუმრა. მარია ლომბარდო მისი დანახვისთანავე ყველაფერს მიხვდა. მისი მეგობარი ათი წლით გაახალგაზრდაებულიყო. შავ თვალებში ნაპერწკლები უკრთოდა, ღაწვები გავარდისფრებოდა. ძაძების ნაცვლად პირველად ჩაეცვა ხავერდით გაწყობილი კაბა, ისეთი, როგორსაც გოგონა ჩაიცვამდა, სატრფოს დედისათვის თავის მოსაწონებლად. მარია ლომბარდომ მეგობრის ერთგულებისა და გამბედაობის გამო მადლიერება იგრძნო და ესიამოვნა, რომ ყველაფერი ისე მოხდა, როგორც მას სურდა. ეს ქალი მის ვაჟს არასოდეს უღალატებდა, მაგრამ არც სამუდამოდ მიიჯაჭვავდა. შვილი თავდავიწყებით უყვარდა, მაგრამ ეჭვიანობამ გულში მხოლოდ წამით გაუარა, როდესაც ლა ვენერამ უამბო, თუ როგორ გამოაცხო კურდღლის ხორციით, ყველის ნაჭრებითა და წინაკით შეზავებული ნამცხვარი, ტორიმ კი ხუთი კაცის ულუფა გადასანსლა და თან დაარწმუნა, სიცოცხლეში ამაზე გემრიელი არაფერი მიჭამიაო.

თავი 15

ქალაქ კორლეონეს მკვიდრთა სისხლიანი სისასტიკე დანარჩენ სიცილიელებსაც კი შიშის ზარს სცემდა, არადა, ამ ქვეყანაში ადამიანები ისეთივე გზნებით ხოცავდნენ ერთმანეთს, როგორც ესპანელები — ხარებს. კორლეონეში ზეთისხილის ერთადერთი ხის გამო ორ ოჯახს შეეძლო ერთმანეთი ამოეწყვიტა; მეზობელი თუ წყაროდან მეტისმეტად ბევრ წყალს წამოიღებდა, ამისთვის კლავდნენ; სიყვარულისთვისაც კლავდნენ, ანუ იმ შემთხვევაში, თუ ვინმე მათ ცოლს თუ ქალიშვილს შეურაცხმყოფელ მზერას შეავლებდა. კორლეონეში ცოცხისხლიანი მათეოზებიც კი ჟინით იყვნენ ატანილნი და ამოწყვეტა ემუქრებოდათ, ვიდრე დონ კროჩემ ისინი არ მოთოკა.

აი, ასეთ ქალაქში დაიმკვიდრა სტეფან ანდოლინიმ „ფრა დიაოლოს“ ანუ „ეშმაკის ძმის“ სახელი.

დონ კროჩემ ის კორლეონედან გამოიძახა და მითითებები მისცა. ანდოლინი ჯულიანოს ბანდაში უნდა გაწევრებულიყო და მისი

ნდობა დაემსახურებინა. მათთან უნდა დარჩენილიყო, ვიდრე დონ კროჩე არ უბრძანებდა, ემოქმედა. მანამდე კი ინფორმაცია უნდა მიეწვდინა ჯულიანოს ძალებისა და იმის შესახებ, რამდენად სანდოები არიან პასატემპო და ტერანოვა. რაკი პიშოტას ერთგულებას ეჭვქვეშ ვერავინ დააყენებდა, სხვა გამცემები უნდა მოენახათ. და, როგორც კი ანდოლინის შესაძლებლობა მიეცემოდა, ჯულიანო უნდა მოეკლა.

ანდოლინის ჯულიანოსი არ ეშინოდა. გარდა ამისა, თვითონ წითური თმა ჰქონდა და, რაკი ეს ფერი იტალიაში დიდ იშვიათობას წარმოადგენს, გულის სიღრმეში სწამდა, რომ ამით განგებამ სხვებში გამოარჩია და დაუსჯელობის ხვედრი არგუნა. როგორც ბანქოს მოთამაშეს სწამს, რომ მისი სისტემა არასოდეს იგემებს მარცხს, ანდოლინიც ისევე იყო დარწმუნებული, რომ ცბიერებას და სისასტიკეში ვერავინ აჯობებდა.

თან ორი ახალგაზრდა „პიჩოტი“ წაიყვანა: ეს სიტყვა ხელქვეით მკვლელს ნიშნავს — ასეთი ადამიანები ჯერ არ იყვნენ მიღებული მაფიის რიგებში, მაგრამ იმედი ჰქონდათ, რომ გარკვეულ ხანში ამ პატივს დაიმსახურებდნენ. ჯულიანოს მთის სადგომისაკენ ფეხით გასწიეს ზურგჩანთებითა და ლუპარებით და მალე ყაჩაღების სადაზვერვო რაზმს გადააწყდნენ, რომელსაც პიშოტა მეთაურობდა.

პიშოტამ ანდოლინის მონათხრობი ისე მოისმინა, წარბიც არ შესტოკებია. ანდოლინიმ აუხსნა, კარაბინერების პატრული კორლეონეში სოციალისტი აგიტატორის მოკვლის გამო მეძებსო. ეს მართალიც იყო, თუმცა ის აღარ უთქვამს, რომ პოლიციას მის წინააღმდეგ სამხილი არ გააჩნდა და მხოლოდ დასაკითხად ეძებდა. ხოლო დონ კროჩეს მფარველობის წყალობით ეს დაკითხვა უაღრესად ღმობიერი იქნებოდა. თავისი თანმხლები ორი პიჩოტის შესახებ უთხრა, მათაც პოლიცია ეძებს, რადგან მკვლელობაში მიიღესო მონაწილეობა. ესეც მართალი იყო. მაგრამ საუბრისას ანდოლინის სულ უფრო მეტად ეუფლებოდა მოუსვენრობა: პიშოტა ისე უძზერდა, თითქოს საიდანლაც ეცნობოდა, ანდა მის შესახებ რაღაც სმენოდა.

ანდოლინიმ განაგრძო, მთაში იმიტომ ამოვიდა, რომ ჯულიანოს ბანდაში მსურს გაწევრებაო, და ამის შემდეგ თავისი მთავარი კოზირი გამოიყენა — თვით ჯულიანოს მამის რეკომენდაცია ჰქონდა.

სტეფან ანდოლინი ამერიკელი დიდი დონ ვიტო კორლეონეს ბიძაშვილი იყო. ამის გაგონებაზე პიშოტამ თავი დაუკრა და ანდოლინიმ განაგრძო. დონ ვიტოს ნამდვილი გვარი ანდოლინი იყო. კორლეონეში დაიბადა. მამა მოუკლეს, თვითონ პატარაობიდან დევნიდნენ და ამერიკაში გადაიხვეწა, სადაც დიდი ნათლიის სახელით გახდა ცნობილი. როდესაც სიცილიაში მამის მკვლელებზე შურის საძიებლად დაბრუნდა, სტეფან ანდოლინი მისი ერთ-ერთი „პიჩოტი“ გახლდათ. ამის შემდეგ დონმა ამერიკაში დაიბარა და იქ დააჯილდოვა. ამერიკაში ანდოლინი ჯულიანოს მამას დაუმეგობრდა, რომელიც ლონგ აილენდზე დონის სახლის მშენებლობაზე მუშაობდა. ვიდრე მთაში მოვიდოდა, ანდოლინიმ უფროს სალვატორე ჯულიანოს გაუარა და მისგან მიიღო თანხმობა.

პიშოტა ამ ამბავმა დააფიქრა. არ ენდობოდა არც ამ კაცს, არც მის წითურ თმას და არც მკვლელის სიფათს. გუნებაში „მალპელო“ შეარქვა, რადგან სიცილიელები ასე უწოდებდნენ წითურ ადამიანებს. არც მისი თანმხლები პიჩოტები ეჩვენა სანდოდ.

— ჯულიანოსთან მიგიყვანთ, მაგრამ, ვიდრე ის არ დაგელაპარაკებათ, ლუპარები მხრებიდან არ ჩამოიხსნათ, — უთხრა პიშოტამ.

სტეფან ანდოლინი გაიბადრა და გულითადად მიმართა:

— მე კი გიცანი, ასპანუ და გენდობი კიდევ. შეგიძლია თოფი ამართვა და შენს ამხანაგებსაც ნებას ვრთავ, ჩემი პიჩოტები განაიარაღონ. დარწმუნებული ვარ, ჯულიანოს როგორც კი დაველაპარაკებით, მაშინვე დაგვიბრუნებს იარაღს.

— სატვირთო პირუტყვი ხომ არ გგონივართ, თქვენს თოფებს რომ გვაჩეჩებთ, — უკმეხად უპასუხა პიშოტამ, — თვითონვე ზიდეთ, — ამის შემდეგ ბილიკს გაუყვა და სამივე მონტელეპრეს თავზე მდებარე ჯულიანოს ბანაკში მიიყვანა.

კლდის თავზე ორმოცდაათიოდე ბანდიტი გაბნეულიყო: ზოგი იარაღს წმენდდა, ზოგი ტანსაცმელს ისუფთავებდა. ჯულიანო მაგიდასთან იჯდა და არემარეს ბინოკლით ათვალიერებდა.

ვიდრე ახალმოსულებს მიჰგვრიდა, პიშოტამ უფროსს ყველაფერი წვრილად უამბო და დაუმატა:

— ტორი, ფრთხილად იყავი, ეს კაცი ცოტათი მყრალი მეჩვენება, — სიცილიურ ჟარგონზე „მყრალი“ საეჭვოს ნიშნავს.

— გგონია, წინათ სადმე გინახავს? — ჰკითხა ტორიმ.

— შეიძლება, ან, იქნებ, ვიღაცისაგან გამიგონია მის შესახებ. საიდანღაც მეცნობა, მაგრამ წითური ხალხი იშვიათია — რომ მენახა, დამამახსოვრდებოდა.

— ლა ვენერასგან გექნება გაგონილი, — მშვიდად თქვა ჯულიანომ, — თუმცა ის „მალპელოს“ უწოდებდა, არ იცოდა, რომ ანდოლინი ჰქვია. ჩემთანაც ახსენა. მისი ქმრის ბანდაში გაწვევრდა და ერთი თვის შემდეგ ქმარი დაიჭირეს და მოკლეს. ლა ვენერასაც საექვზოდ ეჩვენებოდა, ასე ამბობდა, გაიძვერაა და ტყუილები იცისო.

ამ დროს სილვესტრო მიუახლოვდა და ჯულიანოს უთხრა:

— ამ კაცს არ ენდოთ, პალერმოს პოლიციის განყოფილებაში ვნახე კარაბინერთა უფროსთან.

— მონტელეპრეში ჩადით, — თქვა ჯულიანომ, — და მამაჩემი ამოიყვანეთ, მანამდე კი ამათ თვალი არ მოაცილოთ.

პიშოტამ ტერანოვა ჯულიანოს მამის მოსაყვანად გაუშვა, თვითონ კი ძირს მსხდომ სამ კაცთან დაბრუნდა. სტეფან ანდოლინის იარაღი მიწიდან აიღო. ბანდის წევრები ნადავლს შემოხვეული მგლებივით დაადგნენ თავს.

— ხომ არ გეწყინება, ახლა რომ გაგათავისუფლოთ ამ იარაღისაგან? — ჰკითხა პიშოტამ ანდოლინის. იმან მხრები აიჩეჩა და პიშოტამ თოფი ერთ-ერთ ამხანაგს გადაუგდო.

ორიოდე წამს მოიცადა, ვიდრე დარწმუნდა, რომ მისიანები მზად იყვნენ, და ანდოლინის ორი ამხანაგის თოფებს წაეტანა. ერთ-ერთმა, უფრო შიშით, ვიდრე განზრახ, ხელი ჰკრა და თოფის მოზიდვას შეეცადა, მაგრამ პიშოტას ხელში იმწამსვე იელვა დანამ. პიჩოტოს ყელიდან სისხლის შადრუვანმა იფეთქა და მისი სხეული გვერდზე გადავარდა. მკვლელმა დანის მეორე დარტყმით დაასრულა საქმე და ფეხის კვრით გვაში კლდიდან გადააგორა.

ჯულიანოს ბანდიტები ფეხზე წამოდგნენ და თოფები მოამზადეს. ანდოლინი ისევ ძირს იჯდა, ხელები მაღლა აეწია და აქეთ-იქით ატრიალებდა თავს. მეორე პიჩოტო იარაღს დასწვდა, მაგრამ მის ზურგს უკან მდგომმა პასატემპომ მრისხანედ გადაიხარხარა და კეფაში პისტოლეტის მჭიდვე ჩააცალა. გასროლების ექო მთაში ახმიანდა. ყველა უძრავად იდგა, ანდოლინი გაფითრებულიყო და ცახცახებდა, მერე კი ჯულიანოს ხმა მოესმათ:

— გვამები მოაშორეთ და ეს „მაღპელო“ ხეზე მიაბით, ვიდრე მამაჩემი არ მოვა.

გვამები დაწნულ ბადეში გაახვიეს, დიდი ლოდები მიაბეს და ღრმა ხევი გადააგდეს. ეს საქმე პასატემპოს ევალეობდა, რადგან ჩვევად ჰქონდა, ვიდრე მკვდრებს კლდიდან გადაყრიდა, მუდამ ძარცვავდა. ჯულიანოს მისი ეს მხეცური ჟინი ზარავდა, მაგრამ ვერა და ვერ გადააჩვია. თავისთვის ფიქრობდა, მხეცი რაინდად ვერასოდეს გადაიქცევაო.

შვიდი საათის შემდეგ, შეღამებისას, ჯულიანოს მამა მოიყვანეს. ანდოლინის თოკები შეხსნეს და ნავთის ლამპით განათებულ მღვიმეში შეიყვანეს. მამა მისმა მდგომარეობამ აღაშფოთა.

— ეს კაცი ჩემი მეგობარია, — უსაყვედურა ვაჟს, — ამერიკაში ერთად ვმუშაობდით ნათლიასთან. დავპირდი, ჩემი შვილი კარგად მოგექცევა-მეთქი, — ანდოლინის ხელი ჩამოართვა და მოუბოდიშა: — ეტყობა, ჩემი ვაჟი არ გენდო, ან შენზე რაიმე ჭორი უთხრეს, — შეშფოთებულმა ხმა ველარ ამოიღო, რადგან ანდოლინი ისეთ მდგომარეობაში იყო, რომ ფეხზე ძლივსლა იდგა.

ანდოლინი დარწმუნებული იყო, რომ მოკლაუდნენ. ყოველწამს ელოდა კეფაში ტყვიას და დაძაბულობისაგან კისრის კუნთები ასტკივდა. ბრაზისგან ლამის ეტირა, თავს იმას ვერ პატიობდა, რომ ჯულიანოს მოტყუება ასე იოლი ეგონა. ორი პიჩოტოს უსწრაფესმა განადგურებამ შოკში ჩააგდო.

— ტორი, ჩემთვის რაიმეს გაკეთებას იშვიათად გთხოვ, — მიმართა სენიორ ჯულიანომ შვილს, — თუ რაიმე გაქვს ამ კაცის საწინააღმდეგო, აპატიე და გაუშვი. ამერიკაში კარგი ურთიერთობა გვქონდა, დიდადაც დამეხმარა და მის მეგობრობას დღესაც ვაფასებ.

— რაკი იცანი, ამ წუთიდან როგორც ძვირფას სტუმარს, ისე მივიღებ, — უპასუხა ტორიმ, — თუ ბანდაში სურს დარჩენა, დარჩეს.

ჯულიანოს მამა მალევე ჩაიყვანეს ქალაქში ცხენით, შინ რომ შესძლებოდა ლამის გატარება, ჯულიანო კი ანდოლინის დაელაპარაკა.

— შენი და კანდელერიას ურთიერთობის შესახებ ვიცი, დონ კროჩეს ჯაშუში იყავი, კანდელერიას ბანდას შეუერთდი და ის ერთ თვეში მოკლეს. რაც მისმა ქვრივმა მიაგებო, იმის საფუძველზე არ გამჭირვებია დასკვნის გაკეთება. სიცილიელები ვერაგობის ამოცნობაში დაოსტატებულნი ვართ. ყაჩაღების მთელი ბანდები უკვალოდ

ქრება. პოლიცია რაღაც საეჭვოდ დაჭკვიანდა. მთელ დღეს აქ, მთაზე ჯდომასა და ფიქრში ვატარებ. საიდან იცის ამდენი პოლიციამ? ბოლო დროს შევიტყვე, რომ რომში მჯდომი იუსტიციის მინისტრი და დონ კროჩე გადაბმული მეგობრები არიან. დონ კროჩეს ჭკუა ორივეს ჰყოფნის. გამოდის, რომ ყაჩაღებს დონ კროჩე ანადგურებს. პოდა, ვზივარ და ველი, მე როდისღა მომაკითხავენ დონ კროჩეს ჯაშუშები. მიკვირს კიდევ, ასე რატომ აყოვნებენ. თავმდაბლობის მიუხედავად, უნდა ვაღიარო, რომ ყველაზე დიდი ფასი ჩემს დაკავებაზეა დაწესებული. ბინოკლში თქვენ სამი რომ დაგინახეთ, გაიფიქრე, ისევ მალპელოა, მაშ, მოვიდეს-მეთქი. მაინც უნდა მოგკლა, შენს გვამს კი უკვალოდ გააქრობ, მამაჩემს გული რომ არ ვატკინო.

სტეფან ანდოლინის ბრაზისაგან შიშიც კი გადაავიწყდა:

— რაო, მამაშენს მოატყუებ და ამის შემდეგ კიდევ უწოდებ შენს თავს ღირსეულ სიცილიელს? მაშ, მომკალი და ჯოჯოხეთისკენაც გქონია გზა!

პიშოტა, პასატემპო და ტერანოვაც გაოცებულნი ჩანდნენ, მაგრამ ჯულიანოს უეცარი გადაწყვეტილებები ადრეც აოცებდათ. ერთი კი არა, ათასი ანდოლინის მოკვლაც არ ეწყინებოდათ, მაგრამ ჯულიანოს მიერ პირობის დარღვევა მაინც უჩვეულოდ ენიშნათ, თანაც მამისადმი მიცემული პირობისა. კაპრალი სილვესტრო ერთადერთი იყო, ვინც ჯულიანოს დაეთანხმა:

— მამამისის გულჩვილობის გამო ყველა ჩვენგანის სიცოცხლეს საფრთხეში ხომ არ ჩააგდებს.

ჯულიანომ ანდოლინის მიმართა:

— ღმერთთან შენი ანგარიში გაასწორე. საამისოდ ხუთ წუთს გაძლევ, — და პასატემპოს ნიშანი მისცა.

ანდოლინის წითური თმა ყალფზე დაუდგა.

— ვიდრე მომკლავდე, აბატ მანფრედის დაელაპარაკე, — ჯულიანო გაოცებით მიაჩერდა, ანდოლინიმ კი განაგრძო: — ერთხელ აბატს დაჰპირდი, რომ, რაც უნდა ეთხოვა, შეუსრულებდი. წავიდეთ მასთან და ის ჩემს შეწყალებას გთხოვს.

ჯულიანოს ახსოვდა აბატისადმი მიცემული პირობა, მაგრამ ანდოლინიმ საიდანღა იცოდა ამის შესახებ?

პიშოტა ჩაერთო:

— ტორი, აბატთან მაცნის გაშვებასა და პასუხის მისაღებად

ერთი დღეა საჭირო. ვეჭვობ, აბატს მეტი ზეგავლენა ჰქონდეს შენზე, ვიდრე საკუთარ მამას.

ჯულიანომ ისევ გააკვირვა ყველანი.

— მკლავები შეუკარით და ფეხებზეც თოკით ისე დაუმაგრეთ, რომ სიარული შეძლოს, სირბილი კი ვერა. მე თვითონ მივიყვან მონასტერში და, თუკი აბატი მის სიცოცხლეს არ მომთხოვს, იქვე უკანასკნელი აღსარების თქმასაც შეძლებს. სასჯელსაც იქვე აღვასრულებ და გვამს ბერებს მივაბარებ დასამარხად.

ჯულიანო და მისი ამხანაგები მზის ამოსვლისას მიადგნენ მონასტრის ჭიშკარს, როცა ბერები სამუშაოდ მიდიოდნენ. ტორი ჯულიანო ღიმილით ადევნებდა მათ თვალს. განა სულ რაღაც ორი წლის წინათ ისიც მათთან ერთად არ მუშაობდა ამერიკული სამხედრო ქუდით დამშვენებული? ვინ იფიქრებდა, რომ ამ ორ წელიწადში ამდენი დანაშაულის ჩადენა მოუწევდა. მოენატრა უწინდელი მშვიდი ცხოვრება და მინდორში შრომა.

აბატი თვითონ გამოვიდა ჭიშკართან მისასალმებლად. შავსამოსიანმა ბერმა პატიმრის დანახვაზე მკლავები გაშალა და ისიც გადაეხვია მოხუცს და ორივე ლოყაზე აკოცა.

— მამა, ამ ადამიანებს ჩემი მოკვლა სურთ, მხოლოდ შენ შეგიძლია ჩემი გადარჩენა.

აბატმა თავი დაუქნია. ჯულიანოსაც გაშლილი მკლავებით შეხვდა და ისიც გულში ჩაიკრა. ჯულიანო ახლა ყველაფერს მიხვდა. სიტყვა „მამა“ ისეთი კილოთი იყო ნათქვამი, რომელიც მოძღვარს კი არა, ღვიძლ მამას შეეფერებოდა.

— ჩვენი პირობის თანახმად გთხოვ, ამ კაცის სიცოცხლე მაჩუქო, — უთხრა აბატმა ჯულიანოს.

ჯულიანომ ანდოლინის ხელ-ფეხი შეუხსნა და უთხრა:

— მიჩუქნია.

ანდოლინი ჩაიკვცა. შიშმა მთლიანად გამოაცალა ძალა. აბატმა სუსტი მკლავი შეაშველა და წამოაყენა.

— წავიდეთ, ჯულიანო. შენს ამხანაგებს დავაპურებ, ჩვენ სამნი კი დაუსხდეთ და ვისაუბროთ იმაზე, რა უნდა მოვიმოქმედოთ, — აბატმა ახლა ანდოლინის მიმართა, — ძვირფასო შვილო, ჯერაც

საფრთხეში ხარ. რას იტყვის დონ კროჩე, როცა ამ ყველაფერს შეიტყობს? უნდა მოვითათბიროთ.

სამნი მყუდროდ ისხდნენ აბატის მცირე კაბინეტში. სტუმრებს პური და ყველი მიართვეს.

აბატმა ჯულიანოს ნაღვლიანად გაუღიმა:

— ეს ჩემი შვილებიდან ერთ-ერთია. მაშინ ძალზე ახალგაზრდა ვიყავი. ეჰ, არაჟინ იცის, რა ცდუნებები სდარაჯობს სასულიერო პირს სიცილიაზე. მე მათ ვერ გაუძელი. სკანდალი ჩაიფარცხა, მისი დედა ანდოლინის გაჰყვა ცოლად. ეს ძვირად დამიჯდა, სამაგიეროდ, საეკლესიო კარიერაში წინ წავიწიე. მაგრამ ვერაჟინ განჭვრეტს ზეციურ სასჯელს. ჩემი ვაჟი გაიზარდა და მკვლელი გახდა. ჩემს მრავალ ცოდვასთან ერთად ეს ჯვარიც უნდა ვზიდო.

აბატი შვილს მიუბრუნდა და სულ სხვა კილოთი უთხრა:

— მომისმინე, შვილო, უკვე მეორედ გადაგარჩინე სიკვდილისაგან. უნდა შეიგნო, თუ ვისი ერთგულება გმართებს. პირველ რიგში, ჯულიანოს უერთგულე. დონთან ვეღარ დაბრუნდები, რადგან თვითონვე გკითხავს, რატომ დაგინდო ჯულიანომ მაშინ, როდესაც ამხანაგები დაგიხოცა. ტყუილს მიხვდება და უცილობლად მოგკლავს. დონს ყველაფერი გულახდილად უნდა უამბო და ჯულიანოს ბანდაში დარჩენის ნებართვა სთხოვო. ჯულიანოსა და „მგობართა მეგობრებს“ შორის შუამავლობას დაჰპირდი. მე თვითონ მივალ დონთან და ამგვარი ვითარების უპირატესობებს განვუმარტავ. იმასაც ვეტყვი, რომ ჯულიანოს ერთგული დარჩები, მაგრამ დონი ამითაც არაფერს წააგებს. ნუ ეგონება, რომ იმ კაცის ღალატს შეძლებ, ვინც სიცოცხლე გაჩუქა. ეს თუ მოხდა, ანათემას გადაგცემ და ჩემი წყევლა სამარის კარამდე არ მოგცილდება.

კვლავ ჯულიანოს მიმართა:

— კიდევ ერთ სიკეთეს გთხოვ, ტორი. ჩემი შვილი შენი ბანდის წევრად მიიღე. შენთვის იბრძოლებს, შენს ბრძანებებს შეასრულებს და, გეფიცები, არასოდეს გიღალატებს.

ჯულიანო დაფიქრდა. იცოდა, დროთა განმავლობაში შეძლებდა ანდოლინის გულწრფელი სიყვარულის მოპოვებას და იმასაც ხედავდა, რომ ის მამას არ მოატყუებდა. ღალატის შესაძლებლობა მცირე იყო და მისი თავიდან აცილებაც შესაძლებელი. სტეფან

ანდოლინი ბანდის ერთ-ერთ მეთაურადაც გამოდგებოდა, მაგრამ კიდევ უფრო მნიშვნელოვანი ის იყო, რომ დონ კროჩეს იმპერიაზე მიაწვდიდა ინფორმაციას.

— დონ კროჩეს რას ეტყვი? — იკითხა ჯულიანომ.

— დონს დაველაპარაკები, — დუმილის შემდეგ უთხრა აბატმა, — მასზე ერთგვარი გავლენა მაქვს. მერე კი ვნახოთ. მაშ, მიიღებ ჩემს ვაჟს?

— დიახ, გეფიცებით, — უპასუხა ჯულიანომ, — მაგრამ იცოდეთ, თუ მიღალატა, თქვენი ლოცვები ჯოჯოხეთში ვეღარ ჩაუსწრებს.

სტეფან ანდოლინი მუდმივი უნდობლობის გარემოცვაში ცხოვრობდა, ამიტომაც სახეზე, თითქოს, მკვლელის ნიღაბი აიფარა. იცოდა, დროთა განმავლობაში ბაგირზე მოსიარულეს დაემსგავსებოდა, ყოველ წუთს სიკვდილს რომ ეთამაშება. არჩევანი არ ჰქონდა. ჯულიანოს სულში დაგანებულმა ღვთის მოწყალებამ ამჯერად დაინდო, მაგრამ ილუზიები მაინც არ ჰქონდა: ჯულიანო ერთადერთი კაცი იყო, ვის წინაშეც შიში იგრძნო.

იმ დღიდან ანდოლინი ჯულიანოს ბანდის წევრი გახდა. „ფრა დიავოლომ“ თავისი მრისხანებითა და რელიგიური ფანატიზმით მთელ სიცილიაზე გაითქვა სახელი. ყოველ კვირა დღეს ვილაბას ეკლესიაში დადიოდა, სადაც მამა ბენჯამინო წირავდა. აღსარებისას თავის მოძღვარს ჯულიანოს ბანდის საიდუმლოებებს ანდობდა, ის კი მათ დონ კროჩეს გადასცემდა. მაგრამ სტეფან ანდოლინი დუმდა ჯულიანოს იმ საიდუმლოებების შესახებ, რომლის გამხელასაც ტორი უკრძალავდა.

წიგნის ელექტრონული ვერსია
მოამზადა: აკაკი ციციშვილმა

www.PDF.ChiaturaINFO.GE

წიგნი III

მაიკლ კორლეონე

1950

თავი 16

„ფიატმა“ ტრაპანის გარს შემოუარა და ნაპირის გასწვრივ გაუყვა შარას. მაიკლ კორლეონე და სტეფან ანდოლინი ერთ ვილას მიადგნენ, სხვებზე უფრო დიდი რომ იყო. ვილას, სანაპიროს გარდა, ყველა მხრიდან გალაგანი ერტყა. ჭიშკარს ორი კაცი დარაჯობდა, შიგნით კი მაიკლს აქაურობისათვის უჩვეულოდ ჩაცმული კაცი დახვდა: მოკლე ქურთუკი, განიერი შარვალი და მკერდზე შეხსნილი პოლოს პერანგი ეცვა. ვიდრე ჭიშკრის გაღებას ელოდნენ, მაიკლმა კაცის ფართო სახეზე ღიმილი შენიშნა და გაოცდა, როცა პიტერ კლემენზა იცნო.

კლემენზა ამერიკაში მაიკლის მამისადმი დაქვემდებარებული ერთ-ერთი ბოსი იყო. აქ რას აკეთებდა? უკანასკნელად იგი მაიკლმა ორი წლის წინათ იმ საბედისწერო ღამით ნახა, როცა პოლიციის კაპიტანი და თურქი სოლოზო დახოცა. კლემენზა მაიკლის ნახვამ აშკარად გაახარა. „ფიატიდან“ გადმოიყვანა და დათვით მძლავრად ჩაიკრა გულში.

— მაიკლ, როგორ მიხარია შენი დანახვა! რამდენი წელიწადია, მინდა გითხრა, რომ შენით ვამაყობ. ძალიან დიდი საქმე გააკეთე. როგორც იქნა, შენი ტანჯვა-წამება დასრულდა, ერთ კვირაში ოჯახს ნახავ, დიდი ზეიმი გაიმართება. ყველანი გელოდებიან, მაიკლ! — სიყვარულით შეხედა სახეში ისე, რომ დათვის მკლაფებიდან არ გაუშვია. იმთავითვე შენიშნა: მაიკლი გამოცვლილიყო, ახალგაზრდა სარდალს აღარ ჰგავდა. სიცილიაზე გატარებულ ამ ორ წელიწადში ბიჭი დაკაცებულა; ძველებურად გულღია, ალალი

იერი გაუქრა; სიცილიელისათვის დამახასიათებელი გოროზი მზერა ჰქონდა. მაიკლი მზად იყო ოჯახში თავისი კუთვნილი ადგილის დასაკავებლად.

მაიკლსაც გაუხარდა კლემენზას ზორბა ფიგურისა და დიდრონ-ნაკეთება სახის დანახვა. თავისი ოჯახის ამბები გამოჰკითხა. მამას ჭრილობა მოუშუშდა, მაგრამ ბოლომდე მაინც ვერ მომჯობინდა. კლემენზამ სინანულით გააქნია თავი.

— სხეულში მოხვედრილ ტყვიას ჯერ არავისთვის მოუტანია სარგებელი, რაგინდ კარგად მოუშუშდეს ჭრილობა. თუმცა მამაშენისთვის ეს პირველი შემთხვევა არ ყოფილა. ხაროვით ძლიერია და მომჯობინდება. მაგრამ სანის დაღუპვამ მოტეხა ისიც და დედაშენიც. თანაც უსასტიკესად მოკლეს, მაიკლ, ავტომატებით ნაკუწებად დაფლითეს. ეს უღირსი საქციელი იყო. მაგრამ ჩვენ გვგმებს ვაწყობთ. შინ რომ დაგაბრუნებთ, მამაშენი ყველაფერს გეტყვის. ყველა ბედნიერია იმით, რომ მალე ჩვენთან ერთად იქნები.

სტეფან ანდოლინიმ კლემენზას თავი დაუკრა; როგორც ჩანს, ერთმანეთს წინათაც შეხვედროდნენ. მერე მაიკლს ხელი ჩამოართვა და უთხრა, მონტელეპრეში საქმეები მელოდებაო.

— რაც უნდა გითხრან ჩემზე, დაიმახსოვრე: ბოლომდე ტორი ჯულიანოს ერთგული ვიყავი და ის მუდამ მენდობოდა, — უთხრა დამშვიდობებისას, — თუ გასცემენ, იცოდე: ეს მე არ გამიკეთებია. არც შენ გიღალატებ.

— იქნებ ცოტა ხანს დაგესვენა და წაგეხმსა? — ჰკითხა მაიკლმა.

სტეფან ანდოლინიმ თავი გააქნია და „ფიატში“ ჩაჯდა, მის უკან ჭიშკარი იმწამსვე დაიკეტა.

კლემენზამ მაიკლი სანაპიროს გავლით ვილასკენ წაიყვანა. გალანის ზღვისკენ გახსნილ მხარეს შეიარაღებული დაცვა დარაჯობდა. ნაპირთან, ფიცრული პირსის გვერდით, იტალიის დროშით შემკული მოტორიანი ნავი იყო მიბმული. ვილაში თხემით ტერფამდე შავით შემოსილი ორი სახეგარუჯული დედაბერი დახვდათ. კლემენზამ სთხოვა, მაიკლის საძინებელში ლანგრით ხილი შეეტანათ.

საძინებლის ტერასა ხმელთაშუა ზღვის ლურჯ ტალღებს გაჰყურებდა, ხასხასა ლურჯი და წითელიაქნიანი სათევზაო ნაუბი ჰორიზონტზე ჭრული ბურთებით ირწეოდა. ტერასაზე სქელი ყავისფე-

რი ქსოვილით დაფარული ხის მაგიდა იდგა, ზედ ესპრესოს ყავადანი და ღოქით წითელი ღვინო იდგა. ორივენი მაგიდას მიუსხდნენ.

— დაღლილი ჩანხარ, — უთხრა კლემენზამ, — გამოიძინე და მერე ყველაფერს წვრილად აგიხსნი.

— ძილი მართლაც მჭირდება, — უპასუხა მაიკლმა, — მაგრამ ჯერ ეს მითხარი: დედაჩემი როგორ არის?

— კარგად, ერთი სული აქვს, როდის დაბრუნდება. სანის სიკვდილს მძიმედ განიცდის, მთელი გულისყური ახლა შენზე აქვს გადატანილი.

— მამაჩემი სრულებით გამოჯანმრთელდა?

— რა თქმა უნდა, — ტლანქად გადაიხარხარა კლემენზამ, — ისიც გელოდება, შენთან დაკავშირებით დიდი გეგმები აქვს. შენს მშობლებს ვერ დაუღალატებთ. ამიტომაც ჯულიანოზე ნუ დარდობ: თუ შემოგვიერთდა, ხომ კარგი თუ დამალვა არჩია, მივატოვოთ და წავიდეთ.

— ეს მამაჩემის ბრძანებაა? — იკითხა მაიკლმა.

— კურიერი ყოველდღიურად ჩადის ტუნისში თვითმფრინავით, მე კი ნავით ჩაუდგარ მასთან სალაპარაკოდ. გუშინ ასეთი ბრძანება მივიღე. თავიდან დონ კროჩეს ჩვენთვის დახმარება უნდა გაეწია, ყოველ შემთხვევაში, შტატებიდან აქ რომ მოვდიოდი, მამაშენმა სწორედ ეს დამაბარა. მაგრამ, იცი, რა მოხდა პალერმოში გუშინ, მას შემდეგ, რაც იქიდან წამოხვედი? ვილაცამ კროჩეს მოკვლა სცადა. ბაღის გალავანზე გადმოვიდნენ და დაცვის ოთხი წევრი დახოცეს, მაგრამ კროჩე გადარჩა. ნეტავ, რა ჯანდაბა ხდება?

— ღმერთო, — ჩაილაპარაკა მაიკლმა. გაიხსენა, როგორ იყო დაცული დონ კროჩეს სასტუმრო, — მგონი, ეს ჩვენი მეგობარი ჯულიანო უნდა ყოფილიყო. იმედი მაქვს, შენ და მამაჩემმა იცით, რასაც აკეთებთ. მე ისე ვარ დაღლილი, ფიქრის თავიც კი აღარ მაქვს.

კლემენზა ადგა და მხარზე ხელი გადაუსვა.

— დაიძინე, მაიკლ, როცა გაიღვიძებ, ჩემს ძმას შეგახვედრებ. მამაშენოვით დიდი კაცია და ამ პროვინციას მთლიანად კროჩე კი არა, ის აკონტროლებს.

მაიკლი საწოლში ჩაწვა. ოცდაათი საათის განმავლობაში არ უძინია, მაგრამ მისი გონება მუშაობას განაგრძობდა და სხეულს არ ასვენებდა. დილის მზის მწველ სიცხეს გრძნობდა, თუმცა მძი-

მე დარაბები დახურა. ყვაილები და ლიმონის მძაფრი სურნელი იდგა. უკანასკნელი დღეების მოვლენებს აანალიზებდა. ნეტავ, პიშოტა და ანდოლინი ასე თავისუფლად როგორ მიმოდრიოდნენ? ჯულიანომ მაინცდამაინც ასეთ უდროო დროს რატომ დაიჟინა, რომ დონ კროჩე მისი მტერია? ასეთი შეცდომა სიცილიელისათვის უჩვეული იყო. ბოლოს და ბოლოს, ამ კაცმა შვიდი წელიწადი მთაში გადახვეწილმა იცხოვრა და მისთვის ეს უნდა კმაროდეს. შეუძლებელია, არ ნატრობდეს ამერიკაში უკეთეს, ლალ ცხოვრებაზე. ამ ყველაფრისათვის შუქის მომფენი ერთი აზრი დაებადა: ჯულიანოს თავისი უკანასკნელი ბრძოლის გამართვა სურდა. მშობლიურ მიწაზე სიკვდილს არ უფრთხოდა. მის გარშემო ისეთი ინტრიგების ხლართებია გაბმული, რაც მაიკლს, შესაძლოა, აზრადაც არ მოსდის. ამ ყველაფერმა მაიკლი დაღალა, მას არ სურდა სიცილიაზე სიკვდილი. ის ამ ლეგენდის პერსონაჟი არ იყო.

მაიკლს ვეება საძინებელში გამოეღვიძა, დარაბები გახსნა და მზით გაკაშკაშებულ თეთრ ტერასაზე გაიხედა. იქით, შორს, ხმელთაშუა ზღვა მუქლურჯ ხალიჩასავით გაშლილიყო ჰორიზონტამდე. მაიკლი მონუსხული გაჰყურებდა ზღვაზე მქნამულ წინწკლებად მონანავე იახტებსა და ჩრდილოეთ მხარეს კლდეზე აღმართულ ერიჩეს დიდებულ გალავნებს.

ოთახში მასიური სოფლური ავეჯი იდგა. მაგიდაზე ლურჯი ემალის ჯამი და დოქით წყალი იდო. სკამის საზურგეზე უხეში ყავისფერი პირსახოცი იყო გადაფარებული. კედლებზე ღვთისმშობლისა და წმინდანების გამოსახულებები ეკიდა. მაიკლმა პირზე წყალი შეისხა და ოთახიდან გავიდა. პირველ სართულზე პიტერ კლემენზა ელოდებოდა.

— მაიკი, ახლა უკეთ გამოიყურები, — უთხრა მან, — კარგი სადილი მოგამაგრებს, მერე კი საქმეზე ვილაპარაკოთ, — სამზარეულოში ხის გრძელ მაგიდას მიუსხდნენ. სად იყო და სად არა, შავებში ჩაცმული დედაბერი გაჩნდა და ყავა, კვერცხი და სოსისი მიართვა. ღუმლიდან მზესავით მრგვალი და დაბრაწული პური გამოიღო. ყველაფერს რომ მორჩა, დედაბერი კარს უკან გაუჩინარდა ისე, რომ მაიკლის სამადლობელო სიტყვებისთვის ყურადღება არ მიუქცევია. იმავე წუთს სამზარეულოში კაცი შემოვიდა, კლემენზა-

ზე უფროსი. იმდენად ჰგავდა მას, რომ მაიკლი მაშინვე მიხვდა — ეს მისი ძმა, დომენიკ კლემენზა უნდა ყოფილიყო. დონ დომენიკს სულ სხვაგვარად ეცვა: ველვეტის შავი შარვალის ტყავის მაღალყელიან ფეხსაცმელში ჰქონდა ჩატანებული. თეთრი აბრეშუმის მაქმანებიანი პერანგი და გრძელი შავი ფილეტი ეცვა. თავზე საჩიხიანი ქუდი ეფარა, ხელში კი წკეპლა ეკავა, რომელიც შემოსვლისთანავე კუთხეში მოისროლა. მაიკლი მისასაღმებლად ფეხზე წამოდგა და დონ დომენიკმა გულითადად ჩაიკრა გულში.

სუფრას ერთად მიუსხდნენ. დონ დომენიკმა მაიკლს ბუნებრივი ღირსებითა და მბრძანებლური თავდაჭერით მამა მოაგონა. მანერებიც მასავით ძველებური, არისტოკრატიული ჰქონდა. პიტერ კლემენზა უფროს ძმას აშკარა აღტაცებით შეჰყურებდა და ისიც უმცროსი ძმისადმი შემწყნარებლურ სიტბოს იჩენდა. მაიკლს ეს გაუკვირდა და გულში გაეცინა კიდევ: ამერიკაში პიტერ კლემენზა მამამისის ყველაზე სანდო და შიშისმგვრელი კაპორჯიმე, ანუ სარდალი იყო.

დონ დომენიკმა ხალისიანი მზერით, თუმცა სერიოზული კილოთი მიმართა მაიკლს:

— ჩემთვის ძალზე სასიხარულო და საამაყოა, რომ დონ კორლეონემ თქვენზე მზრუნველობა მომანდო. როგორც იქნა, შემიძლია ცნობისმოყვარეობა დაუიკმაყოფილო. თუ შეიძლება, მითხარით, ეს ჩემი უქნარა ძმა ამერიკაში მართლაც ისე წარმატებულია, როგორც თვითონ ამტკიცებს? ჩემმა უმცროსმა ძმამ, რომელსაც ღორის დაკვლასაც კი არ ვანდობ, მართლაც ასეთი კარიერა გაიკეთა? ხუმრობა ხომ არაა, დონ კორლეონეს მარჯვენა ხელია! ამბობს, ასკაციან რაზმს ვმეთაურობო. როგორ დაუუჯერო? — ამას რომ ამბობდა, ძმას სიყვარულით გადახვია მხარზე ხელი.

— ყველაფერი მართალია, — დაარწმუნა მაიკლმა, — მამაჩემს არაერთხელ უთქვამს, რომ თქვენი ძმა გვერდში რომ არ ჰყავდეს, ზეითუნის ზეთით ვაჭრობის გარდა ვერაფერს მიაღწევდა.

სამიუეს გაეცინა. პიტერ კლემენზამ თქვა:

— მამაშენი რომ არა, მთელი ცხოვრების ციხეში გატარება მომიწევდა. თოფის სროლის გარდა არაფერი გამეგებოდა, მან კი ფიქრი მასწავლა.

— მე კი უბრალო სოფლელი ფერმერი ვარ, — ამოიოხრა დონ

დომენიკმა, — მართალია, მეზობლები რჩევას მეკითხებიან და, როგორც ამბობენ, ტრაპანიში ჩემს სიტყვას წონა აქვს. „ურჯულოს“ მეძახიან, რაკი დონ კროჩეს თავს არ ვუხრი. იქნებ, ეს სიბრიყვე იყოს — იქნებ, ჩემ ადგილას ნათლიას დონ კროჩესთანაც გამოენახა საერთო ენა. მე კი ეს შეუძლებლად მიმაჩნია. ურჯულო მხოლოდ მათთვის ვარ, ვინც პატოვისცემას არ იმსახურებს. დონ კროჩე ინფორმაციით ვაჭრობს, მე კი ეს მიმაჩნია ურჯულოებად. ძველი წეს-ჩვეულებები მაინც ყველაფერს ჯობს, მაიკლ, და რამდენიმე დღეს აქ რომ გაატარებთ, ამაში დარწმუნდებით.

— ეჭვი არ მეპარება, — უპასუხა მაიკლმა, — დიდად მადლობელი ვარ იმისათვის, რომ მეხმარებით.

— საქმეები მაქვს. თუ რაიმე დაგჭირდეთ, შემომითვალეთ, — უთხრა დონ დომენიკმა, წკეპლა აიღო და გავიდა.

პიტერ კლემენზა ალაპარაკდა:

— მაიკლ, მამაშენი ტორი ჯულიანოს გადარჩენას იმიტომ დათანხმდა, რომ უფროს ჯულიანოს თავის მეგობრად თვლის. მაგრამ შენი უსაფრთხოება მაინც პირველ ადგილზე დგას. ჯულიანოს ერთი კვირა აქვს შენამდე მოსალწევად, მაგრამ ამ ვადაში თუ არ გამოჩნდა, შენ შეერთებულ შტატებში უნდა გაემგზავრო. ასე მაქვს ნაბრძანები. აფრიკაში საგანგებო თვითმფრინავი გველოდება, რომელიც ნებისმიერ დროს წაგვიყვანს, ეს შენს სიტყვაზეა დამოკიდებული.

— პიშოტამ მითხრა, ჯულიანოს ძალიან მალე მოგიყვანო, — უთხრა მაიკლმა.

კლემენზამ დაუსტვინა.

— პიშოტა ნახე? ჯანდაბა, მასაც ისევე დაეძებენ, როგორც ჯულიანოს. როგორ მოახერხა მთებიდან ჩამოსვლა?

— არ ვიცი, — მხრები აიჩეჩა მაიკლმა, — დაუინახე, რომ იუსტიციის მინისტრის მიერ ხელმოწერილი წითულარშიანი პასპორტი ჰქონდა და ეს ყველაზე მეტად მაფიქრებს.

პიტერ კლემენზამ თავი გააქნია.

— პიტ, აქ რომ მომიყვანა, იმ კაცს, ანდოლინის თუ იცნობ?

— ჰო, დაქირავებული გვეყავდა, უფროს ჯულიანოსთან ერთად მუშაობდა. ჯულიანო მშენებლობის დიდოსტატია. ორივემ სისულელე ქნა, სიცილიაზე რომ დაბრუნდა. მაგრამ სიცილიელები ასეთები არიან: თავიანთ აყროლებულ ქონებას ვერ იფიწყებენ. აქ

რომ მოვდიოდი, თან ორი ხელქვეითი წამოვიყვანე. ოცი წელია მშობლიურ მიწაზე ფეხი არ დაუდგამთ. ერიჩეს მიმართულებით გავისეირნეთ ფეხით. ულამაზესი ქალაქია, მაიკი. მინდორში გავიარეთ, სადაც ცხვრის ფარებია გაშლილი, მწყემსები ღვინოს სვამდნენ და ჩვენც მიგვიპატიჟეს. ჩემი ორი თანამგზავრი ისე აღტკინდა, სულ მაღაყებს გადადიოდნენ და ყვიროდნენ, სიცილიას გაუმარჯოსო. რა უნდა ქნა? სიცილიელები მაინც არასოდეს შეიცვლებიან.

— ანდოლინიზე რას მეტყვი? — არ შეეშვა მაიკლი.

— მამაშენის ბიძაშვილია, — მხრები აიჩეჩა კლემენზამ, — უკანასკნელი ხუთი წლის განმავლობაში ჯულიანოს ერთ-ერთი თანაშემწე გახდა, მაგრამ მანამდე დონ კროჩესთან იყო. კაცმა არ იცის... საშიში ჩანს.

მაიკლმა თქვა:

— ანდოლინიმ ჯულიანოს საცოლუ აქ უნდა მოიყვანოს. ის ფეხმძიმეა. ჩვენ ის ამერიკაში უნდა გაუშვათ, საიდანაც ის ჯულიანოს კოდური სიტყვით შეატყობინებს, რომ გზა სუფთაა. ჯულიანო მხოლოდ მას მერე მოგვენდობა. დაუპირდი, რომ ამას გააკეთებდით. რა აზრის ხარ?

კლემენზამ კვლავ დაუსტვინა.

— არასოდეს მსმენია, ჯულიანოს მეგობარი გოგო თუ ჰყავდა. რა თქმა უნდა, გააკეთებთ.

დიდ ბაღში გაუიღნენ. მაიკლმა ჭიშკართან დაცვა შენიშნა და ნაპირის გასწვრივაც, სულ ცოტა, ექვსი შეიარაღებული კაცი სცემდა ბოლთას. მოკლე პირსთან მოტორიანი ნავი იყო მიბმული. ბაღში ადამიანების ჯგუფი იდგა. როგორც ჩანს, ელოდნენ, პიტერ კლემენზა როდის მიიღებდა. ოცნი იქნებოდნენ, ყველანი ტიპური სიცილიელები, დამტვერილი ტანისამოსითა და დონ დომენიკის მსგავსი ქუდებით.

ბაღის კუთხეში, ლიმონის ხის ძირას, ოვალური მაგიდის გარშემო უხეში სკამები იდგა. კლემენზა და მაიკლი მაგიდას მიუსხდნენ, მერე კლემენზამ მომლოდინე გლეხებს დაუძახა. ერთ-ერთი მათგანი მიუახლოვდა და მაგიდასთან ჩამოჯდა. კლემენზამ პირადი ცხოვრების შესახებ დაუსვა შეკითხვები: ცოლ-შვილი თუ ჰყავდა? რამდენი ხანი იყო, რაც დონ დომენიკისთვის მუშაობდა? ტრაპანიში ნათესავები თუ ჰყავდა და ოდესმე თუ უფიქრია ამერიკაში სამუ-

შაოდ გამგზავრება. ამ ბოლო შეკითხვას უკლებლივ ყველა დადე-
ბითად პასუხობდა.

მოხუცმა ქალმა მაგიდაზე დოქით ლიმონის ნაჭრებჩაყრილი
ღვინო დაუდგა. კლემენზა თითოეულ კაცს საუბრისას ღვინოსა და
სიგარეტს სთავაზობდა. როცა უკანასკნელი კაცი ბალის ბოლოში
მიიმალა, კლემენზამ მაიკლს გადახედა:

— რაიმე თუ გაქვს რომელიმე მათგანის საწინააღმდეგო?

— ჩემს თვალში ყველა ერთნაირია, ყველას ამერიკაში სურს გა-
მგზავრება, — მხრები აიჩეჩა მაიკლმა.

— შინ განახლება გვჭირდება, ძალზე ბევრი ხალხი დააკარ-
გეთ, — აუხსნა კლემენზამ, — შეიძლება უფრო მეტიც დააკარ-
გოთ. დაახლოებით ხუთ წელიწადში ერთხელ ჩამოვდივარ, თორმეტ
ახალგაზრდას ვარჩევ და თან მიმყავს. მე თვითონ ვწვრთნი. ჯერ
იოლ დაუალებებს ვაძლევ: დაცვა, გადასახადის აკრება, ფიზიკუ-
რი დატვირთვები. მათ ერთგულებას ვცდი. როცა ვთვლი, რომ
შზად არიან, შესაფერის ვითარებაში თავის გამოჩენის საშუალებას
ვაძლევ. მაგრამ ძალზე ფრთხილად ვიქცევი, რადგან იციან: თუ
ამ გამოცდას გაივლიან და ერთგულების ფიცს არ დაარღვევენ,
სიცოცხლის ბოლომდე არაფერი მოაკლდებათ. აქ ყველამ იცის,
რომ დონ კორლეონესთვის ახალწვეულებს ვირჩევ და მთელ პრო-
ვინციაში ყველას სურს ჩემთან შეხვედრა. მაგრამ ჩემი ძმა მსურ-
ველებს წინასწარ ცხრილავს: მისი ნებართვის გარეშე ვერაფერს მო-
მეკარება.

ნაშუადღევს ჭიშკარს ისევ ის პატარა „ფიატი“ მიადგა. საჭეს-
თან ანდოლინი იჯდა, მის გვერდით გრძელთმიანი შავგვრემანი ქა-
ლიშვილი. როცა მანქანიდან გადმოვიდა, მაიკლმა შენიშნა, რომ
ფეხბძიძედ იყო; სიცოცხლის მოკრძალებული კაბა ეცვა, ოღონდაც
შავი კი არა, ვარდისფრით გაწყობილი თეთრი. თუმცა თვითონ ქალი
იმდენად ლამაზი იყო, რომ კაბას მნიშვნელობა აღარ ჰქონდა.

მაიკლ კორლეონემ გაოცებით დაინახა უკანა კარიდან გადმო-
სული ჰექტორ ადონისის ტანმორჩილი ფიგურა. სწორედ ადონისმა
გააცნო ქალიშვილი — მას ჯუსტინა ერქვა. ახალგაზრდული სი-
მორცხვე სულ არ ემჩნეოდა და ჩვიდმეტი წლის ასაკში უკვე ცხო-
ვრებისეული ჭირ-ვარამით დაბრძენებული ქალივით იმზირებოდა.

მაიკლი რომ გააცნეს, ჯერ სახეზე დააკვირდა, თითქოს ღალატის რაიმე ნიშანს ეძებდა, და მხოლოდ ამის მერე მიესალმა.

დედაბერმა ის მისთვის გამზადებულ ოთახში შეიყვანა, ანდოლინიმ კი მანქანიდან ბარგი გადმოიღო. მხოლოდ ერთი მომცრო ჩემოდანი ჰქონდა, რომელიც მაიკლმა თვითონ შეიტანა სახლში.

სალამოს ყველამ ერთად იფარგა, გარდა ანდოლინისა, რომელიც კვლავ საჩქაროდ გაემგზავრა. ჰექტორ ადონისი კი დარჩა. სუფრასთან ჯუსტინას გამგზავრების გეგმებს აწყობდნენ. დონ დომენიკმა თქვა, ტუნისისკენ მიმავალი ნავი მუდამ მზადაა, რადგან არ ვიცით, ჯულიანო როდის შემოგვიერთდებაო. როგორც კი ეს მოხდება, სასწრაფოდ უნდა გაემგზავროთ, რადგან არაუინ იცის, რა ბოროტ თანამგზავრებს წამოიყოლებსო, — დაამატა ღიმილით.

პიტერ კლემენზამ განაცხადა, — ჯუსტინას ტუნისამდე გაჰყვებოდა და იმაზე იზრუნებდა, რომ საჭირო თვითმფრინავში ჩაესვა და ყველა საჭირო საბუთით მოემარაგებინა, ამერიკაში პრობლემა არ შექმნოდა. ამის მერე კვლავ ვილაზე დაბრუნდებოდა.

ამერიკაში ჩასვლისთანავე ჯუსტინას საქმროსათვის ნიშანი უნდა მიეცა და ამის შემდეგ დაიწყებოდა ჯულიანოს გადარჩენის ოპერაცია.

ჯუსტინას სადილის დროს თითქმის არაფერი უთქვამს. როცა დონ დომენიკმა ჰკითხა, მთელი დღის ნამგზავრი დღესვე თუ ისურვებდა გზის გაგრძელებას, გოგონამ პასუხი გასცა და მაიკლი მაშინდა მიხვდა, თუ რით მიიზიდა ჯულიანო: ცეცხლოვანი შავი თვალები ჰქონდა და სიცილიელი ქალებისათვის დამახასიათებელი ენერგიული ქვედა ყბა. თითქმის მბრძანებლური კილოთი წარმოთქვა:

— მოგზაურობა მუშაობაზე უფრო იოლია. მთაშიც მიძინია და ველზე, ცხვართან ერთადაც. მაშ, ნავსა და თვითმფრინავში რატომ არ უნდა დავიძინო? იმაზე მეტად მაინც არ ეციება, — ეს ამაყი ღირსებით წარმოთქვა, მაგრამ ჭიქა რომ ასწია, ხელი უკანკალებდა, — მხოლოდ ის მაძარდებს, რომ ტორიმ გაქცევა შეძლოს. რატომ არ წამოვიდა ჩემთან ერთად?

— ჯუსტინა, შენი საფრთხეში ჩაგდება არ სურდა, — რბილად უპასუხა ადონისმა, — მისთვის უფრო საშიშია მოგზაურობა და მეტი უსაფრთხოების ზომების მიღება მოგვიწევდა.

— ნავი გათენებამდე ჩაგიყვანთ აფრიკაში, — უთხრა პიტერ კლემენზამ, — იქნებ, ცოტა ხანს დაისვენოთ.

— არა, დაღლილი არ ვარ და იმდენად ვღელავ, რომ მაინც ვერ დავიძინებ. კიდევ დამისხით ღვინო.

— ინებეთ, — დონ დომენიკმა ჭიქა შეუვსო, — ეს თქვენი პატარისთვისაც კარგია და მოგვიანებით წაძინებაშიც დაგეხმარებათ. ჯულიანოს ჩვენთან რაიმე ხომ არ დაუბარებია?

ჯუსტინამ ნალვლიანად გაუღიმა.

— რამდენიმე თვეა, არ მინახავს. მხოლოდ ასპანუ პიშოტას ენდობა. ის კი არ ჰგონია, რომ ვულალატებ, მაგრამ ჩემთან შეხვედრისას შეიძლება მიაკვლიონ და დაიჭირონ. სულ იმ რომანების ბრალია, გამუდმებით რომ კითხულობს: იქ ქალის სიყვარული რაინდს სასიკვდილო საფრთხეში აგდებს. ჩემდამი სიყვარულს თავის უდიდეს სისუსტედ თვლის და, ცხადია, თავის გეგმებს არასოდეს მანდობს.

მაიკლს ჯულიანოს შესახებ მეტის გაგება სურდა: ხომ შესაძლებელია, მამამისი სიცილიაზე რომ დარჩენილიყო, თვით მაიკლს ან მის ძმას, სანის, ჯულიანოსნაირი ბედი რეგებოდა.

— როგორ გაიცანით ტორი? — ჰკითხა მან ჯუსტინას.

— თერთმეტი წლის რომ ვიყავი, მაშინ შემიყვარდა. ეს თითქმის შვიდი წლის წინ მოხდა, ის-ის იყო, ბანდიტი გახდა, მაგრამ მისი სახელი უკვე მთელ სიცილიაზე ქუხდა. მე და ჩემი ძმა მამასთან ერთად მინდორში ვიყავით და მამამ ქალაღდის ფულის შეკვრა მომცა, შინ, დედასთვის რომ მიმეტანა. ორივენი სულელი ბავშვები ვიყავით, ფულს ჰაერში ვაფრიალებდით, გვიხაროდა, რადგან ამდენი ერთად არასოდეს გვენახა. გზაზე ორმა კარაბინერმა დაგვინახა, ფული წაგვართვეს და, ტირილი რომ დავიწყეთ, მასხრად აგვიგდეს. აღარ ვიცოდით, რა გვექნა, შინ მისვლისაც გვეშინოდა და მამასთან დაბრუნებისაც. უეცრად ბუჩქებიდან ახალგაზრდა კაცი გამოვიდა: სიცილიელთა უმრავლესობაზე უფრო მაღალი და მხარბეჭიანი. ამერიკელ ჯარისკაცს ჰგავდა, ომის დროს რომ გვინახავს. მხარზე აუტომატი ჰქონდა გადაკიდებული, მაგრამ დიდრონი თაფლისფერი თვალებით კეთილად გვიმზერდა. ძალიან ლამაზი იყო. „ბავშვებო, ასეთ მშვენიერ დღეს რა გატირებთ? თქვენ კი, პატარა ქალბატონო, მაგ ცრემლით მთელ სილამაზეს იფუჭებთ. ვინლა შეგირთავთ ცოლად?“ ამას რომ ამბობდა, იცინოდა და ჩანდა, ჩვენმა ნახვამ რატომღაც კარგ გუნებაზე დააყენა. ვუამბეთ, რაც დაგვემართა და

ისევ გაიცინა, კარაბინერებს მუდამ ერიდეთ და ეს გაკვეთილი სამუდამოდ დაიმახსოვრეთო. მერე ჩემს ძმას ღირების სქელი დასტამისცა, მე კი მამასთან ბარათი გამატანა, რომელიც დღემდე სიტყვასიტყვით მახსოვს: „ნუ გაუბრაზდებით თქვენ ულამაზეს შვილებს, რომლებიც სიბერეში სასოებითა და სიხარულით აგავსებენ. იმაზე ბევრად მეტი ფული მიეცე, რაც დაკარგეს. და გახსოვდეთ: დღეიდან თქვენც და თქვენი შვილებიც ჩემი მფარველობის ქვეშ ხართ. **ჯუსტინამ**“. მთავრულით დაწერილი ეს სახელი ისეთი ლამაზი მომეჩვენა, რომ სიზმრადაც კი ვხედავდი. მაგრამ ჩემი სიყვარულის ნამდვილი მიზეზი ის იყო, რომ სხვებისათვის დახმარება ტორის ბედნიერებას ანიჭებს. დღემდე ასეა. მუდამ ვამჩნევდი ამ სიხარულს, თითქოს გაცემით თვითონ სხვაზე მეტს იძენდა. სწორედ ამისთვის უყვართ სიცილიელებს ტორი.

— ვიდრე პორტელა დელა ჯინესტრას ამბავი არ მოხდა, — მშვიდად ჩაურთო აღონისმა.

— არა, მას მერეც ისევ ისე უყვართ, — მგზნებარედ თქვა თავდახრილმა ჯუსტინამ.

— მოგვიანებით როგორღა შეხვდით? — ჰკითხა მაიკლმა.

— ჩემი უფროსი ძმა მისი ბანდის წევრი იყო, შესაძლოა, მამაჩემიც. ზუსტად არ ვიცი. მხოლოდ ჩემმა ოჯახმა და ტორის უახლოესმა ამხანაგებმა იციან, რომ დაუქორწინდით. ტორიმ ყველას დუმილის ფიცი ჩამოართვა, ეშინოდა, რომ მთავრობის ხალხი მომკლავდა.

სუფრასთან ყველა განცვიფრებით შეხვდა ამ ამბავს. ჯუსტინამ ჯიბიდან პატარა პორტმონე ამოიღო და მუყაოზე დაბეჭდილი მოწმობა ამოაძვრინა. მაიკლს გაუწოდა, მაგრამ პირველად აღონისმა ჩამოართვა წასაკითხად.

— ხვალ უკვე ამერიკაში იქნები. ნება მომეცი, ეს ამბავი ტორის მშობლებს ვახარო.

— მათ ჰგონიათ, ქორწინებამდე დაუფეხმძიმი და ამის გამო პატოს არ მცემენ, — ჯუსტინას სახე შეეფაკლა, — დიახ, შეგიძლიათ უთხრათ.

— ოდესმე თუ გინახავთ ტორის „ანდერძი“? — ჰკითხა მაიკლმა.

— არა, — თავი გააქნია ქალმა, — ტორის ამის შესახებ არაფერი უთქვამს.

დონ დომენიკს სახე გაუმკაცრდა. მაშ, მასაც სმენია „ანდერძის“ შესახებო, გაიფიქრა მაიკლმა. მაინც რამდენმა კაცმა იცის? მთელ სიცილიას ხომ არ ეცოდინება. ალბათ — მთავრობამ, დონ კროჩემ და ჯულიანოს უახლოესმა გარემოცვამ.

— დონ დომენიკ, — მიმართა მასპინძელს ადონისმა, — ნება მიბოძეთ, თქვენს სახლში დაურჩე, ვიდრე ჯუსტინა ამერიკიდან ხმას მოგვაწვდის, რათა პასუხი ტორის ჩაუუტანო. მხოლოდ ერთი ღამით შეგაწუხებთ.

— დიდ პატივს დამდებთ, ძვირფასო პროფესორო, თუკი იმდენ ხანს დარჩებით, რამდენსაც მოისურვებთ, — დაჟინებით წარმოთქვა დონ დომენიკმა, — ახლა კი ახალგაზრდა სენიორას და ყველა ჩვენგანსაც დასვენება გვჭირდება. ღამე მშვიდობისა, — დონმა დიდი ფრინველივით აიქნია მკლავები და ფეხზე წამოდგა. ადონისი თვითონ მიაცილა საძინებლამდე, დანარჩენ სტუმრებზე ზრუნვა მსახურებს მიანდო.

მეორე დღით, როცა მაიკლი ადგა, ჯუსტინა უკვე გამგზავრებულიყო.

ჰექტორ ადონისს დონის სახლში ორი ღამით მოუწია დარჩენა, ვიდრე ჯუსტინასგან წერილი არ მოვიდა, სადაც იწერებოდა, მშვიდობით ჩაუედიო. სადღაც წერილის ტექსტში ადონისმა კოდი ამოიკითხა, რომელმაც დააკმაყოფილა. წასვლის წინ მან მაიკლთან პირადი გასაუბრება ითხოვა.

მაიკლმა ის ორი დღე დაძაბულმა გაატარა, თვითონაც ეჩქარებოდა ამერიკაში გამგზავრება. სანის დაღუპვის შესახებ პიტერ კლემენზას მონათხრობმა ტორი ჯულიანოსადმი თბილი გრძნობები გაუასმაგა. ამ კაცს რაღაცნაირად თავის ძმასთან აიგივებდა: ერთნაირი შემართება და ენერჯია ჰქონდათ. ჯულიანო მაიკლის თანატოლი იყო და ასეთი დიდების მოპოვება მოესწრო; მასთან პირისპირ შეხვედრას აღელვებით მოელოდა. აინტერესებდა, რა გამოყენებას უპოვიდა მამამისი ჯულიანოს ამერიკაში, რადგან დარწმუნებული იყო, რომ ის მამას რაღაცაში სჭირდებოდა. სხვაგვარად ჯულიანოსთან წაყვანას აზრი ეკარგებოდა.

მაიკლმა და ადონისმა სანაპიროზე გაისეირნეს. შეიარაღებული დაცვა ესალმებოდა და მოწიწების ნიშნად „ვოსია“-თი მიმართავდა,

რაც „თქვენო ბრწყინვალებას“ ნიშნავს. ტანმორჩილი ადონისისადმი უპტივცემულობას არავინ იჩენდა. მოტორიანი ნავი უკან დაბრუნებულიყო და ნაპირთან ება. ახლოდან ჩანდა, რომ მომცრო იახტის ზომის იყო. ბორტზე ლუპარებიანი კაცები მოჩანდნენ.

ივლისის მზე აცხუნებდა, ზღვის ზედაპირი ლითონით ლაპლაპებდა. პირსზე ჩამოსხდნენ.

— ვიდრე წავიდოდე, თქვენთან კიდევ ერთი თხოვნა მაქვს, ძალზე მნიშვნელოვანი, — წამოიწყო ადონისმა.

— ვეცდები დაგეხმაროთ, — უპასუხა მაიკლმა.

— დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოთ ტორის „ანდერძი“ მამათქვენს ამერიკაში. მან იცის, როგორ გამოიყენოს ეს საბუთი. დონ კროჩესა და რომის მთავრობასაც აცნობებს, რომ საბუთი ამერიკაშია. ამის შემდეგ ტორისათვის ხელის ხლებას ვედარ გაბედავენ.

— საბუთი თქვენ გაქვთ? — ჰკითხა მაიკლმა.

— არა, თქვენ გაქვთ, — გაუღიმა პატარა კაცმა.

— ცდებით, ჩემთვის ის არავის გადმოუცია, — გაოცდა მაიკლი.

— მარია ლომბარდომ გადმოგცათ. მხოლოდ მე და მან ვიცით, სად ინახება „ანდერძი“, პიშოტამაც კი არაფერი იცის.

მაიკლმა მზერით ანიშნა ადონისს, რომ ყველაფერს მიხვდა.

— დიახ, შავ მადონაშია. მართალია, ყველამ იცის, რომ ეს ფიგურა ოჯახში თაობიდან თაობას გადაეცემოდა და ძალზე ძვირფასია, მაგრამ შიგნიდან ცარიელია. „ანდერძი“ ძალზე თხელ ფურცლებზეა დაწერილი და ყოველ ფურცელზე ჯულიანოს ხელმოწერაა. მის შედგენაში უკანასკნელი წლების განმავლობაში ვეხმარებოდი. შიგ რამდენიმე მაკომპრომეტირებული საბუთიცაა ჩადებული. ტორიმ თავიდანვე იცოდა, რით შეიძლებოდა ყველაფერი დამთავრებულიყო. ახალგაზრდა კაცისათვის გასაოცარი წინდახედულობა ახასიათებს.

— დედამისი კი ნამდვილი მსახიობია, — გაეცინა მაიკლს.

— ყველა სიცილიელი მსახიობია, — უთხრა ადონისმა, — ჩვენ არავის ვენდობით და ყველას წინაშე ვთამაშობთ როლს. ცხადია, ჯულიანოს მამა სანდოა, მაგრამ გულუბრყვილო კაცია, პიშოტა მისი ბავშვობის მეგობარია, ანდოლინიმ ტორი სიკვდილისაგან იხსნა, მაგრამ, მიუხედავად ყველაფრისა, სჯობს, მათ არაფერი იცოდნენ, რადგან წლები ადამიანებს ცვლის.

— თქვენ ხომ გენდობათ, — თქვა მაიკლმა.

— დიახ, მაგრამ ტორი ძალზე ჭკვიანია. მე მხოლოდ „ანდერძს“ მანდობს, პიშოტას კი — მხოლოდ თავის სიცოცხლეს. საფრთხის შემთხვევაში ორივემ შეიძლება ვუღალატოთ.

თავი 17

მაიკლ კორლეონე და ჰექტორ ადონისი ვილასთან მობრუნდნენ და პიტერ კლემენზასთან ერთად ლიმონის ხის ქვეშ დასხდნენ. მაიკლს „ანდერძის“ წაკითხვა ეჩქარებოდა, მაგრამ ადონისმა უთხრა, საცაა ანდოლინი მონტელეპრეში წასაყვანად მომაკითხავსო, და მაიკლიც მას ელოდა, რადგან, შესაძლოა, ანდოლინის მისთვის რაიმე ცნობა მოეტანა.

გავიდა ერთი საათი. ადონისი აღელდა, ხშირ-ხშირად დაჰყურებდა მაჯის საათს.

— მანქანა ხომ არ გაუფუჭდა, — ივარაუდა მაიკლმა, — მისი „ფიატი“ ძველისძველია.

— არა, — თავი გააქნია ადონისმა, — ანდოლინი სულით მკვლელია, მაგრამ ამასთან პუნქტუალობის მამაა. უეჭველად სანდოა. ვშიშობ, რაკი დაიგვიანა, რაღაც გაუთვალისწინებელი მოხდა. მე კი დაბნელებამდე მონტელეპრეში უნდა ვიყო, ვიდრე კომენდანტის საათი დაიწყება.

— მძღოლიანი მანქანით გაგიშვებთ, — შესთავაზა კლემენზამ.

— არა, სჯობს დაველოდო.

— წინააღმდეგი ხომ არ იქნებით, დოკუმენტი უთქვენოდ რომ გავხსნათ, — ჰკითხა მაიკლმა, — როგორ იხსნება ქანდაკება?

— რა თქმა უნდა, შეგიძლიათ წაიკითხოთ, — უპასუხა ადონისმა, — გახსნა ადვილია. მას მერე, რაც ტორიმ შიგ ქაღალდები ჩადო, თავი მივაწებეთ. უბრალოდ თავი მოაძვრეთ. თუ წაკითხვა გაგიჭირდებათ, მსახური გამოუშვით და მოვალ.

მაიკლი პიტერ კლემენზასთან ერთად თავის საძინებელში ავიდა. ფიგურა ისევ ქურთუკის ჯიბეში ედო და სრულიად დავიწყებოდა. ღვთისმშობლის სახეს შეხედა: ნაკვთები ნეგროიდული ჰქონდა, გამომეტყველება კი ზუსტად ისეთი, როგორიც თეთრკანიან მადონებს.

კლემენზამ მსახურ ქალს სამზარეულოდან დიდი დანა მოატანინა, მერე ცხვირწინ კარი მოუკეტა და მადონას მიუბრუნდა. მარცხენა ხელით ფიგურის კვარცხლბეკს ჩაეჭიდა, მარჯვნივ ძლიერად დაჰკრა დანა. თავი მოსძვრა და ოთახში გაგორდა, მყიფე ქანდაკებიდან კი ტყავის ზონრით შეკრული ქაღალდები გადმოცვივდა. კლემენზამ ფიგურა ზუსტად შეწებების ადგილას გადატეხა, სხვაგვარად შეუძლებელი იყო ზეთისხილის მკვრივი ხის გაჭრა.

ქაღალდებს ზონარი მოხსნა და მაგიდაზე გაშალა. თხუთმეტიოდე სიფრიფანა ფურცელი იყო, შავი მელნით მჭიდროდ ნაწერი. ძირში ყოველ გვერდს ჯულიანოს მეფურად კაზმული ხელმოწერა ამშვენებდა. იქვე იყო ოფიციალურბეჭდიანი და ნოტარიალურად დადასტურებული საბუთები.

მაიკლმა მოკუჭული ფურცლები ხელით გაშალა და გასასწორებლად კუთხეებზე ქანდაკების ორივე ნატეხი დაადო. მერე მაგიდაზე მდგარი დოქიდან საზეიმოდ ჩამოასხა ღვინო და ერთ-ერთი ჭიქა კლემენზას გაუწოდა. ღვინოს სვამდნენ და თან „ანდერძს“ კითხულობდნენ.

თითქმის ორ საათს მოუნდნენ.

მაიკლი იმან შეძრა, რომ ტორი ჯულიანოს, ამ ახალგაზრდა იდეალისტს, საკუთარ თავზე ამდენი ღალატისა და ვერაგობის გადატანა მოუწია. მაიკლი საკმარისად იცნობდა ცხოვრებას და დიდად დააფასა ის შეუპოვრობა, რითაც ჯულიანო საკუთარ პრინციპებს იცავდა. მისი გაქცევა მაიკლმა თავის პირად საქმედ შეიგრძნო.

რომის ქრისტიან-დემოკრატიულ მთავრობას იმდენად ჯულიანოს ჩანაწერები არ უქმნიდა საფრთხეს, რამდენადაც მისი თანმხლები საბუთები. მაინც რა დაუფიქრებელნი იყვნენ ძლიერნი ამა ქვეყნისა: იუსტიციის მინისტრისა და კარდინალის მიერ ხელმოწერილი წერილები! ეს ადამიანები ღიად ეკითხებოდნენ დონ კროჩეს, თუ რის გაკეთება შეიძლებოდა ჯინესტრაში დემონსტრაციის დასაშლელად.

იქვე იყო პრინც ოლორტოს წერილი, სადაც ის ჯულიანოს ქება-დიდებას არ აკლებდა და არწმუნებდა, რომ ქრისტიან-დემოკრატიული მთავრობის ყველა წარმომადგენელი პირადად დაჰ-

პირდა, ჯულიანოს პატიებისათვის ღონეს არ დავიშურებთ, თუკი, რასაც ჩვენ ვთხოვთ, იმას გააკეთებსო. ამჟვე წერილში ოლორტო ცალსახად წერდა, იუსტიციის მინისტრთან საუკეთესო ურთიერთობა მაქვსო.

ჯულიანოს დაკავების გეგმებიც პოლიციის მაღალჩინოსნების მიერ იყო შედგენილი, რომლებიც ჯულიანოს გაწეული დახმარების სანაცვლოდ გადაეცა.

— არ მიკვირს, რომ ჯულიანოს დაჭერას არ ჩქარობენ, — ჩაილაპარაკა მაიკლმა, — ამ საბუთებით მთელ მთავრობას ააფეთქებს.

— დღესვე წავიღებ ამ ქაღალდებს ტუნისში, — უთხრა კლემენზამ, — ხვალ საღამოს უკვე მამაშენის სეიფში იქნება.

ქაღალდები ისევ შეახვია და მადონას ფიგურაში ჩადო.

— წავიდეთ! თუ ახლავე გავემგზავრები, ხვალ დილით შევძლებ აქ დაბრუნებას.

ვილიდან გასვლისას კლემენზამ დანა სამზრეულოში დედაბერს ჩააბარა, იმან ეჭვით დახედა, თითქოს ზედ სისხლის კვალს ეძებსო. სანაპიროსკენ რომ დაიძრნენ, გოცებით შენიშნეს ბაღში მომლოდინე ჰექტორ ადონისი. ესე იგი, ანდოლინი კვლავაც არ გამოჩენილა.

ჩია კაცს ჰალსტუხი შეეხსნა და ქურთუკი სკამზე გადაეფინა. თეთრ პერანგზე ოფლის ლაქები ემჩნეოდა. შეზარხოშებულიც ჩანდა. წინ ცარიელი ღვინის ღოქი ედგა. მაიკლსა და კლემენზას გასძახა:

— ამ მზაკვრობისა დიდი ხანია მეშინოდა. ანდოლინიმ სამი საათით დაიგვიანა. მონტელეპრეში უნდა გავემგზავრო, იქიდან პალერმოში. ჯულიანო უნდა გავაფრთხილო.

— პროფესორო, ყველაფერი შეიძლებოდა მომხდარიყო, — დაამშვიდა კლემენზამ, — მანქანა გაუფუჭდებოდა ან რაიმე შეაყოვნებდა. იცის, რომ აქ საიმედოდ ხართ. დღეს თუ არ გამოჩნდა, ამაღამაც გიჯობთ, აქ დარჩეთ.

მაგრამ ადონისი იმეორებდა:

— არა, არა, რაღაც ცუდი ამბავია.

მანქანა სთხოვა. კლემენზამ ორ ხელქვეითს უბრძანა, ადონისი „ალფა რომეოთი“ პალერმოში წაეყვანათ და დაღამებამდე დაბრუნებულიყვნენ.

ადონისი მანქანაში ჩასვეს და ანუგეშეს. „ანდერძი“ ოცდაოთხ საათში ამერიკაში იქნებოდა და ჯულიანოს საფრთხე აღარ დაემუქრებოდა. როცა მანქანა ჭიშკარში გავიდა, მაიკლმა კლემენზა ნაპირამდე მიაცილა და ნავში ჩასვა.

— დილით დავბრუნდები, — გასძახა ნავიდან კლემენზამ.

მაიკლმა გაიფიქრა, ნეტავ, რა მოხდება, თუკი ჯულიანო ამ ღამით გამოჩნდაო.

მოგვიანებით მარტომ ისადილა. საღამოს ნაპირზე გაისეირნა. ბნელდებოდა და ზღვას ხავერდოვანი ლურჯი ფერი გადაჰკვროდა. ზღვის იქიდან მაიკლს თითქოს აფრიკის კონტინენტის სურნელი მოსდიოდა: ველური ყვავილებისა და ველური ცხოველების სურნელი.

აქ, წყლის პირას, მწერების გამუდმებული ზუზუნი, როგორც იქნა, შეწყდა. ამ არსებებს ხმელეთის უხვი მცენარეულობა და სიმშრალე სჭირდებოდათ. ისეთი სიჩუმე იყო, თითქოს, ძრავა გამორთესო. მაიკლი ნაპირზე იდგა და სიცილიური ღამის მშვენიებას ისრუტავდა. გული სიბრაღულით აღევსო ყველას მიმართ, ვისაც ახლა, სიბნელეში მგზავრობა უწევდა. ჯულიანო მთაშია, პიშოტა თავისი საბუთით მტრული პატრულის გარღვევას ცდილობს, ჰექტორ ადონისი და სტეფან ანდოლინი სიცილიის შარაგზებზე ერთმანეთისკენ მიიკვლევენ გზას, პიტერ კლემენზა კი მოშავო ზღვის ზედაპირზე ტუნისისკენ მიირწევა. ან დონ დომენიკ კლემენზა სადღა წავიდა? სადილად არ მოსულა. ყველანი სიცილიის ღამეში მოარული აჩრდილები იყვნენ და, როდესაც კვლავ სცენაზე გამოჩნდებოდნენ, ფინალური აქტი გათამაშდებოდა: ტორი ჯულიანოს სიკვდილისა თუ გადარჩენის აქტი.

წიგნი IV

დონ კროჩე

1947

თავი 18

სავოის დინასტიის წარმომადგენელი, მეფე უმბერტო II, რბილი კაცი იყო და ხალხს დიდად უყვარდა. მან თანხმობა განაცხადა იტალიაში ნომინალური მონარქიის შესახებ რეფერენდუმის ჩატარებაზე: არ სურდა მეფედ დარჩენა, თუკი მის ქვეშევრდომებს აღარ სჭირდებოდათ. ამაში თავის წინაპრებს ჰგავდა. სავოის სამეფო ოჯახი ოდითგანვე უამბიციო ხელმწიფეებს შობდა. მათი მონარქია რეალურად პარლამენტის მიერ მართულ დემოკრატიას წარმოადგენდა. პოლიტიკური ექსპერტები დარწმუნებული იყვნენ, რომ რეფერენდუმის შედეგად ქვეყანა მონარქიას შეინარჩუნებდა.

სიცილიის კუნძული პოლიტიკურად მნიშვნელოვან როლს თამაშობდა. იქ იმხანად ორი მნიშვნელოვანი ძალა არსებობდა: ტორი ჯულიანოს ბანდა, რომელიც კუნძულის ჩრდილოეთ რეგიონს აკონტროლებდა და პოლიტიკურ არჩევნებში არ ერეოდა, და დონ კროჩე მალლო, რომელიც „მეგობართა მეგობრებთან“ ერთად ქრისტიან-დემოკრატიულ პარტიასა და მონარქიის შენარჩუნებას უჭერდა მხარს.

მაგრამ, ყველას გასაოცრად, იტალიელი ამომრჩევლები მონარქიის წინააღმდეგნი აღმოჩნდნენ, იტალია რესპუბლიკა გახდა, სოციალისტებმა და კომუნისტებმა კი ხმების ისეთი რაოდენობა დააგროვეს, რომ ქრისტიან-დემოკრატებს საფუძველი შეერყათ. სავსებით შესაძლებელი იყო, მომდევნო არჩევნების შედეგად რომში უღმერთო სოციალისტური მთავრობა დამკვიდრებულიყო. ქრისტიან-დემოკრატთა პარტიამ მთელი ძალები არჩევნებში გამარჯვებისაკენ მიმართა.

სიცილიამ ყველას სიურპრიზი მოუწყო: საპარლამენტო დეპუტატებიდან ყველაზე მეტი სოციალისტი სიცილიელებმა აირჩიეს, არადა, ამ კუნძულზე პროფკავშირი დღემდე ეშმაკისეულ სექტად ითვლებოდა. მაშ, რა მოხდა ამ მოკლე ხანში?

დონ კროჩე განრისხებული იყო. მისმა ხალხმა თავისი საქმე გააკეთა: მთელ პროვინციაში გლეხობა და ფერმერები დააშინა, მაგრამ ეს შრომა წყალში ჩაიყარა. კათოლიკური ეკლესია თავის მხრივ ქადაგებებისას კომუნისტების წინააღმდეგ წეოდა აგიტაციას და მონაზვნებიც მხოლოდ მათ ურიგებდნენ საქველმოქმედო კალათებით სპაგეტისა და ზეითუნის ზეთს, ვინც ქრისტიან-დემოკრატებს აძლევდა ხმას. ეკლესიამ ათასობით ღირა დაახარჯა ამ ქველმოქმედებას, მაგრამ სიცილიელმა გლეხმა იეშმაკა, გემრიელი ულუფა გადასანსლა, ხმა კი კომუნისტებს მისცა.

იუსტიციის მინისტრი ფრანკო ტრუზაც უკმაყოფილო იყო სიცილიელებით: გაიძვერა, ანგარებიანი და ორგული ხალხი, თანაც სიგიჟემდე ამპარტაუნები, მაშინაც კი, როცა ღამის ქოთანიც კი არ აბადიათ ტრუზას სძულდა ეს ნაძირლები. როგორ მისცეს ხმა სოციალისტ-კომუნისტებს? განა არ იციან, რომ მთავრობაში მოსვლის მერე ისინი ოჯახურ სტრუქტურებსაც მოშლიდნენ და თვით უფალ ღმერთსაც კი გააგდებდნენ იტალიის დიდებული ტაძრებიდან? ამ შეკითხვაზე პასუხის გაცემა და იტალიის მომავალი ბედის განჭვრეტა ერთადერთ ადამიანს შეეძლო. მინისტრმა დონ კროჩე ძალი დაიბარა.

იმ სიცილიელ გლეხებს, ვინც მემარცხენე პარტიებს დაუჭირა მხარი და ვისი წყალობითაც იტალიაში მონარქია გაუქმდა, ზემდგომ პირთა ეს განრისხება, ალბათ, ძალზე გააკვირვებდათ. არც ის მოსდიოდათ აზრად, რომ მსოფლიოს უძლიერესი სახელმწიფოები — ამერიკა, საფრანგეთი და დიდი ბრიტანეთი — სერიოზულად შფოთავდნენ იმის გამო, რომ იტალია შეიძლებოდა რუსეთის მოკავშირე გამხდარიყო. ამ გლეხთაგან ბევრს არც კი სმენოდა რუსეთის შესახებ.

სიცილიელი ლატაკები მრავალი წლის განმავლობაში პირველად ეღირსნენ დემოკრატებისაგან წინასაარჩევნო ძღვენს, ხოლო ხმა იმ პარტიას მისცეს, ვინც მინიმალურ თანხად მიწის იმ ნაგლეჯის შესყიდვას სთავაზობდა, რომელზედაც ცხოვრობდნენ.

რა იცოდნენ, რომ მათი არჩევანი მათ ოჯახურ სტრუქტურასა

და ღვთისმშობლის კულტს ემუქრებოდა, და, რომ მათი სათაყვანე-
ბელი ტაძრები შეიძლებოდა მუზეუმებად ექციათ, უწმინდესი პაპი
კი იტალიის ნაპირებიდან გაეძევებინათ.

სიცილიელებმა პოლიტიკურ პარტიას კი არა, მიწის ნაკვეთის
ფლობას დაუჭირეს მხარი. იმაზე დიდი ბედნიერება არ ეგულე-
ბოდათ, ვიდრე ის, რომ საკუთარ მიწაზე ეშრომათ და საკუთარი
ოფლით მოწეული ჭირნახული მხოლოდ თავიანთთვის და შვი-
ლებისათვის დაეტოვებინათ. სამოთხეც ასე წარმოედგინათ: ერთ-
ორაკრიანი ყანა, ფერდობზე ტერასებად შეფენილი ბოსტანი, პატა-
რა ვენახი, ერთი ლიმონის და ერთიც ზეთისხილის ხე.

იუსტიციის მინისტრი, ფრანკო ტრუზა, წარმოშობით სიცილიე-
ლი იყო, ანტიფაშისტის, მუსოლინის რეჟიმის წლები ციხეში გაატა-
რა, შემდეგ კი ინგლისში მოახერხა გაქცევა. კეთილშობილური გა-
რეგნობის მაღალი კაცი იყო, შავი თმითა და ოდნავ შევერცხლილი
წვერით. ნამდვილი გმირიც იყო და, ამავდროულად, მეწვრილმანე
ბიუროკრატიც, რაც უცნაურ კომბინაციას ქმნიდა.

მინისტრს აპარტამენტებში მასიური ძველებური ავეჯი ედგა.
კედლებზე პრეზიდენტ რუზველტისა და უინსტონ ჩერჩილის პორ-
ტრეტები ეკიდა. ტრუზამ საპატის სტუმარი სუფრასთან მიიპატიჟა
და ღვინო დაუსხა.

ღვინოს სვამდნენ და თან სიცილიის პოლიტიკურ ვითარებასა
და მომავალ არჩევნებზე ლაპარაკობდნენ. მინისტრმა შიში გამო-
თქვა, რომ, თუკი სიცილიელები თავიანთ მემარცხენე განწყობას არ
შეიცვლიდნენ, ქრისტიან-დემოკრატები ხელისუფლებაში გავლენ-
ას დაკარგავენ. შესაბამისად, კათოლიკური ეკლესია დაკარგავ-
და იტალიაში სახელმწიფო რელიგიის სტატუსს.

დონ კროჩეს არაფერი უთქვამს. მადიანად შეექცეოდა და გულში
ფიქრობდა, რომის სამხარულო მაინც ბევრად სჯობს სიცილიურსო.
მეფური თავი ტრიუფელიანი სპაგეტის თეფშთან დაეხარა და ძძლა-
ვრი ყბებით დაულალავად ღეჭავდა. თხელ ულვაშს დროდადრო ხელ-
სახოცით იწმენდა. მისი ნისკარტოვით ცხვირი ყოველ ახალშემო-
ტანილ კერძს ფხიზლად ამოწმებდა, თვალებით გულდაგულ ზვერა-
ვდა სუფრას. მინისტრის პოლიტიკურ მიმოხილვას დონ კროჩემ ერთი
კომენტარიც კი არ ჩაურთო. სადილის ბოლოს ხილითა და ყველით

დახუნძლული უზარმაზარი ლანგარი შემოიტანეს. ამის შემდეგ, ყავისა და ბრუნდის თანხლებით, დონი, როგორც იქნა, საუბარში ჩაერთო. როდესაც სტუმარი თავისი ზორბა ტანისთვის შეუფერებელ სკამის საზურგეზე გადაწვა, მასპინძელმა გონივრულად შესთავაზა რბილ-საგარძლებიან სასტუმრო ოთახში გადასვლა, სადაც მსახურს ყავა და ბრუნდი შეატანინა. დონს სიგარაც შესთავაზა, მაგრამ მან უარი უთხრა. მაშინ მინისტრი დონის სიბრძნის მოსასმენად მოეშადა.

დონ კროჩემ მასპინძელს თვალი შეაგლო. დიდად არ ეხატებოდა გულზე არც მისი არისტოკრატიზმი, არც გადამეტებულად მოვლილი წვერი, რომლითაც რომაელებზე მოახდენდა გავლენას, სიცილიელებზე კი — ვერასოდეს. არადა, სწორედ ამ კაცს შეეძლო სიცილიური მაფიის ძალთა კონსოლიდაცია; რომთან ქიშპობა მუდამ შეცდომა იყო. შედეგად მუსოლინიმ და ფაშისტებმა გაიმარჯვეს. დონ კროჩე ილუზიებს არ იქმნიდა: მემარცხენე მთავრობა სერიოზულად მოჰკიდებდა ხელს იატაკქვეშა ძალთა განეიტრალებას და „მეგობართა მეგობრებს“ პრობლემებს შეუქმნიდა. კარგად იცოდა, რომ მხოლოდ დემოკრატიული მთავრობა გახდოდა შესაძლებელს იმ ლეგალურ პროცესებს, თავისი ხელშეუხებლობისათვის რომ სჭირდებოდა და ახლა იმ სასწაულმოქმედი მკურნალობით დათანხმდა რომში ჩასვლას, რომელსაც ისტერიით შეპყრობილ დავრდომილთა ბრბო მოუხმობს. დარწმუნებული იყო, რომ სასწაულს მოახდენდა.

— მომავალ არჩევნებზე სიცილია თქვენი იქნება, — დაჰპირდა მინისტრს, — ოღონდ დიდი რაოდენობით შეიარაღებული მებრძოლები დაგვჭირდება და, გარდა ამისა, უნდა დამპირდეთ, რომ ტორი ჯულიანოს ხელს არ ახლებთ.

— ეს ერთადერთი რამაა, რასაც ვერ დაგპირდებით, — უთხრა მინისტრმა ტრუზამ.

— ეს სწორედ ის ერთადერთი რამაა, რისი შესრულებაც მოგიწევთ, — დაარწმუნა დონმა.

— მაინც რა კაცია ეს ტორი ჯულიანო? — იკითხა მინისტრმა, — ასეთი ახალგაზრდა და ასეთი მრისხანე? ეს სიცილიელისთვისაც კი მეტი სმეტია.

— ცდებით, ძალზე სანდომიანი ყმაწვილია, — უპასუხა დონმა, მინისტრის ირონიულ ღიმილზე თვალი დახუჭა და არც ის უხსენებია, რომ ჯულიანოს პირადად არასოდეს შეხვედრია.

— არა მგონია, ასე იყოს, — თავი გააქნია მინისტრმა, — კაცს, რომელსაც ამდენი კარაბინერი ჰყავს მოკლული, სანდომიანი ყმაწვილი ნამდვილად არ ეთქმის.

ეს მართალიც იყო. დონმა გაიფიქრა, რომ ჯულიანო ამ უკანასკნელ წელიწადში განსაკუთრებით გამძვინვარდა. მას მერე, რაც „მამა“ დონატა სიკვდილით დასაჯა, ჯულიანო უსასტიკესად უსწორდებოდა ყველა მტერს, სულერთია, მათვის მხარეს იყვნენ თუ რომის.

გაზეთებში დაიწყო განცხადებების დაგზავნა, სადაც წერდა, რომ, რაც უნდა მოემოქმედა რომს, ის მაინც დასავლეთ სიცილიის ერთადერთი ხელისუფალი იყო. წერილებში, ასევე, უკრძალავდა კარაბინერებს შურამის შემდეგ მონტელეპრეს, კორლეონესა და მონრეალის ქუჩების პატრულირებას. ამ მოთხოვნას იმით ხსნიდა, რომ მისი ბანდის წევრებს ამ ქალაქებში ოჯახები ჰყავდათ, ანდა ესა თუ ის საქმე ჰქონდათ მოსაგვარებელი და არ სურდა, მისი ხალხი თავიანთ საწოლებში ჩაეხოცათ, ანდა სახლიდან გამოსვლისას ქუჩაში დაეცხრილათ.

გაზეთები ამ წერილებს სკანდალურ-აღტკინებელი კომენტარებით ბეჭდავდნენ: სალვატორე ჯულიანო პატიმართა წამებას კრძალავს? პოლიციას უფლებას არ აძლევს, დასახლებული პუნქტები აკონტროლოს? რა უტიფრობაა! რა კოლოსალური შეუპოვრობა! ამ ახალგაზრდას თავი იტალიის მეფე ხომ არ ჰგონია? გაზეთის ფურცლები კარიკატურებით იყო აჭრელებული, სადაც პოლიციელები ჯულიანოს გოლიათური ფიგურის დანახვისთანავე მოსახვევში იმალებოდნენ.

ცხადია, მონტელეპრეს მარშალს ერთადერთი რამის გაკეთება შეეძლო: ის ყოველ ღამით ქუჩებში პატრულს უშვებდა. მისი ასკაციანი გარნიზონი ყოველ ღამით კვტავდა ქალაქის მისადგომებს, ჯულიანოს თავდასხმა რომ არ განეხორციელებინა.

მაგრამ ერთხელ, როცა მან კარაბინერები მთაში გაგზავნა, ჯულიანომ ბრძოლა გაუმართა: მას და მის ხუთ მეტაურს — პიშოტას, პასატემპოს, ტერანოვას, სილვესტროსა და ანდოლინის — ორმოცდაათკაციანი რაზმები ჰყავდათ, რომლებმაც პოლიციელებს უმოწყალო სროლა აუტეხეს. ექვსი კარაბინერი დაიღუპა, დანარჩენები ავტომატებისა და შაშხანების ცეცხლს გაექცნენ.

რომი მრისხანე ყაჩაღის წინააღმდეგ იარაღს ისხამდა, მაგრამ

დონს სწამდა, რომ სწორედ ჯულიანოს მრისხანება გამოადგებოდა მათ საქმეში, თუკი თვითონ დონი შეძლებდა ამ კვერცხისთავა მინისტრის დარწმუნებას.

— მერწმუნეთ, ჯულიანოს შეუძლია ჩვენს მიზანს მოემსახუროს. დავარწმუნებ, რომ კომუნისტებს სიცილიაზე ომი გამოუცხადოს: მათ შტაბბინებს თავს დაესხას და მათი მეთაურები დააშინოს. ჩემს დამსჯელ მარჯვენად ვაქცევ იმ საქმის შესასრულებლად, რასაც ლეგალურად ვერ განვახორციელებ.

მინისტრი ამ განცხადებით არ შეძრწუნებულა, მაგრამ მედიდურად უპასუხა:

— ჯულიანო უკვე ეროვნული სკანდალია, მეტიც, საერთაშორისო სკანდალი. საწერ მაგიდაზე მთავარსარდლის მიერ შემუშავებული სამხედრო ძალებით მისი გაუვნებლების გეგმა მიდევს. მისი თავი ათ მილიონ ლირადაა შეფასებული. სიცილიური პოლიციის გასამაგრებლად რომიდან ათასი კარაბინერი გავგზავნეთ, თქვენ კი მისთვის ხელის დაფარებას მთხოვთ? ჩემო დონ კროჩე, მოველოდი, რომ ისევე დაგვეხმარებოდით მის განადგურებაში, როგორც ეს სხვა ბანდიტების შემთხვევაში გააკეთეთ. ჯულიანო იტალიის სირცხვილია. ყველა ერთხმად ითხოვს მის გაქრობას.

დონ კროჩემ ყავა მოსვა და უღვაში თითუბით შეიმშრალა. ეს რომაული ფარისევლობა აღიზიანებდა. თავი ნელა გააქნია.

— ტორი ჯულიანო ბევრად უფრო გამოგვადგება, ვიდრე ცოცხალია და მთაში გმირულ საქმეებს აკეთებს. სიცილიელები მას თაყვანს სცემენ, ყოველ ღამით მისთვის ლოცულობენ. ჩემს კუნძულზე ერთ კაცსაც ვერ ნახავთ, მის გაცემაზე რომ დათანხმდეს. თანაც, სხვა ბანდიტებზე ბევრად უფრო გამჭრიახია. მის ბანდაში ჯაშუშები მყავს, მაგრამ მისი პიროვნული ზეგავლენა იმდენად დიდია, რომ აღარ ვიცი, რამდენად არიან ჩემი ერთგული. აი, როგორ ადამიანზე გესაუბრებით. ვინც კი მასთან ახლოს მიდის, ყველას ხიბლავს. რა მოხდება, თუ თქვენი ათასი კარაბინერი და მთელი ჯარი დამარცხდა? გაიხსენეთ, ისინი წარსულშიც დამარცხებულან. გეუბნებით: თუ ჯულიანო მემარცხენე პარტიებს დაუჭერს მხარს, თქვენი პარტია სიცილიას და, შესაბამისად, იტალიასაც დაკარგავს, — დონი შეჩერდა და მინისტრს დაჟინებით შეაცქერდა: — სხვა გზა არ გაქვთ, მასთან შეთანხმებას უნდა მიაღწიოთ.

— ეს როგორ უნდა მოგვარდეს? — თავაზიანი, მედიდური ღიმილით იკითხა მინისტრმა. დონ კროჩეს სძულდა ეს ღიმილი: ეს რომაული ღიმილი იყო, მინისტრს კი ძარღვებში სიცილიური სისხლი უდიოდა, — სანდო წყაროებიდან ვიცი, რომ ჯულიანოს თქვენ არ უყვარხართ.

— უკანასკნელი სამი წელია, ღია კონფლიქტში არ შემოდის და საიმისოდ ჰყოფნის ჭკუა, რომ უთანხმოება დაივიწყოს, — მხრები აიჩეჩა დონმა, — თანაც მასთან დოქტორ ჰექტორ ადონისი მაკავშირებს: ის ჩემი სანდო კაცია და, ამაოდროულად, ჯულიანოს ნათელია და გულითადი მეგობარი. ჯულიანოსთან ის მიშუამდგომლებს, ოღონდ თქვენგან რაიმე დასაბუთებული დაპირება უნდა მქონდეს.

— მაინც რას ითხოვთ ჩემგან? ბეჭდით დამოწმებულ წერილს, რომელშიც ეწერება, რომ გულით მიყვარს ის ბანდიტი, რომლის დაჭერასაც ვცილობ? — მასხრად აიგდო მინისტრმა.

დონის უდიდესი ძალა ის იყო, რომ შეურაცხყოფასა და დამცირებას არასოდეს იმჩნევდა, თუმცა ყველაფერს იმახსოვრებდა. უემოციოდ უპასუხა, სახე უძრავ ნიღბად ექცა:

— არა, მხოლოდ ჯარის მხედართმთავრის მიერ თქვენთვის გადმოცემული თავდასხმის გეგმის ასლი მომეცით, ასევე, თქვენი ბრძანების ასლიც, სადაც კუნძულზე ათასი კარაბინერის გაგზავნას ითხოვთ. ორივეს ჯულიანოს ვუჩვენებ და დაუპირდები, რომ ეს გეგმები არ შესრულდება, თუკი ის სიცილიელების გონს მოყვანაში დაგვეხმარება. მომავალში ეს თქვენ საფრთხეს ვერ შეგიქმნით: შეგიძლიათ განაცხადოთ, რომ ასლები მოიპარეს. ასევე, ჯულიანოს დაუპირდები, რომ, თუკი არჩევნებში ქრისტიან-დემოკრატები გაიმარჯვებენ, ის მთავრობისაგან შეწყალებას მიიღებს.

— არა, — თქვა მინისტრმა, — შეწყალება ჩემს შესაძლებლობებს აღემატება.

— დაპირება ხომ შეგიძლიათ, — დაამშვიდა დონ კროჩემ, — მერე კი, თუ შესაძლებელი გახდა, ხომ კარგი, თუ არა და ამ სამწუხარო ამბავს თვითონვე ვაცნობებ.

როგორც იქნა, მინისტრს გონება გაუნათდა. ახლავდა მიხვდა, რომ დონ კროჩე, საბოლოო ჯამში, ჯულიანოს თავიდან მოცილებას აპირებდა, რადგან სიცილიაზე ორივენი ვერ დაეტეოდნენ. იმასაც მიხვდა, რომ დონ კროჩე მთელ პასუხისმგებლობას საკუთარ

თავზე აიღებდა და მინისტრს პრობლემის გადაჭრა არ მოუწევდა. საკმარისი იყო დონ კროჩესთვის საბუთების ასლების მიცემა.

მინისტრი დაფიქრდა. დონ კროჩემ დიდი თავი დახარა და რბილად წარმოთქვა:

— თუკი შეწყალება საერთოდ შესაძლებელია, მე მას მივესალმები.

მინისტრი ოთახში ბოლთას სცემდა და ყველა შესაძლო გართულების განჭვრეტას ცდილობდა. დონ კროჩე არ განძრეულა. ბოლოს მინისტრმა მიმართა:

— დაჰპირდით შეწყალებას ჩემი სახელით, მაგრამ იცოდეთ, რომ შექმნილ ვითარებაში ეს ძალზე რთული იქნება. შეიძლება მეტი-მეტად დიდი სკანდალი ატყდეს. ჟურნალისტებმა თუნდაც ის რომ გაიგონ, რომ მე და თქვენ ერთმანეთს შევხვდით, მაშინვე მომხსნიან და სიცოცხლის ბოლომდე სიცილიაზე ნაკელის თხრა და ცხვრის პარსვა მომიწევს. მითხარით, საბუთების ასლები აუცილებლად გჭირდებათ?

— მათ გარეშე არაფერი გამოვა, — მიუგო დონ კროჩემ და ოპერის მომღერალივით მძლავრი და დამაჯერებელი ტონით განაგრძო, — ჯულიანოს ჩემი და თქვენი მეგობრობის დასტური სჭირდება და, ამავ დროს, რასაც ვითხოვთ, იმისათვის აუანსსაც მოინდომებს. და, თუ ამ საბუთებს მივაწვდით და თან დავპირდებით, რომ მის წინააღმდეგ ეს გეგმები არ განხორციელდება, მის ორივე ამ პირობას შევასრულებთ.

მინისტრმა დონს ჭიქაში ყავა ჩაუმატა.

— თანახმა ვარ, გენდობით, — უთხრა მან, — მაგრამ თქვენი უსაფრთხოება მაწუხებს. თუ ჯულიანოსადმი მიცემულ პირობას ვერ შევასრულებთ, აუცილებლად თქვენ მოგთხოვთ პასუხს.

დონმა თავი დაუკრა, მაგრამ არაფერი უპასუხა. ყავის ჭიქას დასწვდა და მოსვა. მინისტრმა თვალი გაუსწორა და უთხრა:

— თქვენ ორნი ერთმანეთის გვერდიგვერდ ასეთ პატარა კუნძულზე ვერ იცხოვრებთ.

— ადგილს დაუთმობ, — გაეღიმა დონს, — დრო კიდევ ბევრია.

— კარგი, კარგი. ესეც გახსოვდეთ: თუკი ჩემს პარტიას სიცილიის ხმებს შევპირდები, მერე კი ჯულიანოს პრობლემათაგან მთავრობის სასარგებლოდ გადავწყვეტ, შესაძლოა, ძალზე მაღალ თანამდებო-

ბაზე დავინიშნო. თუმცა, ნებისმიერ შემთხვევაში არ დაგოვიწყებთ ძვირფასო მეგობარო. ჩემი ყურადღება არასოდეს მოგაკლდებათ.

დონმა სავარძელში გვერდი შეიცვალა და დაფიქრდა, იქნებ მართლაც ღირდეს ამ ყვეფი სიცილიელის პრემიერ-მინისტრად დასმაო. „მეგობართა მეგობრებს“ მისი სიბრიყვე გამოადგებათ, ღალატის შემთხვევაში კი არც მისი განადგურება გაუჭირდებათ. დონ კროჩე იმ გულწრფელი კილოთი ალაპარაკდა, რისთვისაც მას ყველა განსაკუთრებულად აფასებდა:

— გმადლობთ მეგობრობისათვის და ძალ-ღონეს არ დავიშურებ, რათა თქვენს კარიერას ხელი შევუწყო. მაშ, შევთანხმდით. ხვალ შუადღისას მივემგზავრები პალერმოში და მადლობელი დაგვრჩებით, თუკი საბუთების ასლებს ხვალ დილით სასტუმროში გამომიგზავნით. რაც შეეხება ჯულიანოს, თუკი ჩვენი საქმის დასრულების შემდეგ მისი შეწყალება შეუძლებელი აღმოჩნდა, იმაზე ვიზრუნებ, რომ აქედან წავიდეს — ამერიკაში, ანდა სხვაგან — და ხელი აღარ შეგიშალოთ.

ერთმანეთს ასე დასცილდნენ: სიცილიელი ტრუზა, რომელმაც საზოგადოებრივი წესრიგის დაცვა აირჩია, და დონ კროჩე, ვისაც რომის ხელისუფლება და კანონი ეშმაკის მანქანად მიაჩნდა. რადგან დონ კროჩეს მხოლოდ თავისუფლება სწამდა — საკუთარი თავისუფლება, უცხო ძალასთან ვალში რომ არ იყო და მხოლოდ თავისი თანამემამულეების ხარჯზე არსებობდა. გული სტკიოდა იმის გამო, რომ ჯულიანო, კაცი, რომელიც მას ყოველმხრივ შეეფერებოდა, მის წინააღმდეგ იყო და ამის გამო ამ გაქნილ ფარისეველ მინისტრთან ჰქონდა საქმე.

პალერმოში დაბრუნებისთანავე დონ კროჩემ ჰექტორ ადონისი დაიბარა. ტრუზასთან შეხვედრისა და შეთანხმების შესახებ უამბო. მერე საბუთების ასლებიც უჩვენა. ტანმორჩილი პროფესორი მთავრობის გეგმებმა შეძრა და დონიც სწორედ ამას ელოდებოდა.

— მინისტრი დამპირდა, რომ ეს გეგმები არასოდეს განხორციელდება, მაგრამ ამის სანაცვლოდ თქვენმა ნათლულმა ყველა ღონე უნდა იხმაროს მომდევნო არჩევნებზე გავლენის მოსახდენად, — წამოიწყო დონ კროჩემ, — გული უნდა გაიმაგროს და გაჭირვებულებზე ზრუნვის ნაცვლად საკუთარ თავზე იზრუნოს. უნდა

შეიგნოს, რომ რომთან ეს შეთანხმება ძალზე ხელსაყრელი წინადადებაა და მისი ხელიდან გაშვება არ შეიძლება. ტრუზას ხელშია პოლიციაც და სასამართლოც. მომავალში ის შეიძლება პრემიერ-მინისტრიც კი გახდეს და, თუკი ეს მოხდა, ჯულიანო ოჯახს დაუბრუნდება და იქნებ თვითონაც გაიკეთოს პოლიტიკური კარიერა. სიცილიელებს ის უყვართ. ახლა კი ყველა წყენა უნდა დაიფიქროს. გთხოვთ, ამაში დაარწმუნოთ.

— კი მაგრამ, რომის დაპირებებს როგორ ენდობა? — შეიცხადა ადონისმა, — ის მუდამ ღარიბებს ეხმარებოდა და მათ საზიანოს არაფერს მოიმოქმედებს.

— ვერ დავიჯერებ, რომ კომუნისტი იყოს, — მკაცრად თქვა დონ კროჩემ, — შემახვედრეთ და მე თვითონ დავარწმუნებ. მე და ის მთელ სიცილიაზე უძლიერესი ადამიანები ვართ და, რატომ არ შეიძლება, ერთად ვიმოქმედოთ? ადრე უარი მითხრა, მაგრამ დრო შეიცვალა. ეს ორივეს გადაგვარჩენს, რადგან კომუნისტები ორივეს მსგავსი სიამოვნებით გაგვასწორებენ მიწასთან. კომუნისტურ სახელმწიფოს არც ჯულიანოსნაირი გმირი სჭირდება და არც ჩემნაირი ბოროტმოქმედი. როცა დამიბარებთ, მასთან შესახვედრად პირადად მოვალ. თავს ვდებ იმაზე, რომ რომი დაპირებას შეასრულებს და, თუკი არჩევნებში ქრისტიან-დემოკრატები გაიმარჯვებენ, ჯულიანოს შეწყალება ჩემზეა.

ჰექტორ ადონისი მიხვდა, რომ დონ კროჩე საკუთარ უსაფრთხოებას წირავდა, რადგან, რომის ღალატის შემთხვევაში, ჯულიანოს რისხვა სწორედ მას დაატყდებოდა.

— შეიძლება, ეს გეგმები ჯულიანოს ვუჩვენო? — იკითხა მან.

დონ კროჩე დაფიქრდა. იცოდა, რომ საბუთებს უკან ველარ დაიბრუნებდა და რომ ამით ჯულიანოს საშიშ იარაღს აწვდიდა ხელში. მან ადონისს გაუღიმა:

— ძვირფასო პროფესორო, რა თქმა უნდა, შეგიძლიათ წაუღოთ.

ჰექტორ ადონისის მოლოდინში ტორი ჯულიანო სამომავლო გეგმებზე ფიქრობდა. იცოდა, რომ შემარცხენეთა წარმატებები და მოახლოებული არჩევნები დონ კროჩეს აიძულებდა, მისთვის მიემართა დასახმარებლად.

თითქმის ოთხი წელიწადი იყო, რაც ჯულიანო მილიონობით ლირას ხარჯავდა თავის კუთხეში გაჭირვებულთა დასახმარებლად, მაგრამ კარგად ესმოდა, რომ ნამდვილ დახმარებას ხალხს მხოლოდ მაშინ გაუწევდა, თუ გარკვეულ ძალაუფლებას მოიპოვებდა.

ადონისის მიერ მოცემულმა წიგნებმა პოლიტიკისა და ეკონომიკის შესახებ ჯულიანო შეაშფოთა: ის მიხვდა, რომ მემარცხენე პარტიები ღარიბი ფენებისათვის ერთადერთ საშველს წარმოადგენდა ყველა ქვეყანაში, გარდა ამერიკისა. მიუხედავად ამისა, მათ ვერ მიემხრობოდა, რადგან ისინი ეკლესიისა და ოჯახური ტრადიციების წინააღმდეგ ილაშქრებდნენ, და ისიც ესმოდა, რომ ეს პარტიები ქრისტიან-დემოკრატებზე უფრო დაჟინებით შეეცდებოდნენ მთებიდან მის განდევნას.

სიბნელე იყო. ჯულიანო ფერდობზე თავისი მეგობრების მიერ დანთებულ ცეცხლს ხედავდა. მონტელეპრედან ქარს დროდადრო რადიოსა და მუსიკის შორი ბგერები ამოჰქონდა. ქალაქის შუქებს დაჰყურებდა, ქალაქს თითქმის სრულყოფილ წრფედ რომ წარმოაჩენდა. იფიქრა, როცა ადონისთან საუბარს მორჩებოდა, ქალაქში ერთად ჩავიდოდნენ და მშობლებსა და ლა ვენერას მოინახულებდა. შიში არაფრის ჰქონდა. ამ წლების განმავლობაში პროვინციის გზები მთლიანად თავისი კონტროლის ქვეშ მოაქცია. თუკი კარაბინერები მისი მშობლების სახლზე თავდასხმას გაბედავდნენ, მისი რაზმელები ყველას ამოხოცავდნენ. ამ დროისთვის მთავარ ქუჩაზე მცხოვრები შეიარაღებული მომხრეებიც ჰყავდა.

ტორიმ ადონისი ამერიკული სამხედრო ფარნებით განათებულ გამოქვაბულში შეიყვანა, სადაც მაგიდა და სკამები იდგა. ადონისმა წიგნებით სავსე ჩანთა გაუწოდა, ტორიმ სიხარულით გამოართვა. შემდეგ ნათლიამ საქალაქდევც გაუწოდა და უთხრა:

— ეს დაგაინტერესებს. ახლავე წაიკითხე.

ჯულიანომ მის გასანადგურებლად მომართული ბრძანება და სამხედრო ოპერაციის გეგმა მაგიდაზე გაშალა. არც ახლა უგრძნია შიში. მხოლოდ ის იფიქრა, რომ უფრო ღრმად უნდა გადაენაცვლა მთაში და რომ ეს გაფრთხილება ძალზე დროული იყო.

— ეს ვინ მოგცა? — ჰკითხა ადონისს.

— დონ კროჩემ. იუსტიციის მინისტრმა თავისი ხელით გადასცა ეს საბუთები.

ჯულიანო არც ისე გაკვირვებული ჩანდა, როგორც მოსალოდნელი იყო. ეღიმებოდა.

— ამით უნდათ შემაშინონ? მთები ძალაღი და საშიშია. რამდენი კაციც უნდა გამოგზავნონ, ყველას უფსკრულში ჩაყერი, თვითონ კი ხის ქვეშ წამოვწვები და არხეინად დავიძინებ.

— დონ კროჩეს შენი ნახვა უნდა, — უთხრა ადონისმა, — შხადაა, ნებისმიერ ადგილას შეგხვდეს, რომელსაც დაუსახელებ. შენდამი კეთილადაა განწყობილი და რაღაც უნდა შემოგთავაზოს.

— შენ, როგორც ნათლია, რას მირჩევ? შეგხვდე? — დაჟინებით შეაცქერდა ტორი.

— შეხვდი, — უბრალოდ უთხრა ადონისმა.

ტორი ჯულიანომ თავი დაუკრა.

— მაშინ მონტელეპრეში, შენს სახლში შეგხვდები. როგორ ფიქრობ, წავა ამ რისკზე?

— რატომაც არა? პირობას მივცემ, რომ არაფერი შეემთხვევა, მე კი, ჩემი მხრივ, შენ ჩამოგართმევ პირობას. ვიცი, არასოდეს დამალალატებ.

— ვიცი, არც შენ დამალალატებ, — ჯულიანომ ადონისს ხელი ჩამოართვა, — გმადლობ ამ საბუთებისა და წიგნებისათვის. ვიდრე წახვიდოდე, გთხოვ, ერთ წიგნში რაღაც განმიმარტო.

— რა თქმა უნდა, — უთხრა ადონისმა. მთელი ღამე პროფესორი ტორის წიგნებში გაუგებარ ადგილებს უხსნიდა, ის კი გაფაციცებით უსმენდა და შეკითხვებს უსვამდა. ამ დროს მრავალი წლის წინანდელ მასწავლებელსა და სკოლის მოწაფეს ჰგავდნენ...

სწორედ იმ ღამით შესთავაზა ადონისმა ტორის „ანდერძის“ დაწერა. ეს იქნებოდა ბანდის მთელი ცხოვრებისა და საქმიანობის ჩანაწერი, რომელშიც ჯულიანოს დონ კროჩესა და ტრეზასთან მთელი ურთიერთობა აისახებოდა. შესაძლოა, ეს ჩანაწერები მომავალში ძალზე დახმარებოდა.

ჯულიანო იმწამსვე აღტაცებით დათანხმდა. გულის სიღრმეში იმედი გაუჩნდა: ეს ჩანაწერი რომც არაფერში დახმარებოდა, რომც დაკარგულიყო, იქნებ ის ოდესმე სხვა ბანდიტს ეპოვა და იმით ეხელმძღვანელა. ვინ იცის, იქნებ მასაც ისე იპოვიდნენ, როგორც მან და პიშოტამ აღმოჩინეს ჰანიბალის სპილოს ჩონჩხი.

ისტორიული შეხვედრა ორ დღის შემდეგ შედგა. ამ მოკლე დროში მთელი მონტელეპრე იმაზე ლაპარაკობდა, რომ დიდი დონ კროჩე, თავდახრილი და თვინიერი, მათს სახელგანთქმულ გმირთან, ტორი ჯულიანოსთან, შესახვედრად მოვიდოდა. არავინ იცოდა, საიდან გაჟონა ამ ცნობამ. იქნებ, იქიდან, რომ ჯულიანომ სიფრთხილის საგანგებო ზომები მიიღო. მისი პატრული პალერმოს გზაზე მიმოდოდა, ხოლო ორმოცდაათამდე მისი მეგობარი მონტელეპრეში ნათესავების მოსანახულებლად მოსულიყო და მათ სახლებში სტუმრობდა.

პასატემპომ თავის რაზმთან ერთად ბელამპოს ბანაკისაკენ გადაკეტა გზა, ტერანოვა კი კასტელმარანესა და ტრაპანისკენ გზას აკონტროლებდა. კაპრალი კანო სილვესტრო თავის ხუთ საუკეთესო მსროლელთან ერთად სახურავზე ჩასაფრდა, ავტომატები დაწნული სინების ქვეშ დაემალათ, რომლებსაც სიცილიელები პომიდვრის გასახმობად იყენებენ.

შებინდებისას დონ კროჩეს ვეებერთელა „ალფა რომეო“ ჰექტორ ადონისის სახლის წინ გაჩერდა. თან ახლდა ძმა, მამა ბენჯამინო, და დაცვის ორი წევრი, რომლებიც მძლოლთან ერთად მანქანაში დარჩნენ. ჰექტორ ადონისი კართან ელოდებოდა ჩვეულებრივზე უფრო კოხტად ჩაცმული: ლონდონში საგანგებოდ შეკერილი რუხი კოსტიუმი და ქათქათა თეთრი პერანგი ეცვა, ყელზე წითლად და შავად დაზოლილი ჰალსტუხი ეკეთა. დონ კროჩესაგან მკვეთრად განსხვავდებოდა: სტუმარს ფართხუნა შარვალი ეცვა, სადა უსაყელო საკინძეშეხსნილი პერანგი და სქელი შავი ქურთუკი, რომლის დილები ვეება მუცელზე არ ეკვრებოდა, ამიტომაც მის ქვეშ უბრალო თეთრი აჭიმები მოუჩანდა.

მამა ბენჯამინო კი ჩვეული მღვდლის კაბითა და დამტვერილი ფარფლებიანი ქუდით გამოცხადდა. ვიდრე სახლში შეაბიჯებდა, იქაურობას ჯვარი გადასახა და დალოცა.

ჰექტორ ადონისს მთელ მონტელეპრეში საუკეთესო სახლი ჰქონდა და ამით ამაყობდა კიდევ. ავეჯი საფრანგეთიდან იყო ჩამოტანილი, კედლებზე თანამედროვე იტალიელი მხატვრების ტილოები ეკიდა. მსახურად შუახნის იტალიელი ქალი ჰყავდა, რომელმაც

ომის დროს ინგლისში გაიარა მოშზადება. ქალმა სასტუმრო ოთახში ყავა შემოიტანა. დასხდნენ და ჯულიანოს დაუწყეს ლოდინი.

დონ კროჩე სრულიად მშვიდად იყო. იცოდა, ჯულიანო ნათლიასთვის მიცემულ სიტყვას არ დაარღვევდა. საამო მღელვარებას განიცდიდა: როგორც იქნა, საკუთარი თვალთ იხილავდა ამ ამომავალ ვარსკვლავს. მაგრამ ისიც გაცოცდა, როდესაც ჯულიანომ სრულიად უხმოდ და შეუმჩნევლად შეაღწია სახლში: არც ქუჩაში გაუგონიათ ხმაური, არც კარს დაუჭრიალია. დონმა თავი რომ ასწია, ჯულიანო სასტუმრო ოთახის თაღოვან შესასვლელში იდგა. დონ კროჩე მისი მოხდენილი იერით მოინუსხა.

მთაში ცხოვრებამ სხეული კიდევ უფრო გაუმკვრივა, სახე კი ხმელი და ლამაზად მოხაზული ჰქონდა. ბერძნული ქანდაკების მსგავს დიდრონ ქუთუთოებქვეშ ოქროსფერი თვალები უელავდა, გუგების გარშემო დატანებული ვერცხლისფერი არშიით. ველვეტის შარვალი და ახალგაუთოებული თეთრი პერანგიც შვენოდა. ხაკისფერი სანადირო ქურთუკი ეცვა, რომლის ქვეშაც ავტომატი ჰქონდა გადაკიდებული. მაგრამ, საოცარი ის იყო, რომ იერით პატარა ბიჭს უფრო ჰგავდა, ვიდრე ოცდაოთხი წლის კაცს.

ნუთუ ამ ბიჭმა შეძლო რომის წინააღმდეგ წასვლა, „მეგობართა მეგობრებს“ ეშმაკობით აჯობა, მკვლელ ანდოლინის ერთგულება დაიმსახურა და პასატემპოს სისასტიკეც მოარჯულა? სიცილიის ნაწილი დაიპყრო და მთელი კუნძულის სიყვარული დაიმსახურა? დონ კროჩემ იცოდა ჯულიანოს სასწაულებრივი ვაჟკაცობის ამბავი, მაგრამ სიცილიას ბევრი ასეთი ვაჟკაცი ჰყოლია, ღალატის გამო ნაადრევად რომ ჩავიდნენ საფლაფში.

ვიდრე დონ კროჩე ეჭვებში იყო, ჯულიანომ ისეთი რამ გააკეთა, რითაც საბოლოოდ მოიგო დონის გული: შემოსვლისთანავე მისკენ გაემართა და უთხრა: „Bacio tua mano“.

უბრალო სიცილიელი გლეხი ასე ესალმება წარჩინებულ კაცს: მღვდელს, ანდა მემამულეს: „ხელზე გემთხვევი“. ჯულიანომ ეს უშფოთველი ღიმილით წარმოთქვა, მაგრამ დონი ზუსტად მიუხვდა, რომ ასე მისთვის პატივისცემის გამოსახატავად არ მოქცეულა, არც მისი ასაკის გამო, არამედ იმიტომ, რომ დონ კროჩემ თავისი სიცოცხლე ჯულიანოს მიანდო და ჯულიანოც ამ ნდობის მიმართ განიცდიდა მოწიწებას. დონ კროჩე ნელა წამოდგა და ჯულიანო

გულში ჩაიკრა. სურდა, ამ კეთილშობილ ახალგაზრდას მისი სიმ-
პათია ეგრძნო. იმწამს ჰექტორ ადონისის სახეზე სიამაყე შენიშნა:
მისმა ნათლულმა თავი ღირსეულად წარმოაჩინა.

თალოვან შემოსასვლელში ახლა ჰიშოტა იდგა და თავისი დამ-
ცინაჲ ღიმილით ამ სცენას უცქერდა. ისიც ლამაზი იყო, ოღონდ
სხვაგვარად. სნეული ფილტვების გამო სხეული ჩამომხმარი ჰქონდა,
ყვრიმალის ძვლები გამობურცოდა. ნახშიროვით თმა საგულდაგუ-
ლოდ ჰქონდა დაგარცხნილი. ჯულიანოს მოკლედ შეჭრილი თმა თა-
ვზე მუზარადოვით ეფარა.

ჯულიანოს ეგონა, ასეთი საღმით დონს გააოცებდა და, როცა
მისი მხრიდან სრული გაგება შეხვდა, თვითონ გაოცდა. დონის ვე-
ბა ფიგურას თვალი შეავლო. ეს კაცი მხოლოდ თავისი ძალაუფლე-
ბით კი არა, თავისი უცნაური პიროვნული ხიბლითაც საშიში იყო
— თითქოს სიმხურვალეს ასხივებდა, მთელ ოთახს რომ ავსებდა.
ხმა მომნუსხველი ჰქონდა. მისი ძალა გულწრფელობის, სიმტკი-
ცისა და გამორჩეული თავაზიანობის ნაზავში მდგომარეობდა, რაც
ამგვარი საქმეების ჩამდენისაგან მოულოდნელი და საკვირველი
გახლდათ.

— წლების განმავლობაში თვალს გადევნებდი და ამ დღეს
მოუთმენლად ველოდი. ახლა კი ჩემი ყველა მოლოდინი გაამართ-
ლე.

— მსიამოვნებს ამის მოსმენა, — თქვა ჯულიანომ და ის სიტყვე-
ბი წარმოსთქვა, რასაც მისგან ელოდებოდნენ: — მუდამ ვიმედო-
ვნებდი, რომ მეგობრები გაუხდებოდით.

დონ კროჩემ თავი დაუკრა და მინისტრ ტრეზასთან შეთანხმების
თაობაზე ალაპარაკდა: თუკი ჯულიანო სიცლიელების დარწმუნე-
ბაში დაეხმარებოდათ, მას ყველა დანაშაულს აპატიებდნენ. მასზე
თავდასხმის სამხედრო გეგმას კი ახლავე, მისგან თანხმობის შე-
მთხვევაში, გააუქმებდნენ.

ჯულიანო ყურადღებით უგდებდა ყურს, მაგრამ ეტყობოდა, ეს
ყველაფერი არ აკვირვებდა. დონ კროჩემ განაგრძო:

— ყველამ იცის, როგორ შეგტკივა გული ღარიბებზე და, თი-
თქოს, მოსალოდნელია, რომ მხარს მემარცხენებს დაუჭერ. მაგრამ
ვიცი, რომ შენში რწმენა დიდია. ნამდვილი სიცლიელი ხარ და
ისიც ყველასთვისაა ცნობილი, თუ რა პატიოვისცემით ეპყრობი

დედას. ნუთუ იტალია სოციალისტებმა უნდა მართონ? რა ბედი ეწევა მაშინ ეკლესიასა და ოჯახს? ომში ნამყოფ ახალგაზრდებს უცხოური სენი შეეყარათ, მაგრამ ამ პოლიტიკურ მოძღვრებებს სიცილიაზე არაფერი ესაქმება, აქაურობისათვის უცხოა. თუ ამ არჩევნებზე მემარცხენეები გაიმარჯვებენ, საუსებით შესაძლებელია, ხვალ სიცილიის ყოველ სოფელს რუსი ზედამხედველი ჰყავდეს, რომელიც გადაწყვეტს, თუ ვის აქვს ეკლესიაში სიარულის უფლება და ვის არა. ჩვენს ბავშვებს სკოლებში ჩაუნერგავენ, რომ დედ-მამის პატივისცემაზე უფრო მნიშვნელოვანი სახელმწიფო ინტერესებია. რა გვიღირს ამ ფასად? დროა, ჭეშმარიტი სიცილიელი სახელმწიფოს აუმხედრდეს და თავისი ოჯახის ღირსება დაიცვას.

მოულოდნელად კედელთან მიყრდნობილმა პიშოტამ დამცინავი კილოთი შეაწყვეტინა:

— იქნებ რუსებმა მოგვცენ შეწყალება.

დონმა გაბრაზება არ შეიმჩნია და კოპწიაულვაშიან ახალგაზრდას თვალი შეაჯლო. მაინც რისთვის დასჭირდა ამ წუთს დონის ყურადღების მიქცევა? ნეტავ რამეში თუ გამოდგებოდა? დონ კროჩემ შეუცდომელი ალლოთი ამოიციხო ჯულიანოს ამ უახლოეს სარდალში ერთგვარი მანკი: ფილტვების დაავადების ბრალი იყო თუ ცინიკური ბუნებისა? პიშოტა ბოლომდე არავის ენდობოდა და, შესაბამისად, არც თვითონ იყო ბოლომდე სანდო.

— როდის იყო, სიცილიას უცხოტომელი დახმარებია? როდის აქეთაა, სიცილიელი სხვებისგან მოელის ხსნას? ერთადერთ იმედად შენნაირი გონიერი და უშიშარი ახალგაზრდები გვევლინებიან, — დონი პიშოტას მიმართავდა, — თქვენნაირი ხალხი ოდითგანვე მხარში ედგა „მეგობართა მეგობრებს“ მჩაგვრელებთან ბრძოლაში იმ სამართლიანობის მოსაპოვებლად, რისთვისაც ახლა ჯულიანო იბრძვის. დროა, გავერთიანდეთ.

ჯულიანო დონ კროჩეს ხიბლის ქვეშ მოექცა, მაგრამ განგებ შეეკამათა:

— ჩვენ მუდამ რომის წინააღმდეგ ვიბრძოდით. თქვენ კი გვთავაზობთ, მის ხელისუფლებას მხარი დაუჭიროთ და დავეხმაროთ.

— ზოგჯერ მტერთან ზავის დადება ყველაზე ჭკვიანურია. ქრისტიან-დემოკრატები ჩვენთვის ყველაზე მცირე უბედურებაა. მემარცხენეებისგან შეწყალებას ვერ ეღირსები, მერწმუნე ამაში: ორგუ-

ლები და სასტიკები არიან და არც სიცილიური ხასიათის გაუგებათ რაიმე. ღარიბებს მიწას კი დაურიგებენ, მაგრამ დარწმუნებული ხარ, რომ ამ მიწაზე მოწეული მოსავალი ხალხს შერჩება? წარმოგიდგენია, სიცილიელმა კოოპერატივში იმუშაოს? ღმერთო დიდებულო, ერთმანეთს იმის გამო ხოცავენ, რა ფერის კაბა უნდა ეცვას ღვთისმშობლის ქანდაკებას დღესასწაულზე!

ეს ყოველივე დონმა შეფარული იუმორით წარმოთქვა: სურდა, მსმენელებს დაენახათ, რომ აჭარბებს, მაგრამ ისიც ეგრძნოთ, რომ ამ გადაჭარბებაში დიდი ჭეშმარიტება იმალება.

ჯულიანო ოდნავი ღიმილით უსმენდა. იცოდა, ოდესმე ამ კაცის მოკვლა მოუწევდა, მაგრამ მისმა პიროვნებამ იმდენად მოაჯადოვა, რომ ამწუთას თვით ეს ფიქრი მკრეხელობასავით უკუაგდო. ახლა ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი გადაწყვეტილების მიღება უწევდა, რაც კი თავისი ბანდიტობის წლებში მიუღია.

— კომუნისტებთან დაკავშირებით გეთანხმებით, — რბილად თქვა ჯულიანომ, — სიცილიას ისინი არ სჭირდება, — ახლა კი დრო იყო, დონ კროჩეზე საკუთარი ძალა გამოეცადა: — მაგრამ თუკი რომის ბინძურ საქმეს შევასრულებ, ჩემს ხალხს სანაცვლოდ რაიმეს უნდა დაუპირდე. რას მთავაზობს რომი?

დონ კროჩემ ყავის ჭიქა დაცალა. ჰექტორ ადონისი წამოხტა და ყავადანს დასწვდა, მაგრამ დონმა უარის ნიშნად ხელი აუქნია.

— არცთუ ისე ცუდ პირობებზე შევუთანხმდი: ანდოლინი კარაბინერთა ყოველი მოქმედების შესახებ მოგაწვდის ინფორმაციას. მაგრამ ვიცი, ეს საკმარისი არ არის. ნება მიბოძე, შენი ნათლისა და შენი ერთგული მეგობრის თანდასწრებით გამოგიცხადო: პირადად მე ცასა და მიწას შევძრავ, რათა შენთვისაც და, ცხადია, ყველა შენი მეგობრისთვისაც მოუიპოვო შეწყალება.

ჯულიანოს გადაწყვეტილება უკვე მიღებული ჰქონდა, მაგრამ ჯერ კიდევ გარანტიები სჭირდებოდა.

— თითქმის ყველაფერში გეთანხმებით. მიყვარს სიცილია და მისი ხალხი და, თუმცა ბანდიტი ვარ, სამართლიანობა ყველაფერს მირჩევნია. ასევე, ჩემს დედ-მამასთან დაბრუნებას ვნატრობ. მაგრამ როგორ აიძულებთ რომს ამ პირობის შესრულებას? თქვენ საშიში სამსახურის გაწევას მთხოვთ და ჯილდოც უტყუარი უნდა იყოს.

— სწორად იქცევი, სიფრთხილეს რომ იჩენ, — მიუგო დონმა, —

მაგრამ ხომ გაქვს მინისტრის მიერ გადმოცემული საბუთები. შეინახე. ვეცდები, სხვებიც მოგაწოდო, რათა ხელთ ისეთი რამ გქონდეს, რისი გაზეთში გამოქვეყნებაც რომს შეაშინებს. და ბოლოს, პირადად გაძლევ შეწყალების გარანტიას. მინისტრ ტრუზასთან ძალზე ახლო ურთიერთობა მაქვს.

ჰექტორ ადონისი აღტაცებით უგდებდა ყურს. უკვე წარმოიდგინა მარია ლომბარდოს ბედნიერი სახე, როცა შვილი სამუდამოდ შინ დაუბრუნდებოდა. იცოდა, რომ ჯულიანო აუცილებლობის გამო დათანხმდებოდა, მაგრამ ისიც სჯეროდა, რომ კომუნისტების წინააღმდეგ ამ ორი ადამიანის შეკავშირება მათი მოძალები მუგობრობის საწინდარი იქნებოდა.

დიდი დონისაგან ასეთმა დაპირებამ პიშოტაზეც კი მოახდინა გავლენა, მაგრამ ჯულიანო ეჭვობდა: იქნებ ეს ყველაფერი მხოლოდ დონის გამონაგონია, გეგმების ასლები მოპარულია, მათი ორგინალები კი — უკვე მინისტრის მიერ დამტკიცებული? ტრუზასთან პირადი შეხვედრა იყო საჭირო.

— თქვენისთანა კაცის პირობას მთლიანად ვენდობი. ტყუილად როდი გიწოდეს სიცილიელებმა „კეთილი სული“, მაგრამ რომაელები ორგულები არიან და, მოგეხსენებათ, არც პოლიტიკოსთა გულწრფელობაა დამაჯერებელი. მინდა რომელიმე სანდო პირმა თვით მინისტრ ტრუზასგან გაიგონოს თქვენი შეთანხმების შესახებ.

დონ კროჩე სახტად დარჩა. მთელი საუბრის განმავლობაში ჯულიანოს მიმართ სიმპათიას განიცდიდა და უნებლიეთ ფიქრობდა, რა იქნება, ჩემი ვაჟი რომ იყოსო. ერთად რა შესანიშნავად მოუვლიდნენ სიცილიას! დონის ცხოვრებაში ეს იშვიათი მომენტი იყო, როცა ვინმე ასე მოხიბლავდა. მაგრამ, თურმე, ჯულიანო მას არ ენდობოდა, ახალ-ახალ გარანტიებს ითხოვდა, გამჭოლ შხერას არ აცილებდა. დონს მისი სიმპათია ერთგვარად გაუნელდა. განა დონ კროჩე ძალს მიერ მოცემული გარანტია საკმარისი არ იყო?

ხანგრძლივი სიჩუმე ჩამოწვა, ყველა დონის პასუხს ელოდა. ადონისი ცდილობდა, დონის რისხვის შიში დაეოკებინა. მამა ბენჯამინო შეურაცხყოფილი ბულდოგის სახით იდგა. მაგრამ, საბოლოოდ, დონმა დაძაბულობა განმუხტა. ზუსტად მიხვდა, ჯულიანო რასაც ფიქრობდა და რა პასუხიც სჭირდებოდა.

— მე პირადად ვარ დაინტერესებული, რომ დაგვთანხმდე. მა-

გრამ ჯობს, გადაწყვეტილების მიღებაში ასეთნაირად დაგეხმარო: უპირველეს ყოვლისა, მინისტრი ტრეზა არანაირ საბუთს არ მოგცემდა, რადგან ეს მისთვის მეტისმეტად საშიშია. მაგრამ პირადად დაგელაპარაკება და იმასვე დაგპირდება, რასაც მე დაგპირდი. შემძლია პრინც ოლორტოსა და არისტოკრატიის სხვა წარმომადგენელთა წერილებითაც დაგიმტკიცო ჩვენი საყოველთაო მხარდაჭერა. მაგრამ კიდევ უკეთესი რამ შემძლია: კათოლიკური ეკლესია შენ მხარესაა და ამას ჩემი მეგობარი, პალერმოს კარდინალი დაგიმოწმებს. მინისტრთან შეხვედრის შემდეგ კარდინალთან აუდიენციას მოგიწვობ. ამგვარად იტალიის იუსტიციის მინისტრის პირობაც გექნება, ჩვენი კარდინალისა და შესაძლოა, მომავალი რომის პაპის პირობაც და ბოლოს, ჩემი პირობაც.

შეუძლებელია იმის გადმოცემა, რა თავმდაბლობით წარმოთქვა დონმა უკანასკნელი ორი სიტყვა.

— რომში ვერ წაუალ, — გადაიხარხარა ჯულიანომ.

— ისეთი ვინმე გაგზავნე, ვისაც ბოლომდე ენდობი. მე პირადად მივიყვან ამ ადამიანს მინისტრთანაც და კარდინალთანაც. ეკლესიის წინამძღვრის სიტყვას ხომ ენდობი?

ჯულიანოს გონებაში განგაშის სიგნალი აინთო. მაინც რატომ იყო დონი ასე დაინტერესებული მისი თანხმობით? ხომ წინასწარ იცოდა, რომ ჯულიანო ამ რისკზე ვერ წავიდოდა და რომში ვერ გაემგზავრებდა თუნდაც ათასი მინისტრისა და კარდინალის გულწრფელობაში დასარწმუნებლად. როგორ ფიქრობდა დონი, ვის გაგზავნიდა ჯულიანო თავის ემისრად?

— ჩემს უახლოეს თანაშემწეზე მეტად არავის ვენდობი, — თქვა ჯულიანომ, — ასპანუ პიშოტა წაიყვანეთ პალერმოშიც და რომშიც. დიდი ქალაქები უყვარს, თანაც, თუ კარდინალს ეტყვის აღსარებას, იქნებ მთელი ცოდვებიც ეპატიოს.

დონ კროჩე საზურგეს მიყვრდნო და აღონისს ანიშნა, მისთვის ყავა დაესხა. გამარჯვებით მოგერილი სიამოვნების შენიღბვა მუდამ სჩვეოდა: აქაოდა, საქმე იმდენად უმნიშვნელოა, რომ ახლა ყავა უფრო მიზიდავსო. მაგრამ ჯულიანომ თავისი პარტიზანული საქმიანობის მანძილზე საკმაოდ კარგად შეისწავლა ადამიანთა ქცევა და მანერები. მაშინვე შეატყო კმაყოფილება. დონმა ძალზე მნიშ-

ვნელოვანი გამარჯვება მოიპოვა. ჯულიანომ ის არ იცოდა, რომ დონს ამქვეყნად ყველაზე მეტად ასპანუსთან პირისპირ დარჩენა და ხანგრძლივი საუბარი სურდა.

ორი დღის შემდეგ დონმა ასპანუ პალერმოსა და რომში წაიყვანა. გზად ისე ეპყრობოდა, როგორც სამეფო გვარის წარმომადგენელს. პიშოტას მართლაც ჩეზარე ბორჯას დიდებული იერი ჰქონდა: პირ-ხმელი იყო, თხელი ულვაში ამშვენებდა, კანის აზიური სიმუქე და გამჭოლი თვალები სასტიკ იერს ანიჭებდა, გარშემო ყველაფერს უნდობლად და დამცინავად უშხერდა.

პალერმოში დონ კროჩეს კუთვნილ სასტუმრო „უმბერტოში“ გაჩერდნენ, სადაც პიშოტა მეფურად მიიღეს. რომში მინისტრთან შეხვედრისათვის ტანისამოსის შესაკერად წაიყვანეს; მან და დონ კროჩემ საუკეთესო რესტორანში ისადილეს, შემდეგ კი პალერმოს კარდინალს ეახლნენ.

საკვირველი იყო, რომ პიშოტა, პატარა სიცილიურ ქალაქში გაზრდილი ახალგაზრდა, რომელსაც სიყრმიდანვე უნერგავდნენ რელიგიურ თვინიერებას, კარდინალის დიდებული რეზიდენციის დანახვისას და თვით წმინდა მამასთან შეხვედრისას არ შემცბარა, არანაირი კრძალვა და მოწიწება არ გამოუხატავს. ვიდრე დონ კროჩე კარდინალს ხელზე კოცნიდა, პიშოტამ ცივი და თავხედური მზერა ესროლა.

კარდინალი მაღალი, ხმელი კაცი იყო, მეწამული ბერეტი და ფართოსარტყლიანი გრძელი სამოსი ეცვა, სახე ნაყვავილარი ჰქონდა. დონ კროჩეს მჭევრმეტყველური განცხადების მიუხედავად, ეს კაცი პაპობის ვერც ერთ ხმას ვერ მიიღებდა, მაგრამ დაბადებით სიცილიელი გაქნილი ინტრიგანი კი იყო.

საუბარი აუცილებელი ცერემონიებით დაიწყო. კარდინალმა პირქუშად გამოჰკითხა პიშოტას მისი სულიერი სიმართლის ამბავი და დაარწმუნა, ჭეშმარიტ ქრისტიანს ზეცაში ამქვეყნად ჩადენილი ნებისმიერი ცოდვა მიეტევებო.

ამის შემდგომ კარდინალი იმაზე ალაპარაკდა, რომ სიცილიის კათოლიკური ეკლესია დიდ საფრთხეშია. კომუნისტების სათავეში მოსვლა მისთვის დამლუპველი იქნება: სალოცავებს მიწასთან გაასწორებენ, ტაძრებს სამხედრო იარაღის ქარხნებად აქცევენ,

ღვთისმშობლისა და იესოს ქანდაკებებს ხმელთაშუა ზღვაში გადა-
ყრიან, მღვდლებს დახოცავენ, მონაზვნებს გააუპატიურებენ.

ბოლო სიტყვების გაგონებაზე პიშოტას გაეღიმა: რომელ სი-
ცილიელს მოუვა აზრად მონაზვნის გაუპატიურება, რაგინდ ფანა-
ტიკოსი კომუნისტი იყოს? კარდინალმა ეს ღიმილი შენიშნა და და-
პირებებზე გადავიდა. თუ ჯულიანო სიცილიას კომუნისტური სენი-
საგან განკურნავს, კარდინალი სააღდგომო ქადაგებაში საქვეყნოდ
ისაუბრებს ჯულიანოს ღვაწლის შესახებ და რომის მთავრობას მის
შეწყალებას სთხოვს.

საუბრის ბოლოს კარდინალმა პიშოტა დალოცა. ბანდიტ-
მა სთხოვა, ჯულიანოსთან ბარათი გაეტანებინა, სადაც პირადად
დაამოწმებდა, რომ მათი შეხვედრა მართლაც შედგა. კარდინალმა
თხოვნა შეუსრულა. დონ კროჩე ეკლესიის წინამძღოლის ამგვარი
სიბრიყვით შეძრწუნდა, მაგრამ ხმამაღლა არაფერი უთქვამს.

რომში შემდგარი შეხვედრისას პიშოტა უფრო თავდაჯერებული
იყო, რადგან მინისტრი, კარდინალისგან განსხვავებით, სულიერ
სისპეტაკეზე არ ღებდა თავს. მინისტრს ვიღაც ბანდიტის თანა-
შემწის წინაშე ფარისევლობა არ სჩვეოდა. მან პიშოტას აუხსნა,
რომ სოციალისტები სათავეში მოსვლის შემთხვევაში ბანდიტების
უსასტიკეს მოსპობას შეუდგებოდნენ. მართალია, მთავრობა ახლაც
გზავნის პოლიციის რაზმებს ჯულიანოს დასაკავებლად, მაგრამ ეს
უფრო საჩვენებელი მანევრებია, რომლის გარეშეც რადიკალური
გაზეთები განგაშს ატეხენ და მთავრობას კრიმინალებთან თანამ-
შრომლობას დააბრალებენ.

— ამით იმის თქმა გსურთ, რომ ჯულიანოს ვერასოდეს მისცემთ
ამნისტიას? — ჰკითხა პიშოტამ.

— ეს რთული იქნება, — უპასუხა მინისტრმა, — მაგრამ შე-
საძლებელი, თუკი ჯულიანო ხელს შეგვიწყობს, რათა არჩევნებში
გავიმარჯვოთ და შემდეგ რამდენიმე ხანს რაიმე სერიოზული და-
ნაშაულის ჩადენისაგან თავს შეიკავებს. ჯობია, მისი სახელი ერ-
თხან, მიიფიცონ. იქნებ, ამერიკაშიც გაემგზავროს, იქიდან კი უკვე
შეწყალებული დაბრუნდება. ერთი რამის გარანტიას ასპროცენ-
ტიანად ვიძლევი: თუკი არჩევნებში დაგვეხმარება, მის დასაჭერად
ყოველგვარ სერიოზულ მცდელობებს შევწყვეტთ. ხოლო, თუ ამე-

რიკაში გადაწყვეტს ემიგრაციას, არ შეაკავებთ და არც ამერიკას მოვთხოვთ მის დეპორტირებას, — მინისტრი წამით შეყოვნდა, — მე პირადად ვთხოვ იტალიის პრეზიდენტს მის შეწყალებას.

პიშოტამ ჩვეული ირონიით გაიღიმა:

— კი მაგრამ, თუ სანიმუშო მოქალაქეებად ვიქეციოთ, როგორ უნდა ვიარსებოთ? იქნებ მთავრობას რაიმე საშუალება აქვს, რომ გადაგვიხადოს. ბოლოს და ბოლოს, მის ბინძურ საქმეს გაუაკეთებთ. დონ კროჩეს საუბარს მძინარე ქვეწარმავალივით თვალემოჭუტული და გატრუნული უსმენდა, ახლა კი გაფაციცდა და ყაჩაღის უტიფრობით აღშფოთებულ მინისტრს დაასწრო:

— ხუმრობაა, ბატონო მინისტრო. ბიჭი ახალგაზრდაა და სიცილიის გარეთ პირველადაა, გარე სამყაროს ზნეობის ნორმები მისთვის უცხოა. ფინანსური მხარდაჭერა მე მომანდეთ, ამას ჯულიანოსთან პირადად შევათანხმებ, — დონმა მუქარით სავსე მზერით ანიშნა პიშოტას, ხმა აღარ ამოელო.

მინისტრმა მოულოდნელად გაიღიმა:

— მიხარია იმის დანახვა, რომ სიცილიური ახალგაზრდობა არ შეცვლილა. მეც ასეთი ვიყავი: გაბედულად ვითხოვდი იმას, რაც, ჩემი აზრით, მეკუთვნოდა. შესაძლოა, დაპირებებზე უფრო კონკრეტული რამ გჭირდებოდათ, — დაუმატა მინისტრმა და წითულარშიიანი სამგზავრო პასპორტი გაუწოდა, — პირადად ჩემი ხელმოწერილია და მისი დახმარებით სიცილიის ნებისმიერ წერტილში შეძლებთ გადაადგილებას ისე, რომ პოლიცია არ შეგაწუხებთ. ეს საბუთი ოქროს ფასი ღირს.

პიშოტამ მადლობის ნიშნად თავი დაუკრა და პასპორტი უბეში ჩაიდო. რომში მოგზაურობისას დონ კროჩესაც ასეთი საბუთი დაუნახა და მიხვდა, რომ ძვირფასი საჩუქარი მიიღო. მაგრამ იმავე წამს გაუელვა ფიქრმა: ამ საბუთით რომ დააკავონ, ისეთი სკანდალი ატყდება, მთელ ქვეყანას რომ შეძრავს. ჯულიანოს მარჯვენა ხელი იუსტიციის მინისტრის ხელმოწერილი პასპორტით დადის? გამალებით ცდილობდა ამ გამოცანის ამოხსნას, მაგრამ პასუხს ვერ მიაგნო.

ასეთი მნიშვნელოვანი საბუთის ჩუქებით მინისტრმა ნდობა და კეთილგანწყობა უჩვენა. დონ კროჩეც მთელი მოგზაურობის განმავლობაში უხვი დიდსულოვნებით ეპყრობოდა, მაგრამ ამ ყველაფერ-

მა პიშოტა ვერ დაარწმუნა. დასასრულს მინისტრს ჯულიანოსთან მისატანი წერილი სთხოვა, რომლითაც დაამოწმებდა, რომ შეხვედრა მართლაც შედგა. ტრეზამ უარით გაისტუმრა.

როცა პიშოტა მთაში დაბრუნდა, ჯულიანომ ყოველი ნათქვამი და მოსმენილი სიტყვა დაწვრილებით გაამეორებინა. პიშოტამ პასპორტი უჩვენა და გაკვირვება გამოთქვა, როგორ გარისკა მინისტრმა ასეთი საბუთის გაცემა. ჯულიანომ მხარზე ხელი მოხვია:

— ნამდვილი ძმა ხარ. ჩემზე ბევრად უფრო ეჭვიანი კი ხარ, მაგრამ ჩემდამი ერთგულებამ დაგაბრძოვა: შენთვის ამ საბუთის მიცემას დონ კროჩე სთხოვდა. იმედი აქვთ, რომ რომში საგანგებოდ გაემგზავრები და მათი ინფორმატორი გახდები.

— ნაძირალა, — განრისხდა პიშოტა, — ამ პასპორტს რომში დასაბრუნებლად და მის მოსაკლავად გამოვიყენებ.

— არა, დაიტოვე, — უთხრა ჯულიანომ, — შეიძლება, დაგვჭირდეს. კიდევ ერთი რამ: ეს ნამდვილად ყალბი ხელმოწერა იქნება და, თუ დასჭირდათ, მის ლეგიტიმურობას უარყოფენ. მაგრამ საჭიროებისამებრ იმასაც განაცხადებენ, რა თქმა უნდა, მოქმედიყო და მისი გაცემის შესახებ ჩანაწერიც აღმოაჩნდებათ. პირველ შემთხვევაში კი არ გაუჭირდებათ თავისთან ჩანაწერის განადგურება.

პიშოტა დაეთანხმა, ასე იქნებოდა. დღითი დღე სულ უფრო აოცებდა, გულლია და წრფელი ჯულიანო უზუსტესად როგორ ჭვრეტდა მტრების ყოველ ხრიკს, და მიხვდა, რომ ჯულიანოს რომანტიზმს სარჩულად პარანოია ჰქონდა ამოკრული.

— თუ ასეა, რატომ უნდა ვენდოთ? რატომ უნდა ვემსახუროთ? პოლიტიკა ჩვენი საქმე არ არის, — თქვა პიშოტამ.

ჯულიანო დაფიქრდა. პიშოტა მუდამ ცინიკოსი იყო და სიხარბეც ახასიათებდა. ხშირად უკამათიათ იმის გამო, რომ პიშოტა ბანდის წევრებისათვის ნადავლის უფრო დიდ წილს ითხოვდა.

— არჩევანი არ გვაქვს, — უპასუხა ჯულიანომ, — კომუნისტებისგან ამნისტიას ვერასოდეს ვეღირსები. ასე რომ, დღესდღეობით დონ კროჩეც, იუსტიციის მინისტრიც და პალერმოს კარდინალიც რეალურად ჩვენი ამხანაგები და თანამებრძოლნი არიან. ახლა ყველაზე მნიშვნელოვანი კომუნისტების ნეიტრალიზებაა. დონ კროჩეს

უნდა შევხვდეთ და ყველაფერზე შევუთანხმდეთ. კარგი ქენი, კარდინალს წერილი რომ გამოართვი. პასპორტიც გამოგვადგება.

მაგრამ პიშოტა კვლავაც ეჭვობდა:

— ჩვენი ხელით ბინძურ საქმეს გააკეთებენ და მოგვისვრიან. მათხოვრებით უნდა ველოდოთ ამ შეწყალებას. მათი არ მჯერა. როგორც ტუტუც გოგონებს, ისე გველაპარაკებიან: მთელ ქვეყანას გვპირდებიან, თუკი საწოლში ჩაუწვებით. მე ასე ვფიქრობ: ჩვენთვის ვიყოთ, ფული ღარიბებს კი აღარ დაუურიგოთ, ჩვენთვის დავაგროვოთ და მერე ამერიკაში ან ბრაზილიაში მეფეებით ვიცხოვრობთ. იქ კარაბინერები ველარ შეგვწვდებიან.

ჯულიანო შეეცადა მისთვის იმის ახსნას, რასაც განიცდიდა.

— ასპანუ, ქრისტიან-დემოკრატებსა და დონ კროჩეზე ფსონი უნდა დავდოთ. თუ მოვიგებთ და ამნისტიას მივიღებთ, მაშინ სიცილიის ხალხი თავიანთ ხელისუფლებად აგვირჩევენ. ყველაფერს ერთად მოვიხვეჭთ, — წამით დადუმდა და გაიღიმა, — თუ გვიღალატეს, არც მე და არც შენ ეს დიდად არ გაგვაკვირვებს. რას წავაგებთ? ნებისმიერ შემთხვევაში მოგვიწევს კომუნისტებთან ბრძოლა. ისინი ფაშისტებზე უფრო საშიში მტრები არიან. ამგვარად, მათი ბედი გადაწყვეტილია. მე და შენ ერთნაირად ვფიქრობთ: საბოლოო ბრძოლა მას მერე მოგველის, რაც კომუნისტებს გავუსწორდებით. მაშინ დონ კროჩესთან მოგვიწევს დაპირისპირება.

— შეცდომას ჩაუდგაროთ, — მხრები აიჩეჩა პიშოტამ.

ჯულიანო იღიმებოდა, მაგრამ გულში დარდობდა. პიშოტას ყაჩაღის ცხოვრება მოსწონდა, ეს მის ხასიათს შეეფერებოდა. ჭკვიანი და ცბიერი იყო, მაგრამ წარმოსახვა აკლდა. ვერ ხედავდა მომავალში იმ გარდაუვალ აღსასრულს, რაც ყველა ყაჩაღს ელოდა.

გვიან ღამით ასპანუ პიშოტა კლდის პირას იჯდა და სიგარეტის მოწვეას ცდილობდა, მაგრამ მკერდი უეცარმა ტკივილმა გაუმსჭვალა. მან სიგარეტი ჩააქრო და ნამწვი ჯიბეში ჩაიღო. იცოდა, ქალაქში მოგზაურობისას ჭლექი რომ გაურთულდა, მაგრამ ისიც იცოდა, რომ მთაში გატარებული რამდენიმე კვირა კვლავ მოამჯობინებდა. ახლა ის აწუხებდა, რაც ჯულიანოსთვის არ უთქვამს.

მოგზაურობისას დონ კროჩე განუყრელად თან ახლდა, ერთად სადილობისას სიცილიის ბედსა და მომავალ პოლიტიკურ სირთუ-

ლევბზე ესაუბრებოდა. მერე და მერე პიშოტამ გაიაზრა, რომ დონი მისი გულის მოგებას ცდილობდა და თანდათან, შეფარვით აგრძნობინებდა, რომ სიცილიაც და თვით პიშოტაც დონის მფარველობის ქვეშ თავს უკეთ იგრძნობდნენ, ვიდრე ჯულიანოსთან. პიშოტამ არაფრით შეიმჩნია ის, რომ ამ მინიშნებებს მიუხვდა. მაგრამ დონის გულწრფელობაში კიდევ უფრო დაეჭვდა. არასოდეს უგრძნია არავის წინაშე შიში, გარდა ტორი ჯულიანოსი. ახლა კი უძლიერეს შიშს განიცდიდა მაფიის ამ „ღირსეული“ ბოსის წინაშე. იმას უფრთხობდა, რომ დონი ერთ დღეს უღალატებდა მათ, უმოწყალოდ დახოცავდა და გვამებს ხევში მოისვრიდა.

თავი 20

1948 წლის აპრილში რომში საკანონმდებლო ხელისუფლების არჩევნები ქრისტიან-დემოკრატთა კრახით დასრულდა. სოციალისტურ-კომუნისტური მემარცხენე პარტიების გაერთიანება „სახალხო ბლოკმა“ 600000 ხმა დააგროვა, ქრისტიან-დემოკრატებმა კი 330000. დანარჩენი 500000 ხმა მონარქისტებმა და კიდევ ერთმა მცირე პარტიამ გაიყვეს. რომი პანიკამ მოიცვა. ეროვნულ არჩევნებამდე აუცილებელი იყო რადიკალური ზომების მიღება, წინააღმდეგ შემთხვევაში, სახელმწიფოს ყველაზე უფრო ჩამორჩენილი რეგიონი, სიცილია, იტალიას სოციალისტურ ქვეყნად გადააქცევდა. წინა თვეებში ჯულიანო რომთან შეთანხმების პირობებს უზუსტესად ასრულებდა. არასასურველი პარტიების საარჩევნო პლაკატებს კედლებიდან გლეჯდა, არაერთხელ ჩაშალა მათი მიტინგები კორლეონეში, მონტელეპრეში, კასელამარეში, პარტინიკოში, პიანი დეი გრეჩიში, სან ჯუზეპე იატოსა და თვით მონრეალშიც კი. მისი ბანდიტები ყველა ქალაქში აკრავდნენ აბრებს, რომლებზედაც შავი ასომთავრულით ეწერა: „სიკვდილი კომუნისტებს“ და სოციალისტ მუშათა მიერ დაარსებული კომუნის რამდენიმე შენობა გადაწვეს. მაგრამ ჯულიანომ ეს საქმიანობა გვიან დაიწყო და არჩევნების შედეგებზე გავლენის მოხდენა ვეღარ მოასწრო, თანაც მკვლელობას ერიდებოდა. დონ კროჩეს, მინისტრ ტრუზას, პალერმოს კარდინალსა და ტორი ჯულიანოს ერთმანეთთან გამუდმებით ჰქონდათ მიმოწერა. სამივე ჯულიანოსგან მეტ აქტივობას ითხოვ-

და, რათა ეროვნული არჩევნების დროისთვის ვითარება გამოსწორებულიყო. ჯულიანო ყველა მიღებულ ბარათს თავის „ანდერძს“ ურთავდა და გულდაგულ ინახავდა.

საჭირო იყო მძლავრი დარტყმის მიყენება და მისი გეგმა ღონ კროჩეს ნაყოფიერმა გონებამ შეიმუშავა. მან სტეფან ანდოლინის ჯულიანოსთან წერილი გაატანა.

ორი განსაკუთრებულად მემარცხენედ განწყობილი და ოდითგანვე მეამბოხე ქალაქი იყო პიანი დეი გრეჩი და სან ჯუზეპე იატო. იქაური მოსახლეობა მრავალი წლის განმავლობაში, მუსოლინის რეჟიმის დროსაც კი, აღნიშნავდა პირველ მაისს, როგორც რევოლუციის დღეს. რაკი პირველი მაისი წმინდა როზალიას მოხსენების დღეც იყო, მათი ზეიმი რელიგიური ელფერით იყო შენიღბული, ფაშისტები კი რელიგიურ დღესასწაულებს არ კრძალავდნენ. ახლა უკვე დაუფარავად აწყობდნენ საპირველმაისო დემონსტრაციებს წითელი დროშებითა და მხურვალე ლოზუნგებით. მომავალ ზეიმამდე სულ ერთი კვირა რჩებოდა და ეს პირველი მაისი ორი ქალაქის ისტორიაში უდიდესი მოვლენა უნდა გამხდარიყო. ქალაქები, ჩვეულებისამებრ, საერთო ძალებით ამზადებდნენ ამ დღესასწაულს და მთელი სიცილიიდან ელოდნენ პარტიის მომხრეებს, რათა ოფიციალურად ეზეიმათ არჩევნებში გამარჯვება. კომუნისტი სენატორი ლო კოზი, შთამბეჭდავი ორატორი, სიტყვით გამოსვლას აპირებდა.

ღონ კროჩეს გეგმის თანახმად, ჯულიანოს ბანდა თავს უნდა დასხმოდა მოზეიმეებს და დღესასწაული ჩაეშალა. ავტომატები ხალხის თავს ზევით უნდა ესროლათ შესაშინებლად. ეს პირველი გაფრთხილება უნდა ყოფილიყო, ერთგვარი შეგონება. სენატორი ლო კოზი უნდა მიმხვდარიყო, რომ საპარლამენტო არჩევნებში გამარჯვება სიცილიაზე ძალაუფლებას არ ანიჭებდა და არც მის პიროვნულ უსაფრთხოებას უზრუნველყოფდა. ჯულიანო გეგმას დაეთანხმა და თავის სარდლებს შესაბამისი განკარგულებები მისცა.

უკანასკნელი სამი წლის განმავლობაში საპირველმაისო ზეიმი პიანი დეი გრეჩისა და სან ჯუზეპე იატოს შორის ხეობის მოსწორებულ ადგილს ეწყობოდა, მონტე პიზუტასა და მონტე კუმეტას ორმაგ მწვერვალთა ძირში. ქალაქებიდან წამოსული ხალხი მთის

ხეობისაკენ განსხვავებული ბილიკებით ადიოდა, რომლებიც ბოლოში ერთდებოდა, ისე რომ ხალხის ორ ნაკადს ერთად უწევდა გზის ბოლო მონაკვეთის გავლა. ხეობაში კლდეებს შორის ვიწრო გასასვლელით გადიოდნენ, რომელსაც პორტელა დელა ჯინესტრა ეწოდებოდა.

ქალაქებს გარს ღარიბი სოფლები ერტყა, ძველისძველი სახლებითა და არქაული მეურნეობით. ღირსების თავიანთი კოდექსი ჰქონდათ; ქალი თავისი სახლის წინ უცილობლად პროფილში უნდა მჯდარიყო, სხვაგვარად რეპუტაცია შეეღალახებოდა. ამავდროულად, ეს ორი ქალაქი მთელ სიცილიაზე ყველაზე უფრო მეამბოხე მოსახლეობით იყო ცნობილი.

ქვის სახლები ისეთი ძველი იყო, ბევრ მათგანს ფანჯარა არ ჰქონდა, ზოგს — მხოლოდ რკინის დისკოთი აფარებული ღიობი. ბევრ ოჯახში ადამიანები და პირუტყვი ერთად სახლობდნენ. ქალაქის საცხოვრებელში ღუმელებთან თხები და ბატკნები ჰყავდათ და, თუ მცხოვრებელს ცხელ-ცხელი პური ხელიდან გაუვარდებოდა, ალბათ, ნაკელის გროვაში ჩავარდებოდა.

სოფლელი მამაკაცები მემამულეებს დღეში ერთ დოლარად, ზოგჯერ ნაკლებადაც ურიგდებოდნენ, ისე რომ თავიანთი შრომით ოჯახების რჩენას ვერ ახერხებდნენ. ამიტომაც, როდესაც მღვდელმონაზვნები, რომლებსაც აქაურები „შავ ყვავებს“ უწოდებდნენ, არჩევნების წინ სპაგეტისა და ზეთის დარიგებას იწყებდნენ, სოფლები ულაპარაკოდ ჰპირდებოდნენ ქრისტიან-დემოკრატიებისათვის ხმის მიცემას.

მაგრამ 1948 წლის აპრილის რეგიონულ არჩევნებში მათ პირობა დაარღვიეს და თითქმის უკლებლოდ სოციალისტებს მიემხრნენ. დონ კროჩე ბრაზისაგან ბრდღვინაჟდა, რადგან დარწმუნებული იყო, მაფიის ადგილობრივი ბოსი რეგიონს აკონტროლებდა. თუმცა ღიად განაცხადა, კათოლიკური ეკლესიისადმი უპატივცემლობა მაღონებსო. მორწმუნე სიცილიელებმა როგორ მოატყუეს წმინდადები, რომლებიც მათს შვილებს სულიერ და ხორციელ საზრდოს აწვდიდნენ?

პალერმოს კარდინალიც შეშფოთდა. არჩევნებამდე პირადად ჩავიდა ორივე ქალაქში და საგანგებოდ გააფრთხილა იქაური მრევლი, კომუნისტებისათვის არავითარ შემთხვევაში არ მიეცათ ხმა.

ადგილობრივი ბავშვები დალოცა და მონათლა კიდევც, მათ კი ყური არ ათხოვეს და ეკლესიას უღალატეს. კარდინალმა სოფლის სამღვდელთა პალერმოში დაიბარა და დაჟინებით სთხოვა, ეროვნულ არჩევნებამდე გაასმაგებელი ძალისხმევით ემოქმედათ, არამხოლოდ ეკლესიის პოლიტიკური გავლენის შესანარჩუნებლად, არამედ გზააბნეული სულების გადასარჩენადაც.

მინისტრი ტრუზა მაინცდამაინც გაკვირვებული არ ჩანდა. თვითონაც სიცილიელი იყო და კუნძულის ისტორიას კარგად იცნობდა. ამ ორი ქალაქის მცხოვრებლები მუდამ მგზნებარედ ებრძოდნენ რომის ძალმომრეობას, გარიბალდისაც სხვებზე ადრე მიემხრნენ, მანამდე კი ფრანგ და მაურ ხელისუფლებს უმხედრდებოდნენ. პიანი დეი გრეჩიში თურქი დამპყრობლებისგან გამოქცეული ბერძნების შთამომავლნი ცხოვრობდნენ, დღემდე ინარჩუნებდნენ ბერძნულ ენას, ჩვეულებებსა და დღესასწაულებს და სამოსიც ბერძნული ეცვათ. მაფია მეამბოხეებს მუდამ ხელს უწყობდა და ამ ქალაქის მხარდაჭერის იმედიც ჰქონდა, ამიტომ მინისტრ ტრუზას დონ კროჩესთვის თავისი იმედგაცრუება არ დაუმაღავს. თუმცა, ისიც იცოდა, რომ პროვინციაში აგიტაციას სოციალისტური პარტიის ორგანიზატორი, სილვიო ფერა, ეწეოდა.

სილვიო ფერა II მსოფლიო ომში იტალიის ჯარში მსახურობდა და აფრიკულ კამპანიაში არაერთი ჯილდო დაიმსახურა. შემდეგ ამერიკელებმა იგდეს ტყვედ. შეერთებული შტატების სამხედრო ტყვეთა ბანაკში საგანმანათლებლო კურსებს ესწრებოდა, სადაც პატიმრებს დემოკრატიულ პროცესებს განუმარტავდნენ. დიდად არ ეჯერა იმის, რასაც ასწავლიდნენ, ვიდრე ბანაკის ფარგლებს გარეთ საცხოვრებელ მუშაობის ნება არ დართეს. გაოცებული დარჩა ამერიკაში თავისუფალი ცხოვრების წესით, იმით, რომ მძიმე შრომა აქ შესაბამისად ფასდებოდა და დაბალ ფენებს სოციალურ კიბეზე ასვლის საშუალება ჰქონდათ. სიცილიაზე გლეხი თუ პირუტყვივით იშრომებდა, დიდი-დიდი, ოჯახის გამოკვება მოეხერხებინა, სამომავლო პერსპექტივებზე კი ლაპარაკიც ზედმეტი იყო.

სიცილიაზე დაბრუნების შემდეგ სილვიო ფერა ამერიკის მგზნებარე მხარდამჭერი გახდა, მაგრამ მალევე დაინახა, რომ ქრისტიან-დემოკრატთა პარტია მდიდართა ინტერესებს ემსახურებოდა და პალერმოში სოციალისტ მშრომელთა საგანმანათლებლო ჯგუფს

შეუერთდა. სწავლის წყურვილი ჰქონდა, წიგნები იტაცებდა. მალე მარქსისა და ენგელსის თეორიები საგულდაგულოდ შეისწავლა და სოციალისტურ პარტიაში შევიდა. მას სან ჯუზეპე იატოში პარტიის კლუბის ორგანიზება დაევალა.

მან ოთხ წელიწადში მოახერხა ის, რაც ჩრდილოეთ იტალიიდან ჩამოსულმა აგიტატორებმა ვერ მოახერხეს. სოციალისტური მოძღვრებისა და წითელი რევოლუციის მთავარი დებულებები სიცილიურ მენტალიტეტს მიუსადაგა და აქაურებს მათთვის გასაგებ ენაზე განუმარტა. იმაში დაარწმუნა, რომ სოციალისტური პარტიისათვის მხარდაჭერა მათ საკუთარ მიწის ნაკვეთს მისცემდათ. აცხადებდა, რომ არისტოკრატების მამულები ხალხს უნდა დაურიგდეს, რადგან მეძამულეთა ხელში მიწა ტყუილად ცდება, გლეხები კი მას თავიანთი შვილების გამოსაკვებად დაამუშავენ. ხალხი იმაში დაარწმუნა, რომ სოციალისტები ერთხელ და სამუდამოდ მოსპობდნენ კორუფციას. სახელმწიფო სტრუქტურებში გაუქმდებოდა ქრთამები, გლეხს აღარ მოუწევდა მღვდლისთვის ორი კვერცხის მიცემა, რათა ამერიკიდან გამოგზავნილი წერილი წაეკითხა; სოფლის ფოსტალიონი აღარავის მოსთხოვს ლირას წერილის სანაცვლოდ; მამაკაცები კაპიკებად აღარ იშრომებენ ბარონებისა და ჰერცოგების მიწაზე. შიმშილს ბოლო მოეღებოდა, ხოლო ხელისუფლება ისევე მოემსახურება ხალხს, როგორც ამერიკაში. სილვიო ფერა თვალსაჩინოდ ამტკიცებდა იმას, რომ ოფიციალური ეკლესია გაქნილი კაპიტალისტების მხარეზე იყო, თუმცა არც ღვთისმშობელს აგინებდა, არც შემწე წმინდანებს, არც უფალ იესოს. აღდგომა დღეს მეზობლებს მუდამ „ქრისტე აღდგა!“-თი ეგებებოდა, კვირაობით წირვას ესწრებოდა. ცოლ-შვილს ჭეშმარიტად სიცილიურ ტრადიციებში პატრონობდა, დედის ერთგული იყო, მამას უდიდეს პატივს სცემდა, გაუნათლებელი ნათესავების ბედზე თავს პასუხისმგებლად გრძნობდა.

როცა სან ჯუზეპე იატოს მათვის ბოსმა გააფრთხილა, მეტი-მეტი მოგდისო, ფერამ გულითადად დაარწმუნა, მომავალში ჩემი პარტია თქვენთან საუკეთესო ურთიერთობას დაამყარებსო, თუმცა გულში იცოდა, რომ მათთან უდიდესი და უსასტიკესი ბრძოლა მოელოდა. როცა დონ კროჩე თავის დესპანებს უგზავნიდა და შეთანხმებას სთავაზობდა, ფერა მათ უარით ისტუმრებდა. პროვინ-

ციაში საბრძოლო გმირობებისთვის იმდენად დიდ პატივს სცემდნენ და მაფიასაც იმდენად დამაჯერებლად აღუთქვა მეგობრობა, რომ დონ კროჩემ დროებით თავი დაანება, მით უმეტეს, რომ არჩევნების სასიკეთო შედეგში ეჭვი არ ეპარებოდა.

ყველაზე მეტად კი სილვიო ფერა სიცილიელების ფონზე იმით განსხვავდებოდა, რომ მოყვასის მიმართ არაჩვეულებრივი თანაგრძნობა ახასიათებდა. აუდმყოფი მეზობლის ოჯახსა თუ მარტოხელა ქვრივს არაერთხელ დახმარებია საკვებითა და კეთილი სიტყვით. ხალხს უხსნიდა, რომ სოციალისტების სათავეში მოსვლის შემდეგ მათი ცხოვრება სრულებით შეიცვლებოდა. მარქსის ეკონომიკური თეორიის ნაცვლად ხალხისთვის ახლო და გასაგები ენით ლაპარაკობდა:

— როგორც პურია ჩვენთვის ტკბილი, ისე ღარიბთა სისხლია ტკბილი მდიდრებისათვის.

სწორედ სილვიო ფერამ დააფუძნა მშრომელთა კოოპერატივი მათთვის, ვინც გმობდა ისეთ ეკონომიკურ ბაზარს, რომელზეც კაცის შრომა ყველაზე უფრო იაფად ფასობდა. მან მუშახელის გასამრჯელო მკაცრად დაადგინა და მემამულეებს ამ პირობების მიღება უწევდათ, თუკი არ სურდათ, მათი მოსავალი მინდვრებზე დამპალიყო. ამგვარად, სილვიო ფერა გამორჩეული კაცი გახლდათ.

სილვიოს ის შეულოდა, რომ ტორი ჯულიანოს მფარველობის ქვეშ იმყოფებოდა. დონ კროჩემაც სწორედ ამიტომ მიანება თავი. სილვიო ფერა მონტელეპარეში დაიბადა. სიყრმიდანვე მრავალმხრივ ნიჭს ამჟღავნებდა და ტორი მას აღფრთოვანებით შეჰყურებდა, თუმცა მეგობრები არ ყოფილან ასაკობრივი განხვავების გამო — ჯულიანო ოთხი წლით მასზე უფროსი იყო — და იმის გამოც, რომ სილვიო ომში წავიდა. სამხედრო ჯილდოებით მკერდდამშვენებული დაბრუნდა, სან ჯუზეპე იატოში გოგონა გაიცნო და მის ცოლად შერთვას აპირებდა. როცა ფერას პოლიტიკური საქმიანობა თვალსაჩინო გახდა, ტორი მისდამი კვლავინდებურად კარგად იყო განწყობილი, თუმცა აღნიშნავდა, რომ მის შეხედულებებს არ იზიარებდა. ამიტომაც, როცა ჯულიანო სიცილიელი ამომრჩევლებისათვის „ჭკუის სწავლებას“ შეუდგა, საგანგებო განკარგულება გასცა, ხელი არ ეხლოთ არც სან ჯუზეპე იატოსა და არც პირადად სილვიო ფერასთვის.

ფერამ ეს შეიტყო და გონიერება გამოიჩინა: ჯულიანოს დაუბარა, როცა დაგჭირდებოდა, შენს სამსახურში მიგულო. მისი წერილი ჯულიანოს ფერას მშობლებმა მიაწვდინეს, რომლებიც უმცროს შვილებთან ჯერ კიდევ მონტელეპარეში ცხოვრობდნენ. ფერას ერთ-ერთი და, ჯუსტინა, მხოლოდ თხუთმეტი წლის იყო. სწორედ მან მიუტანა წერილი ჯულიანოს დედას. მოხდა ისე, რომ ტორი დედას სტუმრობდა და წერილი პირადად გამოართვა. გოგონას დანახვისთანავე შეუყვარდა მძლავრი და მოხდენილი ტორი. სხვაგვარად ვერც იქნებოდა.

ტორი ჯულიანო მშობლებსა და ლა ვენერასთან ერთად ყავას შეექცეოდა და ჯუსტინასაც შესთავაზა. გოგონამ უარი უთხრა. მხოლოდ ლა ვენერამ შენიშნა გოგონას სილამაზე და ის, თუ რა დაჟინებით უძხვრდა ის ჯულიანოს, რომელმაც მასში ვერ ამოიცნო დიდი ხნის წინათ ნანახი მტირალი ბავშვი, ფულით რომ დაასაჩუქრა. წერილის პასუხად ჯულიანომ უთხრა:

— შენს ძმას მადლობა გადაეცი და უთხარი, მშობლების დარდინუ ექნება, მე მათ მუდამ გავუწევ მფარველობას.

ჯუსტინამ სასწრაფოდ დატოვა იქაურობა და მშობლებთან დაბრუნდა. მას მერე დღე და ღამე ჯულიანოს სიყვარულზე ოცნებობდა და დიდად ეამაყებოდა, რომ ჯულიანო მის ძმას პატოს სცემდა.

ამგვარად, როდესაც ჯულიანომ პორტელა დელა ჯინესტრასთან მოზეიმეებზე თავდასხმა განიზრახა, სილვიო ფერას მეგობრულად დაუბარა, საპირველმაისო ღონისძიებაში მონაწილეობა არ მიეღო. დაჰპირდა, რომ სან ჯუზეპე იატოს მცხოვრებლებიდან არავინ დაშავდებოდა, მაგრამ თვითონ თუ კიდევ განაგრძობდა სოციალისტურ აქტივობას, მაშინ ჯულიანოს შესაძლო საფრთხისაგან მისი დაცვა გაუჭირდებოდა. თვითონ არასოდეს არაფერს დაუშავებდა, მაგრამ „მეგობართა მეგობრებს“ სოციალისტების განადგურება ჰქონდათ განზრახული და არც ფერას გაახარებდნენ.

სილვიო ფერა მიხვდა, რომ ეს დონ კროჩეს მორიგი შემოტევა იყო, მაგრამ არც ამჯერად აპირებდა გზიდან გადახვევას: სოციალისტური პარტიის გამარჯვებას ცოტაღა უკლდა და ამ ტრიუმფალურ მსვლელობას არასგზით არ გამოაკლდებოდა.

1948 წლის პირველ მაისს სან ჯუზეპე იატოსა და პინი დეი გრეჩის მოსახლეობა სისხამ დილით მთაში სამგზავროდ წამოიშალა. კლდოვან ბილიკებზე ხალხს წინ საგანგებოდ დაქირავებული მუსიკოსები მიუძღოდნენ. სილვიო ფერა ცოლსა და ორ შვილთან ერთად სან ჯუზეპე იატოს პროცესიის წინა რიგებში მოაბიჯებდა და ამაყად მოჰქონდა წითელი დროშა. ჭრელაჭრულად გაფერადებული ოთხთვალეები წითელი ბაფთებით შემკულ ცხენებს მოჰყავდათ. შიგნით ქვაბები, სპაგეტის დიდი კოლოფები, ხის სასალათო დიდი ჯამები ეწყო. საგანგებო ურმით ღვინო მოჰქონდათ, კიდევ ერთში ცომი და ქურები იყო, რათა პური იქვე, ზეიმის დროს გამოეცხოთ.

პროცესიის გარშემო ბავშვები დახტოდნენ და ბურთებს დააგორებდნენ. მამაკაცები თავიანთ ბედაურებს დოლისთვის ამოწმებდნენ, რომელიც ნაშუადღევის პროგრამის მთავარი მოვლენა უნდა ყოფილიყო.

როცა სილვიო ფერამ ქალაქელები პორტელა დელა ჯინესტრას კლდოვან დერეფანთან მიიყვანა, მეორე ამოსასვლელიდან პიანი დეი გრეჩის მცხოვრებლები გამოჩნდნენ. მათაც ალმები და ტრანსფარანტები მოჰქონდათ. ორი ჯგუფი ერთმანეთს შეერწყა, დაიწყო მისალმება-მოკითხვები, ქალაქის ჭორების გაცვლა-გამოცვლა და მოსალოდნელ პოლიტიკურ მოვლენებზე ბჭობა-ბაასი. მიუხედავად იმისა, რომ ხმა იყო გავარდნილი, პირველ მაისს არეულობაა მოსალოდნელიო, არავინ შეშინებულა: რომი ყველას სძულდა, მაფიას კი უფრთხოდნენ, მაგრამ უკან დახევას არ აპირებდნენ.

შუადღისათვის მთის ხეობაში დიდ პლატოზე სამი ათას ადამიანზე მეტი გაშლილიყო. ქალებმა ქურებზე დიდი ქვაბებით შემოდგეს სპაგეტისათვის ასადულებელი წყალი. ბავშვები ფრანებს აფრიალებდნენ, მათ თავზე კი სიცილიური მომცრო წითელი შევარდნები დაფრინავდნენ. სენატორი ლო კოზი სიტყვით გამოსასვლელად ეშხადებოდა. სილვიო ფერა მამაკაცებთან ერთად ფიცრულ ტრიბუნას კრავდა, რომელზეც წარჩინებულ ქალაქელებს უნდა დაეკავებინათ ადგილი. მასთან ერთად მომუშავე კაცებმა სილვიოს სთხოვეს, თავისი გამოსვლა შეძლებისდაგვარად შეემოკლებინა, რადგან ბავშვებს უკვე გვარიანად მოშიებოდათ.

ამ დროს მთაში გრგვინვა გაისმა. ეტყობა, ბავშვებმა ასაფეთქებელი რაკეტები მოიტანესო, გაიფიქრა ფერამ.

იმავე დილით, ბევრად უფრო ადრე, მზის ამოსვლამდე, ჯულიანოს ბანაკიდან ორი თორმეტკაციანი რაზმი პორტელა დელა ჯინესტრას მიმართულებით გამოვიდა. თითოეულს ტყვიამფრქვევი მოჰქონდა. პასატემპომ თავისი რაზმი მონტე კუმეტას ფერდობებზე აიყვანა და საგულდაგულოდ შეარჩია ადგილი ტყვიამფრქვევის დასაყენებლად. მასთან ოთხი მსროლელი დატოვეს, დანარჩენები შაშხანებითა და ლუპარებით კლდის გასწვრივ განაწილდნენ.

ტერანოვას რაზმმა პორტელა დელა ჯინესტრას მოპირდაპირე მხარეს მონტე პიზუტას ფერდობი დაიკავა. აქედან ველიც და მის ქვემოთ მდებარე სოფლებიც მათი ცეცხლისათვის იყო გახსნილი. თუ კარაბინერები ბარაკებიდან გამოვიდოდნენ, ყაჩაღები თავიანთი პოზიციიდან მათაც დაცხრილავდნენ.

ჯულიანოს ბანდიტებმა თვალი ადევნეს ველისაკენ საზეიმოდ მიმავალ ქალაქელებს. ზოგს ამ პროცესიაში ნათესაუები ჰყავდა, მაგრამ წარბიც კი არ შეუხრიათ: ჯულიანოს მათთვის უმკაცრესი მითითებები ჰქონდა მიცემული. ტყვიამფრქვევის ჯერს ხალხის თავებს ზემოთ დაცლიდნენ, რათა არავინ დაშავებულიყო და ყველა თავ-თავის სახლში დაბრუნებულიყო.

ჯულიანო აპირებდა, თვითონ ეხელმძღვანელა ამ ოპერაციისათვის, მაგრამ შვიდი დღით ადრე პიშოტას ჭლექის მძიმე შეტევა დაეწყო: ფერდობს ბანაკისაკენ მიუყვებოდა, როცა უეცრად ჩაიკეცა და ძირს დავარდა. მისი სხეული მთიდან უღონოდ ჩამოგორდა. მის უკან მომავალმა ჯულიანომ დეიდაშვილი შეაჩერა, იფიქრა, ხუმრობსო, მაგრამ გულადმა რომ ამოატრიალა, პერანგი სულ სისხლით ჰქონდა მოთხვრილი. ჯულიანოს ეგონა, ასპანუს სნაიპერმა ესროლაო, ხელში აიყვანა და აღმართს აუყვა. პიშოტა გონზე იყო და უღონოდ ჩურჩულებდა: „ძირს დამაწვინე, ძირს დამაწვინე“; ჯულიანომ ხმაზე შეატყო, რომ ტყვია არ მოხვედრია, უბრალოდ შინაგანი სენი ხრავდა.

პიშოტა საკაცეზე დააწვინეს და ჯულიანომ ის თავის ათ კაცთან ერთად მონრუალში, საუკეთესო ექიმს მიუყვანა, რომელსაც ადრეც მიმართავდა თავისი ამხანაგების ჭრილობების სამკურნალოდ. ექიმმა პიშოტას ავადმყოფობის შესახებ დონ კროჩეს შეატყობინა,

რადგან მონრუალის საავადმყოფოს უფროსობას უმიზნებდა, ეს კი დონ კროჩეს მხარდაჭერის გარეშე შეუძლებელი იყო.

პიშოტა კლინიკაში მოათავსეს გამოსაკვლევად, ჯულიანოს პასუხის მოლოდინში დარჩენა სთხოვეს, მაგრამ დილას დავბრუნდებიო, უპასუხა, ოთხ კაცს პიშოტას დაცვა დააუღლა და დანარჩენებთან ერთად ერთ-ერთი ამხანაგის სახლში მიიძალა.

მეორე დღეს ექიმმა შეატყობინა, რომ პიშოტას მკურნალობისათვის სტრუპტომიცინი სჭირდებოდა, რომლის შოვნაც მხოლოდ ამერიკაში იყო შესაძლებელი. ჯულიანო დაფიქრდა. გადაწყვიტა, მამისა და სტეფან ანდოლინისათვის ეთხოვა, დონ კორლეონესათვის მიეწერათ. მანამდე კი პიშოტას კლინიკიდან წამოყვანა ითხოვა. ექიმმა ამის უფლება დართო, იმ პირობით, თუ ავადმყოფი რამდენიმე კვირას საწოლში იწვებოდა.

ამგვარად მოხდა, რომ პორტელა დელა ჯინესტრასთან მოხეიძეთა დაშლის დროს ჯულიანო მონრუალში იყო და პიშოტას უვლიდა.

როცა სილვიო ფერამ ფოიერვერკის ხმაზე მიიხედა, ერთბაშად სამმა რამემ შეძრა; პირველი პატარა ბიჭუნა იყო, მკლავი ჰაერში რომ აეშვირა. ფრანის ბაწრიანი ხელის ნაცვლად მკლავი საზარელი სისხლიანი ჭრილობით მთავრდებოდა, ფრანი კი ცაში თავისუფლად აფარფატებულებოდა. მეორე ის იყო, რომ მიხვდა: ეს ფოიერვერკი კი არა, ავტომატის ჯერია. მესამე უმხედრო შავი ცხენი იყო, ფერდები სისხლით ჰქონდა შეფერილი და ადამიანებს შორის დარბოდა დამფრთხალი. სილვიო ფერამ ხალხში ცოლ-შვილს დაუწყო ძებნა.

მონტე პიზუტას ფერდობიდან ტერანოვა ბინოკლში იცქირებოდა. თავიდან ეგონა, ხალხი ძირს შიშისაგან ეცემო, მაგრამ როდესაც მიხვდა, რომ ტყვიები ადამიანებს ხვდება, მსროლელს ხელი ჰკრა და ავტომატს მოაშორა. მისი ავტომატი რომ დადუმდა, მოპირდაპირე კლდიდან ისევ ისმოდა მეორე იარაღის კაკანი. ტერანოვამ გაიფიქრა, როგორც ჩანს, პასატემპო ვერ ამჩნევს, რომ ავტომატის ცეცხლი მეტისმეტად დაბლაა მიმართული და ხალხი იხოცებაო. რამდენიმე წუთში ისიც დადუმდა და ფერდობები გამყინავმა სიჩუმემ მოიცვა. მეორე კი ველიდან ხალხის კვილი, დაჭრილთა კვნესა და მომაკვდავთა ხროტინი მოისმა. ტერანოვამ რაზმი შეკრიბა, ტყ-

ვიამფრქვევი დააშლევინა და მთის მეორე მხრიდან დაიწყო გაქცევა. გზად ფიქრობდა, რა ექნა: ჯულიანოსთან დაბრუნებულიყო თუ მიმალულიყო. იცოდა, ჯულიანო დამნაშავეებს მკაცრად სჯიდა, მაგრამ იმაშიც იყო დარწმუნებული, რომ მოუსმენდა და მის ხალხს ყველაფრის მოყოლას აცლიდა. მისი რაზმი დაიფიცებდა, რომ ხალხისათვის არ უსვრიათ. ამგვარად ბანაკში დაბრუნება და ჯულიანოსთვის ანგარიშის ჩაბარება გადაწყვიტა. თან ფიქრობდა, ნეტავ, პასატემპოც ასევე თუ მოიქცევაო.

სილვიო ფერამ თავისიანებს რომ მიაგნო, ტყვიამფრქვევის ცეცხლი უკვე შეწყვეტილიყო. მისი ცოლ-შვილი უვნებელი იყო, მიწიდან წამოდგომა უნდოდათ, მაგრამ ფერამ ყველა აიძულა, კიდევ თხუთმეტი წუთით ძირს გაჩერებულიყვნენ. დაინახა, ცხენოსანი პიანი დეი გრეცისკენ როგორ გაქანდა კარაბინერების მოსაყვანად და, რაკი უვნებელი დარჩა, ფერა მიხვდა, რომ თავდასხმა შეწყდა. ფერა ფეხზე წამოდგა.

ქალაქელებმა პლატოდან შინ დაბრუნება დაიწყეს. ძირს დარჩენილ დახოცილებსა და დაჭრილებს მტირალი ახლობლები დასტრიალებდნენ. ამაყად მოტანილი დროშები ძირს ეყარა, მათი წითელი, მწვანე და ოქროსფერი ფერები დილის მზის შუქზე თვალისმომჭრელად ხასხასებდა. სილვიო ფერამ ოჯახი მიატოვა და დაჭრილების დასახმარებლად გაემართა. რამდენიმე გაქცეული მამაკაცი შეაჩერა და დაჭრილების გადაყვანა დაავალა. თავზარი დაეცა, როდესაც ნახა, რომ დაღუპულთა შორის პატარა ბავშვები და ქალები იყვნენ. თვალებზე ცრემლი მოადგა. ეს პოლიტიკოსი მოძღვრები ყველანი ცდებოდნენ: არაფერს ჰქონდა აზრი. ამომრჩევლები სიცილიას ვერ შეცვლიდნენ. თავიანთი უფლებების მოსაპოვებლად ხალხს კვლავინდებურად სისხლი უნდა დაეღვარა.

ეს ამბავი პიშოტას საწოლთან მჯდომ ჯულიანოს ჰექტორ ადონისმა მოუტანა. ჯულიანომ მაშინვე მიატოვა პიშოტა, მთის ბანაკში დაბრუნდა და პასატემპო და ტერანოვა დაიბარა.

— ვიდრე ხმას ამოიღებდეთ, გაგაფრთხილებთ, — უთხრა ორივეს, — დამნაშავე, ადრე თუ გვიან, გამოძევავენდება. რაც უფრო გვიან გაუარკვევ სიმართლეს, სასჯელი მით უფრო სასტიკი იქნება.

თუ უბრალოდ შეცდომა მოგვიდათ, აღიარეთ და გპირდებით, არ მოგკლავთ.

ჯულიანო ასეთი განრისხებული ჯერ არ უნახავთ. ვიდრე შეკითხვებს უსვამდა, ორივე ყაჩაღი დაზაფრული იდგა. დაიფიცეს, რომ ხალხს თავს ზემოთ უმიზნებდნენ, ხოლო როგორც კი შენიშნეს, რომ ადამიანები იხოცებოდნენ, მაშინვე შეაჩერეს ცეცხლი.

ჯულიანომ რაზმების წევრები და ტყვიამფრქვევის მსროლელები დაჰკითხა და მიღებული ცნობები ერთმანეთს შეუთავსა. ტერანოვას ტყვიამფრქვევი ხუთი წუთის განმავლობაში ისროდა, პასატემპოს ცეცხლი კი ათ წუთს გაგრძელდა. მსროლელებმა დაიფიცეს, რომ მალლა უმიზნებდნენ, არც ერთს არ უღიარებია, რომ, განგებ თუ შემთხვევით, დაბლა დაუშვეს მიზანი.

ყველანი რომ დაითხოვა, კლდეზე მარტო ჩამოჯდა. მას მერე, რაც ბანდიტი გახდა, პირველად მოეძალა აუტანელი სირცხვილის განცდა. ოთხი წლის მანძილზე ამაყად შეეძლო განეცხადებინა, რომ ღარიბი ხალხისათვის არაფერი დაუშავებია. ახლა ვეღარ იამაყებდა. საკუთარი ხალხი უმოწყალოდ დახოცა. გულის სიდრმეში თავს ვეღარასოდეს ჩათვლიდა გმირად. მერე ყველა შესაძლებლობა გადაამოწმა: შეცდომა არ გამოურიცხავს, რადგან მის მეგობრებს ლუპარას სროლაში ბადალი არ ჰყავდათ, მძიმე ტყვიამფრქვევს კი ნაკლებად ფლობდნენ. ზვეიდან ქვემოთ სროლისას, შესაძლოა, კუთხე არასწორად გათვალეს. არ სჯეროდა, რომ პასატემპო და ტერანოვა ატყუებდნენ, მაგრამ მაინც მუდამ რჩებოდა იმის შანსი, რომ ერთ-ერთი ან ორივე ხალხის ამოსახოცად მოისყიდეს. როგორც კი საზარელი ამბავი აცნობეს, თავში იმ აზრმაც გაუელვა, რომ სადღაც მსროლელთა მესამე რაზმიც უნდა ყოფილიყო ჩასაფრებული.

მაგრამ განზრახ დაგეგმილი მასობრივი მკვლელობის შემთხვევაში მსხვერპლი უეჭველად ბევრად უფრო დიდი იქნებოდა. თუმცა ჯულიანომ ისიც გაიფიქრა, იქნებ ამის გამკეთებლებს ერთადერთ მიზნად ჩემი სახელის გატეხა ჰქონდათო. და ვის მოუვიდოდა აზრად პორტელა დელა ჯინესტრასთან სროლის ატეხა? ამდენი დამთხვევა მართლაც მეტისმეტი იყო.

რაოდენ ამაზრზენიც უნდა ყოფილიყო ამის აღიარება, ეჭვი არ იყო: ყველაფერი დონ კროჩემ ჩაიფიქრა.

პირველ მაისს მოზეიმეთა ამოხოცვის ამბავი მთელ იტალიას მოედო. გაზეთები მშვიდობიანი მოსახლეობის, ქალებისა და ბავშვების მკვლელობის შესახებ გაჰკიოდნენ. სულ თხუთმეტი გარდაცვლილი და ორმოცდაათამდე დაჭრილი იყო. თავიდან ამ ტრაგედიაში მაფიას ადანაშაულებდნენ, სილვიო ფერაც თავის საჯარო გამოსვლებში დონ კროჩეს სდებდა ბრალს. მაგრამ დონი ამისთვის მზად იყო. „მეგობართა“ შორის მთავრობის საიდუმლო აგენტებმა ზემდგომებს შეატყობინეს, რომ საკუთარი თვალთნახეს, პასატემპო და ტერანოვა თავდასხმას როგორ ამზადებდნენ. სიცილიელებს უკვირდათ, რატომ არ უარყო ჯულიანომ ეს ბრალდება თავის მორიგ საჯარო წერილში. მსგავსი დუმილი მას არ ახასიათებდა.

ეროვნულ არჩევნებამდე ორი კვირა რჩებოდა, როცა სილვიო ფერა ველოსიპედით სან ჯუზეპე იატოდან პიანი დეი გრეჩისკენ მიდიოდა. მდინარე იატოს გასწვრივ მიდიოდა, ორ კაცს რომ გაუარა გვერდით. მათ მისი შეჩერება სცადეს, უკან მიჰყვიროდნენ, მაგრამ ფერამ სწრაფად მოიტოვა უკან და, იმ დროისათვის, როცა პიანი დეი გრეჩის მიადგა, ის ორნი აღარსად ჩანდნენ.

მომდევნო სამი საათი ფერამ პარტიის სხვა ლიდერებთან ერთად სოციალისტურ კომუნაში გაატარა. საქმე რომ მოამთავრეს, ბინდდებოდა და ფერა აჩქარდა, დაღამებამდე შინ რომ მიესწრო. ცენტრალურ მოედანზე ველოსიპედს ხელით მოაგორებდა, თან შემხვედრ ნაცნობებს გულითადად ესალმებოდა. უეცრად ოთხი კაცი გარს შემოეხვია. სილვიო ფერამ მონტელეპრეს მაფიის ბოსი ამოიცნო და გულზე მოეშვა, რადგან კვინტანას ბავშვობიდან იცნობდა და ისიც იცოდა, რომ სიცილიის ამ პროვინციაში მაფია ჯულიანოს უფრთხოდა და ღარიბთა დაჩაგვრას ერიდებოდა. კვინტანას ღიმილით მიმართა:

- შორ გზაზე წამოსულხარ.
- გამარჯობა, მეგობარო, — უთხრა კვინტანამ, — ცოტას გაგაცილებთ. თუ არ იხმაურებ, არაფერი დაგემართება. შენთან სალაპარაკო გვაქვს.
- აქ დამელაპარაკეთ, — უპასუხა ფერამ, შიშის პირველი ჩხვლე-

ტა იგრძნო, იმავე შიშისა, რომელიც ომში უგრძნია და რომლის მოთოკვაც ისწავლა. ახლა იმაზე ფიქრობდა, რაიმე შეცდომა არ დაეშვა. ორმა კაცმა მკლავები გადაუგრიხა და წაიყვანა. ველოსიპედი თავისით გაგორდა და ბოლოს გვერდზე გადავარდა.

ფერამ შენიშნა, რომ თავიანთი სახლების წინ მსხდომი ქალაქელები ხედაუდნენ იმას, რაც ხდებოდა. სხვა დროს უცილობლად მოვიდოდნენ დასახმარებლად, მაგრამ ჯინესტრასთან მომხდარმა ტრაგედიამ ხალხი ისე დააშინა, რომ ფეხზეც კი არავინ წამოდგარა. სილვიო ფერამ ქუსლები მიწას მიაბჯინა და კომუნის შენობისაკენ მიიხედა. ამ სიშორიდანაც კი ხედავდა კარის განათებულ ჭრილში თავის რამდენიმე თანაპარტიელს და ნუთუ ისინი ვერ ამჩნევდნენ, მის თავს რა ხდებოდა? დაიყვირა, მიშველეთო, მაგრამ ქუჩაში არავინ ამოდრავებულა. სილვიო ფერას თავისი ხალხის გამო შერცხვა.

კვინტანამ ტლანქად ჰკრა ხელი:

— ნუ სულელობ, მხოლოდ დალაპარაკება გვინდა. ჯობს უხმაუროდ წამოგვყვე, თუ არ გსურს, რომ შენი მეგობრები დაშავდნენ.

თითქმის დაბნელებულიყო. მთვარე ანათებდა. სილვიო ფერამ ბეჭებს შორის თოფის ცივი ფოლადი იგრძნო და მიხვდა, მისი მოკვლა რომ ნდომოდათ, ალბათ, აქვე, მოედანზევე მოკლავდნენ. უთუოდ იმათაც მიაყოლებდნენ, ვინც მის დახმარებას შეეცდებოდა. ამიტომ კვინტანას უკან გაჰყვა. შესაძლოა, მოკვლას მართლაც არ უპირებდნენ: მოწმე ბევრი იყო და, ალბათ, კვინტანაც ბევრმა ამოიცნო. რომ გაებრძოლა, უსათუოდ ესროდნენ. გადაწყვიტა, ყური დაეგდო, რას ეტყოდნენ.

კვინტანამ მშვიდად და დამაჯერებლად მიმართა:

— გვინდა ერთხელ და სამუდამოდ შეეშვა კომუნისტურ სისულელებს. ჯინესტრას ამბავი „მეგობართა მეგობრებს“ რომ დააბრალეთ, გაპატიეთ, მაგრამ მადლობის ნაცვლად თქვენს საქმეს ძველებურად განაგრძობთ. ჩვენი მოთმინება იწურება. თუ ასე გაგრძელდა, იძულებული ვიქნებით, შვილები დაგიობლოთ.

ამ დროისათვის ქალაქიდან გავიდნენ და მონტე კუმეტას ფერდობს აუყვნენ. სასოწარკვეთილმა ფერამ უკან მიიხედა, მაგრამ არავინ მოჰყვებოდათ.

— ნუთუ ოჯახის მამას რაღაც პოლიტიკის გამო მოკლავ?

კვინტანამ უხეშად გადაიხარხარა.

— ჩემს ფეხსაცმელზე დაფურთხების გულისთვისაც მომიკლავს. კვინტანას ხალხმა ფერას აქეთ-იქიდან ხელი შეუშვეს და გაეცალნენ. ფერა მიხვდა, რაც ელოდა, შეჰყვირა და მთიდან სირბილით დაეშვა.

ქალაქელებმა სროლის ხმა გაიგონეს და კარაბინერები გამოიძახეს. მეორე დილით სილვიო ფერას გვაში კლდის ნაპრალში იპოვეს. არაუინ აღიარა, რომ ოთხი მამაკაცი და, მათ შორის, გვიდო კვინტანა შენიშნა. არაუის არაფერი უნახავს: სიცილიელები ომერტას მკაცრად იცავდნენ. მაგრამ ზოგიერთმა მათგანმა მომხდარი ჯულიანოს შეატყობინა.

არჩევნებში ქრისტიან-დემოკრატიამ გამარჯვებას მრავალი ფაქტორის დამთხვევამ შეუწყო ხელი. დონ კროჩემ თავისი საქმე სანიმუშოდ შეასრულა: პორტელა დელა ჯინესტრას ტრაგედიამ მთელი იტალია შეძრა, მაგრამ სიცილიელებზე მან განსაკუთრებული მძიმე ჭრილობა დაამჩნია. კათოლიკური ეკლესია ქრისტეს სახელით აგიტაციასა და მოწყალების დარიგებას უწინდელზე უფრო ფრთხილად და მიზანდასახულად ეწეოდა. საბოლოო დარტყმა კი სილვიო ფერას მკვლელობა აღმოჩნდა. ქრისტიან-დემოკრატიამ პარტიამ სიცილიაზე 1948 წლის არჩევნებში ბრწყინვალე გამარჯვება მოიპოვა და ამან მთელი იტალიის არჩევანი გადაწყვიტა. ცხადი გახდა, რომ, რამდენადაც მომაულის განჭვრეტა შეიძლებოდა, ეს პარტია ძალაუფლებას შეინარჩუნებდა. დონ კროჩე კვლავაც მართავდა სიცილიას, კათოლიკური ეკლესია სახელმწიფო რელიგიად რჩებოდა, მინისტრ ტრეზას კი ყველა შანსი ჰქონდა, რომ ერთ მშვენიერ დღეს პრემიერ-მინისტრის პოსტი დაეკაუებინა.

საბოლოოდ პიშოტა მაინც მართალი გამოდგა. დონ კროჩემ ჰექტორ აღონისის პირით დაუბარა, რომ პორტელა დელა ჯინესტრას შემდეგ ქრისტიან-დემოკრატები ტორი ჯულიანოს ბანდას ვერ შეიწყალებდნენ. კვლავ წამოიჭრებოდა იმის ეჭვები, რომ მასობრივი მკვლელობა პოლიტიკურ შეკვეთას წარმოადგენდა, გაზეთები გამძვინვარდებოდნენ, მთელ იტალიაში არეულობა ატყდებოდა.

დონ კროჩეს ბუნებრივად მიაჩნდა ის ამბავი, რომ მინისტრი საკუთარ თავზე ვერ იღებს ასეთ გადაწყვეტილებას, ველარც პალერმოს კარდინალი დაუჭერდა მხარს უმწეო ქალებისა და ბავშვების მკვლელებს. მაგრამ დონმა დაარწმუნა ჯულიანო, რომ თვითონ მომავალშიც განაგრძობდა მის ამნისტიაზე ზრუნვას; ამასობაში კი ბრაზილიაში ან შეერთებულ შტატებში ემიგრირება ურჩია და დაჰპირდა, რომ ამ საქმეში ყოველმხრივ დაეხმარებოდა.

ჯულიანოს მეგობრებს აოცებდათ ის, რომ მათი მეტაური ამ დალატით, თითქოს, არც კი შეძრწუნებულა და ისე მიიღო, თითქოს, ეს თავისთავად ცხადი რამ ყოფილიყო. ბანაკი უფრო მაღალ მთაში გადაიტანა და რაზმების მეტაურებს უბრძანა, თავიანთი სადგომები მასთან ახლოს მოეწყოთ, რათა განგაშის შემთხვევაში სწრაფად შეკრებილიყვნენ. თვითონ დროთა განმავლობაში სულ უფრო იკეტებოდა თავის პირად სფეროში. მისი ხელქვეითები ზოგჯერ რამდენიმე კვირას ამაოდ ელოდებოდნენ მისგან რაიმე ბრძანებას.

ერთ დილას მარტოდმარტო ავიდა მთაში, დაბნელების შემდეგ ჩამოვიდა და ბანაკის კოცონთან გარინდული დადგა.

— ასპანუ, — თქვა, როგორც იქნა, — რაზმის მეტაურები შეკრიბე.

პრინცი ოლორტო ასიათასობით აკრიან მამულს ფლობდა, სადაც უხვად იზრდებოდა ყოველივე, რამაც სიცილია მთელი იტალიის საკუჭნაოდ აქცია: ლიმონი, ფორთოხალი, ხორბალი, ბამბუკი, ზეთისხილი, ყურძენი, პომიდორი, მწვანე წიწაკა და ადამიანის თავის სიმსხო ღვინისფერი ბადრიჯანი. პრინცი მიწის დიდ ნაწილს აქირავებდა და მასზე მომუშავე გლეხებს მოგების ნახევარს ჰპირდებოდა, რეალურად კი თავდაპირველად პროცენტით ამოიღებდა გაწეული ხარჯის — სამეურნეო მექანიზმების, თესლისა და ტრანსპორტირების — ღირებულებას, ასე რომ, საბოლოოდ გლეხს, უკეთეს შემთხვევაში, საკუთარი ოფლით მოწეული ჭირნახულის ოცდახუთი პროცენტიღა რჩებოდა. მაგრამ ეს გლეხი კიდევ იღბლიანი გახლდათ მათთან შედარებით, ვინც მოედანზე იდგა და თავიანთ შრომას გროშების ფასად ყიდდა.

სიცილიის ნიადაგი უხვმოსავლიანი იყო, მაგრამ, საუბედუროდ, არისტოკრატია მიწის დიდ ნაწილს არ ამუშავებდა და ფუჭად აცდენდა. დიდი გარიბალდი ჯერ კიდევ 1860 წელს დაჰპირდა სიცი-

ლიელებს, თქვენი მიწის ბატონ-პატრონებად გაგხდითო. და მაინც, პრინც ოლორტოს დღემდე ათი ათასი აკრი რჩებოდა გამოუყენებელი. ასევე იქცეოდნენ სხვა არისტოკრატებიც: მიწას ფულის დასაბანდებლად იყენებდნენ და თავინთი ახირებების დასაკმაყოფილებლად ნაწილ-ნაწილ ჰყიდდნენ.

უკანასკნელი არჩევნებისას ყველა პარტია, მათ შორის, ქრისტიან-დემოკრატებიც, მოსახლეობას მიწის თანაბრად განაწილების კანონის შემოღებას დაჰპირდა, რომლის თანახმადაც, ფერმერებს შეეძლოთ დაუმუშავებელი მიწა განსაზღვრულ ფასად ექირაათ.

მაგრამ არისტოკრატია ამ კანონს გვერდს უვლიდა; მაფიის ხელით აიძულებდა პრეტენდენტებს, უარი ეთქვათ მიწის ქირით აღებაზე. იმ დღეს, როდესაც გარკვეულ ნაკვეთზე ტენდერი ცხადდებოდა, საკმარისი იყო, ცხენზე ამხედრებულ მაფიის ბოსს მის საზღვრებთან ჩამოეწლო, რომ ვერც ერთი გლეხი ველარ ბედავდა მასზე განაცხადის შეტანას. იმ ერთეულებს, ვინც მაფიის წინააღმდეგ წასვლა გაბედა, მკვლელობა ან სხვა რამ დანაშაული დაჰბრალდა. მთელი საუკუნის განმავლობაში ასე გრძელდებოდა და სიცილიელებმა ეს დაუწერელი კანონი კარგად შეითვისეს. თუკი ნაკვეთი მაფიის ზედამხედველობის ქვეშ იმყოფებოდა, მასზე ვერაფერს აცხადებდა პრეტენზიას. რომში შეეძლოთ იმდენი კანონი მიეღოთ, რამდენიც მოესურვებოდათ. ეს კანონები ქალაქდღვევ რჩებოდა. ერთხელ დონ კროჩეს მინისტრ ტრუზასთან საუბარში წამოსცდა:

— თქვენს კანონებს ჩვენთან რა აქვს საერთო?

არჩევნების შემდეგ პრინც ოლორტოს აუთვისებელ მიწაზე ტენდერი გამოცხადდა, თუმცა მთავრობამ შესანიშნავად იცოდა, სინამდვილეში რა მოხდებოდა. მემარცხენე პარტიებმა ხალხს განაცხადების გაკეთებისკენ მოუწოდეს და დათქმულ დღეს პრინც ოლორტოს სასახლის ჭიშკართან ხუთი ათასამდე გლეხი შეიკრიბა. ხელისუფლების წარმომადგენლები იქვე გაწყობილ მაგიდებს უსხდნენ და მთელი დოკუმენტაცია მოემზადებინათ განაცხადების ოფიციალურად გასაფორმებლად. პრეტენდენტებს შორის მონტელეპრეს მცხოვრებლებიც იყვნენ.

პრინც ოლორტოს მოურავებად მაფიის ექვსი ბოსი ჰყავდა: ამ მზიან დღეს ექვსივე ცხენზე ამხედრებულიყო და გალაუნის გასწვრივ დაჯირითობდა. სახარების დროინდელი ზეთისხილის ხეებქვეშ შე-

ყუყული გლეხები ამ ექვს ცნობილ სისხლისმსმელს თვალს ადევნებდნენ და რაიმე ისეთ სასწაულს ელოდნენ, წინ გამოსვლასა და განაცხადის გაკეთებას რომ გააბედვინებდათ.

საკანონმდებლო ორგანოებისგან ამ სასწაულს არავინ მოელოდა. მინისტრ ტრეზას საგანგებო მითითებით მარშალმა ყველა კარაბინერი ბარაკში გამოიხმო და ამ დღეს პალერმოს მთელ პროვინციაში ერთ გზააბნეულ პოლიციელსაც კი ვერ ნახავდით.

პრინციის გალავანთან შეკრებილი ხალხი იცდიდა. ექვსი ცხენოსანი გაქვავებული სახით, მომართული ხელსაწყოებით აქეთ-იქით მოძრაობდა, თოფები მხარზე გადაეკიდათ, პისტოლეტები ქამრებში გაეყარათ. ხალხს არც ემუქრებოდნენ, არც აშინებდნენ, არანაირ ყურადღებას არ აქცევდნენ. შუადღისას გლეხებმა აბგებიდან საგზალი ამოიღეს და ღვინის ბოთლებს თავები მოხსნეს, თითქოს იმედოვნებდნენ, რომ ადრე თუ გვიან ამ მოდარაჯე გველეშაპებს მათი ცხენები სადმე შორს გააქროლებდნენ. გლეხები მეტწილად მამაკაცები იყვნენ, ქალებს შორის იყო ჯუსტინა, რომელიც თავის დედ-მამას წამოჰყოლოდა. აქ იმისთვის მოვიდნენ, სილვიო ფერას მკვლელებისათვის პროტესტი რომ გამოეცხადებინათ, მაგრამ ვერც ისინი ბედავდნენ ცხენოსანთა ზღუდის გარღვევასა და კანონით კუთვნილი მიწის დასაკუთრებას.

გლეხებს მხოლოდ შიში როდი აჩერებდათ. „მეგობართა მეგობრებმა“ რომზე ბევრად უფრო ქმედითი ჩრდილოვანი ხელისუფლება შექმნეს; რეალურად სწორედ ისინი წარმოადგენდნენ საკანონმდებლო ძალას. თუ გლეხი მოპარული საქონლისა თუ ცხვრის შესახებ პოლიციას აცნობებდა, ის თავის ქონებას ველარასოდეს დაიბრუნებდა. ხოლო თუ მათიას სთხოვდა დახმარებას და მოპარულის ოც პროცენტსაც გადაუხდიდა, ქონებას უკან უბრუნებდნენ და გარანტიასაც აძლევდნენ, რომ ქურდობა აღარ განმეორდებოდა. თუ რომელიმე ღვინით გაფიცხებულ ყმაწვილს უწყინარი მუშაკაცი შემოაკვდებოდა, მსხვერპლის ოჯახი პოლიციაში ვერ იჩივლებდა, რადგან ომერტას ვერ დაარღვევდა, მაგრამ მათიას თუ შესჩივლებდა, სამართლის აღდგენა და შურისძიება გარანტირებული ჰქონდა.

მაფია ღარიბ სოფლებს შემოჩვეულ წვრილმან ქურდებს სჯიდა, კონფლიქტებს ღირსეულად არიგებდა, მიწის საკუთრებაზე ღავას

იურისტთა ჩაურევლად აგვარებდა. ამ ექვსი ცხენოსანი მსაჯულის აზრს ვერაფერს შეეკამათებოდა და ვერც წაუყრებდა, მათს რისხვას კი მხოლოდ ემიგრაციით თუ უშველიდი თავს. სიცილიაში მათი ძალაუფლება პრემიერ-მინისტრისას აღემატებოდა. ამიტომაც ადგილიდან არაფერს იძვროდა.

ბოსები ერთ ადგილას თავს არ იყრიდნენ: ეს სისუსტის ნიშანი იქნებოდა. ხელმწიფეებოვით ცალ-ცალკე, ამაყად მიმოდიოდნენ, ექვსოვეს თავ-თავისი გოროზი იერით გამოარჩევდით. ყველაზე უფრო შიშისმგვრელი ბიზაკვინოს უგვირგვინო ხელისუფალი, რუხ ცხენზე ამხედრებული დონ სიანო გახლდათ. სამოცს გადაცილებულიყო და სახე დადარული და თავისივე ცხენით მორუხო ფერის ჰქონდა; ოცდაექვსი წლისამ გაითქვა სახელი, როდესაც თავისი წინამორბედი დონი მოკლა. სიანო თორმეტი წლის იყო, როცა ამ ადამიანმა მამა მოუკლა და მას მერე თოთხმეტ წელიწადს ელოდა შურისძიებას. ერთ დღეს თავის მტერს ხიდან დაახტა თავზე, როცა მან ცხენით ჩამოიარა; ქალაქის მოედანი ასე, ცხენზე ერთად ამხედრებულემა, გადაკვეთეს და სიანომ ყველას თვალწინ აკუნა მტერი: ჯერ ცხვირი ჩამოათალა, მერე ტუჩები, ყურები და სასქესო ასო, ბოლოს კი სისხლიანი გვაში უნაგირზე გადაიკიდა და მსხვერპლის სახლს ჩაუარა. მას შემდეგ თავის პროვინციას უსასტიკესად მართავდა.

მეორე ბოსი გახლდათ დონ არზანა პიანი დეი გრეჩიდან, მის შავ ცხენს ყურებს უკან მეწამული ბუმბულები ამშვენებდა. ეს მშვიდი და დინჯი კაცი იყო, მკვლელობას ერიდებოდა და თვლიდა, რომ კამათში მუდამ ორივე მხარეა დამნაშავე; სწორედ მისი დამსახურება იყო ის, რომ სილვიო ფერას ამდენ ხანს ხელს არ ჰკიდებდნენ. პოლიტიკის გამო ფერას მოკვლის წინააღმდეგი იყო, მაგრამ ველარაფერი მოუხერხა დონ კროჩეს, რომელმაც სოციალისტის სამაგალითოდ დასჯა განიზრახა. მოწყალე და სამართლიანი მმართველი იყო და იმ ექვსიდან ხალხს ყველაზე მეტად ის უყვარდა, მაგრამ ახლა, ცხენზე ამხედრებული, ისიც პირქუში ეჭვით იძვრიებოდა.

მესამე ცხენოსანს უნაგირი ყვაუილებით მოერთო: ეს კასტანისეტელი დონ პიდუ გახლდათ. ქათინაურები უყვარდა, პატომოყვარე იყო და საკუთარ გარეგნობას დიდ ყურადღებას აქცევდა. კოპწია მექალთანე ახალგაზრდებს ვერ იტანდა: სოფლის ერთ-ერთ ზეიმზე ერთმა ჭაბუკმა ქალთა აღტაცება იმით გამოიწვია, რომ კოჭებზე

ეფენების ასხმა შემოიხვია და ცეკვისას აჟღარუნებდა; პალერმო-ში შეკერილი პერანგი ეცვა და მადრიდულ გიტარაზე უკრავდა. დონ პიდუ განრისხდა, ამ პროვინციელმა ვალენტინომ ქალების მოხიბვლაში როგორ უნდა მაჯობოსო. იმ საბედისწერო დღის მერე ახალგაზრდას აღარ უცეკვია: ის თავისი ფერმის შორიახლოს ტყვიებით დაცხრილული იპოვეს.

მეოთხე ბოსი, ვილამურადან მოსული დონ მარკუზი, ღვთისმო-საობით გამოირჩეოდა: ძველი დროის ფეოდალივით მასაც საკუთარ სახლში სალოცავი ჰქონდა მოწყობილი. ძალზე მოკრძალებულად და ღარიბულადაც ცხოვრობდა, რაკი რწმენის გამო თავის ძალაუ-ფლებას გასამდიდრებლად არ იყენებდა, სამაგიეროდ, უსაზღვროდ ტკებოდა ძალაუფლებით. სიცილიის მოსახლეობაზე დაულაღვად ზრუნავდა, მაგრამ მაფიის ძველ, ტრადიციულ შეხედულებებსაც მკაცრად იცავდა: მთელი ქვეყანა აალაპარაკა იმით, რომ საკუთარი ძმისწული მოკლა ომერტას დარღვევისათვის: მან პოლიციას მიაწო-და კონკურენტი მაფიოზური გაერთიანების შესახებ ინფორმაცია.

მეხუთე ცხენოსანი იყო დონ ბუჩილა პარტინიკოდან, რომელმაც ჰექტორ აღონისს თავისი ნათესავისათვის პროტექცია სთხოვა იმ დიდი ხნის წინანდელ საბედისწერო დღეს, როდესაც ტორი ჯუ-ლიანო ბანდიტი გახდა. მას მერე ხუთ წელიწადში ორმოცი ფუნტი მოიმატა. კვლავ ოპერის პერსონაჟივით გამოწყობილი დაიარებო-და, არადა, ამ ხუთი წლის განმავლობაში არნახულად გამდიდრდა. სხვებზე ნაკლებად იყო საშიში, თუმცა წვრილმან ქურდობას ვერ ეგუებოდა და ისევე უმოწყალოდ დევნიდა, როგორც მეთვრამეტე საუკუნის ინგლისელი მოსამართლეები, ჯიბის ქურდ ბიჭუნებს სიკვდილით რომ სჯიდნენ.

მექვსე, გვიდო კვინტანა, ნომინალურად მონტელეპრედან იყო, თუმცა სისხლიანი კარიერის მწვერვალს კორლეონეში მიაღწია. რაკი მონტელეპრე ჯულიანოს მფარველობის ქვეშ იყო, იქ ვერ ბედავდა თავისი სისასტიკის გამოვლენას. ოჯახთა შუღლს ძალზე მარტოვად აგვარებდა: საკუთარი არჩევანის მიხედვით ანადგურებდა რომელიმე მხარეს. სილვიო ფერასა და სხვა ორგანიზატორთა მკვლელობაც მის სინდისზე იყო. კვინტანა, ალბათ, ერთადერთი ბოსი იყო, ვინც ხალხში პატოვისცემაზე მეტად სიძულვილს იწვევდა.

ეს ექვსი ადამიანი თავიანთი რეპუტაციით უქონელ გლეხებს შიშსა თუ რიდს აღუძრავდა და პრინც ოლორტოს მიწისკენ გზას უღობავდა.

მონტელეპრედან პალერმოს მიმართულებით მოძავალი ორი ჯიპი პრინცის მამულისკენ გადასახვევში გაჩერდა. ორივეში შავნიღბიანი ხალხი ისხდა. მხოლოდ ორნი იყვნენ უნიღბოდ — ტორი ჯულიანო და ასპანუ პიშოტა. ნიღბიანებს შორის იყვნენ სილვესტრო, პასატემპო და ტერანოვა. მათსავით შენიღბული ანდოლინი პალერმოსკენ მიძავალ გზას აკონტროლებდა. როდესაც ჯიპები ცხენოსნების პირისპირ გაჩერდა, ხეების ჩრდილში შეკრებილ გლეხებს შორისაც ნიღბიანი კაცები გამოჩნდნენ. მანამდე სხვებთან ერთად ბალახზე ისხდნენ და თან წამოღებულ საჭმელს შეექცეოდნენ. ჯიპების მოსვლისთანავე კალათებიდან იარაღი და ნიღბები ამოიღეს. ისინი გრძელ ნახევარწრედ განთავსდნენ და ცხენოსნები მიზანში ამოიღეს. სულ ორმოცდაათნი იქნებოდნენ. ტორი ჯულიანო ჯიპიდან გადმოხტა და შეამოწმა, ყველანი ადგილზე თუ იყვნენ. იცოდა, რომ ცხენოსნებმა დაინახეს და ხალხმაც იცნო. ნაშუადღევის კვამლისებრმა სხივებმა მიდამო წითლად შეღება. ჯულიანო გაოცებით ფიქრობდა: ექვსმა ცხენოსანმა ასე როგორ დააშინა ეს ათასობით მედგარი გლეხი? მათს შვილებს პირიდან ლუკმას აცლიან, ხალხი კი არ იძვრის!

მის გვერდით ასპანუ გველგესლასავით ელოდა თავდასხმის წუთს. მხოლოდ მან თქვა უარი ნიღაბზე, დანარჩენები ექვსი ბოსის ნათესაობისა და „მეგობართა მეგობრების“ შურისძიებას უფრთხოდნენ. ჯულიანომ და პიშოტამ ვენდეტა საკუთარ თავზე იტვირთეს.

ორივეს ლომისა და არწივის გამოსახულებიანი ოქროს ბალთები ეკეთათ. ჯულიანოს ქამარზე ტყავის ბუდეში პისტოლეტი ედო, სხვა იარაღი არ ჰქონდა. თითზე ჰერცოგინიას ზურმუხტისთვლიანი ბეჭედი ეკეთა. პიშოტას აუტომატი ეჭირა, სახე ავადმყოფობისა და მღელვარებისგან გადაფითრებოდა. იმის გამო ბრაზობდა, რომ ჯულიანო ამდენ ხანს აყოვნებდა. ჯულიანო მიდამოს ფხიზლად ადევნებდა თვალყურს და ამოწმებდა, მისი ბრძანებები ზუსტად თუ შესრულდა. მისმა ამხანაგებმა ნახევარწრე შეკრეს და, ამგვარად, ექვს მაფიოზის გასაქცევი გზა დაუტოვეს, თუკი რომელიმე მათ-

განი წასვლას არჩევდა. თუ გაიქცეოდნენ, წლების განმავლობაში მოპოვებულ „ღირსებასა“ და გავლენას დაკარგავდნენ; ხალხს მათი აღარ შეეშინდებოდა. მაგრამ არც ერთი არ აპირებდა წასვლას: დონ სიანომ რუხი ცხენი შეაბრუნა და სხვებმაც განაგრძეს გალაუნის გასწვრივ აღლუმი.

ძველისძველი სასახლის კოშკიდან პრინცი ოლორტო ამ სცენას ტელესკოპით უმზერდა, რომელსაც სხვა დროს ვარსკვლავებზე დასაკვირვებლად იყენებდა. მკაფიოდ ხედავდა ჯულიანოს სახეს: ოვალურ თვალებს, სუფთა პირისახეს, სხვა დროს დიდსულოვნად მოდიმარე, ახლა კი მკაცრად მოკუმულ ბაგეს. პრინცმა იცოდა, რომ ამ სახის ძალა მის სათნოებასა და სიწრფელეშია, და გაიფიქრა, საშინელებაა, როცა სათნოება რისხვად გადაიქცევაო. იცოდა, რომ ეს რისხვა წმინდა და უანგარო იყო, და იმ როლის შერცხვა, რასაც თვითონ თამაშობდა ამ სცენაში. პრინცი თავის თანამოდმე სიცილიელებს კარგად იცნობდა და ზუსტად იცოდა, რა მოხდებოდა: მის მიერ ფულით დაქირავებული ექვსი ცხენოსანი არსად წავიდოდა და ბოლომდე იბრძოლებდა. ეს ადამიანები გალაუნთან შეკრებილ ხალხს შიშის ზარს სცემდნენ, მაგრამ ახლა მათ ღვთის რისხვის მომასწავებელი ანგელოზით ჯულიანო გამოეცხადათ. პრინცს მოეჩვენა, თითქოს, მზე ნაადრევად ჩასულიყო.

ჯულიანო ცხენოსნებისკენ გაემართა. ყველანი ტანსრული მაშაკაცები იყვნენ და ცხენებს დინჯი სვლით ატარებდნენ, დროდადრო კედელთან დახვავებულ ქერის გროვასთან მიჰყავდათ და აპურებდნენ. ამის გამო ცხენები განუწყვეტლივ ისაქმებდნენ და თავიანთ ბილიკზე გალაუნის გასწვრივ ნაკელის შეურაცხმყოფელ კვალს ტოვებდნენ.

ტორი ჯულიანო ბილიკთან სულ ახლოს მივიდა, პიშოტა ერთი ნაბიჯით უკან იდგა. ცხენოსნებს მათთვის არ შეუხედავთ, არც ერთს სახე არ შესტოკებია, არც მხარზე გადაკიდებული თოფი მოუზიდავს. ჯულიანო იცდიდა. ცხენოსნებმა სამჯერ ჩაუარეს აქეთ-იქით. ბოლოს უკან დაიწია და პიშოტას უთხრა:

— ცხენებიდან ჩამოყარე და მომიყვანე.

ბილიკი გადაკვეთა და თეთრ გალაუნს ზურგით მიეყუდა.

იცოდა, საბედისწერო ზღვარი რომ გადალახა, დღევანდელი მისი ქმედება მის ბედს საბოლოოდ გადაწყვეტდა. არც ყოყმანობდა, არც შიშობდა, მხოლოდ ამ სამყაროს ვერაგობის გამო გულში უდიდესი რისხვა უდუღდა. კარგად იცოდა, ექვსი ცხენოსნის მიღმა დონ კროჩეს ზორბა ფიგურა რომ იდგა. სწორედ დონი იყო მისი საბოლოო მტერი. აქ შეკრებილ ხალხზეც მოსდიოდა ბრაზი: რა ლაჩრები იყვნენ! ნეტავ, შესძლებოდა მათი შეიარაღება, წინ გაუძღვებოდა და სიცილიას გაათავისუფლებდა. მეორე წუთს ამ მშვიერი, ჩამოკონკილი გლეხებისადმი მწველი სიბრაღული იგრძნო და მათ გასამხნეველად ხელი მაღლა ასწია. ხალხი დუმდა. წამით გაიფიქრა, ჩემს ადგილას სილვიო ფერა მათ დაყოლიებას შეძლებდაო.

მოქმედება გადმოიბარა პიშოტამ, რომელსაც კრემისფერი სვიტერი ეცვა დაკლაკნილი დრაკონებით. დანისპირივით ვიწრო და საშიში სახე მზის სხივებს სისხლისფრად შეეფერათ. ქანდაკებებით ასვეტილ ცხენოსნებს გველგესლას მზერით ახედა. დონ სიანოს ცხენმა სწორედ იმწამს ჩაუარა და მის ფეხებთან მოისაქმა.

პიშოტამ ერთი ნაბიჯით დაიხია უკან. თავის დაკვრით ნიშანი მისცა პასატემპოს, ტერანოვასა და სილვესტროს, რომლებმაც მაშინვე რკალად მოწყობილ ბანდიტებთან მიირბინეს. ისინი უფრო გაფართოვდნენ და გასაქცევად დატოვებული გზა გადაკეტეს. მაფიოზები თავიანთ ამაყ სვლას განაგრძობდნენ, თუმცა ცხადი იყო, რომ ყველაფერი შენიშნეს და იმასაც მიხვდნენ, რა ელოდათ. მაგრამ ბრძოლის პირველი ნაწილი მოგებული ჰქონდათ. ახლა ჯულიანოს უნდა გადაედგა უკანასკნელი და ყველაზე საშიში ნაბიჯი.

პიშოტა დონ სიანოს ცხენს წინ გადაუდგა და მისი მორუხო მკაცრი სახისაკენ ხელი აიშვირა. ცხენი დაფრთხა, მაგრამ დონმა სადავე ძლიერად მოჭიმა და ცხენი წინ მდგომს უსათუოდ გადაუვლიდა, პიშოტას გესლიანი ღიმილით უკან რომ არ დაეხია. მაშინ პიშოტა ცხენს უკან დაუდგა, რუხ უკანალს დაუმიზნა და გაისროლა.

ჰაერი ტყვიების სეტყვითა და სისხლის ნიაღვრით აივსო. ცხენი ძირს დაეცა და მხედარი ქვეშ მოიყოლა, ჯულიანოს ოთხმა მებრძოლმა ის ცხენს ქვემოდან გამოათრიეს, ფეხზე წამოაყენეს და მკლავები უკან გადაუგრიხეს. ცხოველი ჯერაც ფართხალებდა. პიშოტამ შემოუარა და თავში გასროლით ტანჯვა შეუმოკლა.

ბრბოს შიშისა და შეძრწუნების ყრუ, გაბმული კენესა აღმოხდა. ჯულიანო გალაუანს არ მოშორებია და არც პისტოლეტი ამოუღია. იდგა მკერდზე მკლაუებგადაჭდობილი და, თითქოს, იმას უცდიდა, რას მოიმოქმედებდა პიშოტა.

ხუთი ცხენოსანი კვლავაც განაგრძობდა მსვლელობას. ცხენები სროლის ხმამ დააფრთხო, მაგრამ მხედრებმა სადავეები მოზიდეს და ძველებურად ძალზე ნელა გააგრძელებინეს სვლა. პიშოტა კვლავ ხელაწეული გადადგა ბილიკზე, ამჯერად დონ ბუჩილამ შეაჩერა ცხენი. დანარჩენები მის უკან მოჯირითობდნენ. პიშოტამ ხუთივეს გასაგონად დაიძახა:

— ახლო მომავალში თქვენს ოჯახებს ეს ცხენები გამოადგებათ. გპირდებით, რომ დაუბრუნებთ. ყველანი ჩამოქვეითდით და ჯულიანოს თავი დაუკარით, — მისი ხმა ხალხის ბრბოს ცხადად და ძლიერად სწვდებოდა.

ერთხანს სიჩუმე გამეფდა. მერე ხუთნი ცხენებიდან ჩამოვიდნენ და ხალხს გამყინაუი მზერით მიაჩერდნენ. ჯულიანოს მებრძოლებმა რკალი გაარღვიეს, ოცი მათგანი ხალხს გამოეყო და წინ წამოვიდა. მათ ფრთხილად და მოწიწებით განაიარაღეს მათეოზები და ჯულიანოს მიჰგვარეს.

ჯულიანომ უძრავი სახით შეაულო თვალი. კვინტანამ ოდესღაც შეურაცხყოფა მიაყენა, ახლა კი ვითარება შეიცვალა. კვინტანას სახე ამ ხუთი წლის განმავლობაში არ შეცვლილა, თვალებში ძველებური მგლური ცეცხლი ენთო, მაგრამ ახლა ეს სახე მათეოზის შეუვალ ნიღბად იქცა.

დონ სიანო ჯულიანოს ზიზღით უმზერდა, დონ ბუჩილა გაცეხული ჩანდა — თითქოს, ასეთი უმნიშვნელო საქმის გამო ასეთ გართულებას არ მოელოდა. სხვები გამყინაუად უცქერდნენ თვალებში, როგორც „ღირსეულ“ კაცებს შეეფერებათ. ჯულიანოს მათზე ბევრი რამ სმენია, ბევრს ბავშვობიდან უფრთხოდა, განსაკუთრებით დონ სიანოს. ახლა მან ისინი მთელი სიცილიის წინაშე შეურაცხყო და ამას არასოდეს აპატიებდნენ. კარგად იცოდა, რაც უნდა ექნა, მაგრამ ისიც იცოდა, რომ ეს ადამიანები ვილაციისთვის ძვირფასი ქმრები და მამები იყვნენ. შიში არც ერთს არ ემჩნეოდა. ცხადი იყო, რასაც ფიქრობდნენ: თუკი ჯულიანოს ამის თავი აქვს, დაე, დაასრულოს, რაც გადაწყვიტა. დონ სიანომ მის ფეხებთან დააფურთხა.

ჯულიანომ ყველას სათითაოდ ჩახედა სახეში.

— დაიჩოქეთ და უკანასკნელი ლოცვა წარმოთქვით! — არც ერთი ტყვე არ განძრეულა.

ჯულიანო თავისი მეგობრებისკენ დაიძრა. ექვსი დონი თუთრ გალავანთან ჩამწკრივებულიყო. ჯულიანო მიუბრუნდა და ხალხის გასაგონად ხმამაღლა განუცხადა:

— სიცილიისა და ღვთის სახელით სიკვდილით გსჯით! — მერე პიშოტას მხარზე შეეხო.

იმ წამს დონ მაზურომ მუხლის მოყრა სცადა, მაგრამ პიშოტამ უკვე გახსნა ცეცხლი. ნილბიანმა პასატემპომ, ტერანოვამ და სილვესტრომაც გაისროლეს. ავტომატის ტყვიებით დაფლეთილი ექვსი სხეული ძირს დაეცა. თუთრი ქვის კედელი მათი სისხლითა და ხორცის ნაფლეთებით მოითხვარა. გვამები ტყვიების ძლიერი დარტყმისაგან კრთოდნენ და ბაწარზე შემზარავად მოცეკვავე თოჯინებს მიაგავდნენ.

კოშკიდან მომზირალი პრინცი ოლორტო ტელესკოპს მოშორდა და, რაც შემდგომ მოხდა, აღარ უნახავს.

ჯულიანო კედლისკენ გაემართა, პისტოლეტი ამოიღო და თითოეულ მაფიოზის დემონსტრაციულად ესროლა თავში.

ხალხმა ხმამაღლა იხუვლა და შემდეგ წამსვე ერთ ნაკადად შეცვიოდა მამულის ჭიშკარში. ჯულიანომ შენიშნა, რომ გვერდს უქცევდნენ: ახლოს არც ერთი არ გაჰკარებია.

თავი 22

1949 წლის აღდგომის მშვენიერი დილა გათენდა. მთელი კუნძული ყვავილებით დაფარულიყო. აივნებზე ჩამოკიდებულ ქოთნებსა და ყუთებში კაშკაშა ფერები ღვიოდა, ქვაფენილის ნაპრალებსა და ძველისძველი ეკლესიების კედლებთან წითელი, ლურჯი და თუთრი ყვავილები ამომსკდარიყო. პალერმოს ქუჩები საკათედრო ტაძარში დილის წირვაზე მიმაჯალი ხალხით იყო სავსე: თვით კარდინალი წირავდა და ზიარების რიტუალსაც ის აღასრულებდა. ახლომახლო სოფლებიდან შავ კოსტიუმებში გამოწყობილი გლეხები მოსულიყვნენ თავიანთი ცოლ-შვილით და შემხვედრთ ქრისტეს აღდგომას

ულოცავდნენ. ტორი ჯულიანო, წესისამებრ, ყველას პასუხობდა: „ჭეშმარიტად აღდგა, კურთხეულ იყოს მისი სახელი“.

ტორიმ წინააღმდეგ მუგობრებთან ერთად შეაღწია პალერმოში. გლეხური მკაცრი კოსტიუმები ეცვათ, მაგრამ პიჯაკების ღილები შეეხსნათ, რადგან შიგნით ავტომატურ პისტოლეტებს მალავდნენ. ჯულიანო პალერმოს ქუჩებს კარგად იცნობდა: ყაჩაღობის ექვსი წლის განმავლობაში არაერთხელ მოსულა აქ რომელიმე დიდგვარონის გასატაცებლად თუ მდიდრულ რესტორანში საქეიფოდ.

პალერმოში ჩასვლისას კაპრალი სილვესტრო მუდამ გვერდით ჰყავდა, ოცი ნაბიჯის მოშორებით კიდევ ორი მეგობარი მოჰყვებოდა, ორი წინ მოდიოდა და ოთხი — ქუჩის მოპირდაპირე მხარეს. თუ ჯულიანოს პოლიციელები გააჩერებდნენ და საბუთებს მოსთხოვდნენ, ისინი მაშინვე მიზანში აიყვანდნენ და, თუ საჭირო გახდებოდა, არ დაინდობდნენ. როცა რესტორანში შედიოდა, მეზობელ მაგიდებთან ყოველთვის დაცვა იჯდა.

იმ დილით ჯულიანომ ქალაქში ორმოცდაათი კაცი წამოიყვანა. მათ შორის იყვნენ ასპანუ პიშოტა, კაპრალი და ტერანოვა. პასატემპო და სტეფან ანდოლინი ბანაკში დარჩნენ. ჯულიანოსა და პიშოტას ტაძარში ორმოცი კაცი შეჰყვა, დანარჩენები გასასვლელად მომზადებული მანქანებით ტაძრის უკან ელოდებოდნენ.

კარდინალი ღვთისმსახურებას ხელმძღვანელობდა: მოოქრული თეთრი სამოსითა და ტკბილხმოვანი გალობით თავის გარშემო თითქოს შეუვალი სიწმინდის გარსი შეექმნა. ტაძარი ქრისტესა და ღვთისმშობლის ქანდაკებებით იყო სავსე. ჯულიანომ თითები წმინდა წყლის ემბაზში ჩააწო, რომელზეც ქრისტეს ვნებები იყო გამოსახული. როცა დაიჩოქა, თვალი შეავლო უკიდევანო თაღებსა და წმინდანთა წინაშე მწკრივად მბჟუტავ ვარდისფერ სანთლებს.

ჯულიანოს რაზმელები საკურთხეველთან ახლოს, კედლის გასწვრივ განთავსდნენ. მერხებზე მლოცველები ისხდნენ: შავკოსტიუმიანი გლეხები და სააღდგომოდ კოხტად გამოწყობილი ქალაქელები. ჯულიანო ღვთისმშობლისა და მოციქულთა ცნობილი გამოსახულების წინ აღმოჩნდა და ერთი წამით თვალი ვერ მოსწყვიტა მის მშვენებას.

მღვდლებისა და სტიქაროსნების გალობამ, მრევლის მწყობრმა ბუტბუტმა, საკურთხეველთან დაწყობილი ყვავილების სურნელმა

ჯულიანოზე უმძაფრესად იმოქმედა. უკანასკნელად სააღდგომო წირვას იმ დღეს დაესწრო, როცა დალაქმა ფრისელამ გასცა. ამ დილით გული ძრწოლითა და უსასობით ეწურებოდა. რამდენჯერ უთქვამს სიკვდილმისჯილისათვის: „სიცილიისა და ღვთის სახელით გკლავ“ და დრო მიუცია იმავე ლოცვის წარმოსათქმელად, რაც ახლა ესმოდა. რომ შესძლებოდა, ახლა ყველას აღადგენდა იმ წყვილიადიდან, რომელშიც თვითონ ჩაყარა; ისევე აღადგენდა, როგორც ქრისტე აღდგა იმ ღამით. მაგრამ ჯულიანოს დღეს კარდინალიც მათ მსგავსად უნდა დაესაჯა, რადგან უღალატა, პირობა დაარღვია. მერე რა, რომ ამ მშვენიერ ტაძარში ასე ნეტარად გალობდა. კარდინალს, ალბათ, სიკვდილის წინ ლოცვის წარმოსათქმაც არ დასჭირდებოდა, ის ხომ მუდამ სუფთა იყო ღვთის წინაშე. ვინ იცის, იქნებ ჯულიანოს ღალატსაც გულწრფელად მოინანიებდა?

წირვა დასრულდა. მლოცველები საკურთხეველის მოაჯირთან მიდიოდნენ ზიარების მისაღებად. ჯულიანოს ზოგიერთმა მეგობარმაც დაიჩოქა და ზიარებისათვის მოემზადა. წინადღეს აბატ მანფრედის უთხრეს აღსარება და ცოდვებისაგან გათავისუფლდნენ, ხოლო იმ ახალ ცოდვას, რაც დღეს უნდა ეტვირთათ, უკვე ზიარების შემდეგ ჩაიდენდნენ.

მლოცველები საზეიმო მზიარულებით ტოვებდნენ ტაძარს და მოედანზე გროვდებოდნენ. კარდინალი საკურთხეველის უკან შევიდა, სადაც თავზე მღვდელმთავრის კონუსური მიტრა დაადგეს. ამ მოოქრული გვირგვინით ის ძალზე მაღალი ჩანდა, მაგრამ მისმა სახემ სისპეტაკის ნაცვლად უფრო მბრძანებლური იერი შეიძინა. მღვდლების ამაღლის თანხლებით ტრადიციისამებრ დაიძრა ტაძრის ოთხ აკლდამასთან ლოცვის აღსავლენად.

პირველ აკლდამაში მეფე როჯერ I ესვენა, მეორეში — იმპერატორი ფრიდრიჰ II, მესამეში ჰენრი IV-ის სამარე იყო, მეოთხეში კი ფრიდრიჰ II-ის თანამეცხედრის, კონტანციას, ნეშტი განისვენებდა. სამარეებს უმშვენიერესი მოზაიკით გაწყობილი თეთრი მარმარილოს ფილები ფარავდა. იქვე, საგანგებო ნიშაში, პალერმოს მფარველი წმინდანის, როზალიას დიდი ქანდაკება იდგა, რომელსაც ქალაქელები სადღესასწაულო მსვლელობისას ქუჩებში დააბრძანებდნენ. ამავე ნიშაში იყო დაკრძალული პალერმოს ყველა არქიეპისკოპოსი და თვით ახლანდელი კარდინალიც გარდაცვალებული

ბის შემდეგ აქ უნდა დაეკრძალათ. ჯულიანომ და მისმა ხალხმა სწორედ აქ შემოარტყეს ალყა, მათმა მეგობრებმა კი ნიშიდან გასასვლელი გადაკეტეს.

კარდინალი წამოიძარტა და მათ პირისპირ დადგა. უეცრად პიშოტას მოჰკრა თვალი. ეს სახე მოაგონდა, თუმცა ახლა სრულიად შეცვლილიყო: ეს ჯოჯოხეთში მისი სულის წასაგვრელად მოსული ეშმას სახე იყო. ჯულიანომ მიმართა:

— თქვენო უწმინდესობავ, ჩემი პატიმარი ხართ. თუ დამემორჩილებით, არაფერი დაგიშავდებათ. დღეს მთაში უნდა მესტუმროთ და, გარწმუნებთ, იქ ისევე დიდებულად გასადილებთ, როგორც თქვენსავე სასახლეში.

— როგორ გაბედეთ ღვთის სახლში შეიარაღებული ხალხის შემოყვანა? — აღშფოთდა კარდინალი.

ჯულიანომ გადაიხარხარა; ახლა ყოველგვარი რიდი გაუქრა და საწადელის ასრულების სიხარული დაეუფლა.

— მეტსაც ვბედავ. ვბედავ, თქვენი წმინდა პირობის დარღვევაში დაგდოთ ბრალი. მე და ჩემს მეგობრებს შეწყალებას შეგვპირდით და არ შეასრულეთ. ახლა თქვენ და ეკლესიას მოგიწევთ საზღაურის გადახდა.

— ამ წმინდა ადგილიდან არ დავიძვრები, — განაცხადა კარდინალმა, — თუ ჩემზე ხელს აღმართავთ, მთელი მსოფლიო გაგკიცხავთ.

— ისედაც უკვე ყველა მკიცხავს, — მშვიდად თქვა ჯულიანომ, — თუ არ დამემორჩილებით, იძულებული ვიქნები, აქ მყოფი ყველა საეკლესიო პირი დავხოცო, თქვენ კი გაგკოჭოთ და პირი აგიკრათ. თუ წამომყვებით, არავინ დაშავდება და ზუსტად ერთ კვირაში ამ ტაძარში დაგაბრუნებთ.

კარდინალმა პირჯვარი გადაისახა და ჯულიანოს გასასვლელისკენ გაჰყვა. ნიშას ტაძრის უკანა მხარეს გამჟვალე კარი ჰქონდა და ამ კართან ჯულიანოს ხალხს უკვე მიეყენებინათ კარდინალის ლიმუზინი, რომელსაც სააღდგომო თაიგულები და ეკლესიის ჯვრიანი დროშები ამშვენებდა. მის უკან სხვა საეკლესიო პირთა მანქანები ჩამწკრივებულიყო. ჯულიანო კარდინალის გვერდით დაჯდა, მისი ორი ამხანაგი უკანა საფარძელზე მოთავსდა, პიშოტა კი მძღოლს გვერდით დაუჯდა. საპატიო კორტეჟი ადგილიდან დაიძრა და ქუჩებში გაიარა, სადაც პოლიციელები და ხალხი სალმით

ვებებოდნენ. კარდინალი, ჯულიანოს ბრძანების თანახმად, ხელს უქნევდა და ლოცავდა. ქალაქის განაპირას მძლოლიანი მანქანები დატოვეს, ჯულიანოს მანქანებში გადავიდნენ და ყვაილებში ჩაფლულ მთებს მიაშურეს.

ჯულიანომ სიტყვა შეასრულა: კარდინალს კამარატას მთების მღვიმეში დიდებული სადილი გაუშალა. ყაჩაღები ეკლესიის წინამძღოლს კრძალვით ემსახურებოდნენ და ყოველი კერძის შემოტანისას მისგან დალოცვას ითხოვდნენ.

იტალიის გაზეთები აღშფოთებასა და მღელვარებას აფრქვევდნენ, ხალხი კი ორგვარი გრძნობებისაგან იხლიჩებოდა: მკრეხელობა აშინებდა, მაგრამ პოლიციის ასეთი მარცხი დიდად ახარებდა. ამ ყველაფერს კი სიცილიური სიამაყე ფარავდა, რადგან მათმა თანამემამულე ჯულიანომ რომს აჯობა: ჯულიანოს ახლა ყველაზე უფრო ღირსეულ კაცად თვლიდნენ.

ეჭვი არავის ეპარებოდა იმაში, რომ კარდინალის გათავისუფლების სანაცვლოდ ჯულიანო დიდძალ ფულად გამოსასყიდს მოითხოვდა.

მრევლის სულის გადასარჩენად მოწოდებულ წმინდა ეკლესიას, მდიდრებისა და აზნაურების მსგავსად, ვაჭრობით თავი არ დაუმცირებია: მან დაუყოვნებლივ გადაიხადა ერთი მილიონი ლირა, მაგრამ ჯულიანოს კიდევ ერთი მიზანი ამოძრავებდა.

— უსწავლელი გლეხი ვარ, მაგრამ სიტყვა არასოდეს დამირღვევია, — უთხრა მან კარდინალს, — თქვენ კი, მთელი თქვენი სიწმინდეებისა და ლოცვების მიუხედავად, მომატყუეთ. ეკლესია თქვენს დანაშაულს ვერ გამოისყიდის.

კარდინალს მუხლები აუკანკალდა.

— მაგრამ გაგიმართლათ, რადგან თქვენთან კიდევ სხვა მოთხოვნა მაქვს, — უთხრა ჯულიანომ და თავისი „ანდერძი“ წააკითხა.

კარდინალმა, რაკი იგრძნო, რომ სიკვდილი აღარ ელოდა, საბუთები გადაათვალიერა და პიშოტას თხოვნით დაწერილი საკუთარი ბარათიც რომ იხილა, განცვიფრებულმა პირჯვარი გადაისახა.

— ამ „ანდერძის“ შესახებ დაწერილებით აცნობეთ ეკლესიასაც და მინისტრ ტრეზასაც, — უთხრა ჯულიანომ. თქვენი თვალით ნახეთ, რომ ხელის ერთი მოსმით შემიძლია ქრისტიან-დემოკრა-

ტიული ხელისუფლება გავაცამტვერო. ჩემი სიკვდილი დიდ უბედურებას დაატრიალებს. „ანდერძს“ საიმედო მიუწვდომელ ადგილას შევინახავ. თუ ეჭვი გეპარებათ, დონ კროჩე მოგახსენებთ, როგორ ვუსწორდები მტრებს.

კარდინალის გატაცებიდან ერთი კვირის შემდეგ ლა ვენერამ ჯულიანო მიატოვა.

სამი წლის განმავლობაში ჯულიანო გვირავით მის სახლში შედიოდა, მის საწოლში შვებასა და ნეტარებას პოულობდა. ქალს არასოდეს დაუჩივლია და მხოლოდ ტორის ბედნიერებაზე ფიქრობდა.

მაგრამ იმ ღამით რაღაც შეიცვალა. ალერსის შემდეგ ქალმა უთხრა, ფლორენციაში ნათესაებთან გადავდივარ საცხოვრებლად.

— გული დამეღალა, ტორი, ვეღარ ვუძლებ იმ საფრთხეს, რაც ყოველ წამს გემუქრება. ღამდამობით სულ შენი სიკვდილი მესიზმრება. კარაბინერებმა ქმარი სახლის წინ მომიკლეს, მანამ არ შეუწყვეტიათ სროლა, ვიდრე მისგან სისხლიანი ნაფლეთები არ დარჩა. სიზმარში გამუდმებით ვხედავ, შენც იგივე როგორ გემართება, — ტორის თავი მკერდზე მიიკრა: — უსმინე, უსმინე, გული როგორ მიცემს!

ტორიმ შიშით ათრთოლებული ქალის გულისცემა მოისმინა და სიბრაღულით მოეწურა გული — საუსე მკერდქვეშ კანს შიშის ოფლისაგან მლაშე გემო ჰქონდა.

— ადრე ხომ არაფრის გეშინოდა, ყველაფერი ძველებურადაა, არაფერი შეცვლილა, — უთხრა ქალს და შავ თმაზე გადაუსვა ხელი.

— ტორი, სულ აიღე თავზე ხელი, — უპასუხა ქალმა, — ქვეყნის უძლიერესი ადამიანები გადაიმტერე. შენს მეგობრებს გამუდმებით შიში სტანჯავთ, დედაშენი ყოველ კაკუნზე კრთება და ფითრდება. საფრთხეს სამუდამოდ ვერ დაემალე, ერთხელაც იქნება...

— მაგრამ მე არ შევცვლილვარ, — თქვა ჯულიანომ.

— არა, ძალიან შეიცვალე, ტორი, — ატირდა ქალი, — ადრე კაცის კვლა ასე არ გეადვილებოდა. სასტიკი არ ხარ, მაგრამ სიკვდილს აღარ უფრთხი.

ჯულიანომ ამოიოხრა. გრძნობდა, რომ ქალი ძალზე შეშინებული იყო და ამ შიშის მიზეზს ბოლომდე ვერ სწვდებოდა.

— მაშინ უნდა წახვიდე. იმდენ ფულს მოგცემ, რომ ფლორენ-

ციაში უდარდელად იცხოვრო. ოდესმე ყველაფერი დამთავრდება. მუდამ ბანდიტად დარჩენა არ მსურს, სხვა გეგმები მაქვს. დელაჩემიც მშვიდად დაიძინებს და ჩვენც ისევ ერთად ვიქნებით.

ხედავდა, რომ ლა ვენერამ მისი სიტყვები არ დაიჯერა.

ვიდრე მთაში დაბრუნდებოდა, დილით კვლავ ესტუმრა ქალს და უკანასკნელად იალერსეს, მათი სხეულები ბოლოჯერ გადაეხლართნენ ერთმანეთს მხურვალე ვნებით.

თავი 23

ტორი ჯულიანომ, საბოლოო ჯამში, მოახერხა ის, რაც მანამდე ვერც ერთმა პოლიტიკოსმა თუ მოღვაწემ ვერ შეძლო: იტალიის ყველა პოლიტიკური პარტია ერთი მიზნის გარშემო გააერთიანა. ეს მიზანი ტორი ჯულიანოსა და მისი ბანდის განადგურება იყო.

1949 წლის ივლისში მინისტრმა ტრეზამ პრესას კარაბინერთა ხუთიათასკაციანი ბატალიონის შექმნის შესახებ განუცხადა, რომელსაც „ბანდიტიზმთან საბრძოლველი არმია“ დაერქვა. თვით ჯულიანო არ უხსენებია. გაზეთებმა მალევე აიტაცეს მთავრობის ეს ეშმაკობა: ვითარება ისე წარმოაჩინეს, თითქოს, ჯულიანო არ ყოფილიყო მთავარი მიზანი, და მმართველ პარტიას ასეთი პრინციპული ნაბიჯი მიულოცეს.

პრესამ, ასევე, აღნიშნა ის წინდახედულება, რაც მინისტრმა ამ არმიის დაკომპლექტებისას გამოიჩინა: მასში მხოლოდ უცოლო მამაკაცებს იღებდნენ, რათა მათი დაღუპვის შემთხვევაში სახელმწიფოს ქვრივებისათვის პენსიის დანიშვნა არ დასჭირვებოდა. მასში შევიდოდა სადენტო განაყოფი, ჯავშნოსანი მანქანები, მძიმე იარაღი და საჰაერო ძალებიც კი. განა ორგროშიანი ბანდიტი ასეთ ჯარს გაუძღვებოდა? ბატალიონს პოლკოვნიკი უგო ლუკა უხელმძღვანელებდა, II მსოფლიო ომის გმირი, რომელიც ლეგენდარულ გერმანელ გენერალ რომელს შეებრძოლა. გაზეთებმა მას „იტალიელი უდაბნოს მელა“ უწოდეს, პარტიზანულ ბრძოლაში იყო გაწაფული და, როგორც ყველა მოელოდა, გულუბრყვილო სოფლელ ყმაწვილ ჯულიანოს თავგზას აუბნევდა.

პრესამ გაკვრით ისიც ახსენა, რომ სიცილიის პოლიციის უფროსად ინსპექტორი ფრედერიკ ველარდი დაინიშნა, ის კი არ უხსე-

ნებია, რომ მინისტრმა საგანგებოდ შეარჩია ველარდი პოლკოვნიკ ლუკას დასახმარებლად.

ამ ამბებამდე ერთი თვით ადრე დონ კროჩეს, მინისტრ ტრუზასა და პალერმოს კარდინალს შორის უმნიშვნელოვანესი შეხვედრა შედგა. კარდინალმა „ანდერძისა“ და მასში შესული დამლუპველი დოკუმენტების ამბავი ამცნო.

მინისტრი ტრუზა შეშფოთდა. „ანდერძის“ განადგურება მანამ იყო აუცილებელი, ვიდრე ხუთიათასიანი არმია თავის მისიას შეასრულებდა. დიდი სიამოვნებით გააუქმებდა ჯულიანოსთან ბრძოლის გეგმას, მაგრამ მეტისმეტად დიდ ზეწოლას განიცდიდა მემარცხენე პარტიებისაგან, რომლებიც მთავრობას ჯულიანოსადმი მფარველობის გაწევას სდებდნენ ბრალად.

დონ კროჩეს „ანდერძი“ მხოლოდ დამატებით სირთულეს უქმნიდა, მის გეგმაზე კი ვერ იმოქმედებდა: მას უკვე გადაწყვეტილი ჰქონდა ჯულიანოს მოკვლა, მაფიის ექვსი ბოსის მკვლელობა სხვა გამოსავალს არ უტოვებდა. მაგრამ ჯულიანო მაფიის ხელით არ უნდა მომკვდარიყო: მეტად აღიარებული გმირი იყო და სიცილიელები მის სიკვდილს „მეგობართა მეგობრებსაც“ კი არ აპატიებდნენ.

დონი ნებისმიერ შემთხვევაში მინისტრს უნდა ამოსდგომოდა მხარში, რადგან სამომავლოდ მის პრემიერ-მინისტრად დასმას აპირებდა. მინისტრს უთხრა:

— აი, როგორ უნდა მოვიქცეთ: ცხადია, სხვა გზა არ გაქვთ: ჯულიანოს უნდა დაედევნოთ, მაგრამ ეცადეთ, მანამდე დატოვოთ ცოცხალი, ვიდრე მე „ანდერძის“ განადგურებას შევძლებ. ამის გარანტიას კი გაძლევთ.

მინისტრმა პირქუშად დაუქნია თავი და ბრძანა, ინსპექტორისთვის დაეძახათ. რამდენიმე ხანში მის კაბინეტში ცისფერთვალება, თხელი, კარგად ჩაცმული კაცი შემოვიდა.

— ეს ინსპექტორი ფრედერიკო ველარდია, — თქვა მინისტრმა, — ჩემი რეკომენდაციით, ის სიცილიის პოლიციის უფროსად დაინიშნება და უშუალო კავშირი ექნება ჯარის მეთაურთან, — მან დამსწრენი ერთმანეთს გააცნო და ინსპექტორს „ანდერძის“ თაობაზე მოუთხრო.

— ძვირფასო ინსპექტორო, — განაგრძო მინისტრმა, — გთხოვთ,

დონ კროჩე სიცილიაზე ჩემს პირად წარმომადგენლად დაიგულოთ. მიაწოდეთ მას ნებისმიერი ინფორმაცია, რასაც მოგთხოვთ, ისევე, როგორც მე მაწვდით.

ინსპექტორს საკმაო ხანი დასჭირდა საქმის ვითარებაში გასარკვევად. ბოლოს, როგორც იქნა, მიხვდა, რაც ევალეობდა: დონ კროჩეს არმიის ყველა მოქმედების შესახებ წინდაწინ უნდა სცოდნოდა, რათა ეს, თავის მხრივ, ჯულიანოსთვის ეცნობებინა, ის კი ამგვარად მოწინააღმდეგეებს თავს აარიდებდა, ვიდრე დონი მისთვის ბოლოს მოღებას არ გადაწყვეტდა.

ინსპექტორმა ველარდიმ იკითხა:

— დონ კროჩეს მართლაც ყველა გეგმა უნდა მიუაწოდო? პოლკოვნიკი ლუკა ბრიყვი არ არის და მალე შენიშნავს ინფორმაციის გაჟონვას და, შესაძლოა, აღარ მენდოს.

— თუ რაიმე პრობლემა შეგექმნებათ, პოლკოვნიკს მე მივხედავ, — დაარწმუნა მინისტრმა, — თქვენი ნამდვილი მისია „ანდერძის“ მოპოვებამდე ჯულიანოს სიცოცხლის შენარჩუნებაა.

ინსპექტორმა ცივი ცისფერი თვალები დონ კროჩეს მიაპყრო.

— მოხარული ვიქნები, გემსახუროთ. მაგრამ ერთი რამ უნდა ვიცოდეთ: თუ ჯულიანო ცოცხალი დავაკავეთ, ვიდრე „ანდერძს“ აღმოვაჩინოთ, მაშინ როგორღა მოვიქცე?

დონ კროჩეს თვალთმაქცური სიტყვები არ უძებნია: რაკი მთავრობის წარმომადგენელი არ იყო, შეეძლო პირდაპირ ელაპარაკა.

— ეს დაუშვებელი შეცდომა იქნება, — თქვა დონმა.

გაზეთები ტყუილად როდი აქებდნენ პოლკოვნიკ ლუკას, როგორც ბანდიტიზმთან ბრძოლისათვის ყველაზე შესაფერის ადამიანს; აღნიშნავდნენ მის სამხედრო დამსახურებებს, სტრატეგიულ ნიჭს, სიმამაცეს, მეტსახელად ბულდოგს უწოდებდნენ, რომელიც სიცილიელ ბანდიტებს მუსრს გაავლებს.

ვიდრე რაიმეს მოიმოქმედებდა, პოლკოვნიკმა ტორი ჯულიანოს შესახებ მთელი მონაცემები შეისწავლა. მინისტრმა ის კაბინეტში, საქალაქდების გარემოცვაში ნახა და, როდესაც ჰკითხა, როდის აპირებდა სიცილიაზე გამგზავრებას, პოლკოვნიკმა რბილად უპასუხა, ჯერ ოფიცერთა ჯგუფი მყავს დასაკომპლექტებელი, თანაც ჯულიანო მაინც არსად წავა, ამიტომ საჩქარო არაფერიაო.

პოლკოვნიკმა ლუკამ ერთი კვირის განმავლობაში მთელი მასალა შეისწავლა და ასეთ დასკვნამდე მივიდა: ჯულიანო პარტიზანული ბრძოლის გენიოსი იყო და საბრძოლო მოქმედების სრულიად უნიკალური წესი ჰქონდა შემუშავებული. თავისთან მუდმივად ოცკაციანი შემადგენლობა ჰყავდა, რომელშიც მისი ქვემეთაურები შედიოდნენ: მისი მარჯვენა ხელი, ასპანუ პიშოტა, პირადი დაცვა — კანიო სილვესტრო და მისი ინტელექტუალური მრჩეველი — სტეფან ანდოლინი, რომელიც დონ კროჩესა და მაფიასთანაც შუამდგომლობდა. ტერანოვასა და პასატემპოს საკუთარი ბანდები ჰყავდათ და ჯულიანოსგან დამოუკიდებლადაც მოქმედებდნენ. ჩვეულებრივ, ტერანოვას ჯულიანოს მიერ დაგეგმილი გატაცებების განხორციელება ევალებოდა, პასატემპოს კი — მატარებლებისა და ბანკების ძარცვა.

პოლკოვნიკის ანგარიშით, ჯულიანოს ბანდაში სამასზე მეტი კაცი არ ეყოლებოდა. გაცემული ფიქრობდა, როგორ შეძლო მან ასეთი მცირე ძალებით ექვსი წლის მანძილზე კარაბინერთან ბრძოლა და თითქმის მთელი ჩრდილო-დასავლეთი სიცილიის გაკონტროლება. ან მთების გასაჩხრეკად ასულ პოლიციელთა რაზმებს როგორ გადაურჩა? ერთადერთი ახსნა შეიძლებოდა ის ყოფილიყო, რომ ჯულიანო საჭიროების შემთხვევაში დამატებით სოფლების დახმარებას მიმართავდა. შესაბამისად, მონტელეპრეს მცხოვრებლების უმრავლესობაც ბანდის ფარული წევრები უნდა ყოფილიყვნენ. ყველაზე მნიშვნელოვანი კი ჯულიანოს პოპულარობა გახლდათ: თითქმის არ იყო იმის შანსი, რომ იგი ვინმეს გაეცა; ისიც უეჭველი იყო, ამბოხი რომ წამოეწყო, მას ათასობით ადამიანი ამოუდგებოდა მხარში.

საკვირველი კიდევ ერთი რამ იყო: ჯულიანოს, თითქოს, უჩინმაჩინის ქუდი ეჭურა, უეცრად ხან ერთგან ჩნდებოდა, ხანაც — მეორეგან და უეცრადვე ორთქლდებოდა. პოლკოვნიკი აღტაცებაში მოვიდა. მერე ისეთ რამეს მიაგნო, რასაც ადვილად შეებრძოლებოდა. თითქოს უმნიშვნელო რამ ჩანდა, მაგრამ სამომავლოდ გამოადგებოდა.

ჯულიანო ხშირად მიმართავდა პრესას შემდეგნაირი წერილებით: „თუკი, როგორც დამარწმუნეს, ერთმანეთის მტრები არ ვართ, მაშინ ამ წერილს გამოაქვეყნებთ.“ რის შემდეგაც თავის უკანასკნელ დანაშაულს განმარტავდა. პოლკოვნიკის აზრით, ეს საწყისი ფრაზა მუქარას იტევდა და თავისი არსით შანტაჟი იყო, წერილების ძირი-

თადი ნაწილი კი — მტრის პროპაგანდა. მათში ჯულიანო დაწვრილებით ჰყვებოდა, თუ ვინ მოიტაცა, ვინ გაძარცვა და ნადავლი სიცილიელ ღარიბებს როგორ დაურიგა. როცა კი ჯულიანოს კარაბინერებთან ხელჩართული ბრძოლა და ზოგიერთი მათგანის დახოცვა უწევდა, მუდამ განუმარტავდა გაზეთის მკითხველებს, რომ ომში ჯარისკაცები იხოცებიან. ის პირდაპირ მიმართავდა კარაბინერებს თხოვნით, მის წინააღმდეგ არ ებრძოლათ. ექვსი მაფიოზის დახოცვის შემდეგ გამოქვეყნდა ახსნა-განმარტება, რომ მხოლოდ ამ გზით შეიძლებოდა გლეხებისათვის მიწის განაწილება.

პოლკოვნიკი ლუკა გააოცა იმან, საერთოდ რა გზით ახერხებდა ბანდიტი ამ წერილების გამოქვეყნებას. ტრუზას სიცილიის მარციალური კანონის პუნქტები გამოჰკითხა და დაინტერესდა, როგორ შეიძლებოდა ჯულიანოსთვის პრესისკენ გზის გადაკეტვა.

მეორე მნიშვნელოვანი მომენტი: პოლკოვნიკმა იმის გარკვევა სცადა, ჰქონდა თუ არა ჯულიანოს ურთიერთობა რომელიმე ქალთან, მაგრამ ვერაფერი გაარკვია. შეატყობინეს, რომ ბანდის წევრები პალერმოს საროსკიპოებში დაიარებოდნენ, ასპანუს მექალთანის სახელი ჰქონდა გავარდნილი, მაგრამ ჯულიანო ამ ექვსი წლის განმავლობაში, როგორც ჩანს, ასკეტურ ცხოვრებას ეწეოდა. პოლკოვნიკი იტალიელი იყო და ასეთი რამ ვერ დაიჯერა. ჯულიანოს სადღაც, მონტელეპრეში უნდა ჰყოლოდა ქალი და, თუ პოლკოვნიკი მის მოძებნას შეძლებდა, ნახევარი საქმე გაკეთებული იყო.

ყურადღება მიაქცია იმასაც, რომ ჯულიანოს დედასთან განსაკუთრებულად თბილი ურთიერთობა ჰქონდა. ეს მნიშვნელოვანი იყო, რადგან, თუკი მას მართლაც არ ჰყავდა ქალი, მაშინ ხაფანგისათვის სატყუარად დედაც გამოდგებოდა.

ამ აუცილებელი მოძხადების შემდეგ პოლკოვნიკმა ოფიცერთა ჯგუფი დააკომპლექტა. თავის უახლოეს თანაშემწედ და პირად დაცვად ანტონიო პერენზე შეარჩია — ჩასკვნილი, შეიძლება ითქვას, მსუქანი კაცი, უჩვეულოდ უშიშარი. პოლკოვნიკი ვარაუდობდა, რომ თანაშემწის ვაჟკაცობა მომავალში მას საფრთხისგან იხსნიდა.

1949 წლის სექტემბერში პოლკოვნიკი ლუკა პირველად ჩავიდა სიცილიაზე ორიათასკაციანი ჯარით. ფიქრობდა, ეს რაოდენობა საკმარისი აღმოჩნდებოდა. ხუთი ათასი მებრძოლი მეტი სმეტი

პატივი იყო უბრალო ბანდიტისათვის, რომლისთვისაც როგორმე აქამდეც უნდა მოეწლოთ.

მისი პირველი ნაბიჯი ის იყო, რომ სიცილიის გაზეთებს ჯულიანოს წერილების გამოქვეყნება აუკრძალა. მეორე კი — ჯულიანოს დედ-მამის დაპატიმრება შვილთან კონსპირაციის ბრალდებით. შემდგომ მან დააკავა და დასაკითხად წაიყვანა მონტელეპრეს ორასამდე მკვიდრი იმ მოსაზრებით, რომ ისინი შეიძლება ჯულიანოს ბანდის ფარული წევრები ყოფილიყვნენ. დაპატიმრებულები პალერმოს ციხეებში გადაიყვანეს და მკაცრი მეთვალყურეობის ქვეშ მოათავსეს. ეს ყოველივე ფაშისტური კანონების თანახმად გაკეთდა, რომლებიც ჯერ კიდევ კონსტიტუციიდან არ ამოეშალათ.

ჯულიანოს სახლი გაჩხრიკეს და გვირაბები აღმოაჩინეს. ლა ვენერა ფლორენციაში დააპატიმრეს. როცა მან განაცხადა, გვირაბის შესახებ არაფერი ვიცოდით, მაშინვე გაათავისუფლეს. არა იმიტომ, რომ ენდვნენ, არამედ ინსპექტორი ველარდი იმედოვნებდა, რომ ჯულიანო მიაკითხავდა და მას ამგვარად ჩაიგდებდნენ ხელში.

იტალიურმა პრესამ პოლკოვნიკი ცამდე აიყვანა. აი, როგორც იქნა, ერთი „სერიოზული“ კაცი გამოჩნდა! მინისტრი თავისი არჩევანით კმაყოფილი იყო, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც პრემიერისაგან მადლობის წერილი მიიღო. მხოლოდ დონ კროჩე არ გამოთქვამდა აღფრთოვანებას.

პირველი თვის განმავლობაში ჯულიანომ ლუკას მანევრები შეისწავლა და აღიარა, რომ პოლკოვნიკი ჭკვიანურად მოიქცა, პრესის მეშვეობით ხალხთან დაკავშირების საშუალება რომ წაართვა. მაგრამ როდესაც პოლკოვნიკმა უდანაშაულო მოქალაქეები დააპატიმრა, მისდამი სიძულვილით აღივსო; ხოლო დედ-მამა რომ დაუპატიმრა, ციომა რისხვამ შეიპყრო.

ორი დღე-ღამის განმავლობაში ჯულიანოს კამარატას მთების ღრმა გამოქვაბულიდან ფეხი არ მოუცვლია და გულდაგულ აანალიზებდა ყველაფერს, რაც ლუკას ორიათასკაციანი არმიის შესახებ იცოდა. ამჟამად ათას კაცამდე პალერმოსა და მის შემოგარენში იქნებოდნენ დაბანაკებულნი და იმას ელოდნენ, როდის მოვიდოდა იგი მშობლების გასათავისუფლებლად. მეორე ნახევარი კი მონტელეპრეს, პიანი დე გრეჩის, სან ჯუზეპე იატოს, პარტინოკოსა

და კორლეონეს გარშემო იდგა და გზებს დარაჯობდა, რადგან ამ ქალაქების მოსახლეობაში პოლკოვნიკს ბანდის ფარული წევრები ეგულებოდა და ბრძოლის შემთხვევაში მათთვის გზის გადაკეტვას აპირებდა.

თვითონ პოლკოვნიკმა ლუკამ შტაბბინა პალერმოში მოიწყო, სადაც თავს სრულიად შეუვალად გრძნობდა. ყაჩაღები იქ ვერ მისწვდებოდნენ.

ტორი ჯულიანომ თავისი მრისხანება არითმეტიკულად ზუსტი გეგმის შესამუშავებლად მომართა: სტრატეგიული გეგმის შემუშავება ისევე უადვილდებოდა, როგორც საბავშვო თავსატეხის ამოხსნა. მისი გეგმა მუდამ ამართლებდა, ხოლო მარცხის შემთხვევაში მუდამ შეეძლო მთისთვის თავი შეეფარებინა. მაგრამ იცოდა, რომ მთავარი გეგმის უშეცდომო შესრულება იყო.

ასპანუ პიშოტა თავის გამოქვაბულში გამოიძახა და თავისი გეგმები გააცნო. მოგვიანებით კი დანარჩენ მეთაურებს — პასატემპოს, ტერანოვას, კაპრალ სილვესტროსა და სტეფან ანდოლინის — გეგმის მხოლოდ ის ნაწილი შეატყობინეს, რაშიც მათ უშუალოდ უნდა მიეღოთ მონაწილეობა.

პალერმოს კარაბინერთა შტაბიდან მთელი სიცილიის საპოლიციო განყოფილებებში ხდებოდა ხელფასის განაწილება. თვეში ერთხელ ფულით დატვირთული და საგანგებოდ დაცული ფურგონი დასახლებულ პუნქტებსა და ქალაქგარეთ გარნიზონებს შემოუვლიდა. გადახდა ნაღდი ფულით ხდებოდა, თითოეულ ჯარისკაცს ხელფასს ქალაქის კონვერტში უდებდნენ. ამიტომაც ფურგონი კონვერტებიანი ხის ყუთებით იყო დატვირთული.

მილიონებით დატვირთული ფურგონის მძღოლი პისტოლეტით იყო შეიარაღებული, მის გვერდით მჯდომი მოლარე-ოფიცერი კი — შაშხანით. პალერმოდან გამოსულ მანქანას წინ დაცვის სამი ჯიპი მიუძღოდა, უკანაც ორი სამხედრო მანქანა მოსდევდა, თითოეულში ექვსი შეიარაღებული კარაბინერი იჯდა. ყველა მანქანას პალერმოსთან რადიოკომუნიკაცია ჰქონდა და ყოველ წუთს შეეძლო დახმარების გამოძახება. ამგვარად გამაგრებულ ესკორტზე ბანდიტების თავდასხმა არავის აზრადაც კი არ მოსდიოდა, რადგან ეს თვითმკვლელობას უდრიდა.

ქარავანი პალერმოდან ადრე დილით გამოვიდა და პირველად პატარა ქალაქ ტომაზო ნატალეში გაჩერდა. იქიდან მთის გზით მონტელეპრეში გადავიდა. მოლარემ და დაცვამ იცოდნენ, რომ წინ მთელი დღის სამუშაო ელოდათ და მანქანები სწრაფად მიჰყავდათ. გზაშივე შეექცეოდნენ პურზე დადებულ ლორს და ღვინოს აყოლებდნენ, თან ხუმრობდნენ და იცინოდნენ. დაცვას იარაღი მანქანის ძარაზე დაელაგებინა. როცა მონტელეპრესკენ უკანასკნელ დაღმართს ჩაუყვანენ, მოულოდნელად გზაზე გაფანტული ცხვრის უზარმაზარი ფარა დაინახეს. წინ მიმაჯალმა ჯიპებმა ცხვრის ნაკადი გააპეს, მძღოლებმა ღარიბულად ჩაცმულ მწყემსებს ყვირილი აუტყხეს. ჯარისკაცებს გრილ ბარაკებში დაბრუნება, ფორმების გახდა და საწოლებზე წამოწოლა, ანდა ბანქოს თამაში ეჩქარებოდათ. საფრთხეზე არავინ ფიქრობდა: იქვე, მონტელეპრეში, პოლკოვნიკ ლუკას ხუთასკაციანი გარნიზონი იმყოფებოდა. მათ უკან მომაჯალი ფულიანი ფურგონი ცხვრის ზღვაში შეცურდა და ამ ზღვამ გზიდან გადასვლის ნაცვლად მის გარშემო ტალღები შეკრა. მეცხვარეები თავდავიწყებით ცდილობდნენ ცხვრების გზიდან გადარეკვას და, თითქოს, ვერც კი ამჩნევდნენ პოლიციელთა ხუმრობასა და უხამს შედახილებს. ჯერ კიდევ ვერავინ იგრძნობდა ხიფათი.

უეცრად ფულის მანქანას ექვსმა მწყემსმა შემოარტყა ალყა. თოფები ამოიღეს, მძღოლი და მოლარე მანქანიდან გადმოყარეს და განაიარაღეს. ქალაქისკონვერტებიანი ყუთები ძირს ჩამოყარეს.

გზისპირა ფერდობები მაშინვე ყაჩაღებით გაივსო, ფურგონის უკან მომაჯალ დაცვის ჯიპებს ავტომატის ჯერებით გაუხვრიტეს საბურავები, პიშოტა მანქანებს წინ გადაუდგა და დაიძახა:

— იარაღი მანქანებში დატოვეთ და გადმოდით, თუ გსურთ, ამაღამ პალერმოში მიირთვათ თქვენი სპაგეტი. გმირობა არაფერს გარგებთ. ეს ფული თქვენი მაინც არ არის.

ამ დროს წინ მიმაჯალ ჯიპში მჯდომმა ოფიცერმა მხოლოდ მონტელეპრეს მისადგომებთან შენიშნა, რომ უკან აღარავინ მიჰყვება და მანქანებთან რაციით დაკავშირება სცადა. შემდეგ მძღოლებს უბრძანა, ისევ იმ აღმართს აჰყოლოდნენ, ახლა რომ ჩაიარეს. მაშინვე ავტომატის ცეცხლში აღმოჩნდნენ, ერთ-ერთ მანქანაში მჯდომი

ოთხი პოლიციელი ტყვიებით დაიცხრილა, უმართავად დარჩენილი ჯიპი ნელა ჩაგორდა დაღმართზე.

კარაბინერთა ოფიცერი ჯიპიდან გადმოხტა და თავის ხელქვეითებს საპასუხო ცეცხლის გახსნა უბრძანა, მაგრამ დარჩენილი ორი ჯიპი კურდღლებოვით დამფრთხალი მოეფარა მოწინააღმდეგის ცეცხლს. დაღმართიდან პოლიციელები ვერაფერს უშველიდნენ ბორცვის თავზე გაჩერებულ ფურგონს, ვერც ბანდიტებს დაუმიზნებდნენ, რომლებიც ლირებით გატენილ კონვერტებს ქურთუკებში იტენიდნენ.

მონტელეპრეს მარშალი ფურგონს მოუთმენლად ელოდებოდა. თვის ბოლოს ფული მუდამ აკლდებოდა და, თავისი ხელქვეითების მსგავსად, ამ საღამოს ისიც რესტორანში სასიამოვნო ქალებსა და მეგობრებთან ერთად აპირებდა სადილობას. სროლის ხმამ შეაშფოთა: ჯულიანო დღისით-მზისით პოლიციის პატრულზე თავდასხმას ვერ გაბედავდა, რადგან იცოდა, რომ ქალაქის მიდამოებს პოლკოვნიკის ხუთასკაციანი ჯარი აკონტროლებდა.

ამავე დროს მარშალმა ბელამპოს ბარაკებთან ძლიერი აფეთქების ხმა გაიგონა. ეზოში მდგარი ერთ-ერთი მანქანა ნარინჯისფრად ააღდა. მერე კასტელვეტრანოსკენ მიმავალი გზიდან ავტომატების ყურისწამლები სროლა მოესმა, დაინახა, გზის საპატრულო პოსტებიდან პოლიციელები ფეხით როგორ გამობოდნენ ბარაკებში თავის შესაფარებლად, ზოგი მანქანებით მოდიოდა. მარშალმა, როგორც იქნა, გაიაზრა ის, რაც ხდებოდა: ჯულიანომ მთელი თავისი ძალები პოლკოვნიკის ჯარის წინააღმდეგ გამოიყვანა.

ტორი ჯულიანო მონტელეპრეს თავზე წამომართულ კლდიდან ბინოკლით ადევნებდა თვალს ფურგონის ძარცვას. ოთხმოცდაათი გრადუსით თუ შებრუნდებოდა, ქალაქის ქუჩაში მიმდინარე ბრძოლასაც დაინახავდა, ბელამპოს ბარაკებზე თავდასხმასა და საგზაო პატრულების გაუვნებლებასაც. ყველა მისი მეტაური ბრძანებებს ზუსტად ასრულებდა. პასატემპომ ფულის ფურგონი გაძარცვა, პიშოტამ კარაბინერების ჯიპები შეაჩერა, ტერანოვას ახალწვეულებით შევსებული ბანდა ბელამპოს ბარაკებს უტეკდა. თვით ჯულიანოს რაზმი მთებს იცავდა, ხოლო სტეფან ანდოლინი, ჭეშმარიტი „ფრა დიაბოლო“, საოცარ სიურპრიზს ამზადებდა.

პალერმოს შტაბში პოლკოვნიკი ლუკა ფურგონის გაძარცვის ამბავს ყველასათვის საკვირველი უდრტვინველობით შეხვდა, მაგრამ შინაგანად განცვიფრებული იყო ჯულიანოს გამჭრიახობითა და იმით, თუ საიდან გაიგო კარაბინერთა დისლოკაცია. ფურგონის გაძარცვისას ოთხი პოლიციელი დაიღუპა, ჯულიანოს სხვა რაზმებთან ბრძოლაში — კიდევ ათი.

პოლკოვნიკი ლუკა ჯერ კიდევ ტელეფონით იბარებდა ბრძოლის შესახებ ანგარიშს, როცა მის კაბინეტში კაპიტანი პერენზე შემოვიდა, რომელსაც აღელვებისაგან ყბა გვერდზე მოქცეოდა. შეატყობინა, რომ ეს-ესაა ამცნეს, სროლისას რამდენიმე ბანდიტი დაჭრილა და ერთი ბრძოლის ადგილას მკვდარი დაეტოვებინათ. გვაშზე ნაპოვნი საბუთების მიხედვით და ორი მონტელეპროელის მოწმობით დაღუპული ყაჩაღი თვით ტორი ჯულიანოა.

სიფრთხილისა და საღი აზრის მიუხედავად, პოლკოვნიკმა ამის გაგონებაზე გამარჯვების სიხარული იგრძნო. სამხედრო ისტორიას ბევრი ახსოვს მცირე უიღბლობის გამო წაგებული ბრძოლა. საუსებით შესაძლებელი იყო, ერთ საბედისწერო ტყვიას მაინც-დამაინც ბანდიტთა ბელადის მკერდი ამოერჩია. მეორე წამს სიფრთხილემ იმარჯვა. ეს მეტისმეტად დიდი იღბალი იქნებოდა. უფრო დასაჯერებელი ის იყო, რომ მახეს უგებდნენ, მაგრამ, თუ ასეა, პოლკოვნიკი მახეში შეაბიჯებდა და მის დამგებს საპასუხო მახეში გააბამდა.

პოლკოვნიკი გასამგზავრებლად მოემზადა. საიმედოდ დაცულ კოლონას წინ ჯაჟშნოსანი მანქანა მიუძღოდა, რომელშიც პოლკოვნიკთან ერთად ინსპექტორი ველარდიც იჯდა: მან ჯულიანოს პიროვნების საიდენტიფიკაციოდ წამოსვლა დაიჟინა, სინამდვილეში კი გვამის გაჩხრეკას აპირებდა იმ იმედით, რომ „ანდერძს“ აღმოაჩენდა.

ლუკას მანქანის უკან სამხედრო ფურგონებში იარაღმომარჯვებული ჯარისკაცები ისხდნენ, რომლებიც ყოველ წამს მზად იყვნენ ცეცხლის გასახსნელად. კოლონას წინ სადესანტო ჯიპები მიუძღოდნენ. მონტელეპრეს გარნიზონი ქალაქის მისადგომებთან იდგა და მთების ფერდობებს აკონტროლებდა, ხოლო გზის მთელ გაყოლებას ქვეითი პატრული იცავდა.

პოლკოვნიკის კოლონა ერთ საათში მიადგა მონტელეპრეს; თავს არ დასხმიან: როგორც ჩანს, ბანდიტები მოწინააღმდეგის ძალთა

სიმრავლემ დააფრთხო. მაგრამ პოლკოვნიკს იმედგაცრუება მოელოდა.

ბელამპოს კოსპიტალში ინსპექტორმა ველარდიმ გვამი შეამოწმა და განაცხადა, რომ, თუმცა სახე ტყვიისგან მძიმედაა დასახინჩრებული, დაღუპული მაინც ვერ იქნებოდა ჯულიანო. მის ამოსაცნობად ქალაქელებიც მოიყვანეს და ყველამ ერთხმად აღიარა, რომ ეს ჯულიანო არ იყო. საბოლოოდ, ყაჩაღმა მაინც დაუგო მახე პოლკოვნიკს იმ იმედით, რომ ის სასწრაფოდ გამოექანებოდა მონტელეპრეში და თავს საფრთხეში ჩაიგდებდა. არც შემცდარა. პოლკოვნიკმა უსაფრთხოების ყველა ზომა მიიღო და სასწრაფოდ პალერმოს შტაბში დასაბრუნებლად გაემზადა. პირადად უნდოდა რომში მომხდარის შესახებ ანგარიშის მიწერა და იმაზეც სურდა ეზრუნა, რომ ჯულიანოს სიკვდილის შესახებ ყალბი ცნობა არავის გაეცრუებინა. გულდაგულ შეამოწმა კოლონის ყველა ნაწილი, რათა გზად თავდასხმისაგან დაცული ყოფილიყო და ერთ-ერთ სამხედრო ჯიპში ჩაჯდა. ინსპექტორი ველარდი მის გვერდით მოთავსდა.

პოლკოვნიკი ტყუილად არ აჩქარებულა, რადგან ამ სიჩქარემ ორივეს სიცოცხლე გადაარჩინა. კოლონის თავში მიმაჯალი მისი ჯიპი უკვე პალერმოს მისადგომებთან იყო, რომ დიდმა აფეთქებამ იქუხა. ჯაგშნოსანი მანქანა ჰაერში ათი ფუტის სიმაღლეზე აფარდა. მისი ცეცხლწაკიდებული ნაწილები გზის გარშემო ფერდობებს შეელეწა. უკან მიმაჯალ სამხედრო მანქანაში ოცდაათიდან რვა ჯარისკაცი დაიღუპა, თხუთმეტი კი დაიჭრა. პოლკოვნიკის ჯიპში მჯდომი ორი პოლიციელი აფეთქებამ ნაფლეთებად აქცია.

ლუკამ მინისტრ ტრეზას სამწუხარო ამბავი ამცნო და სთხოვა, უკვე დაკომპლექტებული სამიათასკაციანი ჯარი დაუყოვნებლივ გამოეგზავნა სიცილიაზე.

დონ კროჩე მიხვდა, რომ თავდასხმები მანამდე გაგრძელდებოდა, ვიდრე ჯულიანოს შშობლები პატიმრობაში რჩებოდნენ და მათ გათავისუფლებაზე იზრუნა.

მაგრამ ახალი ქვედანაყოფების ჩამოყვანას წინ ველარ აღუდგა, ასე რომ, მონტელეპრეს ახლა ორი ათასი ჯარისკაცი იცავდა. კიდევ სამი ათასი მთებს ჩხრეკდა. მონტელეპრეს შვიდასამდე მცხოვრები

დასაკითხად დააკავეს, რისი უფლებაც პოლკოვნიკმა ქრისტიან-დემოკრატი მთავრობისაგან მიიღო. დაღამებიდან გათენებამდე მონტელეპრეს პროვინციაში კომენდანტის საათი გამოცხადდა, ყოველგვარი მიმოსვლა შეწყდა, საგანგებო პასპორტის გარეშე მომავალ მგზავრებს აპატიმრებდნენ. მთელი პროვინცია ტერორში იყო.

ღონ კროჩე ერთგვარი მღელვარებით აღევნებდა თვალს, როგორ ეწყობოდა ყველაფერი ჯულიანოს საწინააღმდეგოდ.

თავი 24

ლუკას ჯარის მოსვლამდე ჯულიანო ხშირად ნახულობდა ჯუსტინა ფერას. ზოგჯერ ქალიშვილი ჯულიანოს სახლში მიდიოდა ფულის წამოსაღებად, რომლითაც ჯულიანო მის ოჯახს ეხმარებოდა. ჯულიანომ მისი სილამაზის გაფურჩქვნა მანამდე ვერ შენიშნა, ვიდრე ერთ დღეს მშობლებთან ერთად არ შეხვდა პალერმოში. ისინი სადღესასწაულოდ ახალი ტანისამოსის საყიდლად ჩასულიყვნენ, რადგან მონტელეპრე პატარა ქალაქი იყო და იქ ბევრი არაფერი იყიდებოდა. ჯულიანო თავის მეგობრებთან ერთად პალერმოში საკვების საყიდლად იყო მისული.

ჯულიანოს გოგონა ექვსი თვის განმავლობაში არ ენახა და ძალზე გამაღლებული და დამშვენებული ეჩვენა. სიცილიელი ქალისათვის საკმაოდ მაღალი იყო, ფეხებიც გრძელი ჰქონდა და ახალნაყიდი მაღალქუსლიანი ფეხსაცმელი ეცვა. მხოლოდ თუქვსმეტი წლის იყო, მაგრამ სიცილიის უხვი მზის ქვეშ სახითა და ტანით სრულად მომწიფებული. შავი თმა სამი სავარცხლით შეეკრა და თავზე გვირგვინად ედგა, ოქროსფერი კისერი ისეთი მაღალი ჰქონდა, როგორიც ეგვიპტურ ლარნაკზე გამოსახულ ქალღმერთს. თვლები დიდრონი და გამჭოლი ჰქონდა, ტუჩები საუსე, თუმცა სწორედ ტუჩებით შეატყობდით, ჯერ თითქმის ბავშვი რომ იყო. წითელი მაქმანით გაწყობილი თეთრი კაბა ეცვა.

გოგონა იმდენად მომხიბვლელი იყო, რომ ქუჩის ღია კაფეში მჯდომმა ჯულიანომ დიდხანს ვერ მოაცილა თვალი. მეზობელ მაგიდებთან მისი მეგობრები ისხდნენ. ქალიშვილმა მშობლებთან ერთად გვერდით რომ ჩაუარა, მამამ ჯულიანო იცნო, მაგრამ სახე

არც კი შესტოკებია. დედამ სწრაფად აარიდა მხერა. მხოლოდ ჯუსტინამ შეანათა დიდრონი თვალები, ბაგე ოდნავ შესამჩნევმა ღიმილმა მოურკალა. მზით განათებულ ქუჩაში გოგონა სინათლის კაშკაშა ქულას ჰგავდა, ვნებიანი სილამაზით ნაადრევად გაფურჩქნილ სიცილიურ ყვავილს. მას შემდეგ, რაც ჯულიანო ყაჩაღი გახდა, სიყვარულს ერიდებოდა, ეჭვით უმზერდა, როგორც სისუსტეს, მზაკვრობისა და ღალატის წყაროს. მაგრამ ახლა ისეთი რამ იგრძნო, რაც მანამდე არასოდეს უგრძნია — სხვა ადამიანის წინაშე დაჩოქებისა და მისი სრული ბატონობის აღიარების სწრაფვა. ეს სიყვარული კი არა, სულ სხვა რამ იყო.

ერთი თვის შემდეგ ჯულიანომ იგრძნო, რომ პალერმოს ქუჩაში მზის შუქის ტბაში მდგარი ჯუსტინა კვლავ თვალწინ ედგა და სხვა ვერაფერზე ვეღარ ფიქრობდა. ეს განცდა ჯერ მხოლოდ სქესობრივ ლტოლვად ჩათვალა, რადგან ლა ვენერასთან ვნებიან ღამეებს ნატრობდა, მაგრამ რაც დრო გადიოდა, ჯუსტინასთან მხოლოდ ალერსს როდი ნატრობდა, არამედ მასთან ერთად მთაში და ყვავილებიან ხეობებში ხეტიალსაც, მისთვის თავისი მღვიმეების ჩვენებასა და კოცონზე სადილის ერთად მზადებას. დედის სახლში დარჩენილი გიტარა მოაგონდა და უეცრად მოუნდა, მისთვის დაეკრა. უნდოდა, გოგონასთვის თავისი ლექსები ეჩვენებინა, წლების წინ რომ წერდა და ზოგიერთი გაზეთშიც კი ჰქონდა გამოქვეყნებული. მონტელეპრეში ჩასვლაც კი დააპირა და გოგონას სახლში მისვლა, მიუხედავად იმისა, რომ პოლკოვნიკ ლუკას ორი ათასი ჯარისკაცი ყოველ კუნჭულს დარაჯობდა. თუმცა, გონს მოეგო და იფიქრა, ჩემ თავს რაღაც საშიში ხდებაო.

ყველაფერი სისულელე იყო. ცხოვრებაში ორად ორი გამოსავალი ჰქონდა: ან კარაბინერებს შეაკვდებოდა, ან ამერიკაში წავიდოდა სამუდამოდ და, თუკი ამ გოგონაზე ოცნებას განაგრძობდა, ამერიკას ვეღარასოდეს იხილავდა. ეს გრძნობა გულიდან უნდა ამოეგდო. თუ გოგოს შეაცდენდა, ან მოიტაცებდა, მამამისი სამუდამოდ გადაემტერებოდა, მას კი ისედაც ბევრი ჰყავდა მოსისხლე მტერი. ერთხელ ჯულიანომ ასპანუს ქალიშვილის შეცდენის გამო სცემა, თავისი ბანდიტობის განმაჯობაში გაუპატიურებისათვის სამი მეგობარი დასაჯა სიკვდილით. მაგრამ ჯუსტინასადმი გრძნობა სხვა იყო: მისი გაბედნიერება სურდა, ნატრობდა, გოგონას

მისდამი სიყვარული და ნდობა ჰქონოდა და ისეთად დაენახა, როგორც ოდესღაც იყო — სუფთა და წრფელი.

ამას ყველაფერს გონებით სწედებოდა, გულით კი უკვე გადაქწვიტა თავისი ბედი. ამ გოგოს ცოლად მოიყვანდა, ცხადია, ფარულად. ამის შესახებ არავის ეცოდინებოდა გოგოს ოჯახის, ასპანუპიშოტასა და ბანდის ერთი-ორი სანდო წვერის გარდა. როგორც კი უსაფრთხოების შესაძლებლობა მიეცემოდა, ჯუსტინას თავისთან მთაში ამოიყვანდა და რამდენიმე დღეს მასთან ერთად გაატარებდა. ტორი ჯულიანოს ცოლობა სახიფათო არჩევანი იყო, მაგრამ ტორი მას ამერიკაში გაამგზავრებდა და რამდენიმე ხანს შემდეგ თვითონაც შეუერთდებოდა. მხოლოდ ერთი რამ აფერხებდა: რას იტყოდა ამაზე თვით ჯუსტინა?

ჩეზარო ფერა უკანასკნელი ხუთი წლის განმავლობაში ჯულიანოს ბანდის ფარული წვერი იყო. ოპერაციებში არასოდეს მიუღია მონაწილეობა, მხოლოდ ინფორმაციას აგროვებდა. ის და მისი მეუღლე ჯულიანოს მშობლებს ახლოს იცნობდნენ. ისიც მთავარ ქუჩაზე, მათგან ათი სახლის მოშორებით ცხოვრობდა. მონტელეპრეს მცხოვრებთა უმრავლესობისგან განსხვავებით, განათლებული იყო და მიწაზე მუშაობას ვერ ეგუებოდა. როდესაც ჯულიანომ ჯუსტინას მიერ დაკარგული ფული აუნაზღაურა და ბარათიც მისწერა, რომლითაც მათს ოჯახს მფარველობას შეჰპირდა, ჩეზარე ფერა მარია ლომბარდოსთან მივიდა და ბანდას დახმარება შესთავაზა. მონტელეპრესა და პალერმოში კარაბინერთა მანევრებისა და მდიდარი ვაჭრების შესახებ ინფორმაციას აგროვებდა და ჯულიანოს გადასცემდა. მძევალთა გამოსასყიდისა და სხვა ნადავლიდან წილს იღებდა და მოგროვილი თანხით მონტელეპრეში პატარა ტავერნა გახსნა, რომელსაც ბანდის შეკრების ადგილად იყენებდნენ.

როცა ჩეზარეს ვაჟი სილვიო სოციალისტი აგიტატორი გახდა, მამამ სთხოვა, სახლიდან წასულიყო, არა იმიტომ, რომ მის პოლიტიკურ შეხედულებებს არ იზიარებდა, არამედ იმ საფრთხის გამო, რასაც სოციალისტი შვილი ოჯახს შეუქმნიდა. მან ჯულიანოს მისი დაპირება შეახსენა და მფარველობა სთხოვა. ჯულიანომ ყველაფერი გააკეთა სილვიო ფერას დასაცავად, ხოლო მისი მკვლელობის შემდეგ პირადად დაჰპირდა ჩეზარეს, რომ შურს იძიებდა.

ფერა ჯულიანოს არაფერში ადანაშაულებდა. იცოდა, რომ ჯინესტრას უბედურებამ თვით ჯულიანოც შეძრა და რომ მას დღემდე გლოვობდა. ეს თავისი ცოლისაგან შეიტყო, რომელიც საათობით ესაუბრებოდა მარია ლომბარდოს, რომელიც თავისი ვაჟის შესახებ ჰყვებოდა. იმ ბედნიერ დროს იხსენებდა, ვიდრე ტორის კარაბინერი მძიმედ დაჭრიდა და იძულებული გახდებოდა, საპასუხო მკვლევლობები ჩაედინა. დედა ჯულიანოს თითოეულ მკვლევლობას ამართლებდა, მხოლოდ ჯინესტრაზე საუბრისას დარდისაგან სუნთქვა ეკვროდა. ავტომატის ჯერით დაფლეთილი პატარა ბავშვები, უმწყო ქალები... რანაირად შეიძლებოდა ვინმეს ეფიქრა, რომ ამგვარი სისასტიკე მისმა ვაჟმა ჩაიდინა? განა ის ღარიბების მფარველი და სიცილიის მხსნელი არ იყო? განა მან გლეხების დასაპურებლად მილიონები არ გაიღო? მაშ, მათი ამოხოცვის ბრძანებას როგორღა გასცემდა? დედის წინაშე შავი მადონას ქანდაკებაზე დაიფიცა, რომ ეს არ განუზრახავს და ერთერთს გადახვეულებმა, დიდხანს გულამოსკვნით იტირეს.

მას მერე ჩეზარო ფერა გულდაგულ იკვლევდა ჯინესტრას საიდუმლოს. მაინც რა მოხდა იმ დღეს? პასატემპოს მსროლელებმა მართლაც შეცდომა დაუშვეს დამიზნებისას? იქნებ თავისი სისასტიკით ცნობილმა პასატემპომ მხოლოდ სისხლის ჟინის დასაკმაყოფილებლად ამოხოცვინა მოზეიმენი? თუ ყველაფერი ჯულიანოს სახელის გასატეხად დაიგეგმა? იქნებ, ცეცხლი სულ სხვა რაზმმა გახსნა, ჯულიანოს კი არა, მათი ან, სულაც, პოლიციის დაჯალბებას რომ ასრულებდა? ჩეზაროს ეჭვგარეშე არავინ დაუტოვებია თვით ჯულიანოს გარდა, რადგან ჯულიანოს დანაშაული ჩეზაროსთვის მთელი სამყაროს ნგრევას უდრიდა. ჯულიანო საკუთარი ვაჟით უყვარდა, ის მის თვალწინ გაიზარდა და ჩეზაროს არასოდეს შეუნიშნავს მასში სისასტიკის ან სიბოროტის ნატამალიც კი.

ჩეზარო ფერა ფხიზლობდა. ბანდის სხვა ფარულ წევრებს უფასო სასმლით უმასპინძლებოდა, თუმცა მათი უმრავლესობა პოლიკონიკ ლუკას ბრძანებით დაეკავებინათ; ფერა გამუდმებით ადევნებდა თვალყურს ტავერნაში დასალევად და ბანქოს სათამაშოდ შემოსულ „მეგობართა მეგობრებს“. ერთ დღეს გაიგონა, სიცილით როგორ ლაპარაკობდნენ იმის შესახებ, რომ დონ კროჩეს „მხეცი“ და „სატანა“ ეახლნენ და ეს საშიში ადმიანები დიდი დონის წინა-

შე აბრაამის ბატკნებოვით იქცეოდნენ. ფერამ მოსმენილის შესახებ ბევრი იფიქრა და სიცილიელის იჭვნიული გონებით სიმართლეს მიაგნო: პასატემპო და სტეფან ანდოლინი რამდენიმე ხნის წინ დონს შეხვდნენ. პასატემპოს სისასტიკის გამო ეძახდნენ მხეცს, Fra Diavolo კი ანდოლინის მეტსახელი იყო. რა უნდოდათ ჯულიანოს ბანაკისაგან შორს, დონ კროჩეს ვილაბას რეზიდენციაში? ფერამ უმცროსი ვაჟი ჯულიანოს მშობლებთან გაგზავნა და ტორის შეხვედრაზე შეუთანხმდა. როცა მან ჯულიანოს ყველაფერი უამბო, ახალგაზრდა კაცმა არაფერი შეიმჩნია, მხოლოდ ფერას სიტყვა ჩამოართვა, რომ ამის შესახებ არაფერს გაიგებდა. სამი თვის შემდეგ კი ჯულიანომ კვლავ დაიბარა სალაპარაკოდ.

ჯულიანო შორს მთაში გახიზნულიყო, სადაც პოლკოვნიკ ლუკას ეძახებოდა. ფერამ მთელი ღამე იმგზავრა და გამთენიისას დათქმულ ადგილას შეხვდა ასპანუ პიშოტას, რომელმაც ბანაკში მიიყვანა. იქ ცხელი საუზმე ელოდათ. ყაჩაღებს საუცხოო თეთრი სუფრა გაეშალათ და ვერცხლის დანა-ჩანგალიც დაეწყოთ. ტორი ჯულიანოს აბრეშუმის თეთრი პერანგი და ხავერდის შარვალი ეცვა. ტყავის ფეხსაცმელი ულაპლაპებდა, თმა საგულდაგულოდ ჰქონდა დაფარცხნილი. ასე წარმოსადეგი არასოდეს ყოფილა.

ჯულიანომ პიშოტა დაითხოვა და ფერასთან ერთად მაგიდას მიუჯდა. ნირწამხდარი ჩანდა და ოფიციალური კილოთი უთხრა ფერას:

— გმადლობთ იმ ინფორმაციისათვის, რაც მომაწოდეთ. ვეჭვობდი, რომ ჩემ წინააღმდეგ რაღაც ეწყობოდა, ახლა კი ვიცი, რომ ეს მართალია. მაგრამ ამჟამად სხვა რამეზე მსურს დაგელაპარაკოთ. ეს თქვენთვის მოულოდნელი იქნება და, იმედი მაქვს, თავს შეურაცხყოფილად არ იგრძნობთ.

— ვიცი, შენ არასოდეს შეურაცხმყოფ. შენი მოვალე ვარ, — უპასუხა შემცბარმა ფერამ.

პასუხად ჯულიანომ ისე ალაღად გაუღიმა, ბავშვობაში რომ იცოდა.

— ყურადღებით მომისმინეთ. ეს საუბარი ჩემი პირველი ნაბიჯია და, თუკი თქვენ წინააღმდეგი იქნებით, ამაზე შორს აღარ წავალ. დაიფიქვით, რომ ბანდის მეთაური ვარ. ახლა, როგორც ჯუსტინას მამას, ისე გესაუბრებით. ის ძალზე ლამაზია და, ვიცი, ქალაქის

არაერთი ახალგაზრდა შენატრის. ისიც ვიცი, რომ მის პატიოსნებას უმკაცრესად დარაჯობთ. მერწმუნეთ, ასეთი გრძნობა ცხოვრებაში პირველად დამეუფლა. მისი ცოლად შერთვა მსურს. თუ უარს მეტყვით, თავს დავანებებ, ძველებურად მეგობრები დავრჩებით, თქვენი ქალიშვილი კი მუდამ ჩემი მფარველობის ქვეშ იქნება. თუ თანხმობას მომცემთ, თქვენს ქალიშვილს დაველაპარაკები და, თუ ის უარით გამისტუმრებს, საქმე ამით დამთავრდება.

ჩეზარო ფერას იმდენად დაეცა თავზარი, რომ პასუხად მხოლოდ ამოიღულულა:

— დრო მომეცი, უნდა ვიფიქრო...

კარგა ხნით დადუმდა, შემდეგ განსაკუთრებული მოწიწებით მიმართა ჯულიანოს:

— შენზე უკეთესი სიძე ქვეყნად არ მეგულება და ვიცი, ჩემი ვაჟი სილვიოც ამ აზრის იქნებოდა, — ფერა კვლავ შეფერხდა და განაგრძო: — მხოლოდ და მხოლოდ ჩემი ქალიშვილის უსაფრთხოება მაფიქრებს. თუ ჯუსტინა შენი ცოლი გახდება, პოლკოვნიკი ლუკა უსათუოდ მონახავს საბაბს მის დასაპატიმრებლად. „მეგობრებიც“ გადაგემტერნენ და ისინიც შეეცდებიან, ჩემს შვილს რაიმე ავნონ. შენ ან ამერიკაში გადაიხვეწები ან აქ, მთაში, მოგიწვეს სიკვდილი. არ მსურს, ჯუსტინა ახალგაზრდა დაქვრივდეს, მაპატიე, რომ ასე გულახდილად გელაპარაკები, მაგრამ ქორწინება შენც გაგირთულებს ცხოვრებას და ესეც მაღარდებს. ბედნიერ ქმარს მტერი უფრო ადვილად მოერევა, ის სიფხიზლეს კარგავს და ხატანგში ადვილად ებმება. ასე ღიად იმიტომ გელაპარაკები, რომ მიყვარხარ და პატივს გცემ. იქნებ ჯობია, ამ ნაბიჯის გადადგმა უკეთესი მომავლისათვის გადადო, როდესაც შენი ცხოვრების მშვიდად და აზრიანად დაგეგმვა შეგეძლება, — ლაპარაკი რომ დაასრულა, ჯულიანოს ფრთხილი მზერა შეაუღო, რათა გაეგო, ხომ არ განარისხა. მრისხანების ნაცვლად ჯულიანოს სახეზე შეყვარებული ჭაბუკის სასოწარკვეთილება შეატყო და ამან იმდენად შეაშფოთა, რომ სასწრაფოდ დაუმატა:

— არ გეგონოს, რომ უარს გეუბნები, ტორი.

ჯულიანომ ამოიოხრა.

— ამ ყველაფერზე ბევრი ვიფიქრე. ასეთი გეგმა მაქვს: თქვენს ქალიშვილთან საიდუმლოდ ვიქორწინებ. აბატი მანფრედი დაგვწერს

ჯვარს, აქვე, მთაში. მაგრამ ისე მოაწყობ, რომ თქვენ და თქვენი მეუღლე ცერემონიას დაესწროთ. ჯუსტინა სამიოდე დღეს ჩემთან დარჩება, მერე კი ისევ შინ გამოგიგზავნით. თუ დაქვრივდა, იმდენ ფულს დაუტოვებ, რომ ცხოვრების ახლიდან დაწყება შეძლოს. ყველაზე უარესი შემთხვევის გათვალისწინებით ვიზრუნებ მის მომავალზე. მაგრამ მიუხედავად ამისა, ჩემნაირი კაცის ცოლობა დიდი რისკია, ამიტომ, როგორც მამას, უფლება გაქვთ თქვენი შვილი ამ საფრთხეს მოარიდოთ.

ჩეზარო ფერა ამ სიტყვებმა შეძრა. ახალგაზრდა კაცის გულწრფელობა, უბრალოება და იმედიანი წინდახედულობა დაათასა, დაინახა, რომ ტორიმ ყველაფერი აწონ-დაწონა და მისი ქალიშვილის სასიკეთოდ არაფერს დაიშურებდა. ფერა წამოდგა და ჯულიანოს გადაეხვია.

— თანახმა ვარ და მთელი გულით დაგლოცავთ. ჯუსტინას დაველაპარაკები.

ვიდრე შინ წავიდოდა, ფერამ სიხარული გამოთქვა იმის გამო, რომ ჯულიანოს მის მიერ მიწვდილი ინფორმაცია გამოადგა. ტორის სახე საოცრად შეეცვალა: თვალები გაუფართოვდა და მოხდენილი ნაკეთები მარმარილოსებრ გაუქვავდა.

— სტეფან ანდოლინისა და პასატემპოს ქორწილში დავპატივებ, — თქვა ტორიმ, — ამ საქმეს სწორედ იქ გავარკვევთ, — ფერა მხოლოდ მოგვიანებით დაფიქრდა იმაზე, როგორღა დარჩებოდა ამ შემთხვევაში ტორის დაქორწინება საიდუმლოდ.

სიცილიაზე ქალიშვილები არცთუ იშვიათად თხოვდებოდნენ ისე, რომ მანამდე წუთითაც კი არასოდეს დარჩენილიყვნენ საქმროსთან მარტო. როდესაც ქალები ქუჩაში თავიანთი სახლების წინ ჩამოსხდებოდნენ, გაუთხოვარი ქალიშვილები წესისამებრ პროფილში უნდა დამსხდარიყვნენ, მათ პირდაპირ ქუჩაში ცქერა და გამკლავებისათვის თვალის გასწორება ეკრძალებოდათ. ვინც ამ წესს არღვევდა, უზნეოდ ითვლებოდა. ახალგაზრდა კაცებს მათთან საუბრის შესაძლებლობა მხოლოდ ეკლესიაში ეძლეოდათ, სადაც მათ ღვთისმშობლის ქანდაკებები და გოგონების დედები მკაცრად ადევნებდნენ თვალს. თუკი ახალგაზრდას პროფილისა და ორიოდე თავაზიანი სიტყვის საფუძველზე გოგონა თავდავიწყებით

შეუყვარდებოდა, მას თავისი გრძნობა წერილობითი ფორმით უნდა გამოეხატა. ეს კი უაღრესად სერიოზული საქმე გახლდათ და მის აღსასრულებლად ხშირად პროფესიონალ ლიტერატორებსაც ქირაობდნენ. წერილის არასწორად შერჩეულ კილოს შეიძლებოდა ქორწილის ნაცვლად პანაშვიდი მოჰყოლოდა. ასე რომ, უჩვეულო სულაც არ იყო, რომ ტორი ჯულიანომ გოგონას ხელი თავდაპირველად მამას სთხოვა, ვიდრე თავის სატრფოს თუნდაც ერთ სიტყვას მაინც ეტყოდა.

ჩეზარო ფერამ წინასწარვე იცოდა ჯუსტინას პასუხი. პატარაობაში გოგონა ყოველ ღამით ძილის წინ ასე ლოცულობდა: „ღმერთო, ტორი ჯულიანო კარაბინერებისგან დაიცავი!“ მუდამ სიხარულით გარბოდა მარია ლომბარდოსთან საიდუმლო ბარათით თუ სიტყვიერი დანაბარებით. ხოლო, როდესაც ჯულიანოს სახლიდან ლავენერასთან გათხრილი გვირაბის ამბავი გახდა ცნობილი, ჯუსტინა გაცეცხლდა. მის მშობლებს ეგონათ, რომ გოგონა ჯულიანოს დედამამისა და მეზობელი ქალის დაპატიმრების გამო ბრაზობდა, მერე კი მიხვდნენ, რომ ეჭვიანობდა.

ჩეზარო ქალიშვილისგან დადებით პასუხს მოელოდა, მაგრამ მაინც გაოგნდა იმის გამო, როგორ მიიღო ჯუსტინამ ახალი ამბავი: მამას ცბიერი და კმაყოფილი მზერით გაუღიმა, თითქოს, დიდი ხნის წინ დაგეგმილი მზაკვრობა აუსრულდაო, თითქოს, ეჭვიც არასოდეს შეჰპარვია, რომ ჯულიანო ადრე თუ გვიან მისი გახდებოდა.

მაღლა მთაში ნორმანთა ნახევრად დანგრეული სასახლე იდგა, სადაც ოცი წელიწადია, არავის უცხოვრია. ჯულიანომ იქ გადაწყვიტა ქორწილისა და თაფლობის თვის გატარება. ასპანუ პიშოტას უბრძანა, მთელ პერიმეტრზე შეიარაღებული ხალხი დაეყენებინა, რათა წყვილი ყოველგარი საფრთხისაგან ყოფილიყო დაცული. აბატი მანფრედი მონასტრიდან ოთხთვალით წამოვიდა, ხოლო მთის ვიწრო ბილიკებზე ჯულიანოს ამხანაგებმა საკაცით ატარეს. მოხუც აბატს ესიამოვნა ძველი სასახლის სალოცავის ნახვა, თუმცა ყველა ღირებული ქანდაკება იქიდან უკვე დიდ ხნის წინათ მოეპარათ, მაგრამ ქვის კედლები და საკურთხეველიც თავისთავად საამო სანახავი იყო. ჯულიანოს დაქორწინება დიდად გულზე არ

ქნატებოდა და, ერთმანეთს რომ გადაეხვივნენ, აბატმა ხუმრობით უთხრა:

— ჯობდა, ძველი ანდაზისთვის დაგეჯერებინა: ვინც მარტო თამაშობს, არასოდეს აგებს.

— მაგრამ ჩემს ბედნიერებასაც ხომ უნდა მივხედო, — სიცილით უპასუხა ჯულიანომ და ის ხალხური სიბრძნეც გაიმეორა, აბატს განსაკუთრებით რომ უყვარდა; — ხომ გახსოვს, წმინდა იოსებმა ჯერ თვითონ მოიპარსა წვერი, მერე კი მოციქულებსაც მოაპარსვინა, — ამან აბატი უფრო ხალისიან გუნებაზე დააყენა. მან ჯულიანოს ჯვრისწერის მოწმობა გადასცა: ოქროს მეღვინე და შუა საუკუნეების ასომთავრულით ულამაზესად ნაწერი დოკუმენტი.

— ჯვრისწერას მონასტრის ჩანაწერებში შევიტან, მაგრამ შიში ნუ გექნება, მის შესახებ არავინ გაიგებს, — უთხრა მან ჯულიანოს.

პატარძალი და მისი მშობლები წინა საღამოს ვირებით ამოიყვანეს და სასახლის საგანგებოდ მოწყობილ ოთახებში დააბინავეს, ბამბუკის აუჯით რომ გაეწყობოთ. ჯულიანოს გული ეთანადრებოდა, მისი მშობლები ქორწილს რომ ვერ ესწრებოდნენ, მაგრამ პოლკოვნიკ ლუკას ხალხი მათ უმკაცრესად ადევნებდა თვალყურს.

ასპანუ პიშოტა, სტეფან ანდოლინი, პასატემპო, კაპრალი და ტერანოვა ჯვრისწერას ესწრებოდნენ. ჯუსტინამ სამგზავრო ტანისამოსის ნაცვლად თეთრი კაბა ჩაიცვა, პალერმოში რომ ეცვა და ასე ძლიერ უხდებოდა. ჯულიანო განცვიფრდა, როდესაც გოგონამ ბედნიერი მზერა შეანათა და თვალისმომჭრელად გაუღიმა. აბატმა ცერემონია სწრაფად დაასრულა. შემდეგ ყველანი მოღვრე გაშლილ სუფრას მიუსხდნენ, სადაც პური, ცივად დაჭრილი ხორცი და ღვინო ეწყო. ნეფე-პატარძლის სადღეგრძელო შესვეს და დიდხანს აღარ შეყოვნებულან. აბატსა და ცოლ-ქმარ ფერას წინ გრძელი და სახიფათო გზა ედოთ. ყოველ წუთს არსებობდა იმის საფრთხე, რომ კარაბინერების პატრული ამ მიდამოსაც მოადგებოდა და პერიმეტრზე მოდარაჯე ყაჩაღები იძულებულნი გახდებოდნენ, მათთან ბრძოლა დაეწყობოთ. აბატი უკვე გამგზავრებას აპირებდა, ჯულიანომ რომ შეაკავა.

— მადლობა იმისათვის, რაც დღეს ჩემთვის გააკეთეთ, — უთხრა მან, — რამდენიმე დღეში, ჩემი დაქორწინების აღსანიშნავად, წყალობა მინდა გავიღო, ოღონდ, თქვენი დახმარება დამჭირდება, — ერთხანს ესაუბრა, რაზეც აბატმა თავის დაკვრით უპასუხა.

ჯუსტინა მშობლებს გადაეხვია. დედამისი ატირდა და ჯულიანოს მომლოდინედ შეაცქერდა, მაგრამ ქალიშვილმა რაღაც გადაუჩურჩულა და ქალს გულიანად გაეცინა. ცოლ-ქმარი ვირებზე შესხდა და გზას გაუდგნენ.

ნეფე-პატარძალმა ქორწილის დამე სასახლის მთავარ საძინებელში გაატარა. ოთახი სრულიად ცარიელი იყო. ჯულიანომ ვირებით დიდი ლეიბი, თბილი კუბოკრული პლედი და პალერმოში ნაყიდი უნატიფესი თეთრეული და ბალიშები ამოაზიდვინა. გვერდით დიდი სააბაზანო იყო მარმარილოს უზარმაზარი აუზით. ცხადია, წყალი არ იყო გამოყვანილი, მაგრამ ჯულიანომ საკუთარი ხელით აავსო ხის კასრები მთის ნაკადულის წყლით და აბაზანაში შეიტანა. არაფერი დავიწყებია: აბაზანა ჰიგიენის ყოველგვარი საშუალებით გააწყო და ისეთი სუნამოებიც მოიმარაგა, ჯუსტინას თავის სიცოცხლეში რომ არ ენახა.

გოგონას თავიდან საკუთარი სიშიშვლისა შერცხვა, ფეხებს შორის ხელი აიფარა. კანი ოქროსფერი ჰქონდა, კიდურები — თხელი, მკერდი — ისეთი სრული, როგორიც მოწიფულ ქალს. როცა კაცმა აკოცა, გოგონამ თავი გვერდზე მიატრიალა და მათი ტუჩები ერთერთს მხოლოდ სულ ოდნავ შეეხო. ტორი მოთმინებით ეპყრობოდა: სასიყვარულო გამოცდილების ნაცვლად საბრძოლო ტაქტიკაში იყო გაწაფული და ახლა სწორედ მებრძოლის სიფრთხილე და ალღო გამოადგა. ქალიშვილს გრძელი შავი თმა მკერდზე ჩამოშლოდა. ტორი თმაზე მიეფერა და იმ დღის შესახებ უამბო, როცა პალერმოში ნახა, ულამაზესი ეჩვენა და შეუყვარდა. ის ლექსები წაუკითხა, იმ დღის შემდეგ რომ მიუძღვნა, როდესაც მთაში მის სილამაზეზე ოცნებობდა. გოგონას თანდათან შიში და დაძაბულობა გაუნელდა, თვითონ საბანი ეფარა, ჯულიანო კი საბანს ზემოდან იყო მიწოლილი, მაგრამ გოგონა თანდათან მისკენ შებრუნდა.

ჯუსტინამ უამბო, რომ იმ დღეს შეუყვარდა, როდესაც თავისი ძმის ბარათი მიუტანა და საშინლად ეწყინა, რადგან ჯულიანომ მასში ის პატარა გოგონა ვერ ამოიცნო, დიდი ხნის წინ ფულით რომ დაასაჩუქრა. უთხრა, თურთმეტი წლის ასაკიდან ყოველ დამით შენტვის ვლოცულობდი, რადგან იმ დღიდან შემიყვარდიო.

ტორი ჯულიანოს მისმა სიტყვებმა არნახული ბედნიერება მიანიჭა: ჯუსტინას ის უყვარდა და მასზე ფიქრობდა, როცა ის მთაში

მარტო დაძრწოდა. თმაზე ხელს რომ უსვამდა, ქალიშვილმა ხელი დაუჭირა და მაგრად ჩასჭიდა.

— გაგიკვირდა, მამაშენს შენი ხელი რომ ვთხოვე? — ჰკითხა ტორიმ.

— არა, — გამარჯვებული ღიმილით უპასუხა ჯუსტინამ, — პალერმოში ისე შემომხედე, რომ იმ დღის შემდეგ მზად ვიყავი და გელოდი.

ტორი დაიხარა და ღვინისფერ სავსე ტუჩებში აკოცა. ამჯერად ჯუსტინას თავი არ მიუბრუნებია. ტორი მისი ტუჩებისა და სუნთქვის გასაოცარმა სიტკბობამ შეძრა, სიცოცხლეში პირველად იგრძნო, რომ მისი სხეული მას აღარ ეკუთვნის და ქალის უცხო სიტკბოს მიელტვის. მთელი ტანით აცახცახდა. ჯუსტინამ საბანი გადაიხადა და ტორი თავისკენ მოიზიდა, გვერდზე გადატრიალდა და მკლავები შემოხვია. მისი სხეულის შეხება არ ჰგავდა არაფერს, რაც კი ტორის სიცოცხლეში განუცდია. ჯუსტინამ თვალები დახუჭა.

ტორი ჯულიანომ გოგონას ტუჩები და მკერდი დაუკოცნა, კერტებზე ნაზი და თხელი კანი ჰქონდა, სისხლის სიმხურვალისაგან მწველი. თავბრუ დაახვია გოგონას სხეულის სურნელმა, აუწერლად გაშორდა ცხოვრების ყოველ სატანჯველსა და სიკვდილზე ფიქრს. ხელი თეძოზე ჩაუცურა და თითებიდან მთელ სხეულში დაუარა ჟრჟოლამ, ელვისებრი ცეცხლით აუნთო ასო და თავში ტკივილის ისარი ჩაასო. ამ უეცარი ტკივილით გაბრუებულმა ტორიმ ხმამაღლა გაიცინა. მერე კი ჯუსტინამ ფეხებშუა მსუბუქად მოაწვლი ხელი და ტორიმ გონება დაკარგა. თავდავიწყებით ეალერსებოდა, მხურვალედ და ნაზად, გოგონაც კი სულ უფრო გაბედული და ვნებიანი ალერსით პასუხობდა. დილამდე არ მოსცილებიან ერთიმეორეს, მდუმარედ ალერსობდნენ, სიყვარულის სიტყვა იშვიათად თუ აღმოხდებოდათ. როცა გათენდა, ქანცგამოლულ ჯუსტინას ჩაეძინა.

შუადღისას რომ გაეღვიძა, მარმარილოს აუზი გრილი წყლით დახვდა გავსებული, კასრებშიც სუფთა წყალი ესხა, ტორი კი არსად ჩანდა; სიმარტოვემ ცოტა დააფრთხო, მერე წყალში ჩავიდა და დაიბანა. ტანი პირსახოციით გაიმშრალა და სუნამო იპკურა, რომელიც აბაზანაში დახვდა. თავისი სამგზავრო ტანისამოსი ჩაიცვა:

ყავისფერი ქვედაბოლო, თეთრი სვიტერი და მყარად მორგებული სასიარულო ფეხსაცმელი.

გარეთ მაისის მზე აცხუნებდა, მაგრამ მთის გრილი ნიაფი უბერავდა. ჯულიანოს კოცონი დაენტო და ხის მაგიდაზე საუზმე გაემზადებინა: გახუხული პური, თხლად დაჭრილი მოხარშული ხორცი და ხილი. იქვე მდგარი რკინის კასრიდან რძე ჩამოასხა. გარშემო არაფერს ჩანდა, ჯუსტინა ტორისკენ გაექანა და მხურვალედ აკოცა. მერე მადლობა გადაუხადა საუზმის მომზადებისათვის, მაგრამ უსაყვედურა კიდევ, რად არ გამაღვიძე, საჭმელს მე თვითონ მოვამზადებდიო. სიცილიელი მამაკაცი და დიასახლისობა — ეს წარმოუდგენელი რამ გახლდათ.

მზისგულზე შეექცეოდნენ. მათს სიმყუდროვესა და გარინდებას ქვის ძველი გალავანი იცავდა, ულამაზესი მოზაიკით მორთული კოშკი ზედ დაჰყურებდათ. სასახლეს ნორმანული თაღები აშშვენებდა და სანახევროდ ჩამოქცეული კედლის მიღმა სალოცავის გუმბათი მოჩანდა.

სასახლის გარშემო ზეთისხილისა და ლიმონის ხეებს შორის გაისეირნეს. ფეხქვეშ ეშლებოდათ უხვი ყვავილები: ბერძენ პოეტთა მიერ ხოტბაშესხმული ასფოდელეები, ვარდისფერი ანემონები, მტყუნებად ასხმული ჰიაცინტები და მეწამული ადონისები, ლეგენდის თანახმად, ვენერას სატრფოს სისხლით რომ შეიფერა. ტორიმ ჯუსტინას მკლავი მოხვია. ქალის თმა და ტანი ყვავილების სურნელით გაჟღენთილიყო. ზეთისხილის ჩრდილში ჯუსტინა ყვავილებზე დაეშვა, ტორი თამამად მიიზიდა და ძირს გაწოლილები ერთურთს ჩაესკვნენ. ყვითელი და შავი პეპლების გუნდი თავზე დაჰფარფატებდათ, მერე კი უსასრულოდ კრიალა ცაში გაიფანტნენ.

ერთად ყოფნის მესამე და ბოლო დღეს შორს მთაში სროლის ხმა მოესმათ. ჯუსტინა შეშინდა, მაგრამ ტორიმ დაამშვიდა. ამ სამი დღის განმავლობაში მუდამ ფრთხილობდა, ქალს მისი შიში და მღელვარება რომ არ შეენიშნა. იარაღი არ გამოუჩენია, თოფები სალოცავში ჰქონდა დამალული. მისი მეგობრები იქაურობას ისე იცავდნენ, რომ სამალაჟიდან არ გამოდიოდნენ. სროლის ხმა რომ მიწყდა, მალევე ასპანუ პიშოტა გამოჩნდა მხარზე გადაკიდებული კურდღლების ასხმით. ნანადირევი ჯუსტინას ფეხებთან დაუყარა და ღიმილით უთხრა:

— მოხარშე. ეს შენი ქმრის საყვარელი კერძია. თუ გაგიფუჭდა, კიდევ ოცი ცალი გვაქვს.

ჯუსტინა კურდღლების გატყაუებას შეუდგა, ასპანუმ კი ტორის ნიშანი მისცა და მასთან ერთად გალაუნის ჩამოქცეულ თაღში გავიდა. მამაკაცები მიწაზე დასხდნენ.

— აბა, ტორი, — გაულიმა პიშოტამ, — ღირდა ეს ქალი იმად, რომ მისთვის ყველა ჩვენგანის სიცოცხლე სასწორის თასზე დაწვევით?

— ბედნიერი კაცი ვარ, — მშვიდად უპასუხა ტორიმ, — ახლა იმ ოცი კურდღლის ამბავი მითხარი, შენ რომ დახოცე.

— ლუკას ერთ-ერთი პატრული იყო, საგანგებოდ შეიარაღებული, — უპასუხა პიშოტამ, — ორი მანქანით იყვნენ, პერიმეტრზე შევაჩერეთ. ერთ-ერთი ჩვენ მიერ ჩაფლულ ჭურვებზე აფეთქდა და ისე დაიწვა, როგორც, ეჭვი მაქვს, შენი ცოლი დაწვავს მაგ კურდღლებს. მეორემ კლდეებს ესროლა და მონტელეპრეში დაბრუნდა, მაგრამ, რა თქმა უნდა, მალე დაბრუნდება და დახმარებასაც ამოიყვანს. ამაღამ აქაურობა უნდა დატოვო.

— ჯუსტინას მამა გათენებისას ამოვა მის წასაყვანად, — უპასუხა ჯულიანომ, — ჩვენი პატარა შეხვედრისათვის ყველაფერი ძზად გაქვს?

— კი.

— ჩემი ცოლი რომ წავა... — ტორის ენა დაებნა, სიტყვა „ცოლის“ წარმოთქმა უცნაურად ეჩვენა. პიშოტას გაეცინა, — ...როცა წავა, ყველანი სალოცავში მოიყვანე და იქ გაუარკვევით, — წამით დადუძდა და ჰკითხა: — გაგიკვირდა, მინესტრას შესახებ სიმართლე რომ გითხარი?

— არა, — უპასუხა პიშოტამ.

— სადილად დარჩები?

— შენი თაფლობის ბოლო დღეს? — პიშოტამ თავი გააქნია, — ხომ გახსოვს ანდაზა: ახალი პატარძლის კერძს ერიდეთ, — ანდაზის დედააზრი ის იყო, რომ დანაშაულის ჩადენისას ახალშექმნილი ამხანაგების დალატს უნდა უფროთხოდეთ. მაგრამ პიშოტამ კიდევ ერთხელ მიანიშნა იმაზე, რომ, მისი აზრით, ტორის მხრიდან ცოლის მოყვანა დიდი შეცდომა იყო.

— ასე დიდხანს მაინც ვეღარ გავაგრძელებდით, ასე რომ, ახალი

ცხოვრებისათვის უნდა ვემზადოთ, — გაუღიმა ჯულიანომ, — იმაზე იზრუნე, რომ პერიმეტრი მანამ დარჩეს გამაგრებული, ვიდრე საქმეს არ მოვამთავრებთ.

პიშოტამ თავი დაუკრა და კოცონს გახედა, რომლის წინაც ჯუსტინა ფუსფუსებდა.

— რა ლამაზი გოგონაა, — ჩაილაპარაკა პიშოტამ, — საკვირველია, ჩვენ ცხვირწინ გაიზარდა და ვერ ვამჩნევდით. ფრთხილად იყავი, მამამისი ამბობს, კაპასიაო. შენს თოფებთან არ მიუშვა.

ჯულიანომ ამ ტლანქ გლეხურ ხუმრობასაც წაუყრუა. პიშოტა გალაჟანზე გადახტა და ზეთისხილის ხეებს შორის მიიმაღლა.

ჯუსტინამ ყვავილები მოაგროვა და სასახლეში ნაპოვნ ძველ ლარნაკში ჩააწყო, სუფრა მორთო და ზედ თავისი მომზადებული კერძი შემოდგა: ნიორსა და პომიდორში ჩაშუშული კურდღლის ხორცი და ზეთითა და ძმრით შეზავებული სალათა. ტორის ქალი ოდნავ შემცბარი და დაღონებული ეჩვენა. იქნებ სროლამ დააღონა, ან ამ ედემის ბაღში გესლიანი და მრუმე პიშოტას გამოჩენამ, მხარზე ასხმული შავი თოფითა და ვაზნებით.

ერთმანეთის პირისპირ ისხდნენ და აუჩქარებლად შეექცეოდნენ. ჯულიანოს ქალის მომზადებული კერძი მოეწონა, ისიც შენიშნა, რომ ქალს მისთვის პურისა და ხორცის დამატება და ჭიქის შევსება არ დავიწყებია. ესიამოვნა, რომ ჯუსტინა თვითონაც მადიანად მიირთმევდა. ქალმა თავი ასწია და მისი მზერა შენიშნა. გაუღიმა:

— დედაშენის მომზადებულივით გემრიელია?

— ჯობია კიდევც, — უპასუხა ტორიმ, — ოღონდაც ეს არასოდეს გაუმხილო.

ქალი კატის გამჭოლ მზერას არ აცილებდა:

— ლა ვენერას მომზადებულ კერძსაც ჯობს?

ტორი მოულოდნელობისაგან შეცბა. ახალგაზრდა ქალიშვილთან არასოდეს ჰქონია სასიყვარულო კავშირი. თუმცა ბრძოლის ტაქტიკას შეჩვეული, სწრაფად გამოერკვა და მიხვდა, რომ მომდევნო შეკითხვა ლა ვენერასთან ურთიერთობას შეეხებოდა. არ სურდა ამაზე ლაპარაკი. ქვრივი ისეთი სიყვარულით არ ჰყვარებია, როგორც ეს გოგო უყვარდა, მაგრამ დღემდე გრძნობდა ლა ვენერასადმი სინაზესა და მოწიწებას. იმ ქალს ისეთი ტკივილი ჰქონდა განცდილი, რაც ჯუსტინას არც კი დასიზმრებია.

ტორიმ თავშეკავებულად გაიღიმა. ქალი სუფრის ასალაგებლად წამოდგა, მაგრამ ეტყობოდა, რომ პასუხს ელოდა.

— ლა ვენერა დიდებული დიასახლისი იყო, მასთან შენი შედარება უსამართლობა იქნება.

მეორე წამს ტორის თავთან თუფშმა ჩაიქროლა. კაცს უნებური სიცილი აუტყდა: ბედნიერებისაგან იცინოდა, რადგან ასეთი შინაური სცენის მონაწილე გახდა და რაკი პირველად დაინახა ჯუსტინას სახე ზრდილობისა და თვინიერების ნიღბის გარეშე. მაგრამ როდესაც გოგონა გულამოსკვნით ატირდა, მასთან მივიდა და მოეხვია.

როგორც სიცილიის მთაში იცის ხოლმე, უეცრად ჩამოწოლილ ბინდში იდგნენ. ტორიმ შავი თმიდან ნაზად ამოწვერილ ყურში ჩასჩურჩულა:

— გეხუმრე. მთელ მსოფლიოში საუკეთესო დიასახლისი ხარ, — მაგრამ გოგონას კისერში ჩარგულ სახეზე ღიმილი დასთამაშებდა.

ერთად გატარებულ უკანასკნელ დამეს უფრო ლაპარაკობდნენ, ვიდრე სიყვარულს ეძლეოდნენ. ჯუსტინამ ლა ვენერას შესახებ ჰკითხა და ტორიმ უპასუხა, ეს წარსულია და ორივემ უნდა დავივიწყოთ. ქალმა ჰკითხა, შემდეგ როგორ უნდა ენახათ ერთმანეთი. ტორიმ მოუყვა თავისი გეგმები: ამერიკაში მის გამგზავრებას აპირებდა და მოგვიანებით თვითონაც მასთან ჩავიდოდა. მაგრამ ქალმა ეს მამისგან იცოდა; ახლა ის აღელვებდა, ამერიკაში გამგზავრებამდე როდის ნახავდა. ჯულიანომ შენიშნა, რომ ქალი სრულიად ვერ აცნობიერებდა იმ საფრთხეს, რაც მის ქმარს ემუქრებოდა: ტრაგიკულ დასასრულზე საფიქრალად ჯერ მეტისმეტად ახალგაზრდა იყო.

ჯუსტინას მამა გამთენიისას ამოვიდა; ქალი წამით მაგრად გადაეხვია ჯულიანოს და წავიდა.

ჯულიანო სალოცავში შევიდა და ასპანუს დაელოდა, რომელსაც ბანდის ქვემეთაურები უნდა მოეყვანა. ვიდრე იცდიდა, სალოცავში დამალული იარაღი აისხა.

ჯვრისწერის წინ აბატ მანფრედისთან საუბრისას ჯულიანომ გამოთქვა თავისი ეჭვი იმის თაობაზე, რომ ჯინესტრას ტრაგედია მდეორი დღით ადრე სტეფან ანდოლინი და პასატემპო დონ კროჩეს შეხვედრიან. აბატი დაარწმუნა, თქვენს ვაჟს არაფერს ვავნებ, მაგრამ სიმართლე უნდა ვიცოდეთ. აბატმა ყველაფერი უამბო. როგორც

ჯულიანო ვარაუდობდა, ანდოლინიმ მას აღსარებისას გაანდო, რაც მოხდა.

დონ კროჩემ ანდოლინის დააჯალა, მასთან ვილაბაში საიდუმლოდ მიეყვანა პასატემპო. მასთან საუბრისას დონმა ანდოლინის ოთახში შესვლა აუკრძალა. ეს ჯინესტრას მკვლევლობამდე ორი დღით ადრე იყო. პირველი მაისის შემდეგ ანდოლინიმ პასატემპო აიძულა, სიმართლე ეთქვა. ყაჩაღმა აღიარა, რომ დონ კროჩემ ძალზე მომხიბლავი თანხა გადაიხადა იმაში, რომ ჯულიანოს ბრძანება დაერღვია და ხალხისთვის ესროლა. პასატემპომ ანდოლინი დააშინა, თუკი ჯულიანოსთან გამთქვამ, დავიფიცებ, რომ დონ კროჩესთან ჩემს საუბარს შენც ესწრებოდიო. ანდოლინიმ სიფრთხილე გამოიჩინა და მამის გარდა არავისთვის არაფერი უთქვამს. აბატმაც დუმილი ურჩია. ტრაგედის შემდეგ ჯულიანო ისე იყო გამხეცებული, რომ ალბათ ორივეს დახოცავდა.

ჯულიანომ კიდევ ერთხელ დაარწმუნა აბატი, რომ ანდოლინის არაფერს დაუშავებდა. შემდეგ პიშოტას აუხსნა, რა უნდა გაეკეთებინა, ოღონდ ჯერ ჯუსტინა უნდა გაემგზავრებინათ შინ. არ სურდა ჯვრისწერის წინ სისხლით დასერილიყო.

ახლა კი ნორმანთა სასახლის ჩამოქცეულ სალოცავში იცდიდა, გუმბათად ხმელთაშუა ზღვისპირეთის ლურჯი ცა რომ ჰქონდა. ჩამონგრეულ საკურთხეველს მიეყრდნო და ამ დროს შემოვიდნენ პიშოტა და დანარჩენები. პიშოტას დავლებით კაპრალი ისე დადგა, რომ ანდოლინი და პასატემპო მიზანში ჰყოლოდა ამოღებული. პიშოტამ ეს ორნი ჯულიანოს პირისპირ, საკურთხეველთან მიიყვანა. ტერანოვა, რომელიც საქმის კურსში არ იყო, ერთ-ერთ სალოცავ მერხზე ჩამოჯდა. წინა ღამეებში სწორედ ის ხელმძღვანელობდა პერიმეტრის დაცვას და გადაღლილიყო. ჯულიანოს არავისთვის უთქვამს, რას უპირებდა პასატემპოს.

იცოდა, რომ პასატემპო ველური მხეცივით გრძნობდა მოსალოდნელ ხიფათს. ამიტომ სიფრთხილე გამოიჩინა და ისევე ეპყრობოდა, როგორც სხვა დროს. პასატემპოსთან მუდამ სხვებზე მეტი დისტანცია ჰქონდა. განგებ დააჯალა ტრაპანის შორეული პროვინციის კონტროლი, რათა გვერდით არ ჰყოლოდა, რადგან გრძნობდა, რომ პასატემპოს სძულდა. ჯულიანო მას ჯაშუშების დასასჯელად და იმ ჯიუტი „სტუმრების“ დასაშინებლად იყენებდა, გამოსასყიდის

გადახდა რომ არ სურდათ. როგორც წესი, პასატემპოს დანახვა უკვე საკმარისი იყო სასურველი შედეგისათვის, ხოლო, თუ ეს არ ჭრიდა, მაშინ პასატემპო ისეთი ამხარზენი სიამოვნებით უამბობდა „სტუმარს“, თანხის გადაუხდელობის შემთხვევაში რა ბედი ეწოდებოდათ მას და მისი ოჯახის წევრებს, რომ ვაჭრობა მაშინვე წყდებოდა.

ჯულიანომ ავტომატური პისტოლეტი პასატემპოს დაუმიზნა და უთხრა:

— ვიდრე ერთმანეთს დაუშორდებოდეთ, ყველამ ჩვენ-ჩვენი ვალი უნდა გადავიხადოთ. შენ ჩემი ბრძანება დაარღვიე და დონ კროჩეს პორტელა დელა ჯინესტრასთან ხალხის დახოცვისათვის ფული გამოართვი.

ტერანოვა შევიწროებული თვალებით უძხერდა ჯულიანოს, საკუთარი უსაფრთხოება აწუხებდა და ფიქრობდა, ამ სიტყვებით მისი უფროსი ნამდვილი დამნაშავის გამოვლენას ხომ არ ცდილობსო. უკვე დააპირა თავის დაცვა, მაგრამ პიშოტამ თოფის ლულა პასატემპოს მიაბჯინა.

— ვიცი, შენ და შენი რაზმი ჩემს ბრძანებას ასრულებდით, — მიმართა ჯულიანომ ტერანოვას, — პასატემპომ კი არ შეასრულა. ამით შენი სიცოცხლეც ჩააგდო საფრთხეში, რადგან, სიმართლე რომ არ გამოემერკვია, შეიძლებოდა, ოროვე დამესაჯეთ. ახლა კი მხოლოდ მასთან მაქვს საქმე.

სტეფან ანდოლინის სახე არ შესტოკებია. კვლავაც სწამდა, რომ არაფერი დაუშავდებოდა. თვითონ ჯულიანოს ერთგული იყო და ისევე ენდობოდა, როგორც ფანატიკოსი ენდობა ღმერთს და მისი სახელით ყოველგვარ დანაშაულს სჩადის.

პასატემპომაც იცოდა თავისი ბედი: მხეცური ალლოთი გრძნობდა, რომ სიკვდილი მიუახლოვდა. საკუთარი მრისხანების გარდა ვეღარაფერი იხსნიდა, მაგრამ რა უნდა ეღონა? ორი თოფის ლულა მისკენ იყო მიმართული. მხოლოდ დროის გაწეღვა შეეძლო უკანასკნელი სასოწარკვეთილი მცდელობისათვის.

— ფულიც და დონის წერილიც სტეფან ანდოლინიმ გადმომცა, პასუხი მას მოსთხოვეთ, — თქვა მან, რადგან იმედოვნებდა, ანდოლინი თავის გასამართლებლად რაიმეს იტყოდა, შეინძროდა, თვითონ კი დროს იხელთებდა და იერიშზე გადავიდოდა.

— ანდოლინომ თავისი ცოდვები აღიარა, — უპასუხა ჯულია-

ნომ, — მას იმ მკვლევლობებთან საქმე არ ჰქონია. დონ კროჩემ ისიც ჩემსავით მოატყუა.

პასატემპომ ტლანქი გაღიზიანებით შეუდრინა:

— ვერ გამიგია: ასი კაცი მაინც მყავს მოკლული და არასოდეს გითქვამს საყვედური. პორტელას ამბავი ორი წლის წინ მოხდა. ჩვენ კი შვიდი წელია, ერთად ვართ და ეს პირველი შემთხვევა იყო, როცა არ დაგემორჩილე. დონ კროჩემ დამარწმუნა, რომ ეს შენტვის ბევრს არაფერს შეცვლიდა, უბრალოდ, შენ მეტისმეტად გულჩვილი ხარ ასეთი ბრძანების გასაცემად. რამდენი ადამიანი გყავს ერთად დახოცილი? პირადად შენტვის არასოდეს მილალატია.

იმ წამს ჯულიანო მოხვდა, რომ ეს კაცი ვერასოდეს მიხვდებოდა, რა საშინელება ჩაიდინა. ან თვითონ რატომ გრძნობდა თავს ასე შეურაცხყოფილად? მართლაც, რამდენი დანაშაული ჩაიდინეს მისი ბრძანებით: დალაქის დასჯა, ყალბი მღვდლის ჯვარზე გაკვრა, გატაცებები, კარაბინერებისა და ჯაშუშების მკვლევობა... თუკი პასატემპო სისხლისმსმელი მხეცი იყო, მაშ, თვითონ ვინდა იყო? სიცილიის მხსნელი და გმირი? იგრძნო, რომ არ სურდა ამ კაცის დასჯა.

— რამდენიმე წუთს გაძლევ ლოცვის სათქმელად.

დანარჩენები პასატემპოს მოშორნენ, თითქოს, სიკვდილის დახშულ წრეში დატოვეს. ის წინ დაიხარა, თითქოს დაჩოქებას აპირებდნო, და უეცრად ჯულიანოს ეცა. ჯულიანო მისკენ წამოიწია და ამავდროულად თითი ჩახმავს ჩამოჰკრა. ტყვიები პასატემპოს ჰაერში მოხვდა, მაგრამ მისი სხეული ძირს დაცემისას მას მიეხალა. ჯულიანომ გვერდზე გაიწია.

იმავე დღეს პასატემპოს გვამი მთის შარაზე კარაბინერთა პატრულმა იპოვა. მკერდზე ბარათი ჰქონდა მიმაგრებული, რომელზეც ეწერა: „**ასე ჩამალდება ჯულიანოს ყველა მოღალატე**“.

წიგნის ელექტრონული ვერსია
მოამზადა: აკაკი ციციშვილმა

www.PDF.ChiaturaINFO.GE

წიგნი V

ტორი ჯულიანო და მაიკლ კორლეონე 1950

თავი 25

მაიკლს ღრმად ეძინა და უეცრად ისე წამოვარდა, თითქოს, მთელი ძალით ამოზიდა სხეული ორმოდან. საძინებელში ბნელოდა. ძილის წინ ხის დარაბები დაკეტა, მთვარის მკრთალ ლიმონისფერ შუქს რომ არ შეეწუხებინა. სიჩუმეს მხოლოდ მისი გულისცემა არღვევდა, მაგრამ გრძნობდა, რომ ოთახში მის გარდა ვიღაც იყო.

საწოლში შეტრიალდა და ბნელ იატაკზე კიდევ უფრო ბნელი ლაქა დაინახა. საწოლთან ნათურა აანთო. ძირს შავი მადონას მოტეხილი თავი ეგდო. იფიქრა, მაგიდიდან ჩამოვარდა და ამ ხმაურმა გამაღვიძაო. შვებით ამოისუნთქა, მაგრამ მეორე წუთს კართან ხმაური მოესმა. იქით მიტრიალდა და ლამპის შუქისათვის მიუწვდომელ ჩრდილში ასპანუ პიშოტას გაღეული შავტუხა სახე დაინახა.

ის ძირს იჯდა ზურგით კარს მიყრდნობილი და უღვაშებში იღიმოდა, აქაოდა, ესეც შენი დაცვა და შენი საძინებლის უსაფრთხოებაო.

მაიკლი ღამის მაგიდაზე თავის მაჯის საათს დასწვდა და დახედა. სამი საათი იყო.

— უცნაური ღრო შეარჩიეთ. აქ რას ელოდებით? — საწოლიდან წამოდგა, ტანთ სწრაფად ჩაიცვა და დარაბები გახსნა. მთვარის ბუნდოვანი სინათლე ოთახში შემოვიდა.

— რატომ არ გამაღვიძეთ? — იკითხა მაიკლმა.

— მიყვარს მძინარე ადამიანების ცქერა, — გაიღიმა პიშოტამ და საკბენად წამომართული გველივით წამოდგა ფეხზე, — სიზმარში ზოგჯერ თავიანთ საიდუმლოებებსაც ამხელენ.

— მე არასოდეს ვამხელ ჩემს საიდუმლოებებს, სიზმარშიც კი, — უპასუხა მაიკლმა. ტერასაზე გავიდა და პიშოტას სიგარუტი გაუწოდა. ერთად გააბოლეს. მაიკლს პიშოტას მკერდში შეკავებული ხველისაგან მოგუდული ხროტინი ესმოდა, მთვარის შუქში სახითაც მოჩვენებას რომ ჰგავდა.

ერთხანს დუმდნენ, შემდეგ პიშოტამ იკითხა:

— ბოლოს და ბოლოს, ნახეთ „ანდერძი“?

— ჰო, — უპასუხა მაიკლმა.

— ტორი ჩემზე მეტად არაუვის ენდობა, — ამოიხვნეშა პიშოტამ, — თავის სიცოცხლეს მანდობდა. ამჟამად ერთადერთი ვარ, ვისაც მისი მოძებნა შეუძლია. მაგრამ „ანდერძს“ არ მანდობს. თქვენ გაქვთ?

მაიკლი წამით შეჭოჭმანდა. პიშოტას გაეცინა:

— ტორის ჰგავხართ.

— „ანდერძი“ ამერიკაშია, — უთხრა მაიკლმა, — მამაჩემს საიმედოდ აქვს გადამალული, — პიშოტას დაუმალა, რომ „ანდერძი“ ჯერ კიდევ ტუნისისკენ გზად იყო, რადგან ამის შესახებ სრულებით არაუვის არ უნდა სცოდნოდა.

მაიკლს თითქმის ეშინოდა მომდევნო შეკითხვის დასმა. პიშოტას ამ იდუმალ მოსვლას შეიძლებოდა ერთადერთი მიზეზი ჰქონოდა. მხოლოდ ერთი მიზეზით გარისკავდა ვილაზე დაცვის დაუკითხავად შემოპარვას. ან იქნებ შემოუშვეს? მიზეზი ის უნდა ყოფილიყო, რომ ჯულიანო მალე გამოჩნდებოდა.

— როდის მოდის ჯულიანო? — იკითხა მან.

— ხვალ ღამით, — უპასუხა პიშოტამ, — ოღონდ აქ არა.

— რატომ? — გაკვირვა მაიკლმა, — აქ უსაფრთხო ადგილია.

— მე ხომ ყველასათვის შეუმჩნეველად შემოვუვდი, — გაეცინა პიშოტას.

ამ ჭეშმარიტებამ მაიკლი გააღიზიანა. კვლავ გაიფიქრა, იქნებ პიშოტა მაინც დონ დომენიკის ბრძანებით შემოუშვესო.

— ეს ჯულიანომ უნდა გადაწყვიტოს, — თქვა მან.

— არა, — მიუგო პიშოტამ, — მის ნაცვლად ეს მე უნდა გადაწყვიტო. მის ოჯახს პირობა მიეცით, რომ აქ უსაფრთხოდ იქნება, მაგრამ თქვენი ადგილსამყოფელი დონ კროჩემაც იცის და

ინსპექტორმა ველარდიმაც. მათ ყველგან ჰყავთ ჯაშუშები. რა სიბრყველეს გვიყვებით? გგონიათ, ტორის ქორწილში ან დაბადების დღეზე ეპატოჟებით? იქნებ გასვენებაში? სიცილიელები ყველანი სულელები ხომ არ გგონივართ? — ეს საშიში კილოთი წარმოთქვა.

— გაქცევის ჩემეულ გეგმას არ გაგანდობთ, — უპასუხა მაიკლმა, — გინდათ მენდეთ, გინდათ ნუ მენდობით. თუ არ მეტყვით, ამერიკაში გავემგზავრები, თქვენ კი აქ დარჩით და ვირთხეზებით დაიძალეთ.

— ნამდვილი სიცილიელის ნათქვამია, — გადაიხარხარა პიშოტამ, — გეტყობათ, აქ დრო უქმად არ დაგიკარგავთ, — მერე ამოიოხრა, — ვერ დამიჯერებია, რომ, როგორც იქნა, ყველაფერი დამთავრდება. ბრძოლის, გაქცევის, ღალატისა და მკვლელობების თითქმის შვიდი წელიწადი! მაგრამ მე და ტორი მონტელეპრეს მეფეები ვიყავით, ორივეს სამყოფი დიდება გვერგო წილად. ის მუდამ ღარიბებს ესარჩლებოდა, მე კი მუდამ ჩემთვის ვიყავი. თავიდან მისი იდეების არ მწამდა, მაგრამ ბანდიტობის მეორე წელიწადს თავის სიმართლეში ყველანი დაგვაჯერა. ნუ დაგავიწყდებათ, რომ მისი მარჯვენა ხელი ვარ, მისი მესაიდუმლე, მისი დეიდაშვილი. მისივე ნაჩუქარი ოქროს ბალთა მიკეთია. მაგრამ, როცა პარტინიკოში ერთი ფერმერის ქალიშვილი შევაცდინე და დაუაორსულე, გოგოს მამამ ჯულიანოსთან მიჩივლა. იცით, რა ქნა ჯულიანომ? ხეზე თოკით მიმაბა და გამშოლტა. ოღონდ — არა ჩვენი ამხანაგების წინაშე. ასეთ შეურაცხყოფას არასოდეს მაკადრებდა. ეს მხოლოდ ჩემი და მისი საიდუმლო იყო, მაგრამ ვიცოდი: კიდევ ერთხელ რომ ჩამედინა მსგავსი რამ, მომკლავდა. აი, ასეთია ჩვენი ტორი, — პიშოტამ აცახცახებული ხელი პირთან მიიტანა.

მაიკლმა გაიფიქრა: ნეტავ, რატომ მომიყვა ამ უცნაურ ამბავსო.

საძინებელში დაბრუნდნენ და მაიკლმა ისევ დაკეტა დარაბები. პიშოტამ იატაკიდან შავი მადონას მოტეხილი თავი აიღო და მაიკლს გაუწოდა.

— ეს თქვენს გასაღვიძებლად დაუგდე ძირს. „ანდერძი“ ქანდაკებაში იყო, ხომ ასეა?

— ჰო, — უპასუხა მაიკლმა.

პიშოტამ მრავალმნიშვნელოვანი სახით წარმოთქვა:

— მარია ლომბარდომ მომატყუა. ვკითხე, „ანდერძი“ შენ თუ გაქვს-მეთქი და არაო, მიპასუხა. მერე კი ჩემ თვალწინ გადმოგცათ, — მწარედ ჩაიციხა, — შვილივით ვუყვარდი, — შეყვონდა და მერე განაგრძო, — და მეც დედასავით მიყვარდა.

პიშოტამ კიდევ ერთი სიგარეტი ითხოვა. ღამის მაგიდაზე დოქში ცოტაოდენი ღვინო ჩარჩენილიყო. მაიკლმა თავისთვისაც ჩამოასხა და პიშოტასთვისაც და ყაჩაღმა სიამოვნებით დალია.

— გმადლობთ. ახლა კი საქმეს მივხედოთ. ჯულიანოს კასტელ-ვეტრანოს შემოგარენში შეგახვედრებთ. ღია მანქანით მოდით, რომ შორიდანვე გიცნოთ. ტრაპანიდან მომავალ გზაზე ჩამოიარეთ, ადგილს მე თვითონ შევარჩევ. თუ საფრთხეს შენიშნავთ, ქუდი დაიხურეთ და საერთოდ არ გამოჟინდებით. დრო — როგორც კი ირიჟრაჟებს. შეძლებთ ამის გაკეთებას?

— ჰო, — თქვა მაიკლმა, — ყველაფერი მზადაა. ოღონდ ერთი რამ უნდა გითხრათ: გუშინ სტეფან ანდოლინის ჰექტორ ადონისისთვის დათქმულ დროს არ გამოუვლია. პროფესორი ძალიან აღელვებული ჩანდა.

პიშოტა ჯერ შეკრთა, მერე კი მხრები აიჩეჩა.

— ეს პატარა კაცი მუდამ თარსი იყო. ახლა კი ხვალ გათენება-მდე უნდა დაგემშვიდობოთ, — პიშოტამ მაიკლს ხელი ჩამოართვა.

— ჩვენთან ერთად წამოდით ამერიკაში, — უეცრად აღმოხდა მაიკლს.

პიშოტამ თავი გააქნია:

— მთელი ჩემი ცხოვრება სიცილიაზე გავატარე და ეს ცხოვრება მიყვარს. თუ სიკვდილი მიწერია, აქ უნდა მოვკვდე. მაინც გმადლობთ.

მაიკლი ამ სიტყვებმა უჩვეულოდ ააღელვა. პიშოტას კარგად არ იცნობდა, მაგრამ იგრძნო, რომ ის იმ ადამიანთა რიცხვს ეკუთვნოდა, ვისი უცხო ნიადაგზე გადანერგვა შეუძლებელი იქნებოდა. მეტი სმეტად მრისხანე და უღმობელი იყო; ფერითაც და საუბრითაც — ჭეშმარიტი სიცილიელი. ის უცხო მიწას არასოდეს მიენდობოდა.

— ვეტყვი, ჭიშკარში გაგიშვან, — შესთავაზა მაიკლმა.

— არა, ჩვენი ხანმოკლე შეხვედრა საიდუმლოდ უნდა დარჩეს, — უპასუხა პიშოტამ.

მისი წასვლის შემდეგ მაიკლი საწოლში იწვა და ვერ იძინებდა. როგორც იქნა, პირისპირ შეხვდებოდა ტორი ჯულიანოს და ამერიკაში ერთად გაემგზავრებოდნენ. სულ იმას ფიქრობდა, ნეტავ, როგორი აღმოჩნდებაო. ლეგენდა მართალს ამბობდა? მართლაც ისეთი ბუმბერაზი იყო, რომ კუნძულზე ძლივს ეტეოდა და მთელ ერზე ახდენდა გავლენას? მაიკლი საწოლიდან წამოდგა და დარაბები გახსნა. როგორც იქნა, თენდებოდა, შხის პირველმა სხივმა ზღვა ოქროს ბილიკად გასერა, რომელსაც ახლა დოკისკენ სწრაფად მიმავალი მოტორიანი ნავი მიუყვებოდა. მაიკლი ვილიდან ნაპირისაკენ გაექანა პიტერ კლემენზას დასახვედრად.

ერთად ისაუბრეს და მაიკლმა პიშოტას სტუმრობაზე უამბო. კლემენზას არ გაჰკვირებია, პიშოტამ ფარულად რომ შეადწინა ვილაზე.

დილის დანარჩენ ნაწილს ჯულიანოსთან შეხვედრის დაგეგმვას მოუწოდნენ. ვილას ჯაშუშები უთვალთვალებენ და ნებისმიერ უცნაურ მოძრაობას აფიქსირებენ. ავტომობილთა კოლონა უსათუოდ მიიქცევეს მათ ყურადღებას. ცხადია, მაიკლსაც უთვალთვალებენ. მართალია, ინსპექტორი ველარდი არ ჩაერევა, მაგრამ ღალატისგან დაზღვეული არაფინაა.

შუადღისას მაიკლი თავის ოთახში წავიდა დასასვენებლად. უნდოდა ამ მძიმე ღამის წინ გამოეძინა. პიტერ კლემენზას კი ბევრი საქმე ჰქონდა: ბრძანებები უნდა გაეცა, ტრანსპორტი მოემზადებინა და ძმასთან მოეთათბირა.

მაიკლმა დარაბები დაკეტა და მიწვა, მაგრამ მთელი სხეული დაძაბული ჰქონდა და ვერ ისვენებდა. ამ ოცდაოთხი საათის განმავლობაში შეიძლება საშინელება დატრიალებულიყო. ცუდი წინათგონობა ჰქონდა. მაგრამ, ბოლოს და ბოლოს, ჩაეძინა და შინ, ლონგ-აილენდზე, თავისიანებთან დაბრუნება ესიზმრა.

თავი 26

მთაში ცხოვრების მეშვიდე წელიწადს ტორი ჯულიანო მიხვდა, რომ დრო იყო, მიეტოვებინა თავისი სამეფო და გაქცეულიყო ამერიკაში, სადაც ჩაისახა, სადაც მისი მშობლები ერთ დროს ცხო-

ვრობდნენ და მას მერე იქაურობის შესახებ ზღაპრებს უამბობდნენ. ამ საარაკო ქვეყანაში სამართალი ღარიბებისთვისაც არსებობდა, მთავრობა მდიდართა ყურმოჭრილი მონა არ იყო და უქონელი სიცოცხლეები მხოლოდ და მხოლოდ პატიოსანი შრომით დიდ სიმდიდრეს იხვეჭდნენ.

ღონ კროჩე მასთან მეგობრობის დასამტკიცებლად ამერიკაში ღონ კორლეონეს დაუკავშირდა და ჯულიანოს შეკედლება სთხოვა. ჯულიანომ კარგად იცოდა, რომ ღონ კროჩე საკუთარ ინტერესებსაც ემსახურებოდა, მაგრამ არჩევანი აღარ რჩებოდა — მისი ბანდა ძალას კარგავდა.

ამ ღამით ასპანუ პიშოტასთან შესახვედრად მიდიოდა და საკუთარ სიცოცხლეს ამერიკელ მაიკლ კორლეონეს ჩააბარებდა. სამუდამოდ ტოვებდა მშობლიურ მთებს, შვიდი წლის განმავლობაში თავშესაფარს რომ ჩუქნიდა. თავის უგვირგვინო სამეფოს, ძალაუფლებასა და მეგობრებს; მისი ჯარი შეთხელებულიყო; მთის ყოველ მტკაველს მტრები ჩხრეკდნენ, მისი მოძმე სიცოცხელი ხალხი პოლკოვნიკმა ლუკამ მოდრიკა. თუ დარჩებოდა, კიდევ ერთ-ორ გამარჯვებას იზეიმებდა, მაგრამ მაინც განწირული იყო. გამოსავალი აღარ ჰქონდა.

ტორი ჯულიანომ ლუპარა მხარზე გადაიკიდა, ავტომატური პისტოლეტიც აიღო და პალერმოს მიმართულებით დაადგა გზას. თეთრი მაისური ეცვა, ზემოდან კი დიდჯიბებიანი ტყავის ქურთუკი, რომელშიც ტყვიების მარაგი ელაგა. საათი ცხრას უჩვენებდა და, მთვარის შუქის მიუხედავად, ცას ჯერ კიდევ შერჩენოდა დღის სინათლის ზოლები. ყოველ წამს შეიძლებოდა „ბანდიტიზმთან ბრძოლის არმიის“ პატრულს გადაჰყროდა, მაგრამ მაინც უშიშრად მიაბიჯებდა. წლების მანძილზე გაუჩინარების ხელოვნებას დაეუფლა, უფრო სწორად, ხალხი ეხმარებოდა და მუდამ აფარებდა უჩინმაჩინის მოსასხამს. ახლომახლო პატრული რომ ყოფილიყო, ვინმე შეატყობინებდა. თუ საფრთხე დაემუქრებოდა, თავიანთ სახლებში შეიფარებდნენ, ხოლო, თუ თავს დაესხმებოდნენ, მეცხვარეები და ფერმერები მხარში ამოუდგებოდნენ და დაიცავდნენ. ჯულიანო მათი მხსნელი და გმირი იყო, ხალხი მას არასოდეს მიატოვებდა.

ჯულიანოს დაქორწინების შემდეგ რამდენიმე თვე გავიდა. ამ ხნის განმავლობაში მის ბანდას სამი-ოთხი შეტაკება ჰქონდა პოლკოვნიკ ლუკას ჯართან. პოლკოვნიკმა პასატემპოს სიკვდილი თავის დამსახურებად გამოაცხადა, გაზეთები იუწყებოდნენ, რომ ბანდის ერთ-ერთი ყველაზე საშიში მეთაური პოლიციელებმა ხელჩართულ ბრძოლაში მოკლეს. ცხადია, მასთან ერთად ნაპოვნი ბარათი არაუვის უხსენებია, თუმცა ინსპექტორმა ველარდიმ მის შესახებ დონ კროჩეს აცნობა. დონი მიხვდა, რომ ჯულიანომ ყველაფერი იცოდა ჯინესტრასთან დაკავშირებული დალატის შესახებ.

ლუკას ხუთიათასიანი ჯარი ჯულიანოს ყოველ ნაბიჯზე ავიწროებდა. პალერმოში საკვების მარაგის შესყიდვა, ანდა მონტელეპრეში დედისა და ჯუსტინას მოსანახულებლად მისვლა მისთვის ახლა გამორიცხული იყო. მისი ბევრი მეგობარი მოტყუებით დაიჭირეს ან ამოხოცეს. სხვები თვითონ გარბოდნენ ალჟირსა თუ ტუნისში. ზოგიერთი ისეთ ადგილებს აფარებდა თავს, რომ ბანდისა და მისი საქმიანობისგან მოწყვეტილი ყოფილიყო. მაფიაც უკვე დიად უპირისპირდებოდა და თავის ქსელს საიმისოდ იყენებდა, ჯულიანოს ხალხი კარაბინერებისთვის რომ გადაეცა.

ყველაფერთან ერთად მისი ერთ-ერთი ქვემეთაურიც მწყობრიდან გამოვიდა.

ტერანოვას თავისი პატიოსნების გამო არ გაუმართლა. ის არც პასატემპოსავით მრისხანე იყო, არც პიშოტასავით ცბიერი, არც „ფრა დიაბოლოსავით“ სასტიკი, არც ჯულიანოსავით უმწიკვლო. ჭკვიანი იყო, მაგრამ, ამასთან, მგრძნობიარე და ვნებებს აყოლილი. მისი ხასიათის გამო ჯულიანო ხშირად იყენებდა მძევლების გულის მოსაგებად და დასარწმუნებლად, რომ თავიანთი სიმდიდრე ღარიბებისთვის დაერიგებინათ. ასევე, ტერანოვას რაზმს ევალეზოდა ღამლამობით პალერმოს ქუჩებში ჯულიანოს განცხადებების გაკვრა. სასტიკ, სისხლიან ოპერაციებში ტერანოვა იშვიათად მონაწილეობდა.

ამ ადამიანს სიყვარულისა და სითბოს მოთხოვნილება ჰქონდა. რამდენიმე წლის წინ საყვარელი გაიჩინა — ქვრივი ქალი, რომელსაც სამი მცირეწლოვანი ბავშვი ჰყავდა. ქალმა არ იცოდა, რომ ბანდიტი იყო. ტერანოვამ მას თავი რომის სახელმწიფო მოხელედ

წარუდგინა, რომელიც სიცილიაზე შვებულებას ატარებდა. ქალი მადლიერად იღებდა მისგან ფულსა და ბავშვებისათვის მიტანილ საჩუქრებს, თუმცა ესმოდა, რომ ვერასოდეს იქორწინებდნენ. მამაკაცს იმ სითბოსა და ძრუნველობას არ აკლებდა, რაც მას ძლიერ სჭირდებოდა: როცა კი ესტუმრებოდა, მუდამ საგანგებო კერძებს უშხადებდა, ტანისამოსს ურეცხავდა და საწოლშიც მთელი გრძნობით ეალერსებოდა. ასეთი ურთიერთობა „მეგობართა მეგობრების“ თვალს ვერ დაემალეებოდა და დონ კროჩემ ეს ინფორმაცია საგანგებოდ დაიმახსოვრა, საჭიროებისამებრ რომ გამოეყენებინა.

ჯუსტინამ რამდენჯერმე ინახულა ჯულიანო მთაში და ამ მგზავრობებისას მას მუდამ ტერანოვა აცილებდა. მისმა სილამაზემ ყაჩაღს გრძნობები აუშალა და გადააწყვეტინა, თავისი საყვარელი კიდევ ერთხელ, უკანასკნელად ენახა. უნდოდა მისთვის ისეთი თანხა დაეტოვებინა, რომ შემდეგ წლებში ბავშვების გამოკვება შესძლებოდა.

ერთ ღამეს მარტო შეიპარა პალერმოში, ქვრივს ფული აჩუქა და აუხსნა, რომ, შესაძლოა, დიდი ხნის განმავლობაში ვეღარ ენახა. ქალი ატირდა, არ ისურვა ამასთან შეგუება და ბოლოს და ბოლოს ტერანოვა გამოუტყდა, თუ ვინ იყო სინამდვილეში. ქალს არ სჯეროდა, რომ მისი გულჩვილი და დიდსულოვანი სატრფო ჯულიანოს ბანდის წევრი ყოფილა. გაასმაგებელი გზნებით ეალერსა და კაცს უდიდესი ნეტარება მიანიჭა. შემდეგ ბავშვებთან ერთად მშვიდი და ბედნიერი საღამო გაატარეს. ტერანოვამ მათ ბანქოს თამაში ასწავლა და, როდესაც იგებდნენ, ნამდვილ ფულს ჩუქნიდა. ბავშვები აღტაცებით ჟრიამულობდნენ.

როდესაც პატარებმა დაიძინეს, ტერანოვა ქალს გათენებამდე ეალერსა. ბოლოს წასასვლელად გაემზადა. კართან ქალს უკანასკნელად მოეხვია და სწრაფად გაუყვა ტაძრის მოედნისაკენ მიმავალ პატარა ქუჩას. ბედნიერებასა და კმაყოფილებას განიცდიდა და სიფრთხილე გადაავიწყდა.

დილის ჰაერი ძრავების ღრიალმა გააპო. მისკენ სამი შავი მანქანა მოემართებოდა. მოედანზე შეიარაღებული ხალხი გამოჩნდა, მანქანებიდანაც შეიარაღებული ადამიანები გადმოვიდნენ. ერთერთმა დაუყვირა, დაგვნებდი და ხელები მაღლა ასწიეო.

ტერანოვამ უკანასკნელად ახედა ტაძარს, ყვითულ და იისფერ აივნებსა და ლაჟვარდოვან ცას. იცოდა, ამ სილამაზეს ვედარასოდეს ნახავდა, მისი შვიდი იღბლიანი წელიწადი დასრულდა. მხოლოდ ერთი რამ დარჩა გასაკეთებელი.

დიდი ნახტომი გააკეთა, თითქოს სურდა, თავდამსხმელებს სხვა, უკეთეს სამყაროში გაქცეოდა, გვერდზე გახტა და ძირს რომ დაეშვა, სროლა ატეხა. ერთ-ერთი თოფიანი შეტორტმანდა და მუხლზე დაეცა. ტერანოვამ კვლავ დააპირა გასროლა, მაგრამ იმავე წამს ასობით ტყვიამ დაუფლითა სხეული. ერთი მხრივ გაუმართლა კიდევ: ყველაფერი იმდენად სწრაფად მოხდა, რომ იმის გაფიქრება ვერ მოასწრო, ვაითუ, საყვარელმა გამცაო.

* * *

ტერანოვას სიკვდილმა ჯულიანოსაც განწირულობის დალი დაასვა. იცოდა, რომ ბანდის საქმე წასული იყო: ვედარც ბრძოლით დაიცავდნენ თავს და ვედარც მთაში დაიმალებოდნენ. მუდამ დარწმუნებული იყო, რომ თვითონაც და მისი ქვემეთაურებიც გაქცევას მოახერხებდნენ და სიკვდილი არ ემუქრებოდათ. მაგრამ ახლა მიხვდა, რომ დრო თითქმის აღარ რჩებოდა. ერთი რამის გაკეთება უნდა მოესწრო. კანო სილვესტრო გამოიძახა და უთხრა:

— ჩვენი დრო ამოიწურა. ოდესღაც მითხარი, რომ ინგლისში მეგობრები გყავს, რომლებიც მხარში ამოგიდგებიან. დროა, წახვიდე. გიშვებ.

სილვესტრომ თავი გააქნია.

— ამერიკაში როცა იქნები, მერეც მოვასწრებ წასვლას. ჯერ კიდევ გჭირდება. ხომ იცი, არასოდეს გიღალატებ.

— ვიცი, — უთხრა ჯულიანომ, — შენც ხომ იცი, რომ განსაკუთრებულად მიყვარხარ. მაგრამ ბანდიტი არასოდეს ყოფილხარ, მუდამ ჯარისკაცად და პოლიციელად რჩებოდი. ხასიათით კანონმორჩილი და პატიოსანი ხარ და, ამიტომ, როცა ეს ყველაფერი მორჩება, ახალი ცხოვრების დაწყება არ გაგიჭირდება. ჩვენ კი, დანარჩენები, მეტისმეტად შევეჩვიეთ ყაჩაღურ ყოფას.

— შენ არასოდეს გთვლიდი ყაჩაღად, — უპასუხა სილვესტრომ.

— არც მე ვფიქრობდი ასე, მაგრამ რა გავაკეთე ამ შვიდი წლის

განმავლობაში? მეგონა, სამართლიანობისათვის ვიბრძოდი. ღარიბების დახმარებას ვცდილობდი. სიცილიის გათავისუფლება მსურდა. მინდოდა, კარგი ადამიანი ვყოფილიყავი, მაგრამ საამისოდ არასწორი დრო და არასწორი ფორმა შევარჩიე. ახლა ისლა გვრჩება, ჩვენ-ჩვენი სიცოცხლე გადავარჩინოთ. ამიტომაც ინგლისში უნდა წახვიდე. ბედნიერი ვიქნები, თუკი გავიგებ, რომ უსაფრთხოდ ხარ, — ჯულიანო სილვესტროს გადაეხვია, — შენ ჩემი ერთგული მეგობარი იყავი, ახლა კი გიბრძანებ, ასე მოიქცე!

შებინდებისას ჯულიანო პალერმოს შორიახლოს კაპუცინთა მონასტრისკენ გაემართა, სადაც ასპანუ პიშოტასაგან ცნობა უნდა მიეღო. ერთ-ერთი ბერი ბანდის ფარული წევრი იყო და მასვე ვვალეობდა მონასტრის კატაკომბების ზედამხედველობა. ამ კატაკომბებში ათასობით მუმიფიცირებული გვამი ესვენა.

I მსოფლიო ომამდე დიდი ხნით ადრე ტრადიცია ჩამოყალიბდა: დიდგვაროვანი და შეძლებული ადამიანები ამ მონასტრის კედლებზე ჰკიდებდნენ ტანისამოსს, რომლითაც სურდათ დაეკრძალათ. გარდაცვალების შემდეგ ოჯახის წევრები მათს ნეშტებს მონასტერში ასვენებდნენ. ბერები ოდითგანვე ფლობდნენ გვამის დაკონსერვების ხელოვნებას; ექვსი თვის მანძილზე აშრობდნენ სხეულს, ვიდრე ხრწნის პროცესი ჩერდებოდა, სახე კი სიკვდილის შემზარავ გრიმასად გადაიქცეოდა. შემდეგ გვამს მისთვის შენახულ ტანისამოსს აცმევდნენ და მინის კუბოში ათავსებდნენ. კუბოებს კედლის ნიშებში დგამდნენ ან ჭერზე ჯაჭვებით კიდებდნენ. ზოგიერთი მიცვალებული სკამზე იჯდა, ზოგი კედელთან აეყუდებინათ, ზოგიც მინის ყუთით თოჯინასავით დაეყენებინათ.

ჯულიანო კატაკომბების ქვის იატაკზე გაწვა და ბალიშის ნაცვლად რომელიღაც კუბოს მიაყრდნო თავი. თვალი შეავლო საუკუნეების წინ გარდაცვლილ სიცილიელებს. ერთ-ერთი სამეფო კარის რაინდი იყო, ლურჯი აბრეშუმის სამოსითა და ხელში ქარქაშიანი ხმლით. მის შორიახლოს ფრანგულ მოდაზე ჩაცმულ თერთპარიკიან და მაღალჩექმებიან კარისკაცს ნახავდით. იყვნენ მეწამულსამოსიანი კარდინალი და მაღალთავსაბურავიანი არქიეპისკოპოსი. მეფის კარის ლამაზმანები ოქრომკედით გაწყობილი, მტვრად ქცეული კაბებით ობობას ქსელში გახლართულ ბუზებს ჰგავდნენ.

ერთი სულ ახალგაზრდა ქალწული, გრძელი თეთრი კაბითა და თათმანებით, შუშის ყუთში განისვენებდა.

ჯულიანომ ორი ღამე ამ აკლდამაში გაატარა და თვალზე რული არ მიჰკარებია. ან რა გასაკვირი იყო? აი, უკანასკნელი საუკუნეების წარჩინებული ქალები და მამაკაცები. ეგონათ, ამ გზით ზრწნასა და ჭიებს გადაურჩებოდნენ. რა ამპარტაუნნი არიან მდიდრები, ბედის ნებიერნი! არა, ამას ჯობს ლა ვენერას ქმაროვით ჩაგაძაღლონ.

სინამდვილეში ჯულიანოს იმაზე ფიქრი არ ასვენებდა, როგორ გადაურჩა დონ კროჩე ამ რამდენიმე დღის წინ მკვლელებს. იცოდა, რომ ოპერაცია უნაკლოდ შესრულდა. მას იმ დღიდან გეგმაუდა, რაც შეიძყო, ვინ იყო ჯინესტრას მკვლელობაში ნამდვილი დამნაშავე. დონს საუცხოო დაცვა ჰყავდა, მაგრამ ჯულიანომ მისი სუსტი წერტილის ძებნა დაიწყო. ყველაზე შესაფერისად მაინც ის მომენტი ჩათვალა, როცა დონი სასტუმრო „უმბერტოში“ იმყოფებოდა, რადგან იქ თავს ყველაზე უფრო ლაღად და საიმედოდ გრძნობდა. ბანდას ამ სასტუმროს თანამშრომლებს შორის თავისი ჯაშუში ჰყავდა, რომელმაც დონის მიმოსვლის განრიგი და მისი დაცვის შემადგენლობა შეატყობინა. ჯულიანოს ეჭვი არ შეჰპარვია, რომ ამ მონაცემებით მტერს უშეცდომო დარტყმას მიაყენებდა.

პალერმოში ოცდაათი ამხანაგი დაიბარა. იცოდა, რომ დონს მაიკლ კორლეონესთან ერთად სადილი ჰქონდა დაგეგმილი, ამიტომ გვიან ნაშუადღევს დაელოდა, როცა მაიკლი სასტუმროს დატოვებდა. ამ დროისათვის მისმა ოცმა კაცმა პირდაპირი იერიში მიიტანა სასტუმროზე და ბარი დაცვისაგან გაასუფთავა. შემდეგ თვით ჯულიანომ დანარჩენ ათ კაცთან ერთად ბაღის გალაგანი ააფეთქა და შიგნით შეაღწია. დარჩენილი ხუთი გუშაგიდან ერთი მოკლა და დონის ნომერს მიაშურა, მაგრამ ის ცარიელი დახვდა. ისიც საეჭვოდ ეჩვენა, რომ ძალზე მცირე დაცვა დახვდათ. მისმა მეგობრებმა ყველა ოთახი და დერეფანი შეამოწმეს, მაგრამ ვერაფერი იპოვეს. მძიმე სხეულის გამო დონისთვის სწრაფი გადაადგილება გამორიცხებული იყო, ასე რომ, ერთადერთი შესაძლებლობა რჩებოდა: მან უშუალოდ მაიკლის წასვლის შემდეგ დატოვა სასტუმრო. ჯულიანო მაშინდა მიხვდა, რომ დონი ვიღაცამ მოსალოდნელი თავდასხმის შესახებ გააფრთხილა.

ჯულიანოს ძლიერ დასწყდა გული. გარდა იმისა, რომ თავის უმთავრეს მტერს გაანადგურებდა, ამ სვლით ის წასვლის წინ უკანასკნელ ძლიერ დარტყმას მიაყენებდა უსამართლობას. დონ კროჩე თავის ბაღნარში რომ დახვედროდა, ო, რა შესანიშნავ ბალადებს შეთხზავდნენ ამ ბოლო შეხვედრის შესახებ! რას იზამ, ყველაფერი ჯერ კიდევ წინ იყო. ამერიკაში სამუდამოდ დარჩენას არ აპირებდა.

მესამე დილით თავისი მუმიებოვით სახეჩამომხმარმა კაპუცინელმა ბერმა პიშოტას ბარათი მოუტანა. მასში ეწერა: „კარლოს დიდის სახლში“. ჯულიანო მაშინვე მიუხვდა: კასტელვეტრანოელ მეფორნე ზუ პეპინოს, რომელიც ჯულიანოს დონ კროჩეს სატვირთო მანქანების გაჩერებაში დაეხმარა და მას მერეც ფარულად ეხმარებოდა, სამი ოთხთვალა ჰქონდა და ექვსი ვირი ჰყავდა. სამივე ოთხთვალა დიდი იმპერატორის გმირობებით იყო მოხატული და ტორიმ და ასპანუმ ბავშვობაში მის ეზო-კარს კარლოს დიდის სახლი შეარქვეს. შეხვედრის დრო წინასწარ ჰქონდათ დათქმული.

იმ ღამით — ეს სიცილიაზე მისი ბოლო ღამე იყო — ჯულიანო კასტელვეტრანოსკენ გაემართა. გზად რამდენიმე შეიარაღებული მეცხვარე წამოიყვანა დაცვის მაგიერ. ქალაქისაკენ საეჭვოდ იოლად გაიკვლიეს გზა. ჯულიანოს არ ესიამოვნა, პატრული რომ არსად შეხვედრია. თანამგზავრები დაითხოვა, ქალაქის განაპირას ქვის სახლისაკენ წავიდა, რომლის ეზოშიც სამი ოთხთვალა იდგა, ახლა უკვე მისი საკუთარი თავგადასავლების აღმნიშვნელი სურათებით. ეს ზუ პეპინოს სახლი იყო.

ზუ პეპინოს მისი მოსვლა არ გაჰკვირვებია. ფუნჯი გვერდზე გადადო, რომლითაც ერთ-ერთი ოთხთვალის ფერდს ღებავდა. კარი შიგნიდან ჩარაზა და ჯულიანოს მიუბრუნდა:

— ცუდი ამბავია. კარაბინერები ისე გესევიან, როგორც ჯორის ლემს ბუზები.

— პოლკოვნიკ ლუკას საგანგებო ჯარზე ამბობ?

— ჰო. ოღონდ ჩასაფრებულები არიან, პატრულის სახით აღარ დადიან. სამუშაოდან რომ ვბრუნდებოდი, მათი რამდენიმე მანქანა შევნიშნე, სხვა მეფორნეებმაც ნახეს მანქანები. გვეგონა, შენი ბანდის წევრებზე ნადირობდნენ, თურმე — შენზე. ასე შორს ჯერ არასოდეს წამოსულხარ.

ჯულიანო გაოგნდა: საიდან უნდა სცოდნოდათ კარაბინერებს მისი აქ მოსვლის შესახებ? ასპანუს უთვალთვალებდნენ? ნუთუ მაიკლ კორლეონე და მისი ხალხი ორმაგ თამაშს თამაშობდნენ? ან იქნებ სხვა ჯაშუში არსებობდა? ასე თუ ისე, ასპანუს კასტელ-ვეტრანოსთან ვეღარ შეხვდებოდა. ყოველი შემთხვევისათვის, თუ დათქმული შეხვედრა ჩაიშლებოდა, სხვა ადგილიც ჰქონდათ შერჩეული.

— მაღლობა გაფრთხილებისათვის, — უთხრა მან მოხუცს, — პიშოტა ქალაქში მოძებნე და ეს გადაეცი. ხოლო მონტელეპრეში როცა მოგიწევს ტვირთის წაღება, დედაჩემს ესტუმრე და გადაეცი, რომ ამერიკაში მშვიდობით ჩავედი.

— მოდი, მოგეხვიო, შეილო, — უთხრა ზუ პეპინომ და ლოყაზე აკოცა, — არასოდეს მქონია იმედი, რომ სიცილიას უშველიდი, ეს არავის შეუძლია, ვერც გარიბალდომ შეძლო და ვერც იმ მოლაყბე დუჩემ. ახლავე შევკაზმავ ურემს და, სადაც მეტყვი, იქ წაგიყვან.

ჯულიანო შუალამისას უნდა შეხვედროდა პიშოტას, ახლა კი ჯერ მხოლოდ ათი საათი იყო. განგებ მისულიყო ადრე ვითარების დასაზვერად. მაიკლ კორლეონესთან შეხვედრა გამთენიისას უნდა შემდგარიყო. პიშოტასთან შეხვედრის სათადარიგო ადგილამდე ორი საათის საუალი იყო. ზუ პეპინოს დახმარებას ისევ ფეხით მარტო წასვლა ამჯობინა. მოხუცს გამოემშვიდობა და გზას გაუდგა.

შეხვედრის მეორე ადგილი ძველბერძნული ნანგრევები იყო, რომელსაც სელინუსის აკროპოლისს ეძახდნენ. ის კასტელვეტრანოს სამხრეთით, მაზარა დელ ვაროსთან ახლოს, ზღვის კლდოვან ნაპირზე აღმართულიყო. სელინუსის დასახლება ქრისტეს დაბადებამდე მიწისძვრამ დაანგრია, მაგრამ მარმარილოს ნამსხვრევები და რამდენიმე სვეტი დღემდე შემორჩენილიყო. უფრო სწორად, ის არქეოლოგებს გამოეთავისუფლებინათ მიწის ნაშაღისაგან. ტაძრის რუხი მარმარილო გამონგრეული ღრმულებით თავის ქალას ჰგავდა. აკროპოლისი, ბერძნული ქალაქის გამაგრებული ცენტრი, მუდამ შემალლებაზე შენდებოდა და ეს ნანგრევებიც ზემოდან გადაჰყურებდა მიდამოს.

მთელი დღე უდაბნოს მომგუდავი ქარი, სიროკო, უბერავდა. ახლა

კი ნანგრევებიდან ქარს ღამის ნისლის ნაფლეთები მოჰქონდა. ჯულიანო გზამ დაღალა. კლდეებზე ავიდა, სვეტებს შორის რომ მოესვენა და მიდამო დაეზვერა.

წარმტაცმა სანახაობამ წუთით დააუიწყა საფრთხე. აპოლონის ტაძრის ჩამოქცეული სვეტები ერთმანეთს დახვავებოდა. სხვა ტაძრებს სახურავი ჩამოქცეოდათ, ცაში აღმართული სვეტები კი დარჩა. სხვაგან სახურავის ნაშთი ან მაღლა დატანებული სარკმლიანი კედელი შერჩენილიყო. სარკმელში მთვარე ანათებდა. უფრო ქვემოთ, სადაც ოდესღაც ქალაქის საცხოვრებელი სახლები იყო, ნანგრევებს შორის ერთადერთი სვეტი ამოშვერილიყო, ათასწლეულებს რომ გაუძლო. მას Il Fusso di la Vecchia, ანუ დედაბრის თითისტარს უწოდებდნენ. სიცილიელები იმდენად იყვნენ შეჩვეულნი ძველბერძნულ ნანგრევებს, რომ აგდებულად ეპყრობოდნენ, მხოლოდ უცხოელები გამოთქვამდნენ აღფრთოვანებას.

ის თორმეტი სვეტი, რომელიც ახლა ჯულიანოს წინაშე იდგა, უცხოელებმა აღადგინეს. ჯარისკაცებოვით ჩამწკრივებული ამ სვეტების ძირში ქვის კიბე თითქოს მიწიდან ამოზრდილიყო. ჯულიანო ზედა საფეხურზე ჩამოჯდა და თავით ერთ-ერთ სვეტს მიეყრდნო. ხელი ქურთუკის ქვეშ ჩაიყო, ავტომატისა და ლუპარას ღვედები აიხსნა და იარაღი ერთი საფეხურით დაბლა დააწყო. ნანგრევებში ნისლი ატანდა, მაგრამ ჯულიანომ იცოდა, რომ ვინმეს მოახლოებას იმწამსვე გაიგონებდა. აქ შეუმჩნეველად თავს ვერავინ დაესხმოდა.

დაღლილს მარმარილოზე მიყრდნობა ესიამოვნა. ოვლისის მთვარე სვეტებს მიღმა კლდეების თავზე მოჩანდა, კლდეების მიღმა კი ამერიკა იყო. ამერიკაში კი ჯუსტინა იყო და მათი შვილიც, რომელიც მალე გაჩნდებოდა. მალე ისიც აქედან გააღწევდა და ყაჩაღობის შვიდი წელიწადი სიზმრად მოეჩვენებოდა. დაფიქრდა, რა ცხოვრება ელოდა იქ. გაძლებდა სიცილიის გარეშე? გაელიმა. ერთ მშვენიერ დღეს დაბრუნდებოდა და ყველას გააკვირვებდა. დაღლილობისაგან მძიმედ ამოიოხრა, ფეხსაცმელი და წინდები გაიხადა და შიშველი ფეხისგულები გრილ ქვებს შეახო. ესიამოვნა. ჯიბიდან ორი მსხალი ამოიღო და მათი ტკბილი წვენით გაისველა პირი. იჯდა, ხელი ავტომატზე ელო და ასპანუ ჰიშოტას ელოდებოდა.

მაიკლმა, პიტერ კლემენზამ და დონ დომენიკმა ადრიანად ისაუბრეს. ჯულიანოსთან შეხვედრის გეგმა გულდაგულ გადაამოწმეს. დონ დომენიკი ყველაფერს დაეთანხმა, ოღონდ ერთი რამ დაუმატა: მაიკლს ურჩია, შეიარაღებული არ წასულიყო, რომ, პოლიცია თუ დააკავებდათ, სირთულე არ შექმნოდა და ნებისმიერ შემთხვევაში სიცილიიდან წასვლა შესძლებოდა.

ბაღში ლიმონიანი ღვინო დალიეს და წასასვლელად გაემზადნენ. დონ დომენიკმა ძმა გადაკოცნა. მერე მაიკლს მიუბრუნდა და გადაეხვია.

— დიდი მოკითხვა მამათქვენს, — უთხრა, — ყოველივე საუკეთესოს გისურვებთ და თქვენს სასიკეთოდ აღვაულებ ლოცვებს. მომავალში თუ ჩემი დახმარება დაგჭირდებათ, მომმართეთ.

სამივენი დოკთან მივიდნენ. მაიკლი და პიტერ კლემენზა შეიარაღებული დაცვით სავსე მოტორიან ნავში ჩასხდნენ, ნავი დაიძრა და დონ დომენიკმა ხელი დაუქნია. მაიკლი და კლემენზა კაიუტაში ჩავიდნენ. დაღლილი კლემენზა მაშინვე დასაძინებლად დაწვა.

გეგმა შეცვალეს. თვითმფრინავს, რომლითაც თავდაპირველად უნდა გაფრენილიყვნენ, მტრების სატყუარად გამოიყენებდნენ. ამის ნაცვლად აფრიკაში ნავით გაემგზავრებოდნენ, რისთვისაც მთელი დამე დასჭირდებოდათ. ეს კლემენზამ მოითხოვა, რადგან, მისი თქმით, თავის ხალხთან ერთად ზღვაზე უფრო გაუადვილდებოდა თავდაცვა, ვიდრე ვიწრო ასაფრენ მოედანზე, რომლის გარშემოც გამწვანებული ნაკვეთები მოჩანდა; თვითმფრინავიც მეტისმეტად მსუბუქი გახლდათ და აფრენამდე თავდასხმის შემთხვევაში თავშესაფრად ვერ გამოდგებოდა. ამჯერად სიჩქარეზე უფრო მნიშვნელოვანი მოწინააღმდეგის მოტყუება გახლდათ. ზღვაზე კი უფრო იოლი გახლდათ თავის შეფარება. სხვა ნავში გადაჯდომაც უფრო ადვილი იქნებოდა, ვიდრე თვითმფრინავის შეცვლა.

კლემენზა მთელი დღის განმავლობაში გასცემდა განკარგულებებს: ხალხის ნაწილი მანქანებით კასტელვეტრანოს გზაზე გაუშვა, ნაწილი — მაზარა დელა ვალოს დასაცავად. ამ ორ ჯგუფს ვილა ერთი საათის ინტერვალით დაატოვებინა, ჯაშუშებს ეჭვი არაფერ-

ზე რომ აეღოთ. ამასობაში მოტორიანი ნავი გათუნებამდე ჰორი-ზონტს იქით, ზღვაში უნდა მიმალულიყო, შემდეგ კი მაზარა დელა ვალოს პორტში მისულიყო, სადაც მანქანები დახვდებოდათ. იქიდან მანქანით ნახუარ საათში შემოივლიდნენ წრეს და ტრაპანის მხრიდან მიადგებოდნენ კასტელვეტრანოსკენ მიმავალ გზას, როგორც პიშოტამ მიუთითა.

მაიკლი წამოწვა. კლემენზას ხვრინვის ხმაზე გაიფიქრა, ნეტავ, როგორ შეუძლია ამ კაცს ასეთ დროს ძილიო. ფიქრობდა, რომ ოცდაოთხ საათში ტუნისში იქნებოდა, კიდევ თორმეტ საათში კი თავის ოჯახს ნახავდა ორწლიანი განშორების შემდეგ. კვლავ თავისუფლებას მოიპოვებდა, პოლიციისგან გაქცევა ანდა მფარველების მითითებების შესრულება აღარ მოუწევდა, მხოლოდ იმას გააკეთებდა, რაც თავად სურდა. მაგრამ ეს მხოლოდ იმ შემთხვევაში მოხდებოდა, თუ ამ ოცდაოთხი საათის განმავლობაში ხიფათს არ გადაეყრებოდა. ვიდრე ოცნებობდა, რას და როგორ გააკეთებდა, ნავის მსუბუქმა რწევამ გააბრუა და ღრმად ჩაეძინა.

* * *

ფრა დიაბოლოს მასზე ბევრად უფრო ღრმად ეძინა.

იმ დილით, როცა ჰექტორ ადონისისთვის ტრაპანიში უნდა გაევილო, სტეფან ანდოლინი თავიდან ინსპექტორ ველარდისთან შესახვედრად პალერმოში გაემგზავრა. ეს მათი მორიგი შეხვედრა იყო, როცა პოლიციის უფროსს ანდოლინისთვის პოლკოვნიკ ლუკას უახლოესი გეგმები უნდა გაეცნო. ანდოლინი ამ ინფორმაციას პიშოტას გადასცემდა, ის კი, თავის მხრივ, ჯულიანოს.

მშვენიერი დილა იდგა. გზის პირას მინდვრები ყვავილებით იყო მოფენილი. შეხვედრამდე კიდევ რჩებოდა დრო, ამიტომ ანდოლინიმ მანქანა გზისპირა სალოცაუთან გააჩერა, სიგარუტი გააბოლა და წმინდა როზალიას ქანდაკების წინ მუხლი მოიყარა. მისი ლოცვა მოკლე და პრაქტიკული იყო: წმინდანს შესთხოვა, მტრებისაგან დაეფარა. მომდევნო კვირადღეს მამა ბენჯამინოს აღსარებას ეტყოდა და ეზიარებოდა. ახლა კი მზის სხივებმა გაათბეს, ყვავილების სურნელით გაჟღენთილმა ჰაერმა ფილტვები ნიკოტინისგან გაუწმინდა და ძლიერი შიმშილი იგრძნო. საკუთარ თავს შეჰპირდა, რომ

ინსპექტორთან შეხვედრის შემდეგ პალერმოს რომელიმე კარგ რესტორანში ისაუბრებდა.

პოლიციის უფროსი ინსპექტორი ველარდი დამსახურებულ გამარჯვებას ზეიმობდა, რომელსაც დიდხანს ელოდა მოთმინებით, რადგან სწამდა, ღმერთი ადრე თუ გვიან წესრიგსა და სამართალს აღადგენდა. როგორც იქნა, კუთვნილი ჯილდო მიიღო. თითქმის ერთი წლის განმავლობაში მინისტრ ტრუზას საიდუმლო ბრძანებით ეხმარებოდა ჯულიანოს პოლიციისაგან თავის დაღწევაში. ამ მიზნით სტეფან ანდოლინისთან, იმავე ფრა დიაბოლოსთან ურთიერთობდა. ამ ერთი წლის განმავლობაში ინსპექტორი, შეიძლება ითქვას, დონ კროჩე მალოს ხელქვეითად იქცა.

ველარდი იტალიის ჩრდილოეთში დაიბადა, სადაც ადამიანები განათლების, საზოგადოებისადმი, კანონისა და წესრიგისადმი პატივისცემით აღწევდნენ წარმატებას. სიცლიაზე გატარებულმა წლებმა აქაური მცხოვრებლების მიმართ ზიზლი და სიძულვილი ჩაუნერგა. მდიდრებს აქ სოციალური პასუხისმგებლობის ნასახიცი არ ჰქონდათ და დაბალ ფენებს მაფიის მეშვეობით ახრჩობდნენ. მაფია ღარიბების მფარველობაზე დებდა თავს, მაგრამ, სინამდვილეში, გასამრჯელოს ფასად მდიდრებს ღარიბთა ჩაგვრაში ეხმარებოდა. გლეხები იმდენად ამაყნი და შეუპოვარნი იყვნენ, მცირე შეურცხყოფასაც მკვლევლობით სჯიდნენ, თუნდაც ამისთვის მთელი სიცოცხლე ციხეში გაეტარებინათ.

ახლა კი ყველაფერი შეიცვლებოდა — ინსპექტორს, როგორც იქნა, დამოუკიდებელი მოქმედების უფლება ეძლეოდა და სიცლიელები მალე დაინახავდნენ განსხვავებას მის საგანგებო რაზმებსა და უნიათო კარაბინერებს შორის.

ველარდი გაოცდა, როდესაც თვით მინისტრისაგან მიიღო ბრძანება, მის მიერ პირადად ხელმოწერილი წითულარშიიანი პასპორტები ყველასათვის ჩამოერთმია, ვის სახელზეც ბოლო დროს იქნა გაცემული. ეს ყოვლისშემძლე პასპორტები მფლობელებს საგზაო პატრულის მიერ შემოწმების, ჩხრეკისა და დაპატიმრებისაგან თავისუფლებდა. ისინი, პირველ რიგში, ასპანუ პიშოტასა და სტეფან ანდოლინის უნდა ჩამოერთმეოდათ.

ველარდი ბრძანების შესასრულებლად მოეშადა. ანდოლინი უკვე მოსული იყო და ელოდა. ინსპექტორი მას სიურპრიზს უშვებდა. ტელეფონით პოლიციის კაპიტანი და ოთხი სერჟანტი გამოიძახა და გააფრთხილა, შესაძლო გართულებისათვის შზად ყოფილიყვნენ. თვითონაც იარაღი აისხა, რასაც, ჩვეულებრივ, ოფისში არ აკეთებდა. მერე ბრძანა, მოსაცდელიდან ანდოლინი შემოეყვანათ.

სტეფან ანდოლინის წითური თმა საგულდაგულოდ დაეკარცხნა. შავი კოსტიუმი, თეთრი პერანგი და მუქი ჰალსტუხი ეკეთა. პოლიციის უფროსთან ვიზიტი მოწიწებას ითხოვდა. იარაღი თან არ ჰქონდა. იცოდა, რომ პოლიციის მთავარ ოფისში ყველა შემსვლელს ჩხრეკდნენ. ველარდის მაგიდის წინ დადგა და დაელოდა, დაჯდომას როდის შესთავაზებდნენ. მაგრამ ეს არ მოხდა, ანდოლინი ფეხზე დარჩა და გონებაში განგაშის პირველმა სიგნალმა გაუელვა.

— თქვენი საგანგებო პასპორტი მაჩვენეთ, — უთხრა ველარდიმ.

ანდოლინი არ განძრეულა. სწრაფად შეეცადა ეს მოულოდნელი ბრძანება გაეაზრებინა და იცრუა:

— თან არ მაქვს. წამოღება საჭიროდ არ ჩავთვალე, რადგან მეგობრის სანახავად მოვდიოდი, — სიტყვა „მეგობარი“ განსაკუთრებული დატვირთვით წარმოთქვა.

ველარდი განრისხდა, ფეხზე წამოხტა და ანდოლინის სახეზე მიაშტერდა.

— ჩემი მეგობარი არასოდეს ყოფილხართ. თქვენაირ ღორთან ერთ სუფრაზე მხოლოდ იმიტომ ვიჯექი, რომ ბრძანებას ვასრულებდი. ახლა ყურადღებით მისმინეთ. დაპატიმრებული ხართ. მომდევნო ბრძანების მიღებამდე ციხეში დაგამწყვდევთ და, გაითვალისწინეთ, სარდაფში საწამებელი იარაღები გვაქვს. თუ გონივრულად მოიქცევით, ტკივილს არ მოგაყენებთ. ხვალ დილით დაგელაპარაკებით.

მეორე დილით ინსპექტორს ჯერ მინისტრმა დაურეკა, მოგვიანებით კი — დონ კროჩემ. რამდენიმე წუთის შემდეგ ანდოლინი საკნიდან მის კაბინეტში შემოიყვანეს.

საკანში განმარტოებით გატარებულმა ღამემ ანდოლინი იმაში დაარწმუნა, რომ სასიკვდილო საფრთხე ემუქრებოდა. როცა კაბინეტში შევიდა, ველარდი ბოლთას სცემდა, ცისფერი თვალებიდან

ცეცხლს აკვესებდა და აშკარად განრისხებული ჩანდა. სტეფან ანდოლინიმ გულგრილად შეავლო თვალი კედელთან მზადყოფნაში მდგარ კაპიტანსა და სერჟანტებს, ინსპექტორის ფერდზე ჩამოკიდებულ პისტოლეტს. იცოდა, ინსპექტორი მას ვერ იტანდა და თვითონაც არანაკლებ სძულდა. თუ დაარწმუნებდა, რომ დაცვა ოთახიდან გაეშვა, მაშინ, ვიდრე თვითონ მოკლაფდნენ, ინსპექტორის მოკვლას მაინც მოასწრებდა. ამიტომ თქვა:

— ამ ძაღლების თანდასწრებით არ დაგელაპარაკებით.

ველარდიმ სერჟანტები დაითხოვა, მაგრამ კაპიტანს დარჩენა უბრძანა და ანიშნა, სროლისათვის მზად ყოფილიყო. ამის შემდეგ მთელი ყურადღება ანდოლინის მიაპყრო.

— ყველა შესაძლო ინფორმაცია მჭირდება ჯულიანოს დასაჭერად. უკანასკნელად როდის შეხვდით მას და პიშოტას?

სტეფან ანდოლინიმ ხმამაღლა გადაიხარხარა, გაუპარსავ წითურწვერიან სახეზე დამცინავი სიძულვილი გამოეხატა.

ტყუილად როდი ეძახიან „ფრა დიაბოლოს“, გაიფიქრა ინსპექტორმა. მართლაც საშიში კაცი იყო და მოსახდენის შესახებ წინასწარ არაფერი უნდა სცოდნოდა.

— თუ არ მიპასუხებთ, „კასეტაში“ ჩაგაწვენთ და კიდურებს გადაგიმტვრევთ, — უთხრა ინსპექტორმა მშვიდად.

— შე მოღალატე ნაძირალავ!.. — ზიზღით გამოსცრა ანდოლინიმ, — მინისტრ ტრუზასა და დონ კროჩეს მფარველობის ქვეშ ვარ და აქედან რომ გამომიყვანენ, იცოდე, მაგ ძაღლურ სულს ამოგაცლი.

ველარდიმ ხელი მოუქნია და სახეში ორჯერ გაარტყა. ანდოლინის ტუჩებიდან წამომსკდარი სისხლი და მის თვალებში ანთებული რისხვა დაინახა და განგებ შეაქცია ზურგი.

სტეფან ანდოლინის ბრაზისაგან გონება დაებინდა, ინსპექტორის წელზე დაკიდებულ ბუდეს დასწვდა და პისტოლეტის ამოძრობას შეეცადა. იმავე წამს კაპიტანმა ოთხი ტყვია დაახალა. ანდოლინი კედელს მიეჯახა და ძირს ჩაცურდა. თეთრი პერანგი სისხლით შეეფერა და ველარდიმ გაიფიქრა, მის წითურ თმას, მართლაც „რომ უხდებო. დაიხარა და ანდოლინის ხელიდან პისტოლეტი გამოართვა. კაბინეტში დანარჩენი პოლიციელები შემოცვოდნენ. ვე-

ლარდიმ კაპიტანს სისწრაფე შეუქო და მის თვალწინ დატენა თავისი პისტოლეტი ტყვიებით, რომლებიც მანამდე განგებ ამოედო. არ სურდა კაპიტანს განდიდების მანია შეჰყოფოდა, მაგრამ უსიტყვოდ გააგებინა, ეს-ესაა პოლიციის უფროსი სიკვდილს გადაარჩინეო.

პოლიციელებს უბრძანა, გვაძი გაეჩხრიკათ. ანდოლინის პასპორტი, როგორც მოსალოდნელი იყო, პირადობის მოწმობაში ჰქონდა ჩადებული, რომლის ტარება ყოველი სიცილიელისათვის იყო აუცილებელი. ველარდიმ პასპორტი სეიფში ჩაკეტა. თუ გაუმართლებდა, მასთან ერთად მინისტრს პიშოტას პასპორტსაც გადასცემდა.

მაიკლსა და კლემენზას პატარა ჭიქებით ესპრესო მიართვეს. მოაჯირს ჩამოყრდნობილნი სვამდნენ და მოახლოებულ ნაპირს გაჰყურებდნენ.

კლემენზა ნაფხე მყოფებს განკარგულებებს აძლევდა, მაიკლი კი ცისფერ წერტილებს აშტერდებოდა, რომლებიც სულ უფრო უახლოვდებოდა. ნაფი სიჩქარეს უმატებდა. აისის სინათლე ყოველ წამს მატულობდა და მაიკლმა მაზარა დელ ვალოს ვარდისფრად შეფერილი ნაპირი და ფერადქოლგებიანი კაფე დაინახა, თანდათან ბინდიდან რომ გამოდიოდა.

ნაპირს მიადგნენ. იქ სამი მანქანით ექვსი კაცი ელოდათ. კლემენზამ მაიკლი სახურავგადახდილ ძველი მოდელის ტურისტულ მანქანასთან მიიყვანა, რომელშიც მძღოლის გარდა არავინ იჯდა. თვითონ წინ დაჯდა, მაიკლი უკანა სავარძელზე მოთავსდა.

კლემენზამ უთხრა:

— თუ კარაბინერებმა გაგვაჩერეს, ძირს გაწექი. დაყოვნების დრო არ გვექნება, სწრაფად უნდა ჩამოვიშოროთ და გზა განვაგრძოთ.

სამი განიერი ტურისტული მანქანა მინდვრებს შორის მიემართებოდა. ძველისძველი აკვედუკებიდან მომდინარე წყლით მორწყული ეს ველები ქრისტეს დღეებიდან თითქმის არ შეცვლილა. შზე უკვე აცხუნებდა და მიწას მის სხივებქვეშ მომჭკნარი ყვავილების სუნი უდიოდა. ძველბერძნული ქალაქის, სელინუნტის ნანგრევებს ჩაუარეს და მაიკლმა თვალი მოჰკრა ორი ათასი წლის წინ ნაგები დიდებული სვეტების ნაშთს. რუხი მარმარილოს გარშემო შავი მიწა

იზვირთებოდა. არსად არც სახლი, არც ადამიანი, არც ცხოველი არ ჩანდა. გვეგონებოდათ, ეს პეიზაჟი გოლიათური ხმლის ერთი მოქნივით შეიქმნაო.

ჩრდილოეთისკენ გაუხვიეს და ტრაპანისა და კასტელვეტრანოს გზას დაადგნენ. მაიკლი და კლემენზა დაიძაბნენ: აქ უკვე იწყებოდა ის გზა, სადაც პიშოტა უნდა შეხვედროდათ და ჯულიანოსთან მიეყვანა. სამივე მანქანამ სვლა შეანელა. კლემენზას მარცხენა ჯიბეში ავტომატური პისტოლეტი ედო. მზე უკვე მთელი ძალით ანათებდა. მისი სხივები ციდან გაგარვარებულ ოქროდ იღვრებოდა. თითქმის მიადგნენ კასტელვეტრანოს და კლემენზამ მძღოლს მანქანა შეანელეებინა. ის და მაიკლი მზერით პიშოტას დაეძებდნენ. ქალაქის მისადგომებთან ბორცვის თავზე იყვნენ, საიდანაც მთავარი ქუჩა, როგორც ხელისგულზე, ისე მოჩანდა. ამ შემადლებიდან მაიკლმა დაინახა, რომ პალერმოს გზა სამხედრო მანქანებით იყო საუსე, ქალაქის ქუჩები კი კარაბინერთა შავ-თეთრი უნიფორმების სიმრავლით მთლად ჩამუქებულიყო. სირენები ყმუოდა, ქუჩები ხალხით იყო საუსე. ქალაქს თავზე ორი მცირე თვითმფრინავი დასტრიალებდა.

მძღოლმა შეიგინა, დაამუხრუჭა და მაიკლს ჰკითხა:

— გაჩერდე, თუ გზა განვაგრძო?

მაიკლს გააჟრჟოლა და კლემენზას ჰკითხა:

— ქალაქში რამდენი კაცი გველოდება?

— საკმარისი ხალხი არ გვყავს, — ყრუდ უპასუხა კლემენზამ და შემფოთებული სახით მიუბრუნდა: — მაიკლ, უნდა წავიდეთ, ნავთან უნდა დაუბრუნდეთ.

— მოიცადე, — უთხრა მაიკლმა, როდესაც აღმართზე ნელა მომაგალი ოთხთვალა დაინახა, რომელსაც ჩალისქუდიანი ბერიკაცი მართავდა. ოთხთვალა ლეგენდარული სცენებით იყო მოხატული. ბერიკაცის დაღარულ სახეზე ვერანაირ განცდას ვერ ამოიკითხავდით. მანქანას წინ გადაუდგა და დაიძახა:

— დონ კლემენზა, თქვენ ხართ?

— ზუ პეპინო, აქ რა ჯანდაბა ხდება? — შვებით გასძახა კლემენზამ, — ჩემმა ხალხმა რატომ არ გამაფრთხილა?

ზუ პეპინომ გაქვავებული სახით უპასუხა:

— შეგიძლიათ ამერიკაში გაემგზავროთ. ტორი ჯულიანო მოკლეს.

მაიკლმა უეცარი თავბრუსხვევა იგრძნო. თვალებში დაუბნელდა. ჯულიანოს დედ-მამა მოაგონდა, ამერიკაში მომლოდინე ჯუსტინა, ასპანუ პიშოტა და სტეფან ანდოლინი, ჰექტორ ადონისიცი. ამ ადამიანებისათვის ტორი ჯულიანო მანათობელი სხივი იყო, განა შეიძლებოდა ის ჩამქრალიყო?

— დარწმუნებული ხარ, რომ მართლაც ჯულიანო მოკლეს? — ხრინწიანი ხმით ჰკითხა კლემენზამ.

მოხუცმა მხრები აიჩჩია.

— ჯულიანო ხშირად მიმართავდა ამ ხრიკს: გვამს ან თოჯინას თვალსაჩინო ადგილას დააგდებდა კარაბინერთა მოსატყუებლად, მერე კი თავს ესხმოდა. მაგრამ, აგერ, უკვე ორი საათია, იქვე წევს, სადაც მოკლეს, და არაფერი მომხდარა. ჟურნალისტებიც კი მოცვივდნენ და ყველას სურათები გადაუღეს, ჩემს ვირსაც კი. ასე რომ, გინდ დაიჯერეთ, გინდ არა.

— ცოცხალია თუ მკვდარი, ჩვენ მაინც ვედარაფერს ვუშველით, — ამოიღრინა კლემენზამ, — შინ უნდა წაგიყვანო, მაიკლ.

— არა, — რბილად უთხრა მაიკლმა, — ქალაქში უნდა შევიდეთ. იქნებ, იქ პიშოტა ან ანდოლინი გველოდებიან, რომ გვითხრან, როგორ მოვიქცეთ. იქნებ, ის არ არის? არ მჯერა, რომ ისაა. ახლა ვერ მოკლავენ. გაქცევამდე სულ ცოტაღა რჩებოდა და მისი „ანდერძიც“ უკვე ამერიკაშია.

კლემენზამ ამოიოხრა. მაიკლის სახეზე ტკივილი ამოიკითხა. იქნებ, მოკლული მართლაც არ იყო ჯულიანო. იქნებ, ესეც ხრიკი იყო ყურადღების გასაფანტად.

კლემენზამ თავის ხელქვეითებს უბრძანა, მანქანები გზის პირას დაეყენებინათ და უკან გაჰყოლოდნენ, თვითონ კი მაიკლთან ერთად ხალხით სავსე ქუჩას გაუყვა. ყველანი ერთ შესახვევთან ირეოდნენ, სამხედრო მანქანებს რომ გადაეკეტათ. ქუჩის ამ მხარეს ეზოებით ერთმანეთისაგან გაყოფილი სახლების მწკრივი იდგა. მაიკლი და კლემენზა ხალხს უკან დაუდგნენ. პოლიციელები კორდონს მიღმა მხოლოდ ჟურნალისტებს უშვებდნენ, თანაც მას მერე, საბუთებს რომ წარმოადგენდნენ. მაიკლმა კლემენზას უთხრა:

— რაიმე იღონე, შიგნით რომ შეგვიშვან.

კლემენზამ მაიკლს ხელკავი გაუყარა და მალე ორივე ქუჩის ერთ-ერთ ეზოიან სახლში მოხვდა. კლემენზამ მაიკლი ოთხ ხელქვეითთან ერთად სახლში დატოვა, თვითონ კი ერთი საათით ქალაქში გავიდა. როცა დაბრუნდა, თავზარდაცემული ჩანდა.

— ცუდი ამბავია, მაიკ, — უთხრა, — მალე ჯულიანოს დედას მოიყვანენ გვამის ამოსაცნობად. პოლკოვნიკი ლუკა აქაა. მთელი მსოფლიოდან გროვლებიან ჟურნალისტები, შეერთებული შტატებიდანაც კი. ეს ქალაქი კი არა, საგიჟეთია. სასწრაფოდ უნდა წავიდეთ აქედან.

— ხვალ, — გააწყვეტინა მაიკლმა, — ხვალ გავიქცეთ. ახლა კი როგორმე კორდონს მიღმა უნდა შევალწიოთ. რამე თუ იღონე ამისათვის?

— ჯერ არა, — უთხრა კლემენზამ.

— მაშ, გავიდეთ და ვცადოთ, — დაიჟინა მაიკლმა და კლემენზაც იძულებული გახდა, დაეთმო.

ქუჩა კარაბინერებით იყო სავსე. მაიკლის გამოთვლით, ათასამდე იქნებოდნენ, ასობით ფოტორეპორტიორთან ერთად. მაღალჩინოსანი ოფიცრების ჯგუფი რესტორნისკენ მიემართებოდა და ხალხში მითქმა-მოთქმა ატყდა, პოლკოვნიკი ლუკა და მისი ჯგუფი საზეიმო სადილზე მიდიანო. მაიკლმა პოლკოვნიკს მოჰკრა თვალი: დაბალი ძარღვიანი კაცი იყო, სიცხის გამო ქუდი მოეხადა და სანახევროდ გამელოტებულ თავს თეთრი ცხვირსახოცით იწმენდა. ფოტოგრაფები სურათებს უღებდნენ, ჟურნალისტთა ბრბო შეკითხვებს აყრიდა. პოლკოვნიკმა ყველას ხელი აუქნია და რესტორანში გაუჩინარდა.

გადავსებულ ქუჩებში მოძრაობა ყოვლად შეუძლებელი იყო. კლემენზამ გადაწყვიტა, სახლში დაბრუნებულიყვნენ და ინფორმაციას დალოდებოდნენ. გვიან ნაშუადღევს ამბავი მოუტანა, რომ მარია ლომბარდომ მოკლულში თავისი შვილი ამოიცნო.

ღია კაფეში ისადილეს, სადაც რადიოს ახალი ამბები ჯულიანოს მოკვლის დეტალებს იუწყებოდა. როგორც გაირკვა, პოლიციამ იმ სახლს შემოარტყა ალყა, რომელშიც, მათი ვარაუდით, ჯულიანო იმალებოდა. როდესაც ის გარეთ გამოვიდა, დანებება შესთავაზეს,

მაგრამ დაუყოვნებლოვ გახსნა ცეცხლი. პოლკოვნიკის თანაშემწე კაპიტანი პერენზე რადიოთი ჟურნალისტების შეკითხვებს პასუხობდა. მოჰყვა, როგორ გაიქცა ჯულიანო, ის კი დაედევნა და კუთხეში მოიმწყვდია. მისი სიტყვებით, ჯულიანო ლომოვით იბრძოდა, მაგრამ თვითონ სროლა დაასწრო და მოკლა. კაფეში ყველა რადიოს უსმენდა, არაუინ ჭამდა. ოფიციალტები არც კი ფიქრობდნენ, კლიენტებს რომ მომსახურებოდნენ. კლემენზამ მაიკლს უთხრა:

— აქაურობა ყარს. ამაღამ წავიდეთ.

ამ დროს კაფეს წინ პოლიციის მანქანები გაჩერდა, ერთ-ერთიდან ინსპექტორი ველარდი გადმოვიდა, მაიკლს მიუახლოვდა და მხარზე ხელი დაადო:

— დაპატიმრებული ხართ, — მერე ცივი ცისფერი თვალები კლემენზას მიაპყრო, — მასთან ერთად თქვენც გაპატიმრებთ. წინააღმდეგობის გაწევას თუ შეეცდებით, ჯულიანოს ჯოჯოხეთში გაჰყვებით.

პოლიციის ფურგონი გაჩერდა, მაიკლი და კლემენზა მასთან მიიყვანეს, გაჩხრიკეს და ხელის უხეში კვრით ფურგონში შესვეს. მეზობელ მაგიდებთან მსხდომი რამდენიმე ჟურნალისტი მაშინვე ფეხზე წამოვარდა და კამერები მოიმარჯვა, მაგრამ ინსპექტორმა ველარდიმ ისინი ახლოს არ მიუშვა.

მეორე დღეს ტორი ჯულიანოს მამამ თავისი სახლის აივნიდან ქუჩაში შეკრებილ მონტელეპრეს მცხოვრებლებს მიმართა. მან სიცილიური ტრადიციის შესაბამისად თავისი შვილის მკვლელს ვენდეტა გამოუცხადა. ისიც თქვა, რომ ეს ადამიანი კაპიტანი პერენზე ან სხვა პოლიციელი არ ყოფილა. მან ტორის მკვლელად ასპანუ პიშოტა დაასახელა.

თავი 28

ასპანუ პიშოტას უკანასკნელი წელიწადის განმავლობაში ღალატის ჭია ხრავდა.

პიშოტა მუდამ ჯულიანოს ერთგული იყო, ბავშვობიდანვე შურის გარეშე აღიარებდა მის პირველობას. ჯულიანოც მუდამ უსვამდა

ხაზს იმას, რომ პიშოტა ბანდის მეორე მეთაური იყო და არა რაზმის უფროსი ტერანოვას, პასატემპოს, კაპრალისა და ანდოლინის მსგავსად. მაგრამ ჯულიანო იმდენად კაშკაშა, ძლიერი და ქმედითი იყო, რომ მათი თანასწორობა ზღაპარი აღმოჩნდა. იგი ლიდერად იყო დაბადებული. პიშოტა ამას უსიტყვოდ შეეგუა.

ჯულიანოს პარტიზანულ ტაქტიკაში გარიბალდის შემდეგ ვერა-ვინ შეედრებოდა. რომანტიკოსი და იდეალისტი იყო, ამავდროულად, სიცილიური ცბიერებაც ახასიათებდა. თუმცა ისეთი ნაკლოვანებებიც ჰქონდა, რის გამოსწორებასაც პიშოტა მუდამ ცდილობდა.

როცა ჯულიანომ დაიწინა, ნადავლის ნახევარი ღარიბებისთვის დაერიგებინათ, პიშოტამ უთხრა:

— უნდა ამოირჩიო, რა გინდა: სიმდიდრე თუ ხალხის სიყვარული. ტყუილად გგონია, სიცილიელები შენი დროშის ქვეშ გაერთიანდებიან და რომს შეუტევენ. ეს არასოდეს მოხდება. ფულს გამოგართმევენ, ეყვარები, საფრთხის დროს შეგიფარებენ და არასოდეს გაგცემენ. მაგრამ მათი ხელით რევოლუციას ვერ მოახდენ.

პიშოტა დონ კროჩესა და ქრისტიან-დემოკრატებთან მორიგების წინააღმდეგი იყო და არც სოციალისტების განადგურებას ეთანხმებოდა. როცა ჯულიანო ქრისტიან-დემოკრატებისაგან ამნისტიას ელოდებოდა, პიშოტამ არაერთხელ უთხრა:

— ესენი არასოდეს შეგიწყალებენ და არც დონ კროჩე დაუშვებს იმას, რომ ამა თუ იმ სახით მოიპოვო ძალაუფლება. ჩვენ ორი გამოსავალი გვაქვს: ან ფულით უნდა ვიყიდოთ ამნისტია, ან არა და ერთ მშვენიერ დღეს ყაჩაღებად დავიხოცოთ. პირადად ჩემთვის ეს არცთუ ისე ცუდი სიკვდილია.

ჯულიანომ ყური არ ათხოვა და ამით პიშოტას გაღიზიანება თანდათან მტრობად აქცია.

ჯულიანო უმწიკვლო და გულუბრყვილო იყო. პიშოტა მუდამ ფხიზლად აფასებდა ვითარებას. როცა პოლკოვნიკ ლუკას საგანგებო ჯარი სიცილიაში შემოვიდა, მაშინვე მიხვდა, რომ მათი ბანდის საქმე წასული იყო. ასი გამარჯვებაც რომ მოეპოვებინათ, ერთადერთი დამარცხება უკვე მათ დაღუპვას ნიშნავდა. ისევე, როგორც ლეგენდაში როლანსა და ოლივერს მოუვიდათ კამათი, ჯულიანო

და პიშოტაც ასე იყვნენ, ჯულიანო ჯიუტობდა და გმირულად ბრძოლა სურდა. პიშოტა თავს ოლივერად გრძნობდა, ამაოდ რომ სთხოვდა როლანს, საყვირი აეხმიანებინა.

როცა ჯულიანოს ჯუსტინა შეუყვარდა და ცოლადაც შეირთო, პიშოტა საბოლოოდ მიხვდა, რომ მათი გზები გაიყო. ჯულიანო ამერიკაში გაიქცეოდა და ოჯახს შექმნიდა, პიშოტა კი მარად დევნილად დარჩებოდა. იცოდა, დიდი დრო რომ არ ეწერა: ან ტყვია მოუღებდა ბოლოს, ან ფილტვი უმტყუნებდა, ასე თუ ისე, ამერიკა მისთვის არ იყო.

ყველაზე მეტად კი პიშოტას ის აწუხებდა, რომ ნორჩი გოგონას სიყვარულით დამტკბარი ჯულიანო მოულოდნელად სულ უფრო მრისხანე და დაუნდობელი გახდა. თუკი ადრე კარაბინერებს ტყვედ იყვანდა, ახლა ყველას ხოცავდა. პასატემპო სიკვდილით დასაჯა, როდესაც ის-ის იყო, დაქორწინდა. აღარც ჯაშუშებს ინდობდა. პიშოტა იმ აზრმა შეაშფოთა, რომ ერთ მშვენიერ დღეს ის ადამიანი, რომელიც მას უყვარდა და რომლის უსაფრთხოებაზეც ზრუნავდა, მასზეც აღმართავდა ხელს. ეშინოდა, ჯულიანოს მისი ყველა ოინის შესახებ რომ გაეგო, არც მას დაინდობდა.

* * *

დონ კროჩე უკანასკნელი სამი წლის განმავლობაში ჯულიანოსა და პიშოტას ურთიერთობას გულდასმით ადევნებდა თვალს. ამ ორი ადამიანის გარდა მის იმპერიას არავინ ემუქრებოდა. სიცილიის მართვაში მხოლოდ ისინი უშლიდნენ ხელს. თავიდან იმედოვნებდა, რომ ჯულიანოს ბანდას „მეგობართა მეგობრების“ შეიარაღებულ ძალად აქცევდა. ამ მიზნით ჰექტორ აღონისი მიუგზავნა და სრულიად ცხადი წინადადებით მიმართა: ტორი ჯულიანო დიდი მებრძოლი უნდა ყოფილიყო, დონ კროჩე კი — დიდი ხელისუფალი. მაგრამ ჯულიანომ არ ისურვა მის წინაშე დაჩოქება. ის საკუთარ ვარსკვლავს მიჰყვებოდა, ღარიბების ხსნა და რომის უღლის გადაგდება სურდა, ამას კი დონ კროჩე ვერ ხვდებოდა.

1943 წლიდან 1947 წლამდე ჯულიანოს ვარსკვლავი ზენიტში

იყო. დონ კროჩე კი ჯერაც აგროვებდა „მეგობართა მეგობრებს“. მაფია მუსოლინის მიერ მიყენებული უმძიმესი დარტყმის შემდეგ ჯერ მყარად ვერ წამომდგარიყო ფეხზე. ამიტომაც დონმა ჯულიანოს ძალაუფლება ქრისტიან-დემოკრატებთან ალიანსით გაანელა, თვითონ კი ამასობაში მაფიის იმპერია ააღორძინა და ხელსაყრელ დროს დაელოდა. მისი პირველი დარტყმა, ჯინესტრასთან ხალხის ამოხოცვის ჯულიანოსთვის დაბრალება, მართლაც ოსტატურად იყო დაგეგმილი: ჯულიანოს სამუდამოდ გადაეწურა იმის იმედი, რომ რომის მთავრობა შეიწყალებდა და, ამავედროულად, სიცილიის მხსნელისა და გმირის სახელიც შეეებღალა. ხოლო მას მერე, რაც მაფიის ექვსი ხელმძღვანელი დახოცა, დონ კროჩეს გამოსავალი აღარ დარჩა: „მეგობართა მეგობრებსა“ და ჯულიანოს ბანდას ერთმანეთთან სისხლის უკანასკნელ წვეთამდე უნდა ებრძოლათ.

ამიტომაც დონ კროჩემ ყურადღება პიშოტაზე გადაიტანა. გამჭრიახი იყო, მაგრამ ახალგაზრდულად დაუდევარი: ბოლომდე არ იცნობდა იმ ბოროტებას, რაც თვით საუკეთესო ადამიანთა გულე-ბშიც კი დაჟანებულიყო. გარდა ამისა, პიშოტამ ამ ცხოვრების სიამტკბილობების გემოც იცოდა. ჯულიანო ფულს აგდებით ეპყრობოდა, ის კი აფასებდა იმას, რაც ფულით იყიდებოდა. ჯულიანოს ერთი კაპიკიც კი არ გადაუღვია მომავლისათვის, თუმცა ყაჩაღობით მილიარდი ლირა მაინც ექნებოდა მოპოვებული. თავის წილს მუდამ თავის ოჯახსა და ღარიბ ახლობლებს ახმარდა.

დონ კროჩე საგანგებოდ ზრუნავდა იმაზე, რომ პიშოტას პალერმოში შეკერილი საუკეთესო ტანისამოსი სცმოდა და ყველაზე ძვირად ღირებულ მეძავებთან ევლო. იმასაც მიაღწია, რომ მის ოჯახს ჯულიანოს ოჯახზე უკეთ ეცხოვრა. გარდა ამისა, დონ კროჩემ შეიტყო, რომ პიშოტას პალერმოს ბანკებში ყალბი სახელებით რამდენიმე ანგარიში ჰქონდა გახსნილი. ასევე, რამდენიმე ყალბი საბუთი მოემარაგებინა და ტრაპანიში მშვიდი, საიმედო სახლი ეყიდა. რაც მთავარია, ამ ყველაფერს ჯულიანოს ზურგს უკან აკეთებდა. ამიტომაც ადრევე აგრძნობინა, რომ ნებისმიერ დროს მიიღებდა და ელოდა, რომ პიშოტა მასთან ადრე თუ გვიან აუცილებლად მივი-

დოდა. პოლკოვნიკი ლუკა და ინსპექტორი ველარდი ამ ვიზიტის შესახებ წინდაწინ გააფრთხილა, რათა ისინიც მოსათათბირებლად მისულიყვნენ, თუკი ყველაფერი მშვიდობიანად ჩაივლიდა. ხოლო თუ პიშოტა გაჯიუტდებოდა, ანდა, თუ მისი ვიზიტი ჯულიანოს მიერ დონ კროჩეს მოსაკლავად მოწყობილი ხრიკი აღმოჩნდებოდა, მაშინ ასპანუ განწირული იყო.

პიშოტა უსიტყვოდ დაემორჩილა დაცვას, რომელმაც იარაღი ჩამოართვა და დონთან მიიყვანა. შიში არ ჰქონდა, რადგან სულ რამდენიმე დღის წინ დონს ფასდაუდებელი სამსახური გაუწია: მის სასტუმროზე თავდასხმის შესახებ გააფრთხილა.

მარტონი ისხდნენ. მსახურებმა სუფრაზე ხილი და ღვინო დააწყვეს და დონ კროჩემ, ძველი ყაიდის თვაზიანმა მასპინძელმა, პიშოტას ჭიქა საკუთარი ხელით შეუვსო.

— იღბლიანი დრო დამთავრდა, — უთხრა დონმა, — ახლა მეც და შენც სირთულეებისათვის უნდა ვემზადოთ. დროა, ის გადაწყვეტილება მივიღოთ, სიკვდილისგან რომ გვიხსნის. იმედია, მზად ხარ, ჩემს სათქმელს მოუსმინო.

— არ ვიცი, რა საფრთხე გემუქრებათ, — უთხრა პიშოტამ დონს, — მე კი დიდი სიფრთხილე მმართებს, ცოცხალი რომ გადავრჩე.

— ემიგრაცია არ გიზიდავს? — ჰკითხა დონმა, — ჯულიანოსთან ერთად ამერიკაში წასვლა ხომ შეგიძლია. მართალია, იქაური ღვინო არ ვარგა, თანაც სიკვდილით დასჯას ელექტრონულ სკამზე აღასრულებენ და მათი მთავრობა ჩვენსას ცივილიზებულობაში ჩამოუვარდება. იქ ნაჩქარევს ვერაფერს მოიმოქმედებ. თუმცა, ბოლოს და ბოლოს, არც იქაა ცუდი ცხოვრება.

— ამერიკაში რა მინდა? — ჩაიცინა პიშოტამ, — აქ მინდა ბედი ვცადო. როგორც კი ჯულიანო წავა, ისეთი დაჟინებით აღარავინ დამიწყებს ძებნას, მთაში კი სამალავის მეტი რა არის.

— ფილტვები კიდევ გაწუხებს? — თანაგრძნობით ჰკითხა დონმა, — წამალი ისევ გჭირდება?

— ჰო, — უპასუხა პიშოტამ, — მაგრამ ეს არ მადარდება. სრულიად შესაძლებელია, რომ აუადმოფობის კი არა, სულ სხვა რამისაგან მოვკვდე.

— მოდი, სიცილიურად ვილაპარაკოთ, — ძალზე სერიოზული კილოთი წამოიწყო დონმა, — ბავშვობაში, ახალგაზრდობაში, ბუნებრივია, მეგობარი გვიყვარდეს და მას ყველა ნაკლი ვაპატიოთ. ყოველი დღე ახალი და ხალასია და მომავალს იმედით ვუყურებთ. სამყარო სულ არ არის საშიში, ეს ბედნიერი პერიოდია. მაგრამ, როცა ვვაჟკაცდებით და ჩვენი შრომით ლუკმაპურის შონას ვიწყებთ, მაშინ მეგობრობა აღარ არის მარტოვი. ყოველ წამს სიფრთხილე გემართებს. ბავშვობის გულუბრყვილო სიამენი აღარ გვაკმაყოფილებს. ჩვენში სიამაყე მძლავრობს: გვსურს სიმდიდრე, ძალაუფლება, ანდა, უბრალოდ, უიღბლობისაგან დაზღვევა. ვიცი, რა ძლიერ გიყვარს ტორი ჯულიანო, მაგრამ დროა, საკუთარ თავს შეეკითხო, რა ფასად გიჯდება ეს სიყვარული. იქნებ ამ ხნის განმავლობაში ის სულაც გაქრა და მის ადგილს მხოლოდ მისი მოგონებაღა შემორჩენია? — დონი პიშოტას პასუხს დაელოდა, მაგრამ ყაჩაღის სახე გაქვავებულიყო.

— ჯულიანოს ცოცხალს ვერ დავტოვებ და ვერც გაქცევის საშუალებას მივცემ, — განაგრძო დონმა, — თუ მასთან დარჩები, მაშინ შენც ჩემი მტერი იქნები. ეს დაიმახსოვრე. როცა ჯულიანო აღარ იქნება, სიცილიაზე ჩემი მფარველობის გარეშე ვერ იცოცხლებ.

— ტორის „ანდერძი“ უკვე ამერიკაშია, მის მეგობრებთან, — თქვა პიშოტამ, — თუ მოკლავთ, გახმაურდება და ეს მთავრობა დაემხო, ახალმა მთავრობამ კი შეიძლება გზიდან ჩამოგიშოროთ: ვილაბას ფერმაზე გაგიშვით, ან ბევრად უარესადაც კი მოგექცნენ.

დონმა ჯერ ჩაიციხა, მერე კი გულიანად გადაიხარხარა.

— თუ წაგიკითხავს ეს სახელგანთქმული „ანდერძი“?

— ჰო, — დაიბნა პიშოტა.

— მე არ წამიკითხავს, — უთხრა დონმა, — და გადაუწყვიტე, ისე ვიმოქმედო, თითქოს არც არსებობდეს.

— რატომ გგონიათ, რომ ტორის ვულაღატებ?

— იმიტომ, რომ ჩემს სასტუმროზე მისი თავდასხმის შესახებ გამაფრთხილე. განა ეს მეგობრული საქციელი იყო?

— ასე ჯულიანოს გამო მოვიქეცი. ბოლო დროს თვითონაც არ იცის, რას სჩადის. თქვენი მოკვლა სურს. მე კი ვიცი, თქვენ იქით

იმედი აღარ გვაქვს. „მეგობართა მეგობრები“ არ მოგვასვენებენ, ვიდრე არ დაგვხოცავენ. რამდენიმე დღის წინ შექმლო ქვეყნის დატოვება, მაგრამ იმიტომ აყოვნებს, რომ თქვენზე შურისძიების იმედი აქვს. აქ იმიტომ მოვედი, რომ შეგითანხმდეთ: ჯულიანო რამდენიმე დღეში სამუდამოდ დატოვებს ამ ქვეყანას და თქვენთან ვენდეტასაც შეწყვეტს. გაუშვით.

დონ კროჩე სკამის საზურგეზე გადაწვა და ღვინო მოსვა.

— ბავშვურად მსჯელობ. ეს ისტორია დასასრულს უახლოვდება. ჯულიანო იმდენად საშიშია, რომ ცოცხალს ვერ დავტოვებ. მაგრამ ვერც საკუთარი ხელით მოკლავ. სიცილიის უდიდეს გმირს თუ მოკლავ, აქ აღარ დამედგომება. ჯულიანო მეტისმეტად ბევრ ადამიანს უყვარს და მის მიმდევართაგან რომელიმე აუცილებლად შეეცდება შურისძიებას. ის კარაბინერებმა უნდა მოკლან. შენ კი ერთადერთი ხარ, ვისაც შეუძლია ჯულიანო ხაფანგში შეიტყუოს, — დუმილის შემდეგ დონმა ხაზგასმით წარმოთქვა: — შენი სამყარო ნგრევის პირასაა. შეგიძლია მასში დარჩე და მის განადგურებას უცქირო, მაგრამ ისიც შეგიძლია, რომ ნაბიჯი გადადგა და სხვა სამყაროში გადახვიდე.

— თუ გახმაურდა, რომ ჯულიანოს სიკვდილი ჩემს სინდისზეა, თვით იესო ქრისტეც კი ვერ დამიცავს სიკვდილისაგან, — უთხრა პიშოტამ.

— შენგან მხოლოდ ის მჭირდება, თქვენი მომდევნო შეხვედრის ადგილი შემატყობინო, — უთხრა დონმა, — ამის შესახებ ვერაფერს შეიტყობს. მე პოლკოვნიკ ლუკასა და ინსპექტორ ველარდის შეუთანხმდები. დანარჩენს ისინი აიღებენ საკუთარ თავზე, — წამით დადუმდა, — იცი, ჯულიანო შეიცვალა. ის აღარაა შენი ბავშვობის საუკეთესო მეგობარი. ის ახლა საკუთარ ბედზე ზრუნავს და შენც ასე უნდა მოიქცე.

ამგვარად, 5 ივლისს, როდესაც პიშოტა კასტელვეტრანოში გაემგზავრა, საბოლოოდ გადაწყვიტა, დონ კროჩეს მიმხრობოდა და ჯულიანოსთან შეხვედრის ადგილი გაუმხილა. იცოდა, რომ დონი ამ ინფორმაციას პოლკოვნიკ ლუკასა და ინსპექტორ ველარდის

გადასცემდა. ზუ პეპინოს სახლი არ უხსენებია, მაგრამ უთხრა, რომ ჯულიანო კასტელვეტრანოში იქნებოდა. გარდა ამისა, გააფრთხილა, რომ ჯულიანოს ალლო აქვს დაგებული ხაფანგების ამოცნობაში.

როდესაც პიშოტა ზუ პეპინოსთან მივიდა, ბერიკაცი უჩვეულოდ ცოვად შეხვდა. ქალაქში კარაბინერები განსაკუთრებულად გააქტიურებულიყვნენ და პიშოტა მიხვდა, რომ პეპინომ სიცილიელის ეჭვიანი გონებით გარემოებები ერთმანეთს დაუკავშირა და ლალატი იეჭვა.

იმ წუთიდან პიშოტას მწარე დარდი ხრავდა. იმაზე ფიქრი არ ასვენებდა, ვაითუ, მარია ლომბარდოს გაეგო, რომ მისმა საყვარელმა ასპანუმ გასცა მისი ვაჟი? რა იქნება, ერთ დღეს მასთან რომ მივიდეს, სახეში შეაფურთხოს და მკვლეელი და გამცემი უწოდოს? მათ ხომ, გადახვეულებმა, ერთად იტირუს, ასპანუ ქალს დაჰპირდა, რომ მის ვაჟს დაიცავდა და იუდას ამბორითაც ეამბორა. წამით მოუნდა, საკუთარი თავიც მოეკლა და ეს ბერიკაციც.

— თუ ჯულიანოს ეძებ, აქ იყო და წავიდა, — უთხრა ზუ პეპინომ. გადაფითრებული პიშოტა შეებრაღა. ახალგაზრდას სუნთქვა უჭირდა.

— ანისეტს დაღევ? — ჰკითხა.

პიშოტამ თავი გააქნია და წასასვლელად გატრიალდა.

— ფრთხილად იყავი, ქალაქი კარაბინერებითაა სავსე, — უთხრა მოხუცმა.

პიშოტამ გამყინავი შიში იგრძნო. რა ბრიყვი იყო, თუკი ეგონა, რომ ჯულიანო საფრთხეს ვერ იყნოსავდა! ახლა კი შეიძლება ლალატსაც მიუხვდა.

სახლიდან სირბილით გაიქცა, ქალაქს მინდვრებით შემოუარა და იქ გასწია, სადაც შეხვედრის მეორე ადგილი ჰქონდათ დათქმული: აჩრდილად ქცეული ძველბერძნული სელინუნტისკენ.

ძველბერძნული ქალაქის ნანგრევები ზაფხულის მთვარის სხივებში ბზინავდა. ჯულიანო მათ შორის იჯდა და ამერიკაზე ოცნებობდა.

ყოველსმომცველი სევდა დაეუფლა. რა უცებ გაეფანტა ძველი ოცნებები. რა იმედი ჰქონდა, რომ საკუთარ მომავალსაც აიწყობდა და სიცილიასაც ააყვავებდა. საკუთარი უკვდავებისაც ასე მტკიცედ სწამდა. ხალხსაც როგორ უყვარდა! ოდესღაც თავი ამ ხალხის მხსნელი ეგონა, ახლა კი მათთვის წყველად ქცეულიყო. თავი მიტოვებულად და განწირულად იგრძნო. თუმცა ჯერ კიდევ ჰყავდა ასპანუ პიშოტა. ოდესმე ერთად შეძლებდნენ იმ ძველი დროისა და ოცნებების აღორძინებას. სულ თავიდანაც ხომ მხოლოდ ორნი იყვნენ.

მთვარე ღრუბლებს მოეფარა და ქალაქი წყვედიადში ჩაეფლო. უსწორმასწორო ნანგრევები ახლა ჩონჩხს ჰგავდა. სიბნელიდან ნაშალი კენჭებისა და ქვიშის შარიშური მოისმა. ვიღაც მოდიოდა. ჯულიანო თოფით ხელში გვერდზე გადაგორდა და ძირს განერთხა. მთვარემ ღრუბლებიდან გამოანათა და ჯულიანომ აკროპოლისის მხრიდან მომავალი ასპანუ პიშოტა დაინახა.

პიშოტა ნელა მოუყვებოდა ქვიან ბილიკს, თვალებით ტორის დაეძებდა და ჩურჩულით ეძახდა. ჯულიანომ გაულა აცალა, მერე კი მის ზურგს უკან ფეხზე წამოდგა და უთხრა:

— ასპანუ, ისევ მე გავიმარჯვე! — ეს მათი ბავშვობისდროინდელი თამაში იყო. გაოცდა, როცა პიშოტა მისი ხმის გაგონებაზე შეშინებული შეკრთა.

ჯულიანო საფეხურზე ჩამოჯდა და თოფი გვერდზე გადადო.

— მოდი, დაჯექი, დაღლილი იქნები. შეიძლება მეტი არც მოგვიწიოს მოწმეების გარეშე ლაპარაკი.

— მაზარა დელ ვალოში ვილაპარაკოთ, — უთხრა პიშოტამ, — იქ უფრო უსაფრთხოდ ვიქნებით.

— დრო ბევრი გვაქვს, — შეეკამათა პიშოტა, — ახლა თუ არ დაისვენე, ისევ სისხლიანი ხველა აგიტყდება.

ასპანუმ თოფი მხრიდან შეიხსნა. ჯულიანოს ეგონა, გვერდზე გადადებას აპირებსო. ხელი გაუწოდა, საფეხურებზე ამოსვლაში რომ დახმარებოდა, მაგრამ უეცრად გაიაზრა, რომ მეგობარი თოფის ლულას მას უმიზნებდა და გაშრა. შვიდი წლის მანძილზე პირველად დაემუქრნენ მოულოდნელად.

პიშოტას გააჟრჟოლა იმის გაფიქრებაზე, რას ეტყოდა ჯულიანო, ხმის ამოდება რომ დასცლოდა. „ასპანუ, ვინ არის ჩვენს ბანდაში იუდა? — ასე ეტყოდა, — ასპანუ, ვინ გააფრთხილა დონ კროჩე? ვინ

მოიყვანა კარაბინერები კასტელვეტრანოში?“ ყველაზე მეტად კი ამ სიტყვების გაგონების ეშინოდა: „ასპანუ, შენ ხომ ჩემი ძმა ხარ!“

ტყვიების ჯერმა ჯულიანოს გამოწვდილი ხელი უკან გადაისროლა და მისი სხეული შეარყია. საკუთარი ნამოქმედართ თაზ-ზარდაცემული პიშოტა მოელოდა, რომ ტორი უკან გადავარდებოდა, მაგრამ, ნაცვლად ამისა, ის ფეხზე წამოდგა და ნელა დაიწყო კიბეებზე ჩამოსვლა. ჭრილობებიდან ღვარად სდიოდა სისხლი. პიშოტა მისტიკურმა ძრწოლამ აიტანა, გატრიალდა და გაიქცა. მერე უკან მოიხედა და დაინახა, როგორ მისდევდა ჯულიანო, მერე კი ძირს დაეცა.

მომაკვდავს ეჩვენებოდა, ისევ მივრბოვარო. მის არეულ გონებას ეგონა, რომ კვლავაც შვიდი წლის წინ ასპანუსთან ერთად გარბოდა აყვავებულ ფერდობებზე, რომაულ ავზებიან მთის წყაროებსა და ბოქლომდადებულ სალოცავებში ჩაკეტილ წმინდანებს შორის და იმ ღამესავით, ახლაც შესძახა:

— ასპანუ, მე მჯერა! — კვლავაც სჯეროდა მეგობრის ერთგულების, ვიდრე სიკვდილის მოწყალე ხელმა ღალატი და დამარცხება არ დაანახვა. ამ ზმანებაში დაღია სული.

ასპანუ პიშოტა გაიქცა. მინდვრები გადაირბინა და კასტელვეტრანოს შარაგზას მიადგა. საგანგებო პასპორტის მეშვეობით პოლკოვნიკ ლუკასა და ინსპექტორს დაუკავშირდა, მათ კი კაპიტან პერენზეს მიერ ჯულიანოს ჩიხში მომწყვდევისა და განადგურების ამბავი გააურცელეს.

1950 წლის 5 ივლისის ადრიანი დილით მარია ლომბარდო ჯულიანო კარზე კაკუნმა გააღვიძა. მისი ქმარი ამბის გასაგებად გავიდა. საძინებელში რომ მობრუნდა, გააფრთხილა, მივდივარ და, შეიძლება, მთელ დღეს ვერ დავბრუნდეო. ქალმა ფანჯრიდან დაინახა, თუ როგორ ჩაჯდა ქმარი ზუ პეპინოს მოხატულ ოთხთვალაში. ტორისგან რაიმე ამბავი ხომ არ არისო, გაიფიქრა ქალმა. ნეტავ, ამერიკაში მშვიდობით ჩავიდა თუ რაიმე უბედურება დატრიალდა? ნაცნობი მღელვარება იგრძნო, აუტანელ შიშში რომ გადადიოდა, რაც შვიდი წლის განმავლობაში ასე ხშირად უგრძნია. მოუსვენრობა ტანჯავდა. სახლი დაალაგა, სადილი მოამზადა, მერე კი კარი გააღო და ქუჩაში გაიხედა.

მთავარ ქუჩაზე ძეხორციელი არ ჩანდა, არც ბავშვები თამაშობდნენ. მეზობლების დიდი ნაწილი ციხეში იჯდა ჯულიანოსთან თანამზრახველობის ბრალდებით. ქალებს შვილების ქუჩაში გაშვების ეშინოდათ. მთავარი ქუჩის თავსა და ბოლოში კარაბინერთა რაზმები იდგა. დროდადრო შაშხანიანი ჯარისკაცები აღმა-დაღმა დადიოდნენ. სახურავებზეც ჯარისკაცები მოჩანდნენ. შენობების გასწვრივ სამხედრო ჯიპები ეყენა. მთავარი ქუჩიდან ბელამპოს ბარაკებისაკენ გადასახვევი ჯავშნოსანი მანქანით იყო გადაკეტილი. მთლიანობაში მონტელეპრეში პოლკოვნიკ ლუკასის ორი ათასი კაცი იყო დაბანაკებული; ჯარისკაცები მოსახლეობას სასტიკად ეპყრობოდნენ: ქალებს შეურაცხყოფდნენ, ბავშვებს აშინებდნენ, იმ მამაკაცებს ფიზიკურად უსწორდებოდნენ, ვინც ჯერ კიდევ ციხეში არ ჩაესვათ. და ყველანი აქ მარია ლომბარდოს ვაჟის მოსაკლავად მოსულიყვნენ. ის უკვე სამშვიდობოს იყო, ამერიკაში, და, როცა დრო მოვიდოდა, ის და მისი ქმარიც მასთან გაემგზავრებოდნენ. იქ ყველანი ერთად თავისუფლად და შიშის გარეშე იცხოვრებდნენ.

ქალი სახლში შებრუნდა და საქმე გამონახა. უკანა აივანზე გავიდა და მთებს გახედა. ამ მთებიდან ჯულიანო სახლს ბინოკლით აკვირდებოდა. დედა მის სიახლოვეს მუდამ გრძნობდა. ახლა — აღარ. ის უეჭველად ამერიკაში იქნებოდა.

ხმამაღალმა კაკუნმა თავზარი დასცა. ნელა წავიდა კარის გასაღებად. პირველი, ვინც დაინახა, ჰექტორ ადონისი იყო. ქალს ის ასეთი არასოდეს ენახა: გაუპარსავი იყო, თმა აბურძგნოდა და ჰალსტუხი არ ეკეთა. პიჯაკს ქვემოთ დაჭყლეტილი პერანგი მოუჩანდა, რომლის საყელოც დალაქავებული იყო. მაგრამ ყველაზე თავზარდამცემი მისი სახის გამომეტყველება იყო: ჩვეული ღირსების ნაცვლად უსასოო გლოვა აღბეჭდვოდა, თვალებში ცრემლები ედგა. თვალი რომ გაუსწორა, ქალმა დაიკივლა.

— არა, მარია, გთხოვ, — უთხრა ადონისმა და ზღურბლს გადააბიჯა. მასთან ერთად პოლიციის ახალგაზრდა ოფიცერი შემოვიდა. სახლის წინ სამი შავი მანქანა იყო გაჩერებული, კარის ორივე მხარეს შეიარაღებული პოლიციელები ჩამწკრივებულიყვნენ.

ლეიტენანტმა, წითელლოყება ჭაბუკმა, ქუდი მოიხადა და მკლავქვეშ ამოიღო.

— თქვენ ბრძანდებით მარია ლომბარდო ჯულიანო? — ფორმა-
ლური კილოთი იკითხა მან ჩრდილოური, ტოსკანური აქცენტით.

მარია ლომბარდოს სასოწარკვეთილებისაგან პირი გაუშრა, ძლივძლივობით ამოიხროტინა, მე ვარო.

— გთხოვთ, კასტელვეტრანოში გამოძევეთ, — უთხრა ოფიცერ-
მა, — მანქანა გველოდება. თუ წინააღმდეგი არ იქნებით, თქვენი
მეგობარი ჩვენთან ერთად წამოვა.

მარია ლომბარდომ თვალები ფართოდ გაახილა და მტკიცე ხმით
წარმოთქვა:

— რატომ? კასტელვეტრანოში არავის ვიცნობ.

ლეიტენანტს კილო მოუღბა და ოდნავი ბორძიკით წარმოთქვა:

— იქ ერთი ადამიანია, რომელიც უნდა ამოიცნოთ. ჩვენი ვარაუ-
დით, ეს თქვენი ვაჟია.

— არა, ეს ჩემი შვილი ვერ იქნება, მას კასტელვეტრანოში არა-
ფერი ესაქმება. მკვდარია?

— დიახ, — უპასუხა ოფიცერმა.

მარია ლომბარდომ ხმამაღლა ამოიგმინა და მუხლებზე დაეცა.

— ჩემი შვილი არასოდეს დადის კასტელვეტრანოში, — გაიმეო-
რა მან. ჰექტორ ადონისმა მხარზე ხელი დაადო.

— უნდა წახვიდე. შესაძლოა, ეს მისი მორიგი ხრიკი იყოს, მსგა-
ვისი რამ ადრეც გაუკეთებია.

— არა, — თავი გააქნია ქალმა, — არ წავალ! არ წავალ!

— თქვენი მეუღლე შინაა? — იკითხა ოფიცერმა, — თქვენ
ნაცვლად შეგვიძლია ის წავიყვანოთ.

მარია ლომბარდომ გაიხსენა დილით ზუ პეპინოს მოსვლა და ის
ცუდი წინათგრძნობა, რომელიც იმ დროს გაუჩნდა.

— დამელოდეთ, — თქვა და საძინებელში შევიდა. შავი კაბა
ჩაიცვა და შავი თავშალი შემოიხვია. ოფიცერმა კარი გაუღო. ქალი
გარეთ გავიდა, მთელი ქუჩა პოლიციელებით იყო სავსე. ქალმა მთა-
ვარი ქუჩის ბოლოს გახედა და უცხადესად დაინახა მოედნისკენ
მიმავალი ტორი და ასპანუ, ზუსტად ისე, როგორც შვიდი წლის
წინ, როცა ვირი მიჰყავდათ შესაჯვარებლად, სწორედ იმ დღეს,
რომლის შემდეგაც ორივე ყაჩაღობის გზას დაადგა. ქალი ატირდა,
ლეიტენანტმა ხელი მოჰკიდა და მანქანაში ჩასვა. ჰექტორ ადონისი
მის გვერდით დაჯდა. მანქანა პოლიციელების მწკრივებს შორის

მიდიოდა. ქალმა ადონისის მხარზე დამალა სახე. აღარ ტიროდა, მაგრამ მომაკვდინებელი შიში სტანჯავდა იმის გამო, რაც ამ მგზავრობის ბოლოს ელოდა.

ტორი ჯულიანოს ცხედარი უკვე სამი საათის განმავლობაში ერთ-ერთ ეზოში ესვენა. უცნაურად იწვა, თითქოს ეძინა: სახე გვერდზე ჰქონდა მიბრუნებული, ცალი ფეხი მუხლში მოხრილი. პერანგი სისხლისაგან მთლად გასწითლებოდა. ტყვიით გაგლეჯილ მკლავთან თოფი ედო. პალერმოსა და რომიდან ჩამოსული ჟურნალისტები უკვე ადგილზე იყვნენ. ჟურნალ „ლაიფის“ ფოტორეპორტიორი კაპიტან პერენზეს სურათებს უღებდა. სულ მალე კაპიტანი ჟურნალის ფურცლებზე სახელგანთქმული ჯულიანოს მკვლელად წარმოჩნდებოდა. ამ სურათებზე მას გულკეთილი და ნაღვლიანი სახე ჰქონდა, თავზე კეპი ეხურა, რის გამოც გამყიდველს უფრო ჰგავდა, ვიდრე პოლიციის კაპიტანს.

მაგრამ მსოფლიოს გაზეთებს მისი კი არა, სალვატორე ჯულიანოს სურათები წაღეკავდა. მოკლულს გამოშვერილ ხელზე ის ზურმუხტის ბეჭედი ეკეთა, ოდესღაც ჰერცოგინიას რომ წაართვა. წელზე ოქროსბალთიანი ქამარი ეკეთა. სისხლის გუბეში იწვა.

ვიდრე მარია ლომბარდო მოვიდოდა, გვამი ქალაქის საცხედრეში გადაიტანეს და მარმარილოს მაგიდაზე დააწვინეს. საცხედრე მაღლა აწოწილი შავი კვიპაროსებით გარშემორტყმულ სასაფლაოსთან მდებარეობდა. მარია ლომბარდო სწორედ აქ მოიყვანეს და მოსაცდელად ქვის მერხზე დასვეს, ვიდრე პოლკოვნიკი და კაპიტანი სასტუმრო „სელინუსში“ საზეიმო სადილს მოამთავრებდნენ. ამდენი ჟურნალისტისა და ცნობისმოყვარე ქალაქელის დანახვაზე მარია ლომბარდო მწარედ ატირდა. ჰექტორ ადონისი მის დამშვიდებას ცდილობდა.

ბოლოს, როგორც იქნა, საცხედრეში შეუშვეს. მარმარილოს ოვალური მაგიდის გარშემო შეკრებილმა ოფიციალურმა პირებმა შეკითხვების დასმა დაუწყეს. მარია ლომბარდომ თავი ასწია და ტორის სახე დაინახა.

ასეთი ნორჩი კარგა ხანს არ ენახა. სწორედ ასეთი იყო ბავშვობაში, ასპანუსთან ერთად მთელი დღის თამაშის შემდეგ დაქანცულს რომ ჩაეძინებოდა. სახეზე არაფერი ემჩნეოდა, მხოლოდ შუბლი

დასვროდა ქუჩის მტკვრით ოდნავ. სინამდვილემ ქალი გამოაფხიზლა, უცნაურად დაამშვიდა და შეკითხვებზე პასუხის გაცემა დაიწყო.

— დიახ, ეს ჩემი ვაჟია, ტორი, რომელიც ოცდაშვიდი წლის წინ გავაჩინე. დიახ, დარწმუნებული ვარ, ისაა.

კიდევ რაღაცას ეკითხებოდნენ, ქალაქლებზე ხელის მოწერას სთხოვდნენ, მაგრამ ქალი ყურს აღარ უგდებდა, ვეღარც მყვირალ ჟურნალისტებს ამჩნევდა და ვეღარც რეპორტიორებს, რომლებიც სურათებს უღებდნენ.

ქალმა შვილს შუბლი, გალურჯებული ტუჩები და ტყვიებით დაფლეთილი მკლავი დაუკოცნა. აუტანელმა ტკივილმა დაუსერა გონება.

— შვილო, ჩემო სისხლო და ხორცო, რა საშინელი სიკვდილით მოკვდი! — ჩურჩულებდა თავდავიწყებით.

გონება დაკარგა და, როდესაც ექიმმა მოასულიერა, ქალმა ითხოვა, იმ ეზოში მიეყვანათ, სადაც მისი ვაჟი მანამდე იწვა. იქ ჩაიმუხლა და სისხლით მოსვრილ მიწას აკოცა.

როცა მონტელეპრეში დააბრუნეს, ქმარი შინ ელოდა. სწორედ მაშინ შეიტყო ქალმა, რომ მისი ვაჟის მკვლეელი მისი ძვირფასი ასპანუ ყოფილა.

თავი 29

მაიკლ კორლეონე და პიტერ კლემენზა დაპატიმრების შემდეგ პირდაპირ პალერმოს ციხეში მოათავსეს. იქიდან ინსპექტორ ველარდის ოფისში წაიყვანეს დასაკითხად.

ველარდის კაბინეტს ექვსი შეიარაღებული კარაბინერი იცავდა. ინსპექტორი მაიკლსა და კლემენზას, ცივად, თუმცა თავაზიანად მიესალმა და ჯერ მხოლოდ კლემენზას მიმართა:

— თქვენ ამერიკის მოქალაქე ხართ. საბუთში გიწერიათ, რომ აქ თქვენი ძმის, დონ დომენიკ კლემენზას მოსანახულებლად ჩამოხვედით. როგორც მითხრეს, ეს ძალზე პატოცემული პიროვნებაა. ღირსეული კაცია, — ეს ორაზროვანი ფრაზა ინსპექტორმა შეფარული სარკაზმით წარმოთქვა, — ჩვენ მაიკლ კორლეონესთან ერთად დაგაკავეთ იმ ქალაქში, სადაც სულ რამდენიმე საათის წინ ტორი ჯულიანო მოკვდა. გარდა ამისა, შეიარაღებულიც ბრძანდებით. ამასთან დაკავშირებით ახსნა-განმარტებას ვითხოვ.

— კურდღლებზე სანადიროდ ვიყავით გამოსულები, — უპასუხა კლემენზამ, — კასტელვეტრანოს კაფეში საუბარში გაჟერდით და მთელი ამ ალიაქოთის მომსწრენი გაუხდით.

— ამერიკაში კურდღლებზე ავტომატური პისტოლეტებით ნადირობთ? — შეეკითხა ინსპექტორი და შემდეგ მაიკლს მიუბრუნდა, — ჩვენ ადრეც შევხვედრივართ. ვიცი, აქ რატომაც ხართ და ეს თქვენმა მსუქანმა მეგობარმაც იცის. მაგრამ დონ კროჩესთან ჩვენი სასიამოვნო სადილის შემდეგ ვითარება შეიცვალა. ჯულიანო მკვდარია. თქვენ მისი გაპარების დანაშაულებრივი გეგმის თანამზრახველი ხართ. უკვე აღარ ვარ ვალდებული, თქვენნაირ ნაძირლებს ადამიანურად მოვეპყრო. ახლა ვაძნადებთ წერილობით ჩვენებს, რომლებზეც ხელის მოწერა მოგიწევთ.

ამ დროს კარაბინერი ოფიცერი კაბინეტში შემოვიდა და ინსპექტორს ყურში რაღაც ჩასჩურჩულა.

— შემოუშვით, — მოკლედ უპასუხა ინსპექტორმა.

შემოვიდა დონ კროჩე, რომელსაც დაახლოებით ისევე ეცვა, როგორც იმ დღეს, როდესაც მაიკლმა მასთან ისადილა. მაიკლთან მიბაჯბაჯდა და გულში ჩაიკრა. პიტერ კლემენზას ხელი ჩამოართვა. შემდეგ ინსპექტორს მიუბრუნდა და უსიტყვოდ მიაპყრო სიძულვილით გაჯერებული მზერა.

— ეს ორი ადამიანი ჩემი მეგობრები არიან, — უთხრა ბოლოს, — ასე უხეშად რა მიზეზით ეპყრობით? — არც სახეზე, არც ხმაში არანაირი ემოცია არ ემჩნეოდა. ეს ძალაუფლების მქონე კაცის შეკითხვა იყო, კონკრეტულ ფაქტებზე დაფუძნებულ პასუხს რომ ითხოვდა. ამაყდროულად თავისი კილოთი ინსპექტორს აგებინებდა, რომ ამ ადამიანთა დაპატიმრებას ვერანაირი ფაქტი ვერ გაამართლებდა.

— ისინი სასამართლოს წინაშე წარდგებიან და მათი ბედი იქ გადაწყდება, — მხრები აიჩეჩა ინსპექტორმა.

დონ კროჩე მძიმედ ჩაესვენა ინსპექტორის მაგიდის წინ ერთ-ერთ სავარძელში და წარბები მაღლა აქაჩა. ძალზე მშვიდად, კვლავაც მუქარის გარეშე წარმოთქვა:

— ჩვენი მეგობრობის ხათრით გთხოვთ, მინისტრ ტრეზას დაურეკოთ და ჰკითხოთ, რა აზრისაა ამასთან დაკავშირებით. ძალზე დამაჟალებთ.

ინსპექტორმა ველარდიმ თავი გააქნია. ცისფერ თვალებში მრის-ხანებამ გაუელვა:

— ჩვენ მეგობრები არასოდეს ვყოფილვართ. მე ბრძანებას ვასრულებდი, ახლა კი, ჯულიანოს სიკვდილის შემდეგ, ამის აუცილებლობა აღარ არის. ეს ორნი სასამართლოს წინაშე წარდგებიან და, თუკი ამის საშუალება მომეცა, თქვენც იგივე ბედი გქწევთ.

იმავე წამს ინსპექტორის მაგიდაზე ტელეფონი აწკრიალდა. ის ყურმილის აღებას არ ჩქარობდა და დონის პასუხს ელოდა. დონ კროჩემ უთხრა:

— ყურმილი აიღეთ, ეს მინისტრი ტრუზა იქნება.

ინსპექტორმა ნელა ასწია ყურმილი, თან დონ კროჩესთვის თვალი არ მოუცილებია. ორიოდ წუთს მდუმარედ უსმინა, შემდეგ თქვა, დიახ, ბატონო მინისტრო, და ყურმილი დადო. სკამზე დაეშვა და მაიკლსა და კლემენზას მიმართა:

— თავისუფალი ხართ, შეგიძლიათ წახვიდეთ.

დონ კროჩე წამოდგა და ორივენი კაბინეტიდან მკლავების აქნევით გაუშვა, თითქოს წიწილებს საქათმეში უშვებსო. შემდეგ ინსპექტორს მიუბრუნდა.

— ამ უკანასკნელი წლის განმავლობაში მთელი მოწიწებით გექცეოდით, თუმცა სიცილიაზე უცხო ხართ. მიუხედავად ამისა, მეგობრების წინაშე შეურაცხყოფა მომაცენეთ. მაგრამ მე ის კაცი არ ვარ, ვინც წყენას გულში იხვევს. იმედი მაქვს, უახლოეს მომავალში მე და თქვენ ისევ მივუსხდებით სუფრას და ერთმანეთს უფრო უკეთ გავუგებთ.

ხუთი დღის შემდეგ ინსპექტორი ველარდი დღისით, მზისით, პალერმოს მთავარ ბულვარზე ტყვიებით დაცხრილეს.

ორი დღის შემდეგ მაიკლი უკვე შინ იყო. საოჯახო წვეულებაზე ვეგასიდან ჩამოვიდა მისი ძმა ფრედო, მოვიდნენ კონი და მისი ქმარი კარლო, კლემენზა და ტომ ჰაგენი მეუღლეებითურთ. ყველანი მაიკლს ეხვეოდნენ, ჭიქებს უჭახუნებდნენ და ეუბნებოდნენ, შესანიშნავად გამოიყურებიო. მისი დევნილობის წლებს არავინ ახსენებდა, თითქოს ვერავინ ამჩნევდა მის სახეზე ნაიარევს და არც სანის სიკვდილზე საუბრობდნენ. ისეთი მხიარული შეკრება იყო,

თითქოს მაიკლი კოლეჯიდან ან გასართობი მოგზაურობიდან დაბრუნებულიყო. მაიკლი მამის მარჯვნივ იჯდა. როგორც იქნა, საფრთხე აღარ ემუქრებოდა.

მეორე დღით გვიანობამდე ეძინა: ეს პირველი მშვიდი ძილი იყო მას მერე, რაც სამშობლო დატოვა. დედამ საუზმე დაახვედრა და, მაგიდას რომ მიუჯდა, აკოცა, რაც ზოგადად არ სჩვეოდა. მანამდე ასე მხოლოდ ერთხელ მოიქცა, როდესაც მაიკლი ომიდან შინ დაბრუნდა.

საუზმის შემდეგ მაიკლი ბიბლიოთეკაში შევიდა, სადაც მამა ელოდა. ეუცნაურა ის, რომ იქ ტომ ჰაგენი არ დახვდა, და მიხვდა, რომ მამას მასთან მოწმეების გარეშე სურდა საუბარი.

დონ კორლეონემ საზეიმოდ ჩამოასხა ანისეტი ჭიქებში და ერთი მაიკლს გაუწოდა.

— ჩვენს პარტნიორობას გაუმარჯოს, — უთხრა დონმა.

— გმადლობ, — მაიკლმა ჭიქა აწია, — ჯერ კიდევ ბევრი რამის სწავლა მომიწევს.

— ჰო, — დაეთანხმა დონ კორლეონე, — მაგრამ დრო ბევრი გვაქვს, აგერ ვარ და ყველაფერს გასწავლი.

— იქნებ ჯერ ჯულიანოს საქმე მოგვეგვარებინა? — იკითხა მაიკლმა.

დონი სკამზე მძიმედ დაეშვა და ლიქიორი ტუჩებიდან მოიწმინდა.

— ჰო, ტრაგიკული ამბავია. დიდი იმედი მქონდა, რომ გაქცევას შეძლებდა. მისი დედ-მამა ჩემი კარგი მეგობრები იყვნენ.

— ბოლომდე ვერ ჩავწვდი, რა ხდებოდა, ვინ იყო მტყუანი, ვინ მართალი, — თქვა მაიკლმა, — შენ გინდოდა, რომ დონ კროჩეს მიზნდობოდი, მაგრამ ჯულიანოს ის სძულდა. მეგონა, რადგან „ანდერძი“ შენთან იყო, ხელს არ ახლებდნენ, მაგრამ მაინც მოკლეს. როცა ამ საბუთებს გამოვაქვეყნებთ, მაშინ ხომ მიხვდებიან, რომ საკუთარი ხელით გამოიჭრეს ყელი. მამამ გულგრილად შეხედა.

— ეს სიცლიაა, — თქვა დონმა, — იქ მუდამ ერთი ღალატი მეორესთანაა გადახლართული.

— როგორც ჩანს, პიშოტას უკან დონ კროჩე და მთავრობა იდგა.

— ამაში ეჭვი არ მეპარება, — უთხრა დონმა.

— კი, მაგრამ რაში დასჭირდათ? — მაინც ვერაფერს ხვდებოდა მაიკლი, — „ანდერძი“, რომელიც ჩვენს ხელთაა, ამტკიცებს, რომ

მთავრობაც ჯულიანოს თანაშრახველია. ამას რომ გამოვაქვეყნებთ, იტალიის დღევანდელი მთავრობა დაეცემა. არაფერი მესმის.

დონმა ღიმილით წარმოთქვა:

— „ანდერძი“ უცნობი დარჩება. ჩვენ მას არ გამოვაქვეყნებთ.

მაიკლს მთელი ერთი წუთი დასჭირდა, მამის ნათქვამს რომ ჩასწვდომოდა. ხოლო, როცა ჩაწვდა, სიცოცხლეში პირველად განურისხდა.

— იმის თქმა გინდა, რომ მთელი ამ ხნის განმავლობაში დონ კროჩეს მხარეს ვიბრძოდით? — იკითხა გაფითრებულმა, — ანუ მე ჯულიანოს დახმარების ნაცვლად ვღალატობდი? მის მშობლებს ვატყუებდი? შენ კი შენს მეგობრებს ატყუებდი და მათი შვილი სასიკვდილოდ გაიმეტე? მე კი ბრიყვოვით გამომიყენე? ღმერთო ჩემო, მამა, ჯულიანო არაჩვეულებრივი კაცი იყო, სიცილიელი უბრალო ხალხის ნამდვილი გმირი. მისი „ანდერძი“ უნდა გავახმაუროთ.

მამამ ლაპარაკი აცალა, მერე კი ფეხზე წამოდგა და მაიკლს მხრებზე დაადო ხელები.

— მომისმინე. ჯულიანოს გაქცევისთვის ყველაფერი მზად იყო. დონ კროჩესთან ჯულიანოს წინააღმდეგ პირი არ შემიკრავს. თვითმფრინავიც მზად იყო, კლემენზა და მისი ხალხიც ყველაფერში დაგეხმარებოდნენ. დონ კროჩეს სურდა, რომ ჯულიანო წასულიყო — ეს საუკეთესო გამოსავალი იქნებოდა. მაგრამ ჯულიანომ დაიფიცა, რომ დონს მოკლავდა და ამ ვენდეტას გამო შეეყოვნდა. სწორედ ამან დაღუპა.

მაიკლმა მამის ხელები მოიშორა და სავარძელში ჩაჯდა.

— რაღაც მიზეზი ხომ უნდა იყოს, რატომაც არ გსურს საბუთების გამოქვეყნება. დონთან გარიგდი?

— ჰო, — უპასუხა დონ კორლეონემ, — ხომ გახსოვს, ყუმბარის აფეთქებისას რომ დაშავდი. მაშინ მივხვდი, რომ სიცილიაზე საიმედოდ ვერ დაგიცავდი. ნებისმიერ დროს შეიძლებოდა, შენი მოკვლა კვლავაც ეცადათ, მე კი აბსოლუტურად დარწმუნებული უნდა ვყოფილიყავი იმაში, რომ შინ ცოცხალი დაბრუნდებოდი. ამიტომაც დონ კროჩეს მოვურიგდი: ის დაგიცავდა, მე კი ჯულიანოს დავითანხმებდი, რომ ამერიკაში ჩამოსვლის შემდეგ „ანდერძი“ არ გამოექვეყნებინა.

მაიკლს სული შეეხუთა, როცა მოაგონდა, რომ თვითონ უთხრა

პიშოტას, „ანდერძი“ უკვე ამერიკაშიაო. ამით ჯულიანოს განაჩენს ბეჭედი დაასვა.

— ჩვენ პირობა მივეცით მის მშობლებსა და ჯუსტინას, — თქვა მაიკლმა, — რამე ხომ არ შეიცვალა?

— არაფერი აკლია, — უპასუხა დონმა, რამდენიმე თვეში გონს მოვა და მომხდარს გაიაზრებს. ჭკვიანი გოგონაა და აქ არ დაიკარგება.

— თუ „ანდერძს“ არ გამოვაქყენებთ, ამით მის დედ-მამას ვულა-ლატებით.

— არა, — აუღელვებლად მიუგო დონმა, — ამერიკაში ცხოვრების განმავლობაში ერთი რამ ვისწავლე. კომერციული ფასეულობებით უნდა იაზროვნო და ყველაფრის ფასი აწონ-დაწონო. რას მოგვცემს „ანდერძის“ გამოქვეყნება? შესაძლოა, იტალიაში მართლაც შეიცვალოს მთავრობა, შესაძლოა — არც. მინისტრი ტრუზა შეიძლება მოხსნან, მაგრამ განა ამით ჭკუას ისწავლის?

— ის იმ მთავრობის წარმომადგენელია, ვინც საკუთარი ხალხის წინააღმდეგ მკვლელობა ჩაიფიქრა, — თქვა მაიკლმა.

— ნუთუ? მაგრამ ჯერ არ დამისრულებია. განა ჩანაწერების გამოქვეყნება ჯულიანოს დედ-მამასა ან მის მეგობრებს რაიმე სიკეთეს მოუტანს? მთავრობა მათ დევნას შეუდგება, ციხეში ჩასვამს, ყველანაირად შეაფიწროებს. უფრო უარესი: დონ კროჩე მათ თავის შავ სიაში შეიტანს. დაე, სიბერეში მაინც ეღირსონ სიმშვიდეს. დონ კროჩესა და მთავრობას იმაზე შევუთანხმდები, რომ მათ მფარველობა გაუწიონ. ასე რომ, „ანდერძი“ ძალზე გამოგვადგება.

— გარდა ამისა, ჩვენი საქმისთვისაც გამოგვადგება, თუკი მომავალში სიცლიაზე რაიმე დაგვჭირდა, — დამცინავად განაგრძო მაიკლმა.

— ჰო, მერედა რა არის ამაში ცუდი? — ოდნავ შესამჩნევად გაიღიმა დონ კორლეონემ.

ხანგრძლივი დუმილის შემდეგ მაიკლმა მშვიდად თქვა:

— არ ვიცი, მაგრამ ეს უზნეობად მეჩვენება. ჯულიანო ნამდვილი ვაჟკაცი იყო, სიცოცხლეშივე ლეგენდად რომ იქცა. მის ხსოვნას პატივი უნდა ვცეთ.

დონი პირველად შეშფოთდა. ლიქიორი დაიმატა, ჭიქა მიიყუდა და უცებ გადაყლაპა. ვაჟისკენ თითი გაიშვირა.

— ახლა ხომ თქვი, ბევრი რამ მაქვს სასწავლიო. ჰოდა, მო-

მისძინე. ადამიანის უპირველესი ვალია, ცოცხალი გადარჩეს. ამის შემდეგ მოდის ის, რასაც „ზნეობას“ უწოდებენ. დონ კროჩეს მფარველობის გარეშე სიცილიას ცოცხალი ვერ დატოვებდი. გსურს, ჯულიანოსავით გმირი იყო? ლეგენდარული, მაგრამ მკვდარი? ჯულიანო მიყვარს, ჩემი მეგობრების შვილია, მაგრამ მის ბედს სრულებით არ შევნატრი. შენ ცოცხალი ხარ, ის კი მკვდარი. ეს გახსოვდეს და იცხოვრე არა იმისთვის, რომ გმირი გახდე, არამედ სიცოცხლე რომ შეინარჩუნო. გმირები, რაც დრო მიდის, უფრო სულელურად გამოიყურებიან.

— ჯულიანოს არჩევანი არ ჰქონდა, — ამოიოხრა მაიკლმა.

— ჩვენ მასზე მეტად გაგვიმართლა, — უთხრა დონმა.

მამისაგან მიღებული ეს პირველი გაკვეთილი მაიკლმა საუკეთესოდ აითვისა. მის მომავალზე ამან დიდი გავლენა მოახდინა და ისეთი გადაწყვეტილებებისაკენ უბიძგა, რასაც ვერ წარმოიდგენდა. ზნეობაზე წარმოდგენაც შეუცვალა და გმირობით აღტაცებაც გაუნელა. ამ გაკვეთილის წყალობით არაერთხელ შეინარჩუნა სიცოცხლე, მაგრამ ბედნიერების განცდა სამუდამოდ დაკარგა, რადგან მაიკლი, მამამისისაგან განსხვავებით, შენატროდა ჯულიანოს ბედს.

თავი 30

ჯულიანოს სიკვდილმა სიცილიელი ხალხი სულიერად გაანადგურა. ჯულიანო მათი გმირი და მხსნელი იყო, მდიდართა, დიდგვაროვანთა, „მეგობართა მეგობრებისა“ და ქრისტიან-დემოკრატი ძალმომრეობისაგან მათი დამცველი ფარი. მას შემდეგ, რაც ჯულიანო დაიღუპა, დონ კროჩე მალომ სიცილია წნეხში გაატარა და მდიდრებსა და ღარიბებს ერთნაირად გამოწურა ქონება. როდესაც მთავრობამ წყლის გასაიაფებლად ხელოვნური წყალსაცავების შენება წამოიწყო, დონ კროჩემ ყველა სამშენებლო მანქანა ააფეთქებინა. ყველა წყარო და ჭა მის ხელთ იყო და იაფი წყლის მარაგის შექმნა მას სრულებითაც არ აძლევდა ხელს. ომის შემდგომი სამშენებლო ბუმიც თავის სასარგებლოდ გამოიყენა: საუკეთესო ნაკვეთებს ძალზე ძვირად ყიდდა. სიცილიაზე ბიზნესის ყველა მნიშ-

ვენელოვანი განხრა მისი კონტროლის ქვეშ მოექცა. პალერმოს ბაზარში ერთ ცალ არტიშოკსაც კი ვერ გაყიდდით ისე, რომ დონ კროჩესთვის მცირე საშემოსავლო არ გადაგეხადათ. მდიდრები თავიანთი ცოლებისათვის ბრილიანტებს, ვაჟებისათვის კი დოლის ცხენებს ველარ ყიდულობდნენ, ვიდრე ამ ქონებას დონ კროჩესთან წინდაწინ არ დააზღვევდნენ. მან მტკიცე ხელით მოუშოო გლეხებს იმის იმედი, რომ პრინც ოლორტოს საკუთრებაში არსებულ აუთვისებელ მიწას მხოლოდ იმის წყალობით დაეპატრონებოდნენ, რომ იტალიის პარლამენტმა რაღაც ბრიყვული კანონი გამოსცა. დონ კროჩეს, მთავრობასა და დიდგვაროვანთა შორის მომწყვდეულმა ხალხმა უკეთესი მომავლის ყოველგვარი იმედი გადაიწურა.

ჯულიანოს დაღუპვის შემდეგ სიცილიიდან ორ წელიწადში ხუთასი ათასი ადამიანი გაემგზავრა ემიგრაციაში, მეტწილად ახალგაზრდა მამაკაცები. ზოგი ინგლისში დასახლდა და მებაღე, მენაყინე თუ ოფიციანტი გახდა, სხვები გერმანიაში მძიმე ფიზიკური შრომით ირჩენდნენ თავს, შვეიცარიაში დამსუფთაებლებად მუშაობდნენ, ანდა გუგულიან საათებს ამზადებდნენ. საფრანგეთის მდიდარ სახლებში ჭურჭელს რეცხავდნენ და იატაკს გვიდნენ. ბრაზილიაში გაუვალ ტყეებს კაფავდნენ. ზოგი სულაც სკანდინავიის სუსხიან ზამთრებს შეეგუა. ცხადია, იყვნენ იტალიანებიც, ვინც კლემენზამ ამერიკაში კორლეონეს ოჯახის სამსახურისათვის შეარჩია. მათ მართლაც ყველაზე მეტად გაუმართლათ. ამგვარად სიცილია მოხუცების, ბავშვებისა და ეკონომიკურ ვენდეტაში დაქვრივებული ქალების ქვეყნად იქცა. სოფელი ველარ აწვდიდა მუშახელს მდიდარ მამულებს და მემამულეებიც ზარალობდნენ. მხოლოდ დონ კროჩე იყო მოლხენილი.

გასპარე, ასპანუ პიშოტა ჩადენილ დანაშაულთა გამო გაასამართლეს და უჩარდონეს ციხეში ჩასვეს, მაგრამ ყველასათვის ცხადზე ცხადი იყო, რომ მალე შეიწყალდნენ. თვითონ მხოლოდ იმის ეშინოდა, რომ მანამდე არ მოეკლათ, ვიდრე ციხეში იმყოფებოდა, მაგრამ ამნისტია იგვიანებდა. პიშოტამ დონ კროჩეს დაუბარა, თუკი დაუყოვნებლივ არ გამათავისუფლებენ, ყველა იმ საქმეს გავახმაურებ, რაც ახალდანიშნულ პრემიერთან, ტრეზასთან ერთად განახორციელეთო: პირველ რიგში, ჯინესტრასთან საკუთარი ხალხის ამოხოცვას გულისხმობდა.

ტრუზას იტალიის პრემიერ-მინისტრად დანიშვნის დღეს პიშოტამ დილის რვა საათზე გაიღვიძა. დიდი საკანი ჰქონდა, ოთახის მცენარეებითა და დიდი ფარდაგებით გაწყობილი, რომლებსაც პატიმრობის პერიოდში თვითონ ქარგავდა. აბრეშუმის ფერადი ძაფით ორნამენტების გამოყვანა ამშვიდებდა, რადგან ბოლო დროს სულ უფრო აწუხებდა ბავშვობისა და იმ დღეების მოგონებები, როცა ტორისთან ერთად თამაშობდა და ერთმანეთს ქვეყნად არაფერი ერჩინათ.

პიშოტამ ყავა მოიდულა. ეშინოდა, არ მოეწამლათ, ამიტომ ყველაფერი, რაც ყავის ჭიქაში ჩადო, მისი ოჯახის მიერ იყო მოტანილი. ვიდრე ციხის კერძებს შეჭამდა, მცირე ულუფებს თავის თუთიყუშს აჭმევდა, რომელიც გალიაში იჯდა. უკიდურესი შემთხვევისათვის თაროზე, საქარგი ნემსებისა და ძაფების გვერდით, დიდი ბოთლით ზეითუნის ზეთი ედგა. იმედი ჰქონდა, თუ მას უცებ დალევდა, ამით შხამის მოქმედებას გაანელებდა, ანდა გულისრევას გამოიწვევდა და ამგვარად გადარჩებოდა მოწამვლას. თავდასხმის არ ეშინოდა, რადგან კარგად იცავდნენ. საკნის კართან მისი თანხმობის გარეშე არავის უშვებდნენ. მოთმინებით ელოდა, ვიდრე თუთიყუში თავის ულუფას მოინელებდა, მერე კი თვითონაც მაღიანად მიირთმევდა საუზმეს.

ჰექტორ ადონისი თავისი პალერმოს ბინიდან გამოვიდა და უჩარდონეს საპატიმროსკენ გაემართა. მიუხედავად იმისა, რომ ადრიანი დილა იყო, თებერვლის მზე ძლიერად აცხუნებდა და ინანა, თბილი შავი კოსტიუმი რომ ჩაიცვა. მაგრამ აუცილებლად ჩათვალა, ასეთი შემთხვევისათვის ოფიციალურად გამოწყობილიყო. გულის ჯიბის სიღრმეში საგანგებოდ შენახული მნიშვნელოვანი ფურცელი მოისინჯა.

ქალაქში მგზავრობისას ჯულიანოს აჩრდილი განუწყვეტლივ თან სდევდა. მოაგონდა ის დილა, როდესაც მის თვალწინ კარაბინერებით სავსე ტრამვაი აფეთქდა: ეს ჯულიანოს ერთ-ერთი საპროტესტო აქცია იყო მისი მშობლების დაპატიმრების საწინააღმდეგოდ. ისინიც სწორედ იმ ციხეში ისხდნენ, სადაც ადონისი ახლა მიემგზავრებოდა. პროფესორს დღემდე ვერ გაეგო, როგორ შეეძლო მის გაზრდილ თვინიერ ბიჭს ასეთი საზარელი დანაშაულის ჩადენა. ის კედლები, რომლებსაც ახლა ჩაუარა, თუთრად იყო გადაღებილი,

მაგრამ აღონისმა მკათიოდ დაინახამათზე წითელი საღებავით დაწერილი სიტყვები: „გაუმარჯოს ჯულიანოს“. ვაი, რომ მის ნათლულს გამარჯვება არ ელირსა. მაგრამ აღონისს ყველაზე მეტად ის ადარდებდა, რომ ჯულიანო მისმა ბავშვობის მეგობარმა და უახლოესმა თანაშემწემ მოკლა. ამიტომაც ესიამოვნა, როდესაც საპატიმროში იმ ბარათის წაღება დაეკალა, ახლა რომ გულის ჯიბეში ედო. ბარათი დონ კროჩესგან იყო და საგანგებო მითითებებს შეიცავდა.

ტრამვაი გრძელი შავი შენობის წინ გაჩერდა: ეს უჩარდონეს ციხე იყო. მას ქუჩისგან ქვის კედელი ჰყოფდა ზედ შემოვლებული ეკლიანი გისოსით. ჭიშკარსა და პერიმეტრს ჯარისკაცები იცავდნენ. აღონისმა ყველა საჭირო საბუთი წარმოადგინა და ერთ-ერთმა ჯარისკაცმა საპატიმროს საავადმყოფოს ფარმაცევტულ განყოფილებაში მიაცილა. იქ დახვდა ფარმაცევტი, გვარად კუტო, რომელსაც შავ კოსტიუმსა და ჰალსტუხს ზემოდან ქათქათა თეთრი ხალათი ეცვა. ქვეცნობიერად მანაც ამ შემთხვევისათვის საზეიმოდ ჩაცმა გადაწყვიტა. სტუმარს თავაზიანად მიესალმა და დაჯდომა შესთავაზა.

— ასპანუ რეგულარულად იღებს თავის წამალს? — ჰკითხა აღონისმა. ტუბერკულოზის გამო პიშოტას ისევ უწევდა სტრეპტომიცინით მკურნალობა.

— დიახ, — უპასუხა კუტომ, — საკუთარ ჯანმრთელობას ძალიან უფრთხილდება. მოწვეასაც კი დაანება თავი. ეს უცნაურობა სხვა პატიმრებშიც დავინახე. ვიდრე გარეთ არიან, თავიანთ ჯანმრთელობას არად აგდებენ — უზომოდ ბევრს ეწვეიან, სვამენ, აღვირახსნილ ცხოვრებას მისდევენ. წესიერად არ სძინავთ და არც ფიზიკური ვარჯიშით იწუხებენ თავს. მაგრამ, საკმარისია, ციხეში მოხვდნენ, აჭიმვების კეთებას იწყებენ, თამბაქოს თავს არიდებენ, დიეტას და ყველაფერში ზომიერებას იცავენ.

— იქნებ აქ უბრალოდ სიამოვნების მიღების ნაკლები საშუალება აქვთ, — უთხრა ჰექტორ აღონისმა.

— არა, საქმე ეს არ არის, — იუარა კუტომ, — უჩარდონეში რაც კი გაგიხარდება, ყველაფერს იშოვი. დაცვის მუშაკები გაჭირვებულები არიან, პატიმრები კი მდიდრები. ასე რომ, სრულიად ბუნებრივია, ფული ერთი ხელიდან მეორეში გადავიდეს...

აღონისმა ფარმაკოლოგიურ განყოფილებას გადახედა. თაროებზე

წამლები ეწყო, ხის დიდ კარაღებში დოლბანდები და სამედიცინო ინსტრუმენტები ინახებოდა. ეს დიდი ოთახი პატიმრებისთვის პირველადი სამედიცინო დახმარების გასაწევადაც გამოიყენებოდა, ამიტომ ფარდით გადატიხრულ განყოფილებაში ორი საწოლიც იდგა.

— გიჭირთ მისი წამლის მოპოვება? — იკითხა ადონისმა.

— არა, საგანგებო შეკვეთა გვაქვს მიცემული. სწორედ ამ დღით მივიღე ახალი ბოთლი, ამერიკული ექსპორტის შტამპებითა და ლუქებით დაბეჭდილი. საკმარისად ძვირად ღირებული წამალია. მიკვირს, მთავრობა ასეთ დიდ სახსრებს რატომ გამოჰყოფს მისთვის სიცოცხლის შესანარჩუნებლად.

ერთურთს ღიმილით გადახედეს.

ასპანუ პიშოტამ წამლის ბოთლს ლუქი მოხსნა. საჭირო დოზა მოზომა და წამალი გადაყლაპა. იმ ერთი წამის განმავლობაში, როცა ჯერ კიდევ ფიქრი შეეძლო, უჩვეულოდ მწარე ეჩვენა, მერე კი გონება დაებინდა, აუტანელმა ტკოვილმა სხეული დაუკრუნჩხა და ძირს დააგდო. მის ყვირილზე ჯარისკაცები მოცვიოდნენ. პიშოტა გაჭირვებით წამოდგა ფეხზე. ყელი საშინლად გაუშრა. ზეითუნის ზეთის ბოთლს დასწვდა, მაგრამ ტკოვილის ახალმა ტალღამ კვლავ მოკრუნჩხა.

— მიშველეთ, მომწამლეს! — დაუყვირა დაცვას. ვიდრე ძირს დაფარდებოდა, გაიფიქრა, ბოლოს და ბოლოს, დონ კროჩემ მაინც მაჯობაო.

დაცვის მუშაკებმა პიშოტა ფარმაკოლოგიის განყოფილებაში შეიყვანეს ყვირილით, პატიმარი მოწამლესო. კუტომ პიშოტა ერთ-ერთ საწოლზე მოათავსა და გასინჯა. სწრაფად მოაძზადა კუჭის ამოსარეცხი საშუალება და პირში ჩაასხა. დაცვის თვალწინ თითქოს ყველაფერს აკეთებდა პიშოტას გადასარჩენად. მხოლოდ ადონისმა იცოდა, რომ მის მიერ მიცემული წამალი სუსტი იყო და მომაკვდაუს ვერაფერს უშველიდა. ადონისი საწოლს მიუახლოვდა და გულის ჯიბიდან ქალღმრთის ფურცელი ამოიღო. თავი ისე დაიჭირა, თითქოს ფარმაცევტს ეხმარებოდა და ფურცელი ყველასთვის შეუმჩნეველად პიშოტას უბეში ჩაუცურა. თან მის სახეს შეჰყურებდა, რომელიც ახლა თითქოს დარდს დაეჩრდილა, მაგრამ სინამდვილეში ეს აუტანელი ტანჯვის კვალი იყო. კოხტა ულვაშის ბოლო სიმწრისგან მოეკვნიტა. ადონისმა გულში სულის სახსენებელი

ლოცვა აღაუვლინა და დარდი მოეძალა. მოაგონდა, ეს ადამიანი მის ნათლულთან ერთად სიცილიის ბორცვებს შორის როგორ დადიოდა და როლანისა და კარლოს დიდის შესახებ ბალადებს მღეროდა.

* * *

ფურცელი მხოლოდ ექვსი საათის შემდეგ აღმოაჩინეს გვამის უბეში, მაგრამ ჯერ კიდევ საკმაოდ დრო რჩებოდა საიმისოდ, რათა პიშოტას სიკვდილის შესახებ დეტალები გაზეთებში გამოექვეყნებინათ. ფურცელზე ეწერა: „ასე მოკვდება ჯულიანოს ყველა მოლალატე“.

თავი 31

სიცილიაზე ვისაც მცირედი ფული მაინც აქვს, თავის ძვირფას გარდაცვლილებს მიწაში არ კრძალავს. აქაურებს ეს სიკვდილთან ბრძოლაში საბოლოო მარცხად მიაჩნიათ. გარდა ამისა, სიცილიის მიწა მეტისმეტად ბევრი ვერაგობითაა წაბილწული. ამიტომაც სასაფლაოები ქვისა და მარმარილოს პატარა აკლდამებითაა საუსე, რომლებსაც congregazioni-ს უწოდებენ. მათ შესასვლელებს გისოსებიანი კარი ფარავს. შიგნით იარუსებად დევს კუბოები და თითოეული იარუსი ცემენტითაა დალუქული.

ადონისმა პიშოტას სიკვდილის შემდეგ ერთ-ერთი მზიანი კვირადღე შეარჩია და მონტელეპრეს სასაფლაოს ესტუმრა. იქ დონ კროჩეს უნდა შეხვედროდა, რათა ერთად ელოცათ ტორი ჯულიანოს საფლავზე და, რაკილა საქმეზეც ჰქონდათ სალაპარაკო, უკეთეს ადგილს ვერ ნახავდნენ.

სასაფლაო, ასევე, საუკეთესო ადგილია საიმისოდ, რომ კოლეგას საქმის წარმატებით შესრულება მიულოცო. დონ კროჩე ვალდებულებად თვლიდა პიშოტას თავიდან მოცილებას, რადგან ყაჩაღს ძალზე გრძელი ენა და კარგი მახსოვრობაც ჰქონდა. მან ადონისს დააუბლა ამ საქმის შესრულება. პიშოტას უბეში ბარათის ჩადება დონ კროჩეს ერთ-ერთი ყველაზე ცბიერი სვლა იყო: ამით ადონისის გულიც მოიგო და თან პოლიტიკური მკვლელობა შურისძიების რომანტიკულ ქსოვილში გაახვია. სასაფლაოს ჭიშკართან ჰექტორ ადონისმა დაინახა, როგორ გადმოსვეს დონ კროჩე მანქანიდან მძღოლმა და დაცვის წევრმა. უკნასკნელ წელს დონი უსაშველოდ

გასუქდა, მისი სხეული თითქოს მისი ძალაუფლების მატებასთან ერთად იბერებოდა.

ერთად შევიდნენ ჭიშკარში. აღონისმა ჭიშკრის თაღს ახედა, რომელზედაც გრეხილი რკინით ასოები იყო გამოყვანილი: „ჩვენც თქვენი მსგავსნი ვიყავით, თქვენ კი ჩვენ დაგვემსგავსებით“.

ამ ფრაზამ აღონისს ღიმილი მოჰგვარა. ჯულიანო ამას არასოდეს იტყოდა, აი, ასპანუ პიშოტა კი, რომ შეეძლოს, საფლავიდან სწორედ ამ სიტყვებს ამოგვძახებდაო, გაიფიქრა.

ჰექტორ აღონისი პიშოტას მიმართ სიძულვილს აღარ გრძნობდა. რაც მთავარია, შური იძია და ახლა ისევ ის დრო აგონდებოდა, როდესაც ორივე ყმაწვილი უდარდელად თამაშობდა, მერე კი ერთად დაადგნენ ყაჩაღობის გზას.

დონ კროჩემ და ჰექტორ აღონისმა ღრმად შეაბიჯეს მარმარილოს აკლდამებისა და ობელისკების ქალაქში. დაცვა დონ კროჩეს ერთი ნაბიჯითაც კი არ შორდებოდა და ქვიან ბილიკზე გადაადგილებისას ეხმარებოდა. მძლოლმა უზარმაზარი თაიგული დადო იმ აკლდამის კართან, სადაც ჯულიანო იყო დაკრძალული. დონ კროჩემ მზრუნველად გაასწორა ყვავილები, მერე დაიხარა და ტორი ჯულიანოს ფოტოს დააცქერდა, კარზე რომ იყო მიმაგრებული. დაცვამ ხელი შეაშველა, რათა არ წაქცეულიყო.

დონ კროჩე წელში გასწორდა და თქვა:

— ტორი ჯულიანო ვაჟკაცი ბიჭი იყო. ყველას გვიყვარდა, მაგრამ მასთან ერთად ცხოვრება შეუძლებელი გახდა. მას სამყაროს შეცვლა, თავდაყირა დაყენება სურდა. ადამიანები უყვარდა, მაგრამ რამდენი დახოცა?.. ღვთისმოსიში იყო, მაგრამ კარდინალი გაიტაცა.

ჰექტორ აღონისმაც შეხედა სურათს. ის მაშინ გადაიღეს, როცა ჯულიანო ჩვიდმეტი წლის იყო. ისეთი ლამაზი იყო, მისი შემხედვარე ყველა იმწამსვე შეიყვარებდა. ვერ იფიქრებდით, რომ ეს ყმაწვილი ამდენ ადამიანს გამოასალმებდა სიცოცხლეს.

ოჰ, სიცილია! — გაიფიქრა აღონისმა, — შენ საუკეთესო შვილებს ანადგურებ და მტვრად აქცევ. შენს მიწაზე ანგელოზოვით მშვენიერი ბავშვები იბადებიან და დემონებად გარდაისახებიან. ამ ნიადაგზე ბოროტების თესლი ბამბუკოვით და მსხალოვით უხვად ხარობს. და მაინც, რატომ მოიტანა დონ კროჩემ ყვავილები ჯულიანოს საფლაავზე?

— ეჰ, ნეტავ ტორი ჯულიანოსნაირი ვაჟი მყოლოდა, — ამოი-
ოხრა დონმა, — რა იმპერიას დაუტოვებდი მემკვიდრეობით! ვინ
იცის, რა სიმაღლეებს მიაღწევდა.

ჰექტორ ადონისს გაეღიმა. დონ კროჩე დიდებული კაცი იყო, მაგ-
რამ რეალურობას მოკლებული. სინამდვილეში მას ათასობით ვაჟი
ჰყავდა, რომლებიც მის ძალაუფლებას გადაიბარებდნენ და პალერ-
მოს უნივერსიტეტის პროფესორი ჰექტორ ადონისი ერთ-ერთი იყო.

ადონისი და დონი გასასვლელისკენ მიბრუნდნენ. სასაფლაოს
ჭიშკართან მანქანების გრძელი მწკრივი იდგა და ყველა მათგანი
ჯულიანოსა და პიშოტას ლეგენდის ეპიზოდებით იყო მოხატული:
ჰერცოგინიას გაძარცვა, მათვის ბოსების დახოცვა, პიშოტას მიერ
ჯულიანოს მოკვლა. ადონისმა იცოდა, რომ დონ კროჩეს, მისი გავ-
ლენის მიუხედავად, დაივიწყებდნენ, ჯულიანოს ხსონა კი მომავალ-
შიც იცოცხლებდა და ახალი ლეგენდებით შეიმოსებოდა; იმასაც
იტყოდნენ, რომ სინამდვილეში არ მომკვდარა და დღემდე კამარა-
ტას მთებში დაიარება, ერთ მშვენიერ დღეს კი სიცილიის გადასარ-
ჩენად დაბრუნდებაო. ქვითა და ტალახით ნაგებ ათასობით სოფელ-
ში ის ბავშვები, ჯერ რომ არ დაბადებულან, ჯულიანოს სულის
ცხონებისა და მისი მკვდრეთით აღდგომისათვის ილოცებდნენ.

ან ვინ იტყოდა იმას, რომ ცბიერი პიშოტა ბავშვობაში ყურს არ
უგდებდა კარლოს დიდის, როლანისა და ოლივერის ლეგენდებს?
ერთგული რომ დარჩენილიყო, მასაც დაივიწყებდნენ. მთელ ლეგენ-
დას ჯულიანოს ფიგურა შეავსებდა. ამ დიდი დანაშაულის ჩადენით
კი ასპანუ თავის საყვარელ ტორის სამუდამოდ გაუტოლდა.

პიშოტას ამავე სასაფლაოზე დაკრძალავენ. ორივენი მშობლი-
ური მთების ძირში იწვებოდნენ, იმ მთების ძირში, სადაც ჰანიბა-
ლის სპილოს ჩონჩხი იპოვეს, სადაც ოდესღაც როლანის საყვირის
ხმები ისმოდა...

ორმა კაცმა, ვეებერთულამ და ჩიამ, ერთად დატოვეს სასაფლაო.
გარშემო მთებზე შეფენილ ტერასებს ყვავილები ფარავდა, თეთრი
კლდეები ლაპლაპებდა და სიცილიური წითური ქორი ცაში მზის
სხივის წვერს მოჰყვებოდა...

სარჩევი

წიგნი I მაიკლ კორლეონე 1950	7
წიგნი II ტორი ჯულიანო 1943	42
წიგნი III მაიკლ კორლეონე 1950	212
წიგნი IV დონ კროჩე 1947	229
წიგნი V ტორი ჯულიანო და მაიკლ კორლეონე 1950	312

წიგნის ელექტრონული ვერსია
მოამზადა: აკაკი ციციშვილმა

www.PDF.ChiaturaINFO.GE